აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კომუნისტური პარტიების
ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები

ნაწილი პირველი

1883—1921

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
19 თბილისი 71

სარედაქციო კოლეგია

ც. პ. ალიანი,
ნ. გ. ვეზიროვი,
ვ. ნ. მერკვილაძე,
შ. ი. ჩივაძე.

წინასიტყვაობა

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა და გამოზრდილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლო პირველი მცირერიცხოვანი არალეგალური მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან საბჭოთა ხალხის მრავალმილიონიან ავანგარდამდე, ხალხისა, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს.

ლენინური პარტია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას გაუძღვა ძველ სამყაროზე იერიშის მისატანად და უზრუნველყო გამარჯვება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლითაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა.

ბოლშევიკური პარტია წარმოიქმნა როგორც მთელი რუსეთის პროლეტარიატის ერთიანი ავანგარდი. მან თავიდანვე შეიერთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი საუკეთესო ელემენტები, გააერთიანა რუსეთის ყველა ერისა და ხალხის წარმომადგენლები. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე შენდებოდა პარტიის ყველა ორგანიზაცია, უჯრედებით დაწყებული და დიდი საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციებით დამთავრებული. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის დაუშრეტელი წყაროა.

ჯერ კიდევ 1903 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...თვითმპყრობელობასთან ბრძოლის, მთელი რუსეთის ბურჟუაზიასთან ბრძოლის საკითხში ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, მებრძოლი ორ-

განიზაცია, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ მთელ პროლეტარიატს განურჩევლად ენისა და ეროვნებისა, ჩვენ უნდა ვიყოთ შედუღებულნი ერთმანეთთან თეორიული და პრაქტიკული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების მუდმივი ერთობლივი გადაჭრით, და არ უნდა ვქმნიდეთ ცალკეულ, საკუთარი გზებით მიმავალ ორგანიზაციებს, არ ვასუსტებდეთ ჩვენი შეტევის ძალას მრავალრიცხოვან დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიებად დანაწილებით, არ უნდა შეგვქონდეს განშორება და განცალკევება, რომ შემდეგ არ დაგვჭირდეს, ხელოვნურად შეყრილი სენის მკურნალობა ყბადაღებული „ფედერაციის" მალამოთი"[1].

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელი ისტორია ვ. ი. ლენინის დიადი იდეების ბრწყინვალედ განხორციელების მაგალითია.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები — ლენინური პარტიის უძველესი მებრძოლი რაზმები — დასაწყისს იღებენ პირველი მარქსისტული მუშათა წრეებიდან და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიდან, რომლებიც ამ მხარეში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის უშუალო გავლენით. ისინი თავიანთი წარმოშობის დასაწყისიდანვე სრულიად რუსეთის ერთიანი პროლეტარული პარტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. 900-იანი წლების დამდეგს ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მტკიცედ და ურყევად დაადგა ლენინურ-ისკრულ პოზიციებს და ღირსეული წვლილი შეიტანა ახალი ტიპის პარტიის შექმნის საქმეში.

1903 წელს ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შექმნეს რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელსაც კავშირის კომიტეტი მეთაურობდა და რომელიც ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ედგნენ მასების რევოლუციურ ბრძოლას, პარტიის ყველაზე დიდ და ბრძოლისუნარიან ორგანიზაციათა რიგებში გამოვიდნენ. ვ. ი. ლენინის დაწერილ და რსდმპ III ყრილობის მიერ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 411-412.

მიღებულ რეზოლუციაში „კავკასიის ამბების შესახებ“ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დახასიათებულია როგორც ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციები[1]. ეს მაღალი შეფასება ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ღირსეულად გაამართლეს.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუდამ იმყოფებოდნენ მასების რევოლუციური ბრძოლის ავანგარდში. ისინი განუხრელად ხელმძღვანელობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საერთოპარტიულ ხაზს, რომელიც პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს გამოხატავდა.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების აკვანი დიდმა ლენინმა დაარწია. ვ. ი. ლენინი დაკვირვებით ადევნებდა თვალს კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, განუწყვეტლივ ზრუნავდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, სისტემატურ დახმარებას უწევდა მათ, მიწერ-მოწერა ჰქონდა ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ მოღვაწეებთან, წარმართავდა მათს მუშაობას. ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების თვალსაჩინო ღვაწლს ჩვენი პარტიის შექმნისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, მასობრივი რევოლუციური მუშათა და გლეხთა მოძრაობის გაჩაღებისათვის ბრძოლაში. „მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში“[2]. ვ. ი. ლენინს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღნაგობის ინტერნაციონალური პრინციპის კოლოსალური მნიშვნელობა და ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციებს მაგალითად უსახავდა მათი მუშაობის გამოცდილებას.

ინტერნაციონალური ტრადიციების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იქმნებოდა და მტკიცდებოდა არა ერთმანეთისაგან იზოლი-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 497.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 84.

რებულად, არამედ ურთიერთშორის მჭიდრო კავშირით და მათ ჰქონდათ საერთო სამხარეო ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები: ჯერ — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, ხოლო შემდეგ — რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი.

ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროფესიული რევოლუციონერები, ვ. ი. ლენინის მოწაფეები: მ. ა. აზიზბეკოვი, ს. მ. ეფენდიევი, ვ. ზ. კეცხოველი, ბ. მ. კნუნიანცი, ფ. ე. მახარაძე, ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, ე. დ. სტასოვა, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ლენინური იდეების ერთგულნი, აღაფრთოვანებდნენ და აკავშირებდნენ მხარის მშრომელ მასებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, საქართველოს კომუნისტური პარტია, სომხეთის კომუნისტური პარტია, რომლებიც 1920 წელს შეიქმნენ როგორც დიადი ლენინური პარტიის შემადგენელი ნაწილები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოციალისტურ მშენებლობას ამიერკავკასიაში და ამჟამად გამოდიან როგორც ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ავანგარდი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საბჭოების ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი გზა, რომელიც გავლილია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უცილობლად მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალიზმს მოაქვს სრული განთავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და აღორძინება ყველა დამონებული ხალხისათვის, უქმნის მათ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების უმაგალითო პერსპექტივებს. „ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ა ლ ხ მ ა, ლ ე ნ ი ნ ურ მ ა პ ა რ ტ ი ა მ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, — მ თ ე ლ მ ს ო ფ ლ ი ო შ ი მ ა ღ ლ ა ა ღ მ ა რ თ ე ს დ ი დ ი ო ქ ტ ო მ-

ბრით ანთებული სოციალიზმის ჩირაღდანი და დასაწყისი მისცეს მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას. სოციალიზმი, რომელიც XIX საუკუნეში ოცნებიდან მეცნიერებად იქცა, XX საუკუნეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მშრომელთა მილიონიანი მასების სოციალურ-პოლიტიკური პრაქტიკა გახდა"[1].

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ჩასახვის, განვითარებისა და საქმიანობის ისტორიის მეცნიერული დამუშავება კიდევ უფრო ამდიდრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიას. ისეთი შრომის შექმნას, რომელიც გააშუქებს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სახელოვან ისტორიას და განაზოგადებს მათს უდიდეს გამოცდილებას ცარიზმსა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში, უდიდესი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აღზრდას ჩვენი ქვეყნის ხალხების შესანიშნავ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ გამოცდილებაში სოციალიზმის ქვეყნების მშრომელები, მსოფლიოს კოლონიური და ჩაგრული ხალხები, ყველა კონტინენტის პროგრესული ადამიანები ხედავენ ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლის შესანიშნავ ნიმუშს. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობის გამოცდილების მეცნიერულ განზოგადებას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისთვისაც. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის სიმართლით გაშუქება ამხილებს აგრეთვე ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მონაჭორს, რომლებიც ცდილობენ უარყონ ამიერ-

---

1 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. თბილისი, 1967, გვ. 81.

კავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური რევოლუციის მართლზომიერება და ჩირქი მოსცხონ ჩვენი ხალხების დიად მიღწევებს სოციალიზმისა და კომუნიზმის გზებზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე გაწეულია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის ცალკეული პრობლემებისა და პერიოდების მეცნიერული დამუშავებისათვის. გამოაშკარავებული და დაძლეულია სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი, რასაც წარსულში ადგილი ჰქონდა მხარის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის გაშუქებაში. გამოქვეყნებულია მრავალი სტატია, ბროშურები, მონოგრაფიები, კოლექტიური ნაშრომები და დოკუმენტების კრებულები, შექმნილია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიების ისტორიის ნარკვევები.

მაგრამ დღემდე არ არის განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელიც აშუქებდეს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას იმ პერიოდში, როცა მათ ერთიანი საერთო-სამხარეო პარტიული ცენტრები აერთიანებდნენ.

წინამდებარე ნარკვევები, რომლებიც ორი ნაწილისაგან შედგება, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერული გაშუქების პირველი ცდაა.

ნარკვევების პირველ ნაწილში მდიდარი დოკუმენტური მასალის საფუძველზე გაშუქებულია ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სახელოვანი საბრძოლო გზა მათი წარმოშობის მომენტიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ნარკვევების მეორე ნაწილი მიეძღვნება ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობას 1921—1936 წლებში სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში.

ამ წიგნში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორია გაშუქებულია როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანი ისტორიის შემადგენელი ნაწილი.

წიგნს საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, სკკპ ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და სხვა პარტიული დოკუმენტები. მასში ფართოდ გამოყენებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო

მოღვაწეთა სტატიები და სიტყვები, პერიოდული პრესა, რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მოგონებანი. წიგნის შექმნისას ავტორები ეყრდნობოდნენ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევებს.

„ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილის დაწერაზე მუშაობდა ავტორთა კოლექტივი: ვ. ა. ავეტისიანი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მ. ვ. არზუმანიანი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ც. პ. აღაიანი — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ს. დ. ბერიძე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გ. ა. გალოიანი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ზ. თ. გეგეშიძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ა. რ. გუკასიანი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ა. ნ. გულიევი—აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დ. ბ. გულიევი—ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გ. ი. დევდარიანი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ხ. გ. ვეზიროვი—ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ზ. ი. იბრაჰიმოვი — აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფ. ნ. ლომაშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ნ. ი. მაკეევი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ვ. ნ. მერკვილაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ი. ი. მირცხულავა — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ვ. ნ. ნერკარარიანი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გ. კ. ჟვანია — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ი. ვ. სტრიგუნოვი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მ. მ. ქათიბლი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გ. ბ. ღარიბჯანიანი — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მ. ა. ყაზიევი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, შ. ი. ჩივაძე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მ. ვ. ცერცვაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ს. ვ. ხარმანდარიანი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო-კოორდინაციული მუშაობა განახორციელა გ. კ. ჟვანიამ, სამეცნიერო-ორგანიზაციული — დ. ბ. გულიევმა, ი. ი. მირცხულავამ და ვ. ნ. ნერკარარიანმა. ავტორთა კოლექტივს დიდი დახმარება გაუწია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა მ. ვ. ისკროვმა.

სამეცნიერო-დახმარებითი და საგამომცემლო მუშაობა შეასრულა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივმა.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტები დიდ მადლობას უძღვნიან სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლების სკკპ ისტორიის კათედრებს, ყველა ამხანაგს, რომლებიც თავიანთი სასარგებლო შენიშვნებითა და რჩევით დაგვეხმარნენ წიგნის „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევების" მომზადებაში.

თავი პირველი

მარქსიზმის მავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობა ამიერკავკასიაში

(1893 — 1900 წლები)

1. კაპიტალიზმის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში

XIX საუკუნის პირველ მესამედში დამთავრდა ამიერკავკასიის შეერთება რუსეთთან. ცარიზმის მიერ მკაცრი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის მიუხედავად, რუსეთთან შეერთებამ ობიექტურად დადებითი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიულ ბედში, დააჩქარა მხარის ეკონომიკისა და კულტურის განვითარება და ხელი შეუწყო მის საერთო სოციალურ-პოლიტიკურ პროგრესს.

უცხოელ დამპყრობთა დაუსრულებელი გამანადგურებელი შემოსევები, ფიზიკური მოსპობის საფრთხე და ფეოდალური შინაომები რომ აიცილეს თავიდან, ამიერკავკასიის ხალხებმა სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი რუსი ხალხის და რუსეთის ვრცელი იმპერიის სხვა ხალხების ბედს. მეფის ბატონობის დროს აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი განცალკევებულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებს არ შეადგენდნენ. ამიერკავკასიის მხარე გამოირჩეოდა მოსახლეობის მეტად ჭრელი შემადგენლობით. აქ საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის მეზობლად მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები და სხვა ხალხები, რომლებსაც ურთიერთთან აკავშირებდა ისტორიული ბედის, სამეურნეო წყობის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის გარკვეული ერთიანობა. ამ ხალხების გაერთიანებამ ერთი სახელმწიფოს — რუსეთის იმპერიის — ფარგლებში ხელსაყრელი პირობები შექმნა მათი სამეურნეო-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაძლიერებისათვის. მაგრამ რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებამ არ მოუტანა მის ხალხებს ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება. მეფის რუსეთი ხალხთა

საპყრობილე იყო. ამიერკავკასიის ხალხები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ დამოუკიდებლობას და მმართველებად ჰყავდათ მეფის მოხელეები, რომლებიც ულმობლად ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, სპარსეთის შაჰებისა და თურქეთის სულთნების უმძიმეს ჩაგვრასთან შედარებით, რომლებიც ამიერკავკასიის ხალხების თვით ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდნენ რუსეთთან შეერთება პროგრესული მოვლენა იყო.

რუსეთის სახელმწიფოსთან ამიერკავკასიის შეერთების ობიექტურ-პროგრესულმა შედეგებმა განსაკუთრებით თვალნათლივ იჩინა თავი რუსეთში 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა კაპიტალიზმის განვითარებას.

საგლეხო რეფორმა ამიერკავკასიაში გატარდა რამდენადმე უფრო გვიან — 1864—1871 წლებში — მემამულეებისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში, ხოლო გლეხებისათვის მნიშვნელოვნად უფრო შეკვეცილი სახით, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში. გლეხებს ხაზინის, თავად-აზნაურობის, ხანების, ბეგების და მელიქების სასარგებლოდ წაერთვათ იმ მიწების ნაწილიც კი, რომლებითაც ისინი რეფორმამდე სარგებლობდნენ. საკმარისია ითქვას, რომ ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიის მიწის საერთო ფართობის 70,8 პროცენტი ხაზინისა და მსხვილ მიწათმფლობელთა უშუალო მფლობელობაში იყო და მხოლოდ 29,2 პროცენტი დარჩათ გლეხებს — მხარის მოსახლეობის ძირითად მასას[1].

რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიაში ხაზინა გლეხებს არ აძლევდა კრედიტს თავიანთი ნადელების გამოსასყიდად, ამასთან თვით გამოსასყიდი გადასახდელები მეტად დიდი იყო. რეფორმის შემდეგ ოცდახუთი წლის მანძილზე აზერბაიჯანსა და სომხეთში არ ყოფილა მიწის გამოსყიდვის არც ერთი შემთხვევა, ხოლო საქართველოში გამოსყიდული ნადელების რაოდენობა 80-იან წლებში 20 პროცენტზე მეტს არ შეადგენდა.

რეფორმის შედეგად ამიერკავკასიის კერძომფლობელი გლეხები, რომლებიც მხარის გლეხთა საერთო რიცხვის დაახლოებით 1/4-ს შეადგენდნენ, გაძარცული აღმოჩნდნენ. ქართველმა მემამულეებმა ხელთ იგდეს ვარგისი მიწების მთელი ფართობის ორი მესამედი. ელიზავეტპოლის გუბერნიაში მემამულეებს აღმოაჩნდათ 1,5-ჯერ მეტი, ხოლო ბაქოს გუბერნიაში --- 2-ჯერ მეტი მიწა, ვიდრე გლე-

[1] П. В. Гугушвили. Аграрные отношения в Закавказье на рубеже XIX—XX вв. В сб. «Сельское хозяйство и аграрные отношения», том четвертый, Тбилиси, 1955, стр. 17.

ხებს. ასევე გაძარცვეს გლეხები სომხეთშიც. ყოველივე ეს შეესაბამებოდა მეფის მთავრობის ინტერესებს, რამდენადაც იგი აბორციელებდა ადგილობრივ მემამულეებთან — მის სოციალურ დასაყრდენთან — კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას.

რეფორმა სრულებით არ შეხებია სახელმწიფო გლეხებსა და ხიზან გლეხებს (შეკედლებულ გლეხებს, მემამულეთა მიწების მუდმივ მოიჯარეებს საქართველოში), ამასთან სახელმწიფო გლეხები აზერბაიჯანში შეადგენდნენ გლეხობის 70,6 პროცენტს, სომხეთში — 85,4 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 44,7 პროცენტს, ესე იგი გადასახადის გადამხდელი სოფლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. 80-იანი წლების მონაცემებით, აზერბაიჯანის სახელმწიფო გლეხთა 60-მდე პროცენტს ჰქონდა საშუალოდ ორ დესეტინამდე ნადელი ორივე სქესის ერთ სულზე, საძოვრებისა და დასამუშავებლად უვარგისი მიწების ჩათვლით, ხოლო 16 პროცენტს —ერთ დესეტინაზე ნაკლები. იმავე პერიოდში ერევნის გუბერნიის ყველა ვარგისი მიწების 42 პროცენტი ხაზინის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო სახელმწიფო გლეხებს მხოლოდ 52 პროცენტი ეკუთვნოდათ. საქმის ვითარება უკეთესი როდი იყო საქართველოშიც.

ამიერკავკასიის მშრომელი გლეხების მდგომარეობაზე მძიმე გავლენას ახდენდა გადასახლების პოლიტიკა, რომელიც ცარიზმის მიერ ხორციელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევით და ტარდებოდა „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის" კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის"[1]. ყოველივე ამის შედეგად ამიერკავკასიის მშრომელი გლეხობა მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, გლეხთა ნაწილს კი სულაც არა ჰქონდა ნადელები. გლეხთა ბეგარა თავიანთი პატრონების სასარგებლოდ უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე რეფორმამდელ პერიოდში იყო. მაგალითად, 1900 წელს ერევნის გუბერნიის გლეხთა მოსახლეობის ყველა გადასახდელთა და გამოსაღებთა თანხა 2—1-ჯერ გადიდდა 1867 წელთან შედარებით[2].

მთელი თავისი შეზღუდულობის მიუხედავად საგლეხო რეფორმა მაინც სტიმულს აძლევდა კაპიტალიზმის განვითარებას ამიერკავკასიაში, პირობებს ქმნიდა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის შესაცვლელად კაპიტალისტური ურთიერთობით. რეფორმამ გაათავისუფლა გლეხები პირადი დამოკიდებულებისაგან, რითაც

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 101.

[2] М. А. Адонц. Экономическое развитие Восточной Армении в XIX в., Ереван, 1957, стр. 347.

ძირი გამოუთხარა ფეოდალური დამოკიდებულების ძველ ურთიერთობას, მოსპო მთავარი შეზღუდვა იმაში, რომ გლეხს თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა როგორც საქონელი.

რეფორმისშემდგომ ეპოქაში ამიერკავკასია ინტენსიურად შედიოდა რუსეთის ეკონომიური განვითარების საერთო კალაპოტში, რომელშიც საგლეხო რეფორმის შემდეგ საწარმოო ძალები უფრო წარმატებით ვითარდებოდა. იზრდებოდა მსხვილი სამანქანო მრეწველობა, შენდებოდა რკინიგზების განშტოებული ქსელი, სოფლის მეურნეობაში აღწევდა კაპიტალისტური ურთიერთობა და ისიც სულ უფრო და უფრო იღებდა სავაჭრო, სამეწარმეო ხასიათს[1].

თუ ეკონომიური ჩამორჩენილობა და ბატონყმობის ნაშთები ზღუდავდნენ და ანელებდნენ კაპიტალიზმის „გაღრმავებას" რუსეთის ცენტრალურ ოლქებში, განაპირა კუთხეების ვრცელი და ნედლეულით მდიდარი ტერიტორიები წარმოადგენდნენ ბაზებს კაპიტალიზმის „გასაფართოებლად", ე. ი. მისი ბატონობის სფეროების გასავრცელებლად ახალ ტერიტორიებზე[2] კაპიტალისტური განვითარების პროცესში, ამრიგად, იქმნებოდა ობიექტური საფუძველი იმპერიაში მოსახლე რუს და არარუს ხალხებს შორის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობისათვის, მათი ეკონომიური და კულტურული ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის. მაგრამ განაპირა კუთხეების ხალხთა კოლონიური ჩაგვრისა და პოლიტიკური უუფლებობის პირობებში სამეურნეო გაერთიანება ემყარებოდა არა თანასწორუფლებიან თანამშრომლობას, არამედ ნაკლებად განვითარებული ხალხების დამორჩილებასა და ჩაგვრას. ამიტომ კაპიტალიზმის განვითარება განაპირა მხარეებში გაცილებით უფრო ნელა და უფრო მტკივნეულად მიმდინარეობდა, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. ცარიზმის იმ უცვლელი კურსის გამო, რომლის მიზანი იყო ფეოდალურ-პატრიარქალური წყობილების ნაშთების შენარჩუნება, განაპირა მხარეების ეკონომიური ჩამორჩენილობის სამარადისოდ დატოვება, ამ უკანასკნელთა სახალხო მეურნეობა ცენტრალური რუსეთის აგრარულ-სანედლეულო დანამატად იქცეოდა. განაპირა მხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, ვითარდებოდა უმთავრესად მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ნედლეულით უზრუნველყოფდნენ რუსეთის ცენტრალური ოლქების მრეწველობას. მაგრამ განაპირა მხარეები მარტო ნედლეულის წყარო როდი იყვნენ, ისინი ამავე დროს რუსეთის მრეწველობის საქონლის გასაღების ბაზარს წარმოადგენდნენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 357.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 665, 705.

ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა სასარგებლო წიაღისეულთა მდიდარი საბადოების ექსპლოატაცია: ნავთობისა — ბაქოში, სპილენძისა — ალავერდში, ზანგეზურში, ქედაბეკში, ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში, მარგანეცისა — ჭიათურაში, აგრეთვე სხვა ადგილობრივი ნედლეულის რესურსების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ამოქაჩვა და მხარის გადაქცევა რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ნაკეთობათა გასაღების ბაზრად. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ ცარიზმი ხელოვნურად აფერხებდა ამიერკავკასიის დამუშავებითი მრეწველობის განვითარებას, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, კავკასიას მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში რომ აბამდა, რუსეთის კაპიტალიზმი ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, „ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ეაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა...“[1].

ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების მიზნებს მნიშვნელოვანწილად ემსახურებოდა მხარეში რკინიგზების მშენებლობაც, რაც ძირითადად ნაკარნახევი იყო სტრატეგიული მოსაზრებებით. ფოთი — თბილისის (1872წ.), თბილისი—ბაქოს, სამტრედია—ბათუმის (1883 წ.), თბილისი—ყარსის (1899 წ.), ალექსანდროპოლ—ერევნის (1901 წ.) რკინიგზების აშენებამ და საექსპლოატაციოდ გადაცემამ და ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის საერთორუსეთის რკინიგზების ქსელთან შეერთებამ (1900 წ.) ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ცალკეული რაიონების წინანდელი სამეურნეო კარჩაკეტილობის ლიკვიდაციას, მისი თვით ყველაზე დაშორებული კუთხეების ჩაბმას კაპიტალისტური განვითარების ორომტრიალში, შრომის საზოგადოებრივი და ტერიტორიული განაწილების წარმოშობას, ამიერკავკასიის ხალხთა შინაგანი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერებას და მთელი მხარის ჩაბმას იმპერიის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაში.

ფეოდალური მხარიდან ამიერკავკასია სულ უფრო მეტად იქცეოდა კაპიტალისტურ მხარედ, თუმცა მთელი რაიონების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში განვითარებადი კაპიტალისტური ურთიერთობა გადახლართული იყო ჯერ კიდევ ფართოდ შემორჩე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 704.

ნილ ფეოდალურ ურთიერთობასა და პატრიარქალურ გადმონაშთებთან.

ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება XIX საუკუნის მეორე ნახევარში იყო სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ზრდა, აგრეთვე მომჰოვებელი და — უფრო ნაკლებად — დამუშავებითი მრეწველობის ზრდა. კერძოდ, სწორედ ამაში მდგომარეობდა იმის პროგრესული მნიშვნელობა, რომ განაპირა მხარეები, მათ შორის ამიერკავკასიაც, სამეურნეო მხრივ ჩაებნენ რუსეთის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაში.

რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია ბამბის ნათესი ფართობების მნიშვნელოვნად გადიდება აზერბაიჯანსა და სომხეთში, აგრეთვე აბრეშუმის პარკის დამზადების ზრდა აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში. ვინაიდან რუსეთის ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნილება ღვინისა და კონიაკის ნაწარმზე, ამიერკავკასიაში ინტენსიურად იწყო განვითარება მეევნახეობამ და მეღვინეობამ.

რუსეთის საშინაო ბაზრის გაფართოებას და ნედლეულზე რუსეთის მზარდი მრეწველობის მოთხოვნილების გადიდებას მოჰყვა ამიერკავკასიის რაიონების სპეციალიზაცია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებაში.

რეფორმისშემდგომი ეპოქის ამიერკავკასიაში სულ უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ტენდენციები, გაცილებით უფრო შესამჩნევი ხდებოდა ევოლუცია მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმებიდან კაპიტალისტური ფორმებისაკენ; უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამლევისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოების ბურჟუაზიული ელემენტების საქმიანობის არე. წარმოშობილი ბურჟუაზიის სხვადასხვა წარმომადგენლები თავიანთი სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობით, ათასობით ძაფით აკავშირებდნენ ამიერკავკასიის გლეხურ მეურნეობას მეფის რუსეთის კაპიტალისტურ ეკონომიკასთან.

უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამლევისათვის კაპიტალიზმმა ამიერკავკასიის სოფელში მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ. მაგრამ სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალთა ზრდის გზაზე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის, რომ კაპიტალისტურ ურთიერთობას მოდებული ჰქონდა ხშირი ქსელი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და პატრიარქალური გადმონაშთებისა, რომლებსაც განზრახ ტოვებდა ცარიზმი, და ეს წარმოშობდა მშრომელი გლეხობის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის განსაკუთრებით სასტიკ ფორმებს.

მემამულეთამიერი და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა, უმიწობა და მცირემიწიანობა, კაბალური იჯარა, სხვადასხვანაირი და აუტანელი გადასახადები და გამოსაღებები, მეეახშეობა, მეფის მოხელეთა თვითნებობა და სხვ. მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ გლეხებს, განუმზადებდა მათ შიმშილსა და ამოწყდომას.

ამიერკავკასიის სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას შედეგად მოსდევდა ის, რომ ფენებად იშლებოდა გლეხობა, რომლიდანაც გამოყოფა იწყო სოფლის ბურჟუაზიამ — კულაკებმა — და სოფლის პროლეტარებმა და ნახევრადპროლეტარებმა. საგლეხო რეფორმამ ფართო ასპარეზი გადაუშალა სამეშაო ძალის მასობრივად გადაქცევას საქონლად, რითაც დააჩქარა ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. „კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ"[1]. ამიერკავკასიის სოფელში კლასობრივი დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას მოწმობდა აგრეთვე მონაცემები გლეხთა გარესამეშაოზე წასვლის შესახებ.

გაღატაკებული გლეხები ემატებოდნენ ქალაქის პროლეტარიატის რიგებს. XIX საუკუნის 80—90-იან წლებში გლეხები მასობრივად მიდიოდნენ სოფლებიდან საშოვარზე ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ალაგერდში და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ქალაქებში.

ამიერკავკასიის სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება, ბუნებრივია, დაკავშირებული იყო აგრეთვე ამ მხარის მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებასთან, საადაც ხდებოდა სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოების აღმოჩენა, შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, ფართოვდებოდა გზები და მიმოსვლის საშუალებანი. მომპოვებელი მრეწველობის დარგებიდან სხვებზე ადრე და სწრაფად იწყო განვითარება ნავთობის მრეწველობამ, რომელიც უმთავრესად ბაქოს რაიონში იყო თავმოყრილი; სპილენძის მრეწველობამ — ქედაბეკ — კალაქენდისა და ზანგეზურ — ალაგერდი — კაფანის რაიონებში; მარგანეცის მრეწველობამ — ჭიათურაში და ქვანახშირისამ— ტყიბულში.

ბაქოს ნავთობის მრეწველობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1872 წელს ნავთობის საქმეში გაუქმებულ იქნა შესყიდვის სისტემა. საბადოთა განსაკუთრებული სიმდიდრე, მუშახელის ხიიაფე და თანდათანობითი ტექნიკური გაუმ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 704.

ჯობესებანი ხელს უწყობდა ბაქოში ნავთობის მოპოვების სწრაფად ზრდას, რამაც 1870 წლის 1,4 მლნ. ფუთის ნაცვლად 1898 წელს 489 მლნ. ფუთი შეადგინა. ბაქოს ნავთობის მრეწველობა არა მარტო დაეწია ნავთობის ამოღების დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მნიშვნელოვნადაც გადააჭარბა მას და მსოფლიო მოპოვების ნახევარზე მეტი შეადგინა. 900-იანი წლების დასაწყისისათვის ნავთობის ამოღება ბაქოში შეადგენდა მთელ რუსეთში მისი მოპოვების 95 პროცენტს.

XIX საუკუნის შუა ხანებში ქედაბეკში დაიწყო სპილენძის მადნის საბადოს სამრეწველო დამუშავება და სპილენძის გამოდნობა. 60-იან წლებში ძმების სიმენსების გერმანულმა ფირმამ აქ ააშენა სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც უდიდესი იყო მთელ რუსეთში და იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი. 60—80-იან წლებში ამ ქარხნის წილად მოდიოდა კავკასიაში გამოდნობილი სპილენძის საერთო რაოდენობის საშუალოდ 2/3. მსხვილი სპილენძსადნობი ქარხნები აშენდა აგრეთვე ალავერდსა და კალაქენდში.

ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო დამუშავება დაიწყო 1879 წლიდან, ხოლო 1900 წელს მარგანეცის მადნის ამოღებამ მიაღწია სარეკორდო ციფრს — 40 მლნ. ფუთს ნაცვლად 3,6 მლნ. ფუთისა 1885 წელს. 90-იანი წლების დამლევს ჭიათურის მარგანეცის წილი ამ მადნის მსოფლიო ექსპორტში ნახევარზე მეტს შეადგენდა, რამდენადმე უფრო ნელა ვითარდებოდა ქვანახშირის მრეწველობა, მაგრამ ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება 1888-დან 1900 წლამდე პერიოდში მაინც ავიდა 389 ათასი ფუთიდან 3.857 ათას ფუთამდე წელიწადში, ე. ი. თითქმის 10-ჯერ გადიდდა.

მთელი რუსეთის კაპიტალისტური განვითარების საერთო კალაპოტში ამიერკავკასიის ჩაბმასთან ერთად ამ მხარის სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებში ადგილობრივი მეწარმეების გვერდით ადგილს იკავებდნენ რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლები.

მეფის რუსეთი, რომელიც წყალობის თვალით უყურებდა უცხოეთის კაპიტალს, განსაკუთრებული ხალისით აძლევდა მას გასაძარცვავად განაპირა მხარეებს, მათ შორის ამიერკავკასიასაც. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბაქოს ნავთობის რაიონში ხდებოდა შვეიცა-გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალების გაძლიერებული შეღწევა. მსხვილი მაგნატები ძმები ნობელები, როტშილდი და სხვ. რუსეთის ბაქოს ნავთის პატრონები გახდნენ[1]. 1900

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 22, გვ. 311.

წელს ნავთობის ისეთი წამყვანი კომპანიების წილად, როგორიც იყვნენ ძმ. ნობელების ამხანაგობა და როტშილდის ფირმა, მოდიოდა ნავთობის მთელი მოპოვების 21 პროცენტი და ბაქოდან მისი გატანის 40 პროცენტი.

აზერბაიჯანის სპილენძის მადნის მრეწველობას განაგებდნენ მსხვილი გერმანელი კაპიტალისტები, სომხეთისას — ფრანგი მეწარმეები, საქართველოსას—შვეიცარიელი და ინგლისელი კონცესიონერები. გერმანიის კაპიტალის ხვედრითი წონა მნიშვნელოვანი იყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაშიც.

კაპიტალისტები, განსაკუთრებით უცხოელები, მტაცებლურად უწევდნენ ექსპლოატაციას ნავთობის, მადნეულის საბადოებს და მხარის სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ამიერკავკასიის დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგი იყო მძლავრი ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, მნიშვნელოვნად განვითარდა აგრეთვე ლითონდამმუშავებელი (მექანიკური) წარმოება, საკმაოდ დიდი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი დამუშავების მთელი რიგი დარგების ხვედრითი წონაც. 90-იანი წლების დამლევს დამუშავებითი მრეწველობის საწარმოთა რიცხვმა 5.300-ს მიაღწია, რომლებშიც 62.874 მუშა მუშაობდა. მათ შორის 514 მსხვილი საწარმო იყო 30.261 მუშით. სამთამადნო მრეწველობის ჩათვლით, დამუშავებითი მრეწველობის მსხვილ და წვრილ საწარმოთა საერთო რაოდენობა აღწევდა 5.698-ს და იქ იყო 86.446 მუშა. 1899 წელს ბაქოში ითვლებოდა 100 ნავთობსახდელი ქარხანა და 20-ზე მეტი მექანიკური ქარხანა და მსხვილი სახელოსნო.

დამუშავებითს მრეწველობაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა აბრეშუმსახვევ, აბრეშუმსაქსოვ და ბამბის საწმენდ ფაბრიკებს, ღვინისა და არყის ქარხნებს, ხაშენი მასალების, კვების პროდუქტების საწარმოებს და სხვ. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო ამიერკავკასიაში ღვინის მთელი წარმოების სამ მეოთხედზე მეტს იძლეოდა. ქართული სამარკო ღვინოები დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთ. მეღვინეობის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა მასთან დაკავშირებული კონიაკ-არყის, კონიაკ-ლიქიორის, საკასრე და სადურგლო წარმოებები. მეღვინეობა და ღვინო-არყის წარმოება სწრაფად ვითარდებოდა სომხეთში. 90-იან წლებში ერევანში მწყობრში ჩადგა აფრიკოვის, გეზალოვის, სარაჯევის, თაიროვის და სხვა მრეწველთა ღვინისა და კონიაკის ქარხნები. XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში ღვინის წარმოება სომხეთში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. 1870 წელს

აზერბაიჯანის წილად მოდიოდა ამიერკავკასიაში წარმოებული ღვინის მხოლოდ 4,8 პროცენტი, ხოლო 1897 წელს მან უკვე 25,3 პროცენტი შეადგინა. კავკასიაში აბრეშუმსახვევი მრეწველობის მსხვილ ცენტრად გადაიქცა ქალაქი ნუხა (ელიზავეტპოლის გუბერნია).

რამდენადაც ამიერკავკასიის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების (ნავთობის, სამთამადნო და სხვ.) განვითარება უპირატესად წარმოებდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ფორმით, აქ შეიქმნა პირობები მრეწველობის და მასთან დაკავშირებული პროლეტარიატის კონცენტრაციისათვის. ამ პროცესმა ყველაზე მეტ განვითარებას მიაღწია აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში, სადაც მსხვილი ფირმები, რომლებიც მათი საერთო რაოდენობის 1/4-ს შეადგენდნენ, 1901 წელს მთელი ამოღებული ნავთობის 87,3 პროცენტს იძლეოდნენ. XIX საუკუნის დამლევს საფაბრიკო-საქარხნო ტიპის საწარმოები სომხეთში საწარმოთა საერთო რიცხვის მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენდნენ, თუმცა მთელი სამრეწველო პროდუქციის 65-მდე პროცენტს იძლეოდნენ. მაგრამ მხარის მრეწველობის ბევრ დარგში ეს პროცესი ნელა და არათანაბრად მიმდინარეობდა.

უკვე XIX საუკუნის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში აღმოცენდა ესხვილი სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრები. ნავთობის წარმოების და ნავთობის ტექნიკის განვითარების, აგრეთვე მენავთობეთა კადრების მომზადების ერთ-ერთ მსოფლიოში ცნობილ სამრეწველო ცენტრად გადაიქცა ბაქო.

ამიერკავკასიის კაპიტალისტური საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრები გახდნენ თბილისი და ბათუმი. თბილისის სამრეწველო საწარმოებიდან ყველაზე დიდ საწარმოებად ითვლებოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპო (900-იანი წლების დასაწყისში იქ 3,5 ათასი კაცი მუშაობდა), ადელხანოვის ტყავეულის ქარხანა და ფეხსაცმლის ფაბრიკა. მთელი რიგი დიდი სამრეწველო საწარმოები აღმოცენდა ბათუმში. მათ ეკუთვნოდა როტშილდის, ნობელის, მანთაშევის და სხვ. ქარხნები, რომლებიც ამზადებდნენ ტარას ნავთობპროდუქტების ექსპორტისათვის. ამასთანავე ბათუმი ერთ-ერთი დიდი ნავსადგური იყო შავ ზღვაზე.

ბაქოში, თბილისში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ნუხაში, ელიზავეტპოლში (განჯა), ბათუმში, შუშაში, შემახეში და ამიერკავკასიის სხვა ქალქებში დიდი რაოდენობით იყო გახსნილი სახელოსნოები და სხვადასხვა ტიპის კუსტარული სარეწები.

ამრიგად, XIX საუკუნის 70—90-იანი წლებით დამთავრდა მთელი ხანა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისა

ამიერკავკასიაში, სადაც მემამულეთა და ჩაგრულ გლეხთა ძველ, ერთმანეთისადმი მტრულ კლასებთან ერთად კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ყალიბდება ახალი კლასები — ბურჟუაზია და სამრეწველო პროლეტარიატი.

ყოველივე ამასთან ერთად არა მარტო XIX საუკუნის დამლევისათვის, არამედ გაცილებით უფრო გვიანაც, თვით დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, მთლიანად ამიერკავკასია რჩებოდა ნეფის რუსეთის ჩამორჩენილ განაპირა მხარედ. მხარის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იყო დასაქმებული. ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების დონეს რომ ახასიათებდა, ვ. ი. ლენინი კავკასიის რესპუბლიკებს მიაკუთვნებდა კიდევ უფრო გლეხურ ქვეყნებს, ვიდრე რუსეთი იყო[1].

ამიერკავკასიის ბურჟუაზია, რომელიც ის იყო ყალიბდებოდა, ძირითადად შედგებოდა მსხვილი ნავთობმრეწველებისა და მაღაროთმრეწველების, გემთმფლობელების, მომპოვებელი და დამუშავებითი მრეწველობის შედარებით მომცრო საწარმოთა მფლობელებისაგან, ვაჭრების, მსხვილი სახლთმფლობელების, სხვადასხვა სავაჭრო წამოწყებათა და სახელოსნოთა პატრონებისაგან, კულაკობისაგან და სხვ. ამიერკავკასიის კოლონიური ეკონომიკის განვითარების სპეციფიკური პირობების გამო ბურჟუაზიამ თავიდანვე ჩამოყალიბება იწყო როგორც მრავალეროვანმა. ადგილობრივი ბურჟუაზიის სხვადასხვა ეროვნულ ფენებს შორის ყველაზე მტკიცე მდგომარეობა ეჭირა ეკონომიურად ძლიერ სომეხ ბურჟუაზიას.

მუშათა კლასის წარმოშობა ამიერკავკასიაში მთლიანად ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის ჩამოყალიბების საერთო კანონზომიერებათა შესაბამისად, მაგრამ ჰქონდა საკუთარი თავისებურებანიც, რომლებიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ამიერკავკასიაში ხელით შრომიდან მანქანურ შრომაზე და მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა ხდებოდა მხოლოდ რეფორმისშემდგომ ეპოქაში, მაშინ როცა რუსეთის ცენტრალურ ოლქებში იგი დაიწყო ბატონყმობის ეპოქაში. ამის გამო რუსეთში მუშათა კადრების ჩამოყალიბების თვით პროცესიც მიმდინარეობდა ბატონყმური წყობილების წიაღში, ამიერკავკასიაში კი იგი დაიწყო მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური დამოკიდებულების გაუქმების შემდეგ. ამან განაპირობა გარეშე მუშახელის, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშების მოყვანის მოთხოვნილება, რაც იმის წინაპი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 398.

რობა გახდა, რომ მრავალეროვანი ხასიათი ჰქონდა მუშათა კლასს, რომელიც მხარეში ყალიბდებოდა.

მხარის მზარდი მრეწველობისათვის მუშახელის ძირითადი წყაროები იყო არა მარტო ამიერკავკასიის გაღატაკებული გლეხები და გაკოტრებული ადგილობრივი ხელოსნები და შინამრეწველები, არამედ აგრეთვე ევროპული რუსეთის მთელი რიგი გუბერნიებიდან, აგრეთვე სამხრეთი (ირანის) აზერბაიჯანიდან გარესამუშაოზე წასული გლეხებიც, რომლებიც მასობრივად იყრიდნენ თავს საშოვარის საძებნელად ამიერკავკასიის სამრეწველო საწარმოებში. ამიერკავკასიაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პროლეტარიატის უფრო ორგანიზებულ ფენას შეადგენდნენ რუსეთის ცენტრალური სამრეწველო რაიონებიდან ჩამოსული კვალიფიციური რუსი მუშები.

ამიერკავკასიის მუშათა კლასის ჩამოყალიბების მთავარი ცენტრები იყვნენ ბაქოს ნავთობის სამრეწველო რაიონი, ქედაბეკის, ზანგეზურის, ალავერდის და ჭიათურის სამთამადნო რაიონები, თბილისისა და ბათუმის საფაბრიკო-საქარხნო კომპლექსები, აგრეთვე დამუშავებითი მრეწველობის საწარმოთა თავმოყრის მთელი რიგი სხვა რაიონები. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის საკვანძო სადგურები. სწორედ რკინიგზელი მუშები იყვნენ პირველი ელემენტები პროლეტარიატისა, რომელიც საქართველოში ყალიბდებოდა, ისინივე იყვნენ ერთ-ერთი წამყვანი და მოწინავე რაზმი მთელი ამიერკავკასიის მუშათა კლასისა, რომელიც უკვე XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა. XIX საუკუნის დამლევისათვის რკინიგზელთა რიცხვი 6 ათასამდე კაცი იყო. საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მუშების რიცხვი კი 90-იანი წლების დამლევს, სამთო საწარმოთა მუშების, თბილისის რკინიგზელების და მთელ რიგ წვრილ საწარმოთა მუშების ჩათვლით, 37—38 ათას კაცს არ აღემატებოდა[1], თბილისში საფაბრიკო-საქარხნო მუშების რიცხვი შეადგენდა დაახლოებით 27—28 ათას კაცს. ბათუმის ქარხნებში, რომლებიც ძირითადად ნავთობის მრეწველობას უწევდნენ მომსახურეობას, მუშაობდა 5—6 ათასი მუშა, ჭიათურის მაღაროებში — 3,5—4 ათასი, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში — 700-მდე მუშა.

სომხეთის მუშათა კლასის პირველი რაზმი ჩამოყალიბდა სპილენძის მადნის მრეწველობაში. უკვე 1890 წელს მუშათა რიცხვმა ამ დარგში 1.093 კაცს მიაღწია, ხოლო 1902 წლისათვის — 1.760-ს.

---

[1] Численность и состав рабочих в России на основании данных первой всеобщей переписи населения Российской империи 1897 г., т. I [С.-Петербург], 1906, стр. 110—116.

სომხეთის სამრეწველო საწარმოებში 1900 წელს მუშაობდა დაახლოებით 8 ათასი მუშა. ისტორიულად შექმნილი პირობების გამო სომეხი მუშები მთელ ამიერკავკასიაში იყვნენ გასულ-გამოსული და ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების საწარმოებში მუშაობდნენ.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის ყველაზე მრავალრიცხოვანი და წამყვანი რაზმი ჩამოყალიბდა ბაქოში, სადაც წარმოების ყველა დარგში, მეცხრამეტე საუკუნის დამლევისათვის ითვლებოდა 60—65 ათასი მუშა[1]. ბაქოს პროლეტარიატის ბირთვს შეადგენდნენ ნავთობის ამოღებაზე, ნავთობის გადამუშავებაზე და სანარდო ბურღვაზე დასაქმებული მუშები.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ამიერკავკასიის მუშათა კლასი წარმოადგენდა საკმაოდ დიდ ძალას და თავის რიგებში აერთიანებდა წარმოების სხვადასხვა დარგის (შავ მუშათა და დღიურად მომუშაველთა ჩათვლით) 110—120 ათას მუშას[2].

90-იანი წლებიდან დაწყებული, მრეწველობაში წარმოების კონცენტრაციასთან და თავისი განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში კაპიტალიზმის შესვლასთან დაკავშირებით, ხდებოდა მუშათა კლასის კონცენტრაცია, რაც ობიექტურად ქმნიდა პირობებს მისი შეკავშირებისათვის.

ამიერკავკასიის პროლეტარიატი თავის ჩამოყალიბების დაწყებიდანვე მრავალეროვანი შემადგენლობით განირჩეოდა. სხვადასხვა ეროვნების მუშების — აზერბაიჯანელების, სომხების, ქართველების, რუსების და სხვ. — ერთობლივი შრომა, მათი საერთო ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ამ მხარის პროლეტართა ინტერნაციონალური სოლიდარობის საფუძველთა ჩაყრას.

სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება, კერძოდ სოციალურ არენაზე ეროვნული პროლეტარული კადრების გამოჩენა, მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში. მხარის პროლეტარიატი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა როგორც მთელი რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. პროლეტარიატის — კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასის — ჩამოყალიბებას იმ პირობებში, როცა ხდებოდა კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული

---

[1] Численность и состав рабочих в России на основании данных первой всеобщей переписи населения Российской империи 1897 г. т. II [С.-Петербург], 1906, стр. 4—93.

[2] იქვე, გვ. 80—139.

კონსოლიდაცია აზერბაიჯანელებისა, სომხებისა და ქართველებისა ბურჟუაზიულ ერებად, განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხალხების ისტორიული განვითარების შემდგომი პერსპექტივებისათვის, მთელი მათი ისტორიული მომავლისათვის.

კაპიტალიზმის განვითარება რეფორმისშემდგომ ეპოქაში ხელს უწყობდა აზერბაიჯანსა, საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებას. რკინიგზების სისტემამ შეაერთა წარსულში განცალკევებული რაიონები მხარისა; ნავთობის ამოღების ზრდამ ბაქოში, ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის საზღვარგარეთ გატანის აუცილებლობამ მტკიცე ეკონომიური კავშირი შექმნა ბაქოსა და ბათუმს შორის. ბაქოსა და თბილისის სხვადასხვა მექანიკური და ლითონდამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც მხარის თითქმის მთელ სახალხო მეურნეობას უწევდნენ მომსახურებას, ამავე დროს წარმოადგენდნენ ბაზას ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური კავშირისა და სამეურნეო-ტექნიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ამიერკავკასიის ყველა კუთხეს მოიცავდა, გარკვეული ერთობა შეჰქონდა მხარის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უღარიბესი გლეხობა ბაქოსა და ბათუმის, თბილისისა და ალავერდის, ქედაბეკის, ჭიათურის და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების საწარმოთათვის მუშახელის ძირითადი მიმწოდებელი იყო.

ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბების აღნიშნულმა თავისებურებებმა შემდეგში მცირე როლი როდი შეასრულეს მხარის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში და თავიანთი, სულისკვეთებით ინტერნაციონალური პარტიული ორგანიზაციების შექმნაში.

ბევრი რამ იყო საერთო ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონების პროლეტართა მდგომარეობაშიც. ისინი განიცდიდნენ არაადამიანურ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, მეფის ხელისუფალთა მხრივ სასტიკ ჩაგვრას. პროლეტართა მძიმე შრომის ნაყოფის მომეტებული წილი მეწარმეებს ხვდებოდათ. როგორც ცნობილია, ბურჟუაზია მუშათა ჩამორჩენილობით სარგებლობს მათი ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. კაპიტალისტები ფართოდ იყენებდნენ მუშების ექსპლოატაციის ნახევრადფეოდალურ მეთოდებსაც. ამ მხარის პროლეტარიატის ხვედრი იყო მეტად მომქანცველი შრომა, შიმშილი, სიღატაკე, სრული უუფლებობა.

სამუშაო დღე ბევრად უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე ჩვენი

ქვეყნის უფრო მოწინავე სამრეწველო ოლქებში. ნავთობის სარეწებზე, სპილენძისა და მარგანეცის მაღაროებში ფართოდ იყენებდნენ ორცვლიან მუშაობას, ამასთან თითოეული ცვლა სულ მცირე 12 საათს მუშაობდა. მხარის ბევრ საწარმოში სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14 საათამდე აღწევდა.

მეტისმეტად მძიმე იყო მუშათა შრომის პირობებიც. დიდი პროლეტარული მწერალი მ. გორკი, რომელმაც ორჯერ ინახულა ბაქო XIX საუკუნის დამლევს, წერდა: „ნავთობის სარეწები ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც შავბნელი ჯოჯოხეთის გენიალურად შესრულებული სურათი... შთაბეჭდილება შემაძრწუნებელი იყო"[1]. აზერბაიჯანისა და სომხეთის სპილენძის მაღაროებში მუშები მადანს რომ იღებდნენ, მუხლამდე წყალში იდგნენ ან მიწაზე ტალახში იწვნენ. არ იყო უშიშროების არავითარი ტექნიკა და მუშის შრომის დაცვა. კაფანის სპილენძის საბადოების მუშებს ღრმა შახტების ფსკერიდან სპილენძის მადანი ზევით თავიანთი ზურგით ამოჰქონდათ.

იმ კომისიის მასალები, რომელმაც გამოიკვლია თბილისის საწარმოთა მუშების საყოფაცხოვრებო პირობები ქოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით 1892 წელს, გვიხატავენ მუშათა ცხოვრებისა და შრომის შემზარავ სურათს. „მთელი წარმოება ამ ქარხნებში უაღრესად ველური წესით ხდება; მუშათა ხვედრი კი ენით აუწერელია: მათი მდგომარეობა ნამდვილად ჯოჯოხეთურია"[2].

შრომისა და ყოფაცხოვრების აუტანელი პირობების შედეგად ათასობით მუშა ავადდებოდა ყოველგვარი პროფესიული, ეპიდემიური და სხვა ავადმყოფობით. შიმშილი და ეპიდემიები, რომლებსაც სიღატაკე, შეჯგუფებულად ცხოვრება და ანტისანიტარია იწვევდა, პირდაპირ მუსრს ავლებდა მხარის მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშებს. მუშები თავიანთ მძიმე და მომქანცველ შრომაში იღებდნენ მეტად მცირე საზღაურს, რომელიც თვით მუშის საარსებო მინიმუმს ძლივს შეადგენდა.

ჭიათურის მარგანეცის და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოთა ანაზღაურება ნარდად ხდებოდა. მუშათა შრომა ფასდებოდა გამოღებული ქანის კუბატურის მიხედვით ქანის სიმაგრის გათვალისწინებლად. მაღაროელებს გათენებიდან გვიან ღამემდე უხდებოდათ მუშაობა, სარჩო რომ ეშოვნათ. დაბალი ხელფასი ჰქონდათ ამიერკავკასიის რკინიგზის დეპოს და სახელოსნოების მუშებს, განსაკუთრებით დაბალი იყო მტვირთავი მუშების შრომის საზღაური.

---

[1] М. Горький. Собрание сочинений, т. 17, М., 1952, стр. 113.

[2] Доклады по делам, назначенным к слушанию Тифлисской городской думы, т. 10, Тифлис, 1893, стр. 63—64.

უკეთესი არ იყო საქმის ვითარება სამთამადნო საწარმოთა მუშების ხელფასის მხრივაც. მადნის აძოღებაზე გაწეულ მომქანცველ შრომაში, როცა ტექნიკა დაბალი იყო, ისინი დღეში 60 კაპიკამდე იღებდნენ, ხოლო ქარხნის მუშები უფრო ნაკლებსაც. XX საუკუნის დასაწყისის მონაცემების მიხედვით, მოზარდებისათვის მაქსიმალური საზღაური დაწესებული იყო დღეში 40 კაპიკი, ხოლო მცირეწლოვანთათვის — 25 კაპიკი. დღიური ხელფასი ქედაბეკის სპილენძსადნობ ქარხანაში 20-დან 60 კაპიკამდე შეადგენდა.

მუშათა შრომის ანაზღაურება ამიერკავკასიაში საერთოდ ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში. მაგალითად, არაკვალიფიციური მუშა ბაქოს სარეწებზე მუშაობის უფრო მძიმე პირობებში დღეში იღებდა 50-დან 56 კაპიკამდე, ხოლო მოსკოვის სამრეწველო რაიონში — 60 კაპიკს.

ამ მათხოვრულ ხელფასს მუშებს წესიერად არ აძლევდნენ. სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის მუშებს აჯარიმებდნენ, რაც მათ მძიმე ტვირთად აწვებოდა.

ადამიანს თვალში ეცემოდა მკვეთრი სოციალური კონტრასტები. ქალაქების ცენტრალურ რაიონებში, რომლებსაც ლამაზი ქუჩები და ბულვარები ამშვენებდა, წამოჭიმული იყო მდიდრების საუცხოო სახლები, ხოლო განაპირა უბნები მათი ჯურღმულებითა და მუშების ნახევრადდანგრეული ქოხებით სავალალო სანახაობას წარმოადგენდა.

სიღატაკის, შიმშილისა და სიცივის თავშესაფარი იყო თბილისის მუშათა საცხოვრებლები, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა ნესტიან და ბნელ სარდაფებს, დარაბებსა და უბადრუკ ქოხმახებს ქალაქის დაშორებულ რაიონებში — ნაძალადევში, ნავთლუღში და სხვ. თბილისის ცხენის ტრამვაის მუშათა უმრავლესობა საცხოვრებელი ადგილის უქონლობის გამო ღამეს ათევდა ცხენებთან ერთად საჯინიბოებში თივაზე. უკეთესი არ იყო ბათუმის მუშათა საცხოვრებლებიც[1].

„სიკვდილის კერებს"[2] უწოდებდა ბაქოს მუშათა საცხოვრებლებს XIX საუკუნის ცნობილი აზერბაიჯანელი სწავლული-დემოკრატი ჰ. ბ. ზარდაბი[3]. 1895 წელს ბაქოს სარეწებისა და ქარხნების მუშათა 72,3 პროცენტი საცხოვრებლად იყენებდა ქვიტკირის ან ხის

---

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი თბილისში (შემდეგში — საქართველოს სსრ ცსა), ფ. 265, ს. 81, ფურც. 4.

2 Газ. «Черноморский вестник» № 119, 29 мая 1902 г.

3 ჰასან-ბეგ მელიქ-ზადე (ზარდაბი). ჰიგიენა, ბაქო, 1912 (აზერბაიჯანულ ენაზე), გვ. 5—6.

გრძელ ფარდულებს, რომლებიც სრულიად გამოუსადეგარი იყო ადამიანის ბინად.

ექსპლოატაციის მკაცრი მეთოდები, სრული პოლიტიკური უუფლებობა, შეხამებული თვითმპყრობელობის მიერ მძიმე პოლიციურ და ეროვნულ-კოლონიურ ჩაგვრასთან, ამიერკავკასიის მუშებს ცხოვრებისა და შრომის აუტანელ პირობებს უქმნიდნენ. აკრძალული იყო სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე, უმკაცრესი ცენზურა ახშობდა პრესასა და ლიტერატურას, სასტიკ დევნას განიცდიდნენ მხარის პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მეფის ადმინისტრაციულ აპარატში მოქმედებდნენ პირწავარდნილი რეაქციული მოხელეები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი რუსიფიკაციის პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ყოველივე ეს ობიექტურ პირობებს ქმნიდა ხალხის საყოველთაო უკმაყოფილებისათვის, ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მშრომელების მასობრივი რევოლუციური გამოსვლებისათვის.

2. მუშათა მოძრაობის დასაწყისი, მარქსიზმის გავრცელება და პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმოშობა ამიერკავკასიაში

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ამიერკავკასიაში სულ უფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობა, ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდნენ ყველაზე მოწინავე ადამიანები, რომლებიც ახლოს იდგნენ ხალხთან, მის ფიქრებთან და მისწრაფებებთან და განუხრელად ესწრაფვოდნენ მშობლიური ხალხის ცხოვრების დემოკრატიულ გარდაქმნას. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საუკეთესო შვილები, რომლებმაც გაიარეს რუსული მოწინავე კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის სკოლა, რევოლუციური დემოკრატიისა და ჰუმანიზმის სკოლა, სათავეში ჩაუდგნენ თავიანთი ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას. მთელ თავიანთ მოღვაწეობაში ისინი იცავდნენ რუს ხალხთან შემდგომი დაახლოებისა და მეგობრობის იდეას, მხარს უჭერდნენ და მგზნებარე პროპაგანდას უწევდნენ რუსეთის საუკეთესო შვილების რევოლუციურ-დემოკრატიულ მისწრაფებებს.

ამიერკავკასიის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის

თვალსაჩინო წარმომადგენლები მ. ფ. ახუნდოვი, მ. ლ. ნალბანდიანი, ა. რ. წერეთელი, ი. გ. ჭავჭავაძე და სხვები აშკარად და შეუპოვრად ამხილებდნენ მეფის თვითმპყრობელობის ანტიხალხურ პოლიტიკას, ფართოდ აჩაღებდნენ ბრძოლას ხალხის მასების სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

XIX საუკუნის შუა ხანების რუსეთის თავისებურ ისტორიულ ვითარებაში, როცა რუსი რევოლუციური დემოკრატები გაბედულად და თავდადებით გამოდიოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, განაპირა მხარეების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თანდათანობით უერთდებოდა რუსეთის მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობას.

რუსი რევოლუციური დემოკრატების იდეებს ცოტად თუ ბევრად რომ აითვისებდნენ, ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგები იბრძოდნენ ამ იდეების დანერგვისათვის მშრომელი მასების შეგნებაში, ამასთან ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობათა თავისებურებას. ისინი გამოდიოდნენ როგორც მგზნებარე დამცველები ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობისა, რუსებთან და რუსეთის სხვა ხალხებთან მათი ერთიანობისა საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

ამიერკავკასიის რევოლუციური დემოკრატების ბრძოლამ, უეჭველია, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის ნიადაგის შექმნაში. მან დასაბამი მისცა ახალ მიმართულებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, გააფართოვა დემოკრატიულ-საგანმანათლებლო იდეების, აგრეთვე ათეისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდა. თავიანთი მხატვრული მეთოდის, რეალიზმისა და ხალხურობის მეოხებით მათ ხელოვნება და ლიტერატურა მიჰყავდათ ხალხის ინტერესებისათვის სამსახურის გზაზე, ხოლო ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებისა და პრესის შექმნით მასებში შეჰქონდათ განათლება და კულტურა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა განვითარების ამ ისტორიულ სტადიაში მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის ვერ ამაღლდებოდა ნამდვილ რევოლუციურ დონემდე და იშვიათად სცილდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ ოპოზიციური გამოსვლის ფარგლებს.

ამიერკავკასიაში საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებაში ახალი ეტაპი დაკავშირებული იყო დიდმნიშვნელოვან ცვლილებე-

ბთან მის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც რეფორმისშემდგომ ეპოქაში მოხდა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ამიერკავკასიიდან პეტერბურგს, მოსკოვსა და რუსეთის სხვა კულტურულ ცენტრებს მიაშურა ახალგაზრდობამ. ისინი ძირითადად ფეოდალურ-მემამულური წრეებიდან იყვნენ გამოსული. რუსეთის უდიდეს უმაღლეს სასწავლებლებში რომ სწავლობდნენ, ისინი განიცდიდნენ მოწინავე რუსი ინტელიგენციის კეთილმყოფელ გავლენას, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას გამოდიოდნენ ახალი იდეების დამცველებად და ამით ხელს უწყობდნენ თავიანთი ხალხის საზოგადოებრივი და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას.

70-იან წლებში კავკასიელები აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში და მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა ქალაქების საიდუმლო ნაროდნიკული წრეების მუშაობაში. როგორც ცნობილია, ნაროდნიკობა 70-იანი წლების რუსეთში ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი მოძრაობა იყო. ნაროდნიკები გლეხური დემოკრატიის იდეოლოგები იყვნენ, მათ სწამდათ რუსეთის ცხოვრების განსაკუთრებული წყობა და რუსეთის განვითარების განსაკუთრებული გზა, რადგან მიაჩნდათ, რომ გლეხური თემი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საწყისი პუნქტი და საფუძველი იქნებოდა. აიდეალებდნენ რა გლეხს, რევოლუციურ ნაროდნიკებს არ ესმოდათ პროლეტარიატის ისტორიული როლი.

1879 წელს ნაროდნიკული ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლია“ (რომელიც 1876 წელს წარმოიშვა) გაიყო: უმცირესობად — „ჩორნი პერედელად“ და უმრავლესობად — „ნაროდნაია ვოლიად“. პირველი პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის უარყოფის ძველ პოზიციებზე დარჩა, მეორემ—წინ წადგა ნაბიჯი, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე გადავიდა. მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა ნაროდოვოლცებს ესმოდათ არა როგორც მასების ბრძოლა, არამედ როგორც შეთქმულება იმ მიზნით, რომ დაემხოთ მეფის თვითმპყრობელობა და რევოლუციონერთა მცირე ორგანიზაციას ჩაეგდო ხელში ძალაუფლება.

თუმცა 70-იანი წლების ნაროდნიკობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, მაგრამ ნაროდნიკების მიერ არჩეული ბრძოლის გზა და, განსაკუთრებით, ინდივიდუალური ტერორის მიჩნევა ცარიზმის დამხობის ძირითად საშუალებად უაღრესად მცდარი იყო.

რევოლუციური ნაროდნიკების სხვადასხვა ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კავკასიელი ახალგაზრდობის წარ-

მომადგენლებიც. დ. ვ. კარაკოზოვის საქმის გამო, რომელმაც 1866 წლის აპრილში სცადა ალექსანდრე II-ის სიცოცხლის ხელყოფა, გამოძიება მთელ რიგ კავკასიელებსაც შეეხო. კავკასიელი სტუდენტები იყვნენ წევრები ვიწრო-შეთქმულებითი ტიპის იატაკქვეშა ორგანიზაციის — „ნაროდნაია რასპრავასი", რომელიც პეტერბურგში 1869 წელს შექმნა ს. გ. ნეჩაევმა. 1873—1875 წლებში პეტერბურგში არსებობდა კავკასიელთა საიდუმლო ნაროდნიკული წრე, რომელიც მიზნად ისახავდა რევოლუციური იდეების გავრცელებას ხალხში. წრეს სათავეში ედგნენ შემდეგში ცნობილი ნაროდნიკები ე. ო. იოსელიანი და ო. ვ. კანანოვა. ამ წრეს კავშირი ჰქონდა თვალსაჩინო ნაროდნიკ ა. ვ. დოლგუშინთან.

კავკასიელმა ი. ს. ჯაბადარმა, ს. მ. ყარდაშიანმა, გ. ფ. ზდანოვიჩმა, მ. ნ. ჩიკოიძემ და სხვ. უახლოესი მონაწილეობა მიიღეს „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციურ ორგანიზაციაში", რომელიც 1875 წელს მოსკოვში ს. ი. ბარდინამ დააარსა. ამ ორგანიზაციის მონაწილეები 1878 წელს მსჯავრდადებულ იქნენ ცნობილი „50-ის პროცესის" გამო[1]. ნაროდნიკულ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე კ. ა. მამიკონიანი, ი. ა. მანუჩარიანი, ი. ს. მეჰმანდაროვი, ე. ბ. თუმანოვი, ს. თ. ჭრელაშვილი, ა. ა. შახტახტინსკი და სხვ.

გადმოსახლებული რუსი რევოლუციონერებისა და კავკასიელი ახალგაზრდობის წარმომადგენლების — პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, ვარშავის, ოდესის, რიგის და სხვა ქალაქების ნაროდნიკული წრეების წევრების მეშვეობით ნაროდნიკობის იდეები თანდათანობით ამიერკავკასიაშიც აღწევდა. პირველი ნაროდნიკული ორგანიზაცია ამიერკავკასიაში შეიქმნა 1875 წელს თბილისში „კავკასიის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის" სახელწოდებით. მას თავისი განყოფილებები და ჯგუფები ჰქონდა გორში, ქუთაისში, თელავში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. მისი ორგანიზატორები იყვნენ კავკასიელთა პეტერბურგის წრის წევრები ე. ო. იოსელიანი, ი. გ. ქიქოძე, მ. ქ. ყიფიანი, რომლებიც მაშინ საქართველოში იმყოფებოდნენ პოლიციის ზედამხედველობით. ამიერკავკასიელი ნაროდნიკების ორგანიზაციაში ჩაბმულ იქნა რამდენიმე ათეული კაცი მასწავლებლებიდან, მოსამსახურეებიდან, მოსწავლეებიდან და სხვ. 70-იან წლებში ნაროდნიკული წრეები არსებობდნენ სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამიერკავკასიელი ნაროდნიკები ძირითადად რუსული რევოლუციური ნაროდნიკობის პოზიციებზე იდგ-

[1] Журн. «Былое» № 9, 1907 г.

ნენ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საკითხს. ნაროდნიკების ნაწილი, რომელსაც არასწორად ესმოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანები, სეპარატიზმის გავლენაში აღმოჩნდა.

ამიერკავკასიის ნაროდნიკების პრაქტიკულ საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოფლად მუშაობას გლეხთა აჯანყების მოსამზადებლად. რუსი ნაროდნიკებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის ნაროდნიკები ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკის ესოდენ თავგამოდებული მომხრეები არ ყოფილან.

1876 წელს ამიერკავკასიის ნაროდნიკთა ორგანიზაცია პოლიციამ დაარბია. მიუხედავად ამისა ნაროდნიკული პროპაგანდა ამიერკავკასიაში არ შეწყვეტილა.

80-იან წლებში, როცა მეფის რუსეთში შავრაზმული რეაქციის მძვინვარების ვითარებაში ნაროდნიკული მოძრაობა დაქსაქსულობისა და დაშლის ხანას განიცდიდა, ამიერკავკასიის ნაროდნიკული ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჩამოშორდა რევოლუციურ საქმიანობას ან სხვადასხვა ადგილობრივ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებს შეუერთდა, ხოლო მეორე ნაწილი ლიბერალური ნაროდნიკობის პოზიციებზე გადავიდა; ნაროდნიკებიდან გამოსულმა საუკეთესო რევოლუციონერებმა კი განიცადეს იდეური ევოლუცია ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ.

ეროვნული განაპირა მხარეების მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელიც რუსეთში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იწყებოდა. პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა გაფიცვებმა ძლიერი ბიძგი მისცეს ამიერკავკასიის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების გამოღვიძებას, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს მეფის მთავრობის მიერ კავკასიაში გადმოსახლებული რევოლუციონერებიც, აგრეთვე მოწინავე მუშები, რომლებიც აქ რუსეთის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებიდან ჩამოდიოდნენ.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, როგორც ცნობილია, შეიცავდა ცარიზმის მიერ ჩაგრული ხალხების მოძრაობასაც, ზრდიდა მათი წრიდან მოწინავე რევოლუციურ მებრძოლებს. ეროვნული განაპირა მხარეების პროლეტარიატის ბრძოლა უერთდებოდა საერთო რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთიან ნაკადს. თვითმპყრობელობის დამხობა მეფის რუსეთის ყველა ჩაგრულ ხალხთა საერთო საქმე იყო.

ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან

წლებში იწყება. მუშათა გამოსვლებს ამიერკავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის სხვა ნაწილებშიც, თავდაპირველად სტიქიური ხასიათი ჰქონდა. გაფიცვები იწყებოდა, როგორც წესი, მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების წინააღმდეგ პროტესტის ნიადაგზე. ეს გაუარესება გამოიხატებოდა ხელფასის შემცირებით, სხვადასხვა და სულ უფრო მზარდი გამოქვითვებით, ანგარიშში მოტყუებით და მუშათა ძარცვის სხვა ფორმებით. პირველი გამოსვლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თბილისის არსენალის (1869 წ.), თბილისის მირზოევის ბამბეულის ფაბრიკის (1872 წ. აპრილი), ქედაბეკის მაღაროს და სპილენძსადნობი ქარხნის (1872 წ. მაისი), ნუხის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების (1878 წ.) მუშათა გაფიცვები. საგრამ ყველა ეს გაფიცვა მუშათა დამარცხებით დამთავრდა. უფრო წარმატებითი იყო მეორე გამოსვლა იმავე მირზოევის ფაბრიკაში 1877 წელს. საბაბი გახდა მეფაბრიკის მიერ ცენტრალურ რუსეთში დაქირავებულ ფეიქრებთან დადებული ხელშეკრულების პირობათა უხეში დარღვევა. მეწარმემ ეს პირობები არახელსაყრელად მიიჩნია და ანგარიში გაუსწორა მათ, ამასთან უკან გასამგზავრებელი ფულის ანაზღაურებაზეც კი უარი უთხრა. მაგრამ მუშათა მთელი კოლექტივის ერთსულოვანმა გამოსვლამ აიძულა მეფაბრიკე მიეცა რუსი მუშებისათვის უკან წასასვლელი ფული[1].

წარმატებით დამთავრდა 1877 წელს ბაქოს საჭაპანო ტრანსპორტის მუშათა ბრძოლაც, რომლებსაც ნავთობი სარეწებიდან ნავთობსახდელ ქარხნებში და ნავთობსაცავებში გადაჰქონდათ[2]. ამავე დროს ხდებოდა მუშათა განცალკევებული გამოსვლები თბილისის საწარმოებში.

1878 წლის სექტემბერში გაიფიცნენ თბილისის ზეტცერის ავეჯის ფაბრიკის მოზარდი შეგირდები, რომლებმაც მოითხოვეს მატერიალური პირობების გაუმჯობესება, სადღესასწაულო დღეებში მუშაობის გაუქმება და სხვ. გაფიცვა სამ კვირას გაგრძელდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა[3].

80-იანი წლები აღინიშნა საგაფიცვო მოძრაობის შემდგომი გაძლიერებით; იზრდებოდა გაფიცვების რაოდენობა და მათი მონაწილეების რიცხვი. გაფიცვებს აწყობდნენ ბაქოს, თბილისის, ბათუმის ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა მუშები, რკინიგზების მშენებ-

---

[1] გაზ. „ივერია“ № 13, 1877 წ. 26 მაისი.

[2] К. А. Пажитнов. Очерки по истории бакинской нефтедобывающей промышленности, М.—Л., 1940, стр. 93—94.

[3] ვ. ჩოდრიშვილი. ჩემი თავგადასავალი. თბილისი, 1927, გვ. 82.

ლები და სხვ. 1881 წლის გაზაფხულზე გაფიცვებმა ერთდროულად იფეთქა ბაქოს ყველა თამბაქოს ფაბრიკაში. ეს გაფიცვები რამდენიმე კვირას გაგრძელდა. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და ჩხრეკის შეწყვეტას. ფაბრიკანტებმა შეძლეს ჩაეხშოთ გაფიცვა.

აღნიშნულ გაფიცვების გარდა, XIX-იან წლებში მოხდა ბაქოს მშრომელი მოსახლეობის მთელი რიგი გამოსვლები (1881—1883 წწ.). მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მასობრივი მღელვარება 1881 წლის აპრილში. იგი გამოიწვია ქალაქის მშრომელთა საერთო მძიმე მდგომარეობამ, ხელისუფალთა თვითნებობამ. მღელვარებაში, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. გამოსვლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ რუსეთის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო[1].

მაგრამ ყველა ეს გაფიცვა და მღელვარება კვლავ სტიქიურ და თავდაცვითს ხასიათს ატარებდა. ეს სტიქიური „ბუნტები", რომლებიც, როგორც წესი, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიადაგზე იწყებოდა, უფრო სასოწარკვეთილებისა და შურისძიების გამოვლინება იყო, ვიდრე შეგნებული ბრძოლა. ამასთანავე ისინი მუშათა კლასობრივი თვითშეგნების მომასწავებელი იყო.

ამიერკავკასიის საგაფიცვო მოძრაობაში 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან თვალსაჩინო ადგილი ეკავა რკინიგზელების, პირველ რიგში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების გამოსვლებს. 1886 წელს მოხდა მათი პირველი გამოსვლა. 1887 წლის თებერვლის დამლევს სახელოსნოებში კვლავ დაიწყო გაფიცვა, რომელმაც ყველა მუშა მოიცვა. მოძრაობის გაქანებით შეშინებული ადმინისტრაცია ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა, და გაფიცვა მალე შეწყდა. გაფიცვის დაწყების მიზეზებზე რომ ლაპარაკობდა, ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველი არცთუ უსაფუძვლოდ თვლიდა მას რუსი ხელოსნების გავლენის შედეგად[2].

გაფიცვების თავიდან ასაცილებლად სახელოსნოების ადმინისტრაციამ სამუშაოდან დაითხოვა და სამშობლოში გაგზავნა ზოგიერთი მუშა. მაგრამ რკინიგზელთა გაფიცვები არ წყდებოდა. უკვე 1887 წლის ივნისში სახელოსნოებში კვლავ იფეთქა გაფიცვამ, რომელიც

---

[1] Газ. «Неделя» № 19, 1881 г.; «Русский курьер» № 118—119, 1881 г.; Г. И. Успенский. Бакинское побоище 81 г. Полное собрание сочинений, т. VIII, М., 1949, стр. 274—291.

[2] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8. აღწ. 3. დაცვ. ერთ. 24. ფურც. 10.

წინა სტიქიური გაფიცვებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამჯერად მუშებმა წამოაყენეს არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მოთხოვნები, ისინი გამოვიდნენ ადმინისტრაციის თვითნებობის და სამუშაოდან თავიანთი ამხანაგების დათხოვნის წინააღმდეგ[1].

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშების ყველაზე დიდი გამოსვლა იყო 1889 წლის ოქტომბერში. ეს გაფიცვა გამოიწვია მუშათა შრომის პირობების გაუარესებამ მას შემდეგ, რაც რკინიგზა სახელმწიფოს გამგებლობაში გადავიდა. შემოღებულ იქნა სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის ახალი წესები. მუშებს წაერთვათ ზოგიერთი შეღავათი[2]. მხოლოდ რეპრესიების შემწეობით შეძლო გზის ადმინისტრაციამ ჩაეხშო გაფიცვა.

90-იანი წლები აღინიშნა ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის გაძლიერებით. გაფიცვებში მონაწილეობდნენ მუშათა კლასის სულ ახალი რაზმები. გაფიცვებს აწყობდნენ ბაქოს (1892, 1895 წწ.) და თბილისის (1894, 1896, 1897 წწ.) თამბაქოს ფაბრიკების მუშები, თბილისის ცხენის რკინიგზის (1892 წ.), ბათუმის როტშილდის (1890 წ.) და მანთაშევის (1892 წ.) ქარხნების, ბაქოს შავი ქალაქის ასფალტგუდრონის ქარხნის (1892 წ.), ორთქლის წისქვილის (1892 წ.) და ბაქოს მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშები. 1891 წლის დეკემბერში ბაქოში მოხდა მშრომელი მოსახლეობის, ძირითადად უმუშევრების, ახალი მასობრივი გამოსვლა. მღელვარებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე გლეხები იმათი რიცხვიდან, რომლებიც სამუშაოს საძებნელად ჩადიოდნენ ბაქოში ვოლგისპირეთის გუბერნიებიდან, სადაც შიმშილობა იყო გავრცელებული. გაბოროტებულმა მასამ, რომელშიც ხუთი ათასამდე კაცი იყო, ალყა შემოარტყა პოლიციის სამმართველოს და ქვებს უშენდა შენობასა და პოლიციელებს.

90-იანი წლების პირველი ნახევრის გაფიცვებიც ძირითადად სტიქიური იყო, საერთოდ არ სცილდებოდა მუშათა ცალკეული ჯგუფების ყოველდღიური ინტერესების ფარგლებს; მაგრამ ეს გაფიცვები, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, 70—80-იანი წლების გაფიცვებისაგან განსხვავდებოდა შეგნებულობის გაცილებით უფრო მეტი გამოვლინებით, გამოხატავდა კლასობრივი ბრძოლის ჩანასახს, მაგრამ სწორედ მხოლოდ ჩანასახს[3].

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფონდი 8, აღწ. 13, დაცვ.ერთ.24

[2] Рабочее движение в России в XIX в. Сборник документов и материалов, т. 3, 1885—1894 гг., часть первая, 1885—1889 гг., М., 1952, стр. 700—701.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 467.

ამიერკავკასიაში 90-იან წლების პირველი ნახევრის მუშათა მოძრაობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მარქსიზმის გავრცელებისათვის, წარმოადგენდა შემდგომ წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელმაც მოამზადა მუშათა მოძრაობის გადასვლა სტიქიური ბრძოლის ეტაპიდან შეგნებულ ბრძოლაზე.

მუშათა მოძრაობა გავლენას ახდენდა რევოლუციური აზრის განვითარებაზეც. რევოლუციური ინტელიგენციის წარმომადგენლები მუშათა მოძრაობისადმი გაძლიერებულ ინტერესს იჩენდნენ. რევოლუციური პროპაგანდა მუშათა წრეში თანდათან იღებდა ორგანიზებულ ფორმებს.

ამიერკავკასიაში პირველი მუშათა წრეების ჩასახვა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს განეკუთვნება. ერთ-ერთი პირველი წარმოიშვა თვითგანათლების წრე თბილისში ზეტცერის ფაბრიკაში. მისმა მონაწილეებმა შეადგინეს პატარა ბიბლიოთეკა, რომელშიც არალეგალური გამოცემებიც იყო[1]. თვითგანათლების წრეები ქალაქის სხვა საწარმოებშიც ეწყობოდა. თვითგანათლების პირველი წრეების აქტიური მონაწილენი იყვნენ ვ. ზ. ბოჭორიძე, ა. გ. ოქუაშვილი, ი. თ. სტურუა, მ. ი. ჩოდრიშვილი და სხვ., რომლებიც შემდეგში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების აქტიური ბოლვაწეები გახდნენ.

ამ წრეების წევრები აარსებენენ ურთიერთდამხმარე სალაროებს, 1889—1892 წლებში უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალებს „მუშას", „განთიადს", „სხივს" და სხვ.,[2] რომლებშიც მოთხრობილი იყო მუშების მძიმე მდგომარეობაზე, დაგმობილი იყო სოციალური უთანასწორობა. თვითგანათლების პირველი წრეების წევრები მიმართავდნენ ცდებს გაეერთიანებინათ ამ წრეების საქმიანობა. მაგალითად, სახელოსნოების მუშათა წრემ, რომელშიც შედიოდა მოწინავე მუშა მ. ი. ჩოდრიშვილი, კავშირი დაამყარა თბილისის სემინარიელთა წრესთან, სემინარიელებს სათავეში ედგა ხალხოსანი გ. ა. ჩიტაძე. სწორედ ამ ჯგუფმა მოაწყო თბილისში იატაკქვეშა სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა რევოლუციური ბროშურები და ფურცლები.

ამიერკავკასიაში პირველი მუშათა ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნოდა „მუშათა კავშირიც", რომელიც თბილისში დაარსდა 1887 წელს. მისი ხელმძღვანელი იყო მოწინავე მუშა-ზეინკალი

---

1 მ. ჩ ო დ რ ი შ ვ ი ლ ი. ჩემი თავგადასავალი, გვ. 79.

2 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. თფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. მოსამზადებელი ხანა (1870-1890). თბილისი. 1925, გვ. 10.

თ. ა. გუზენკო. კავშირის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ნაროდოვოლეცი ნ. ე. ერმოლაევი, რომელიც „მუშათა ჯგუფის“ საქმის გამო გადმოსახლებული იყო სამშობლოში, თბილისში, აგრეთვე მოწინავე მუშები ვ. გ. გერასიმოვი, ვ. ნ. ჯაბაშვილი, პ. მ. შაფრანოვი და სხვ. კავშირის მიერ მიღებული პროგრამა ითვალისწინებდა მუშათა ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც ეყოლებოდა ხელმძღვანელი ცენტრი და ჯგუფები სხვადასხვა ქალაქებში, ცენტრალური და ჯგუფური სალაროების შექმნას, მებრძოლი რაზმის დაარსებას. კავშირის ამოცანა, მისი პროგრამის შესაბამისად, იყო ახალი წევრების მოზიდვა, შეკრებათა ჩატარება, წრეობრივ მეცადინეობათა მოწყობა[1]. წრის მეცადინეობებზე კითხულობდნენ და განიხილავდნენ ლეგალურ და არალეგალურ სოციალისტურ ლიტერატურას.

„მუშათა კავშირს“ ურთიერთობა ჰქონდა დონის როსტოვთან, ხოლო 1888 წელს კონკრეტული ნაბიჯები გადადგა წრეების მოსაწყობად ბათუმსა და ფოთში[2]. მაგრამ მალე კავშირის ხელმძღვანელები დააპატიმრეს, თვით ორგანიზაცია კი განადგურებულ იქნა. მიუხედავად ამისა კავშირის საქმიანობამ გავლენა იქონია მუშათა რევოლუციური შეგნებულობის ზრდაზე.

თბილისის მოწინავე მუშებს აქტიური კავშირი ჰქონდათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებთან. ისინი ცხოვლად ეხმაურებოდნენ ქვეყანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენებს. ამას მკაფიოდ მოწმობდა თბილისელი მუშების წერილები გ. ი. უსპენსკისადმი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით (1887 წ.) და გენიალური რუსი სატირიკოსი მწერლის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ქვრივისადმი (1889 წ.)[3].

1888 წელს ბაქოში წარმოიშვა არალეგალური წრე, რომელსაც სათავეში ედგა მუშა-ხარატი ი. ჩეპურნი. ეს წრე დაკავშირებული იყო თბილისის „მუშათა კავშირთან“.

ამიერკავკასიის პირველი მუშათა ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნოდა „სომეხ მუშა-რევოლუციონერთა ასოციაცია“, რომელიც 1892 წელს თბილისში დააარსეს ა. ხაჟაკიანმა და ა. ქ. ხუმარიანმა. მასში შედიოდნენ მუშები, ხელოსნები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 12, აღწ. 16, ს. 334, ფურც. 6—7.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 12, აღწ. 16, ს. 384, ფურც. 14—16.

[3] Рабочее движение в России в XIX в. Сборник документов и материалов, т. 3, 1885 — 1894 гг.; часть первая, 1885 — 1889 гг., стр. 563 — 564, 676—677.

„ასოციაცია“ უშვებდა არალეგალურ გაზეთს ჯერ „აზატ ჰაიასტანის“ („თავისუფალი სომხეთი“), ხოლო 1894 წლიდან — „კრივის“ („ბრძოლა“) სახელწოდებით, რომელშიც თავსდებოდა ცნობები მუშათა მოძრაობაზე ევროპაში, ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაზე დასავლეთ სომხეთში, რევოლუციურ გამოსვლებზე რუსეთში და სხვ.

გაზეთებს, რომლებსაც „ასოციაცია“ უშვებდა, ისევე როგორც ქართულ ენაზე გამოშვებულ პირველ ხელნაწერ არალეგალურ ჟურნალებს, ბროშურებსა და ფურცლებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მუშებს რევოლუციური ბრძოლისათვის აღაფრთოვანებდა.

1894 წელს „სომეხ მუშა-რევოლუციონერთა ასოციაციის“ წევრებმა საპირველმაისო საღამო მოაწყეს და პროლეტარულ დღესასწაულს გაზეთის სპეციალური ნომერი ძიუძღვნეს. „ასოციაციამ“ კავშირი დაამყარა ერევანთან, ალექსანდროპოლთან, ყარსთან, სარიყამიშთან, შუშასთან, ახალქალაქთან, აქსტაფასთან და ამიერკავკასიის მთელ რიგ სხვა ქალაქებთან და სამრეწველო პუნქტებთან[1].

„ასოციაცია“ რევოლუციური პროპაგანდის დარგში დადებით მუშაობას ეწეოდა და ამავე დროს თვლიდა, სომეხ მუშათა სოციალური განთავისუფლების წინასწარი პირობა დასავლეთ სომხეთის დამოუკიდებლობაა; ამით იგი მცდარ ორიენტაციას აძლევდა ამიერკავკასიის მშრომელ სომხებს. ამ ორგანიზაციამ იარსება 1895 წლის შემოდგომამდე, როცა მისი მთელი რიგი წევრები დააპატიმრეს, შემდეგ კი გადაასახლეს. ხოლო თავისუფლად დარჩენილ მის წევრთა ნაწილი თავის საქმიანობას განაგრძობდა „პარტია“ ენჩაკის რიგებში. შემდეგში „ასოციაციის“ ზოგიერთი ორგანიზატორი (ა. ქ. ხუმარიანი და სხვ.) რსდმ პარტიაში შევიდა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების აქტიური მოღვაწე გახდა[2].

ამიერკავკასიის მოწინავე მუშათა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში დადებით როლს ასრულებდნენ აგრეთვე ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულებანი, კერძოდ, ბიბლიოთეკები, საკვირაო სკოლები და სხვ. მოწინავე მუშებს შორის საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთი კერა იყო „იაფფასიანი საყოველთაოდ მისაწვდომი ბიბლიოთეკა-სამკითხველო“[3], რომელიც 1888 წელს თბილისში დაარსდა და ძა-

---

[1] ა. ხ უ მ ა რ ი ა ნ ი. სომხური რევოლუციური მუშათა ორგანიზაცია. გაზ. „მარტაკოჩი“ („ბრძოლის ძახილი“) № 13, 1924 წ. 16 იანვარი.

[2] Очерки истории Коммунистической партии Армении, Ереван, 1964, стр. 18.

[3] მისი დამაარსებელი იყო მასწავლებელი, მოწინავე საზოგადო მოღვაწე ო. ვ. კაიდანოვა, რომლის პატივსაცემადაც ბიბლიოთეკას შემდეგში მისი სახელი მიეკუთვნა.

ლიან მალე პოპულარობა მოიპოვა მუშებსა და მოწინავე ახალგაზრდობაში. ბიბლიოთეკაში იყო აგრეთვე არალეგალური ლიტერატურის ფონდი, რომელიც მარქსისტულ წიგნებსაც შეიცავდა.

1892 წლის დამდეგს თბილისში მოეწყო სალიტერატურო წრე, რომლის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. 1891 წლის შემოდგომაზე თბილისში რომ ჩამოვიდა, ა. მ. გორკი მალე აღმრიცხველად ეოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, პოლიტიკური გადმოსახლებულის მ. ი. ნეჩალოვის მეშვეობით, რომელსაც იგი ნიჟნი-ნოვგოროდიდან იცნობდა, ა. მ. გორკი გაეცნო პოლიტიკურ გადმოსახლებულებს, თბილისში შექმნილი წრის წევრებს — ა. ნ. ბალდინს, ვ. ვ. ბერვის (ნ. ფლეროვსკი), ი. ა. დანკოს, ი. ს. ჯაბადარს, ა. მ. კალიუჟნის და სხვ. ცნობილ გამომცემელ ბიბლიოფილ ზ. ე. ჭიჭინაძესთან ა. მ. გორკი ხვდებოდა პროგრესულ ქართველ მწერალს ე. თ. ნინოშვილს და ამიერკავკასიაში მარქსიზმის ერთ-ერთ პირველ პროპაგანდისტს მ. გ. ცხაკაიას.

მოწინავე მუშა თ. ე. აფანასიევთან ერთად, რომელიც 1887 წელს თბილისის „მუშათა კავშირის“ წევრი იყო, 1891 წელს კი მუშათა თვითგანათლების წრეს ხელმძღვანელობდა, ა. მ. გორკი კრასნოგორსკის ქუჩაზე დასახლდა და სათავეში ჩაუდგა იმ წრის ორგანიზაციას, რომელიც ცნობილი იყო „კრასნოგორსკის კომუნის“ სახელწოდებით. ამ წრემ ძალიან მალე დაამყარა კავშირი მოსწავლე ახალგაზრდობასთან, პროგრესულ ინტელიგენციასთან, მოწინავე მუშებთან. „კომუნარები“ ხშირად მართავდნენ სალიტერატურო საღამოებს, დისპუტებს საჭირბოროტო საკითხებზე, ავრცელებდნენ ახალგაზრდობაში რევოლუციურ ლიტერატურას[1].

„კომუნის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თ. ე. აფანასიევმა რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტებთან მ. ი. კლიმიაშვილთან და ა. მ. ლეჟავასთან ერთად 1893 წელს თბილისში შექმნა არალეგალური ბიბლიოთეკა, რომელშიც შეკრებილი იყო საკმაოდ ბევრი მარქსისტული ლიტერატურა[2]. 1893—1894 წლებში ნ. ნ. ნარიმანოვმა აზერბაიჯანელი დემოკრატიული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა მხარდაჭერით ბაქოში შექმნა პირველი საყოველთაოდ მისაწვდომი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო[3].

ამ პირველ მუშათა წრეებსა და კავშირებს ჯერ არ ჰქონდათ ნათლად გამომუშავებული პოლიტიკური შეხედულებანი, ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ თვითმპყრობელობასთან და ექსპლოატატორულ

---

[1] Э. Клейн. Горький в Тифлисе, Тифлис, 1928, стр. 24—25.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 167, ფურც. 521.

[3] История Азербайджана, т. 2, Баку, 1960, стр. 342—348.

კლასებთან ბრძოლის ნამდვილ გზებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ხელს უწყობდნენ მუშების მომზადებას იმისათვის, რომ შეეთვისებინათ სოციალისტური, მარქსისტული იდეები.

მარქსიზმის ფუძემდებლების ნაწარმოებთა გავრცელება რუსეთის რევოლუციურ წრეებში დაიწყო XIX საუკუნის 70-იან წლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის ლეგალურ გამოცემას პეტერბურგში 1872 წლის გაზაფხულზე. ეს იყო ამ გენიალური შრომის მსოფლიოში პირველი თარგმანი უცხო ენაზე.

კ. მარქსის სახელის პირველი მოხსენიებანი ამიერკავკასიის პროგრესული დემოკრატიული პრესის ფურცლებზე XIX საუკუნის 70-იან წლებს განეკუთვნება. კარლ მარქსზე წერენ როგორც გამოჩენილ მეცნიერზე, „მუშათა საერთაშორისო ასოციაციის“ (I ინტერნაციონალის) ბელადზე. გარდა კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნაწარმოებებზე მრავალი მითითებისა, ქართულ და სომხურ პრესაში მოჰყავთ ცალკეული ნაწყვეტები მათი ნაწარმოებებიდან — კ. მარქსის „კაპიტალიდან“, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“, კ. მარქსის წიგნის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობიდან, ფ .ენგელსის „ანტი-დიურინგიდან“ და სხვ., აგრეთვე მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების ცალკეული აზრები.

80-იანი წლების დამდეგის დემოკრატიული პრესის ფურცლებზე წარმოებდა პოლემიკა მარქსიზმის ცალკეულ საკითხებზე. თუმცა ამ პოლემიკის ბევრი მონაწილე ამტკიცებდა, მარქსიზმის გავრცელებისათვის ამიერკავკასიაში ნიადაგი არ არისო, მაინც ამ პოლემიკამ დადებითი როლი შეასრულა მარქსიზმის პოპულარიზაციაში.

მთელ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაშიც, მარქსიზმის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რომელიც 1883 წელს საზღვარგარეთ დააარსა გ. ვ. პლეხანოვმა. ამ ჯგუფის მოღვაწეობაში არსებითი თეორიული შეცდომები იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, იდეურად დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატია და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ. მარქსისტული ლიტერატურა, რომელსაც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი უშვებდა (თარგმნილი და ორიგინალური), ამიერკავკასიაშიც ვრცელდებოდა.

1885—1888 წლებში რუსეთში წარმოიშვა მთელი რიგი მარქსისტული ორგანიზაციები. 1885 წელს პეტერბურგში, მარქსისტ პ. ვ. ტოჩისკის ხელმძღვანელობით, წარმოიშვა მარქსისტული ორგანიზა-

ცია, რომელმაც შემდეგში „სანკტ-პეტერბურგის ხელოსანთა ამხანაგობის“ სახელწოდება მიიღო. ამ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა კავკასიასთან. 1883 წელს მეფის პოლიციამ მიიღო ცნობები, რომ პ. ვ. ტოჩისკის ჯგუფის მოღვაწეებს კავშირი ჰქონდათ ქალაქ ბაქოსთან. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის დაპატიმრებისას აღმოჩენილ იქნა ტოჩისკის მიერ 1888 წ. ივნისში დაწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, ბაქოდან ცნობები არ არის. წერილში ნათქვამი იყო „არც ბაქოდან, არც რიგიდან არაფერი არ ისმის...“[1] „სანკტ-პეტერბურგის ხელოსანთა ამხანაგობა“ პოლიციამ გაანადგურა 1888 წელს. 1887—1888 წლებში რამდენიმე მარქსისტული წრე წარმოიშვა ყაზანში. ორგანიზატორი, სული და გული ამ წრეებისა, რომლებშიც ძირითადად რევოლუციური ახალგაზრდობა შედიოდა, იყო თვალსაჩინო მარქსისტი ნ. ე. ფედოსეევი. ნ. ე. ფედოსეევის წრეში შედიოდა ი. ქ. ლალაიანცი, რომელსაც თბილისში დაბრუნების შემდეგ 1891—1892 წლებში კავშირი ჰქონდა გერმანელ პროგრესულ წიგნის გამომცემელ დიტცთან და ეწეოდა მარქსისტული ლიტერატურის თარგმნას.

ამიერკავკასიელები ვ. ვ. ავალიანი, ა. ნ. ბალდინი, გ. ს. ბურჯალოვი, ვ. ა. ვარდანიანი, ა. პ. პეტრუზოვი (პეტროსიანი), ს. პ. პეტრუზოვა (პეტროსიანი) და სხვები მონაწილეობდნენ 80-იანი წლების დამლევს შექმნილი მ. ი. ბრუსნევის მარქსისტული ჯგუფის მუშაობაში. 1892 წელს ჯგუფის განადგურების შემდეგ ისინი ერთხანს გაგრძელებდნენ რევოლუციურ მუშაობას მოსკოვში, შემდეგ კი, კავკასიაში დაბრუნდნენ და პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ეწეოდნენ თბილისსა და ბაქოში.

ვარშავაში მარქსისტული წრის მონაწილე 1891—1893 წლებში იყო ვარშავის საველერინარო ინსტიტუტის სტუდენტი ფ. ე. მახარაძე, შემდეგში კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში მარქსისტული იდეებისა და ლიტერატურის შემოღწევის გზები ფრიად სხვადასხვანაირი იყო. უკვე მაშინ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით თბილისში, რომელიც კავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი და ბევრი პოლიტიკური გადმოსახლებულის თავმოყრის ადგილი იყო, ვრცელდებოდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები,

---

[1] Центральный государственный архив Октябрьской революции, высших органов власти и органов государственного управления СССР (შემდეგში — ЦГАОР), ф. ДП, 3 д-во, 1888 г., д. 1112, л. 8.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომების თარგმანები, გ. ვ. პლეხანოვის ნაშრომები.

1885 წლის იანვარში ბაქოს პოლიციამ აღმოაჩინა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელიც მოსკოვიდან გამოეგზავნათ ბაქოს რეალური სასწავლებლის ერთ-ერთი მოსწავლის სახელზე. ლიტერატურა შემოდიოდა როგორც რუსეთიდან, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, იმ კავშირის მეოხებით, რომელიც ადგილობრივ რევოლუციონერებს დამყარებული ჰქონდათ რუსეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ქალაქის რევოლუციურ წრეებთან.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იან წლებში გაჩნდა მარქსისტული ლიტერატურის პირველი გამოცემები ამიერკავკასიის ხალხთა ენებზეც. 1887 წელს საზღვარგარეთ პირველად სომხურ ენაზე ითარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". მაგრამ ამ თარგმანს გამოქვეყნება არ ეღირსა[1]. 1893 წელს ათენში ცალკე ბროშურად გამოიცა კ. მარქსის ნაშრომის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი" ერთი თავის სომხური თარგმანი. 1894 წელს ჟურნალ „გახაპარის" („იდეა") ფურცლებზე, რომელსაც სომხური წვრილბურჟუაზიული პარტია „ჰნჩაკი" („ზარი") უშვებდა, გამოქვეყნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პირველი და მეორე თავების თარგმანები. იმ დროსვე ხელმეორედ ითარგმნა სომხურ ენაზე „მანიფესტის" სრული ტექსტი, აგრეთვე ფ. ენგელსის ნაშრომი „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". 1892 წელს სომხურ ენაზე გამოვიდა გ. ვ. პლეხანოვის ნაშრომი „პირველი მაისი — მუშათა ყოველწლიური საერთაშორისო დღესასწაული" და ს. რ. დიკშტეინის ბროშურა „ვინ რით ცხოვრობს", ხოლო 1894 წელს — პ. ლაფარგის ნაშრომი „სიზარმაცის უფლება" და რევოლუციურ მარქსისტთა ზოგიერთი სხვა ნაწარმოები.

უკვე 1893—1894 წლებში ამიერკავკასიაში წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული წრეები. თბილისის პირველ მარქსისტულ წრეში შევიდნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები და ინტელიგენტები ო. ე. აფანასიევი, მ. ზ. ბოჭორიძე, ა. კოკი, თ. ი. მაიოროვი, ს. რენიგერი, ვ. ზ. ცაბაძე, ზ. ი. ჩოდრიშვილი და სხვ. ამ წრემ მოაწყო ჰექტოგრაფი[2] და კავშირი დაამყარა რკინიგზის სახელოსნოების მოწინა-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1968, გვ. 36.

[2] ვ. ცაბაძე. ჩემი მოგონებებიდან (1890—1905 წწ.), ჟურნ. „რევოლუციის მატიანე" № 2, 1923, გვ. 147.

ვე მუშებთან, რომელთა შორის ვრცელდებოდა მარქსისტული ლიტერატურა.

1893 წელს შეიქმნა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა რევოლუციური წრე, რომელიც განმათავისუფლებელი იდეების კერა და გამავრცელებელი გახდა. ამ წრის ხელმძღვანელი იყო ყოფილი სემინარიელი მ. გ. ცხაკაია, რომელიც 80-იანი წლების დამდეგს შევიდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1886 წელს მ. გ. ცხაკაია სემინარიიდან გარიცხეს, მაგრამ მას კავშირი არ გაუწყვეტია სემინარიელთა პროგრესულად განწყობილ ნაწილთან. ამავე დროს იგი რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა ბათუმის მუშებში და ქუთაისის ბაზრის მშრომელ გლეხობაში.

თბილისის სემინარიის წრის აქტივისტებმა 1893 წლის დეკემბერში მოაწყეს მოსწავლეთა დიდი გაფიცვა, რომელიც მიმართული იყო სემინარიაში გაბატონებული იეზუიტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სემინარიელი ვ. ზ. (ლადო) კეცხოველი, რომელიც შემდეგში გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა.

1894 წლის ბოლოს სოციალ-დემოკრატიული წრეები შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. ისინი ქართველ, სომეხ და რუს მუშებს აერთიანებდნენ. ამ წრეების ორგანიზატორები იყვნენ მ. ზ. ბოჭორიძე, თ. ი. მაიოროვი, ა. გ. რქუაშვილი, ი. თ. სტურუა, ზ. ი. ჩოდრიშვილი და სხვ. მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები შეიქმნა ქალაქის მთელ რიგ სხვა საწარმოებშიც. წრეებში სწავლობდნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს", „კაპიტალს", „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის სხვადასხვა გამოცემებს და სხვა მარქსისტულ ლიტერატურას.

ამიერკავკასიაში 90-იან წლებში არსებულ მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს შორის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „მესამე დასი"[1] — ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატორები იყვნენ მ. გ. ცხაკაია და ე. თ. ნინოშვილი. „მესამე დასის" გაფორმება მოხდა მის პირველ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა დაბა ყვირილაში (ზესტაფონი, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრა) 1892 წლის ბოლოს. კონფერენციას დაესწრნენ მარქსისტულად განწყობილი ინტელიგენტები — ს. ბ. ჯიბლაძე, ნ. ნ. ჟორდანია, რ. თ. კალაძე, დ. ე. კალანდარიშვილი, ი. პ. კაკაბაძე, ე. თ. ნინოშვილი, ი. ი. რამიშვილი,

[1] „მესამე დასი" — პირველად ასე უწოდა ამ ორგანიზაციას მწერალმა გ. ე. წერეთელმა ე. თ. ნინოშვილის დაკრძალვაზე 1894 წ. 8 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში.

მ. გ. ცხაკაია, ნ. ს. ჩხეიძე და სხვ., პროგრამის პროექტი, რომელიც ნ. ნ. ჟორდანიამ წარადგინა და რომელიც ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას ითვალისწინებდა, მკაცრად გააკრიტიკა და უარყო დამსწრეთა უმრავლესობამ. თუმცა კონფერენციის მონაწილენი ჯერ კიდევ გარკვევით არ დამდგარიყვნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე, მათ გადაჭრით გამოთქვეს აზრი სოციალიზმის იდეების პროპაგანდის სასარგებლოდ.

„...ჩვენ, მემარცხენეებმა — წერდა შემდეგში მ. გ. ცხაკაია, — პროექტი — მთლიანად ჩავაგდეთ, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი ორი დებულება 1) ჩვენ ყოველთვის და ყველგან სოციალისტები ვართ, ლეგალურადაც და არალეგალურადაც, 2) ყოველგვარი ნაციონალიზმის აბსოლუტური მოწინააღმდეგეები ვართ...“.[1]

1893 წლის გაზაფხულზე თბილისში შეიკრიბა „მესამე დასის“ მეორე კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ს. ა. დანდუროვი, ს. ბ. ჯიბლაძე, ნ. ნ. ჟორდანია, ე. თ. ნინოშვილი, ნ. მ. ფლეროვი, მ. გ. ცხაკაია, ნ. ს. ჩხეიძე და სხვ. აქ მიღებულ იქნა წესდების პროექტი, რომელიც წარადგინეს ე. თ. ნინოშვილმა და მ. გ. ცხაკაიამ, აგრეთვე არჩეულ იქნა თბილისის მუდმივი ცენტრალური ბიურო ე. თ. ნინოშვილის, მ. გ. ცხაკაიას და ს. ა. დანდუროვის შემადგენლობით.[2]

„მესამე დასის“ წესდება ითვალისწინებდა სოციალისტ-მარქსისტთა არალეგალური ინტერნაციონალური ჯგუფის შექმნას, რომელსაც ევალებოდა მარქსიზმის პროპაგანდა (არალეგალური და ლეგალური) მუშებში და ღარიბ გლეხობაში, სხვადასხვა ტიპის იატაკქვეშა მარქსისტული წრეების შექმნა, ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის მარქსისტულ ჯგუფებთან და წრეებთან კავშირის დამყარება[3].

„მესამე დასის“ პირველი საჯარო გამოსვლა მოხდა 1894 წლის 6 მაისს ე. თ. ნინოშვილის დაკრძალვაზე სოფელ ჩოჩხათში (ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა). აქ მესამედასელთა სიტყვებში პირველად ჩამოყალიბდა მათი ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა[4]. იმავე წლის 9 მაისს ნიგოითში (ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა) მოწვეულ იქნა კრება, რომელმაც გა-

---

[1] Миха Цхакая. Грузия и Армения под пятой империалистов (меньшевики и дашнаки в 1920—1921 гг.), Тифлис, 1925, стр. 25.

[2] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 5., დაცვ. ერთ. 126, ფურც. 48; ე. ნინოშვილი, თხზულებანი, ტ. II [თბილისი, 1925]), წინასიტყვაობა მ. ცხაკაიასი, გვ. XI.

[3] Центральный партийный архив Института марксизма-ленинизма при ЦК КПСС (შემდეგში — ЦПА ИМЛ), ф. 157, оп. 1, ед. хр. 11, л. 164.

[4] გაზ. „კვალი“ № 22, 1894 წ. 22 მაისი.

ნიხილა საკითხები „მესამე დასის“ ამოცანებისა და შემდგომი მუშაობის შესახებ. გადაწყდა გადასულიყვნენ აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, მარქსიზმის პროპაგანდისათვის. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 1894 წლიდან ლეგალურ გაზეთ „კვალისა“[1] და ჟურნალ „მოამბის“[2] ფურცლებზე მესაბედასელებმა დაიწყეს მარქსისტული სტატიების ბეჭდვა.

„მესამე დასის“ პირველ სხდომებზევე ცხადი გახდა, რომ მის წევრებს შორის შეხედულებათა ერთიანობა არ იყო. შემდეგში მის შიგნით უფრო მკაფიოდ დაისახა ორი ფრთა: რევოლუციური (ვ. ზ. კეცხოველი, ფ. ე. მახარაძე, ე. თ. ნინოშვილი, ი. ბ. სტალინი, ა. გ. წულუკიძე, მ. გ. ცხაკაია და სხვ.) და ოპორტუნისტული (ს. ბ. ჯიბლაძე, ნ. ნ. ჟორდანია, ი. ი. რამიშვილი, ნ. ს. ჩხეიძე და სხვ.). ოპორტუნისტები ნ. ნ.ჟორდანიას მეთაურობით გამოვიდნენ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული გაგების წინააღმდეგ და ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. მათ მიაჩნდათ, რომ მომავალი რევოლუციის ჰეგემონი ბურჟუაზია უნდა ყოფილიყო, ამიტომ ქადაგებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიბერალურ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის კავშირის იდეას. ეროვნულ საკითხში ოპორტუნისტული ფრთა „საერთო ნიადაგის“, „სამოქალაქო ზავის“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორიის პოზიციებზე იდგა და სოციალურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ინტერესების ერთობას.

„მესამე დასის“ რევოლუციური ფრთა ფართოდ იყენებდა გაზეთ „კვალისა“ და ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სხვადასხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდისათვის, კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის დაცვისათვის.

90-იანი წლების პირველი ნახევრის მარქსისტული წრეები და ჯგუფები ძირითადად ეწეოდნენ მარქსიზმის პროპაგანდას მოწინავე მუშებში და მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილში. ამ წრეებში იბრძმედებოდნენ მუშათა მასების მომავალი წინამძღოლები, მუშავდებოდა კლასობრივი სოციალისტური შეგნება, მზადდებოდნენ პროკა-

---

[1] „კვალი“ — ლიბერალურ ნაციონალისტური მიმართულების ქართული ყოველკვირეული გაზეთი. გამოსვლა იწყო თბილისში 1893 წელს გ. ე. წერეთლის რედაქტორობით. 1897 წ. ბოლოს გაზეთი გადავიდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის ხელში. მისი რედაქტორი გახდა ნ. ნ. ჟორდანია.

[2] „მოამბე“ — ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულების ქართული ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1894—1905 წლებში.

განდისტთა და ორგანიზატორთა კადრები. ამ წრეების მოღვაწეობამ შეამზადა ნიადაგი მარქსისტული მიმართულების გამარჯვებისათვის, სოციალიზმის თეორიის შეერთებისათვის მუშათა მასობრივ მოძრაობასთან, რაც პირველად განახორციელა ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგში შექმნილმა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“.

3. ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა. მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების დასაწყისი

XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა რუსეთში მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლას საათვეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინი, რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში დაიწყო ახალი — **ლენინური ეტაპი.**

ვ. ი. ლენინი 1893 წლის აგვისტოში პეტერბურგში ჩავიდა, მჭიდრო კავშირი დაამყარა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული წრეების წევრებთან და მალე პეტერბურგელ მარქსისტთა აღიარებული ხელმძღვანელი გახდა. თავის კლასიკურ შრომებში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვ. ვ. ი. ლენინმა დაამთავრა ლიბერალური ნაროდნიკებისა და „ლეგალური მარქსისტების“ იდეური განადგურება.

თეორიულ მოღვაწეობასთან ერთად ვ. ი. ლენინი ეწეოდა დიდ პრაქტიკულ მუშაობას მარქსიზმის შეერთებლად მუშათა მოძრაობასთან. 1895 წელს ვ. ი. ლენინმა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად პეტერბურგში არსებული სოციალ-დემოკრატიული წრეები გააერთიანა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“. ეს ორგანიზაცია რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩანასახი გახდა. 1896 წელს „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობით გაიმართა პეტერბურგელ ფეიქართა გრანდიოზული გაფიცვა, რომელმაც, ლენინის სიტყვით, დასაბამი მისცა რუსეთში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის ერას.

ვ. ი. ლენინს „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ მიაჩნდა საფუძვლად რუსეთში მარქსისტული პარტიის

შექმნისათვის და ენერგიულ ზომებს იღებდა რუსეთის სხვა მარქსისტულ და რევოლუციურ ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად.

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინმა კავშირი დაამყარა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აქტიურ მონაწილეებთან. 1894 წლის მაისში ვ. ი. ლენინი სწერდა ცნობილ ეკონომისტ პ. პ. მასლოვს: „განა სპბ-დან თბილისში დაბრუნებისას ნ. მ. ა-მ[1] არ განახათ? და არ გადმოგცათ (რის შესახებაც მას ვთხოვდი), რომ მე მაქვს მუდმივი მისამართი ყოველ შემთხვევაში — ზამთრისათვის...“[2].

ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი მ. მასლოვისადმი იმის უდავო დადასტურებაა, რომ იგი უკვე მაშინ დაკავშირებული იყო მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რომლებიც ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ვ. ი. ლენინის კავშირზე ამიერკავკასიის მარქსისტებთან მ. გ. ცხაკაია შემდეგში წერდა: „ამხანაგ ლენინზე პირადად მე პირველად გავიგონე ღრმა იატაკქვეშეთში არალეგალური რევოლუციური მუშაობის დროს, გასული საუკუნის 90-იან წლების ჯერ კიდევ პირველ ნახევარში კავკასიაში, სადაც მაშინ არალეგალურ მუშაობას ვეწეოდი პირველი მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების შესაქმნელად. ლენინმა უკვე იცოდა მაშინ ჩვენი მოღვაწეობის შესახებ. სხვათა შორის, ჩვენ დავუკავშირდით ლენინს მისი სტატიების გამო, რომლებიც დაიბეჭდა „სამარსკი ვესტნიკში“, რომელსაც მაშინ იგი უშვებდა“[3]

ლენინური „ბრძოლის კავშირის“ გავლენით ამიერკავკასიაში გაჩაღდა მუშაობა სოციალიზმის შესაერთებლად მუშათა მოძრაობასთან, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად. 40-იან წლებში თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში კავკასიელ მოღვაწეებთან ერთად დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებული მარქსისტი-ინტელიგენტები: ი. ი. ლუზინი, ო. ა. კოგანი (ერმანსკი), ნ. პ. კოზერენკო, ვ. კ. რომეიჩ-ბელევიჩი (ორესტ სემინი), გ. ი. ფრანჩესკი და პროლეტარული რევოლუციონერები: ს. ი. ალილუევი, თ. ი. მაიოროვი, ი. ნ. ნაზაროვი, ნ. გ. პოლეტაევი (პეტერბურგის „ბრძოლის

---

[1] ნ. მ. ა. — ინიციალები ცნობილი რევოლუციონერი-ნაროდნიკის მარკ ანდრიას-ძე ნატანსონისა, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა და დროდადრო ბაქოშიც ჩადიოდა ხოლმე.

[2] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 46, стр. 3.

[3] ЦПА ИМЛ, ф. 157, оп. 1, ед. хр. 49, л. 94.

კავშირის“ წევრი) და სხვები. მათი მონაწილეობით ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა „ბრძოლის კავშირისა“ და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემები: „სამუშაო დღე“, „სიცრუის გაფიცვა“, „კითხვარი რუსეთში მუშათა კლასის მდგომარეობაზე ცნობების შესაკრებად“, „რა უნდა იცოდეს და ახსოვდეს თვითეულ მუშას?“ და სხვ.; ვ. ი. ლენინის შრომები: „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ“, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვ. ჯერ კიდევ 1899 წელს თბილისის ლეგალურ პრესაში — გაზეთებში „ნოვოე ობოზრენიესა“ და „კვალში“ გამოქვეყნებული იყო რეცენზიები, რომლებშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა ვ. ი. ლენინის შრომებს „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და „შინამრეწველობის“ ზოგადი საკითხები“[1] და „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (ი. ი. ლუზინის რეცენზია)[2].

ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, გულდასმით სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის შრომებს და ფართოდ იყენებდნენ მათ მარქსისტული იდეების პროპაგანდაში, ლიბერალური ნაროდნიკებისა და მარქსიზმის სხვა იდეური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მარქსიზმის გავრცელებაში, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნასა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გაშლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა „მესამე დასმა“, რომელიც 1898 წელს რსდმ პარტიაში შევიდა. თბილისის გარდა, „მესამე დასს“ ჯგუფები ჰქონდა ბათუმში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მისი ცალკეული წარმომადგენლები ქმნიდნენ ჯგუფებს, საკვირაო სკოლებს, ავრცელებდნენ მარქსიზმს მოწინავე მუშებსა და დემოკრატიულ ინტელიგენციაში. მიუხედავად იმისა, რომ „მესამე დასის“ შიგნით იდეური ერთიანობა არ იყო, იგი ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა ლიბერალი ნაროდნიკებისა და სხვადასხვა თავადაზნაურულ-ნაციონალისტური და ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმდინარეობებისა და ჯგუფების წინააღმდეგ.

რეაქციის თარეშმა, რაც პეტერბურგის 1881 წლის მარტის ამ-

---

[1] Газ. «Новое обозрение» № 5292, 5 июня 1899 г.

[2] გაზ. „კვალი“ № 30, 1899 წ. 25 ივლისი.

ბების შემდეგ დაიწყო, ხელი შეუწყო ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებას. კრიზისმა, რომელმაც მოიცვა რუსეთის მრეწველობა და ნაწილობრივ სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, გააუარესა მშრომელთა ისედაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ყოველივე ეს ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს რუსეთის ეროვნულ განაპირა მხარეებში ოპოზიციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1877—1878 წლების ომში თურქეთი დამარცხდა და დაყენებულ იქნა „სომხეთის საკითხი", ე. ი. საკითხი დასავლეთ სომხეთში მცხოვრები სომხების თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების შესახებ, ამიერკავკასიის სომეხ მოსახლეობაში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები.[1] 1887 წელს ჟენევაში სტუდენტების — კავკასიელი სომხების ჯგუფის ინიციატივით, რომლებიც უშვებდნენ გაზეთ „ჰნჩაკს", დაარსებულ იქნა პარტია „ჰნჩაკ". ამ ჯგუფმა, რომელიც რუსული ნაროდნიკობის გავლენაში იმყოფებოდა, თავს უწოდა „სომეხ სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია". ახლად დაარსებულ პარტიაზე გავლენა მოახდინა მისი ხელმძღვანელების ურთიერთობამაც პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრებთან, აგრეთვე ევროპელ სოციალ-დემოკრატებთან. „ჰნჩაკის" ზოგიერთი ხელმძღვანელი (ა. ნაზარბეკი, მ. ი. ნაზარბეკი (ვართანოვა), რ. ნ. ხანაზატი და სხვ.) 90-იანი წლების დასაწყისში შეუდგნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეული ნაწარმოებების სომხურ ენაზე თარგმნას. გარდა ამისა, ჰნჩაკისტურ გაზეთებში გამოქვეყნდა მთელი რიგი ორიგინალური სტატიები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ მარქსიზმს. მაგრამ სინამდვილეში ჰნჩაკისტები კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე არ იდგნენ. სოციალიზმი მათ წარმოედგინათ ფრიად შორეული მომავლის საქმედ.[2] ჰნჩაკისტებს 90-იანი წლების ბოლოს თავიანთი ორგანიზაციები ჰქონდათ ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებში. სოციალისტური ფრაზეოლოგიით შენილბული მათი ნაციონალისტური პროპაგანდა ხელს უშლიდა იმას, რომ სომეხ პროლეტარიატში კლასობრივი თვითშეგნება გამომუშავებულიყო.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ამიერკავკასიის რევოლუციურ მარქსისტებს მოუხდათ ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში გააქტიურებულ ნაციონალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა წინააღმდეგაც, რომ-

---

[1] Очерки истории Коммунистической партии Армении, стр. 40—41.

[2] იქვე.

ლებიც შემოკრებილი იყვნენ გაზეთ „ცნობის ფურცლის“[1] გარშემო. ამ ბანაკის პუბლიცისტები ქადაგებდნენ წოდებათა თანამშრომლობის იდეას, ადგებოდნენ მეფის მთავრობასთან შერიგების გზას. ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ. ისინი გამოხატავდნენ ლიბერალური თავადაზნაურობისა და გლეხობის შეძლებული ნაწილის ინტერესებს. შემდეგში ამ მიმდინარეობებიდან წარმოიქმნენ ქართველი ნაციონალ-დემოკრატებისა და სოციალ-ფედერალისტების პარტიები.

ნაციონალისტური ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. იგი შექმნეს ქართველმა სტუდენტებმა, რომლებიც 90-იანი წლების დამდეგს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სწავლობდნენ. თავისი მოღვაწეობის დაწყებითს ეტაპზე „ლიგა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენდა. „ლიგის“ ძირითადი ამოცანა, მისი წესდების თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო. „ლიგის“ წევრები მხარს უჭერდნენ იმას, რომ დაემყარებინათ კავშირი ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მიმდინარეობასთან და რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით[2]. ის პირები, რომლებმაც „ლიგა“ შექმნეს და მის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ, შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტთა ქართული ნაციონალისტური პარტიის დამფუძნებლები და ყველაზე გავლენიანი წევრები გახდნენ.

1890 წელს თბილისში დაარსდა სომხური ბურჟუაზიულ- ნაციონალისტური პარტია „სომხური რევოლუციური კავშირის“ („დაშნაკცუტიუნ“) სახელწოდებით. მას თავისი ორგანიზაციები ჰქონდა ამიერკავკასიის თითქმის ყველა ქალაქში. ეს პარტია, რომელიც ამოცანად ისახავდა სულთნის თურქეთის უღლისაგან დასავლეთ სომხეთის განთავისუფლებას, უარყოფდა კლასობრივი ბრძოლის პრინციპს. დაშნაკები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მშრომელი სომხები მოეწყვიტათ სხვა ეროვნებათა მშრომელებისაგან, ჩამოეშორებინათ ისინი კლასობრივი ბრძოლისაგან, საერთორუსეთის რევოლუციური მოძრაობისაგან.

XIX საუკუნის დამლევს ყალიბდება ბურჟუაზიულ-ნაციონა-

---

[1] „ცნობის ფურცელი“ — ყოველდღიური ქართული გაზეთი; გამოდიოდა თბილისში 1896-დან 1906 წლამდე; 900-იანი წლების დამლეგიდან ქართველი ნაციონალისტების რუპორს წარმოადგენდა. 1904 წლიდან ქართველი ფედერალისტების ორგანო ხდება.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 12. აღწ. 1, საქ. 438, ფუც. 2—7.

ლისტური მიმდინარეობანი აზერბაიჯანშიც. ამიერკავკასიის მუსლიმან მოსახლეობაში ნაციონალისტურ ქადაგებას აძლიერებენ პანისლამისტები და პანთურქისტები. პანისლამისტები პროპაგანდას უწევდნენ იმის აუცილებლობას, რომ მუსლიმანური რელიგიის მიმდევარი ყველა ხალხი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულიყო, პირწავარდნილ შოვინისტურ იდეოლოგიას წარმოადგენდა პანთურქიზმიც, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა თურქი ხალხის დამორჩილებას თურქეთის ბატონობისადმი. პანთურქიზმის, ისევე როგორც პანისლამიზმის იდეოლოგიამ ნიადაგი ვერ ჰპოვა აზერბაიჯანელი ხალხის ფართო ფენებში, იგი თანაგრძნობით მიიღეს ყველაზე რეაქციულად განწყობილი ინტელიგენციის უმთავრესად ფეოდალურ-კლერიკალურმა და ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა წრეებმა.

XIX საუკუნის დამლევს აზერბაიჯანში გააქტიურდა ნაროდნიკების საქმიანობა. მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბაქოში ამ პერიოდში იყო ნ. გ. მელენტიევი, რომელიც აქ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა და გაზეთ „კასპიის" რეპორტიორად მუშაობდა. ბაქოელ ნაროდნიკებს უაღრესად გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის სხვა ქალაქების ნაროდნიკულ ორგანიზაციებთან, ცდილობდნენ თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ ბაქოს მთელ რიგ საწარმოთა მუშებში.

ცხადია, ლიბერალურ-ნაროდნიკული და მეტადრე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციებისა და პარტიების საქმიანობა სიძნელეებს უქმნიდა მხარის მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის უზრუნველყოფას, მათში მარქსიზმის იდეების გავრცელებასა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმას. ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელება აწყდებოდა სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ადგილობრივ ეროვნებათა წრიდან გამოსული მარქსისტულად განათლებული პროპაგანდისტთა კადრების ნაკლებობასთან და სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის თავისებურებასთან; მხარის საერთო ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობასთან, პროლეტარული მასების სუსტ განვითარებასთან, პროლეტარიატის მრავალეროვნულ შემადგენლობასთან, რაც მოითხოვდა რევოლუციური მუშაობის წარმოებას ერთდროულად რამდენიმე ენაზე, და ა. შ. მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, ხდებოდა ამ სიძნელეების თანდათანობით დაძლევა.

ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის აღმავლობისა და ოპორტუნიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ მწვავე იდეური ბრძოლის ვითარებაში აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა გააჩაღეს

მ. ა. აზიზბეკოვმა, პ. ა. ჯაფარიძემ, ა. ს. ენუქიძემ, ვ. ზ. კეცხოველმა, ბ. მ. კნუნიანცმა, ფ. ე. მახარაძემ, ი. ბ. სტალინმა, მ. გ. ცხაკაიამ, ა. გ. წულუკიძემ, ს. გ. შაუმიანმა, აგრეთვე მოწინავე მუშა სოციალ-დემოკრატებმა — მ. ზ. ბოჭორიძემ, ა. ს. კახოიანმა, მ. გ. მელიქიანმა, ა. გ. ოქუაშვილმა, ი. თ. სტურუამ, გ. პ. თელიამ, ა. ქ. ხუმარიანმა, ზ. ი. ჩოდრიშვილმა და სხვებმა. ისინი ახალ მარქსისტულ წრეებს ქმნიდნენ ამიერკავკასიის სამრეწველო რაიონებში, ცდილობდნენ გაეერთიანებინათ ეს წრეები ერთიან ორგანიზაციად.

1895—1896 წლებში ახალი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში, თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში, სტამბებში, ტყავის ქარხანაში, სასულიერო სემინარიასა და სამასწავლებლო ინსტიტუტში. სულ თბილისში ითვლებოდა საწარმოო პრინციპის მიხედვით შექმნილი 20-მდე წრე[1]. ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან და მეცადინეობის სპეციალური გეგმები შეიმუშავეს. ამ წრეების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ხელმძღვანელი მუშათა ცენტრი (კოლექტივი)[2] 1896 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ამ ცენტრმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია თბილისის რკინიგზელ მუშათა და მეთამბაქოელთა გაფიცვების მოსამზადებლად.

1896 წლის მარტში რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში და მათ მომიჯნავე რაიონში გავრცელებულ იქნა ხელმძღვანელ მუშათა ცენტრის ფურცელი სათაურით „ძვირფასო ამხანაგებო!", რომელიც ხატავდა მუშების უნუგეშო მდგომარეობას და მოუწოდებდა მათ ხმა აღემაღლებინათ უსამართლობის წინააღმდეგ[3]. მაისში გამოშვებულ იქნა და გავრცელდა მეორე ფურცელი — „ამხანაგ ხელოსნებს!", რომელიც მოუწოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ.

1896 წელს ხელმძღვანელი მუშათა ცენტრი შეუდგა თბილისის რკინიგზელი მუშების გაფიცვის მომზადებას. მაგრამ პოლიციის მიერ მიღებული ზომებით გაფიცვა თავიდან იქნა აცილებული. მუშების მღელვარებით შეშინებული ადმინისტრაცია ერთგვარ დათმობებზე წავიდა. ეს იყო ამიერკავკასიის მუშების პირველი გამარჯვება, რომელიც მათ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

1897 წლის ზაფხულში გაფიცვა მოხდა თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 500-მდე მუშამ. მას

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14. აღწ. 1, ნაწ. 1, დაცვ. ერთ. 1367, ფურც. II.

[2] იქვე.

[3] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 273, ფურც. 26.

სათავეში ჩაუდგნენ მთავარი სახელოსნოების მოწინავე მუშები მ. ზ. ბოჭორიძე, ი. დ. ყიასაშვილი, ა. გ. ოქუაშვილი, ზ. ი. ჩოდრიშვილი. გაფიცვა თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. იგი მუშების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათი კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებაში.

1896 წელს ხდებოდა თბილისი — ყარსისა და ალექსანდროპოლ-ერევნის რკინიგზის ხაზის მშენებელ მუშათა გაფიცვები. მხოლოდ ჯარების დახმარებით მოხერხდა ამ გაფიცვების ჩახშობა და მათი მეთაურების დაპატიმრება. მღელვარება მოხდა აგრეთვე სანაინ—ზამანლუს ხაზზე (1896 წ. დეკემბერი), ქ. ყარსში (1897 წ. ოქტომბერი), სადაც მშენებელ მუშათა გამოსვლა დამთავრდა სისხლისმღვრელი შეტაკებით ჟანდარმებთან.

90-იანი წლების შუახანების გაფიცვები და მღელვარებანი მოწმობდნენ იმას, რომ ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის ხელსაყრელი ნიადაგი იყო.

ამავე წლებში სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჯგუფები და წრეები შეიქმნა ქუთაისსა და ბათუმში. ცალკეული სოციალ-დემოკრატები არალეგალურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ბაქოში. ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ნ. პ. კოზერენკო, ა. გ. წულუკიძე, მ. გ. ცხაკაია, ხოლო ბათუმისას — ი. ი. ლუზინი და გ. ი. ფრანჩესკი. ამ ჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ მუშები, ინტელიგენტები, მოსწავლეები. 1896—1897 წლებში ბათუმში დროგამოშვებით ჩადიოდა ო. ა. კოგანი რევოლუციური მუშაობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. აგრეთვე წრეებში პროპაგანდისათვის, ბათუმისა და ქუთაისის მარქსისტულ ჯგუფებს პატარა არალეგალური ბიბლიოთეკები ჰქონდათ. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ინიციატივით 1897 წლის ზაფხულში ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა და ჰექტოგრაფზე გამრავლებულ იქნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი თავი და ნაწყვეტები სხვა თავებიდან[1]. იმავე წლის შემოდგომაზე „მანიფესტის“ ცალკეული ნაწყვეტები კაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა[2]. ბათუმის ჯგუფმა გააკრცელა კ. მარქსის პორტრეტები.

თბილისში, ბათუმში, ბაქოსა და ქუთაისში მომუშავე მარქსისტები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, უგზავნიდნენ წერილებსა და

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 167, ფურც. 247; მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 93, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 813, ფურც. 16.

[2] გაზ. „კვალი“ №№ 49 და 50, 1867 წ. 23 და 30 ნოემბერი.

არალეგალურ ლიტერატურას. ზოგჯერ ისინი იკრიბებოდნენ კიდეც და თათბირებს აწყობდნენ, მსჯელობდნენ მუშაობის გამოცდილებაზე. ამ კავშირის დამყარებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა თ. ე. აფანასიევი. 1896—1897 წლებში მან მოახერხა რამდენჯერმე ჩასულიყო ბაქოსა და ბათუმში, სადაც ჩაჰქონდა პეტერბურგიდან და კიევიდან მიღებული არალეგალური ლიტერატურა. 1897წელს ბაქოში ჩავიდა „მესამე დასის" რევოლუციური ფრთის წევრი ა. გ. წულუკიძე. იგი დაუახლოვდა მოწინავე მუშებს, კავშირი დაამყარა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან და მათთან ერთად შექმნა მუშათა საკვირაო სკოლა, რომელშიც, გარდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებისა, მარქსიზმის პროპაგანდაც წარმოებდა.

1897 წელს პეტერბურგიდან აზერბაიჯანში გადაასახლეს „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" წევრი ს. ა. ავეტისიანი. იგი ჯერ თავის სამშობლო ქალაქ შუშაში ცხოვრობდა, 1898 წელს კი გადასახლდა ბაქოში, სადაც მუშაობდა მანთაშევის ნავთობის სარეწებზე ბალახანა-საბუნჩის რაიონში. ს. ა. ავეტისიანი პროპაგანდას ეწეოდა მუშებში, აცნობდა მათ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" მუშაობის გამოცდილებას.

1898 წელს ბაქოში დაარსებულ იქნა სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომლებიც მექანიკური და ნავთობგადამმუშავებელი საწარმოების მოწინავე მუშებს აერთიანებდნენ. ერთ-ერთი პირველი წრე წარმოიშვა შავ ქალაქში, „ძმ. ნობელების ამხანაგობის" ქარხანაში. ძისი ორგანიზატორები იყვნენ ხარატი ი. პოპოვი და ზეინკალი ი. პ. ვაცეკი. იმ დროსვე სოციალ-დემოკრატიული წრე წარმოიშვა ბალახანაშიც, კოკორევის ფირმის საწარმოებში. ამ პირველ წრეებში პოლიტიკურად გაიზარდნენ მოწინავე აზერბაიჯანელი მუშები ნ. მ. მამედიაროვი, ბ. ა. დადაშევი, მ. ბ. კასუმოვი, რომლებიც შემდეგში აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცნობილი მოღვაწეები გახდნენ.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელები სულ უფრო მწვავედ გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო ერთიანი პროგრამის შემუშავება სოციალ-დემოკრატიული წრეების მეცადინეობისათვის. პროგრამის შედგენას შეუდგა ნ. პ. კოზერენკო, რომელიც 1898 წლის დამდეგს ქუთაისიდან ბაქოში გადავიდა და იქ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნაში. პროგრამის პროექტის შედგენისას იგი ეთათბირებოდა ბათუმში მომუშავე ი. ი. ლუზინსა და გ. ი. ფრანჩესკის. 1898 წლის

გაზაფხულზე ეს პროექტი აღმოაჩინა ჟანდარმერიამ, რომელიც თაკის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი პროგრამას ასეთ დახასიათებას აძლევდა: „პროგრამა მიზნად ისახავს მუშების გაერთიანებას, მიუხედავად ეროვნებისა, საერთო პოლიტიკურ მოთხოვნათა ნიადაგზე“[1]. იმავე 1898 წელს „მუშათა მარქსისტულ წრეებში მეცადინეობის პროგრამა“ შეადგინა ი. ბ. სტალინმა[2].

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან“. თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან არსებობდა ურთიერთდამხმარე სალაროები[3] რომელთა მთავარი მიზანი, როგორც აღნიშნული იყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სალაროს წესდებაში, ის იყო, რომ დახმარება გაეწიათ მუშათა მოძრაობისათვის კაპიტალიზმთან ბრძოლაში. წესდებაში მოხსენიებული იყო პეტერბურგის ცენტრი, რომელიც აერთიანებდა ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სალაროს წესდება ითვალისწინებდა ფულის ნაწილის გადაგზავნას პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“[4]. თავის მხრივ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირიც“ ეხმარებოდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს: უგზავნიდა მათ არალეგალურ ლიტერატურას, აძლევდა რჩევას თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს. ამიერკავკასიის რევოლუციონერებისათვის დახმარების გასაწევად პეტერბურგიდან ჩამოდიოდნენ „ბრძოლის კავშირის“ წევრები[5].

1897 წლის ივნისში ჟანდარმებმა ჰიაგნეს ამიერკავკასიაში მომუშავე რუსი სოციალ-დემოკრატების კვალს, დააპატიმრეს თ. ე. აფანასიევი, ი. ი. ლუზინი, გ. ი. ფრანჩესკი და სხვები. მასალები, რომლებიც დაპატიმრებისას მათ უპოვნეს (არალეგალური ლიტერატურა, კონსპირაციული მიწერ-მოწერა, სხვადასხვა ხელნაწერები და სხვ.), სავსებით აშკარად მოწმობდა, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან“.

თბილისის გუბერნატორი პოლიციის დეპარტამენტისადმი ერთ-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 167, ფურც. 343.

[2] ЦГАОР, ф. 102, 1902 г., 7-е д-во, д. 175, лл. 69—70; ი. ბ. სტალინი, თხზულებანი. ტ. I, გვ. XII.

[3] ЦГАОР, ф. ДП, 3 д-во, 1902 г., д. 1225, лл. 6, 17—18.

[4] იქვე, ფურც. 17—18.

[5] იქვე, ფურც. 23—27.

ერთ მოხსენებაში იტყობინებოდა, ამიერკავკასიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ფარული საქმიანობის შედეგიაო. „ბრძოლის კავშირის“ გამოცდილებამ, ნათქვამი იყო მოხსენებაში, ფართო გავრცელება ჰპოვა, და, ამრიგად, „ბევრ დიდ ქალაქსა და საფაბრიკო ცენტრში ჩაქმნა ფარული წრეები სხვადასხვა სახელწოდებით, რომლებმაც შეითვისეს აღნიშნული „კავშირის“ მოქმედების პროგრამა“[1].

ლენინური „ბრძოლის კავშირის“ მაგალითისამებრ 1897 წლის დამდეგს თბილისის ხელმძღვანელ მუშათა ცენტრს თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კომიტეტი უწოდეს[2], 1898 წელს შეიქმნა თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც მუშები, ისე ინტელიგენტები: მ. ზ. ბოჭორიძე, დ. ე. კალანდარიშვილი, რ. თ. ალაძე, ვ. ზ. კეცხოველი, ა. გ. ოქუაშვილი, ა .ნ. შატილოვი, ზ. ი. ჩოდრიშვილი, ვ. ზ. ცაბაძე, ს. ბ. ჯიბლაძე, ს. მ. ჯუღელი.

თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გააფართოვა პროპაგანდა და აგიტაცია მუშებს შორის, გაიზარდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეების რიცხვი. 1898 წელს თბილისში დაარსდა სომეხ მუშათა და ინტელიგენტთა პირველი მარქსისტული წრე გ. ა. ყარაჯიანის (ს. ტ. არკომედი), ა. ს. კახოიანის, გ. კ. კოზიკიანის, მ. გ. მელიქიანის („დედუშკა“), პ. გ. ფილოსიანის (ა. გ. ადამიანი) შემადგენლობით. წრე ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას სომეხ მუშებში. ამ ჯგუფს თავიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის კომიტეტთან.

რუსეთში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რომ შეიქმნა, გაძლიერდა ამ ორგანიზაციების პარტიად გაერთიანების მისწრაფება. ლენინურმა „ბრძოლის კავშირმა“ მოამზადა ნიადაგი ასეთი გაერთიანებისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობაზე, რომელიც მინსკში გაიმართა 1898 წლის მარტში, ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. ამას დიდი პოლიტიკური და რევოლუციურ-პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ პარტიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა არც პროგრამა, არც წესდება: ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი მალე დაპატიმრებულ იქნა, გაძლიერდა იდეური მერყეობა. სოციალ-დემოკრატიის რიგებში

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 12, აღწ. 16, საქ. 176, ფურც. 3—6.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 1, დაც. ერთ. 1367, ფურც II; ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“ №№ 2,3, 1923 წ.

იდეური დაქსაქსულობა გამოხატავდა ოპორტუნიზმის გაძლიერებას, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ კრიზისის მოვლენებმა მრეწველობაში ადგილი დაუთმო მის ერთგვარ აღმავლობას. სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ჯგუფების მნიშვნელოვანი ნაწილი დაავადებული იყო „ეკონომიზმით“ — ოპორტუნისტული მიმდინარეობით, რომელიც უარყოფდა მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას და პროლეტარიატის ორგანიზებული პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას.

ჯერ კიდევ 1897 წელს პეტერბურგში ჩამოყალიბდა „ეკონომისტთა“ ჯგუფი, რომელმაც სცადა თავის გავლენა გაევრცელებინა ამიერკავკასიაშიც. პეტერბურგიდან ამიერკავკასიაში ჩამოვიდნენ ა. მ. ბოგორაზი და გ. მ. ბოგორაზი, რომლებიც ცდილობდნენ გაეშალათ აქ „ეკონომიზმის“ პროპაგანდა. პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ყოფილი სტუდენტი ა. მ. ბოგორაზი ბაქოში რჩებოდა 1901 წლის მარტამდე. ელიზავეტპოლში დასახლდა მისი ძმა, „ბრძოლის კავშირის“ ყოფილი წევრი გ. მ. ბოგორაზი, რომელიც 1895 წლის დეკემბერში აგრეთვე დააპატიმრეს პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ საქმეზე. შემდეგში გ. მ. ბოგორაზი „ეკონომისტებს“ მიემხრო.[1]

იმ იდეებს, რომლებსაც „ეკონომისტები“ ქადაგებდნენ, კეთილგანწყობილად შეხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენლები.

როგორც კი გაჩნდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რიგებში „ეკონომისტთა“ იდეების შემოღწევის საშიშროება, რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გააჩაღეს ბრძოლა ამ ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ. „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმის საპირდაპიროდ ისინი ხაზს უსვამდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის აუცილებლობას და ცდილობდნენ შეექმნათ ამიერკავკასიაში ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

1898—1900 წლების პერიოდში თბილისის კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა პარტიულ მუშაობას სხვა ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა ბაქოში. ბაქოში მუდმივ სამუშაოზე გადავიდნენ ა. ს. ენუქიძე, რ. თ. კალაძე, ვ. ზ. კეცხოველი, მ. გ. მელიქიანი, ი. თ. სტურუა და სხვები, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და გან-

---

[1] Деятели революционного движения в России. Биобиблиографический словарь, т. V, вып. 1, М., 1931, стр. 398—399.

მტკიცებაში. 1899 წელს შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები რკინიგზის დეპოში, ძმ. ნობელების ამხანაგობის, მანთაშევის, შიბაევის, როტშილდის ქარხნებში და თამბაქოს ფაბრიკებში. 1899 წლის დამდეგს ბაქოში მოქმედებდა ექვსი სოციალ-დემოკრატიული წრე, რომლებიც რამდენიმე ათეულ მუშას აერთიანებდა. წრეები ორგანიზებული იყო ტერიტორიული ნიშნით, და იქ მეცადინეობა სისტემატურად წარმოებდა. პროპაგანდისტები მართავდნენ საუბრებს ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურას. ბაქოს სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს ზომების მიღება ქალაქის სოციალ-დემოკრატიული წრეების გასაერთიანებლად, მაგრამ წრეების გაერთიანება იმ პერიოდში არ მოხერხდა.

1900 წელს ბაქოში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა გაძლიერდა აქტიურად მუშაობდნენ წრეები საპუნჩსა და ბალახანაში — „ბაქოს ნავთობის საზოგადოების“ სარეწებში, მექანიკურ სახელოსნოებში, რამანაში — ვიშაუს ფირმის ქარხანაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. ამ წრეების ორგანიზატორები და ენერგიული ხელმძღვანელები იყვნენ ა. ს. ენუქიძე, მ. გ. მელიქიანი, ი. თ. სტურუა, გ. კ. ტიდემანი, ი. ტ. ფიოლეტოვი და სხვ.

ბაქოელი სოციალ-დემოკრატები საწრეო მუშაობას არ დასჯერდნენ და, დაწყებული 1900 წლიდან, შეუდგნენ მასობრივი კრებების (თავიანთი წევრების გაერთიანებული კრებების) გამართვას. უკვე იმავე წელს მათ შეძლეს შეექმნათ თავიანთი ხელმძღვანელი ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ა. გ. ეიზენბეტი, ა. ს. ენუქიძე, ვ. ზ. კეცხოველი, ნ. პ. კოზერენკო[1].

ბაქოში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მოწყობას დიდად შეუწყო ხელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ ლ. ბ. კრასინმა, რომელიც აქ 1900 წლის ივნისში ჩამოვიდა. მას პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ბაქოს ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი, რომელიც ფაქტიურად რსდმპ ბაქოს კომიტეტის როლს ასრულებდა, დიდ მუშაობას ეწეოდა მუშებში მარქსიზმის პროპაგანდის დარგში. ამასთან ერთად მან დაიწყო თანდათან გადასვლა ვიწრო საწრეო პროპაგანდიდან ფართო აგიტაციაზე მუშებს შორის.

სომხეთში მარქსისტული იდეები თანდათან ვრცელდება 90-იანი წლების დამლევიდან იმ სოციალ-დემოკრატების მეშვეობით, რომ-

[1] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, Баку, 1963, стр. 33.

ლებიც ჩამოვიდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან, აგრეთვე თბილისიდან და ბაქოდან. სომხეთში პირველი მარქსისტული წრის წარმოშობა დაკავშირებულია ს. გ. შაუმიანის რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებასთან. თბილისის რეალური სასწავლებლის მოწაფედ ყოფნისას, იგი დაუახლოვდა რუსეთიდან გადმოსახლებულ მარქსისტებს, შეუდგა მარქსიზმის შესწავლას და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1899 წლის ზაფხულში იგი წავიდა სოფელ ჯალალ-ოღლიში (ახლა სტეფანავანი), სადაც მოახერხა გაეერთიანებინა ადგილობრივი მოწინავე ახალგაზრდობა და შეექმნა მარქსისტული წრე[1]. მასში შედიოდნენ ს. გ. არუთინიანი, ს. ისრაელიანი, ა. გ. თუმანიანი და სხვ. ამ ჯგუფს არც მას შემდეგ გაუწყვეტია კავშირი ს. გ. შაუმიანთან, როცა იგი რიგაში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. წრის წევრებმა, რომლებიც სასტიკ კონსპირაციას იცავდნენ, მოაწყეს პატარა არალეგალური ბიბლიოთეკა და ჰექტოგრაფი.

1898—1900 წლების პერიოდში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მუშათა და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ოპორტუნიზმის სხვადასხვა გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად და რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისათვის ძირითადად ლეგალურ პრესას იყენებდნენ. ისინი თარგმნიდნენ და სცემდნენ პოპულარულ მარქსისტულ ლიტერატურას, ავრცელებდნენ მას მუშებში. ამავე დროს მათ ამოცანად დაისახეს შეექმნათ არალეგალური მარქსისტული პრესა და შეუდგნენ პრაქტიკული ზომების მიღებას მისი შესრულებისათვის.

ამიერკავკასიაში არალეგალურ მარქსისტულ პრესას დასაბამი ჰიეცა თბილისში. სტამბების მოწინავე მუშების დახმარებით ვ. ზ. კეცხოველმა 1898—1899 წლებში ქართულ ენაზე დაბეჭდა სააგიტაციო ბროშურები: ვ. კ. კურნატოვსკის „სამუშაო დღე“, ს. რ. დიკშტეინის „ვინ რით ცხოვრობს“, „სიცრუის გაფიცვა“, აგრეთვე მთელი რიგი ფურცლები. აქამდე არალეგალურად იბეჭდებოდა სააგიტაციო ფურცლები, რომლებიც გამოშვებულ იქნა ჯერ კიდევ 1896 წელს. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების საგამომცემლო მოღვაწეობა მოწმობდა პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის ზრდას. ვ. ი. ლენინი სტატიაში „ჩვენი უახლოესი ამოცანა“ წერდა: „ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშაობამ ჩვენში უკვე საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია. სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელ რუსეთში; მუშათა ფურცლები — სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის

---

[1] Очерки истории Коммунистической партии Армении, стр. 24.

ეს პირველი ფორმა — უკვე ცნობილია ყველა რუსი მუშისათვის, პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე"[1].

1900 წლის დამდეგს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრების ა. ს. კახოიანის, გ. კ. კოზიკიანისა და პ. გ. ფილოსიანის ინიციატივით თბილისში სომხურ ენაზე გამოვიდა ხელნაწერი არალეგალური გაზეთი „ბანვორ" („მუშა"), აგრეთვე ბროშურები და ფურცლები.[2] გამოცემის ინიციატორები პოლიციამ დააპატიმრა 1901 წლის 23 თებერვალს, რის შემდეგაც გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. სულ გამოვიდა 23 ნომერი გაზეთ „ბანვორისა", რომელიც დიდ გამარეკოლუციურებელ გავლენას ახდენდა სომეხ მუშებზე. იგი პროპაგანდას უწევდა რუსეთის ყველა ეროვნების მუშათა შეკავშირების იდეას, მოუწოდებდა ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისაკენ.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებასთან ერთად ამიერკავკასიაში იზრდებოდა მუშათა მოძრაობაც, რომელიც ახლა უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებდა. 1898 წელს გაფიცვები მოხდა ქედაბეკის სპილენძსადნობ ქარხანაში, თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში, სტამბებში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში. ხდებოდა მეეტლეთა, აგრეთვე კასპიის სავაჭრო ფლოტის კაპიტნების თანაშემწეთა გაფიცვები ბაქოში. ასეთი ხასიათის გაფიცვებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თბილისში რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს ორი ათასზე მეტი მუშის დეკემბრის გაფიცვას. გაფიცვის საბაბი გახდა მუშათა შეღავათების გაუქმება და მათი მდგომარეობის გაუარესება იმასთან დაკავშირებით, რომ რკინიგზები კერძო საზოგადოებისაგან სახელმწიფოს გამგებლობაში გადავიდა. თბილისის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ს. ი. ალილუევი, მ. ზ. ბოჭორიძე, ი. თ. სტურუა და ზ. ი. ჩოდრიშვილი. გაფიცვა 14-დან 21 დეკემბრამდე გაგრძელდა. ადგილობრივი ხელისუფალნი ძლიერ შეაშფოთა გაფიცულთა შეუპოვრობამ. კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით რკინიგზის ხაზის რაიონს ჯარები შემოერტყნენ. დაიწყო მუშების დაპატიმრებანი. მაგრამ გაფიცულთა ნებისყოფა ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ გატეხა. 18 დეკემბერს თბილისის კომიტეტის მოწოდებით გაიფიცნენ სადგ. მიხაილოვოს (ხაშურის) რკინიგზის დეპოს მუშები. გაფიცულთ მხარი დაუჭირეს სამტრედიისა და ბათუმის რკინიგზის კვანძების მუშებმაც.

გაფიცული მუშების შეუპოვრობამ რკინიგზის ადმინისტრაცია

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 4. ფვ. 258.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 170, ფურც. 31, 86.

აიძულა დათმობებზე წასულიყო. და გზაზე ძველი წესები აღედგინა. ამ ძლევამოსილმა გაფიცვამ დასაწყისი მისცა ამიერკავკასიის მუშების ახალ მასობრივ გამოსვლებს.

ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე მუშათა კლასის გადასვლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1 მაისის დღესასწაულს. პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღე ამიერკავკასიაში პირველად 1891 წელს აღინიშნა ბათუმში, შემდეგ 1894 წელს — ქუთაისში და 1898 წელს — თბილისში. ეს იყო არალეგალური მაისობანი მუშების მცირერიცხოვანი ჯგუფების მონაწილეობით, რომლებიც ქალაქების განაპირა უბნებში ეწყობოდა[1]. 1899 წლის მაისობამ თბილისში უფრო ორგანიზებულად ჩაიარა. თბილისის კომიტეტმა ქართულ ენაზე გამოსცა და მუშებში გაავრცელა პროკლამაცია „პირველი მაისი"[2], რომელშიც ახსნილი და განმარტებული იყო ამ დღესასწაულის ისტორიული მნიშვნელობა. იგი გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა საქართველოს პროლეტარიატს. მაისობა მოეწყო 19 აპრილს არალეგალურად, ქალაქგარეთ. მას დაესწრო 70-მდე მუშა, წარმოითქვა პოლიტიკური სიტყვები. ვ. ზ. კეცხოველი წერდა, რომ ამ მაისობამ კარგი სამსახური გაუწია მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის განხორციელებას.[3]

მაისობის შემდეგ მუშათა მოძრაობა ფართოვდებოდა უმთავრესად პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე. მუშათა გამოსვლები სისტემატურ ხასიათს იღებდა. 1899 წლის აგვისტოში გაფიცული იყვნენ ქალაქის ცხენის რკინიგზისა და ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი თბილისში, როტშილდის ქარხნისა — ბათუმში. დეკემბერში გაფიცვა მოხდა შარაძის სტამბაში თბილისში. 1900 წლის პირველ იანვარს კვლავ გაიფიცნენ თბილისის ცხენის რკინიგზის მუშა-მოსამსახურენი. ამ გაფიცვის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მ. ზ. ბოჭორიძემ, რ. თ. კალაძემ, ვ. ზ. კეცხოველმა, ი. თ. სტურუამ, ა. გ. წულუკიძემ, ზ. ი. ჩოდრიშვილმა. გაფიცვის დროს პოლიციასთან შეტაკება მოხდა. თუმცა გაფიცვა ჩახშობილ იქნა, მაგრამ ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა ზოგიერთი მოთხოვნა.

1900 წლის 23 აპრილს თბილისში (ქალაქგარეთ) გაიმართა

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 2914, აღწ. I, დაცვ. ერთ. 266, ფურც. 1—2; ფ. ზ. აღწ. 2, ნაწ. I, დაცვ. ერთ. 38, ფურც. 81; газ. «Известия» № 101, 1 мая 1938 г.

[2] Рабочее движение в России в XIX веке, т. 4, 1895—1900 гг., часть вторая, 1898—1900 гг., М., 1963, стр. 167—177.

[3] გაზ. „ბრძოლა" № 2—3, 1901 წ. ნოემბერი — დეკემბერი.

მშრომელთა არალეგალური საპირველმაისო მიტინგი. შეიკრიბა 500-მდე მუშა, მეტწილად რკინიგზელები. წითელი დროშის ქვეშ, რომელზეც მარქსისა და ენგელსის პორტრეტები იყო, წარმოითქვა პოლიტიკური სიტყვები. რსდმპ თბილისის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1901 წლის პირველი მაისი აღენიშნათ დემონსტრაციით თვით ქალაქში[1]

1900 წელს პირველად ფარულად იდღესასწაულეს პროლეტარული მაისობა ბაქოში. პირველ მაისს ბაქოს გარეუბანში სტეფანე რაზინის მთასთან, არალეგალურად შეიკრიბნენ მუშათა წრეების წარმომადგენლები. აქ გაიმართა საუბრები პირველი მაისის დღესასწაულსა და მუშათა ბრძოლის ამოცანებზე[2].

28 მაისს თბილისის სტამბების მუშებმა მოაწყეს კრება 300-ზე მეტი კაცის მონაწილეობით.[3] ივლისში გაფიცული იყვნენ იარალოვის, რუქსისა და კოტრინის მექანიკური ქარხნების, ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების მუშები. 1900 წლის აგვისტოში რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების დიდი გაფიცვა. მის მომზადებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტერბურგის პუტილოვის ქარხნის მუშამ, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" წევრმა მ. ი. კალინინმა, რომელიც მეფის მთავრობამ თბილისში გადმოასახლა. რკინიგზელთა შორის დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ ს. ი. ალილუევი, მ. ზ. ბოჭორიძე, ა. გ. ოქუაშვილი, ი. ბ. სტალინი, ი. თ. სტურუა, პ. ა. ჯაფარიძე, ს. ბ. ჯიბლაძე. მათგან მეტი წილი საგაფიცვო კომიტეტში შედიოდა.

მიუხედავად ხელისუფალთა მხრივ მასობრივი რეპრესიებისა, გაფიცვა ფართოვდებოდა, მან საბრძოლველად ფეხზე დააყენა ოთხი ათასამდე მუშა. გაფიცულ მუშებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ მათი ცოლები, დედები და დები. 15 აგვისტოს გაფიცვა მოედო თბილისის მთელ რიგ საწარმოებს. გაფიცვის დღეებში თბილისის კომიტეტმა გამოუშვა 14 ფურცელი სხვადასხვა სახელწოდებით. მათი ნაწილი ფარულად დაიბეჭდა ლეგალურ სტამბებში, დახარჩენი გამრავლებულ იქნა ჰექტოგრაფზე. მთელი რიგი ფურცლები დაიბეჭდა თბილისის კომიტეტის იატაკქვეშა სტამბაში, რომელიც გაფი-

---

[1] «Искра» № 6, июль 1901 г.

[2] С. М. Киров. Доклад о 25-летии бакинской организации большевиков. Стенографический отчет XIII общебакинской конференции АКП. Баку, 1924, стр. 102.

[3] გაზ. „ბრძოლა" № 1, 1901 წ. სექტემბერი.

ცვის პერიოდში მოეწყო. ეს სტამბა ამიერკავკასიაში პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული სტამბა იყო.

თბილისის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას სხვა ქალაქების მუშები გამოეხმაურნენ. თბილისის მუშებთან სოლიდარობის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს ხაშურისა და ელიზავეტპოლის რკინიგზელებმა. 7 აგვისტოს ელიზავეტპოლის დეპოს მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს და ადმინისტრაციას მოსთხოვეს თბილისელ რკინიგზელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, ხელფასის გადიდება, ჯარიმების გაუქმება და ა. შ.[1] ადმინისტრაცია იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მუშათა ზოგიერთი მოთხოვნა, და ორი დღის შემდეგ დეპოში მუშაობა განახლდა.

თბილისის რკინიგზელთა გაფიცვა დამთავრდა 15 აგვისტოს მუშების დამარცხებით. „მაგრამ ეს დამარცხება, — წერდა შემდეგში გაზეთი „ბრძოლა", — ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი შნიშვნელობით და შედეგებით... დ ა მ ა რ ც ხ დ ნ ე ნ რ ა მ უ შ ე ბ ი გ უ შ ინ, ა მ ი თ მ ა თ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ ო ი მ ზ ა დ ე ს დ ღ ე ი ს ა თ ვ ი ს"[2].

გაფიცვამ თვალნათლივ ცხადყო მუშათა ორგანიზებულობისა და სოლიდარობის მნიშვნელობა. მის მსვლელობაში გაერთიანებულად, მხარდამხარ იბრძოდნენ პროლეტარები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები. გაფიცვამ ძლიერი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე.

მარქსიზმის თესლი სოფელშიც აღწევდა. მუშათა პირველი გაფიცვებისა და მასობრივი გამოსვლების მონაწილეებს — ღარიბი გლეხობიდან ცოტა ხნის წინათ გამოსულთ — რევოლუციური ბრძოლის იდეები შეჰქონდათ გლეხობაში. ბატონყმობის ნაშთები და გლეხთა მძიმე მდგომარეობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა იმისათვის, რომ ამიერკავკასიის მშრომელი გლეხობა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულიყო.

ამრიგად, რუსეთის გმირი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ძლიერი გავლენით და პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" იდეური და ორგანიზაციული ზემოქმედებით მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ამიერკავკასიაში ძლიერდებოდა და 900-იანი წლების დამდეგისათვის მნიშვნელოვანი სიმწიფე გამოიჩინა. ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცალკეულმა რაზმებმა კლასობრივ ბრძოლაში პირველი საბ-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 162, ფურც. 20.

[2] გაზ. „ბრძოლა" № 2—3, 1901 წ., ნოემბერი — დეკემბერი.

რძოლო რევოლუციური ნათლობა ჰიიღეს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული მასების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდისათვის. თბილისში, ბაქოსა და მხარის მთელ რიგ სხვა ადგილებში წარმოიშვნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ჯგუფები და წრეები, რომლებმაც დაიწყეს მარქსიზმის ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის, მუშათა მოძრაობის სოციალიზმის იდეებთან შეერთების განხორციელება.

თავიანთი წარმოშობის პირველი ნაბიჯებიდანვე ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ინტერნაციონალური პრინციპით შენდებოდნენ. ისინი აერთიანებდნენ რუსებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების აგების ინტერნაციონალური პრინციპი, რაც კავკასიაში 1898 წლიდან ხორციელდებოდა, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ეროვნული საკითხის პროლეტარულ გადაწყვეტად.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან მჭიდრო ერთიანობაში ყალიბდებოდნენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ.

თავი მეორე

ამიერკავკასიის გოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა და მათი საქმიანობა

(1901 — 1904 წლები)

1. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარაზმვა ლენინური „ისკრის" გარშემო

1900—1903 წლებში მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა რუსეთიც მოიცვა. სამრეწველო წარმოება მკვეთრად შემცირდა, ასი ათასზე მეტმა კაცმა სამუშაო დაკარგა. კრიზისმა მძიმე გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის ეკონომიკაზეც, განსაკუთრებით ნავთობისა და მარგანეცის მრეწველობაზე. ბაქოს რაიონში ნავთობის ამოღება 1901 წლის 671, 7 მლნ. ფუთიდან შემცირდა 596,9 მლნ. ფუთამდე 1903 წელს.[1] ბაქოში უმოქმედოდ იყო ნავთობის ყველა ჭაბურღილთა ერთ მესამედზე მეტი. წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა მრეწველობის სხვა დარგებშიც. დაიხურა ათობით საწარმო ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ალექსანდროპოლში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. კრიზისს შედეგად მოჰყვა წარმოების შემდგომი კონცენტრაცია, მონოპოლიების გაძლიერება, საშუალო და წვრილ მეწარმეთა უსაქმოდ დარჩენა და გაკოტრება. რამდენადაც მრეწველობაში მოდუნებასთან ერთდროულად გლეხებიც შიმშილობდნენ, კრიზისის შედეგები რუსეთში გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კრიზისმა განსაკუთრებით მძიმე გავლენა მოახდინა მუშათა მდგომარეობაზე. 1900—1903 წლებში ბაქოს რაიონის ნავთობის საწარმოებიდან დათხოვნილ იქნა მუშათა 30 პროცენტზე მეტი, ხოლო ჭიათურის მარგანეცის საწარმოებიდან ქუჩაში გაყარეს მაღაროელთა თითქმის 50 პროცენტი. უმუშევართა არმია იზრდებოდა აგრეთვე

[1] Обзор Бакинской нефтяной промышленности за 1903 г., ч. 1, Баку, 1904, стр. 5.

გაღატაკებული გლეხების ხარჯზე, რომლებიც სამუშაოს ძებნაში ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებს ეტანებოდნენ. კაპიტალისტები ულმობლად ახანგრძლივებდნენ სამუშაო დღეს, ამცირებდნენ ისეც მეტად მცირე ხელფასს.

კრიზისმა რუსეთში დააჩქარა კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში. წარმოების კონცენტრაციის გაძლიერებამ, კაპიტალისტური მონოპოლიების სწრაფმა ზრდამ, ბურჟუაზიული ურთიერთობის გადახლართვამ ბატონყმობის ძლიერ ნაშთებთან, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებამ — ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთი გადაიქცა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტად, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრად. რუსეთი ლენინიზმის სამშობლო გახდა.

ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებულმა უმუშევრობამ და შრომის პირობების გაუარესებამ კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი. მუშათა მოძრაობამ მკვეთრად გამოსახული პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მთელ რუსეთში იმართებოდა მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები, რასაც თან სდევდა სისხლისმღვრელი შეტაკებები ჯარებთან და პოლიციასთან. ოფიციალური, აშკარა შემცირებული მონაცემებითაც კი 1900 წელს მოხდა 125 გაფიცვა, რომლებშიც 29 399 კაცი მონაწილეობდა; 1903 წელს გაფიცვების რიცხვმა მიაღწია 550-ს, ხოლო გაფიცული იყო 86 832 კაცი[1]. „დემონსტრაციებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციათა მონაწილეობა, — წერდა ლენინი, — სულ უფრო ფართო, აქტიური, პირდაპირი ხდება"[2].

ამ პირობებში ისტორიულად აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანა იყო ცენტრალიზებული მარქსისტული პარტიის შექმნა, რომელსაც შეეძლებოდა იდეურად და ორგანიზაციულად შეეკავშირებინა მუშათა კლასი, სათავეში ჩასდგომოდა მშრომელი მასების რევოლუციურ აღმავლობას და უზრუნველეყო დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება.

ცენტრალიზებული მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინურ გეგმაში გადამწყვეტი როლი ეთმობოდა საერთორუსულ პოლიტიკურ გაზეთს. ასეთი გაზეთი გახდა ვ. ი. ლენინის მიერ 1900 წლის დეკემბერში შექმნილი „ისკრა", რომელიც მალე პარტიული ძალების დარაზმვისა და რევოლუციური აღზრდის ცენტრად გადაიქცა. მან უდიდესი მუშაობა შეასრულა რევოლუციური მარქსისტული

---

[1] В. Е. Варзар. Статистика стачек рабочих на фабриках и заводах в 1905 году, СПБ, 1908, стр. 5.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 152.

თეორიის პროპაგანდასა და საერთაშორისო რევიზიონიზმისა და მისი რუსული ნაირსახეობის — „ეკონომიზმის“ მხილებაში.

ხელმძღვანელობდა რა ახალი ტიპის პარტიის მშენებლობას. ვ. ი. ლენინი მჭიდრო კავშირს ამყარებდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რაზმავდა მათ „ისკრის“ გარშემო. ამიერკავკასიელმა ისკრელებმა ჯერ კიდევ 1901 წლის გაზაფხულიდან მჭიდრო კავშირი დაამყარეს „ისკრასთან“, იღებდნენ და ავრცელებდნენ მის ნომრებს და სხვა მარქსისტულ ლიტერატურას, გაზეთის რედაქციაში გზავნიდნენ სტატიებსა და კორესპონდენციებს. საკმარისია ითქვას, რომ ლენინური „ისკრის“ ნომრებში დაიბეჭდა 80-ზე მეტი სტატია, კორესპონდენცია, წერილი, შენიშვნა და სხვადასხვა ცნობა ამიერკავკასიიდან. 1902 წლის თებერვალში გაზეთის რედაქციამ მიუნხენში გამოსცა ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობიდან“ თვით რედაქციის წინასიტყვაობით.

საზღვარგარეთიდან ბათუმისა და ბაქოს გავლით მოდიოდა „ისკრის“ ნომრები და სხვა სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, რომლებიც შემდეგ ამიერკავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა რაიონებში ჩაჰქონდათ. ლიტერატურა საზღვარგარეთიდან არალეგალურად მოდიოდა ძირითადად ასეთი მარშრუტებით: ვენა — თავრიზი — ბაქო და მარსელი — ბათუმი — ბაქო. 1901 წლის გაზაფხულზე ბაქოში შეიქმნა ისკრელთა ჯგუფი[1], რომელიც საზღვარგარეთიდან ლიტერატურის ჩამოტანასა და რუსეთის ფარგლებში მის გავრცელებაზე მუშაობდა. მთელ ამ რთულ და დიდმნიშვნელოვან მუშაობას სათავეში ედგნენ ბაქოელი ისკრელები ლ. ე. გალპერინი, ა. ს. ენუქიძე, ვ. ზ. კეცხოველი, ნ. პ. კოზერენკო, ლ. ბ. კრასინი; მათთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ა. დ. ახუნდოვი, ა. ა. ბეკზადიანი, ი. თ. სტურუა და სხვა სოციალ-დემოკრატები. ბაქოს ისკრელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ვ. ი. ლენინთან, ხშირ მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ მასთან ლიტერატურის ტრანსპორტირების საკითხებზე. 1901—1902 წლების განმავლობაში საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიაში საიდუმლო გზით შემოვიდა ბევრი არალეგალური ლიტერატურა, ასობით ცალი გაზეთი „ისკრა“ და ჟურნალი „ზარია“, პროკლამაციები, ბროშურები. მიღებულ იქნა აგრეთვე ვ. ი. ლენინის ცნობილი შრომა „რა ვაკეთოთ?“.

მაგრამ ამ გზებით მოტანილი „ისკრის“ ეგზემპლარების რაოდენობა საკმარისი არ იყო ამიერკავკასიისა და რუსეთის სოციალ-

---

[1] იმის გამო, რომ „ისკრა“ თავრიზიდან ბაქოში ცხენებით გადმოჰქონდათ, „ისკრის“ რედაქციამ ბაქოს ისკრელთა ჯგუფს მისცა კონსპირაციული სახელწოდება „ცხენები“ («Лошади»).

დემოკრატიული ორგანიზაციების მზარდი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ დადგა საკითხი, რომ „ისკრა“ ადგილებზე გაეგზავნებინათ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი მატრიცებიდან. ბაქოს ისკრელებმა გადაწყვიტეს ამ მიზნისათვის გამოეყენებინათ არალეგალური სტამბა, რომელიც 1901 წლის დამდეგს, ბაქოში მოაწყო ვ. ზ. კეცხოველმა ბაქოელი და თბილისელი სოციალ-დემოკრატების დახმარებით. პარტიულ მიწერ-მოწერაში ამ სტამბამ მიიღო კონსპირაციული სახელწოდება „ნინა“ [1]. 1901 წლის ზაფხულში ვ. ზ. კეცხოველმა ლ. ბ. კრასინის დახმარებით შეძლო გაეფართოებინა სტამბა, გამოეყენებინა იგი გაზეთ „ისკრის“ გადასაბეჭდად და რუსეთისათვის ლიტერატურის დიდი ტირაჟით გამოსაცემად, რაც ბაქოელმა ისკრელებმა აცნობეს ვ. ი. ლენინს[2]. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სტამბას, მუდამ თვალს ადევნებდა მის მუშაობას, საჭირო დახმარებას უწევდა. 1902 წლის გაზაფხულიდან სტამბა „ისკრის“ რედაქციის სრულ გამგებლობაში გადავიდა.

ბაქოს ისკრელებმა საზღვარგარეთის ცენტრს გადაუგზავნეს სტამბა „ნინაში“ დაბეჭდილი ბროშურები და ფურცლები, აგრეთვე აქვე გადაბეჭდილი „ისკრის“ № 11. ნ. კ. კრუპსკაია აღტაცებული იყო ბაქოს სტამბის პროდუქციის ხარისხით. იგი წერდა: „ნინას ხელსაქმე პირდაპირ საუცხოოა“[3]. „მივიღეთ 11 №. პირდაპირ სასწაულია“[4].

ამ სტამბაში 1901 წლის სექტემბერში დაიწყო ქართულ ენაზე პირველი მარქსისტული არალეგალური გაზეთის — საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ორგანოს „ბრძოლის“ ბეჭდვა. გაზეთის შექმნაში აქტიური როლი შეასრულეს ვ. ზ. კეცხოველმა, ი. ბ. სტალინმა, ა. გ. წულუკიძემ. ისინი იყვნენ მეტი წილი სტატიებისა და მასალების ავტორებიც. ლენინური „ისკრა“ მხურვალედ მიესალმა გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლას.[5] გამოსვლის დღიდან გაზეთი „ბრძოლა“ ლენინურ-ისკრულ პოზიციაზე დადგა და იცავდა მარქსისტული პარტიის მშენებლობის ლენინურ გეგმას. იგი იბრძოდა რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირისათვის, ულმობელ ბრძოლას ეწეოდა „ლეგალური

---

[1] „ისკრასთან“ მიწერ-მოწერაში სტამბის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს ვ. ზ. კეცხოველს „ნინას მამას“ («Отец Нины») უწოდებდნენ.

[2] Ленинский сборник VIII, стр. 189.

[3] მლი ცპა, ფ. 24, აღწ. 4, შესან. ერთ. 1960, ფურც. 1.

[4] იქვე, აღწ. 5 წ. დაცვ. ერთ. 1723, ფურც. 1.

[5] «Искра» № 13, 20 декабря 1901 г.

მარქსისტების", „ეკონომისტების", ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

განსაზღვრავდა რა თავის ამოცანებს, გაზეთი „ბრძოლა" ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ მოწინავე სტატიაში აღნიშნავდა: „...ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყველა კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა.

გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოციალ- დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე აუწყოს მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებანი, რასაც ადგია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია"...[1]

თავის ფურცლებზე „ბრძოლა" აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთოპარტიულ საკითხებს. იგი ქართველ მკითხველებს აცნობდა მთელ იმ თეორიულ და ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებსაც აყენებდა და იცავდა ლენინური „ისკრა", რითაც ცხადყოფდა თავის სრულ იდეურ ერთიანობას მასთან.

ბაქოს ისკრელთა ჯგუფის საქმიანობა ხელს უწყობდა „ისკრის" და ისკრული ლიტერატურის გავრცელებას ამიერკავკასიაში. გაზეთის მასალებს სწავლობდნენ და განიხილავდნენ მუშათა წრეებში. რამდენადაც წრეები აერთიანებდნენ ადგილობრივ ეროვნებათა მუშებს, პროპაგანდისტები მუშებისათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე გადასცემდნენ მათ გაზეთის და სხვა პარტიული ლიტერატურის შინაარსს, უპასუხებდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. 1902—1903 წლებში „ისკრა" დანარჩენ მარქსისტულ ლიტერატურასთან ერთად მიდიოდა არა მარტო ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში, იგი აღწევდა შუშის, ჯებრაილის, ელიზავეტპოლის და ბაქოს მაზრების სოფლებშიც, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ერევნის გუბერნიების, ბათუმის და ყარსის ოლქების მთელ რიგ სოფელ ადგილებში.

ლენინური „ისკრის" იდეებმა განსაზღვრეს მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიმართულება ამიერკავკასიაშიც. ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდასა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკური გამოსვლების ორგანიზაციაში დიდ დახმარებას უწევდნენ ცენტრალური რუსეთიდან ჩამოსული პროფესიონალი რევოლუციონერები ზ. ი. ლიტვინ-სედოი, ა. ს. შაპოვალოვი,

---

1 ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. I, გვ. 9.

ვ. კ. კურნატოვსკი — გამოჩენილი ისკრელი, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლენინის იდეების განხორციელებაში და 1901 წელს თბილისში საპირველმაისო დემონსტრაციის მოწყობაში.

ამიერკავკასიის მუშებისა და მშრომელი გლეხებისათვის შთამაგონებელი მაგალითი მათს რევოლუციურ ბრძოლაში კვლავ იყო კლასობრივი ბრძოლები, რომლებიც ამ წლებში რუსეთის ცენტრალურ რაიონებში გაჩაღდა. თავისი გაბედული გამოსვლით სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა, იგი გახდა რუსეთის მშრომელთა და ჩაგრულთა ბელადი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოწინავე რიგებში ჩადგა.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლები წარმოადგენდნენ დიდმნიშვნელოვან რგოლს რუსეთის მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლებში.

თბილისის რკინიგზელთა აგვისტოს (1900 წ.) გაფიცვის შემდეგ საგაფიცვო მოძრაობა თბილისში თითქმის არა წყდებოდა. მარტო 1901 წლის იანვარ-თებერვალში თბილისის სამრეწველო საწარმოებში და სახელოსნოებში 15 გაფიცვა მოხდა. საგაფიცვო მოძრაობა იზრდებოდა ბაქოშიც. მრავალეროვანი ამიერკავკასიის მუშათა სოლიდარობა სულ უფრო მტკიცე ხდებოდა, ეკონომიური გაფიცვები სულ უფრო ხშირად ერთვოდა პოლიტიკურ გაფიცვებს, იქცეოდა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლად.

მუშათა მასების რევოლუციური აღმავლობის მკაფიო გამოხატულება იყო საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში და ბაქოელ მუშათა პირველმაისობა 1901 წელს. 1 მაისის დღის წინ თბილისში გამოშვებულ იქნა საპირველმაისო ფურცლები ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, იწვევდნენ მუშათა კრებებს, რომლებზეც განიხილავდნენ გამოსვლების გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლების წინ მასობრივად დააპატიმრეს თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატები (მათ შორის ვ. კ. კურნატოვსკიც) და მოწინავე მუშები, 22 აპრილს თბილისში, ქალაქის ცენტრში, 2 ათასზე მეტი მუშა შეიკრიბა. დემონსტრანტებმა აღმართეს წითელი დროშა, რომელზეც გამოსახული იყო მარქსისა და ენგელსის პორტრეტები. „ისკრამ“ ამ ამბავს უწოდა „ისტორიულად ღირსშესანიშნავი მთელი კავკასიისათვის“.[1]

მუშათა არალეგალური საპირველმაისო გამოსვლა შედგა ბაქო-

[1] «Искра» № 6, июль 1901 г.

შიც, სტეფანე რაზინის მთასთან. ამ გამოსვლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმაში, რომ მუშათა მოძრაობა ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადავიდა.

პირველი მაისის ამბების შემდეგ საგაფიცვო მოძრაობა ამიერკავკასიაში კვლავ იზრდებოდა. 1901 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ზედიზედ მოხდა გაფიცვა თბილისისა და ბაქოს ათობით საწარმოში.

თბილისისა და ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ ზრუნავდნენ თავიანთი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის პირველი არალეგალური კონფერენციის მოწვევა თბილისში 1901 წლის 11 ნოემბერს.[1] მას დაესწრო 25 დელეგატი, რომლებიც თბილისის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიულ წრეს წარმოადგენდნენ. კონფერენციაზე განხილულ იქნა მუშებიდან ხელმძღვანელი კადრების მომზადების, არალეგალური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების, თბილისში არალეგალური სტამბის მოწყობის და სხვა საკითხები. კონფერენციამ აირჩია ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ თბილისის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ა. გ. ოქუაშვილი, ი .ბ. სტალინი, გ. ა. ყარაჯიანი (ს. ტ. არკომედი),ზ. ი. ჩოდრიშვილი, გ. ი. ჩხეიძე, ვ. ზ. ცაბაძე, ს. მ. ჯუღელი და სხვ. [2]. კონფერენციის დამთავრებისთანავე რსდმპ თბილისის კომიტეტმა ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღა მის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა ბაქოს პარტიული ორგანიზაცია. ჯერ კიდევ 1901 წლის გაზაფხულზე ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფი გაფართოებულ იქნა. მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ მარქსისტული წრეების ხელმძღვანელი პროპაგანდისტები,[3] მის ბაზაზე შემდეგში ჩამოყალიბდა რსდმპ ბაქოს კომიტეტი ლენინურ-ისკრული მიმართულებისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლ. ე. გალპერინი, ა. გ. ეიზენბეტი, ა. ს. ენუქიძე, ვ. ზ. კეცხოველი, ბ. მ. კნუნიანცი,

---

[1] კონფერენციის მუშაობა წარმოებდა ავლაბარში (ამჟამად 26 კომისრის რაიონი).

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, საქ. 30, ტ. I, ფურც. 79. გ. ა.ყარაჯიანი, ვ. ზ. ცაბაძე, ს. მ. ჯუღელი შემდეგში მენშევიკები გახდნენ.

[3] Второй съезд РСДРП. Протоколы. М., 1959, стр. 514.

მ. გ. მელიქიანი, ლ. ბ. ფაინბერგი და სხვ.[1]. ბაქოს კომიტეტს ორგანიზაციულ და საagიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდნენ ა. ა. ბეკზადიანი, ნ. პ. კოზერენკო, ლ. ბ. კრასინი, მ. მ. მამედიაროვი, ი. თ. სტურუა, ვ. ა. შელგუნოვი და სხვ.

თბილისის და ბაქოს კომიტეტებმა მასობრივი პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს, აწყობდნენ შეკრებებს, არალეგალურ კრებებს, გაფიცვებს, ავრცელებდნენ ფურცლებსა და სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას, აწყობდნენ საიდუმლო სტამბებს, სალაროებს სოციალ-დემოკრატთა ფულადი ფონდის შესავსებად. პარტიული მუშაობის უკეთ მოწყობის მიზნით ბაქოს კომიტეტმა შექმნა რაიონული პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში რაიკომები ედგნენ. ბაქოში არსებობდა ხუთი რაიონული პარტორგანიზაცია: ბალახნის, ბიბი-ეიბათის; შავი ქალაქის, თეთრი ქალაქისა და საქალაქო. რსდმპ ბაქოს კომიტეტთან, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა კომიტეტებთან, შექმნილი იყო სარედაქციო კოლეგია, მუშაობდნენ სატრანსპორტო და სასტამბო ჯგუფები, კონსპირაციული ბინების მომწყობი ჯგუფები, ორგანიზებულ იქნა პოლიციის აგენტებისათვის თვალის დევნება და სხვ.

დიდი ყურადღება ეთმობოდა პარტიულ მუშაობას ბათუმში. მის მოსაწყობად 1901 წლის ნოემბერში ბათუმში გაიგზავნა რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი ი. ბ. სტალინი. მან კავშირი დაამყარა მოწინავე მუშებთან, შემდეგში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიურ წევრებთან — ნ. ე. გაბუნიასთან, ი. მ. დარაჩველიძესთან, ს. ი. თოდრიასთან, ს. შ. ლომჯარიასთან, კ. ნ. ქალანთაროვთან, პ. გ. ქურიძესთან და სხვ. „მესამე დასის" ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც მაშინ ბათუმში მოქმედებდნენ, ნოემბერ—დეკემბერში შეიქმნა ბათუმის მთელი რიგი საწარმოების მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები, ხოლო 1901 წლის 31 დეკემბერს მოწვეულ იქნა ამ წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ლენინურ-ისკრული მიმართულებისა, რომელმაც 1902 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტის სახელწოდება მიიღო.[2] კომიტეტმა დიდი საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა ერთდროულად ქართულ, სომხურ და რუ-

---

[1] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 36.
ა. გ. ეიზენბეტი და ლ. ბ. ფაინბერგი შემდეგში ჩამოშორდნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას.

[2] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 682.

სულ ენებზე. რსდმპ თბილისის კომიტეტის დახმარებით ბათუმში დაარსდა საიდუმლო სტამბა, მისი მოწყობილობა ჩაიტანეს ს. ა. ტერ-პეტროსიანმა (კამო) და გ. პ. თელიამ. ისინი ხელმძღვანელობენ ლიტერატურული მასალის მიწოდებასაც. სტამბის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ს. ი. თოდრია.

1901 წელს თბილისიდან გასახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა ვ. კ. როძევიჩ-ბელევიჩმა (ორესტ სემინი), ნ. ს. სოკოლოვსკიმ, პ. ა. ჯაფარიძემ და სხვ. შექმნეს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ქუთაისში; ეს ჯგუფი რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ქალაქის მუშებს, ხელოსნებს, ნოქრებსა და მოსწავლეებს შორის. ჯგუფმა შეიძინა ჰექტოგრაფი, რომელზეც ამრავლებდნენ არალეგალურ ფურცლებს.

1901 წელს მუშაობა გააფართოვა და გააძლიერა მარქსისტულმა წრემ ჯალალ-ოღლიში. მისი ჰექტოგრაფირებული ფურცლები ვრცელდებოდა გარშემო სოფლებში, აგრეთვე ამიერკავკასიის ზოგიერთ სხვა რაიონში. იმავე ხანებში პირველად შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული წრე ერევანში. მასში უმთავრესად შედიოდნენ რკინიგზის და შუსტოვის ქარხნის მუშები. წრემ კავშირი დაამყარა რსდმპ თბილისის კომიტეტთან, მისგან იღებდა მარქსისტულ ლიტერატურას[1]. ამ წრის აქტივისტები იყვნენ ს. კ. (შამშე) ლეონავა, ო. მელქუმიანი, ლ. ო. ტერ-ოვსეპიანი, ა. მ. ჰანტურია და სხვ. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი შეიქმნა ალექსანდროპოლში; მის შემადგენლობაში ძირითადად რკინიგზის მუშები შედიოდნენ. 1902 წელს სოციალ-დემოკრატიული წრე დაარსდა ალექსანდროპოლის სამხედრო გარნიზონში, იგი ალექსანდროპოლის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის განყოფილებად ითვლებოდა და თავისი არალეგალური ბიბლიოთეკა ჰქონდა[2].

1901—1902 წლებში თბილისისა და ბაქოს კომიტეტების ხელმძღვანელობით სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები არსდება გორში, ხაშურში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში, ხონში, ალავერდში, ყარსში და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში.

1902 წლის შუა ხანებში თბილისში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი", რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის მშრომელ სომეხთა შესაკავშირებლად რსდმპ დროშის ქვეშ. კავშირში შედიოდნენ:

---

1 შამშე ლეონავა. რევოლუციური ბრძოლა და პარტიული მუშაობა. თბილისი. 1932, გვ. 25—29.

2 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 113, საქ. 19, ფურც. 12—13.

რ. პ. დაშტოიანი, ა. ა. ერზინკიანი, ა. გ. ზურაბოვი, ბ. მ. კნუნიანცი, მ. გ. მელიქიანი, დ. ა. შავერდოვი (დ. ა. შავერდიანი), ს. გ. შაუმიანი, ს. მ. ხანოიანი, ა. ქ. ხუმარიანი და რსდმპ თბილისისა და ბაქოს ორგანიზაციების სხვა აქტიური მოღვაწეები.

კავშირის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო თბილისში საიდუმლო სტამბის შექმნა და ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი სომხური გაზეთის — „პროლეტარიატის" გამოცემა. გაზეთის პირველი ნომერი დათარიღებულია 1902 წლის ოქტომბრით. მასში გამოქვეყნებულია „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის მანიფესტი". ვ. ი. ლენინი გაზეთ „ისკრაში" მოთავსებულ სტატიაში მიესალმებოდა „კავშირის" შექმნას და მისი ორგანოს გამოსელას. „ჩვენ სულით და გულით მივესალმებით „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის" მანიფესტს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და განსაკუთრებით მის შესანიშნავ ცდას — სწორად დააყენოს ნაციონალური საკითხი".[1] გაზეთი „პროლეტარიატი", ისევე როგორც „ბრძოლა", იცავდა ლენინური „ისკრის" პრინციპებს. გაზეთ „პროლეტარიატის" რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ბრძოლის" რედაქციასთან.[2] ორივე გაზეთში ქვეყნდებოდა საერთო კორესპონდენციები, მიმოხილვითი სტატიები, მოცემული იყო რედაქციის ერთნაირი კონსპირაციული მისამართი — „შტუტგარტი, დიტცის გამომცემლობა", რაც აგრეთვე მოწმობდა, რომ ამიერკავკასიელ ლენინელებს კავშირი ჰქონდათ გაზეთ „ისკრის" რედაქციასთან.

რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ისკრის" რუსული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას და 1902 წლის იანვარში მისი ბიუროს შექმნას სამარაში გ. მ. კრჟიჟანოვსკის მეთაურობით. ასრულებდნენ რა „ისკრის" რედაქციის მითითებებს, ამიერკავკასიის ისკრულ ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ სამარის ბიუროსთან.

ამრიგად, უკვე 1901—1902 წლებში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მტკიცედ დადგნენ ლენინური „ისკრის" მხარეზე და მათი დიდი უმრავლესობა იცავდა ლენინურ პრინციპებს და მარქსისტული პარტიის ტაქტიკას. „ისკრას" სრულ სოლიდარობას რომ უცხადებდნენ და იგი ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოდ რომ აღიარეს, ეს ოფიციალურად განაცხადეს თბილისის და ბაქოს კომიტეტებმა[3]. 1902 წლის შემოდგომაზე ნ. კ. კრუპსკაია

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 402.

2 „ბრძოლის" № 4 დაიბეჭდა 1902 წ. დეკემბერში რსდმპ თბილისის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში.

3 მლი ცპა, ფ. 2, აღწ. 1, შესან. ერთ. 884, ფურც. 9.

რუსეთში გაგზავნილ ერთ-ერთ თავის წერილში უსაფუძვლოდ როდი უწოდებდა თბილისის კომიტეტს ისკრულს[1]. თბილისის, ბაქოს, ბათუმის და ამიერკავკასიის ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის სოციალ-დემოკრატები იდგნენ „რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისზე იმ სახით, რა სახითაც მან გამოხატულება ჰპოვა ორგანოებში „ისკრასა“ და „ზარიაში“[2]. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ როცა გამოვიდა ლენინის შრომა „რა ვაკეთოთ?“, რომელშიც „ეკონომიზმის“ გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად მოცემული იყო ახალი ტიპის პარტიის მშენებლობის კონკრეტული პროგრამა, ამას მათ შორის უთანხმოება და გათიშვა არ გამოუწვევია. რსდმპ II ყრილობაზე ბაქოს კომიტეტის მოხსენებაში ამის შესახებ, მაგალითად, ნათქვამი იყო: „თავის ძირითად პრინციპებში კომიტეტი ეთანხმებოდა მას (წიგნს „რა ვაკეთოთ?“ — **რედ.**) და რამდენადაც ძალა შესწევდა ახორციელებდა დასახულ პროგრამას“[3].

უკვე 1902 წლის შემოდგომისათვის რსდმპ კომიტეტების უმრავლესობა „ისკრის“ პოზიციაზე დადგა, რამაც შესაძლებელი გახადა პრაქტიკულად განხორციელებულიყო რუსეთის პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინური გეგმა. 1902 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინის ინიციატივით პსკოვში გაიმართა „ისკრის“ რუსეთის ორგანიზაციის და სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც დაარსდა რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი (სკ).

საორგანიზაციო კომიტეტმა სწრაფად დაამყარა კავშირი სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტებთან ადგილებზე და დიდი მუშაობა გააჩაღა ყრილობისათვის მოსამზადებლად. ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ ამიერკავკასიის ისკრული ორგანიზაციებიც. იმავე წლის შემოდგომაზე ბაქოსა და ბათუმში იყო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ი. ი. რადჩენკო, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ყრილობისათვის წარმატებით მომზადების საქმეს.

ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ცნეს პარტიის II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი, აზრი გამოთქვეს ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ და აქტიურად დაიწყეს მზადება მისთვის. მათ კონტაქტები დაამყარეს საორგანიზაციო კომიტეტთან და ყრილობისათვის მოხსენებების მომზადებას შეუდგნენ. ბაქოს სტამბა „ნინაში“, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის განკარგუ-

---

[1] История Коммунистической партии Советского Союза, т. I, М., 1964, стр. 433—434.

[2] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 518.

[3] იქვე, გვ. 519.

ლებაში გადაეცა, დიდი ტირაჟებით დაიბეჭდა „ცნობა რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ“ „რსდმპ პროგრამის პროექტი“, საორგანიზაციო კომიტეტის ფურცლები და სხვა მასალები, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იგზავნებოდა.

ყრილობისათვის მომზადებასთან ერთად ამიერკავკასიის ისკრელები განაგრძობდნენ მუშაობას პარტიული რიგების გასაწმენდად სხვადასხვა ოპორტუნისტული ელემენტებისაგან. იმის გამო, რომ ოპორტუნიზმის ძირითადი სოციალური ბაზა — მუშათა არისტოკრატია — ამიერკავკასიის პროლეტარულ ცენტრებში მეტად სუსტად იყო წარმოდგენილი, მარცხს განიცდიდა სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტთა ცდები პოლიტიკური ბრძოლის გზიდან გადაეცდინათ მუშათა კლასი, წარემართათ იგი „ეკონომიზმის“ გზით, ლეგალური კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფარგლებით შეეზღუდათ სოციალ-დემოკრატების საქმიანობა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში „ეკონომისტებმა“ რამდენადმე სერიოზული გავლენა ვერ მოიპოვეს. მაგალითად, ბაქოში ვრცელდებოდა „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“, ესერებისა და სხვ. გამოცემები, მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო, რსდმპ ბაქოს კომიტეტის მოხსენებაში პარტიის II ყრილობისადმი, „ლეგალურ მარქსიზმსა“ და მის ლიტერატურას აქ არავითარი გავლენა არა ჰქონიათ[1].

მწვავედ აკრიტიკებდნენ რა „ეკონომისტებსა“ და „ლეგალურ მარქსისტებს“, ამიერკავკასიის ისკრელები თანმიმდევრულად იცავდნენ ლენინურ იდეას მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის და რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

თუმცა იმ პერიოდში ადგილობრივი ნაციონალისტები დიდი სიმპათიით იყვნენ გამსჭვალული სოციალისტ-რევოლუციონერებისადმი, საქმით ესერებიც დიდხანს ვერ ახერხებდნენ თავიანთი ორგანიზაციები შეექმნათ ბაქოში, თბილისში და სხვა ქალაქებში.

რაც შეეხება „ეკონომიურ ხაზს“, ბაქოში იგი არასოდეს არ ყოფილა აღიარებული, პირიქით, რსდმპ ბაქოს კომიტეტი ეწეოდა პროპაგანდასა და აგიტაციას პროლეტარიატის თითქმის მხოლოდ და მხოლოდ წმინდა პოლიტიკური ბრძოლის სულისკვეთებით. ამის მიზეზი იყო კრიზისი ნავთობის მრეწველობაში, „რომელიც არავითარ შესაძლებლობას არ იძლეოდა ეფიქრათ ეკონომიურ ბრძოლაზე

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 519.

და წმინდა ეკონომიურ ორგანიზაციებზე"[1]. შემთხვევითი როდი იყო, რომ ბაქოს კომიტეტის წევრი ლ. ბ. ფაინბერგი, „ეკონომიზმის" განადგურებაზე რომ ლაპარაკობდა, „ეკონომიზმის" დროის შესახებ წერდა როგორც უკვე საბოლოოდ განვლილზე[2], თუმცა ბაქოს ორგანიზაციის შიგნით შემდეგშიც ჰქონდა ადგილი ოპორტუნისტების ცალკეულ გამოხდომებს.

საერთაშორისო რევიზიონიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას — „ეკონომიზმს" მკვეთრად აკრიტიკებდნენ გაზეთები „ბრძოლა" და „პროლეტარიატი". „...ჩვენს წინ, — ნათქვამია „ბრძოლის" მოწინავე სტატიაში, რომელიც დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ, — იშლება პერიოდი **უპირატესად პოლიტიკური ბრძოლისა.** ასეთი ბრძოლა ჩვენთვის აუცილებელია, რადგან არსებულ პოლიტიკურ პირობებში ეკონომიურ ბრძოლას (გაფიცვებს) არ შეუძლია არსებითი რამ მოგვცეს"[3].

„ეკონომისტების" თეორიის საუკეთესო უარყოფას წარმოადგენდა ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური გამოსვლები 1901 წელს, რომლებმაც ცხადყო, რომ მუშები ვერ დასჯერდებიან მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას და უნდა წამოაყენონ პოლიტიკური მოთხოვნები, გამოვიდნენ პოლიტიკური თავისუფლებებისათვის ბრძოლის თაოსნებად.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შიგნით რევოლუციურ მარქსიზმსა და ოპორტუნიზმს შორის იდეურ ბრძოლაში გაიმარჯვა რევოლუციურმა მარქსიზმმა, რომლის დროშითაც მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობისათვის მზადება. ყოველივე ამაში დიდი როლი შეასრულა ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებისა და ჯგუფების ორგანიზაციულმა ჩამოყალიბებამ, რომლებიც დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ ფართო მასებში.

ამიერკავკასიის მუშათა კლასი სულ უფრო გაბედულად გამოდიოდა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე; უკვე 1901 წლით დაწყებული აქ არც ერთი, თუნდაც ყველაზე მშვიდობიანი, გაფიცვა არ დამთავრებულა ისე, რომ არა ყოფილიყო შეტაკებები პოლიციასთან და ჯარებთან, არა ყოფილიყო მასობრივი რეპრესიები. პროლეტარიატი სულ უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი მან უნდა ეძებოს მხოლოდ გადამწყვეტ ბრძოლაში ბურჟუაზიულ-მემამულური თვითმპყრობელური წყო-

---

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 519.

[2] «Искра» № 43, 1 июля 1903 г.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 29.

ბილების წინააღმდეგ. ეს შეგნება განამტკიცებდა მუშათა კლასობრივ სოლიდარობას. ამჟიდროებდა მათს რიგებს.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ამიერკავკასიის პროლეტარიატმა დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერა 1902 წელს. იანვარ — თებერვალში რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ჯერ კიდევ გამოსვლებამდე კომიტეტმა მთელი რიგი არალეგალური კრებები გამართა.

როტშილდის ქარხანაში გაფიცვასთან და 32 მუშის დაპატიმრებასთან დაკავშირებით 1902 წლის 8 მარტს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მანიფესტაცია, რომელიც მისი 348 მონაწილის დაპატიმრებით დამთავრდა. პროტესტის ნიშნად 9 მარტს გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია 6 ათასი კაცის მონაწილეობით. მუშები წითელი დროშებით მიდიოდნენ ქალაქის ქუჩებში. ჯარებთან და პოლიციასთან შეტაკებაში მოკლული იქნა 15, დაიჭრა 54 და დაპატიმრებულ იქნა 500-მდე დემონსტრანტი. ბათუმის 9 მარტის დემონსტრაციის დახვრეტამ აამოძრავა ამიერკავკასიის და მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა მასები. 9 მარტის ამბების შემდეგ ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, ფოთში და საქართველოს სხვა ქალაქებში ახალი ძალით გაჩაღდა საგაფიცვო მოძრაობა. ბათუმიდან გასახლებულმა მუშებმა — დემონსტრაციის მონაწილეებმა საქართველოს და ამიერკავკასიის სოფლებში გაიტანეს რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგები. ისინი, ნათქვამი იყო „ისკრაში", „სოფლად რევოლუციური მოძრაობის პიონერები გახდნენ".[1]

მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდით შეშფოთებული მეფის ხელისუფალნი სულ უფრო მეტად მიმართავდნენ რეპრესიებს და მხეცურად უსწორდებოდნენ მუშებსა და სოციალ-დემოკრატებს. 1902 წლის თებერვალში ამიერკავკასიის მთელ რიგ სამრეწველო და პროლეტარულ ცენტრებში მთავრობამ შემოიღო „გაძლიერებული დაცვა" და მიმართა მასობრივ რეპრესიებს; დაპატიმრებულ იქნა რსდმპ თბილისის კომიტეტის თითქმის ყველა წევრი, აგრეთვე ბაქოს ბევრი მოწინავე მუშა.

1902 წლის 5 აპრილის ღამით ბათუმის კომიტეტის სხდომის დროს დაპატიმრებულ იქნენ ი. ბ. სტალინი და კომიტეტის სხვა წევრები. ი. ბ. სტალინი ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ 1903 წლის დამლეკა გადასახლებულ იქნა აღმოსავლეთ ციმბირში. 1902 წლის 2 სექტემბერს დააპატიმრეს და ჯერ ბაქოს საპყრობილეში, ხოლო შემდეგ თბილისის მეტეხის ციხეში ჩასვეს ვ. ზ. კეცხოველი.

---

[1] «Искра» № 28, 15 ноября 1902 г.

ვ. ზ. კეცხოველის დაპატიმრებასთან დაკავშირებით შეფერხდა ბაქოს სტამბის აღდგენა, რომელმაც 1902 წლის გაზაფხულზე დროებით შეწყვიტა მუშაობა. იგი მხოლოდ 1902 წლის დეკემბრიდან ამოქმედდა. მასში მუშაობდნენ ი. ბ. ბოლქვაძე, ტ. თ. ენუქიძე, ს. ი. თოდრია, ი. თ. სტურუა, ა. ქ. ხუმარიანი, უ. ს. ჯაში და სხვები. სტამბამ დაბეჭდა ცნობა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ, რსდმპ პროგრამის პროექტი, შემუშავებული „ისკრისა" და „ზარიას" მიერ, და სხვ. სტამბის უშუალო ხელმძღვანელობას ლ. ბ. კრასინი ახორციელებდა.

ბაქოს არალეგალური სტამბის ინტენსიურ მუშაობას აღტაცებაში მოჰყავდა ვ. ი. ლენინი. გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი მისი 1903 წლის 3 აპრილის წერილის ბოლოში ნ. კ. კრუპსკაიას ხელით მიწერილია: „...ნინა მთელი დატვირთვით მუშაობს, გადაბეჭდავს ხოლმე სტატიებს ზარიადან, ნიუნი ნოვგოროდის შუშათა სიტყვებს და ბეჭდავს ფურცლებს".[1]

რსდმპ მეორე ყრილობიდან ცოტა ხნის შემდეგ ბაქოს არალეგალური სტამბა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა.

1902 წლის დასაწყისში ახალი ძალით გაჩაღდა ბაქოელ მუშათა საგაფიცვო ბრძოლა. თებერვალში გაიფიცნენ მანთაშევის, როტშილდის, ტერ-აკოფოვის ფირმების ქარხნებისა და სახელოსნოების მუშები. მარტში გაფიცვები მოაწყეს შავი ქალაქის, ბიბი-ეიბათის ქარხნებისა და სახელოსნოების მუშებმა. გაფიცვები მოხდა ბარტდორფის ქარხანაში, მირზაბეკიანცის ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში.

პოლიციელთა მხრივ დევნის მიუხედავად, რსდმპ ბაქოს კომიტეტმა შეძლო მოემზადებინა მუშათა პირველი ღია საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა 21 აპრილს ქალაქის ცენტრში, პარაპეტის რაიონში (ამჟამად კ. მარქსის სახელობის სკვერი). სადღესასწაულო სვლაში მონაწილეობდა 5 ათასამდე კაცი. შეფასებას რომ აძლევდა ამ დემონსტრაციის როლს, „ისკრის" კორესპონდენტი წერდა: „დემონსტრაციამ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა მუშათა წრეში. მან მხნეობა შემატა მუშებს და შთააგონა საკუთარი ძალის რწმენა".[2] უკვე პირველი კლასობრივი ბრძოლების მსვლელობაში ბაქოს პროლეტარიატი რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში გამოდიოდა, ხოლო ბაქოს ორგანიზაცია იქცე-

---

[1] Ленинский сборник VIII, стр. 341.

[2] «Искра» № 24, 1 сентября 1902 г.

ოდა ვ. ი. ლენინის დასაყრდენად ახალი ტიპის პარტიის მშენებლობისათვის მის ბრძოლაში.

ამრიგად, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პირველ რევოლუციურ შეტაკებებში იწრთობოდნენ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რუსეთში ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

2. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობა და რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. მასობრივი რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში 1903 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში

1903 წელს — XX საუკუნის დამდეგის სამრეწველო კრიზისის უკანასკნელ წელს — ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მისი ისკრული ორგანიზაციები რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი ზრდის ვითარებაში შეხვდნენ.

„გაძლიერებული დაცვის შესახებ“ დებულების შემოღების და კრიზისთან დაკავშირებით წარმოქმნილი სიძნელეების მიუხედავად, ამიერკავკასიის რევოლუციური პროლეტარიატი გაბედულად და შეუპოვრად მიიწევდა ახალი კლასობრივი ბრძოლების საწარმოებლად. სოციალ-დემოკრატიის რიგებში შედიოდნენ შეგნებულ მუშათა ახალი რაზმები, მისი ხელმძღვანელი კადრები ივსებოდა ახალი, გამოცდილი პარტიელი რევოლუციონერებით, რაც დიდ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის რევოლუციური განწყობილების შემდგომ ზრდაზე.

1903 წლის თვით დასაწყისი (2 და 12 იანვარი) აღინიშნა რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ უნარიანად ორგანიზებული პოლიტიკური დემონსტრაციებით, რაც საპყრობილეში ნაწამები ახალგაზრდა რევოლუციონერის მ. მეგრელიძის, აგრეთვე რკინიგზის სახელოსნოების მუშის ა. ლეონტიევის დაკრძალვასთან დაკავშირებით გაიმართა. იანვარ—თებერვალში გაფიცვები მოხდა იარალოვის ქარხანაში და თბილისის ცხენის რკინიგზაზე. თებერვლის დამლევს, 1861 წლის საგლეხო რეფორმის დღესთან დაკავშირებით, თბილისის კომიტეტმა მოაწყო პოლიტიკური დემონსტრაცია 6 ათასი კაცის მონაწილეობით, რასაც მოჰყვა სისხლისმღვრელი შეტაკებები კაზაკებთან და პოლიციასთან.[1] კაზაკების მიერ ანგარიშის გასწო-

[1] «Искра» № 37, 1 апреля 1903 г.

რების შედეგად ქალაქის ქუჩები კვლავ შეიღება მუშათა სისხლით. პოლიციამ 150-მდე მუშა დააპატიმრა.

იანვარში გაიფიცნენ მეთამბაქოე მუშები ბათუმში. ცალკეული გაფიცვები ეკონომიურ მოთხოვნათა ნიადაგზე მოხდა ბაქოს საწარმოებში. ბაქოელ მუშათა პოლიტიკურმა დემონსტრაციამ, რომელიც რსდმპ კომიტეტმა 1903 წლის 2 მარტს მოაწყო, თავისი მასშტაბებითა და რევოლუციური გაქანებით ქვეყნის მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობა შესძრა. მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლის წინა დღეებში სოციალ-დემოკრატთა და მოწინავე მუშათა მთელი ჯგუფი დააპატიმრეს, დემონსტრაციამ წარმატებით ჩაიარა[1]. მან ფართო გამოხმაურება გამოიწვია მთელ რუსეთში და ბაქოს პროლეტარიატისათვის დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც მეფის ხელისუფალნი აიძულა გაეძლიერებინათ ქალაქის გარნიზონი და მასობრივი რეპრესიებისათვის მიემართათ.

1903 წლის მარტში ბათუმში გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაციები და გაფიცვები მოხდა 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად. ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, დემონსტრაციებისა და გაფიცვების ტალღა ბათუმში დიდხანს არ ცხრებოდა. „რუსეთში ზუბატოვის ექსპერიმენტებს (იგულისხმება ჟანდარმთა პროვოკატორ ზუბატოვის ნიერ წამოწყებული ფანდი „პოლიციური სოციალიზმისა“ — **რედ.**), — წერდა „ისკრა“, — პროლეტარიატმა კვლავ მკაფიო პასუხი გასცა **პოლიტიკური** დემონსტრაციებით როსტოვსა და ტომსკში, ბელოსტოკსა და ბათუმში, ბაქოსა და თბილისში“[2].

ამიერკავკასიის მშრომელთა უფრო მნიშვნელოვანი ერთობლივი რევოლუციური გამოსვლების მოწყობის, მათ მიერ ურთიერთისათვის მხარდაჭერისა და მათ შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების ამოცანები მოითხოვდნენ მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კიდევ უფრო მეტ შეკავშირებას, მათი ღონისძიებების კიდევ უფრო მჭიდროდ გაერთიანებას. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ასეთი გაერთიანების ინიციატივა, აგრეთვე ამ მიზნით მათი ყრილობის მოწვევის იდეა რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტებს ეკუთვნოდა. ეს შემთხვევით როდი იყო, რადგან ეს კომიტეტები თავიანთი საქმიანობის დასაწყისიდანვე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ყოველდღიურ მუშაობაში ხშირად მიმართავდნენ ერთმანეთს დახმა-

---

[1] «Искра» № 37, 1 апреля 1903 г.

[2] იქვე.

რებისათვის, ერთმანეთს უზიარებდნენ მუშაობის გამოცდილებას და რევოლუციურ ლიტერატურას, თანამშრომლობდნენ პარტიული ტექნიკის გასაჰართავად მასალების შეძენის საქმეში, უთანხმებდნენ ერთმანეთს კაპიტალისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი ღია გამოსვლების მოწყობას.[1]

წანადადებას ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობის მოწვევის შესახებ მალე მხარი დაუჭირეს რსდმპ ბათუმის კომიტეტმა, აგრეთვე სხვა კომიტეტებმა და ჯგუფებმა.

უკვე 1902 წლის დამლევს ბაქოსა და თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები შეუდგნენ გაერთიანების იდეის რეალიზაციას და ყრილობის მომზადებას. მათმა წარმომადგენლებმა, რომლებიც 1903 წლის იანვარში თბილისში შეიკრიბნენ, შეიმუშავეს გაერთიანების ძირითადი იდეური პრინციპები და გაზეთების „ბრძოლისა" და „პროლეტარიატის" რედაქციებთან დააარსეს ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის მომწვევი ბიურო, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ყრილობის მოსამზადებლად.

ყრილობა შეკრიბა არალეგალურად თბილისში მარტის შუა რიცხვებში. მას დაესწრო 15 დელეგატი რსდმპ თბილისის, ბაქოს, ბათუმის კომიტეტებისაგან, ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, მიხაილოვოს (ხაშური) სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისაგან, გაზეთების „ბრძოლისა" და „პროლეტარიატის" რედაქციებისაგან, აგრეთვე მთელი რიგი აქტიური პარტიული მუშაკები.

ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც ყრილობაზე განიხილეს, იყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი. ყრილობამ მიზანშეწონილად ცნო ამ გაერთიანების ერთ-ერთი ჩამოყალიბებული ფორმა — კომიტეტების კავშირი. ასეთი კავშირები წარმოიშვა რუსეთის ცალკეულ რაიონებში განსაკუთრებულ პირობებში — მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელესთან დაკავშირებით, რაც მოითხოვდა რევოლუციური აგიტაციის წარმოებას ერთდროულად რამდენიმე ენაზე, აგრეთვე ეროვნული ურთიერთობის განსაკუთრებულობისა და სირთულის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის თავისებურებათა მილებას მხედველობაში და ა. შ. კომიტეტთა კავშირის სახით უკვე მოქმედებდნენ რსდმპ ჩრდილოეთის კავშირი, ურალის და ციმბირის კავშირები, რომლებიც წარმოადგენდნენ ადგილობრივი სოციალ-

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 520.

დემოკრატიული ორგანიზაციების რეგიონალურ გაერთიანებებს და ძოასწავებდნენ გარდამავალ ეტაპს საოლქო გაერთიანებებიდან საერთო რუსეთის გაერთიანებაზე. ასეთი გაერთიანების იდეოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების გამომუშავებაში უდიდესი როლი შეასრულეს „ისკრამ“ და ვ.ი. ლენინის შრომამ „რა ვაკეთოთ?“

სერიოზული უთანხმოებანი და დავა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობაზე წარმოიშვა კავკასიის კავშირის შექმნის საკითხის განხილვისას. კავშირის საორგანიზაციო წესდების განხილვის დროს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების აგების ლენინური გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა ნ. ნ. ჟორდანია. იგი მოითხოვდა ეგრეთწოდებული „ფართო, დემოკრატიული პრინციპის“ განხორციელებას და რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციების ავტონომიის აღიარებას. პოლიციური რეჟიმის პირობებში და ყოველგვარი დემოკრატიული ელემენტების სასტიკი დევნის ვითარებაში ასეთი მოთხოვნა პარტიას არსებითად შეუზღუდავი მასობრივი რეპრესიების ობიექტად ხდიდა და მისი კადრების განადგურების საფრთხეს ქმნიდა. აი რატომ იყო, რომ ლენინს ამგვარი მოთხოვნები მიაჩნდა ფუჭ და მავნე თამაშობად[1]. ყრილობამ 14 დელეგატის ხმით უარყო ეს მოთხოვნა, ისევე როგორც მოთხოვნა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ავტონომიის შესახებ. და მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო რსდმპ კავკასიის კავშირი, რომლის ხელმძღვანელი ორგანო გახდა კავკასიის კავშირის კომიტეტი. როგორც საორგანიზაციო წესდების პროექტიდან ჩანს, კავკასიის კავშირი და მისი კომიტეტები უნდა ყოფილიყვნენ მხარის ყველა მუშათა წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ისინი.

ყრილობის გადაწყვეტილებას რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის მთელი პროლეტარული ძალების შეკავშირებისათვის. ნიშნავდა რა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აგების ლენინური ინტერნაციონალური პრინციპის დიდ გამარჯვებას, მან დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული განკერძოებულობისა და უთანხმოების მოსპობის საქმეში, რასაც ცარიზმი განზრახ ნერგავდა ამიერკავკასიის ხალხებს შორის.

რსდმპ კავკასიის კავშირი, როგორც სამხარეო ორგანიზაცია,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 5, გვ. 608—609.

თავდაპირველად აერთიანებდა რსდმპ თბილისის, ბაქოს, ბათუმის, გურიისა და იმერეთის ორგანიზაციებს[1].

ყრილობამ კავკასიის კავშირი რსდმპ-ის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. „ისკრის“ რედაქციისადმი კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი წევრის წერილში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული, რომ „ეს კავშირი უკვე თავისი წარმოშობით რუსეთის პარტიის ნაწილი იყო...“[2] ყრილობამ სოლიდარობა გამოუცხადა ლენინურ „ისკრასა“ და „ზარიას“, „საერთოპარტიული პროგრამის გამომუშავებამდე მიიღო „ისკრისა“ და „ზარიას“ პროგრამის პროექტი როგორც სახელმძღვანელო, ვიდრე იგი პარტიულ ყრილობაზე იქნებოდა მიღებული...“[3], მოიწონა მათ ნიერ შემუშავებული ტაქტიკა და საორგანიზაციო გეგმა პარტიის აგებისა და საფუძვლად დაუდო ისინი თავის მუშაობას, აღიარა „ისკრა“ რსდმპ ხელმძღვანელ ორგანოდ. „ისკრის“ რედაქციისადმი 1903 წლის 22 მარტის წერილში კავკასიის კავშირის კომიტეტი წერდა: „კავშირის კომიტეტმა უდიდესი უმრავლესობით მიიღო „ისკრისა“ და „ზარიას“ პროგრამა. დამყარებულია მჭიდრო კავშირი კავშირის კომიტეტსა და რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიას შორის. საორგანიზაციო კომიტეტის პროექტი მიღებულია“[4].

ყრილობამ გამოიმუშავა და მიიღო კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდება. რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1903 წლის შემოდგომაზე დაამტკიცა წესდება. ამავე დროს კავკასიის კავშირი დაამტკიცა როგორც პარტიის რაიონული ორგანიზაცია[5].

ყრილობამ აირჩია კავშირის ხელმძღვანელი ორგანო — კავკასიის კავშირის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: მ. ზ. ბოჭორიძე, ა. გ. ზურაბოვი, დ. ა. თოფურიძე, ბ. მ. კნუნიანცი, ფ. ე. მახარაძე, ნ. ნ. ჟორდანია, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე, ს. ბ. ჯიბლაძე (ა. გ. ზურაბოვი, დ. ა. თოფურიძე, ნ. ნ. ჟორდანია და ს. ბ. ჯიბლაძე შემდეგში მენშევიკებს მიემხრნენ). კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ნ. ნ. ალაჯალოვა, ვ. ს. ბობროვსკი, მ. ნ. დავითაშვილი, დ. ს. პოსტოლოვსკი, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, ს. მ. ხანოიანი, ა. ქ. ხუმარიანი, პ. ა. ჯაფარიძე.

---

[1] კავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის პროგრამის პროექტი. ჟენევა. 1903, გვ. 15—16.

[2] «Искра» № 50, 15 октября 1903 г.

[3] Третий съезд РСДРП. Протоколы, М., 1959, стр. 607.

[4] Журн. «Красный архив» № 4 (59), 1933 г., стр. 48.

[5] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 30.

ყრილობის გადაწყვეტილებით კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში არჩეული 9 წევრიდან სამი მაინც მუდმივად უნდა ყოფილიყო თბილისში როგორც ბიურო კავშირის კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოს რედაქციასთან; ბიუროს ამოცანაში შედიოდა „ურთიერთობა კავშირის ორგანიზაციებთან, პარტიის საორგანიზაციო კომიტეტთან და საერთოდ პარტიასთან“.[1] ყრილობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მოსიარულე პროფესიული რევოლუციონერის დანიშვნა, რომელსაც ყოველთვიურად უნდა ენახულა კავშირის თვითეული ორგანიზაცია, დახმარებოდა მათ თავისი რჩევით. ამ ფუნქციას კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები რიგრიგობით ასრულებდნენ.

ურთიერთობა კავშირის კომიტეტსა და რსდმპ კომიტეტებს შორის ადგილებზე, გამოცემების, შრიფტის და სხვ. გადაგზავნა წარმოებდა უმთავრესად რკინიგზის მოსამსახურეთა საშუალებით, რომლებთანაც დამყარებული იყო კავშირი ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ ხაზზე. სწორედ ასეთი გზით იყო უზრუნველყოფილი მიტანის სიჩქარე და უშიშროება. გარდა ამისა, ხშირად პირადად დადიოდნენ კომიტეტის წარმომადგენლები.

განიხილა რა რსდმპ II ყრილობის მოწვევის საკითხი და მოიწონა პარტიის ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის წესდება და საქმიანობა, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობამ მიიღო საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება ყრილობაში მონაწილეობის შესახებ. ვინაიდან რსდმპ II ყრილობის დროისათვის კავკასიის კავშირი ჯერ კიდევ ორგანიზაციული ჩამოყალიბების სტადიაში იყო, რსდმპ კომიტეტებს შორის შეთანხმებით გადაწყდა ყრილობაზე გაეგზავნათ დელეგატები სამი დამოუკიდებელი კომიტეტისაგან: ბაქოს, თბილისისა და ბათუმის კომიტეტებისაგან, რის შესახებ ყანუცხადეს საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც ამიერკავკასიაში 1903 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა[2]. რსდმპ II ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ: თბილისის კომიტეტისაგან — დ. ა. თოფურიძე, ბაქოს კომიტეტისაგან — ბ. მ. კნუნიანცი და ბათუმის კომიტეტისაგან — ა. გ. ზურაბოვი.

კავკასიის კავშირის პირველი ყრილობა შეუერთდა „ისკრის“ პოლიტიკურ ხაზს, საფუძვლად მიიღო მისი პროგრამის პროექტი[3] და დაავალა კავშირის კომიტეტს შეემუშავებინა პროგრამის პროექ-

---

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 607.

[2] ბლი-ს ცპა, ფ. 157, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 50. ფურც. 170.

[3] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 607.

ტი და განსახილველად წარმოედგინა იგი კავშირის უახლოესი ყრილობისათვის. კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტს საფუძვლად დაედო „ისკრისა“ და „ზარიას“ მიერ გამომუშავებული პროგრამის პროექტი, მაგრამ მასში შეტანილ იქნა მცდარი დამატებანი და ცვლილებანიც. პროექტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ საჭიროა დამყარდეს პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო ერთა თვითგამორკვევის უფლების ნაცვლად წამოყენებული იყო მოთხოვნა ფედერალიზმის პრინციპზე აგებული დემოკრატიული რესპუბლიკისა. ეს მცდარი მოთხოვნები აღებული იყო „ლეგალური მარქსისტების“ ჟურნალ „ჟიზნის“ რედაქციის მიერ შემუშავებული პროგრამიდან[1].

კავკასიის კავშირის პროგრამის პროექტი არ ყოფილა დამტკიცებული და შემდეგში იგი მოიხსნა. რსდმპ II ყრილობის შემდეგ კავკასიის კავშირი ხელმძღვანელობდა პარტიის პროგრამით, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება კავშირის ბეჭდვითი ორგანოს შესახებ. ყრილობამ დაადგინა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ორგანო ორ ენაზე — შინაარსის მიხედვით ძირითადად ერთნაირი — და ამ მიზნით გააერთიანა ქართული გაზეთი „ბრძოლა“ და სომხური გაზეთი „პროლეტარიატი“ საერთო სახელწოდებით „პროლეტარიატის ბრძოლა“ — ქართულ ენაზე, „პროლეტარიატი კრივ“ — სომხურ ენაზე. შემდეგში გაზეთი რუსულ ენაზეც გამოდიოდა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მხარის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, ისინი ხელს უწყობდნენ მათს იდეურ ორგანიზაციულ განმტკიცებას. როგორც სამხარეო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანომ მუშაობა დაიწყო კავკასიის კავშირის კომიტეტმა — პირველმა საერთო-სამხარეო პარტიულმა ორგანომ, რომელსაც წილად ხვდა შეესრულებინა დიდი როლი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის და პარტიული ორგანიზაციების ბედში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის წლებში.

თავისი საქმიანობის პირველივე დღეებიდან კავკასიის კავშირის კომიტეტმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ვ. ი. ლენინთან და

---

1 კავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის პროგრამის პროექტი, გვ. 8.

ბისი ერთგული დასაყრდენი გახდა. საზღვარგარეთიდან და რუსეთის სამრეწველო ცენტრებიდან ამიერკავკასიაში გამოგზავნილი გამოცდილი პარტიული მუშაკების საშუალებით ვ. ი. ლენინი დახმარებას უწევდა კავკასიის კავშირის კომიტეტს, წარმართავდა მის მუშაობას. ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა კავკასიის კავშირის კომიტეტთან, მისი წერილები მხარის თვალსაჩინო პარტიული მოღვაწეებისადმი დიდმნიშვნელოვან მითითებებს შეიცავდნენ და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მათი წარმატებითი მუშაობისათვის.

ვ. ი. ლენინის დირექტივებისა და მითითებების გარდა, კავკასიის კავშირის კომიტეტი ზემდგომი პარტიული ორგანოებისაგან იღებდა მათს დადგენილებებს, არალეგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებს, ფურცლებს და სხვ.

კავკასიის კავშირის კომიტეტს დახმარებას უწევდა მ. გორკი, რომელიც მესამედ ჩამოვიდა საქართველოში 1903 წლის ივნისში. ნაწილი შემოსავლისა, რაც მიღებულ იქნა პიესა „ფსკერზე"-ს სპექტაკლებით, რომლებიც თბილისის თეატრალურმა საზოგადოებამ დადგა, მან კავკასიის კავშირის კომიტეტს შესწირა[1]

ასრულებდნენ რა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობის გადაწყვეტილებებს და მიჰყვებოდნენ ლენინური „ისკრის" ხაზს, კავკასიის კავშირის კომიტეტმა და პარტიულმა კომიტეტებმა ადგილებზე ყრილობის შემდეგ დიდი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. კავშირის კომიტეტის წევრები დადიოდნენ ადგილებზე, პარტიის კომიტეტებს დახმარებას უწევდნენ მასებში რევოლუციური მუშაობის მოწყობაში, პარტიული ორგანიზაციების რიგების განმტკიცებაში. მთელი ამ მუშაობის შედეგად იზრდებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების, კომიტეტებისა და ჯგუფების რიცხვი. 1903 წელს რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით ა. ს. კახოიანმა და მ. გ. შელიქიანმა შექმნეს სოციალ-დემოკრატიული წრე ახპატში; ეს წრე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა გლეხებს შორის. ამ წრის აქტიური წევრები იყვნენ ს. ისრაელიანი, მ. თანდილიანი, ს. შამბარიანი და სხვ[2]. ახპატის ჯგუფი იყო ერთ-ერთი პირველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული უჯრედი სომხეთში. ასეთივე წრეები შეიქმნა ალავერდში, სანაინის დეპოში და სადგურში, ალექსანდროპოლის რკინიგზის დე-

---

[1] ЦГАОР, ф. ДП, 00, 1898 г., д. 9, часть 52, л. 42.

[2] ს. ე ე ო ი ა ნ ი. ლორის რევოლუციური წარსულიდან. ძველ ბოლშევიკთა მოგონებანი, ერევანი, 1958, წიგნი I (სომხურ ენაზე), გვ. 47.

პოში და გარნიზონში, ერევანში რკინიგზაზე და კონიაკის ქარხანაში. ცალკეულმა სოციალ-დემოკრატებმა და მათმა ჯგუფებმა მოქმედება იწყეს აგრეთვე ელიზავეტპოლში და შუშაში.

1903 წლის მაისის დამდეგს კავკასიის კავშირის კომიტეტის ინიციატივით ქუთაისში 3 თვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე გადაწყდა ქუთაისში შეექმნათ ორი კომიტეტი: ქუთაისის კომიტეტი — ქალაქის ხელოსანთა და მუშათა შორის, უმთავრესად ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროელთა შორის მუშაობისათვის, და კომიტეტი იმერეთის სოფლის პროლეტარიატსა და გლეხობას შორის მუშაობისათვის. კონფერენციამ დაადგინა ასეოთვე კომიტეტი შექმნილიყო ბათუმში, გარდა რსდმპ ბათუმის კომიტეტისა, გურიის სოფლის მოსახლეობაში მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. ეს კომიტეტი ბათუმში დაარსდა კონფერენციიდან უკვე ერთი კვირის შემდეგ, კავშირის კომიტეტის ორი წარმომადგენლის თანადასწრებით. მაგრამ მალე, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ქუთაისის ორივე კომიტეტი მთელი რიგი მიზეზების გამო, უმთავრესად კონსპირაციულ მოსაზრებათა გამო, გაერთიანდა ერთ კომიტეტად და შეიქმნა რსდმპ იმერეთის კომიტეტი. შემდეგში, დაახლოებით 2 თვის შემდეგ, როცა გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა სამეგრელო და იმერეთის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები, მას ეწოდა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი [1].

ამრიგად, რსდმპ II ყრილობის მოწვევის მომენტისათვის რსდმპ ადგილობრივი კომიტეტების, ხოლო შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის მეოხებით ძირითადად დამთავრდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ორგანიზაციული გაფორმება, რომლებშიც ლენინურ-ისკრულმა მიმართულებამ გაიმარჯვა.

ამზადებდნენ რა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას ახალი შეტაკებებისათვის მეფის თვითმპყრობელობასთან ბურჟუაზიასა და მემამულეებთან, კავკასიის კავშირის კომიტეტი და რსდმპ კომიტეტები, რომლებიც კავშირში შედიოდნენ, დიდ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწეოდნენ ადგილებზე. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას", რომელიც 1903 წლის აპრილ—მაისიდან ქართულ-

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 609—610.

და სომხურ ენებზე გამოდიოდა. გაზეთის პირველი ნომერი რომელიც დათარიღებულია 1903 წლის აპრილ—ქაისით[1], დაიბეჭდა სტამბა „ნინაში". მასში გამოქვეყნებული იყო ვ. ი. ლენინის სტატია „თვითმპყრობელობა ირყევა...". კავშირის კომიტეტი 1903 წლის მაისიდან ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" დამატების სახით უშვებდა „პროლეტარიატისა" და „ბრძოლის" ფურცლებს. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" — „პროლეტარიატი კრივ" — იდენტური შინაარსით ქართულ და სომხურ ენებზე — „ბრძოლისა" და „პროლეტარიატის" მემკვიდრე იყო, განაგრძობდა მათს ტრადიციებს და დაუღალავად ეწეოდა ლენინური იდეების პროპაგანდას. სანამ ამ ორგანოს რუსულ ენაზე გამოსცემდა, კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა სულ ცოტა ხნის წინათ დამთავრებული ყრილობის გადაწყვეტილებით, ფართოდ ავრცელებდა „ისკრასა" და „ზარიას". გარდა ამისა, რევოლუციური ბრძოლის იმ საკითხების გასაშუქებლად, რომლებიც მთელი კავკასიისათვის საერთო იყო, გადაწყდა გამოეცათ ფურცლები რუსულ ენაზე.

1903 წლის გაზაფხულიდან 1905 წლის მარტამდე კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გამოსცა ნახევარ მილიონამდე ცალი ფურცლები და მოწოდებანი[2], მთელი რიგი ბროშურები ქართულ და სომხურ ენებზე. მოგვარებულ იქნა ფურცლების გამოცემა აზერბაიჯანულ ენაზეც. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 1903 წლის 7 მაისითა და 4 ივნისით დათარიღებულ ყოველკვირეულ ჩანაწერებში აღნიშნული იყო, რომ 30 აპრილს ბაქოს რკინიგზის სახელოსნოებში აღმოჩენილ იქნა „თათრულ (აზერბაიჯანულ — რედ.) ენაზე ჰექტოგრაფირებული პროკლამაციები 1 მაისის დღესასწაულის გამო, რომლებსაც სათაურად ჰქონდა „ძმებო მუსლიმანებო". მოწინავე მუშის აიკ ადამიანის (პ. გ. ფილოსიანის) კორესპონდენციაში, რომელიც მან 1903 წლის 14 ნოემბერს გაგზავნა ჟენევაში, აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტი გამოსაცემად ამზადებს ბროშურებსა და ფურცლებს აზერბაიჯანულ ენაზე[3]. მთელი ეს ლიტერატურა ვრცელდებო-

---

[1] განაგრძობდა რა გაზეთების „ბრძოლისა" და „პროლეტარიატის" ნუმერაციას, გაერთიანებული გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლის" პირველი ნომერი გამოვიდა № 5—6-ით ქართულ ენაზე და „პროლეტარიატი კრივ" № 2—3 სომხურ ენაზე, ე. ი. გაერთიანებამდე გამოვიდა „ბრძოლის" ოთხი ნომერი და „პროლეტარიატის" ერთი ნომერი.

[2] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 132.

[3] ბლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 41, საქმე 7, ფურც. 16.

და ქალაქებში, სამხედრო ნაწილებში და უფრო შეზღუდული რაოდენობით — სოფლად.

ბაქოში კვლავ წარმატებით მოქმედებდა ცენტრალური პარტიული სტამბა „ნინა“, რომელიც არალეგალური ბეჭდვითი ტექნიკისა და მარქსისტული ლიტერატურის ძლავრ ბაზად იქცა. 1902 წლის დეკემბერში ბაქოს კომიტეტმა შეძლო შეექმნა საკუთარი სტამბაც, რომელიც ბეჭდავდა ფურცლებს, მოწოდებებს და სხვა რევოლუციურ ლიტერატურას რუსულ და სომხურ ენებზე. 1903 წლის ზაფხულში ამ სტამბის გამოცემებისათვის დაიწყეს აზერბაიჯანული შრიფტის შეძენაც[1].

კავკასიის კავშირის კომიტეტი და კავშირის ადგილობრივი კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სიტყვიერ პროპაგანდასაც. მის ფართო მასშტაბით საწარმოებლად თვითეულ ადგილობრივ კომიტეტებთან გამოყოფილი იყვნენ პროპაგანდისტები. ასე, მაგალითად, ბათუმის კომიტეტთან მოქმედებდა წრე, რომელშიც 11 პროპაგანდისტი შედიოდა. სპეციალურ წრეებში ამზადებდნენ პროპაგანდისტთა კადრებს მოწინავე მუშებიდან. მასებთან კავშირის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად ბათუმის კომიტეტი ხშირად გზავნიდა პროპაგანდისტებსა და არალეგალურ ლიტერატურას ჭიათურაში, ტყიბულში, ქუთაისში, ფოთში[2]. იმ მუშათა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომლებმაც რეპრესია განიცადეს რევოლუციური მოღვაწეობისათვის, კომიტეტმა შექმნა მუშათა სალარო.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია — გაყოფილი იყო სამ რაიონულ ორგანიზაციად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა პარტიული და პროპაგანდისტული მუშაობის უკეთ მოწყობისათვის.

როგორც კავკასიის კავშირის სხვა ორგანიზაციები, რსდმპ ბაქოს ორგანიზაცია სიტყვიერი აგიტაციის მიზნით მასობრივ კრებებს იყენებდა. ასეთი კრებები იმართებოდა უმთავრესად მინდვრად, ქალაქის განაპირა უბნებში. მარტო 1902 წლის ოქტომბრიდან 1903 წლის ზაფხულამდე განვლილ პერიოდში გაიმართა 12 მასობრივი კრება, რომელთაგან თვითეულს 100-ზე მეტი კაცი დაესწრო. ეს კრებები, რომლებსაც ჩვეულებრივ მოსალოდნელი დემონსტრაციის წინ იწვევდნენ, სერიოზული საagიტაციო საშუალება იყო.

მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ამიერკავკასიაში გაჩაღდა ფართო აგიტაცია 1903 წლის საპირველმაისო დემონსტრაციებისათვის მომ-

---

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 528.

[2] იქვე, გვ. 683, 685.

ზადების მიზნით. დემონსტრაციებისათვის მზადების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები მ. ზ. ბოჟორიძე, ა. გ. ზურაბოვი, ბ. მ. კნუნიანცი, ფ. ე. მახარაძე, დ. ს. პოსტოლოვსკი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე და სხვ. წინასამაისო აგიტაცია წარმატებითი აღმოჩნდა: მან რევოლუციური განწყობილება გააძლიერა ისეთ ადგილებშიც კი, რომლებიც მანამდე სულაც არ ყოფილან ჩაბმული უშუალო პოლიტიკური აგიტაციის სფეროში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა არაკეთილსაიმედოებად გამოაცხადა ისეთი მაზრებიც კი, სადაც წინათ ერთი პროპაგანდისტიც არ გამოჩენილა.[1]

კავკასიის კავშირის კომიტეტის ათეულ ათასობით ფურცლები და პროკლამაციები საპირველმაისო დემონსტრაციების მომზადებისათვის მოწოდებებით, გამოცემული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ვრცელდებოდა მხარის ყველა კუთხეში, აღწევდა მიყრუებულ სოფლებშიც კი.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" ცნობებით, 16—26 აპრილის განმავლობაში ფურცლების, გაზეთებისა და სხვა არალეგალური გამოცემების ტირაჟმა 40 ათას ცალს გადააჭარბა. დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ფურცელმა, რომელშიც სამხედრო ოლქების ჯარებისადმი მიმართვა იყო.

წარმატებით ეწეოდა წინასამაისო აგიტაციას რსდმპ ბაქოს ორგანიზაცია. როგორც „ისკრაში" იყო აღნიშნული, „სამაისო აგიტაციას აქ გაძლიერებით ეწეოდნენ"[2], გავრცელებულ იქნა ბაქოს კომიტეტის, კავკასიის კავშირის კომიტეტის და რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის სამაისო ფურცლები[3].

მაისის დღეებისათვის გაძლიერებულმა მზადებამ მეფის ხელისუფალთა ყურადღება მიიპყო, რომლებიც შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს მთელ ამიერკავკასიაში გაჩაღებულ წინასამაისო აგიტაციას.

საპირველმაისო დემონსტრაციებს აპრილში წინ უძღოდა მთელი წყება მშრომელთა გაფიცვებისა, მასობრივი კრებებისა და დემონსტრაციებისა ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში, ფოთში და სხვა ადგილებში. იმავე ხანად დაიწყეს გაფიცვა ალავერდისა და შამლუღის სპილენძის მაღაროების მუშებმა, რომლებმაც ფრანგულ ფირმას მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვ-

---

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 608.

[2] «Искра» № 40, 15 мая 1903 г.

[3] «Искра» № 40, 15 мая 1903 г., № 42, 15 июня 1903 г.

ნები წაუყენეს. ამით რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება სომხეთის პროლეტარიატის ყველაზე შეკავშირებული ნაწილი.

მთელი ამ გაცხოველებული მუშაობის მსვლელობაში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები არ ივიწყებდნენ მომავალი საპირველმაისო გამოსვლების მონაწილეთა ძირითადი ბირთვის—ორატორებისა და მუშათა ხელმძღვანელების მომზადებას.

27 აპრილს თბილისსა და ბაქოში მძლავრი საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა. ამ დღეს თბილისის ქუჩებში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. ვინაიდან წინათ დასახული მარშრუტები ჯარების მიერ დაკავებული აღმოჩნდა, დემონსტრანტებმა მიიღეს სიგნალი შეკრებილიყვნენ არტისტული საზოგადოების თეატრის წინ, სადაც მათ იწყეს თავმოყრა გაშლილი წითელი დროშებით, ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს თავისუფლებას!“, „გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!“ დროშის გარშემო ჯერ 400-მდე კაცმა მოიყარა თავი, მაგრამ მათი რაოდენობა სულ უფრო მატულობდა. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, — იგონებდა შემდეგში დ. ს. პოსტოლოვსკი, — თითქოს მთავრობას გადაეწყვიტოს გაემართა „პარადი“ საპირველმაისო პროლეტარული დღესასწაულის პატივსაცემად“.[1] ისინი კოლონად დაეწყენენ და რევოლუციური სიმღერებითა და რევოლუციური შეძახილებით მიდიოდნენ გოლოვინის პროსპექტზე. დემონსტრანტებმა შეძახილებით „ძირს თვითმპყრობელობა!“ გზა განაგრძეს.პოლიციის პირველ რაზმებთან შეხვედრისთანავე ისინი აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნა ბევრი დემონსტრანტი[2]. ახალი გამოსვლების მოლოდინში ხელისუფლებმა ქალაქში გააძლიერეს ჯარისა და პოლიციის რაზმები.

ამ დღეს 10 ათასზე მეტი მუშა გამოვიდა დემონსტრაციაზე ბაქოში. მისი დაწყების სიგნალი იყო წითელ დროშების აღმართვა პარაპეტის მოედანზე, მჭიდრო რიგებად მიდიოდნენ დემონსტრანტები ნიკოლოზის ქუჩაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავს დაესხნენ ქალაქის პოლიციელები გაშიშვლებული ხმლებით და დააპატიმრეს ორი მედროშე და 18 კაცი პირველ რიგებში მიმავალთა რიცხვიდან, დემონსტრაციის მონაწილენი შეუპოვრად განაგრძობდნენ სვლას. მაგრამ აქ გამოძახებულმა კაზაკებმა და ჯარისკაცებმა მათ გზა გადაუკრეს: დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. დემონსტრანტებს სცემდნენ მათრახებით, ხმლებით, ესროდნენ რევოლვერებს. ამის შედე-

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 269, ფურც. 2.

[2] «Искра» № 40, 15 мая 1903 г.

გად 12 დემონსტრანტი მძიმედ დაიჭრა. ბევრმა მოწინავე მუშამ განიცადა რეპრესიები. იმავე დღეს, ცოტა უფრო გვიან, დემონსტრაციები გაიმართა ვაგზლის რაიონში და ბალახანაში[1]. „ამ დღეს, — ეწერა რსდმპ ბაქოს კომიტეტის პროკლამაციაში, — ჩვენი რევოლუციური რაზმი სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად ზეიმობდა მაისის საყოველთაო დღესასწაულს და არყევდა საძულველი თვითმპყრობელური წყობილების საფუძვლებს"[2]. 1 მაისს ქალ. ბაქოს ცალკეულ საწარმოებში მოხდა გაფიცვები საერთაშორისო პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნად.

ბათუმში ვერ მოხერხდა დემონსტრაციის მოწყობა, რადგან სოციალ-დემოკრატებს აშინებდა, რომ ამას შესაძლოა დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა. მასებში ძლიერი რევოლუციური მღელვარება შესამჩნევი იყო 1 მაისის დღეს გურიაში.

1903 წელს 1 მაისის დღესასწაული პროლეტარიატის სრულიად რუსეთის გამოსვლად გადაიქცა. მაისის გაფიცვა-დემონსტრაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. ისინი წარმოადგენდნენ პოლიტიკური აღზრდის სკოლას, არევოლუციურებდნენ მშრომელებს, უნერგავდნენ მათ საკუთარი ძალის რწმენას.

1903 წლის მაის—ივნისში ცალკეული უმნიშვნელო გაფიცვები მოხდა ბაქოს, თბილისისა და ბათუმის საწარმოებში. უკვე პირველი პროლეტარული მაისობების, გაფიცვებისა და ქუჩის დემონსტრაციების მსვლელობაში ამიერკავკასიის პროლეტარებმა ცხადყვეს თავიანთი კლასობრივი ინტერესების ერთიანობის შეგნება. ბურჟუაზიასთან და თვითმპყრობელობასთან პირველი კლასობრივი შეტაკებების ქარცეცხლი რომ გაიარეს, ისინი 1903 წლის ზაფხულის გრანდიოზული საყოველთაო გაფიცვების წამომწყებებად გამოვიდნენ.

1903 წლის 1 ივლისს დაიწყო ბაქოს მუშების გაფიცვა. უკვე 4 ივლისს მან საყოველთაო ხასიათი მიიღო, კოლოსალურად გაფართოვდა და მოიცვა ქარხნებისა და სარეწების მუშათა მნიშვნელოვანი მასა. გაჩერდა ელექტროსადგურები, შეწყდა მოძრაობა რკინიგზაზე, ჩაკვდა ქალაქის სამრეწველო ცხოვრება, დადუმდნენ ქარხნების, ორთქლმავლებისა და გემების საყვირები, გაჩერდა ცხენის რკინიგზა, დაიხურა მაღაზიები. მუშები მთელ რაზმებად დადიოდნენ

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 12, აღწ. 16., ს. 572, ფურც. 75—80; «Искра» № 40, 15 мая 1903 г.

2 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 8, ფურც. 1.

სარეწაო-საქარხნო რაიონში, ყველგან აჩერებდნენ მუშაობას. „სამი-ოიცხვიდან, — იუწყებოდნენ მეფის ხელისუფალნი ბაქოდან, — დაიწყო ხელოსნებისა და მუშების არნახული საყოველთაო გაფიცვა, ყველა იმ მუშათა რიცხვი, რომლებმაც მუშაობა შეწყვიტეს, ყრილობის (ნავთობის მრეწველთა ყრილობის — **რედ.**) საბჭოს მოწაცემებით, 40 ათას კაცს აღწევს“[1].

ბაქოს პროლეტართა მიერ დაწყებულ შეუპოვარ ბრძოლას მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინური „ისკრა“, რომელიც სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს, შენიშვნებსა და ვრცელ კორესპონდენციებს ბაქოს ამბების შესახებ.

თუმცა პირველად გაფიცვამ სტიქიურად იფეთქა, მაგრამ შემდეგში იგი მიმდინარეობდა რსდმპ კავკასიის კავშირის და ბაქოს კომიტეტების ხელმძღვანელობით. გაფიცვის ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოწინავე მუშები დ. დ. ვარსიმაშვილი, ი. პ. ვაცეკი, მ. ბ. კასუმოვი, მ. მ. მამედიაროვი, მ. გ. მელიქიანი, პ. ვ. მონტინი, ი. ტ. ფიოლეტოვი და სხვები. მუშათა მიერ წარდგენილი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები 28 პუნქტს შეიცავდნენ[2].

ბაქოელთა ბრძოლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც იმაზე ზრუნავდა, რომ „მოეწყო საერთო-კავკასიის გაფიცვა“[3]. რსდმპ ბაქოს კომიტეტისათვის დახმარების გასაწევად და ერთობლივი მოქმედების ორგანიზაციისათვის გაფიცვის დღეებში იქ ჩავიდა მ. გ. ცხაკაია[4].

გაფიცვას ერთვოდა მუშათა მრავალათასიანი კრებები, პოლიტიკური დემონსტრაციები. ბაქოს და კავკასიის კავშირის კომიტეტების ფურცლების მასობრივი გავრცელება. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში ხდებოდა შეტაკებები მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ადგილობრივ ხელისუფლებს ძალა არ შესწევდათ დაეძლიათ მენავთობე პროლეტარების გრანდიოზული გამოსვლა, და ბაქოში დაუწყეს ჯარებს თავმოყრა კავკასიის სხვადასხვა ნაწილებიდან. ამავე დროს მიმართავდნენ ცდებს გაფიცულთა ყურადღება ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლისაგან იმით, რომ ბაქოში, სხვა ქალაქების მაგალითისამებრ, შეექმნათ ზუბატოვური ორგანიზაციები.

---

[1] Центральный государственный исторический архив СССР (в дальнейшем — ЦГИА СССР), ф. 37, 1903 г. д. 3155, лл. 1—3.

[2] აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ძეძდეგში — აზერბაიჯანის სსრ ცსია). ფ. 798, აღწ. 1, ს. 275, ფურც. 1—4.

[3] «Искра» № 45, 1 августа 1903 г.

[4] ЦПА ИМЛ, ф. 157, оп. 1, ед. хр. 116, л. 28.

ზუბატოველთა აგენტები, რომლებიც ბაქოში ჯერ კიდევ 1901 წელს გამოჩნდნენ, განსაკუთრებით გააქტიურდნეს გაფიცვის პერიოდში, ცდილობდნენ სხვადასხვა პროვოკაციებით გაეთიშათ გაფიცულთა რიგები. მაგრამ ბაქოს კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა და გაფიცვის მძლავრი გაქანების მეოხებით მათს დეზორგანიზატორულ მოქმედებას წარმატება არა ჰქონია.

22 დღეს გრძელდებოდა ბაქოში ეს მძაფრი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. და მხოლოდ ჯარისკაცთა ხიშტებისა და კაზაკთა შათრახების ძალით შეძლო ცარიზმმა ჩაეხშო ბაქოს პროლეტარიატის გმირული გამოსვლა. თუმცა, როგორც შემდეგში აღნიშნავდა ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი ა. ა. ბეკზადიანი ბოლშევიკთა საზღვარგარეთული ცენტრისათვის გაგზავნილ წერილში, 1903 წლის საყოველთაო გაფიცვას ბაქოში „შედეგად არ მოჰყოლია ბაქოს მუშათა მუშაობისა და ცხოვრების პირობების რამდენადმე სერიოზული გაუმჯობესება“,[1] მაგრამ მეტად დიდი იყო იმ მორალური გამარჯვების მნიშვნელობა, რომელიც ბაქოს პროლეტარიატმა მოიპოვა.

კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებით ბაქოელთა დასახმარებლად აღდგა მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატი. „ისკრა“ აღფრთოვანებას გამოთქვამდა ბაქოს პროლეტარიატის ამ მძლავრი გამოსვლის გამო. „ახლა კავკასიაში საოცარი საქმეები ხდება: მოძრაობაში სულ უფრო ფართო მასები ებმებიან. ისეთი... კუთხეც კი, როგორიც გორია, ისიც არ დარჩენილა გულგრილი პოლიტიკური ბრძოლისადმი[2]“.

ამიერკავკასიის სხვადასხვა პუნქტებში გაიგზავნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროპაგანდისტები და აგიტატორები. რსდმპ თბილისის კომიტეტი თავის ფურცლებში დაწვრილებით იუწყებოდა ბაქოს ამბებს, მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ მათთვის. ჯერ კიდევ 1 ივლისს თბილისში მოხდა საკმაოდ დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია ხელისუფალთა მიერ რეპრესირებული მუშების აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 14 ივლისს აქ დაიწყო თბილისის მუშათა ყველაზე დიდი გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ათასამდე კაცმა. მათ მოითხოვეს თავიანთი ბაქოელი ამხანაგების ყველა მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება[3]. გაფიცვის ჩატარებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ გ. პ. თელია, დ. ს. პოსტოლოვსკი, მ. გ. ცხაკაია,

---

[1] ЦПА ИМЛ, ф. 25—26, оп. 14 II, ед. хр. 36997, л. 1.

[2] «Искра» № 45, 1 августа 1903 г.

[3] ორცსა, ᲐᲓ ფ., 00, 1898 Წ., Ს. 4, Ბ. 31, ლტ. Გ ფურც. 124—127.

ა. გ. წულუკიძე, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები. ერთ კვირამდე გაგრძელდა გაფიცვა თბილისში. (და ხელისუფლებმა კვლავ დაღვარეს თბილისის მუშათა სისხლი: ჯარებთან შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა 8 მუშა, დაიჭრა 12.

14 ივლისს გაფიცვამ იფეთქა სადგურ მიხაილოვოში, ბორჯომში, შორაპანსა და ყვირილაში. 17 ივლისს გაფიცვამ მოიცვა ბათუმი, ფოთი და ჭიათურა. ბათუმსა და ფოთში გაფიცულთა რიცხვმა 10 ათასს მიაღწია [1]. ბაქოელთა მაგალითს მიბაძეს სომხეთის რკინიგზელმა მუშებმა, ალავერდისა და კაფანის სპილენძის მაღაროების მუშებმა.

„ისკრის" მონაცემებით, იმ დღეებში მთელ ამიერკავკასიაში გაფიცული იყო 100 ათასამდე კაცი[2]. როგორც ბ. მ. კნუნიანცი აღნიშნავდა, კავკასიის მუშათა 1903 წლის გმირულმა ბრძოლამ ძლიერ გაარევოლუციურა მოსახლეობის ყველა ფენა და დაანახვა ყველა ქშრომელს, რომ „თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა და შეიძლება"[3].

1903 წლის ზაფხულის საყოველთაო გაფიცვები, რომლებმაც შეაჯამეს ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის მთელი წინა ეტაპის შედეგები, ამ მოძრაობის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მიჯნა იყო, რითაც დაიწყო ამიერკავკასიის პროლეტარიატის მასობრივი რევოლუციური ბრძოლის მთელი ეპოქა. „მუშათა მოძრაობა კავკასიაში, — წერდა იმ დღეებში „ისკრა", — ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მას უკვე მოჰყვა პროლეტარიატის მთელი რიგი ბრწყინვალე გამოსვლები. მოკლე ხანში კავკასიელმა მუშებმა გაუსწრეს ბევრი ისეთი ადგილის ამხანაგებს, რომლებიც მათზე ადრე იყვნენ ჩაბმული მოძრაობაში" [4]. იყენებდა რა სათანადო გაკვეთილებს შეძენილი გამოცდილებიდან, კავკასიის კავშირის კომიტეტი აღნიშნავდა, რომ ამიერიდან ამოცანაა თვითმპყრობელობასთან სტიქიურად დაწყებული შეტაკებები გადაიქცეს მძლავრ ნაკადად, რომელსაც შეეძლება აღგავოს თვითმპყრობელობა [5].

მუშათა მოძრაობის მძლავრი ტალღა სწრაფად გავრცელდა კავკასიიდან სამხრეთ რუსეთში — კიევში, ელიზავეტგრადში, ოდესაში,

---

[1] «Искра» № 47, 1 сентября 1903 г.

[2] იქვე.

[3] Б. М. Кнунянц. Избранные произведения, 1903—1911 гг., Ереван, 1958, стр. 41.

[4] «Искра» № 44, 15 июля 1903 г.

[5] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბილისი, 1955, გვ. 65.

ხარკოვში, დონის როსტოვში, სამარაში, შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგში, მიაღწია „ქვეყნის ყველაზე დაშორებულ მიყრუებულ კუთხეებსაც“ კი[1]. სულ 1903 წლის გამოსვლებში მონაწილეობა მიიღო 200 ათასამდე კაცმა. სანამ ეს მოძრაობა იყო გაჩაღებული, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი ურთიერთობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პროლეტარული ცენტრების პარტიულ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთის ქალაქებში, რომლებიც მოცული იყვნენ გაფიცვით, ერთმანეთს აწვდიდნენ ინფორმაციას, ფურცლებს და სხვ.[2].

1903 წლის ზაფხულის გაფიცვებმა მუშათა მოძრაობის გზიდან აღგავეს, ზუბატოველობა, ხელი შეუწყეს მის ჩაფუშვას. შემთხვევითი როდი იყო, რომ პეტერბურგიდან მოსულ შეკითხვაზე, თუ რა მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში ზუბატოვის ორგანიზაცია, ბაქოს საფაბრიკო ინსპექტორი იძულებული იყო ეპასუხა. ბაქოში ზუბატოვის ორგანიზაციებს „მუშები მტრულად შეხვდნენო“[3].

ბაქოს, ამიერკავკასიისა და რუსეთის სამხრეთი ქალაქების პროლეტარიატის გამოსვლებმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია დასავლეთ ევროპაშიც, გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატებს შორის. ამ ამბების შთაბეჭდილებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „საგრძნობი ხდება, რომ ბარიკადები მოგველის“[4]. ზაფხულის გაფიცვებს საკმაოდ დიდი ყურადღება მიაქცია რსდმპ II ყრილობამ. როცა ყრილობაზე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბაქოში მოხდა მძლავრი გაფიცვა, რომელიც ამიერკავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ბევრ ქალაქში გავრცელდა, და წინადადება წამოაყენა ყრილობის სახელით თანაგრძნობა გამოეცხადებინათ გაფიცულთათვის, ეს წინადადება ერთსულოვნად იქნა მიღებული[5].

1903 წლის ზაფხულის გაფიცვებმა თვალნათლივ ცხადყო, რომ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა საბრძოლო კავშირი უკვე მთელი რუსეთის სახელმწიფოს მასშტაბით ყალიბდებოდა; ამ გაფიცვებმა კიდევ უფრო მწვავედ დააყენა დღის წესრიგში .ის საკითხი, რომ საჭირო იყო გადასვლა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძო-

---

[1] Из истории создания партии нового типа. Доклад большевиков международному социалистическому конгрессу в 1904 г., М., 1963, стр. 54.

[2] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.) გვ. 58.

[3] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 509, აღწ. 1, ს. 59, ფურც. 46.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 153.

[5] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 49.

ლის უმაღლეს ფორმაზე — საყოველთაო გაფიცვებიდან შეიარაღებულ აჯანყებაზე. გაფიცვებმა რუსეთის მთელ სოციალ-დემოკრატიას დაანახვა, რომ გარდუვალი და საჭირო იყო ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაციის სასწრაფოდ შექმნა [1]. სწორედ ამ რწმენით ჩავიდა პარტიის II ყრილობაზე ოსი დელეგატების უმრავლესობა.

მუშათა კლასის ბრძოლა ძლიერ გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენდა სოფელზე, სადაც აგრეთვე აჩაღებდნენ მუშაობას კავკასიის კავშირის კომიტეტი და კავშირის კომიტეტები, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხების ჩაბმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რსდმპ ლენინურ აგრარულ პროგრამას და ვ. ი. ლენინის ნაშრომებს აგრარულ საკითხზე.

გლეხთა შორის თავიანთ მოღვაწეობაში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები განსაკუთრებით ითვალისწინებდნენ მხარის პირობებში აგრარული საკითხის სიმწვავეს. სოფლად თავიანთი მუშაობის ძირითად ამოცანად მათ ის მიაჩნდათ, რომ შეეკავშირებინათ სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენები, რომლებიც ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდნენ გლეხთა მოძრაობაში.

გლეხთა შორის პროპაგანდა და აგიტაცია თავდაპირველად სპორადულ, დაქსაქსულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში სოფლად შეიქმნა უკვე ინტელიგენტთა ჯგუფები, რომელთა მიზანი იყო ლიტერატურის გავრცელება და ზეპირი პროპაგანდა.

გლეხთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობაში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები თანდათან იძენდნენ დიდ გამოცდილებას, რომელიც, მ. გ. ცხაკაიას სიტყვებით, ერთადერთი იყო „გლეხთა მოძრაობისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის“ [2] აზრით. სოფლად პოლიტიკური აგიტაციისა და გლეხთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობისათვის კავკასიის კავშირის კომიტეტთან შეიქმნა განსაკუთრებული კომისია სოფლის მუშებს შორის მუშაობისათვის. კავკასიის კავშირის კომიტეტები პროპაგანდის წრეებს ქმნიდნენ და გლეხებში აგიტაციას ეწეოდნენ, აწყობდნენ მიტინგებს.

1903 წლის აპრილის ბოლოს კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავისი სახელით გამოუშვა საქართველოს გლეხებისადმი მიმართული პროკლამაცია „პირველი მაისი“, რომლის ეგზემპლარების ნაწილი გავრცელებულ იქნა იმერეთსა და სამეგრელოში. ეს იყო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი პირველი პარტიულ

---

[1] Из истории создания партии нового типа. Доклад большевиков международному социалистическому конгрессу в 1904 г., стр. 64.

[2] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 229—230.

დოკუმენტთაგანი, რომლებიც გლეხებში ვრცელდებოდა. ამაში ადგომარეობდა მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა. კავკასიის კავშირის კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, გლეხების მტრები არიან მემამულეები, ხუცები და მათი დამცველი თვითმპყრობელი მთავრობა, გლეხთა მეგობრები კი მუშები არიანო. პროკლამაციაში აღნიშნული იყო: „თქვენი შველა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია“.[1]

სპეციალურად სოფლისათვის კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა რამდენიმე ბროშურა — ორიგინალური და თარგმნილი, მათ შორის 1905 წლის მარტში ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“ ქართულ ენაზე[2].

რსდმპ თბილისის კომიტეტი პროპაგანდასა და აგიტაციას ეწეოდა გორის მაზრაში და ნაწილობრივ თელავისა და სიღნაღის მაზრებში, დანარჩენ ადგილებში კი გზავნიდა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას ქართულ და სომხურ ენებზე[3].

მოკლე ხნის განმავლობაში გურია წრეების ვითელი ქსელით დაიფარა, სოფლებში ფართო ორგანიზაციული მუშაობა გაჩაღდა. ბათუმის 1902 წლის მარტის ამბების შემდეგ ბათუმიდან სამშობლოში გასახლებულ იქნა ასობით მუშა,რომელთა შორის ბევრნი იყვნენ გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან. თავიანთ სოფლებში რომ დაბრუნდნენ, ამ მუშებმა გაბედული და აქტიური აგიტაცია დაიწყეს გლეხებში. როგორც მ. გ. ცხაკაია რსდმპ III ყრილობას აცნობებდა, ამ აგიტაციის ნაყოფი დაუყოვნებლივ იჩენდა თავს. გურიის გლეხები ყველაზე ადრე აღდგნენ აქტიური ბრძოლისათვის[4].

გლეხებში რევოლუციური მუშაობის გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ქუთაისის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და იმერეთისა და გურიის სოფლის მუშათა კომიტეტების დაარსებას.

არა მარტო ამ წლებში, არამედ უფრო გვიანაც სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას აზერბაიჯანის სოფელში რამდენადმე ფართო გაქანება არ მიუღია. ეს დაკავშირებული იყო უწინარეს ყოვლისა მუსლიმან გლეხებში მუშაობის სირთულესთან, რომლებიც ჩამორჩენილ ზნე-ჩვეულებათა ტყვეობაში იმყოფებოდნენ და გაბრუებული იყვნენ სხვადასხვა რელიგიური და სხვა ცრურწმენებით. ამასთან მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ საკმაოდ არ

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.) გვ. 3.

[2] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 236.

[3] იქვე, გვ. 230.

[4] იქვე, გვ. 233—234.

იყო აგიტატორთა და პროპაგანდისტთა მომზადებული და გამოცდილი კადრები, რომლებსაც შეეძლებოდათ ეწარმოებინათ მუშაობა აზერბაიჯანის სოფელში თვით გლეხთა ენაზე. ჯერ კიდევ 1903 წლის დასაწყისშივე ბაქოს კომიტეტმა, ხოლო შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს აზერბაიჯანელ გლეხებში მუშაობის საკითხს. 1903 წლის 19 თებერვალს, 1861 წლის რეფორმის დღესთან დაკავშირებით, რსდმპ ბაქოს კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური ფურცელი — „ამხანაგებო", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გლეხებმა საუკუნოვანი ძილისაგან გამოღვიძება იწყეს სოციალ-დემოკრატი აგიტატორების — რევოლუციური მოღვაწეობისათვის სოფლებში გასახლებული მოწინავე მუშების დახმარებით [1]. უკვე 1903 წელს მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აზერბაიჯანში შეშფოთებული იყვნენ სოფლად რევოლუციური აგიტაციის გაძლიერებით.

გლეხების აღშფოთება სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გამო სულ უფრო იღებდა მემამულეთა მხრივ ჩაგვრისა და მეფის მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის სახეს. ამ პერიოდის გლეხთა გამოსვლებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბევრი მოთავენი აღმოჩნდნენ მეტ წილად მუშები — ქალაქებში გაფიცვების მონაწილენი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ სოფლად.

1902—1903 წლებში მთელ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში გაძლიერდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლკარს, უარს ამბობდნენ გადასახადების შეტანაზე, იჯარით აღებული მიწების დამუშავებაზე [2]. დიდხანს არ ქრებოდა გლეხთა მღელვარების ალი ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში და თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1903 წლის აპრილში გაიმართა ამიერკავკასიაში პირველი გლეხთა პოლიტიკური დემონსტრაცია. იუწყებოდა რა ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, ლენინური „ისკრა" წერდა დემონსტრაციაზე სოფელ კულაშში, „სადაც გლეხებმა 300-მდე კაცის რაოდენობით წითელი ალმით გაიარეს და პროკლამაციებს ფანტავდნენ შეცბუნებული პოლიციის ცხვირწინ..." [3].

---

[1] Труды Азербайджанского филиала ИМЛ при ЦК КПСС. Баку. 1947, т. 7, стр. 53.

[2] «Искра» № 42, 15 июня 1903 г., „ბრძოლის" ფურცელი" № 1, 1903 წ. მაისი.

[3] «Искра» № 46. 15 августа 1903 г.

ხელისუფალნი სასტიკად უსწორდებოდნენ გლეხებს. მიმართეს მასობრივ დაპატიმრებას, გადასახლებას, ფიზიკურ სასჯელს. მაგრამ გლეხები ვერაფერმა ვერ დააწყნარა. განსაკუთრებული შეუპოვრობით განირჩეოდა გლეხების ბრძოლა გურიაში [1]. ქართულ სოფელში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება და მღელვარება იყო 1903 წლის ივლისის გაფიცვების დღეებში.

მიწების ნაკლებობისა და საგადასახადო ტვირთის გაძლიერების გამო 1900—1903 წლებში გლეხთა გამოსვლები მოხდა აზერბაიჯანში, ბაქოს მაზრის სოფლებში ბუზოვნში, ახმედლში და სხვ., ელიზავეტპოლისა და ნახჭევნის მაზრებში, ზაქათალის ოლქში. შეტაკებები გლეხებსა და კაზაკებსა და ბეგების შეიარაღებულ რაზმს შორის 1903 წლის ივლისში მოხდა ლენქორანის მაზრის სოფელ ჯანგამირანში. დაიწყო ელიზავეტპოლის მაზრის სოფელ ყარაბულაღის გლეხების გამოსვლა. ყველა ეს გამოსვლა ჩაახშეს მეფის ხელისუფალთათვის ჩვეული სისასტიკით.

სომხეთში მემამულეთა წინააღმდეგ გამოსვლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლორის რაიონის სოფელ ახპატის გლეხების აჯანყება 1903 წელს. მემამულე ბარათოვის თვითნებობით სასოწარკვეთამდე მისულმა ახპატის გლეხებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით მოეღოთ ბოლო ამ თვითნებობისათვის, უარი თქვეს მიწის იჯარით აღებაზე და ხელში ჩაიგდეს ის ნაკვეთები, რომლებსაც 1870 წლის რეფორმამდე ამუშავებდნენ. „ასეთი გაუგონარი" კადნიერება", — წერდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი", — როგორც ამას თვითონ გლეხები ხსნიან, მათ გამოიჩინეს იმ ხმების გავლენით, რომ თბილისში, სხვა ქალაქებსა და გურიაში „ათმა ძმებმა — მუშებმა და გლეხებმა ოჰი გამოუცხადეს თავიანთ დაუძინებელ მტრებს: მეფის მთავრობასა და მემამულეებს" [2] მხოლოდ ძალის გამოყენებით მოახერხეს ხელისუფლებმა დაეწყნარებინათ გლეხები. მოკლულ იქნა ხუთი გლეხი და დაპატიმრებულ იქნა 200 კაცი. 18 აქტიური მონაწილე მეტეხის ციხეში ჩასვეს.

გლეხებს სასტიკი ეგზეკუცია მოუწყეს. მეფის ჯარების მიერ ახპატელების დარბევას „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" თათარ-მონღოლთა ურდოების შემოსევას ადარებდა.

მაგრამ გლეხების გამოსვლები ჯერ კიდევ დაქსაქსულ, ლოკალურ ხასიათს ატარებდა, მუშათა მოძრაობის გავლენა სოფელზე სუსტად იგრძნობოდა. საჭირო გახდა კიდევ საკმაოდ დიდი დრო,

---

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 234.

[2] „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" № 5—6, 1904 წ. 15 (28) იანვარი.

რომ გლეხთა მოძრაობას უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეღო. მიუხედავად ამისა გლეხთა გამოსვლები რუსეთის პირველი რევოლუციის წინ მშრომელი გლეხობის გამოღვიძების მაჩვენებელი იყო, მოწმობდა იმას, რომ ქვეყნის მშრომელი გლეხობა დიდ რევოლუციურ ძალას შეიცავდა.

რევოლუციური მღელვარება თანდათან ედებოდა საზოგადოების სხვა ფენებსაც. 1902—1903 წლებში საკმაოდ ბევრი სოციალ-დემოკრატიული წრე წარმოიშვა ბაქოს, თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების მოსწავლე ახალგაზრდობაში. 1903 წლის დამდეგს ჩამოყალიბდა ბაქოს მოსწავლეთა კომიტეტი, რომელიც მუშაობდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით[1]. 1902 წლიდან რსდმპ თბილისის კომიტეტის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ახალგაზრდობის ორგანიზაცია. ფართოდ ჩაღდებოდა მოსწავლეთა მოძრაობა ქუთაისში. იყო წრეები შუშის რეალურ სასწავლებელში. ეს ორგანიზაციები და წრეები სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მოსწავლეთა შორის, აწყობდნენ პოლიტიკური რეფერატების კითხვას, უშვებდნენ ფურცლებს. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს ისინი დახმარებას უწევდნენ არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში, კრებების მოწყობაში და სხვ.[2]. სცადეს შეექმნათ ამიერკავკასიის მოსწავლეთა ერთიანი ცენტრი[3].

კავკასიის კავშირის კომიტეტებმა გამოსცეს მთელი რიგი პროკლამაციები, რომლებიც განკუთვნილი იყო ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისათვის და ვრცელდებოდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში. ჯარისკაცებისა და კაზაკებისადმი მიმართულ ფურცლებში ამიერკავკასიელი ისკრელები მოუწოდებდნენ მათ გაერთიანებულიყვნენ ერთობლივი ბრძოლისათვის საერთო მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ[4]. ოფიცრებს, ჯარისკაცებსა და კაზაკებს შორის სოციალ-დემოკრატებს კავშირი ჰქონდათ, რომლის მეშვეობითაც ვრცელდებოდა ფურცლები, გაზეთები, ბროშურები. მოწოდებებს ხშირად პირდაპირ ჯარისკაცთა ყაზარმებში ყრიდნენ. ცალკეულ ოფიცრებს ეგზავნებოდათ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ „ისკრიდან“ გადმობეჭდილი პროკლამაციები. ამავე კავშირით სარგებლობდნენ საპყრობილეში მყოფ ამხანაგებთან ურთიერთობი-

---

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 532.

[2] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 93, ფურც. 11—12; დაცვ. ერთ. 636, ფურც. 2—4.

[3] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 93, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 760, ფურც. 5—7, ფ. 8, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 498, ფურც. 22.

[4] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 64—66, 76—78.

სათვის[1]. ამიერკავკასიაში განლაგებულ ცალკეულ ნაწილებში სოციალ-დემოკრატიული წრეები ეწყობოდა. სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გავლენით რევოლუციური ტალღა არმიასაც ედებოდა.

ამრიგად, რსდმპ II ყრილობის მოწვევის მომენტისათვის ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობით შეძლეს ამაღლებულიყვნენ რსდმპ მოწინავე ორგანიზაციების დონემდე.

3. რსდმპ II ყრილობა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობა

ვ. ი. ლენინისა და მისი თანამოაზრეების დაუცხრომელი ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის დამთავრდა რსდმპ II ყრილობის მოწვევით. ყრილობა მიმდინარეობდა 1903 წლის ივლისი—აგვისტოში საზღვარგარეთ — ჯერ ბრიუსელში, შემდეგ — ლონდონში. II ყრილობის ძთავარი ამოცანა, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იყო „...ნამდვილი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ“[2]. ამ ამოცანის შესრულება უბრძოლველად არ შეიძლებოდა. და ყრილობა მართლაც გახდა ასპარეზი რევოლუციური ბირთვის გააფთრებული ბრძოლისა ოპორტუნისტებთან.

ყრილობაზე განხილული საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საკითხი პარტიის პროგრამისა და წესდების მიღების შესახებ. ყრილობაზე წყალგამყოფი დაისახა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს შორის. რსდმპ II ყრილობის შემდეგ ბოლშევიზმი არსებობდა როგორც პოლიტიკური აზრის დამოუკიდებელი მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია.

ვ. ი. ლენინის ბრძოლას ყრილობაზე და მომდევნო პერიოდში მენშევიკების წინააღმდეგ, მათი იდეური და ორგანიზაციული გეზის წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საერთაშორისო მუშათა და სოციალისტური მოძრაობისათვის.

გარდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სამი იმ დელეგატისა, რომლებიც გადამწყვეტი ხმით იყვნენ, ყრილობას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა ნ. ნ. ჟორდანიაც (კოსტროვი).

---

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 531.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 7, გვ. 249.

ყრილობის მსვლელობაში კავკასიის ორგანიზაციების დელეგატები ბ. მ. კნუნიანცი (რუსოვი) და ა. გ. ზურაბოვი (ბეკოვი) ყველა ძირითად საკითხში ვ. ი. ლენინს უჭერდნენ ზეხარს. ბ. მ. კნუნიანცი ლენინური პოზიციებიდან ამხილებდა ბუნდელთა ორგანიზაციულ სეპარატიზმს და უპირდაპირებდა მას კავკასიაში ინტერნაციონალური მუშაობის გამოცდილებას [1]. მისმა გამოსვლებმა მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება მიიღო. 23 ივლისს ყრილობის ერთ-ერთ სხდომაზე მოხსენება ბაქოს კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა ბ. მ. კნუნიანცმა, რომელმაც დახატა კომიტეტის მრავალმხრივი მოღვაწეობის სურათი. ყრილობას წარედგინა მოხსენება ბათუმის კომიტეტის მუშაობაზეც. დ. ა. თოფურიძეს (კარსკის) თავდაპირველად მერყევი პოზიცია ეჭირა, ყრილობის ბოლოსათვის კი მარტოველებთან გადაბარგდა. ნ. ნ. ჟორდანია მთლიანად მიემხრო ოპორტუნისტებს.

პარტიის რაიონული ორგანიზაციების საკითხის განხილვისას საერთოდ რაიონული ორგანიზაციების შექმნის წინააღმდეგ და — კერძოდ კავკასიის კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრეს ი. ო. მარტოვის მომხრეებმა. ზოგიერთმა დელეგატმა სცადა კავკასიის კავშირი ბუნდის მსგავსად გამოეყვანა და წინადადება წამოაყენა მოეხდინათ მისი ლიკვიდაცია. ამიერკავკასიის დელეგატებმა გაილაშქრეს ამ უსაფუძვლო მტკიცების წინააღმდეგ.

რსდმპ II ყრილობაზე რაიონული და ეროვნული ორგანიზაციების საკითხზე გამოვიდა ბ. მ. კნუნიანცი, რომელმაც აღნიშნა: „კავკასია იმდენად განსაკუთრებულ გარემოებებში იმყოფება, რომ რაიონული ორგანიზაციის დაარსება აუცილებლად საჭიროა“.[2] კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირის წარმოშობის პირობებზე რომ ლაპარაკობდნენ, ამიერკავკასიის დელეგატები პარტიის II ყრილობაზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ სხვადასხვა ადგილობრივ ნაციონალისტურ მიმდინარეობებთან ბრძოლის ამოცანებს; ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მუშებისათვის გასაგებ ენებზე მარქსისტული ლიტერატურის გამოცემას, რომელიც დაეხმარებოდა მათ პარტიის პრინციპების შეთვისებაში, შეიყვანდა მათ საერთორუსეთის პროლეტარული ბრძოლის ორბიტაში და გააცნობდა მთელ საერთორუსეთის მოძრაობას, აგრეთვე ფართოდ გააშუქებდა ადგილობრივ ცხოვრებას და ა. შ.[3] დიამეტრალურად უპირდაპირებდნენ რა კავკასიის კავშირს ბუნდის ტიპის

---

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 61—63.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 330, 336—337.

ეროვნულ ორგანიზაციებს, ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბხარის თვითეულ ქალაქში არსებობს პარტიის კომიტეტი, რომელიც მუშაობს ერთდროულად „რამდენიმე ენაზე, დღემდე სამზე (რუსული, ქართული, სომხური), ხოლო თუ საჭირო იქნება, ოთხზეც (კიდევ თათრული). და მიუხედავად ამისა, დღემდე ამით არავითარი უხერხულობა არ შექმნილა და კავკასიაში მოძრაობის წარმატება არ შესუსტებულა“ [1].

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია პარტიის რაიონული ორგანიზაციების შესახებ, რომელმაც ცნო, რომ მიზანშეწონილი იყო მათი შექმნა, კავშირებისა და კომიტეტების სახით იმ ოლქებისათვის, რომლებიც არსებითი თავისებურებებით განირჩეოდნენ ენის, მოსახლეობის შემადგენლობის მხრივ და სხვ.. ამ ორგანიზაციების წესდების დამტკიცება ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა [2].

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ წარდგენილი რეზოლუცია ქართულ-სომხურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ — კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს შესახებ[3]. ყრილობამ სანქცია მისცა ამ გაზეთის გამოცემას.

ყრილობის შემდეგ მენშევიკები განაგრძობდნენ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. უხეშად არღვევდნენ პარტიულ დისციპლინას, ბოიკოტს უცხადებდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამით საბოტაჟს უწევდნენ მათს განხორციელებას. 1903 წლის სექტემბერში ჟენევაში საიდუმლო თათბირზე შეკრებილმა 17 მენშევიკმა, რომელთა შორის იყვნენ ნ. ნ. ჟორდანია და დ. ა. თოფურიძე, შექმნეს ანტიპარტიული ფრაქციული ორგანიზაცია, რომელიც შემდეგში ხელმძღვანელობდა ბრძოლას ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მწვავე ბრძოლამ გავლენა მოახდინა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებზეც. ამიერკავკასიაში პირველი ცნობები ყრილობის მუშაობის, უმრავლესობისა და უმცირესობას შორის უთანხმოებისა და მასზე მომხდარი განხეთქილების შესახებ მიღებულ იქნა ყრილობის მუშაობის პერიოდში ირალეგალური მიწერ-მოწერით. დაწვრილებით კი ყრილობის მუშაობაზე, მის გადაწყვეტილებებზე ამბავი ჩამოიტანეს ყრილობის

---

[1] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 61.

[2] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, გამოცემა მეშვიდე, თბ., 1954, ნაწ. I, გვ. 54.

[3] Второй съезд РСДРП. Протоколы, стр. 401.

აქ დაბრუნებულმა დელეგატებმა. მაგალითად, ბაქოს კომიტეტს ყრილობის გადაწყვეტილებები გააცნო ლ. ბ. კრასინმა, რომელიც საზღვარგარეთიდან დაბრუნდა 1903 წლის სექტემბერში[1]. კომიტეტის წევრებმა მოიწონეს პარტიის პროგრამა, რომელიც დამტკიცებული იყო პარტიის მიერ, და ნდობა გამოუცხადეს ყრილობაზე არჩეულ რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. ბაქოს კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი, რომ პარტიის წევრებისათვის გაეცნო ყრილობის გადაწყვეტილებანი. ლ. ბ .კრასინი თბილისშიც ჩამოვიდა, რომ რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებანი კავკასიის კავშირის კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრებისათვის გაეცნო. დ. ს. პოსტოლოვსკი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ ლ. ბ. კრასინმა თბილისში გააკეთა მოხსენება II ყრილობის შესახებ და გააცნო ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის უახლესი დროისათვის დასახული პროგრამა[2]. კავკასიის კავშირის კომიტეტი და პარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივი მტკიცედ დადგნენ უმრავლესობის მხარეზე. ამას მოწმობს დასაწყისი ლენინის 1903 წლის 20 ოქტომბრის ცნობილი წერილისა კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ კავკასიელმა ამხანაგებმა მტკიცედ უნდა დაიცვან ის გზა, რომელსაც ისინი დაადგნენ[3].

პარტიის II ყრილობის დელეგატი დ. ა. თოფურიძე თბილისში რომ დაბრუნდა, შეეცადა ძირი გამოეთხარა ადგილობრივი ორგანიზაციების ნდობისათვის ყრილობის გადწყვეტილებებისადმი, მიზნად ისახავდა ხელში ჩაეგდო კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ხელმძღვანელობა. ისარგებლა — იმით, რომ ყრილობის ოქმები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, მან ბოლშევიკებს ბრალი დასდო ეროვნული საკითხის უგულვებელყოფაში, ეროვნულ რაიონებში პარტიული მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინების სურვილის უქონლობაში. მან განაცხადა, თითქოს რსდმპ II ყრილობამ მიიღო დადგენილება ადგილობრივ ენებზე გამოცემული საagიტაციო ლიტერატურის ამოღებისა და კავკასიის კავშირის კომიტეტის გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" დახურვის შესახებ[4]. ყრილობის გადაწყვეტილებებზე ცილისწამებისა და გამთიშველი მოქმედებისათვის კავკასიის კავშირის კომიტეტმა დ. ა. თოფურიძე კავშირის კომიტეტში მუშაობას ჩამოაშორა.

---

[1] Леонид Борисович Красин («Никитич»). Годы подполья. Сборник воспоминаний, статей и документов, М.—Л., стр. 181, 182.

[2] იქვე, გვ. 267.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 34, გვ. 195.

[4] Ленинский сборник VII, стр. 117.

დ. ა. თოფურიძის მოქმედებაზე, მენშევიკების მიერ ამიერკავკასიაში დაწყებულ ფრაქციულ ბრძოლაზე ვ. ი. ლენინმა შეიტყო კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრთა წერილებიდან და ბ. მ. კნუნიანცის ცნობებიდან, რომელიც ამიერკავკასიაში მოკლე ხანს ყოფნის შემდეგ ჟენევაში დაბრუნდა და ვ. ი. ლენინს ინფორმაცია მიაწოდა იმაზე, თუ როგორი იყო საქმის ვითარება ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში. 1903 წლის ოქტომბრის იმავე წერილში კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ვ. ი. ლენინმა თავისი სახელით და გ. ვ. პლეხანოვის სახელით, რომელიც მაშინ ბოლშევიკების პოზიციებზე იდგა, მოიწონა კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დ. ა. თოფურიძე კომიტეტში მუშაობისაგან ჩამოეშორებინათ.

ვ. ი. ლენინი არ იფარგლებოდა ამ მითითებით და იღებდა ზომებს კავკასიელი ბოლშევიკების პოზიციების განსამტკიცებლად და მენშევიკებთან ბრძოლაში მათთვის დახმარების აღმოსაჩენად. ვ. ი. ლენინის დავალებით იმავე დღეს, 1903 წლის 20 ოქტომბერს ნ. კ. კრუპსკაია სწერდა ცენტრალურ კომიტეტს, კიევში: „დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ვინმე თბილისში. საქმე ის არის, რომ იქ ოპოზიცია იწყება, და ჩვენები გვთხოვენ გავგზავნოთ ვინმე ცენტრალური კომიტეტიდან კავკასიის კომიტეტების ყრილობაზე“ [1].

მაგრამ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ვერ მოასწრო ჩამოსულიყო კავკასიის კავშირის ყრილობაზე, ვინაიდან ყრილობა შედგა ოქტომბრის ოციან რიცხვებში. კავკასიის კავშირის მეორე ყრილობას დაესწრნენ კავშირის კომიტეტის წევრები და კავშირში შემავალი კომიტეტების წარმომადგენლები: მ. ზ. ბოჭორიძე, ა. გ. ზურაბოვი, დ. ა. თოფურიძე, ვ. ი. ნანეიშვილი, დ. ს. პოსტოლოვსკი, ნ. ბ. რამიშვილი, ლ. ბ. ფაინბერგი, მ. გ. ცხაკაია, ი. გ. წერეთელი, ა. გ. წულუკიძე, ა. ქ. ხუმარიანი და სხვ.

ყრილობის დღის წესრიგში ძირითადი საკითხი იყო რსდმპ II ყრილობის შედეგების განხილვა, იმის გამორკვევა, თუ როგორ უყურებდნენ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკებისა და მენშევიკების პოზიციებს. უმრავლესობისა და უმცირესობის მომხრეებს შორის ყრილობაზე გაჩაღდა მწვავე ბრძოლა, რომელიც ბოლშევიკური მიმართულების გამარჯვებით დამთავრდა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც ბოლშევიკურად შეაფასა რსდმპ II ყრილობის მნიშვნელობა. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მრავალი წლის რყევისა და შეუთანხმებლობის შემდეგ, — ნათქვამი იყო

[1] Ленинский сборник VII, стр. 116.

იქ,—ბოლოს, ყველა ჩვენი მოქმედი ამხანაგის უაღრესად სასიხარულოდ, რსდმპ ფაქტიურად განხორციელდა პარტიის II მორიგ ყრილობაზე"[1]. რეზოლუცია მკვეთრად გმობდა მენშევიკებს მათი გამთიშველური ხაზისათვის, გამოაცხადა ისინი „დამნაშავეებად საერთოპარტიული მუშაობის შესუსტებასა და დეზორგანიზაციაში" [2].

მაგრამ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის პრინციპული უთანხმოების მთელი სიღრმე რომ ვერ გაიგო, კავკასიის კავშირის ყრილობას რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების მიზეზად შეცდომით წვრილმანი უთანხმოება მიაჩნდა[3].

კავკასიის კავშირის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო მისი წესდების პროექტის განხილვა. პროექტი, რომელიც 27 პუნქტისაგან შედგებოდა, შემუშავებული იყო რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებების სრული შესაბამისობით. მასში ნათქვამი იყო, კავკასიის კავშირი, როგორც რაიონული ორგანიზაცია, რსდმ პარტიის განუყრელი ნაწილიაო. „კავშირი მთლიანად ეთანხმება პარტიის პროგრამასა და წესდებას, რომლებიც შემუშავებულია რსდმპ II ყრილობაზე, და თავის საქმიანობაში ემორჩილება პარტიის უმაღლეს ორგანოებს: პარტიის ყრილობას, პარტიის საბჭოს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს" [4].

წესდების განხილვამ დიდი უთანხმოება გამოიწვია. ბუნებრივია, რომ დელეგატებს, რომლებიც მენშევიკურ პოზიციებზე იდგნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ კვლავაც ეწარმოებინათ ბრძოლა პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, აგრეთვე ყრილობაზე არჩეული ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ, ხელს არ აძლევდათ მკაცრი ცენტრალიზმის პრინციპზე აგებული წესდება. წესდება კავკასიის კავშირის კომპეტენციას ამიერკავკასიის ფარგლებით ზღუდავდა. კავშირის უმაღლეს ორგანოდ აღიარებული იყო მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა. ხოლო ყრილობებს შუა პერიოდში — საკავშირო კომიტეტი და კავშირის კომიტეტები, რომლებიც ამიერკავკასიის ფარგლებში მოქმედებდნენ. წესდება მკაფიოდ განსაზღვრავდა კავკასიის კავშირის კო-

---

[1] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, М., стр. 155.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ბლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 1055, ფურც. 208—210.

მიტეტის უფლებებსაც. ყრილობამ ხმის უმრავლესობით მოიწონა კავკასიის კავშირის ახალი წესდება.

მარცხი განიცადა დ. ა. თოფურიძისა და მისი თანამოაზრეების იმ ცდამაც, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტის არჩევნებისას ხელში ჩაეგდოთ კავშირის ხელმძღვანელობა. ყრილობამ კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია ვ. ი. ლენინის მომხრენი: მ. ზ. ბოჭორიძე, ბ. მ.კნუნიანცი, დ. ს. პოსტოლოვსკი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე.

გამოდიოდა რა პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებიდან ადგილობრივ ენებზე არალეგალური ლიტერატურის გამოცემის გადიდების შესახებ, კავკასიის კავშირის კომიტეტმა ძირო დადგენილება კავშირის ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობის გაფართოების შესახებ.

ამრიგად, ოპორტუნისტების ის ცდა, რომ თავის მხარეზე გადაეყვანათ კავკასიის კავშირი,ჩაიშალა. დ. ა. თოფურიძემ და მისმა თანამოაზრეებმა, ყველა ძირითად საკითხში საკადრისი პასუხი რომ მიიღეს, განაცხადეს, რომ გავიდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტიდან, რამაც მენშევიკების საზღვარგარეთის ცენტრის რისხვა გამოიწვია. ი. ო. მარტოვი წერილში პ. ბ. აქსელროდისადმი ამით გაბრაზებული ამბობდა: „უფრო სულელურს ვერაფერს გამოიგონებ!“[1]. კავკასიის კავშირის ყრილობაზე ბოლშევიკების გამარჯვების შესახებ მენშევიკური „ისკრაც“ კი იძულებული იყო ეღიარებინა: „ამას წინათ გაიმართა კავკასიის სოც. დემ. ორგანიზაციების II ყრილობა, რომელმაც თავისი დამოკიდებულება პარტიისადმი განსაზღვრა მკაცრი ცენტრალიზმის საწყისებზე“[2].

კავკასიის კავშირის ყრილობაზე რომ დამარცხდნენ, ამიერკავკასიის მენშევიკებმა მიმართეს ცდებს თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ პარტიული მასები ადგილებზე. 1903 წლის ნოემბერ—დეკემბერში კავშირის კომიტეტმა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში მოაწყო მოხსენებები რსდმპ II ყრილობის შედეგების, ყრილობაზე უთანხმოების, კავკასიის კავშირის II ყრილობის შესახებ. ამ მიზნით კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრებმა ა. გ. ზურაბოვმა, დ. ს. პოსტოლოვსკიმ, მ. გ. ცხაკაიამ, ა. გ. წულუკიძემ, აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტების მუშაკებმა ბაქოს, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში მოაწყეს პარტიული აქ-

---

[1] Материалы из истории русского революционного движения, т. 1, Русский революционный архив, Берлин, 1924, стр. 98.

[2] «Искра» № 53, 25 ноября 1903 г.

ტივის კრებები. პოლემიკა უმრავლესობისა და უმცირესობის მოძხრეთა შორის მწვავე ხასიათს ატარებდა. მენშევიკების იმ მისწრაფებამაც, რომ გათიშვა გამოეწვიათ ადგილებზე, მარცხი განიცადა. ბოლშევიკების პოზიციებს მხარი დაუჭირეს კავკასიის კავშირის ყველა ორგანიზაციაში.

მასობრივ-პოლიტიკური აგიტაციის გაფართოების ამოცანა პარტიული პრესის გაძლიერებას მოითხოვდა. რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის გადაწყვეტილების მიუხედავად, კავშირის კომიტეტმა ვერ მოაწყო გაზეთების „პროლეტარიატის ბრძოლისა“ და „პროლეტარიატი კრივის“ ყოველთვიური გამოცემა. 1903 წლის მაისის შემდეგ გაზეთის გამოცემა დიდი ხნით შეჩერდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კავშირის II ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიული ლიტერატურის გამოცემის გაფართოების შესახებ, დაიწყო „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის“ ბეჭდვა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე[1]. მან მიიღო გაზეთის სახე, რომელშიც, გარდა ქრონიკისა და კორესპონდენციებისა რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მუშაობის საკითხებზე, როგორც ეს ნავარაუდევი იყო მისი დაარსებისას, თეორიული სტატიებიც იბეჭდებოდა. 1904 წლის ნოემბერში გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ № 7-ის გამოსვლამდე „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ ერთადერთი ბოლშევიკური ორგანო იყო ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ლიტერატურის გამოცემისათვის დიდ ზრუნვას იჩენდა ვ. ი. ლენინი. 1903 წლის 20 ოქტომბრის იმავე წერილში კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა: ამას კომპეტენტურმა ამხანაგებმა მოჰკიდეს ხელი; იმედი გვაქვს ფულს ვიშოვნით. საჭიროა დახმარება ლიტერატურითაც და სახსრებითაც“[2]. უკვე 1904 წლის თებერვალში ჟენევაში, ვ. ი. ლენინის ინიციატივით, რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სომხურ და ქართულ ენებზე ლიტერა-

---

[1] გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1903 წ. ნოემბერში. ქართულ ენაზე გაზეთს ეწოდებოდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“, სომხურზე კი — „პროლეტარიატი კრივი“ თეოთ“. ვინაიდან 1903 წ. აპრილ — მაისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ფურცლების „პროლეტარიატისა“ და „ბრძოლის“ ორი ნომერი გამოსცა, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის“ პირველ ნომერს, როგორც წარსული ფურცლების გაგრძელებას, დაუსვეს ნომერი 3.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 34, გვ. 196.

ტურის გამოცემის კომისია, რომლის მუშაობასაც ს. გ. შაუმიანი ხელმძღვანელობდა [1].

კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნის პირველ თვეებშივე დაისვა საკითხი კავშირის საკუთარი სტამბის შექმნის შესახებ. ეს საქმე დაევალა კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრს, არალეგალური პარტიული სტამბების ორგანიზატორს მ. ზ. ბოჭორიძეს. თბილისის გარეუბანში — ავლაბარში აშენებულ იქნა ერთსართულიანი ოროთახიანი სახლი, რომლის სარდაფში ღრმად მიწის ქვეშ მოეწყო სტამბა. ეს საკმაოდ რთული სამუშაო შესრულებულ იქნა განსაცვიფრებლად მოკლე ვადაში, და 1903 წლის ბოლოს სტამბა მწყობრში ჩადგა. ავლაბრის არალეგალური სტამბა რუსეთში ყველაზე დიდი არალეგალური სტამბა იყო.

ავლაბრის სტამბის თითქმის ერთდროულად მოქმედება დაიწყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა არალეგალურმა სტამბამ ბაქოში 1-ლ პარალელურ ქუჩაზე № 102 (ახლა „ისკრის“ ქუჩა). მასაც „ნინა“ დაარქვეს და მან 1905 წლის ბოლომდე იარსება, ხოლო ცენტრალური კომიტეტის ძველი სტამბა, რომელიც მან რსდმპ II ყრილობის მომწვეევი ორგანიზაციული კომიტეტისაგან მიიღო და რომელსაც „ნადია“ დაარქვეს (მოთავსებული იყო ქვემო-თაზაპირის ქუჩაზე), კავკასიის კავშირის კომიტეტსაც ემსახურებოდა. იგი როგორც „ნინას“ ფილიალი მოქმედებდა 1904 წლის ზაფხულამდე, როცა მისი მოწყობილობა გადაიტანეს თბილისში, ავლაბარში. ბაქოში არსებობდა ბაქოს კომიტეტის სტამბაც, რომელიც მოთავსებული იყო „კრეპოსტში“.

ავლაბრის სტამბის მშენებლობაზე და მისი მუშაობის პირველ ხანებში ბაქოს პარტიული სტამბა „ნადია“ კავკასიის კავშირის კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდა არალეგალური ლიტერატურის გამოცემაში.

1903 წლის ოქტომბრიდან 1904 წლის მაისამდე განვლილ პერიოდში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის“ 5 ნომერი ექვს-ექვსი ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, 4 ბროშურა ქართულ ენაზე ცხრა-ცხრა ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, 9 ბროშურა სომხურ ენაზე სამ-სამი ათასი

---

[1] კომისიამ გამოსცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, კრებული, რომელიც შეიცავდა „ცნობას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობის შესახებ“, პარტიის პროგრამასა და წესდებას, ლენინურ რეზოლუციას „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ და II ყრილობის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებს.

ეგზემპლარი ტირაჟით, აგრეთვე ბევრი ფურცელი და პროკლამაცია[1].

გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“, რსდმპ კავკასიის კავშირისა და ადგილობრივი კომიტეტების ფურცლები, რომლებიც მასობრივი ტირაჟებით იცემოდა, მთელ ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა და დიდ როლს ასრულებდა მასების მობილიზაციისათვის მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1903 წლის შემოდგომისათვის ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობისათვის არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა, რომელიც გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მოწყობილიყო პროლეტარიატის დიდი გამოსვლები, ისეთები, როგორიც იყო იმხანად დამთავრებული საყოველთაო გაფიცვა. იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ უმთავრესად ცალკეულ საწარმოებში ნაწილობრივი გაფიცვების მოწყობას. ეს დაკავშირებული იყო იმ მკაცრ რეპრესიებთან, რომლებსაც მთავრობა იყენებდა ხალხის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ზაფხულის გაფიცვების შემდეგ. 1903 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე შემოღებულ იქნა გაძლიერებული პოლიციური დაცვა ბათუმში, ელიზავეტპოლში, შუშასა და სხვა ქალაქებში. საპყრობილეები სავსე იყო პოლიტიკური პატიმრებით. პოლიციისა და კაზაკების თავაშვებულობას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მხეცურად უსწორდებოდნენ პოლიტიკურ პატიმრებს.

მეფის ჯალათებმა 1903 წლის 17 აგვისტოს მეტეხის ციხის საკანში მოკლეს ვ. ზ. კეცხოველი. ამ საზიზღარი მკვლელობის ამბავმა აღშფოთების აზვირთება გამოიწვია მთელ ამიერკავკასიის მშრომელებში. რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა სპეციალური პროკლამაციები გამოუშვეს ვ. ზ. კეცხოველის მოკვლის გამო.

თუმცა მეფის ხელისუფალთა რეპრესიებმა რამდენადმე შეასუსტა რევოლუციური გამოსვლების ტალღა, მაგრამ ვერ შეაჩერა ისინი. მოძრაობა ფართოვდებოდა და სულ ახალ რაიონებს ედებოდა. აგვისტოს მეორე ნახევარში გაფიცვები მოედო თბილისის ძთელ რიგ საწარმოებს; სექტემბერში აქ გაიფიცნენ ბოზარჯიანცისა და ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები, ხოლო ოქტომბრის დამდეგს—კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახელოსნოს მუშები და ქვეოსტატები. აგვისტოში ბაქოში გაიმართა მბეჭ-

1 რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.). მასალებისა და დოკუმენტების კრებული, თბილისი, 1954, გვ. 16.

დავთა გაფიცვა და მასობრივი მიტინგი, რომელთა მონაწილეებმა პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები წამოაყენეს; ნოემბერში მოეწყო გაფიცვები ბიბი-ეიბათში, ხოლო დეკემბერში დიდი გაფიცვა კასპიის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, რომელიც გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცული იყვნენ აგრეთვე ბათუმში მანთაშევის, როტშილდის, სიდერიდისის ქარხნების მუშები. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" წერდა: „უკანასკნელ დროს თამამად შეიძლება ვუწოდოთ გაფიცვების დრო. დღე არ გავა, რომ მუშები ხან აქ, ხან იქ არ გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას, ხან აქ, ხან იქ არ წყვეტდნენ მუშაობას და არ მოითხოვდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას"[1]. ბათუმელი მუშების ორგანიზებულობითა და შეუპოვრობით შეშფოთებული მეწარმენი ხელისუფლებს მიმართავდნენ თხოვნით შემოეღოთ საწარმოებში სამხედრო დაცვა.

1903 წლის შემდგომაზე, მეფის არმიაში გამოცხადებულ გაწვევასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტებმა მთელი რიგი ფურცლები გამოუშვეს და ბევრ ადგილას მოაწყეს ახალწვეულთა გამოსვლები პროტესტის ნიშნად. 1903 წლის ნოემბერში ბათუმში, ჭიათურაში, სიღნაღსა და სხვა ადგილებში გაიმართა ახალწვეულთა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. „რევოლუციური „ბაცილა" სულ უფრო და უფრო მრავლდება..., — წერდა მაშინ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი". — ამ „ბაცილამ" ახლა, ბოლოს, ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა არმიაში" [2].

სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გავლენით დაჩქარდა იმ ჯარისკაცთა და მატროსთა პოლიტიკური შეგნების გამოღვიძება, რომლებიც კავკასიაში მდგომ სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ, სულ უფრო ფართოდ იჩენდა თავს მათი თანაგრძნობა მუშებისადმი; იშვიათი არ იყო შემთხვევები, რომ მუშათა გამოსვლების ჩახშობისას ცალკეული შეგნებული ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ოფიცრების ბრძანების შესრულებაზე, აშკარად გამოთქვამდნენ თავიანთ თანაგრძნობას ხალხის ბრძოლისადმი.

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მიმართული იყო როგორც მემამულეთა უღლის, ისე კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. იგი შეხამებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თვითმპყრობელობის წინააღმ-

---

[1] „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" № 3, 1903 წ. 1 (14) ნოემბერი.

[2] „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცელი" № 5—6, 1904 წ. 1 (14) იანვარი.

დეგ. ასეთი შეხამება ბრძოლის ფრონტს აფართოებდა, უფრო მწვავე ხასიათს აძლევდა მას. ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების თვალსაჩინო გამოვლინება იყო სომეხი ხალხის მთავრობისსაწინააღმდეგო მოძრაობის აზვირთება 1903 წლის ზაფხულში. ამის საბაბი გახდა ის, რომ მეფის მთავრობამ 1903 წლის 12 ივნისს გამოსცა კანონი სომხური ეკლესიის ქონების კონფისკაციის შესახებ. ამ კანონის შემოღებით ცარიზმს განზრახული ჰქონდა მიეღწია არა მარტო იმისათვის, რომ სომხური ეკლესია მთავრობაზე სავსებით დამოკიდებული გაეხადა, არამედ უფრო დაუბრკოლებლადაც გაეტარებინა რუსიფიკატორული პოლიტიკა. მთავრობამ ვერ გაბედა განეხორციელებინა ეს კანონი ზაფხულში გაჩაღებული გაფიცვების დროს და გადაწყვიტა მისი ცხოვრებაში გატარება სექტემბრის დამდეგისათვის გადაეტანა.

ცარიზმის ამ ახალმა შეტევამ განაპირა მხარეების ხალხთა ეროვნულ უფლებებზე ფართო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია ამიერკავკასიის სომეხი მოსახლეობის ყველა ფენაში. „...ამიერკავკასიას მოდებული აქვს რევოლუციური ქარიშხალი“[1], — წერდა ბ. ძ. კნუნიანცი „ისკრაში“ მოთავსებულ სტატიაში „ახალი ავაზაკობა“. 1903 წლის აგვისტო—სექტემბერში ერევანში, თბილისში, ბაქოში, ეჩმიაძინში, ელიზავეტპოლში, შუშაში, ყარსში, ალექსანდროპოლში, ჯალალ-ოღლში და ამიერკავკასიის მთელ რიგ სხვა ადგილებში ეწყობოდა საპროტესტო მიტინგები, რომლებსაც ხშირად თან ახლდა სიახლისმღვრელი შეტაკებები სომეხ მოსახლეობასა და ჯარებს შორის.

სომეხი ხალხის ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობის მსვლელობაში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო თანაგრძნობა და მხარდაჭერა, რასაც მას აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელნი უწევდნენ. „ბაქოს ყველა ეროვნების მუშები, — წერდა იმ დღეებში „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“, — მხურვალედ მიესალმებოდნენ თავიანთი სომეხი ძმების მამაცურ ბრძოლას. მათთვის უცხოა რაიმე ეროვნული შუღლი. პროლეტართა სოლიდარობა განურჩევლად ეროვნებისა მათთვის წმიდათაწმიდა ცნებაა“[2].

დაწყებული სახალხო მოძრაობის დასათრგუნავად მეფის მთავრობამ თავი მოუყარა ჯარისა და პოლიციის ძალებს ბაქოში, თბილისში, ეჩმიაძინში, შუშაში. ამასთან ერთად მან სცადა პროვოკაციის გზით გამოეწვია შეტაკებანი ეროვნებათა შორის. მაგრამ მეფის სა-

---

[1] -«Искра» № 49, 1 октября 1903 г.

[2] „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ № 3, 1903 წ. 1 (14) ნოემბერი.

ტრაპების ვარაუდები არ გამართლდა. „კავკასიის უკანასკნელმა საყოველთაო გაფიცვამ, — ნათქვამი იყო ერთ-ერთ წერილში „ისკრის“ რედაქციისადმი, — უდიდესი როლი შეასრულა სხვადასხვა ეროვნების მუშათა შეკავშირების საქმეში. ის დახმარება, რომელიც 2 სექტემბერს დემონსტრაციებით გაუწიეს სომეხ მუშებს ბაქოსა და სხვა ადგილებში სხვა ეროვნებათა მუშებმა, ყველაზე ცხადად გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატიის პირველი საბრძოლო ძახილი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ არა მარტო შეიგნო, არამედ კიდევაც შეისისხლხორცა კავკასიელმა მუშამ“.[1]

მაშინ როცა სომეხი ნაციონალისტები, რომლებიც შეაშინა ხალხის პროტესტის გაქანებამ, ცდილობდნენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ იგი, ჩამოეშორებინათ მუშების ყურადღება კლასობრივი ბრძოლისაგან, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ცდილობდნენ დაეცვათ მოძრაობა კლერიკალებისა და ნაციონალისტური პარტიების გავლენისაგან, გამოევლიჯათ სომეხი მშრომელნი ბურჟუაზიული ნაციონალისტების გავლენისაგან. ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ ეს მოძრაობა კლასობრივი ბრძოლის გზით წარემართათ, საერთო რევოლუციურ ნაკადში შეერწყათ. რსდმპ კავკასიის კავშირის, თბილისისა და ბაქოს კომიტეტები უშვებდნენ ფურცლებს სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებშიც ამხილებდნენ ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას, მიუთითებდნენ ყველა ეროვნების პროლეტართა კლასობრივი ინტერესების ერთიანობაზე, მოუწოდებდნენ მშრომელებს, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, შესულიყვნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ემუშავნათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყების მოსამზადებლად. ბ. მ. კნუნიანცის სტატიისათვის გაკეთებულ შენიშვნაში „ისკრის“ რედაქცია წერდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების სწორ პოლიტიკაზე სომეხი მოსახლეობის გამოსვლების დროს[2].

ცარიზმის მხრივ ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის შემდგომი გაძლიერებისა და სხვადასხვა კლერიკალური და ბურჟუაზიული ნაციონალისტური, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული პარტიების, მიმდინარეობებისა და ჯგუფების საქმიანობის გამოცოცხლების პირობებში კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ბედისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ სწორად ყოფილიყო დაყენებული მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

---

[1] ЦПА ИМЛ, ф. 24, оп. 11 у, ед. хр. 28342, л. 1.

[2] «Искра» № 49, 1 октября 1903 г.

სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები ყველა კლასის ინტერესთა ერთობის თავიანთ ქადაგებაში ცდილობდნენ რევოლუციური გზისათვის აეცდინათ პროლეტარიატი, მშრომელი გლეხობა და საზოგადოების სხვა დემოკრატიული ფენები, არ დაეშვათ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლის შეერთება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საერთო ნაკადთან.

იმ ისტორიულ ვითარებაში, როცა ერთი მხრივ ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პრესა, ხოლო მეორე მხრივ მთავრობის აგენტები კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთ სიძულვილსა და უნდობლობას აღვივებდნენ, კავკასიის სოციალ-დემოკრატიას თავისი ჩასახვის დასაწყისიდანვე მოუხდა ეწარმოებინა ბრძოლა უწინარეს ყოვლისა იმ ეროვნული ანტაგონიზმის მოსპობისათვის, რომელსაც ზედაფენები ნერგავდნენ, ბრძოლა იმისათვის, რომ სხვადასხვა ეროვნების დაქსაქსული მუშებისაგან „შეექმნათ ნამდვილად ერთიანი პროლეტარული ბანაკი, ბურჟუაზიული სამყაროს საპირისპიროდ“.[1]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდნენ ლენინიზმის დროშით, წარმატებით ართმევდნენ თავს ამ რთულ და პასუხსაგებ ამოცანას, უკვე პირველ პროლეტარულ მაისობათა, გაფიცვათა და ქუჩის დემონსტრაციათა მსვლელობაში ამიერკავკასიის მოწინავე პროლეტარები გვიჩვენებდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიმუშებს, თავიანთი კლასობრივი ინტერესების გაგებას.

კავკასიის სოციალ-დემოკრატია ნაციონალიზმთან ბრძოლაში იზრდებოდა და იწრთობოდა. აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ებრძოდნენ ნაციონალისტ-პანისლამისტებს, საქართველოსი — ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს, სომხეთისა — დაშნაკებს. მათ გარდა, ამიერკავკასიაში თავისი წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმით იღვწოდა ე. წ. „სომეხთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია“, რომელიც ბაქოში წარმოიშვა რსდმპ II ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ. „ბუნდის“ მაგალითისამებრ იგი ცდილობდა სომეხთა ცხოვრების „სპეციფიკური თავისებურებებით“ დაესაბუთებინა ცალკე სომხური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა. ამიტომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ამ ორგანიზაციის მომხრეებს „სპეციფიკოსები“ უწოდეს. ვ. ი. ლენინი მათ თვლიდა ბუნდის კრეატურად, რომელიც სპეცია-

---

[1] Б. М. Кнунянц. Избранные произведения, 1903—1911 гг., стр. 53—54.

ლურად გამოგონილი იყო „კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისათვის“ [1]. ყველა ეს ნაციონალისტი, მასობრივი სახალხო მოძრაობის ზეგავლენით, ინიღბებოდა რა სოციალისტური ფრაზეოლოგიით, ცდილობდა თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა მშრომელი მასები.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ ლენინის შრომებს ეროვნულ საკითხზე და რსდმპ II ყრილობის ფუძემდებლურ საპროგრამო დოკუმენტებს, რომლებშიც მკაფიოდ იყო ფორმულირებული ძირითადი პრინციპები პარტიის პოლიტიკისა ეროვნული ურთიერთობის დარგში, გააჩაღეს მტკიცე ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა გამხრწნელი იდეების მხილებისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ამ მუშაობაში ბოლშევიკების ხელში დიდმნიშვნელოვანი საშუალება იყო ფურცლები, რომლებიც გამოდიოდა აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე, და გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“, ლენინური „ისკრის“ მასალები. მშრომელთა შორის ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში ვ .ი. ლენინის ნაშრომების გამოცემასა და გავრცელებას, მათს თარგმნას ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე.

სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების — ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხებისა და რუსების, აგრეთვე სხვა ხალხთა წარმომადგენლების კლასობრივი სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდა პროპაგანდისტული წრეების მუშაობა, ერთობლივი კრებების, მასობრივი შეკრებების, გაფიცვების, მიტინგებისა და ქუჩის დემონსტრაციების მოწყობა, მაგრამ უმთავრესი იყო მათი გაერთიანება ინტერნაციონალურ საფუძველზე აგებული პარტიული ორგანიზაციების ერთიანი დროშის ქვეშ. ხაზგასმით აღნიშნავდა რა კავკასიელი სოციალ-დემოკრატი-ლენინელების მტკიცე გადაწყვეტილებას დაეცვათ პარტიული ორგანიზაციების აგების ინტერნაციონალური პრინციპი, კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი წერილში „ისკრის“ რედაქციისადმი წერდა: „კავკასიელი ამხანაგები მტკიცე მოწინააღმდეგენი არიან რასობრივი (ეროვნული) ორგანიზაციებისა, და თვით წარმოშობიდანვე თვითეული კომიტეტი ყველა ენაზე მუშაობდა და წარმოადგენდა მთელი ქალაქის მუშებს განურჩევლად ეროვნებისა, მიუხედავად იმისა, ვის-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 34, გვ. 379.

გან არის შემდგარი თვით კომიტეტი. კავშირის კომიტეტი არჩეულია ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობის მიერ კავკასიაში მომუშავე ამხანაგთაგან, იმასთან დაუკავშირებლად, ჰქონდა თუ არა ამხანაგს ბედნიერება თუ უბედურება წარმოსდგებოდეს ამა თუ იმ რასისაგან"[1].

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მრავალმხრივ მუშაობაში მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ს .ი. ალილუევი, ს. მ. ეფენდიევი, ვ. ზ. კეცხოველი, ბ. მ. კნუნიანცი, დ. ს. პოსტოლოვსკი, ი.ბ. სტალინი, ს. ს. სპანდარიანი, ვ. გ. ცხაკაია, ა.გ. წულუკიძე, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის ვ. ი. ლენინის ყურადღების ცენტრში იყო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა დიდ მუშაობას, რაც კავკასიელმა მარქსისტებმა გასწიეს ყველა ეროვნების მუშათა შეკავშირებისათვის, და ხაზს უსვამდა ყველა ერის მუშათა იმ სრულ ერთიანობას, რომელიც ესოდენ დიდხანს და წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში[2].

მჭიდროდ რაზმავდნენ რა თავიანთ რიგებს და იცავდნენ რა პარტიის ლენინურ ხაზს, ამიერკავკასიის ბოლშევიკები აბამდნენ და განამტკიცებდნენ კავშირს ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნის, შუა აზიის, ასტრახანის, კიევის, პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, სამარის, სარატოვის, პოლტავის, ეკატერინოსლავისა და რუსეთის სხვა რაიონებისა და ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებთან.

მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების და რევოლუციური მარქსიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის ვითარებაში კავკასიის კავშირის კომიტეტი და მისი ადგილობრივი კომიტეტები ლენინურ პოზიციებზე დადგნენ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებად გაფორმდნენ და წარმატებით ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა ბრძოლას ცარიზმის, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

4. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობა და I კონფერენცია

მენშევიკების გამთიშველური და დეზორგანიზატორული მოქმედება დღითიდღე ძლიერდებოდა. ისინი ცდილობდნენ ხელში ჩა-

---

[1] «Искра» № 50, 15 октября 1903 г.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 84.

ეგდოთ პარტიული ცენტრები და ადგილობრივი ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც გ. ვ. პლეხანოვი მენშევიკების მხარეზე გადავიდა, მისი მოთხოვნით „ისკრის“ რედაქციაში კოოპტირებულ იქნა ყველა ყოფილი რედაქტორი-მენშევიკი. პროტესტის ნიშნად ვ. ი. ლენინი „ისკრის“ რედაქციიდან გამოვიდა. 1903 წლის ნოემბრიდან „ისკრა“ მენშევიკური გახდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად გადაიქცა. პარტია კრიზისს განიცდიდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკები ხედავდნენ III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევაში. ბრძოლა მისი მოწვევისათვის ნიშნავდა ბრძოლას პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჯერ კიდევ 1903 წლის 10 ნოემბერს წერილში მ. ნ. ლიადოვისადმი ვ. ი. ლენინი აყენებს საკითხს რსდმპ III ყრილობის მოწვევის შესახებ. ერთი თვის შემდეგ, 10 დეკემბერს, ვ. ი. ლენინი სწერდა ცენტრალურ კომიტეტს: **„ხსნა ერთია — ყრილობა. მისი ლოზუნგია: დეზორგანიზატორებთან ბრძოლა“** [1].

მენშევიკებმა გაილაშქრეს პარტიის ახალი ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ამიერკავკასიის მენშევიკები. მენშევიკების საზღვარგარეთის ცენტრმა მათ დასახმარებლად გამოგზავნა თავისი აგენტები, რომლებმაც პირველი იერიში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბაქოში მიიტანეს. 1903 წლის დეკემბერში აქ ჩამოვიდა საზღვარგარეთის მენშევიკური ცენტრის წარმომადგენელი ვ. ნ. როზანოვი (მარტინი), რომელიც ცდილობდა მენშევიკების მხარეზე გადაეყვანა ბაქოს კომიტეტის წევრები.

თუმცა ბაქოს კომიტეტმა უნდობლობა გამოუცხადა მენშევიკების ლიდერებს, მაგრამ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში კომიტეტი არათანამიმდევრობას იჩენდა. ეს გამოწვეული იყო ცენტრალური კომიტეტის წევრის ლ. ბ. კრასინის შემარიგებლობით, რომელიც ბაქოში მუშაობდა და ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში დიდი გავლენით სარგებლობდა. მან თავიდანვე არ დაუჭირა მხარი ვ. ი. ლენინის წინადადებას რსდმპ III ყრილობის მოწვევის შესახებ.

1903 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის დავალებით ბაქოში ჩამოვიდა ბ. მ. კნუნიანცი, რომელმაც ბაქოელებს მიაწოდა ინფორმაცია პარტიაში, შექმნილი მდგომარეობის შესახებ, გააცნო მათ ვ. ი. ლენინის შეხედულებანი ყრილობის მოწვევაზე. ბაქოში მყოფმა ცენტრალური კომიტეტის წევრებმა შემარიგებლებმა ლ. ბ. კრასინმა და ვ. ა. ნოსკოვმა (გლებოვმა) უარყვეს წინადადება პარტიის ყრილობის მოწვევის შესახებ. გარდა ამისა, ლ. ბ. კრასინი, რომელიც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 36, გვ. 218.

ცენტრალური კომიტეტის ბაქოს სტამბას ხელმძღვანელობდა, ნებას აძლევდა ბოლშევიკურ ლიტერატურასთან ერთად იქ მენშევიკური „ისკრის“ ცალკეული ნომრებიც გადაებეჭდათ.

1904 წლის 21 იანვარს რსდმპ ბაქოს კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სრული ნდობა გამოუცხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მოითხოვა აღმოფხვრილიყო „ისკრის“ ფურცლებზე პოლემიკა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს შორის ორგანიზაციულ საკითხებზე[1] ბაქოს კომიტეტის ცალკეული წევრები გამოვიდნენ „განსაკუთრებული აზრით“, რომელიც ასახავდა შემარიგებელთა შეხედულებებს[2].

1904 წლის დამდეგს მენშევიკების დეზორგანიზატორული გამოსვლებისა და მეფის ხელისუფალთა მხრივ რეპრესიების გაძლიერების შედეგად ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ფრიად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. 1903 წლის დამლევს — 1904 წლის დამდეგს ჩავარდა ბაქოს და ბათუმის კომიტეტების არალეგალური სტამბები, დაპატიმრებულ იქნენ რსდმპ კავკასიის კავშირის, თბილისისა და ბაქოს კომიტეტების მეტი წილი წევრები.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების რიგების განსამტკიცებლად ვ .ი. ლენინის დავალებით აქ სხვადასხვა დროს ჩამოდიან გამოცდილი პარტიული მუშაკები: ვ. ს. ბობროვსკი, ც. ს. ბობროვსკაია (ზელიქსონი), ა. მ. სტოპანი და სხვები. 1904 წლის თებერვალში გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ ამიერკავკასიაში დაბრუნდა ი. ბ. სტალინი, რომელიც ციმბირში გადასახლებული იყო ბათუმის 1902 წლის ამბებში მონაწილეობისათვის. ვ. ს. ბობროვსკი, ი. ბ. სტალინი და ს. გ. შაუმიანი კოოპტირებულ იქნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში.

კავკასიის კავშირის კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. გაძლიერდა ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობა, რეორგანიზებულ იქნა კავშირის კომიტეტთან არსებული სარედაქციო კოლეგია. პარტიული ლიტერატურის გამოცემაში კავკასიის კავშირის კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდა სომხურ და ქართულ ენებზე სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამოცემის ჟენევის კომისია[3]. კავკასიაში დიდი წარმატებით სარგებლობდა ვ. ი. ლენინის შე-

---

[1] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 156.
[2] იქვე, გვ. 156—157.
[3] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 163. л. 1.

სანიშნავი ნაშრომები „რა ვაკეთოთ?“ და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომლებიც იცავდნენ პარტიულობას — წრეობრიობის წინააღმდეგ, პარტიას — დეზორგანიზატორებისა და გამთიშველების წინააღმდეგ და ამასთან ერთად საგრძნობ დარტყმას აყენებდნენ საერთაშორისო ოპორტუნიზმს. კავკასიის კავშირის კომიტეტმა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი ვ. ი. ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ხელახლა გამოცემის შესახებ [1].

კავკასიის კავშირის კომიტეტთან შეიქმნა აგენტურა (კოლეგია), რომელიც ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიაში პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეს. მის ფუნქციებში შედიოდა კავშირის კომიტეტისათვის მუშაკების მოსამზადებელი წრეების შექმნა; ლექციების მოწყობა პარტიის პროგრამასა და წესდებაზე, რომლებიც II ყრილობამ შეიმუშავა, ყრილობის რეზოლუციებზე, მიმდინარე საკითხებზე; პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მეცადინეობის პროგრამის შემუშავება[2]. კოლეგიის პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე ლექციებს დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმზე, სოციალ-დემოკრატიის ისტორიაზე. ამავე პროგრამით კავკასიის კავშირის კომიტეტის პროპაგანდისტები მეცადინეობას აწყობდნენ მუშათა წრეებში.

განუხრელად ასრულებდა ვ. ი. ლენინის დირექტივებს კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკების წინააღმდეგ რსდმპ III ყრილობისათვის. 1904 წლის მარტის დამდეგს რსდმპ კავკასიის კავშირის, ბაქოსა და გურიის კომიტეტებმა მიიღეს სპეციალური რეზოლუციები მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ახალი „ისკრის“ დეზორგანიზატორული ტაქტიკის მხილების შესახებ. კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1904 წლის 26 მარტს ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აზრი პარტიის III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ[3] და მხარი დაუჭირა მისი მოწვევის ლენინურ გეგმას. ამან დიდი კმაყოფილება გამოიწვია საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრში [4].

1904 წლის მარტში დაპატიმრებათა შემდეგ ბაქოს კომიტეტის წევრად შემარიგებლების ხელშეწყობით კოოპტირებულ იქნა მენშევიკი ვ. ი. მიტროვი („სავა“). ბაქოს ორგანიზაციის ნების წინააღმ-

---

[1] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 163, л. 1.

[2] ვლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241, ფურც. 339.

[3] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 158.

[4] ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 5, ед. хр. 176, л. 5; ф. 17, оп. 1, ед. хр. 130, л. 1.

დეგ და ბაქოს კომიტეტის ორი სხვა წევრისათვის შეუტყობინებლად მიტროვმა 1904 წლის 23 აპრილს მენშევიკურ „ისკრას“ გაუგზავნა რეზოლუცია, რომელიც მიმართული იყო პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ [1]. ბაქოს კომიტეტში გაძლიერებულმა უთანხმოებამ მალე გამოიწვია კომიტეტში მუშაობისაგან იქ კიდევ დარჩენილი ორი წევრის ჩამოშორება. ისარგებლა ამ გარემოებით და მიტროვმა ერთპიროვნულად შეიყვანა ბაქოს კომიტეტის შეძადგენლობაში კოოპტაციის წესით სამი მენშევიკი. ამრიგად, მაისის დამდეგს რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა.

1904 წლის იანვარში დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელმაც რუსეთის მშრომელთ ახალი ტანჯვა მოუტანა, კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა რსდმპ ბოლშევიკურ ფრაქციასა და მენშევიკურ ფრაქციას შორის. ომის დასაწყისიდანვე ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები ამხილებდნენ მის მტაცებლურ, იმპერიალისტურ ხასიათს და გამოდიოდნენ ამ ომში მეფის მთავრობის დამარცხების მომხრედ, ხოლო მენშევიკები ნახევრადობორონცულ პოზიციას დაადგნენ. უთანხმოებას ორგანიზაციულ საკითხებზე მიემატა უთანხმოება ტაქტიკურ საკითხებზეც.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა და კავშირში შემავალმა პარტიულმა კომიტეტებმა ფართოდ გააჩაღეს ომის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტული, საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის“ სტატიებში. მრავალ პროკლამაციასა და ფურცელში ბოლშევიკები ამიერკავკასიის მშრომელებს განუმარტავდნენ რუსეთ-იაპონიის ომის მძარცველურ, ანტიხალხურ ხასიათს, ამავე დროს მიუთითებდნენ, რომ ცარიზმი, რომელმაც ისარგებლა ომით, ცდილობდა ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა.

ბაქოს, თბილისისა და ბათუმის კომიტეტებმა 1904 წლის იანვრის დამლევს — თებერვლის დამდეგს გააჩაღეს საგიტაციო მუშაობა „პატრიოტული“ მანიფესტაციების წინააღმდეგ, რომლებსაც მეფის მთავრობა აწყობდა. ბოლშევიკური ლოზუნგებით: „ძირს ომი!“, „ძირს თვითმპყრობელობა!“ იმართებოდა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მოსწავლეთა დემონსტრაციები და მიტინგები ბაქოში, თბილისში, გორში, სიღნაღში, ბათუმში, ქუთაისში, ალექსანდროპოლსა და სხვა ადგილებში.

1904 წლის მარტში კავკასიის კავშირის კომიტეტმა შეიმუშავა

[1] «Искра» № 67, 1 июня 1904 г.

ინსტრუქცია ომის საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებისათვის. ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით წარმოებდა მზადება 1 მაისის დღისთვისაც. 9 მარტს ბათუმის მუშებმა ერთი დღის საყოველთაო გაფიცვით აღნიშნეს 1902 წლის დემონსტრაციის მეორე წლისთავი. 11 აპრილს თბილისში, ვაგზლის მოედანზე, დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია მოეწყო პოლიტიკური პატიმრების გადასახლებაში გაგზავნასთან დაკავშირებით.

22 აპრილს კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისში მოიწვია ადგილობრივი პარტიული კომიტეტების წარმომადგენელთა კრება. კრებამ დაადგინა პირველი მაისის დღესასწაული ქალაქებში აღენიშნათ ერთი დღის გაფიცვებით, სოფელ ადგილებში — დემონსტრაციებითა და მიტინგებით[1], რომლებიც კიდევაც გაიმართა ამიერკავკასიის მთელ რიგ ადგილებში. ბაქოში, მენშევიკების დეზორგანიზატორული საქმიანობის შედეგად, გაფიცვას საყოველთაო ხასიათი არ მიუღია. 1904 წელს ალექსანდროპოლში, ქალაქის ბაღში, პირველად იდღესასწაულეს 1 მაისი. 2 მაისს სოფელ ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა) გაიმართა გლეხთა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასამდე კაცმა. დემონსტრანტები წითელი დროშებით გაემართნენ სოფლის ცენტრისაკენ; დემონსტრაცია პოლიციამ გაფანტა; მოკლულ იქნა რამდენიმე გლეხი.

იმ პირობებში, როცა პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ძირითადი ძალები დაბანდებული იყვნენ მენშევიკების დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლით, მუშათა გამოსვლების ტალღა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად შესუსტდა. 1904 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ხდებოდა ძირითადად ნაწილობრივი გაფიცვები ბაქოს, ბათუმის, თბილისის, ჭიათურის, ფოთის, ალავერდისა და სხვა ქალაქების ცალკეულ საწარმოებში, საყოველთაო გაფიცვის საკითხი კი არ აღძრულა.

გამწვავებული შინაპარტიული ბრძოლის ვითარებაში სასწრაფოდ მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობა, რომელიც შედგა თბილისში 1904 წლის მაისის პირველ ნახევარში. ყრილობას გადამწყვეტი ხმით დაესწრნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, კავკასიის კავშირის კომიტეტის, თბილისის, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოსა და გურიის კომიტეტების წარმომადგენლები და რამდენიმე კაცი სათათბირო ხმის უფლებით.

---

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241, ფურც. 319—320.

კავკასიის კავშირის III ყრილობის მიზანი იყო იმ საკითხების განხილვა, რომლებიც მომწიფდა კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით[1]. ყრილობამ განიხილა საკითხი დემონსტრაციებისა და შეიარაღების შესახებ და „დროულად და აუცილებლად ცნო შეიარაღებული დემონსტრაციების მოწყობა, რათა ისინი გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ ერთდროულად გავრცელდება ფართო რაიონებზე"[2]. გამოიყო განსაკუთრებული კომისია. მასში მონაწილეობდნენ ამ დემონსტრაციების მომზადებისა და ჩატარებისადმი სახელმძღვანელოდ კავკასიის კავშირის კომიტეტთან შექმნილი სამხედრო-რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ჩატარებულიყო ფართო აგიტაცია სოფელ ხიდისთავის გლეხთა საპირველმაისო დემონსტრაციის პოპულარიზაციისათვის. ხიდისთაველების წინააღმდეგ რეპრესიების შემთხვევაში განზრახული იყო საპროტესტო დემონსტრაციების გამართვა კავკასიასა და რუსეთში[3].

ყრილობამ დასახა ღონისძიებანი მშრომელებში პროპაგანდისა და აგიტაციის გაძლიერებისათვის. გადაწყდა გამოეცათ ვ. ი. ლენინის ბროშურა „სოფლის ღარიბებს" ადგილობრივ ენებზე, შეედგინათ ბროშურა ჯარისკაცებისათვის, ადგილობრივი კომიტეტების ყურადღება მიექციათ ჯარისკაცებში პროპაგანდისა და აგიტაციის გაძლიერების საჭიროებისათვის.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა ანგარიში კავკასიის კავშირის ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა წარმატებანი და ნაკლოვანებანი ამ დარგში და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი საგამომცემლო საქმის შემდგომი გაფართოებისათვის. გადაწყდა განახლებულიყო გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" გამოცემა. ჯერ კიდევ 1904 წლის აპრილში კავკასიის კავშირის კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტს მიმართა შუამდგომლობით გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" საზღვარგარეთ გამოცემისა და ამასთან დაკავშირებით სპეციალური სარედაქციო კოლეგიის შექმნის შესახებ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით. „კავშირის კომიტეტი დაბეჯითებით გთხოვთ, — ნათქვამი იყო წერილში, — რომ ეს პირი, პირველ ხანს მაინც, ამხანაგი ლენინი იყოს"[4]. III ყრილობის წინ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მი-

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241, ფურც. 319—320.

[2] იქვე, ფურც. 313.

[3] იქვე, ფურც. 314.

[4] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 119, л. 5.

იღო დადგენილება: გადატანილ იქნას გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემა საზღვარგარეთ. რედაქციას ევალებოდა დასაბეჭდად მოემზადებინა გაზეთისა და ბროშურების მასალები, ხოლო მათი ბეჭდვა განეხორციელებინა კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბაში. მაგრამ ყრილობამ არასწორად და არასასურველად ცნო ამ გადაწყვეტილების განხორციელება [1]. ყრილობა ინფორმირებული იყო ბაქოს ორგანიზაციაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ და საჭიროდ ჩათვალა გამოცდილი პარტიული მუშაკების გაგზავნა ბაქოში ორგანიზაციის განსამტკიცებლად.

ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში, ყარსის ოლქსა და ბორჩალოს მაზრაში. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ დაშნაკებმა გააძლიერეს მუშაობა სომეხ მუშებსა და გლეხებში. ამიტომ ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო იყო პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის გაძლიერება სომეხ მშრომელებს შორის [2].

ყრილობაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი გაზეთ „საქართველოს“ [3] შესახებ, რომელშიც თავსდებოდა სტატიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. „საქართველო“ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რსდმ პარტიისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვნენ და რომ ისინი ნაციონალისტური არიანო. ყრილობამ კავშირის კომიტეტს დაავალა შეემუშავებინა რეზოლუცია „საქართველოს“ შესახებ [4]. 1904 წლის სექტემბერში გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ № 7-ში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“. მასში დასაბუთებულია პარტიის თეორია და პროგრამა ეროვნულ საკითხში და მოცემულია სოციალ-ფედერალისტების საფუძვლიანი კრიტიკა.

ყრილობამ მოიწონა წინადადება პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფის შექმნის შესახებ, და ამ მიზნით გადაწყდა გადარი-

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241. ფურც. 318.

[2] იქვე, ფურც. 207, 322.

[3] გაზეთი „საქართველო“ ქართველ ნაციონალისტთა საზღვარგარეთის ჯგუფის ორგანო იყო. იგი გამოდიოდა პარიზში 1903-დან 1905 წლამდე ქართულ და ფრანგულ ენებზე. ქართველ ნაციონალისტთა საზღვარგარეთის ჯგუფი გახდა ბირთვი სოციალ-ფედერალისტთა ნაციონალისტური პარტიისა, რომელიც ჟენევაში დაარსდა 1904 წელს.

[4] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241, ფურც. 318.

ცხულიყო ადგილობრივი კომიტეტების ფინანსური სახსრების გარკვეული პროცენტი.

კავკასიის კავშირის III ყრილობაზე კავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა არ აურჩევიათ. ამის თაობაზე ოქმში ჩაწერილია: „ყრილობა ნდობას უცხადებს კავშირის კომიტეტს და სთხოვს მის წევრებს დარჩნენ თავიანთ ადგილებზე“[1].

კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელიც ცყრდნობოდა ყრილობის გადაწყვეტილებებს, გააჩაღა ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ და თავისი წარმომადგენლები გაგზავნა ადგილობრივ კომიტეტებში. 1904 წლის ივნისის დამდეგს რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის კავშირის კომიტეტის წარმომადგენლებმა ბაქოში მოიწვიეს ქალაქის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება; მის მონაწილეთა უმრავლესობამ მენშევიკური კომიტეტის ლიკვიდაცია მოითხოვა. კავშირის კომიტეტმა გაითვალისწინა ბაქოს ორგანიზაციის უმრავლესობის აზრი და 1904 წლის 4 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება ბაქოს მენშევიკური კომიტეტის დაუყოვნებლივ დაშლის შესახებ[2]. 7 ივნისს ბაქოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა კავკასიის კავშირის კომიტეტის რეზოლუცია, რომელიც აცხადებდა მენშევიკური კომიტეტის დაშლას და ახალი, ბოლშევიკური კომიტეტის შექმნას, ბაქოელი ბოლშევიკები ვ. ი. ლენინსა და ბოლშევიკების საზღვარგარეთის ცენტრს სწერდნენ: „ჩვენ მოგვიხდა ნამდვილი ომი გვეწარმოებინა კომიტეტთან, რომელიც შემთხვევით შედგა უმცირესობისაგან. ბოლოს და ბოლოს კავკასიის კავშირის სახელით იგი გაუქმებულ იქნა და შეიქმნა ახალი კომიტეტი“[3].

ბაქოს ახალი კომიტეტის შემადგენლობაში ბოლშევიკი-ლენინელები შევიდნენ. პარტიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად ბაქოში გაიგზავნენ ვ. ს. ბობროვსკი, ც. ს. ბობროვსკაია (ზელიქსონი), პ. ა. ჯაფარიძე, ა. ბ. სტოპანი და სხვები. ბაქოს კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია მენშევიკური კომიტეტის დეზორგანიზატორული საქმიანობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. განმტკიცებულ იქნა რაიონული კომიტეტების შემადგენლობა. ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების მიზნით ბაქოს კომიტეტმა გამოჰყო რაიონული პასუხისმგებელი ორგანიზატორები, ხოლო კომიტეტთან შექმნა პროპაგანდისტთა ჯგუფი.

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 241, ფურც. 318.

[2] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 193, л. 8.

[3] ЦПА ИМЛ, ф. 2, оп. 5, ед. хр. 28, л. 1.

1904 წლის ზაფხულში მენშევიკებმა ხელში ჩაიგდეს რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. აგვისტოში ქუთაისში გაიგზავნა კავკასიის კავშირის წარმომადგენელი ი. ბ. სტალინი. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა რეორგანიზაცია განიცადა. იქიდან განდევნილ იქნენ მენშევიკები, შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირის ახალი, ბოლშევიკური იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. კომიტეტთან შეიქმნა პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელმაც გააჩაღა მუშაობა ქუთაისის გუბერნიის მშრომელებში.

ყრილობის შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა მუშაობა ადგილებზე. ბაქოს და თბილისის კომიტეტების დახმარებით ეწყობოდა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ელიზავეტპოლში. ელიზავეტპოლელი სოციალ-დემოკრატები დაკავშირებული იყვნენ ქედაბეკის სპილენძის სამადნეების და სპილენძის ქარხნის მუშებთან, აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ ქედაბეკში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის შექმნასა და მის მუშაობაში. შუშაში სოციალ-დემოკრატები აწყობდნენ სადისკუსიო კრებებს დაშნაკებისა და ესერების წინააღმდეგ — ძირითადად პროგრამის საკითხებზე.

1904—1905 წლებში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები სადგურ ახტალასა (სომხეთი) და მის მეზობელ მთელ რიგ სოფლებში. ლორის ბოლშევიკური ჯგუფები შედიოდნენ ბორჩალოს ორგანიზაციაში, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობდა. სომხეთის სოციალ-დემოკრატებმა სისტემატური კავშირი დაამყარეს თბილისთან, საიდანაც მიჰქონდათ ფურცლები და სხვა არალეგალური ლიტერატურა. ერევანში, რკინიგზის კვანძზე და კონიაკის ქარხანაში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული წრეების გარდა, უფრო გვიან წარმოიშვა წრეები ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში. ამ წრეების მუშაობას გ. ნ. სოკოლოვსკი და ა. ა. მალხასიანი ხელმძღვანელობდნენ[1].

ამ პერიოდში შეიქმნა ხონის, ფოთისა და ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციები. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ინიციატივით 1904 წლის ზაფხულში ქუთაისში გაიმართა მოწინავე მუშების კრება რსდმ პარტიის ფაქტიურად შექმნასთან დაკავშირებით. ეს კრება გადაიქცა დისკუსიად ორგანიზაციულ საკითხებსა და პრაქტიკული მუშაობის დაყენების საკითხებზე. კრების მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს „ცხოვრებაში გაეტარებინათ მეორე პარტიული

[1] Очерки истории Коммунистической партии, стр. 35.

ყრილობის უმრავლესობის ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპები"[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები კვლავ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული შუა აზიის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან. დახმარებას უწევდნენ მათ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების შექმნაში, პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებაში, არალეგალური სტამბების მოწყობაში[2].

მაგრამ მდგომარეობა რსდმ პარტიის შიგნით სულ უფრო დაძაბულ ხასიათს იღებდა, მენშევიკების დეზორგანიზატორული მოქმედება სულ უფრო აღვირახსნილი ხდებოდა. 1904 წლის ზაფხულში ცენტრალური კომიტეტის შემარიგებლურმა ნაწილმა მიიღო დადგენილება, რომელიც ცნობილია „ივლისის დეკლარაციის" სახელწოდებით. ეს დადგენილება კანონიერად ცნობდა „ისკრის" მენშევიკურ შემადგენლობას და იცავდა მენშევიკების ოპორტუნიზმს. შემარიგებლებმა წაართვეს ვ. ი. ლენინს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლის უფლებები და აკრძალეს მისი შრომების ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის უნებართვოდ ბეჭდვა. „ივლისის დეკლარაცია" მიმართული იყო აგრეთვე პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და აუქმებდა ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიუროს, რომელიც აგიტაციას ეწეოდა ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. ცენტრალური კომიტეტის წევრები ადგილობრივ ორგანიზაციებში წავიდნენ ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად.

ამიერკავკასიაში ჩამოვიდა შემარიგებელი ი. თ. დუბროვინსკი. თავის მოხსენებაში კავკასიის კავშირის კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრების გაერთიანებულ სხდომაზე თბილისში ი. თ. დუბროვინსკიმ დამალა ის ფაქტი, რომ ცენტრალური კომიტეტი მენშევიკების მხარეზე გადავიდა და რომ დაიწყო ლაშქრობა ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტი დროებით წყვეტს აგიტაციას ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. შეცდომაში შეყვანილმა კავკასიის კავშირის კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა მიიღეს შემარიგებლური რეზოლუცია, რომელმაც სრული ნდობა გამოუცხადა ცენტრალურ კომიტეტს და დააკისრა მას ამოცანა უზრუნველეყო პარტიის ერთიანობა. იმ შემთხვევაში,

---

[1] Н. Шахов. Борьба за съезд. Сборник документов, Женева, 1904, стр. 7.

[2] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 62—63.

თუ მენშევიკები უარს იტყოდნენ ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტაზე, რეზოლუცია წინადადებას იძლეოდა განახლებულიყო მუშაობა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. შემდეგში ამ რეზოლუციას ბათუმის კომიტეტიც შეუერთდა[1].

იმ დღეებში, როცა ი. თ. დუბროვინსკი ამიერკავკასიაში გაიგზავნა, მ. გ. ცხაკაია გაემგზავრა ქ. ორიოლში, სადაც ცენტრალური კომიტეტი იმყოფებოდა, რათა წარედგინა ცენტრალური კომიტეტისათვის ამიერკავკასიის კომიტეტების მოთხოვნა პარტიის III ყრილობის მოწვევის შესახებ. აქ მან შეიტყო ი. თ. დუბროვინსკის მისიის შესახებ და გაეცნო „ივლისის დეკლარაციას“, რის შემდეგ დაბრუნდა ბაქოში და თან ჩაიტანა „ივლისის დეკლარაციის“ პირი. ბაქოს კომიტეტმა „ივლისის დეკლარაციის“ წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადა. შემდეგში, ბაქოს კომიტეტის კრებას რომ იგონებდა, რომელზეც განხილულ იქნა ეს დეკლარაცია, მ. გ. ცხაკაია წერდა: „ეს იყო მებრძოლი კრება, რომელზეც პირიდან ცეცხლსა ყრიდნენ ცენტრალური კომიტეტის პოზიციის წინააღმდეგ. ბაქოს კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება განეგრძო ბრძოლა ყრილობის მოწვევისათვის ცენტრალური კომიტეტის გვერდის აევლით“[2]. როცა ი. თ. დუბროვინსკი თბილისიდან ბაქოში ჩამოვიდა, ბაქოელმა ბოლშევიკებმა იმაზეც კი უარი თქვეს, რომ მოესმინათ მისთვის[3].

„ივლისის დეკლარაციას“ მალე გაეცნო კავკასიის კავშირის ყველა კომიტეტი, მისმა შინაარსმა მათი გულისწყრომა გამოიწვია. „ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას აღშფოთებით შეხვდნენ კავკასიაში“[4], — წერდა ნ. კ. კრუპსკაია

პარტიული კრიზისის დაძლევის მიზნით 1904 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში შვეიცარიაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით 22 ბოლშევიკის თათბირი გაიმართა. თათბირმა მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება „პარტიისადმი“, რომელიც III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლის პროგრამას წარმოადგენდა. თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო უმრავლესობის კომიტეტების ბიურო ყრილობის მოწვევის მოსამზადებელი მუშაობის მოსაწყობად.

---

[1] Как рождалась партия большевиков. Литературная полемика. Сборник, Л., 1925, стр. 350.

[2] «Правда» № 114, 25 апреля 1935 г.

[3] Из прошлого. Статьи и воспоминания из истории Бакинской организации и рабочего движения в Баку, Баку, 1923, стр. 16.

[4] Ленинский сборник XV, стр. 213.

22 ბოლშევიკის თათბირის მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსეთის ბევრ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. მას მხარი დაუჭირეს პეტერბურგის, მოსკოვის. ეკატერინოსლავის, ოდესის, ნიკოლაევის, ვორონეჟისა და სხვა კომიტეტებმა.

1904 წლის სექტემბერში ამიერკავკასიაში ვ. ი. ლენინის დავალებით ჩამოვიდა 22-ის თათბირის მონაწილე რ. ს. ზემლიაჩკა. მან სხდომები გამართა ბაქოში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, გააცნო კომიტეტების წევრებს 22 ბოლშევიკის თათბირის მოწოდება და ზუსტად დაახასიათა შინაპარტიული მდგომარეობა, ამხილა ცენტრალური კომიტეტის ორპირობა და მისი „ივლისის დეკლარაციის" მენშევიკური არსი.

1904 წლის სექტემბერში კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც გამოხატავდა მათს მტკიცე გადაწყვეტილებას გაეზიარებინათ 22 ამხანაგის თათბირის რეზოლუცია და ეწარმოებინათ აგიტაცია III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ [1]. იმავე ხანებში ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, ბათუმისა და გურიის კომიტეტებმა [2]. 1904 წლის 7 ოქტომბერს რ. ს. ზემლიაჩკა პეტერბურგის კომიტეტს სწერდა: „კავკასიაში ჩვეხ სრული გამარჯვება მოვიპოვეთ"[3].

მიუხედავად ამისა, მენშევიკების საზღვარგარეთის ცენტრი არა ცხრებოდა, ყოველგვარ ფანდებს მიმართავდა, რომ თავის მხარეზე გადაებირებინა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ჯერ კიდევ 1904 წლის 25 ივნისს პარტიის საბჭოს წევრმა, მენშევიკების ლიდერმა ი. ო. მარტოვმა ბაქოში გაგზავნა ოფიციალური წერილი, რომელშიც გმობდა კავკასიის კავშირის კომიტეტს მენშევიკური ბაქოს კომიტეტის დათხოვნისათვის. 1904 წლის სექტემბრის დამდეგს პარტიის საბჭომ უკანონოდ ცნო ბოლშევიკური ბაქოს კომიტეტი და მისი რეზოლუცია III ყრილობის მოწვევის შესახებ. „მენშევიკური „ისკრა" და პარტიის საბჭო დაჟინებით მოითხოვდნენ ბაქოს ძველი, არაუფლებამოსილი კომიტეტის აღდგენას. საზღვარგარეთის ბოლშევიკური ცენტრი პარტიის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას მკვეთრი კრიტიკით შეხვდა [4].

---

[1] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 162—163.

[2] იქვე, გვ. 160—161, 162—164.

[3] იქვე, გვ. 314.

[4] Орловский (В. В. Воровский). Совет против партии. М., 1933, стр. 43.

ბოლშევიკებთან ბრძოლაში მენშევიკები ეყრდნობოდნენ 1904 წლის ზაფხულში ბაქოში ძმების შენდრიკოვების მიერ შექმნილ „ბალახანისა და ბიბი-ეიბათის მუშათა ორგანიზაციას“ (რომელსაც შემდეგში „ბაქოს მუშათა კავშირი“ ეწოდა). ძმები შენდრიკოვები, რომლებიც დეზორგანიზატორული მუშაობისათვის გარიცხული იყვნენ ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან, დემაგოგიის საშუალებით თავიანთ ჯგუფში იზიდავდნენ ნაკლებად შეგნებულ მუშებს. შენდრიკოველები ეწეოდნენ აშკარად ავანტიურისტულ და იმავე დროს შოვინისტურ პოლიტიკას, ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა მოექციათ „პოლიციური სოციალიზმის“ ჩარჩოებში. ისინი ქადაგებდნენ უკიდურესად მემარჯვენე „ეკონომიზმსა“ და ანარქო-სინდიკალისტურ შეხედულებებს. მენშევიკური „ისკრის“ რედაქციამ და პარტიის საბჭომ ოფიციალურად ცნეს შენდრიკოველთა ორგანიზაცია.

ბოლშევიკების ბაქოსა და ბალახანის რაიონულმა კომიტეტებმა თავიანთ რეზოლუციაში პროტესტი გამოთქვეს იმის წინააღმდეგ, რომ, მენშევიკური „ისკრა“ მფარველობდა შენდრიკოველთა ჯგუფს[1]. რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის კავშირის კომიტეტის წარმომადგენლები გამოვიდნენ „განცხადებით“, რომელშიც შენდრიკოველთა ჯგუფი ცნეს „არაპარტიულად“, ხოლო მისი საქმიანობა — დეზორგანიზატორულად და მავნედ[2]. ვ. ი. ლენინი ამ დოკუმენტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და 1904 წლის 3 დეკემბერს ნ. კ. კრუპსკაიას სწერდა: „ვგზავნი კავშირის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის კავკასიის წარმომადგენლის განცხადებას... **ჩემი აზრით**, ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო ა დაუყოვნებლივ გამოვცეთ იგი ფ უ რ ც ლ ა დ ჩვენს გამომცემლობაში: გააკეთეთ ეს დაუყოვნებლივ და აუცილებლად“...[3]

მას შემდეგ, რაც „ისკრა “მენშევიკების ხელში გადავიდა, ბოლშევიკებს საკუთარი გამომცემლობა აღარა ჰქონდათ. 1904 წლის ზაფხულში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა ლიტერატურული ჯგუფი, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა ვ. ი. ლენინის დავალებით შექმნა სპეციალური გამომცემლობა სახელწოდებით „სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის გამომცემლობა ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. I, დაცვ. ერთ. 38.
2 Газ. «Вперед» № 3, 24 (11) января 1905 г.
3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 34, გვ. 299.

ნ. ლენინისა". ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ დახმარებას უწევ-დნენ ამ საგამომცემლო ჯგუფს.

1904 წლის სექტემბერ — დეკემბერში რსდმპ III ყრილობის მო-წვევისათვის ბრძოლა ახალ, გადამწყვეტ ეტაპში შეეიდა. ეწყობო-და სამხრეთის, კავკასიისა და ჩრდილოეთის უმრავლესობის კომი-ტეტთა კონფერენციები. პირველი (სამხრეთის) კონფერენცია გაი-მართა 1904 წლის სექტემბერში; მასში მონაწილეობა მიიღეს ოდე-სის, ნიკოლაევისა და ეკატერინოსლავის კომიტეტებმა, რსდმპ ცენ-ტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიუროს წევრებმა. კონფერენცია-ზე მოხდა კომიტეტების გაერთიანება და არჩეულ იქნა უმრავლესო-ბის კომიტეტების ბიურო. 1904 წლის 10 ნოემბერს ვ. ი. ლენინი რსდმპ ბაქოს კომიტეტის მდივნის ა. მ. სტოპანისადმი წერილში ამი-ერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ურჩევდა მიებაძათ სამხ-რეთის თაოსნობისათვის, მოეწვიათ კონფერენცია, მონაწილეობა მიეღოთ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს შექმნაში და ყოველ-მხრივ ხელი შეეწყოთ ბოლშევიკთა გამომცემლობისათვის. „აუცი-ლებლად ეცადეთ რაც შეიძლება მალე ჩახვიდეთ თბილისში, — სწერდა ვ. ი. ლენინი ა. მ. სტოპანის, — გადასცეთ ერთიც და მეო-რეც. რაც შეიძლება მალე შემოგვიერთდნენ. რასაკვირველია, შეიძ-ლება ბიუროს შევსება წევრებით კავკასიისაგან... ღვთის გულისათ-ვის, ეცადეთ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდეს გულმოდ-გინედ, აზრიანად და სწრაფად"[1].

ვ. ი. ლენინის მითითებათა თანახმად კავკასიის კავშირის კომი-ტეტმა 1904 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში თბილისში მოიწვია კავკასიის კავშირის კომიტეტების პირველი კონფერენცია. კონფე-რენციას დაესწრნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, კავკასიის კავშირის, ბაქოს, თბილისის, ბათუმის და იმერეთ-სამეგრელოს კო-მიტეტების წარმომადგენლები (სულ 12 კაცი). დამსწრეთაგან 6 კაცს ჰქონდა გადამწყვეტი ხმის, 6-ს — სათათბირო ხმის უფლება. კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: პარტიული ცენტრე-ბისადმი დამოკიდებულება; კავკასიის კავშირის შესახებ; რსდმპ III ყრილობის შესახებ; ბიუროს შესახებ; უმრავლესობის ლიტერატუ-რის შესახებ; მიმდინარე ისტორიული მომენტის შესახებ; ლიტერა-ტურულ-საგამომცემლო მუშაობის შესახებ; რსდმპ კავკასიის კავში-რის წესდებაში ცვლილებათა შესახებ და სხვ. კონფერენციის მუ-შაობის ცენტრში იდგა რსდმპ III ყრილობის მოწვევასთან დაკავ-შირებული საკითხები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 34. გვ. 294—295.

რეზოლუციაში „ყრილობის შესახებ“ მოცემული იყო შინაპარტიული მდგომარეობის შეფასება „პარტიის II ყრილობის შემდეგ. კონფერენციამ აღნიშნა, რომ ცენტრალურ დაწესებულებებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ გამოიყვანონ პარტია ესოდენ მძიმე მდგომარეობიდან და რომ მხოლოდ პარტიული ყრილობის კანონიერი გზით შეიძლება დაუბრუნდეს ცენტრებს დაკარგული ნდობა, რომელიც საჭიროა მათი ქმედუნარიანობისათვის“[1].

რსდმპ III ყრილობის მოსაწვევად წარმოებული პრაქტიკული მუშაობისათვის ხელმძღვანელობა რომ გაეწია კავკასიაში, კონფერენციამ აირჩია ბიურო, განსაზღვრა მისი კომპეტენციის ფარგლები. აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც შეიძლებოდა მსჯელობის საგანი გამხდარიყო პარტიის III ყრილობაზე. კონფერენციამ ბიუროს სრული უფლება მისცა ორგანიზაციული კავშირი დაემყარებინა 22 ბოლშევიკის თათბირის მონაწილეებთან, მესამე ყრილობის მოწვევის მომხრე პარტიულ ორგანიზაციებთან.

საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან მტკიცე კავშირის დამყარების მიზნით კონფერენციამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია „უმრავლესობის ლიტერატურის შესახებ“ და ცენტრალური კომიტეტისაგან მოითხოვდა სხვა პარტიულ ლიტერატურასთან ერთად ადგილობრივი პარტიული კომიტეტები მოემარაგებინათ ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ვ. ი. ლენინის ჯგუფის ლიტერატურითაც.

რეზოლუციაში „პარტიული ცენტრებისადმი დამოკიდებულება“ კონფერენციამ დაგმო პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შემარიგებლური ტაქტიკა და გამოთქვა თავისი უნდობლობა მათდამი. მაგრამ ამასთან ერთად კონფერენციამ შესაძლებლად მიიჩნია ცენტრალურ კომიტეტთან თანამშრომლობა იმ იმედით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელთ იგდეს შემარიგებლებმა, მას უნარი ექნება განახორციელოს პრაქტიკული, ობიექტურად რევოლუციური ღონისძიებანი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელმაც გაითვალისწინა რევოლუციური სიტუაცია, კონფერენციის დღის წესრიგში შეიტანა საკითხი „ახლანდელი ისტორიული მომენტის შესახებ“, რათა შეემუშავებინათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის პარტიული ორგანიზაციების საერთო გეგმა და საერთო ტაქტიკა. ამ საკითხის შესახებ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების საუკეთესო საშუალებაა პოლიტიკური დემონსტრაციები. კონფერენციამ კავკა-

[1] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 16.

სიის კავშირის კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს რჩევა მისცა სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა უმთავრესად წარემართათ ომთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე იმ ამოცანების განსამარტებლად, რომლებიც პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე ისტორიულმა მომენტმა დააყენა. მან აგრეთვე მიზანშეწონილად ცნო ჩვეულებრივი წრეობრივი მუშაობიდან გადასვლა საპეტიციო კრებების, მასობრივი და სახელდახელო მიტინგების მოწყობაზე. პოლიტიკური დემონსტრაციების მოწყობისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ კონფერენციამ მიიჩნია მეფის არმიაში მობილიზაციის გამოცხადების მომენტი. კონფერენცია აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს — არ მოეწყოთ ნაადრევი შეიარაღებული გამოსვლები და ხაზგასმით აღნიშნავდა ამ დემონსტრაციების მშვიდობიანი ხასიათის უზრუნველყოფის აუცილებლობას[1].

კონფერენციამ აგრეთვე განიხილა საკითხი ლიბერალების შესახებ. ცნობილია, რომ 1904 წელს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდამ მეფის მთავრობა აიძულა წასულიყო ერთგვარ დათმობებზე ლიბერალური ბურჟუაზიისადმი და ნება დაერთო მისთვის წამოეყენებინა თავისი მოთხოვნები. ლიბერალური ბურჟუაზია ზეიმობდა „პოლიტიკური გაზაფხულის“ დადგომას, რამაც გამოხატულება ჰპოვა ე. წ. „ბანკეტების კამპანიაში“. ამიერკავკასიაშიც იმართებოდა ასეთი ბანკეტები, რომელთა მონაწილეები მეფეს ერთგულებას ეფიცებოდნენ და ამავე დროს ზოგიერთ რეფორმას მოითხოვდნენ. ლიბერალური ბურჟუაზია ცდილობდა გაეთიშა რევოლუციური ძალები და იმედი ჰქონდა, რომ მეფესთან გაიზიარებდა ძალაუფლებას. რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც რჩევას იძლეოდა ლიბერალების მიმართ დასდგომოდნენ პარტიის II ყრილობის მიერ განსაზღვრულ პრინციპულ პოზიციას, ე. ი. ემხილებინათ რუსეთის ბურჟუაზიის ანტირევოლუციურობა და ამავე დროს მხარი დაეჭირათ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მისი ოპოზიციური გამოსვლებისათვის.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობის შემდგომი გაფართოებისათვის და კავკასიის კავშირის კომიტეტს რჩევა მისცა საზღვარგარეთის ლიტერატურული ძალები გამოეყენებინა მეცნიერული სოციალიზმის საკითხებზე ლიტერატურის შესაქმნელად.

კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხი ნაციონალისტების შე-

---

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები. შრომების კრებული, ტ. 14, თბილისი, 1966, გვ. 242, 243.

სახებაც. კონფერენციაზე ამ საკითხის დაყენება ნაკარნახევი იყო იმის აუცილებლობით, რომ გაძლიერებულიყო ბრძოლა ადგილობრივი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების („სომხეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის“ („სპეციფიკების“), დაშნაკცაკანებისა და ქართველი სოციალ-ფედერალისტების) წინააღმდეგ, რომლებიც იმ დროს გააქტიურდნენ. გადაწყდა „აერჩიათ კომისია, არ შეეზღუდათ იგი კომპეტენციაში“[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტების პირველმა კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, თუმცა ზოგიერთ მის გადაწყვეტილებას ნაკლოვანებანი ახასიათებდა. მაგალითად, მას არ განუსაზღვრავს თავისი დამოკიდებულება უმრავლესობის კომიტეტების საერთო-რუსეთის ბიუროსადმი, რომლის შესახებ წინადადება ვ. ი. ლენინმა წამოაყენა. თავის რეზოლუციაში III ყრილობის შესახებ მას შესაძლებლად მიაჩნდა ცენტრალურ კომიტეტთან ერთობლივი ბრძოლა ახალი ყრილობის მოწვევისათვის. სწორედ ეს ნაკლოვანებანი ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა იგი ამ კონფერენციის გამო კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: „თქვენ ჯერ კიდევ არ იცით საბჭოს და ცენტრალური კომიტეტის ყველა დოკუმენტი და ყველა საზიზღრობა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათ უკვე ჩაშალეს მე-3 ყრილობა და ახლა გათიშავენ ყველა კომიტეტს“[2]. ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტების პირველმა კონფერენციამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში.

პარტიის წევრებისათვის რომ გაეცნო კონფერენციის გადაწყვეტილებანი, კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1904 წლის 6 დეკემბერს ფურცლის სახით გამოსცა მისი უმთავრესი რეზოლუციები. ისინი რომ მიიღო, ვ. ი. ლენინმა 1904 წლის 12 დეკემბერს კავკასიის კავშირის კომიტეტს მისწერა წერილი, რომელშიც წინადადებას იძლეოდა: დაუყოვნებლივ გადაეცათ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსათვის ყველა საქმე ყრილობის შესახებ და კომიტეტებისადმი მთელი ხელმძღვანელობა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საზღვარგარეთ გაეგზავნათ კავკასიის კავშირის წარმომადგენელი. 1905 წლის 4 იანვარს გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნდა ცნობა კავკასიის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კონფერენციების შესახებ: „...სამივე კონფერენციამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კატეგორიულად გამო-

---

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, შრომების კრებული, ტ. 14, გვ. 244.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 34, გვ. 310.

თქვა აზრი იმის სასარგებლოდ, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარტიის მე-3 ყრილობა, და მხარი დაუჭირა „უმრავლესობის“ ლიტერატურულ ჯგუფს“ [1]. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ კონფერენციების რეზოლუციებს და აღნიშნავდა, საჭიროა ისინი უცხო ენებზე ითარგმნოსო.

1904 წლის დეკემბერში დამთავრდა უმრავლესობის კომიტეტების საერთო-რუსეთის ბიუროს ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში ვ. ი. ლენინი ედგა.

1904 წლის 22 დეკემბერს (1905 წლის 4 იანვარს ახალი სტილით) საზღვარგარეთ გამოვიდა გაზეთ „ვპერიოდის “პირველი ნომერი. ამით ხორციელდებოდა საერთო-რუსეთის ბოლშევიკური ცენტრების შექმნის ლენინური გეგმა. ახლა ბოლშევიკებს ჰქონდათ თავიანთი საერთო-რუსეთის ორგანიზაციული ცენტრი უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სახით და იდეური ცენტრი ბოლშევიკურ გაზეთ „ვპერიოდის“ სახით. ორივე ამ ცენტრმა გააჩაღა მუშაობა პარტიის III ყრილობის პრაქტიკულად მომზადებისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გაზეთ „ვპერიოდის“ გამოსვლას. ბაქოს კომიტეტი ვ. ი. ლენინს სწერდა: „ვპერიოდის“ გამოსვლა, რა თქმა უნდა, გვიხარია და ყველაფერს გავაკეთებთ მისი მხარდაჭერისა და გავრცელებისათვის“ [2]. კავკასიის კომიტეტმა შექმნა „გაზეთ „ვპერიოდის“ ლიტერატურული ხელშეწყობის ჯგუფი“. ამასთან დაკავშირებით ნ. კ. კრუპსკაია 1905 წლის 5 თებერვალს კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: „ძალიან გაგვახარა ცნობამ, რომ კავკასიაში შექმნილა „ვპერიოდის“ ლიტერატურული ხელშემწყობი ჯგუფი“; ურთიერთობის საქმეს ჯეროვნად თუ დააყენებთ — დიდ საქმეს გააკეთებთ“ [3]. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა განხორციელება ამიერკავკასიის ბოლშევიკების განზრახვისა გადაებეჭდათ გაზეთი „ვპერიოდი“, აგრეთვე გამოეცათ იგი ქართულ და სომხურ ენებზე. კავკასიის კავშირის კომიტეტმა მოაწყო ამ გაზეთიდან ამოღებული ცალკეული სტატიების გამოცემა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე ბროშურებისა და ფურცლების სახით.

1904 წლის ზაფხულიდან მნიშვნელოვნად გააფართოვა მუშაობა ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ. აქ მრავალათასიანი ტირაჟებით იბეჭდებოდა არალეგალური ბროშურები, გაზეთები, ფურცლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 30.

[2] Журн. «Пролетарская революция» № 5 (40), 1925 г., стр. 34.

[3] ი ბ ე ვ ე, გვ. 38.

ბი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. სექტემბრიდან აქ დაიწყეს ქართულ და სომხურ ენებზე ბეჭდვა გაზეთისა „პროლეტარიატის ბრძოლა“. მარტო 1904 წლის 20 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა 30 ათასამდე ცალი სხვადასხვა გამოცემა[1]. გარდა ავლაბრის სტამბისა, ამიერკავკასიაში არალეგალური პარტიული სტამბები იყო თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში და სხვა ადგილებში.

პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“, რომელსაც თავიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან და ბოლშევიკების საზღვარგარეთის ცენტრთან. კავკასიის კავშირის კომიტეტმა ვ. ი. ლენინს მიმართა თხოვნით ეთანამშრომლა ამ გაზეთში, რაზეც ვ. ი. ლენინმა თანხმობა მისცა. შემდეგში გაზეთში სისტემატურად ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები.

პარტიის აგების ლენინური ორგანიზაციული პრინციპებისადმი იყო მიძღვნილი ი. ბ. სტალინის სტატია „პროლეტარების კლასი და პროლეტარების პარტია“, რომელიც ამავე გაზეთში 1905 წლის 1 იანვარს დაიბეჭდა.

1904 წლის ნოემბერში ამიერკავკასიაში ჩამოვიდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი შემარიგებელი ვ. ა. ნოსკოვი (გლებოვი). მან შემოიარა კავკასიის კავშირის კომიტეტები და კვლავ გააჩაღა აგიტაცია პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ. ბაქოს კომიტეტის კრებაზე ნოსკოვი გამოვიდა შენდრიკოველთა ჯგუფის გამო პარტიის საბჭოს ანტიპარტიული დადგენილების დასაცავად. კავკასიის კავშირის კომიტეტმა ბაქოში გაგზავნა ი. ბ. სტალინი, რომელმაც აქტიური ბრძოლა გააჩაღა მენშევიკებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ. 1905 წლის 2 იანვარს ბაქოს კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო დადგენილება მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. 1905 წლის თებერვალში ბაქოს კომიტეტმა კვლავ მიიღო რეზოლუცია რსდმპ ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ[2].

ბაქოში დამარცხების შემდეგ ვ. ა. ნოსკოვი გაემგზავრა თბილისში, სადაც დაუკავშირდა თბილისის კომიტეტის წევრებს და შეძლო თავის მხარეზე გადაებირებინა მათი უმრავლესობა. ამის შედეგად 1905 წლის 17 იანვარს თბილისის კომიტეტმა მიიღო გადაწყვე-

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა (1903—1906 წწ.). მასალებისა და დოკუმენტების კრებული, გვ. 22.

[2] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 169.

ტილება რსდმპ კავკასიის კავშირიდან გასვლის შესახებ[1]. თბილისის კომიტეტის ამ გადაწყვეტილების გამო კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავის სხდომაზე 30 იანვარს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც თბილისის კომიტეტს წარედგინა ულტიმატუმი — უკან წაეღო თავისი განცხადება როგორც ისეთი, რომელიც არ გამოხატავს პარტიული ორგანიზაციის აზრს. ამაზე თბილისის კომიტეტმა 3 თებერვალს უარით უპასუხა, რის შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დაშალა იგი და შექმნა ახალი, ბოლშევიკური კომიტეტი. 1905 წლის 4 თებერვალს ფურცელში კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისის მუშებს მოუწოდა დარაზმულიყვნენ თბილისის ახალი კომიტეტის გარშემო.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დეზორგანიზატორული მოქმედების ამბავი რომ შეიტყო, კავკასიის კავშირის კომიტეტმა კავშირი გაწყვიტა ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც მენშევიკების ფრაქციულ ორგანოდ გადაიქცა[2]. მის ამ რეზოლუციას იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტიც შეუერთდა.

ამრიგად, მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის ცდა რსდმპ კავკასიის კავშირის დეზორგანიზაცია მოეხდინა, ამჯერადაც მარცხით დამთავრდა.

ამავე დროს საერთოპოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში კვლავ მწვავდებოდა. მას კიდევ უფრო აძლიერებდა ცარიზმის დამარცხება იაპონიასთან ომში. ამ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციურად განწყობილი მასების სწორ ორიენტაციას, ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის რიგების შეკავშირებას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები იყენებდნენ რა ბეჭდვითი და სიტყვიერი აგიტაციის საშუალებებს, განაგრძობდნენ დაუცხრომელ ბრძოლას მშრომელთა აღზრდისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამ მხრივ ამიერკავკასიის ბოლშევიკების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა იყო მუსლიმანი მუშების ფართოდ ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში. აზერბაიჯანელი მუშების თითქმის საყოველთაო უწიგნურობა, რელიგიური ცრურწმენანი, შეზღუდული რაოდენობა ლიტერატურისა, რომელიც გამოდიოდა და ვრცელდებოდა, ბოლშევიკური პრესის სპეციალური ორგანოს არარსებობა აზერბაიჯანულ ენაზე, პროპაგანდისტული კადრების ნაკლებობა, აგრეთვე აზერბაიჯანის მაზრებში რევოლუციური სო-

[1] Газ. «Вперед» № 9, 23 февраля (8 марта) 1905 г.

[2] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, стр. 164—165.

ციალ-დემოკრატიის ძალთა არასაკმაო ორგანიზაციული გაფორმება აბრკოლებდა იმას, რომ აზერბაიჯანელი მშრომელები უფრო ფართოდ ზიარებოდნენ რევოლუციურ მოძრაობას. ამის გამო 1904 წელს წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტთან შექმნილიყო სპეციალური დაწესებულება აზერბაიჯანელ მუშათა შორის მუშაობის საწარმოებლად. შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „გუმეთი“ („ენერგია“). თავისი საქმიანობის პირველივე დღეებიდან „გუმეთმა“ დაიწყო ფურცლების გამოშვება, ხოლო შემდეგ გაზეთის გამოცემა (ამავე სახელწოდებით) აზერბაიჯანულ ენაზე, აგრეთვე აწყობდა მასობრივ კრებებს, განუმარტავდა აზერბაიჯანელ მშრომელებს, დაღესტნელებს, ეოლგისპირელ თათრებსა და სხვებს რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს. „გუმეთში“ მისი წარმოშობის მომენტში მუშაობდნენ ა. დ. ახუნდოვი, მ. აიდინბეკოვი, ს. მ. ეფენდიევი, მ. მ. მამედიაროვი, ბ. მ. სარდაროვი და სხვ. 1905 წლის დამდეგს „გუმეთში“ ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავა მ. ა. აზიზბეკოვმა, ხოლო უფრო გვიან — ნ. ნ. ნარიმანოვმა. ბაქოს კომიტეტის დავალებით „გუმეთის“ ხელმძღვანელობას ახორციელებდა პ. ა. ჯაფარიძე. „გუმეთი“ მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა მშრომელ მუსლიმანთა ფართო მასების დასარაზმავად ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

რუსეთში სოციალ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავების ვითარებაში 1904 წლის შემოდგომაზე საგაფიცვო მოძრაობა გაძლიერდა ამიერკავკასიაშიც. მუშათა გაფიცვები იმართებოდა ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ელიზავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ფოთის და სხვა ქალაქების მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში. გარდა ამისა, ბაქოში, შუშაში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, სიღნაღსა და გორში ეწყობოდა ახალწვეულთა მიტინგები და დემონსტრაციები. მეფის თვითმპყრობელობით უკმაყოფილებამ მოიცვა სამხედრო ნაწილებიც. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ მოსწავლეები.

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, კვლავ იზრდებოდა გლეხთა მოძრაობა. გლეხებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, დაიწყეს ბრძოლის პროლეტარული ფორმების გადაღება. 1904 წელს გაიმართა გლეხთა მთელი რიგი პოლიტიკური დემონსტრაციები და მიტინგები. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით იყო ნათქვამი ბროშურაში „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, რომელიც კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა.

ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლებიდან 1904 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბაქოს მუშათა დეკემბრის

საყოველთაო გაფიცვა. პირველები გაიფიცნენ კაპპია-შავი ზღვის ნავთობის საზოგადოების ქარხნის მუშები. 14 დეკემბერს გაფიცვა საყოველთაო გახდა. გაფიცულთა რიცხვი 50 ათასს აღემატებოდა. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელშიც ბოლშევიკებიდან შევიდნენ: ა. მ. სტოპანი, ი. თ. ფიოლეტოვი, პ. ა. ჯაფარიძე. გაფიცვის ხელმძღვანელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ა. ა. ბეკზადიანი, ვ. ს. ბობროვსკი, ც. ს. ბობროვსკაია, ს. მ. ეფენდიევი, ს. დ. რაკუბოვი, მ. ბ. კასუმოვი, მ. მ. მამედიაროვი, ხ. გ. საფარალიევი, ი. ბ. სტალინი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი.

ბოლშევიკებმა შეძლეს გაფიცვისათვის თავიდანვე მიეცათ პროლეტარიატის უდიდესი კლასობრივი ბრძოლის ხასიათი. წამოყენებულ იქნა ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები, რომლებიც 34 პუნქტისაგან შედგებოდა. აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები, რუსები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა მუშები მტკიცედ იცავდნენ ამ მოთხოვნებს, შეუპოვრად ებრძოდნენ თავიანთ ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს. ბაქოს მუშათა სოლიდარობამ კაპიტალისტები აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ. 30 დეკემბერს დადებულ იქნა პირველი კოლექტიური ხელშეკრულება მუშებსა და ნავთობის მრეწველებს შორის, რომელსაც პროლეტარებმა „მაზუთის კონსტიტუცია“ უწოდეს[1]. ამ ხელშეკრულებაში ფიქსირებულ იქნა ბაქოს პროლეტარიატის მთელი რიგი სერიოზული მონაპოვარნი.

ბაქოს მუშათა გაფიცვამ ფართო გამოხმაურება გამოიწვია ამიერკავკასიაში და მთელ რუსეთში. 20 დეკემბერს თბილისსა და ბათუმში გაიმართა დემონსტრაციები ბაქოს მუშებთან სოლიდარობის ნიშნად. გროზნოს ნავთობის სარეწებზე მუშებმა გაფიცვა მოაწყეს. პეტერბურგის, მოსკოვის, ეკატერინოსლავის, ციმბირის, სამარის, ხარკოვის, გროზნოსა და თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს სპეციალური პროკლამაციები ბაქოს მუშათა გაფიცვის გამო, აგრეთვე შეაგროვეს სახსრები გაფიცულ მუშათა დასახმარებლად. პეტერბურგის მუშები აღტაცებას გამოთქვამდნენ ბაქოელთა შეუპოვარი ბრძოლის გამო.

1904 წლის დეკემბრის გაფიცვამ ბაქოს პროლეტარიატი რუსეთის მუშათა კლასის პირველ რიგებში ჩააყენა. ბაქოს მუშათა გაფიცვამ გამოიწვია რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა და გახდა სიგნალი რუსეთის პროლეტარიატის სახელოვანი რევოლუციური გამოსვლებისა 1905 წლის იანვარ—თებერვალში, რომლებიც მოასწავებდა რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის დასაწყისს.

---

[1] Бакинская стачка 1904 г. Сборник документов, М., 1940, стр. 109—112; История Азербайджана, т. 2, стр. 540—550.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში

1. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა რევოლუციის დაწყებითს პერიოდში

რუსეთის პირველი რევოლუცია 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბებით დაიწყო. ამ დღეს მეფის ბრძანებით ჯარებმა ტყვია დაუშინეს მუშათა მშვიდობიან მრავალათასიან მსვლელობას, რომლებიც ზამთრის სასახლისაკენ მიემართებოდნენ, რომ გადაეცათ პეტიცია თავიანთი გაჭირვების შესახებ. მოკლულ და დაჭრილ იქნა 5 ათასამდე კაცი.

ცარიზმის ამ საზარელი ბოროტმოქმედების ამბავი უცებ მოედო ქვეყნის ყველა კუთხეს და ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. რუსეთს გადაუარა მასობრივი საპროტესტო გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღამ. პროლეტარული მოძრაობა ერთბაშად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მარტო ერთ თვეში — 1905 წლის იანვარში უფრო მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა გაფიცვებში, ვიდრე მთელ წინა ათი წლის მანძილზე[1].

მუშათა მოძრაობის გავლენით მღელვარება თანდათანობით ჩაგრული გლეხობის მასებსაც ედებოდა. პოლიტიკური შეგნებულობისა და რევოლუციური ბრძოლისათვის ყველაზე ღრმა საზოგადოებრივი „ქვედა ფენების“ სწორედ ამ გამოღვიძებაში მდგომარეობდა 9 იანვრის ამბების ისტორიული მნიშვნელობა.

1905—1907 წლების რევოლუცია რუსეთში იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ნამდვილად სახალხო რევოლუცია იყო. მისი ძირითადი ამოცანა იყო მეფის ოვითმპყრობელობის დამხობა, ბატონყმობის ნაშთების ლიკვიდაცია და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. წამყვან საზოგადოებრივ ძალას, რომელიც გამოდიოდა როგორც ხალხის მრავალმილიონიანი მასების ბელადი, მუშათა კლა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 315.

სი წარმოადგენდა. ამ მასების რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია.

ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ პეტერბურგის მუშებთან რუსეთის მრავალეროვანი პროლეტარიატის სოლიდარობის მოძრაობას. რევოლუციურმა ბრძოლამ განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი და ფართო მასშტაბი მიიღო ქვეყნის ზოგიერთ ეროვნულ რაიონში, ისეთებში, როგორიცაა ბალტიისპირეთი, უკრაინა, პოლონეთი და კავკასია. „პეტერბურგს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მიჰყვნენ განაპირა მხარეები, სადაც ნაციონალურმა ჩაგვრამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა. რიგა, პოლონეთი. ოდესა, კავკასია ერთიმეორის მიყოლებით აჯანყების კერებად იქცნენ; აჯანყება თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა“[1].

რევოლუციის დასაწყისი ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელი მისი შემდგომი განვითარება, განუყრელად იყო დაკავშირებული რევოლუციურ მოძრაობასთან მთელ რუსეთში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა პეტერბურგის ამბების საპასუხოდ ფართოდ გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა მასებში. ისინი უშვებდნენ ათეულ ათასობით საბრძოლო ფურცლებსა და მოწოდებებს, აწყობდნენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, რაზმავდნენ მშრომელებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

მეფის მთავრობის მიერ პეტერბურგის მუშების ხოცვა-ჟლეტის შესახებ პირველი ცნობები ბაქოში 10 იანვარს მიიღეს. საღამოს თაღიევის თეატრში სპექტაკლის დროს, რომელიც რსდმპ ბაქოს კომიტეტის საფინანსო კომისიამ გამართა, მიმოფანტულ იქნა ბაქოს კომიტეტის ფურცლები. თეატრში მოეწყო სახელდახელო მიტინგი. გამოსული ორატორები სიტყვებს ამთავრებდნენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს პეტერბურგის მუშებს!“, „გაუმარჯოს რევოლუციას!“ ბოლშევიკებმა იმ დღეებში ქალაქის რაიონებში მოაწყეს მთელი რიგი კრებები და მიტინგები, რომლებზეც მოუწოდებდნენ მუშებს ჩაბმულიყვნენ რევოლუციურ ბრძოლაში, შეიარაღებულიყვნენ. ბაქოს კომიტეტის მიერ პარტიული აქტივის სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე გადაწყდა ბაქოს მუშებისათვის ფართოდ გაეცნოთ პეტერბურგის ამბები. ამ მიზნით მრავალათასიანი ტირაჟებით გამოშვებულ იქნა რამდენიმე ფურცელი და ბიულეტენი. 1905 წლის 12 იანვრის ფურცელში „ყველა მუშას“ ნათქვამი იყო: „მეფის თვითმპყრობელობას მრისხანე საბედისწერო ჟამი დაუდგა. ახლოვდება ჩვენი მო-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 414.

ნობის, უუფლებობის, თავხედური და თავშეუკავებელი ექსპლოატაციის დასასრული!.. ჩვენი ხმა უნდა შევუერთოთ ჩვენი პეტერბურგელი ამხანაგების ხმას. ყოველ მომენტში მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის, უაღრესად გადამწყვეტი მოქმედებისათვის. მაშ შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები, ამხანაგებო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები, გამოვაღვიძოთ, ვისაც სძინავს, აღვაგზნოთ ისინი, ვინც გულგრილია. ჩვენი პარტიის მოწოდებით ამაყად აღვმართავთ ჩვენს წითელ დროშას და ერთსულოვნად წავალთ წინ, უკეთესი მომავლისათვის, წინ ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის"[1]. ბაქოს კომიტეტმა მუშებს მოუწოდა დაეწყოთ ფულის შეგროვება თავიანთ პეტერბურგელ თანამოძმეთათვის.

17 იანვრამდე გაგრძელდა მექანიკური ქარხნების 2 ათასი მუშის გაფიცვა. ამ გაფიცვის მსვლელობაში, როგორც წერდნენ ბაქოს ბოლშევიკები ლენინურ გაზეთ „ვპერიოდში", „დაწინაურდა ბევრი მუშა, რომლებიც წინათ დაკავშირებული არ ყოფილან ჩვენს ორგანიზაციასთან"[2].

დედაქალაქის გაფიცულ პროლეტარებთან სოლიდარობის ნიშნად 1905 წლის იანვრის დამლევისათვის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიფიცნენ ბაქოს ყველა სტამბის მუშები. ეს გაფიცვა დაახლოებით ორ კვირას გაგრძელდა და გაფიცულთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკმაყოფილებით დამთავრდა[3]. იანვარში სხვადასხვა დროს ეწყობოდა გაფიცვები ქალაქის სხვა საწარმოებში. მაგრამ ბაქოს ყველა მუშის საერთო გამოსვლის მოწყობა მაშინ ვერ მოხერხდა: დეკემბრის სამკვირიანმა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც ის იყო დამთავრდა, მუშებს მეტად ბევრი ძალა და ენერგია წაართვა.

17 იანვარს იფეთქა მუშათა გაფიცვამ ბათუმში, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 18 იანვარს გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები. რკინიგზელებს შეუერთდნენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. 19 იანვარს გაფიცვა საყოველთაო გახდა. ამ გაფიცვის წინ, 17 იანვარს, პოლიციამ, რომელიც შეეცადა ჩაეშალა მუშათა გამოსვლა, დაიწყო რევოლუციონერთა მასობრივი დაპატიმრება და საპყრობილეში დაამწყვდია რსდმპ კავკა-

---

[1] Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., Баку, 1955, стр. 18, 19.

[2] Газ. «Вперед» № 8, 28 (15) февраля 1905 г.

[3] Революция 1905—1907 гг. в России. Документы и материалы. Начало первой русской революции. Январь — март 1905 г., М., 1955, стр. 583, 701, 846, 847.

სიის კავშირის კომიტეტის წევრები ე. ზ. ბოჭორიძე, ფ. ე. მახარაძე, ა. გ. წულუკიძე და სხვ. მაგრამ რეპრესიებს ვეღარ შეეძლო მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლების შეჩერება. ქალაქში ყველგან იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებსაც თანსდევდა შეტაკებები პოლიციასთან და კაზაკებთან.

19 იანვარს თბილისის ერთ-ერთ მუშათა რაიონში — დიდუბეში გაიმართა ორათასიანი მიტინგი. მიტინგზე გამოსული მუშები გამოთქვამდნენ მრისხანე პროტესტს მეფის მიერ პეტერბურგში ჩადენილი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ერთსულოვნად მოითხოვდნენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას, კრებებისა და კავშირების თავისუფლების განხორციელებას, 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას.

მიტინგიდან ცოტა ხნის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია „თბილისის ყველა მუშას", რომელშიც მოუწოდებდა განეგრძოთ გაფიცვა, დარაზმულიყვნენ პარტიის გარშემო[1].

23 იანვარს თბილისში გაიმართა მუშათა პოლიტიკური დემონსტრაცია. პოლიცია და კაზაკები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს. ატყდა სროლა. მოკლულ იქნა რამდენიმე ჯარისკაცი, პოლიციელი და შტრეიკბრეხერი, აგრეთვე მოკლულ და დაჭრილ იქნა 8 დემონსტრანტი; 40 კაცი დააპატიმრეს. თბილისის ამბებზე ლენინური გაზეთი „ვპერიოდი" იუწყებოდა: „თბილისის ყველა მუშა გაფიცულია... გაიმართა დემონსტრაცია, რომელშაც ძალიან კარგად ჩაიარა" [2].

მუშების გამარჯვებით დამთავრდა გაფიცვა ქუთაისში, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა. რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი.

ორ თვეს გაგრძელდა გაფიცვა ჭიათურაში, რომელიც 26 იანვარს დაიწყო. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ჭიათურის პარტიულმა ორგანიზაციამ შექმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც შეძლო ჩაება ჭიათურის მაღაროელები მოძრაობაში და მისთვის ორგანიზებული ხასიათი მიეცა. „ჭიათურის მუშები, — წერდა შემდეგში გაზეთი „პროლეტარი", — რომლებიც ჩაბმული არიან სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, გამოდიან როგორც ერთიანი დარაზმული, ორგანიზებული რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის პირველი მოწოდებისთანავე დადგეს ბარიკადებზე" [3].

1905 წლის მარტში გაიფიცნენ ალავერდის მაღაროებისა და

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 298—300.

2 Газ. «Вперед» № 8, 28 (15) февраля 1905 г.

3 Газ. «Пролетарий» № 5, 26 (13) июня 1905 г.

სპილენძსადნობი ქარხნების მუშები. მუშაობა შეწყვიტა სხვადასხვა ეროვნების ათასამდე მუშამ. მუშების სიმტკიცემ, ორგანიზებულობამ შეაშინა პატრონები, რომლებმაც ხელისუფლებს მიმართეს თხოვნით გაფიცვის ჩასახშობად გაეგზავნათ კაზაკები[1].

გაფიცვები და საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა აგრეთვე სოხუმში, მიხაილოვოში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ყარსში, ელიზავეტპოლში, ქედაბეკში, შუშაში და აძიერკავკასიის სხვა რაიონებში. სულ 1905 წლის იანვარში — თებერვლის დასაწყისში ბაქოს გუბერნიაში საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა 40 საწარმო, ხოლო იმ მუშათა საერთო რაოდენობამ, რომლებიც გაფიცვებში მონაწილეობდნენ, 2420 კაცი შეადგინა; თბილისის გუბერნიაში 62 საწარმოში გაფიცული იყო 5910 კაცი; ქუთაისის გუბერნიაში — 15 საწარმოში — 6000 კაცი[2]. „კავკასიაში უჩვეულო რამ ხდება“[3], — ასე ახასიათებდა იმ დღეებში მხარეში არსებულ ვითარებას გაზეთი „ვპერიოდი“.

ამასთან ფრიად საგულისხმოა, რომ ამიერკავკასიის პროლეტარები, რომელთა ბრძოლას წარმართავდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და ადგილობრივი კომიტეტები, იძლეოდნენ პროლეტარული სოლიდარობის მაგალითს. ისინი ცდილობდნენ მოეხდინათ თავიანთი მოქმედების კოორდინაცია, ერთმანეთს უწევდნენ ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას, უზიარებდნენ ერთმანეთს რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას. 1905 წლის იანვარში ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა თბილისის გუბერნატორს აცნობა, რომ „თბილისის მთავარი სახელოსნოების ხელოსნები და მუშები აპირებენ ორშაბათს, 10 იანვარს, გაიფიცონ და წარადგინონ ისეთივე მოთხოვნები, როგორიც ბაქოში მუშებმა ბაქოს ქარხნების ადმინისტრაციას წაუყენეს“[4]. მართლაც, თბილისში საყოველთაო გაფიცვის დაწყების შემდეგ მუშების მიერ წაყენებული მოთხოვნები თითქმის არ განსხვავდებოდა იმ მოთხოვნებისაგან, რომელთა დაკმაყოფილებისთვისაც მაშინ ბაქოს პროლეტარები იბრძოდნენ. 1905 წლის იანვრის დამლევს კავკასიის ადმინისტრაცია აუწყებდა პეტერბურგს, რომ ბათუმში დაწყებულ გაფიცვას, „როგორც ჩანს, უკვე დიდი ხანია ამზადებდნენ აგიტატორები,

---

[1] Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов. Ереван, 1955, стр. 108—119.

[2] Начало первой русской революции. Январь — март 1905 г., стр. 711, 846, 848, 849.

[3] Газ. «Вперед» № 8, 28 (15) февраля 1905 г.

[4] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, Тбилиси, 1956, стр. 65.

რომლებიც იქ ბაქოდან გასული წლის დეკემბრის ბოლოს ჩავიდნენ“ [1]. თავის მხრივ, ბათუმის მუშებმა 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ ბაქოში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი, რომელმაც ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას გააცნო, რა მდგომარეობა იყო ბათუმში, და წინადადება მისცა დაეწყოთ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. როგორც ამის შესახებ რსდმპ III ყრილობაზე ილაპარაკა ბაქოს ბოლშევიკთა წარგზავნილმა, „ბაქოს მუშებმა უპასუხეს, რომ ისინი მზად არიან დაუჭირონ მას მხარი, თუ რუსეთშიც დაიწყება აჯანყება“ [2].

როცა თბილისსა და ბათუმში იანვრის გაფიცვები იყო გაჩაღებული, ბაქოს კომიტეტმა გამოუშვა ორი ფურცელი, რომლებშიც აღწერილი იყო ამ ქალაქების რევოლუციური ამბები (ისინი შედგენილი იყო რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტების მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე) [3] და ფართოდ გაავრცელა ისინი ბაქოს მუშათა შორის. უფრო გვიან რსდმპ ბაქოს კომიტეტმა თავის არალეგალურ სტამბაში გადაბეჭდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი „ბიულეტენი“ თბილისში არსებული მდგომარეობის შესახებ [4]. ბათუმის კომიტეტი თავის მხრივ მრავალ ცალად გადაბეჭდავდა ხოლმე და ავრცელებდა სხვა კომიტეტების, მათ შორის ბაქოს კომიტეტის გამოცემებს.

რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში დღითიდღე ფართოვდებოდა. მხარის პროლეტართა საგაფიცვო ბრძოლა შეუერთდა რუსეთის მთელი მუშათა კლასის იანვარ — თებერვლის რევოლუციურ გამოსვლებს. ვ. ი. ლენინი, აღნიშნავდა რა ქვეყანაში რევოლუციური აღმავლობის ზრდას, 1905 წლის იანვარში წერდა, რომ რუსეთის ეროვნული განაპირა მხარეების სამრეწველო ცენტრებში — „ბაქოში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, კოვნოსა და ვილნოში იზრდება მუშათა მღელვარება და ფართოვდება გაფიცვა“ [5].

ბაქოს ბოლშევიკებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ მუშების საბრძოლო განწყობილებას, გადაწყვიტეს პეტერბურგის პროლეტარებთან სოლიდარობის ნიშნად მოეწყოთ მძლავრი შეიარაღებული დემონსტრაცია და დაეკავშირებინათ იგი 19 თებერვლისათვის —

---

1 Начало первой русской революции. Январь—март 1905 г., стр. 79.

2 Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 141.

3 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. I, დაცვ. ერთ. 95, ფურც. I; აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 46, აღწ. 3, საქმე 362, ფურც. 171, 173.

4 Листовки большевистских организаций в первой русской революции 1905—1907 гг., ч. I, М., 1956, стр. 681—682.

5 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 101.

რუსეთში საგლეხო რეფორმის წლისთავისათვის[1]. ამ საკითხს განიხილავდნენ მუშათა კრებებზე სხვადასხვა რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. შენდრიკოველ მენშევიკთა წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყდა გაეჩაღებინათ დემონსტრაციისათვის მზადება, მოემარაგებინათ იარაღი[2].

ეს გამოსვლა თავიდან რომ აეცილებინათ, მხარეში რევოლუციური ბრძოლის შემდგომი აღმავლობა რომ შეეჩერებინათ და ამიერკავკასიის პროლეტარების ინტერნაციონალური ერთიანობისათვის ძირი გამოეთხარათ, მეფის ხელისუფლებმა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ერთად სისხლიან პროვოკაციას მიმართეს. 1905 წლის თებერვალში მათ მოაწყეს შეიარაღებული შეტაკებები სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის ბაქოში, ხოლო რამდენადმე უფრო გვიან — შუშაში, ერევანში, ნახჭევანში და სხვა ქალაქებში.

ცარიზმის ამ ახალმა ბოროტმოქმედებამ ბაქოს და მთელი ამიერკავკასიის მუშების და მოსახლეობის სხვა ფენების მრისხანებისა და აღშფოთების უმაგალითო აფეთქება გამოიწვია. იმ დღეებში ბოლშევიკებმა ფართო ბეჭდვითი და სიტყვიერი აგიტაცია გააჩაღეს. აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე ათასიანი ტირაჟებით გამოშვებულ იქნა ფურცლები, რომლებიც ამხილებდნენ ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას, შეიცავდნენ მოწოდებას ინტერნაციონალური ერთიანობისაკენ, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. „სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა ბაქოში — ეს არის პასუხი მუშათა უკანასკნელ აჯანყებაზე პეტერბურგში, — წერდა ბაქოს კომიტეტი თავის 1905 წლის 10 თებერვლის ფურცელში. — მაგრამ რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარები თვითმპყრობელობის ამ ახალ გამოწვევას გამოეხმაურებიან ახალი. მძლავრი რევოლუციური შეტევით, რომელიც დაამხობს საძულველ, ხალხის სისხლით დასვრილ მეფის მთავრობას. და ჩვენ გაფიცულნი ვართ, რათა ეს ახლავე განვუცხადოთ მეფის მთავრობას და გამოვხატოთ სრული სოლიდარობა ყველა ეროვნების მუშებისადმი[3]. გაფიცვები ბაქოს ბევრ სარეწსა და ქარხანას მოედო. ბალახანაში ბაქოს კომიტეტმა „გუმეთის“ ჯგუფთან ერთად მოაწყო მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელშიც ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა.

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 558, აღწ. I, დაცვ. ერთ. 4741, ფურც. 3; ფ. 17, აღწ. I, დაცვ. ერთ. 382 ფურც. 1, 2.

[2] მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 456, აღწ. 16, დაცვ. ერთ. 54, ფურც. 5; დაცვ. ერთ. 106, ფურც. 18—19.

[3] Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 30.

დემონსტრანტებმა შემოიარეს სარეწები, მოუწოდებდნენ აზერბაიჯანელ და სომეხ მუშებს გაერთიანებულიყვნენ, დარაზმულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. რაიონში შექმნილი აგიტატორთა სპეციალური ჯგუფები სახელდახელო მიტინგებს აწყობდნენ სამრეწველო საწარმოებში.

რსდმპ ბაქოს კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მასობრივი კრებები და მიტინგები იმართებოდა იმ დღეებში ქალაქსა და ნავთობის მრეწველობის ყველა რაიონში. ამ კრებებსა და მიტინგებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ მ. ა. აზიზბეკოვი, ს. მ. ეფენდიევი, მ. ი. ვასილიევ-იუჟინი, პ. ვ. მონტინი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვა თვალსაჩინო ბოლშევიკები. ამ კრებებმა დიდი როლი შეასრულეს მასების რევოლუციური მობილიზაციის, ბოლშევიკების იდეებისა და ლოზუნგების პროპაგანდის საქმეში. „სოციალ-დემოკრატები, — წერდა ამაზე გაზეთი „ვპერიოდი", — მოუწოდებენ ხალხთა ძმობისაკენ 'და მათი გაერთიანებისაკენ იმ მიზნით, რომ შეიარაღებული აჯანყების გზით დაამხონ თვითმპყრობელობა. სიტყვებს წარმოთქვამენ რუსულ, თათრულ (აზერბაიჯანულ — **რედ.**) და სომხურ ენებზე. გზადაგზა არკვევენ სოც.-დემ. პროგრამის სხვა პუნქტებსაც, არიგებენ ათეულ ათასობით ფურცლებს, აგროვებენ ფულს შეიარაღებისათვის". „ბაქოს ამბები, — დაასკვნიდა გაზეთი, — არევოლუციურებს მთელ კავკასიას"[1].

და მართლაც, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ბაქოში პროვოცირებულმა დარბევამ გააათკეცა საზოგადოების ყველა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ[2]. იმასთან დაკავშირებით, რომ გავრცელდა ხმები, თბილისსა და მხარის სხვა ქალაქებში ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტა მზადდებაო, კავკასიის კავშირის კომიტეტმა სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან ერთად გამოუშვა ფურცელი, რომელშიც ყველა მოქალაქეს მოუწოდა უაღრესად გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის დანაშაულებრივი ზრახვებისათვის.

რამდენიმე ფურცელი თბილისის კომიტეტმაც გამოსცა. „თქვენ, სომხებო, თათრებო (აზერბაიჯანელებო — **რედ.**), ქართველებო, რუსებო! — ნათქვამი იყო ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ ფურცელში, რომელსაც სათაურად ჰქონდა „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!" — ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროდ დაირაზმეთ და

---

[1] Газ. «Вперед» № 11, 23 (10) марта 1905 г.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 8. გვ. 232.

მთავრობის ცდებზე — გაგთიშოთ თქვენ — ერთსულოვნად უპასუხეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, შეერთდით და დაირაზმეთ პროლეტარიატის გარშემო, მეფის მთავრობის — ბაქოს მკვლელობათა ამ ნამდვილი დამნაშავის — მეისაფლავის გარშემო" [1].

1905 წლის 13 თებერვალს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით თბილისში შეიკრიბა გრანდიოზული მრავალეროვანი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა ფიცი დადეს, რომ ერთმანეთს მხარს დაუჭერენ საერთო მტრებთან ბრძოლაში, რომლებიც ერთა შორის შუღლს აღვივებენ.

მეორე დღეს ქალაქში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში 10 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრანტებმა გამართეს რამდენიმე მიტინგი და კაზაკებთან შეტაკების შემდეგ დაიშალნენ. ამ ამბებს მიეძღვნა რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაცია — „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!", რომელიც ი. ბ. სტალინის მიერ იყო დაწერილი.

ერევნის ბოლშევიკებმა გაავრცელეს ეს პროკლამაცია და სხვა ფურცლები. მათი ინიციატივით მოხერხდა მშრომელი სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენელთა საერთო კრების მოწყობა, ძმათამკვლელი შეტაკების მიზეზების გამოაშკარავება და იმის ცხადყოფა, თუ ნამდვილად ვის მიუძღოდა ბრალი ხოცვა-ჟლეტაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აღზრდილმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მუშები და მშრომელთა ყველა სხვა ფენები დარაზმეს გაფიცვებისა და საპროტესტო დემონსტრაციების მოსაწყობად. ბაქოს, თბილისისა და ერევნის გარდა მძლავრი დემონსტრაციები და მიტინგები 1905 წლის თებერვალ — მარტში გაიმართა ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ალექსანდროპოლში და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ამიერკავკასიის გლეხურ რაიონებში[2]. გაფიცვებში ჩაბმული იყო აგრეთვე მხარის ბევრი სასწავლებელი.

რევოლუციის დასაწყისიდანვე ამიერკავკასიის ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეექმნათ მუშათა ერთიანი ფრონტი, გაეერთიანებინათ და დაერაზმათ მთელი რევოლუციური ძალები, რომლებსაც შეეძლოთ ებრძოლათ თვითმპყრობელობის დამხობისათვის. ამ მიზნით ბოლშევიკები, რომლებიც ემყარებოდნენ

---

1 ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. I, გვ. 82—83.

2 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, გვ. 109; Очерки истории Коммунистической партии Армении, стр. 53.

ვ. ი. ლენინის მითითებებს, მზად იყვნენ პრაქტიკულ საკითხებში დროებით შეთანხმებოდნენ არა მარტო მენშევიკებს, არამედ ეროვნულ წვრილბურჟუაზიულ პარტიებსაც. ამასთან ბოლშევიკები რომელი თმობდნენ თავიანთ პარტიულ თავისთავადობას, არ უშვებდნენ არავითარ გადახრას პარტიული პროგრამიდან და რევოლუციური ტაქტიკური ხაზიდან, განაგრძობდნენ უკომპრომისო იდეურ ბრძოლას წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ.

მაგალითად, 1905 წლის თებერვლის მძიმე დღეებში ბაქოს ბოლშევიკების ინიციატივით ბალახანაში შეიქმნა ეგრეთწოდებული „ბალახნის დროებითი მთავრობა", რომელიც ხელმძღვანელობდა მუშაობას რაიონში ეროვნებათა შორის შეტაკებების თავიდან ასაცილებლად, აწყობდა სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელების მასობრივ შეკრებებსა და მიტინგებს. ბალახნის „მთავრობა" შედგებოდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის, შენდრიკოველების, გნჩაკისტებისა და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე სარეწების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან, ამასთან წამყვან როლს მასში ბოლშევიკები ასრულებდნენ.

ბაქოს ბოლშევიკების მოქნილი ტაქტიკის მაგალითი იყო აგრეთვე საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა და მისი საქმიანობის ხელმძღვანელობა. საორგანიზაციო კომიტეტმა მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვის დღეებში. მის შემადგენლობაში ჯერ ბოლშევიკები და გნჩაკისტები შედიოდნენ. თებერვლის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ კი ბაქოს კომიტეტის ინიციატივით საორგანიზაციო კომიტეტში შეყვანილ იქნენ შენდრიკოველი მენშევიკებიც. საორგანიზაციო კომიტეტში „სომხეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის" (სპეციფიკების") შეყვანის შესახებ მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყოლია.

საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე იდგა ამოცანა უზრუნველეყო მუშების შეიარაღება, წინააღმდეგობა გაეწია ეროვნებათა შორის პროვოკაციების ორგანიზატორებისათვის. კომიტეტმა შექმნა ორი კომისია — საფინანსო და შეიარაღებისა,რომლებშიც შევიდა თითო წარმომადგენელი თვითეული ორგანიზაციისაგან. საორგანიზაციო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელიც ყველა მოქალაქეს მოუწოდებდა დახმარებოდა სახსრების შეგროვებას შეიარაღებისათვის[1]. ხელმოწერის ფურცლებით შეგროვდა რამდენიმე ათასი მანეთი, რის შემდეგ შეუდგნენ იარაღის შესყიდვას და ბომბე-

[1] მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 382, ფურც. 5.

ბის დამზადებას. ქალაქის თვითეულ რაიონში საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნა შეიარაღებული ბირთვი.

ბოლშევიკები, რომლებიც ცდილობდნენ მიეღწიათ მოქმედების ერთიანობისათვის, ამასთან ერთად მტკიცედ გამოდიოდნენ შენდრიკოველებისა და გნჩაკისტების ანარქისტული მერყეობის წინააღმდეგ საორგანიზაციო კომიტეტში, ამხილებდნენ მათს უმღგრადობას, (ტერორის, სახსრების გამონახვის საშუალებათა საკითხში და სხვ.). ბაქოს ბოლშევიკების ასეთი ტაქტიკა ხელს უწყობდა ძველი რეჟიმის საფუძვლებზე რევოლუციური შეტევის გაძლიერებას, მოძრაობის სოციალური ბაზის გაფართოებას. იგი ხელს უწყობდა აგრეთვე მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლებას, ოპორტუნისტების გავლენისაგან მუშათა ნაწილის განთავისუფლებას, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალურ შეკავშირებას. ახასიათებდა რა საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობას, რსდმპ ბაქოს კომიტეტის მდივანი ა. მ. სტოპანი მაშინ ვ. ი. ლენინს სწერდა: „ერთად მოქმედებენ ხოცვა-ყლეტის შემდეგ, ძალიან მეგობრულად. ერთად და მერე... გამონახულ იქნა ერთგვარი modus vivendi[1] ახლანდელი დროისათვის კი ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს"[2]. რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო „გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ" მაღალი შეფასება მისცა ამ საბრძოლო შეთანხმებას, მიღწეულს ბაქოს ბოლშევიკების მეცადინეობის მეოხებით[3].

ანალიზს უკეთებდნენ რა რევოლუციის პირველი თვეების შედეგებს, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და თბილისის კომიტეტი თავიანთ ფურცლებში „თბილისის მუშებს. ამხანაგებო!" „ყველა კავკასიელ მუშას, რა გამოირკვა!" — ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ უაღრესად საჭირო იყო პარტიული რიგების ერთიანობა და შეკავშირება, რევოლუციაში ერთიანი ტაქტიკური პრინციპების გატარება. „იანვრის მოძრაობამ, — აღნიშნავდნენ თბილისელი ბოლშევიკები, — ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა გვქონდეს მტკიცე პარტია, რომელიც შეგვაერთებს ერთ დიდ არმიად და გაგვიძღვება ძველი წესების წინააღმდეგ იერიშის მისა-

---

[1] Modus vivendi (ლათ.) — პირობები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან თუნდაც დროებითს ნორმალურ, მშვიდობიან ურთიერთობას ორ მხარეს შორის, როცა არსებული ვითარების დროს შეუძლებელია მუდმივი ან ხანგრძლივი შეთანხმების მიღწევა..

[2] Журн. «Пролетарская революция» № 5 (40), 1925, стр. 23; მლი-ს ცპა, ფ. 25, აღწ. 10 ნ, დაცვ.ერთ. 19381, ფურც. 2.

[3] თავიანთი დეზორგანიზატორული, ოპორტუნისტული ტაქტიკის ერთგული შენდრიკოველები 1905 წლის მაისის დამდეგს გავიდნენ საორგანიზაციო კომიტეტიდან (იხ. გაზ. «Рабочий листок» № 3, 6 июня 1905 г.).

ტანად, და ასეთი პარტია უნდა შეექმნათ რადაც უნდა დაგვიჯდეს!

ერთიანი და განუყოფელი პარტია — აი რა გვესაჭიროება... არა ყოყმანი და მერყეობა, არამედ მტკიცე და ურყევი ტაქტიკა. აი რას მოითხოვს ჩვენგან პროლეტარიატის ინტერესები, და ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ ამისათვის, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს ბრძოლა!"[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომლებსაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული ამ ამოცანის უდიდესი მნიშვნელობა, სულ უფრო მჭიდროდ რაზმავდნენ თავიანთ რიგებს, განუწყვეტლივ აფართოებდნენ მასებზე თავიანთი გავლენის სფეროს, აძლიერებდნენ ბრძოლას მენშევიკების დეზორგანიზატორული, გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ, ამხილებდნენ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების ფსევდორევოლუციურ ფრაზეოლოგიას. მთელ ამ მუშაობას წარმართავდა მხარის პარტიული ორგანიზაციების ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც ბოლშევიზმის ნამდვილი ბურჯი იყო ამიერკავკასიაში.

1905 წლის იანვრის ამბებმა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ცხადყვეს არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ენერგიის გიგანტური მარაგი, არამედ აგრეთვე სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის უკმარობა[2]. პარტიის რიგებში საჭირო ერთიანობა და ერთიანი ტაქტიკა არ იყო, რაც აქუცმაცებდა და ასუსტებდა რევოლუციის ბელადის — რუსეთის პროლეტარიატის ძალებს. რევოლუციის დასაწყისში გაღრმავდა გათიშვა პარტიაში, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩნდა სერიოზული უთანხმოებანი ტაქტიკურ საკითხებზე.

მენშევიკები ბოლშევიკების წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში არავითარ საშუალებებს არ თაკილობდნენ. მას შემდეგ, რაც რსდმპ ბაქოს კომიტეტმა ურთიერთობა გაწყვიტა მენშევიკურ-შემარიგებლურ ცენტრალურ კომიტეტთან, თბილისელი მენშევიკები შეეცადნენ დაემახინჯებინათ ამ გადაწყვეტილების არსი და განაცხადეს, რომ ბაქოს კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო ორგანიზებულ მუშებთან შეუთანხმებლად და მათ დაუკითხავად[3]. ცდილობდა რა გაემართლებინა თავისი გასვლა რსდმპ კავკასიის კავშირიდან, თბილისის მენშევიკური კომიტეტი 1905 წლის 7 თებერვლის ფურ-

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 320—321.

2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 185—186.

3 «Искра» № 92, 10 марта 1905 г.

ცელში ამტკიცებდა, რომ მისი ამ ნაბიჯის სისწორეს თითქოს ადასტურებს ბაქოს და ქუთაისის კომიტეტების მოქმედება, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ კავშირს წყვეტენ ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებებთან. —მაშასადამე, — დაასკვნიდნენ მენშევიკი დეზორგანიზატორები, — პარტიიდან გავიდა არა თბილისის კომიტეტი, არამედ კავკასიის კავშირი ბაქოს და ქუთაისის კომიტეტის სახით" [1].

ამავე პერიოდში კავკასიის კომიტეტები შემოიარა ქართველი მენშევიკების ლიდერმა ჟორდანიამ. თბილისისა და ბათუმის შემდეგ იგი იყო ბაქოში. იგი გამოდიოდა მუშათა კრებებზე და დისკუსიებში, ცდილობდა ბოროტად დაემახინჯებინა ვ. ი. ლენინის შეხედულებათა, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ორგანიზაციულ უთანხმოებათა არსი. ჟორდანიას და მის მომხრეთა ქცევამ ბაქოში მოწინავე პარტიელი მუშების აღშფოთება გამოიწვია. თავიანთივე მოქმედების შედეგად მენშევიკებმა, როგორც ბაქოდან გაგზავნილ წერილში აცნობებდნენ ვ. ი. ლენინს, „თვითონ მოაწყეს საუკეთესო აგიტაცია საკუთარი თავის წინააღმდეგ" [2]. ნ. კ. კრუპსკაია ახასიათებდა —ამიერკავკასიაში არსებული ვითარების სირთულეს იმ პერიოდში და რუსეთში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „კავკასიაში მენშევიკები საშინელ დემაგოგიას აწყობენ და ბევრი რამ ხელთ იგდეს, მაგრამ ახლა იქ შეიკრიბნენ კარგი ბოლშევიკი მუშაკები. კავშირის კომიტეტმა გაძლიერებით იწყო მუშაობა და საქმეები სწორდება" [3].

კავკასიის კავშირის, თბილისის და ბაქოს კომიტეტების ხელშეწყობით ჩამოყალიბება იწყეს ახალმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

1905 წლის თებერვალში შეიქმნა რსდმპ თბილისის კომიტეტის ელიზავეტპოლის ჯგუფი [4]. 1905 წლის გაზაფხულზე უკვე მოქმედებდნენ რსდმპ ჯგუფები ალექსანდროპოლსა და აქსტაფაში. მუშაობა გააძლიერა „გუმეთის" ჯგუფმა. ფართოვდებოდა სოციალ-დემოკრატიული წრეების ქსელი შუშაში, ქედაბეკში, ერევანში, სარიყამიშში, ბაიაზეთსა და სხვა ადგილებში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ლენინის მითითებათა საფუძველზე, სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ ხელმძღვანელი პარტიულ

---

1 «Искра» № 89, 24 февраля 1905 г.

2 Журн. «Пролетарская революция» № 5 (40), 1925, стр. 25.

3 Партия в революции 1905 года. Документы к истории партии в 1905 году, М., 1934, стр. 306.

4 Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 310; გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 1, 1905 წლის 1 (14) ივლისი.

მუშაობაში მოწინავე მუშების ჩაბმას, მათი რიცხვიდან პარტიულ ხელმძღვანელთა კადრების აღზრდას.

1905 წლის დამდეგს ბაქოს კომიტეტი „ვპერიოდის“ რედაქციას სწერდა: „საჭიროა ორგ[ანიზაციის] ცენტრში დავაწინაუროთ ადგ[ილობრივი] გავლენ[იანი] მუშები (ეს უკვე ვაკეთებულია, მაგრამ ესეც ცოტაა), საჭიროა გამოვიმუშაოთ ისეთი ორგ[ანიზაციული] ფორმები, რომ ყველა ეგრეთწოდ[ებულ] მოწინავე მუშას შეეძლოს გავლენა მოახდინოს საქმის მსვლელობაზე ინიციატივის თვალსაზრისით და სხვ“[1]. ბოლშევიკები ესწრაფოდნენ იმას, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობასთან, ამა თუ იმ პოლიტიკური კამპანიის ჩატარებასთან, წინასწარ ყოფილიყო განხილული მუშათა კრებებზე, ძირეულ პარტიულ უჯრედებში ან რაიონულ კომიტეტებში.

რევოლუციის დაწყებითს პერიოდში პარტიული მუშაობის დონის ამაღლებას მხარეში მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს კავკასიის კავშირის და ადგილობრივი კომიტეტების მჭიდრო კავშირი ვ. ი. ლენინთან, გაზეთ „ვპერიოდის“ რედაქციასთან. ვ. ი. ლენინის სტატიებში, რომლებიც „ვპერიოდის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა, მის წერილებში ამიერკავკასიის ბოლშევიკები იღებდნენ ნათელ ამომწურავ პასუხს რევოლუციური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. თავის მხრივ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და ადგილობრივი კომიტეტები სისტემატურად უგზავნიდნენ ვ. ი. ლენინს წერილებს, რომლებშიც პარტიის ბელადს უზიარებდნენ თავიანთ აზრებსა და მოქმედების გეგმებს, აცნობებდნენ მხარეში მუშათა და გლეხთა მოძრაობის მიმდინარეობის შესახებ და პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. 1905 წლის იანვარში კავკასიის კავშირის კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის წევრი ვ. ს. ბობროვსკი აცნობებდა ვ. ი. ლენინს, რომ განზრახული აქვს „ვპერიოდის“ რედაქციას გაუგზავნოს „ადგილობრივი მუშაობის მიმოხილვის მსგავსი რამ (კავკასიაში ადგილობრივი კ[ომიტეტ]ების დამოკიდებულება საერთო პარტ[იული] საქმეებისადმი და ადგილობ[რივი] კომიტეტების გამოვლინება (პრაქტ[იკული] მუშაობის მხრივ)“. „ამ ხნის განმავლობაში ბევრი ყოველგვარი დაკვირვება, გამოცდილება დაგროვდა“ [2], — ხაზგასმით აღნიშნავდა იგი. რედაქციისათვის ბაქოდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გამოთქმული იყო სურვილი, რომ „...„ვპერიოდის“ ფურცლებზე დაიბეჭდოს

---

[1] Журн. «Пролетарская революция» № 5 (40), 1925, стр. 25.

[2] მლი-ს ცპა, ფ. 25, აღწ. 1[1], ნ., დაცვ. ერთ. 36840, ფურც. 1.

მთელი რიგი სტატიები აჯანყების შესახებ". ამასთან დაკავშირებით წერილში განსაკუთრებით იყო აღნიშნული ის უდიდესი როლი, რომელიც რევოლუციაში უნდა შეასრულოს მარქსისტულმა პარტიამ, მუშათა კლასის პარტიამ: „დღემდე მუშებს როგორღაც ძალიან ნაკლები წარმოდგენა აქვთ აჯანყების კონკრეტულ ფორმებზე... საჭიროა ლიტერატურაში აღინიშნოს ის განსაკუთრებული როლი, რაც წილად ხვდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ამ შემთხვევაში ვერავისგან ვერ გადმოიღებს მაგალითს. შესაძლებლობა არა გვაქვს ამ საქმეში ვისწავლოთ ევროპის პარტიებისაგან, არამედ საჭიროა გამოვნახოთ ჩვენი საკუთარი გზები" [1].

კავკასიის კავშირის კომიტეტის თხოვნით ამიერკავკასიაში საზღვარგარეთიდან იგზავნებოდა ლიტერატურა, ჩამოდიოდნენ პარტიული მუშაკები, პარტიის ცენტრალურ ორგანოში „ეპერიოდში" ქვეყნდებოდა სტატიები ქუჩის ბრძოლების ტაქტიკის შესახებ და სხვ.

ვ. ი. ლენინის სისტემატურმა დახმარებამ და მხარდაჭერამ უზრუნველყო ის, რომ კავკასიაში წარმატებით დამთავრდა კამპანია რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის. 1905 წლის თებერვალში ბაქოში ჩავიდა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წევრი მ. ნ. ლიადოვი, რომელმაც ბაქოს კომიტეტის სხდომაზე და მუშათა რაიონულ კრებებზე გააკეთა მთელი რიგი მოხსენებები მომავალი ყრილობის და პეტერბურგის რევოლუციური ამბების შესახებ. „ყველა ბაქოელი, — წერდა იგი შემდეგში თავის მოგონებებში, — ძმების შენდრიკოვების ნახევრადმენშევიკურ, ნახევრადზუბატოვურ ორგანიზაციასთან ბრძოლაში გამოწრთობილი, უდრეკი ბოლშევიკი იყო. ჩემს მიერ ჩატანილი ცნობა III ყრილობის მოწვევის შესახებ პირდაპირ ენთუზიაზმით იქნა მიღებული; არავის არ ეეჭვებოდა, რომ საჭირო იყო ყრილობის რაც შეიძლება მალე მოწვევა" [2]. იმავე ხანებში უმრავლესობის კომიტეტების ბიურომ ამიერკავკასიაში გაგზავნა მ. ნ. ლემანი. მან მოიარა ბაქო, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ადგილობრივ ორგანიზაციებს კონკრეტული დახმარება გაუწია ყრილობის მოწვევის მომზადებაში [3].

რაც შეიძლება სრულად რომ უზრუნველეყო წარმომადგენლობა III ყრილობაზე მუშათა ყველა ორგანიზაციებისა, რომლებიც

---

[1] Газ. «Вперед» № 10, 15 (2) марта 1905 г.

[2] М. Лядов. Из жизни партии в 1903—1907 гг. Воспоминания. М., 1956, стр. 76.

[3] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 72—74; журн. «Пролетарская революция» № 5 (40), 1925, стр. 11—18, 45, 47—48.

თავიანთ თავს რსდმპ-ს აკუთვნებდნენ, 1905 წლის მარტში შექმნილმა ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომიტეტმა ყრილობაზე მიწვევა გაუგზავნა არა მარტო კავკასიის ბოლშევიკურ კომიტეტებს, არამედ შენდრიკოველთა ჯგუფსაც და თბილისის მენშევიკურ კომიტეტსაც [1]. მაგრამ შენდრიკოველებმა და თბილისელმა მენშევიკებმაც უარი განაცხადეს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობაზე და 1905 წლის აპრილის შუა რიცხვებში მოიწვიეს კავკასიის მენშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც აირჩია მენშევიკური სამხარეო ცენტრი — კავკასიის ბიურო [2]. ამ კონფერენციის ოპორტუნისტული გადაწყვეტილებანი ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

1905 წლის გაზაფხულზე მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში განუხრელი აღმავლობის გზით მიდიოდა. 31 მარტს დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა პირველებმა შეწყვიტეს ელიზავეტპოლის რკინიგზელებმა. შემდეგ გაფიცვამ მოიცვა ბაქოს და თბილისის სადგურები. გაფიცულებს შეუერთდნენ აქსტაფის, ევლახის, აჯიქაბულის, მიხაილოვოს, ყვირილის, სამტრედიის, ალექსანდროპოლისა და სხვ. რკინიგზელი მუშები. რკინიგზელთა გამოსვლებს ხელმძღვანელობდენ კავკასიის კავშირის კომიტეტი და ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები. როგორც მაშინ გაზეთი „ვპერიოდი“ აღნიშნავდა, გაფიცვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე „მიმდინარეობდა, როგორც ჩანს, კავკასიისათვის ჩვეული შეუპოვრობითა და სოლიდარობით და ერთბაშად მთელი ხაზი მოიცვა. ამაში ჩანს რსდმპ კავკასიის კავშირის გავლენა“ [3]. 12 აპრილისათვის გაფიცვა დამარცხებით დამთავრდა. მისი მნიშვნელობა ის იყო, რომ მან კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა სხვადასხვა ეროვნების მუშები.

1905 წლის აპრილის შუა რიცხვებში კავკასიის კავშირის კომიტეტმა მხარის პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით ფართოდ აღენიშნათ საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაული 1 მაისი. კავკასიის კავშირის კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა ხელახლა გამოსცეს უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს საპირველმაისო ფურცლები. გარდა ამისა, კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე 1 მაისისათვის გამოსცა ფურ-

---

[1] Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 29, 686—687.

[2] Конференция кавказских социал-демократических рабочих организаций, Женева, 1905, стр. 1—8.

[3] Газ. «Вперед» № 16, 30 (17) апреля 1905 г.

ცელი, რომელიც კავკასიის ქალაქისა და სოფლის პროლეტარებისადმი იყო მიმართული, ხოლო რსდმპ ბაქოს კომიტეტმა — სამი საპირველმაისო ფურცელი, მათ შორის ერთი—აზერბაიჯანულ ენაზე. გულმოდგინე მომზადებამ უზრუნველყო წარმატება საყოველთაო პოლიტიკური საპირველმაისო გაფიცვისა, რომელიც 30 აპრილს დაიწყო. ბაქოში, შენდრიკოველთა საბოტაჟის მიუხედავად[1], მუშაობა შეწყვიტეს ბალახანის, ბიბი-ეიბათის მენავთობეებმა, თეთრი და შავი ქალაქის და სხვა რაიონების მექანიკური სახელოსნოების მუშებმა. გაფიცვას შეუერთდნენ მირზაბეკიანცის თამბაქოს ფაბრიკის, სამკერვალო სახელოსნოების მუშები ქალაქის დაწესებულებების, ბევრი სასტუმროსა და რესტორანის მოსამსახურეები და სხვ[2].

ორგანიზებულად ჩაიარა საპირველმაისო დემონსტრაციამ ალავერდში. ამ დემონსტრაციაში, მუშებს გარდა, მონაწილეობდნენ ახპატის, სანაინის და სხვა განაპირა სოფლების გლეხებიც, აგრეთვე მეზობელი სადგურების რკინიგზელები.

ბრწყინვალედ მოაწყო 1 მაისის დღესასწაული იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა. ადმინისტრაციის მიერ მიღებული წინასწარი ზომების მიუხედავად, 30 აპრილს და 1 მაისს ერთსულოვნად გაიფიცნენ ქუთაისისა და ჭიათურის მუშები. ქუთაისის გუბერნიის ბევრ სოფელში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა მრავალათასიანი მიტინგები და კრებები[3].

ბაქოს, ქუთაისის და სხვა ქალაქების მუშებთან ერთად 1 მაისის დღეს გაფიცვები, შეკრებები და მიტინგები მოაწყეს აგრეთვე ელიზავეტპოლის და მხარის სხვა ქალაქების პროლეტარებმა. თბილისსა და ბათუმში საპირველმაისო გაფიცვების მოწყობა ვერ მოხერხდა მენშევიკების წინააღმდეგობის გამო.

იმ დროისათვის რუსეთში, და კერძოდ ამიერკავკასიაში, მუშათა მოძრაობის უშუალო გავლენით ფართოდ გაიშალა გლეხთა რევოლუციური მოძრაობაც.

გლეხთა გამოსვლებმა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრაში, შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. იანვრის დამლევს საბრძოლველად აღდგა გურიის მთელი გლეხობა. გლეხთა მოძრაობა მალე იმერეთსა და სამეგრელოს მოედო, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოში ყველგან იქმნებოდა არჩევითი ორგანოები — გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 25, აღწ. 22 ნ, დაცვ. ერთ. 826. ფურც. 1—2.

2 Газ. «Бакинские известия» № 81, 3 мая 1905 г., № 82, 4 мая 1905 г.

3 Газ. «Пролетарий» № 5, 26 (13) июня 1905 г.

ისინი მემამულეებს ართმევდნენ მიწებს, აუქმებდნენ გადასახადებს, ბოიკოტს უცხადებდნენ მთავრობის დაწესებულებებს, ირჩევდნენ მოსამართლეებს ხალხის წარმომადგენელთაგან და სხვ. ასრულებდნენ რა დიდმნიშვნელოვან როლს სოფლის რევოლუციური ძალების დარაზმვაში, კომიტეტები რევოლუციური ძალების შემდგომ განვითარებასთან ერთად იქცეოდნენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ჩანასახად. 1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა კომიტეტები მოქმედებდნენ უკვე ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის, ჯორის, დუშეთისა და თელავის მაზრებში. კომიტეტებმა იწყეს შეიარაღებული რაზმების — წითელი ასეულების შექმნა, რომლებზე დაყრდნობითაც ახორციელებდნენ თავიანთ ძალაუფლებას.

1905 წლის მარტისათვის საქართველოს 19 მაზრიდან 18 მაზრაში — მეტნაკლებად — გაჩაღებული იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. გლეხთა გამოსვლების გაქანებით შეშინებული ხელისუფალნი საგანგებო ზომებს მიმართავდნენ. ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ნაწილობრივ ბათუმის ოლქში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. აჯანყებულ ქართველ გლეხთა წინააღმდეგ გამოყვანილ იქნენ მსხვილი სამხედრო ძალები. ქუთაისის გუბერნიაში მოქმედებდა ეგრეთწოდებული „რიონის საგანგებო რაზმი“ 10 ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელსაც გენერალი ალიხანოვ-ავარსკი მეთაურობდა.

სანამ ჯარები აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციებს შეუდგებოდნენ, მთავრობამ სცადა სხვადასხვა დაპირებებით „დაეშოშმინებინა“ გლეხები. ამ მიზნით საქართველოში გაიგზავნა კომისია, რომელსაც სათავეში ედგა სულთან კრიმ-გირეი — კავკასიის მთავარმართებელთან არსებული საბჭოს წევრი. 22 თებერვლიდან 8 მარტამდე კომისიამ შემოიარა 12 სასოფლო საზოგადოება, სადაც გლეხები აწყობდნენ ხალხმრავალ კრებებს, რომლებიც აშკარა მთავრობისსაწინააღმდეგო მანიფესტაციებად იქცეოდა. ანგარიშები კრებების მიმდინარეობის შესახებ ლეგალურ გაზეთებშიც იბეჭდებოდა. ამ ცნობებით მშრომელები ეცნობოდნენ გლეხთა რევოლუციურ მოთხოვნებს, რომლებიც რსდმპ პროგრამა-მინიმუმიდან გამომდინარეობდნენ. ძირითადი მოთხოვნები იყო: „ჩამონაჭრების“ დაბრუნება და გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა მემამულეთა, სახაზინო და საეკლესიო მიწებისა; მემამულეებზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება; წოდებათა გაუქმება და წოდებრივი პრივილეგიების ლიკვიდაცია; გლეხებისათვის გამოსასყიდი გადასახდე-

ლების დაბრუნება; არაპირდაპირი გადასახადების მოსპობა; კრებების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება; ამნისტია პოლიტიკური პატიმრებისათვის; მოსამართლეთა არჩევითობა; საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე: მუდმივი ჯარის მოსპობა და სახალხო მილიციით მისი შეცვლა; საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების არჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით[1].

ამრიგად, საქართველოს გლეხთა ბრძოლა თავისი მახვილით ფეოდალიზმის ნაშთების, თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების პრივილეგიების წინააღმდეგ მიმართული, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სახეს იღებდა. ლენინურმა გაზეთმა „ეპერიოდმა“ გლეხთა მოძრაობა გურიაში შეაფასა როგორც „უბადლო თავისი შეუპოვრობითა და შეგნებულობით“, როგორც „სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მთლიანად უერთდება სრულიად რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“[2].

ქართულ სოფელში კლასობრივი ბრძოლის დიდი სიმძაფრე არა მარტო ობიექტური სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენის შედეგი იყო, არამედ მნიშვნელოვანწილად წარმოადგენდა ბოლშევიკების მრავალმხრივი საქმიანობის შედეგსაც, რომლებიც უდიდეს ძალღონეს ახმარდნენ იმას, რომ განემტკიცებინათ პროლეტარიატის კავშირი გლეხობის მშრომელ მასებთან. პარტიული ორგანიზაციები დიდი რაოდენობით გზავნიდნენ სოფლად სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას. გლეხურ რაიონებში სისტემატურად მიდიოდნენ პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: მ. ნ. დავითაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე და სხვ.

მუშათა მოძრაობასთან კავშირმა და ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ განაპირობა ამიერკავკასიის გლეხთა მაღალი კლასობრივი შეგნებულობა და რევოლუციური ბრძოლის შეუპოვრობა.

ქართველ გლეხთა სასოფლო საზოგადოებების ერთ-ერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ მოხელეებმა ცრუ ხმები გაავრცელეს თითქოს ქართველებს თავიანთი მეფე, თავიანთი სახელმწიფო უნდათო. „ეს სიცრუეა, ეს აღმაშფოთებელი ცილისწამებაა! ჩვენი მოძრაობა განუყოფლად დაკავშირებულია მუშათა მოძრაობასთან. ვინც უნდა იყოს და რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს მშრომელი ადამიანი, — ჩვენთვის სულერთია; ჩვენ, ისევე როგორც ყველა

---

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, стр. 128—129.

[2] Газ. «Вперед» № 14, 12 апреля (30 марта) 1905 г.

რუსი მუშა, ვიბრძვით არსებული წყობილების წინააღმდეგ; ჩვენ უნდა დავანგრიოთ იგი და მის ნანგრევებზე შევქმნათ ახალი, სამართლიანი წყობილება. ჩვენთვის ყველა მუშები, განურჩევლად ეროვნებისა, ძმები არიან. ჩვენი ინტერესები ერთნაირია"[1].

გურიის ამბები გამოხმაურებას პოულობდა აზერბაიჯანისა და სომხეთის გლეხთა შორის, თუმცა რევოლუციის დასაწყისში გლეხთა მოძრაობას იქ არა ჰქონია ისეთი გაქანება, როგორიც საქართველოში მიიღო, და საერთოდ არაორგანიზებული, ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მხარის ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულიყო სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის მოსახლეობაც. 1905 წლის გაზაფხულის დამდეგს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა სომეხ გლეხებს მიმართა სპეციალური პროკლამაციით (სომხურ ენაზე), რომელშიც განმარტავდა მშრომელი მასების მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზებს, უჩვენებდა მათი განთავისუფლების გზებს და მოუწოდებდა შეერთებოდნენ მებრძოლ მუშათა კლასს, დაემხოთ მეფის თვითმპყრობელობა, დაემყარებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა. კავკასიის კავშირის კომიტეტი აღნიშნავდა, რომ მთელი გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს გლეხები აღდგნენ და ქალაქის მუშებთან ერთად გამოდიან მთავრობის, დესპოტი მეფის წინააღმდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. კომიტეტი სომეხ გლეხებს მოუწოდებდა შეერთებოდნენ მოძმე ქართველ გლეხებს და მიეღწიათ გამარჯვებისათვის[2].

ამასთან ერთად ბოლშევიკები მიუთითებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, კერძოდ „დაშნაკცუტიუნის" პარტიის კონტრრევოლუციურ ანტიხალხურ საქმიანობაზე, ურჩევდნენ გლეხებს ზურგი ექციათ მათთვის და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ[3].

დაშნაკების ანტიხალხური საქმიანობის მიუხედავად, ბორჩალოს, ალექსანდროპოლის, ერევნისა და ახალი ბაიაზეთის მაზრების, ყარსის ოლქის და სომხეთის ზოგიერთი სხვა რაიონის გლეხები გამოეხმაურნენ რუსეთისა და დასავლეთ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს.

---

1 Революция 1905—1907 гг. в Грузии, Сборник документов, стр. 127—128.

2 Революционные воззвания и листовки 1902—1921 гг., Ереван, 1960, стр. 118.

3 Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, стр. 236—238.

ამიერკავკასიაში გლეხთა გამოსვლების საერთო განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ მოძრაობის მონაწილეთა ძირითადი მასა— ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი გლეხები — მეტ წილ შემთხვევებში არ ჰყვებოდნენ მეფის მთავრობის პროვოკაციებს, რომლებიც მიმართული იყო ერთა შორის შუღლის გაღვივებისაკენ. ამაშიც თავს იჩენდა გლეხებზე მუშათა მოძრაობის გავლენა, აგრეთვე ბოლშევიკების მუშაობა სოფლად. „ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, — ყველანი ძმები ვართ — აცხადებდნენ მაშინ ბახვის სასოფლო საზოგადოების (გურია) გლეხები. —ჩვენ ერთმანეთში არ ვიჩხუბებთ, ტყუილად ნუ ცდილობს მთავრობა... ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო ქართული როდია. ამას მთელი რუსეთი მოითხოვს. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს რუს ძმებს"[1].

პროლეტარული და გლეხური მოძრაობის გავლენით დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობისა და დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური გამოსვლები. ბაქოში, თბილისში, ელიზავეტპოლსა და სხვა ქალაქებში მოქმედი მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები წრეებში სწავლობდნენ მარქსისტულ თეორიას. ხელს უწყობდნენ ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებას, მუშების შესაიარაღებლად სახსრების შეგროვებას, გამოდიოდნენ დისკუსიებში ესერების, დაშნაკების, „სპეციფიკოსების" წინააღმდეგ და სხვ.

9 იანვრის ამბების შემდეგ ლიბერალური ოპოზიციაც გააქტიურდა. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, ისევე როგორც ქვეყნის სხვა რაიონების ეროვნული ბურჟუაზიის ოპოზიციური მოძრაობა მიზნად ისახავდა თავისი კლასობრივი მიზნებისათვის გამოეყენებინა ხალხის მასების მზარდი რევოლუციური ბრძოლა, დაეცინცლა ცარიზმისათვის ცოტაოდენი პოლიტიკური დათმობანი მონარქიის შენარჩუნების პირობით, ჩამოეშორებინა მხარის მშრომელი მასების ბრძოლა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისაგან.

1905 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში მუშათა და გლეხთა მოძრაობის აღმავლობა მჭიდროდ დაკავშირებული იყო მთელ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის შემდგომ ზრდასთან.

2. რსდმპ III ყრილობა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

ხანგრძლივი და გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1905 წლის აპრილში ლონდონში შეიკრიბა რსდმპ III ყრი-

[1] Газ. «Вперед» № 12, 29 (16) марта 1905 г.

ლობა. მენშევიკებმა უარი თქვეს მის მუშაობაში მონაწილეობაზე და მოიწვიეს თავიანთი კონფერენცია ჟენევაში. ყრილობამ განიხილა რევოლუციის პერიოდში პარტიის წინაშე მდგომი ძირითადი საკითხები, განსაზღვრა პროლეტარიატის როგორც რევოლუციის ბელადის ამოცანები და შეიმუშავა პარტიის ერთიანი ტაქტიკა, დაგმო მენშევიკები როგორც პარტიის გამოთიშული ნაწილი.

პარტიის ერთ-ერთ უმთავრეს და გადაუდებელ ამოცანად III ყრილობამ ცნო საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადება. მან დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მიეღოთ ენერგიული ზომები ხალხის შესაიარაღებლად, აჯანყების მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

კავკასიის კავშირისაგან ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრებოდნენ მ. ნ. ლემანი, მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე, და სხვ. ყრილობა გახსნა პარტიის უხუცესმა მოღვაწემ მ. გ. ცხაკაიამ.

ყრილობის დელეგატები და პირადად ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საქმიანობისადმი, ამიერკავკასიაში რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკისადმი. ვ. ი. ლენინის წინადადებით გლეხთა საკითხზე მეორე მომხსენებლად, რომელსაც უნდა გადმოეცა პარტიის გამოცდილება ამ საქმეში, გამოვიდა რსდმპ კავკასიის კავშირის დელეგატი მ. გ. ცხაკაია. „გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის საკითხი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება ითქვას, ორად იყოფა: 1) თეორიული საფუძვლები და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. ამ უკანასკნელ საკითხზე პასუხს მოგვცემს მეორე მომხსენებელი, ამხ. ბარსოვი[1], რომელიც საუცხოოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლეხურ მოძრაობას — გურიაში“[2].

III ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობისა და რევოლუციური მოძრაობის საკითხებს. ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „კავკასიის ამბების გამო“ აღნიშნული იყო, რომ კავკასიაში სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკური პირობები ხელს უწყობდნენ აქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში უკვე დაიწყო გადაქცევა საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „რსდმ პარტიის III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — მხურვალე სალამს

---

1 მ. გ. ცხაკაიას ფსევდონიმი (რედ. შენიშვნა).

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 471.

უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრების: და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა „საშუალებით“ [1].

III ყრილობის დელეგატებმა ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან მ. გ. ცხაკაიამ და პ. ა. ჯაფარიძემ ყრილობაზე აქტიურად დაუჭირეს მხარი ვ. ი. ლენინის ხაზს, კერძოდ, პარტიულ ორგანიზაციებში მუშათა და ინტელიგენტთა როლის საკითხში.

წინააღმდეგ კამენევის, რიკოვისა და სხვებისა, რომლებსაც ამ საკითხში არასწორი პოზიცია ეჭირათ, მ. გ. ცხაკაია თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ეს საკითხი დაყენებულია თვით ცხოვრების მიერ, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკები ყოველთვის უჭერდნენ მხარს მოწინავე მუშა სოციალ-დემოკრატების მომზადებას და მუშათა მოძრაობის ყველა შეგნებულ წინამძღოლთა მონაწილეობას კომიტეტებში და მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებში[2].

პ. ა. ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში ყრილობაზე საკადრისი პასუხი გასცა დელეგატებს, რომლებიც კომიტეტებში მუშების შეყვანის წინააღმდეგ გამოდიოდნენ იმ საბაბით, რომ პოლიტიკურად მომზადებული და უნარიანი მუშები არ არიანო. „მიკვირს, — აღნიშნავდა პ. ა. ჯაფარიძე, — როცა ამბობენ, არ არიან მუშები, რომლებსაც კომიტეტელობა შეეძლოთო. პირიქით, ისინი იმდენი არიან, რომ არ არის შესაძლებლობა ყველა შევიყვანოთ კომიტეტში“ [3]. ვ. ი. ლენინმა მხურვალედ მოიწონა ეს განცხადება და მეტად ძვირფასი უწოდა მას [4].

ვ. ი. ლენინს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა: „მთელი ძალებით განამტკიცონ პარტიის კავშირი მუშათა კლასის მასასთან, პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა სულ უფრო ფართო ფენები აიყვანონ სრულ სოციალ-დემოკრატიულ შეგნებულობამდე, განავითარონ მათი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული თვითმოქმედება, იზრუნონ იმისათვის, რომ მუშათა მასამ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოჰყოს მუშები, რომლებსაც შეეძლებათ უხელმძღვანელონ მოძრაობას და პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც

---

1 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 101.
2 Третий съезд РСДРП. Протоколы, стр. 257.
3 იქვე, გვ. 332.
4 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 483.

ადგილობრივი ცენტრებისა და საერთო პარტიული ცენტრის წევრებმა, — შექმნან ჩვენს პარტიაში შემავალი რაც შეიძლება მეტი მუშათა ორგანიზაციები...“[1].

ყრილობამ აღნიშნა რსდმპ კავკასიის კავშირის წარმატებანი საგამომცემლო და ლიტერატურულ საქმიანობაში, არალეგალური სტამბების მოწყობაში.

პარტიის სტრატეგიულმა გეგმამ და ტაქტიკურმა ხაზმა, რომლებიც III ყრილობამ შეიმუშავა და რომლებიც მთელი პარტიის საბრძოლო პროგრამა გახდა, ყოველმხრივი თეორიული დასაბუთება და მკაფიო გაშუქება ჰპოვეს ვ. ი. ლენინის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა III ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის. გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“, რომელიც იცემოდა სომხურ და ქართულ ენებზე, 1905 წლის ივლისიდან კი რუსულ ენაზეც, დაიწყო III ყრილობის შესახებ, მასზე განხილული ყველა პრინციპული საკითხის შესახებ სტატიების სისტემატურად გამოქვეყნება. გაზეთმა „პროლეტარიდან“ გადმობეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „მესამე ყრილობა“ და ყრილობის მთელი რიგი რეზოლუციები. ამიერკავკასიაში თითქმის ყველგან ეწყობოდა პარტიული კონფერენციები და კრებები, რომლებზეც ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოდიოდნენ მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე, და კავკასიის კავშირის კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ნ. გ. ცხაკაიამ ყრილობის შესახებ მოხსენებები გააკეთა ჭიათურის ბოლშევიკებისა და რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს ორგანიზაციის აქტივის კრებებზე. ბაქოში 1905 წლის 5 ივნისს სარაიონთაშორისო პარტიულმა კრებამ განიხილა პ. ა. ჯაფარიძის მოხსენება პარტიის III ყრილობის შედეგების შესახებ. ბორჩალოს ორგანიზაციის თათბირზე, აგრეთვე ერევნის ბოლშევიკების თათბირზე პარტიის ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. გ. შაუმიანი. ელიზავეტპოლში ყრილობის შესახებ მოხსენება გააკეთა კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით თბილისიდან ჩასულმა ა. მ. აკოფიანმა. ყველა ამ კონფერენციაზე, კრებებსა და თათბირებზე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ერთსულოვნად იწონებდნენ III ყრილობის გადაწყვეტილებებს, გმობდნენ მენშევიკების ოპორტუნისტულ ძირგამომთხრელ საქმიანობას.

მოგვითხრობდა რა ამიერკავკასიაში პირველი კრებების შესა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 8, გვ. 482.

ხეს, გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ წერდა: „პარტიულმა მუშაკებმა ყველგან დიდი ყურადღებით მოისმინეს დელეგატების მოხსენებები და განაცხადეს, რომ აგიტაციას გასწევენ III ყრილობის როგორც სავსებით კანონიერის, ყველა გადაწყვეტილების სასარგებლოდ“[1].

1905 წლის 28 ივნისის წერილში მ. გ. ცხაკაია აცნობებდა ვ. ი. ლენინს, თუ როგორ მიმდინარეობდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებათა განხილვა. აღწერდა რა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რაიონში გამართულ ერთ-ერთ კრებას, იგი წერდა, რომ ჭიათურის მუშებმა მოიწონეს ყრილობის ყველა რეზოლუცია და განსაკუთრებით რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დროებითი რევოლუციური მთავრობისა და პარტიის გამოთიშულ ნაწილთან ბრძოლის შესახებ. ჭიათურის რაიონული ორგანიზაცია, იუწყებოდა მ. გ. ცხაკაია, „მთლიანად ბოლშევიკების ხელშია, — მენშევიკებს ერეკებიან“[2].

გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“, რომელიც იცავდა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს, მოათავსა სტატია სათაურით „მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“[3]. მასში მხილებული იყო მენშევიკების დეზორგანიზატორული მოქმედება, მათი ცილისმწამებლური მონაჟორები რსდმპ III ყრილობის უკანონობის შესახებ და საფუძვლიანად იყო დამტკიცებული ყრილობის სრული კანონიერება. სტატიამ ვ. ი. ლენინის მოწონება დაიმსახურა და გადაიბეჭდა გაზეთ „პროლეტარში“ ვ. ი. ლენინის ბოლოსიტყვაობით. „გადმოვბეჭდეთ რა ეს სტატია რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდან („ბორბა პროლეტარიატა“ № 1)..., — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ კავკასიელმა მენშევიკებმა თითქმის პირველებმა გაილაშქრეს პრესაში არათუ უსაფუძვლო ლანძღვა-გინებით ყრილობის წინააღმდეგ (ახალი „ისკრის“ ყაიდაზე), არამედ იმის ცდითაც, რომ სადავოდ გაეხადათ პარტიის ზუსტად გარკვეული კომიტეტების წარმომადგენლობა. კავკასიის კავშირმა თავის ორგანოში დინჯად და საფუძვლიანად ფაბათილა მენშევიკების მოსაზრებები და ჩინებულად დაამტკიცა რსდმპ III ყრილობის სრული კანონიერება...“[4].

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს შინაპარტიული ბრძოლის მძიმე პირობებში უხდებო-

---

1 გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 1, 1905 წ. 1 (14) ივლისი.

2 მლი-ს ცპა, ფ. 18, აღწ. 31, დაცვ. ერთ. 34210.

3 გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 1, 1905 წ. 1 (14) ივლისი.

4 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 246.

დათ. მენშევიკური საოლქო ცენტრის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიელმა მენშევიკებმა, ორგანიზაციულად რომ გამაგრდნენ, ყველგან გააჩაღეს ლაშქრობა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მოტყუებისა და შანტაჟის გზით მოახერხეს ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მიემხროთ პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

1905 წლის 8 მაისს კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი ი. ბ. სტალინი აუწყებდა ვ. ი. ლენინს, თუ რა მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში და წერდა: „საქმის ვითარება ჩვენში ასეთია. თბილისი თითქმის მთლიანად მენშევიკების ხელშია. ბაქოსა და ბათუმის ნახევარიც მენშევიკების ხელშია. ბაქოს მეორე ნახევარი,. თბილისის ნაწილი, მთელი ელიზავეტპოლი, მთელი ქუთაისის რაიონი ჭიათურით (მარგანეცის მრეწველობის რაიონი, 9—10.000 მუშა) და ნახევარი ბათუმი უმრავლესობის მხარეზეა: გურია შემარიგებლების ხელშია, რომლებმაც გადაწყვიტეს მენშევიკებთან გადავიდნენ. მენშევიკების კურსი ჯერ კიდევ მაღლა იწევს, თუმცა გამჭრიახი თვალი საწინააღმდეგო ტენდენციასაც შეამჩნევს, რომელიც სულ უფრო მეტად იჩენს თავს თბილისსა და ბათუმში“[1].

ვ. ი. ლენინმა უდიდესი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მათს ბრძოლაში მენშევიკების წინააღმდეგ. თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ მან მკვეთრად გააკრიტიკა ჟორდანიას სტატია. — „უმრავლესობა თუ უმცირესობა?“ რომელიც გამოქვეყნებული იყო ქართულ მენშევიკურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“. ეს სტატია ქადაგებდა ოპორტუნისტულ შეხედულებებს ტაქტიკის საკითხებზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით რევოლუციის პერიოდში მასებში პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნის შესახებ, დიდი მუშაობა გასწიეს არსებული პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად და ახალი ორგანიზაციების შესაქმნელად.

კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით 1905 წლის მაისში ს. გ. შაუმიანი გაიგზავნა პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად ბორჩალოსა და ერევანში. რსდმპ ბორჩალოს ორგანიზაციის წარმომადგენელთა თათბირზე არჩეულ იქნა ბოლშევიკური სამაზრო კომიტეტი ს. გ. ევოიანის, ა. ო. თუმანიანის, ა. ს. კახოიანის და სხვ. შემადგენლობით. ერევნის სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა საერთო-საქალაქო კრებაზე, რომელიც

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 558, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 938.

ს. გ. შაუმიანმა მოიწვია, არჩეულ იქნა რსდმპ ერევნის ბოლშევიკური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეიდნენ კ. ალავერდოვი, ვ. ბარჟანსკი, ა. ა. მალხასიანი, ი. გ. ნინუა, გ. ნ. სოკოლოვსკი და სხვები. შეიქმნა უჯრედები იგდირში, ულუხანლუში, ნახჭევანში. ნორ-ბაიაზეთში, ყამარლუში. გარდაიქმნა რსდმპ ალექსანდროპოლის, ყარსისა და სარიყამიშის ორგანიზაციების მუშაობა.

პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით სომხეთის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნაში დიდი როლი შეასრულა ბ. მ. კნუნიანცმა, რომელიც ერევანში ჩავიდა 1905 წლის ზაფხულში.

პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული აზერბაიჯანში. ბაქოს კომიტეტმა რამდენიმე რაიონული პარტიული კომიტეტის რეორგანიზაცია მოახდინა. 1905 წლის ივლისში შეიქმნა ქვერაიონული კომიტეტები: ბალახანისა, საბუნჩისა, ზაბრათისა, რამანინისა და ცენტრალური, რომლებიც ბალახანის ცენტრალურ რაიონულ კომიტეტს ემორჩილებოდნენ. 1905 წელს ბაქოში ხუთი რაიონული კომიტეტი იყო: ბალახანისა, ბიბი-ეიბათისა, შავი ქალაქისა, თეთრი ქალაქისა და საქალაქო.

კავკასიის კავშირის კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის დახმარებით 1905 წლის ივნისში შუშაში შეიქმნა ბოლშევიკური ჯგუფი. რამდენიმე ხნის შემდეგ შუშის ჯგუფმა შექმნა რამდენიმე წრე როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. შუშის, აგრეთვე ელიზავეტპოლის ბოლშევიკებმა, მოაწყეს მიწერ-მოწერა ლენინის „პროლეტარის" რედაქციასთან, უგზავნიდნენ წერილებსა და კორესპონდენციებს გაზეთისათვის.

პერიოდი 1904 წლის დამლევიდან 1905 წლის ბოლომდე აღსავსეა დისკუსიებით მენშევიკებთან, ფედერალისტებთან, ანარქისტებთან და სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან. ამ დისკუსიებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასა და პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებაში. დისკუსიებზე, თეორიის პრობლემებთან ერთად, პრაქტიკულ საკითხებსაც განიხილავდნენ. 1905 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში დიდი დისკუსიები მოეწყო თბილისში, ბაქოში, ჭიათურაში, გურიაში და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში. მათში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: ა. ა. ბეკზადიანი, ვ. ს. ბობროვსკი, მ. ნ. დავითაშვილი, ს. მ. ეფენდიევი, ი. ნ. ინწკირველი, ფ. ე. მახარაძე, ი. ბ. სტალინი, ა. მ. სტოპანი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე და სხვა ბოლშევიკი ხელმძღვანელები.

პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „პროლეტარი" იუწყე-

ბოდა ბოლშევიკების სრულ გამარჯვებას მენშევიკებთან, ფედერალისტებთან, ესერებთან და ანარქისტებთან დისკუსიაზე ჰიათურაში. „ამას წინათ მათთან დისკუსია იყო, — წერდა გაზეთი. — დაესწრო 2 ათასამდე მუშა. კამათი მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხებით დამთავრდა. დისკუსიის დასასრულს მუშებმა 3 დროშა მოიტანეს და დემონსტრაციულად შემოიარეს მთელი ჰიათურა, თან გაიძახოდნენ: „ძირს არასოციალ-დემოკრატიული პარტიები! გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!...“[1].

ერთ-ერთ სადისკუსიო კრებაზე ოზურგეთის მაზრაში მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, სოფლის მუშებმა... მოვისმინეთ კამათი „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის და დავრწმუნდით, რომ „უმრავლესობა“ პროლეტარიატის ინტერესების უფრო ჭეშმარიტი დამცველია, ვიდრე „უმცირესობა“. ამიტომ გადავწყვიტეთ გამოვიდეთ „უმცირესობის“ ორგანიზაციიდან და მოვეწყოთ ცალკე ორგანიზაციად“[2].

1905 წლის ზაფხულში კარაკლისში გაიმართა ხალხმრავალი სადისკუსიო კრება, რომელიც ძირითადად ეროვნულ საკითხს მიეძღვნა. ამ კრებაზე გამოსულმა ს. გ. შაუმიანმა მწვავედ გააკრიტიკა სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და სოციალ-შოვინისტური თეორიები.

მ. გ. ცხაკაია წერილში ვ. ი. ლენინისადმი იუწყებოდა, რომ სულ უფრო მწვავდებოდა ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომ იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა ამიერკავკასიის მშრომელ მასებზე, და აღნიშნავდა, რომ აქ დიდი მოთხოვნილებაა ვ. ი. ლენინის შრომებზე, რომლებსაც ბეჯითად სწავლობენ და ფართოდ იყენებენ მენშევიკებთან ბრძოლაში. მ. გ. ცხაკაია წერდა, რომ კრებების მონაწილეებს „არაფრის გაგონება არ უნდათ, თუ აგიტატორმა ლაპარაკი არ დაიწყო ამაზე, ლენინზე, და სტიქიურობისა და შეგნებულობის მის გაგებაზე... როგორც ხედავთ, ამხ. ლენინს შეუძლია იამაყოს, რომ პროპაგანდისტები და აგიტატორები... იძულებული არიან ყველა კუთხეში ეძებდნენ მის „რა ვაკეთოთ?“-სა და „ნაბიჯებს“[3].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი წერილში, რომელიც შემდეგ ვ. ი. ლენინს გადაეგზავნა, პ. ა. ჯაფარიძე იუწყებოდა ბაქოელ ბოლშევიკთა მუშაობის შედეგებზე. მასში ნათქვამი იყო: „ბევრ რაიონში იყო დისკუსიები ყრილობის მუშაობაზე — და, შე-

---

1 Газ. «Пролетарий» № 15, 5 сентября (23 августа) 1905 г.

2 გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 2, 1905 წ. 15 (28) იელისი.

3 მლი-ს ცპა, ფ. 2, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 176, ფურც. 5.

იძლება ითქვას, — რომ მუშები კმაყოფილი არიან ყრილობის მუშაობით. გაურკვეველი დამოკიდებულებაა ჯერჯერობით ერთ რაიონში— შავ ქალაქში, დღეს გაიმართება დისკუსია — და ყველა შანსია იმის სასარგებლოდ, რომ შედეგები ხელსაყრელი იქნება“ [1]. დისკუსიები ძირითადად იმისათვის იყო გამიზნული, რომ განემარტათ რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებანი და ბოლშევიკური ტაქტიკა რევოლუციაში.

რევოლუციის პერიოდში კავკასიელმა მენშევიკებმა თეორიის სხვა საკითხებს შორის იერიში მიიტანეს ლენინის მოძღვრებაზე მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შესახებ. ჟორდანია თავის სტატიაში „პასუხი კავშირის კომიტეტს“ ამტკიცებდა, რომ თითქოს „სოციალიზმი გარედან კი არ შედის პროლეტარიატში“, არამედ „პირიქით, პროლეტარიატიდან გამოდის და შედის იმათ თავში, რომლებიც შეითვისებენ პროლეტარიატის შეხედულებებს“.

ბროშურაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა, და სტატიაში „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“, რომლებიც დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ, მიცემული იყო მკვეთრი და კარგად მოტივირებული პასუხი იმ ღვარძლიან თავდასხმებზე, რასაც მენშევიკები ლენინის წინააღმდეგ ეწეოდნენ. შეფასებას აძლევდა რა სტატიას „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“, ვ. ი. ლენინი წერდა: „...ჩვენ აღვნიშნავთ, რომ... ცნობილი საკითხი „შეგნების გარედან შეტანის“ შესახებ ჩინებულადაა დაყენებული“ [2].

პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების დაცვისადმი მიძღვნილი იყო მთელი რიგი ბრწყინვალე სტატიები ა. გ. წულუკიძისა („ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“, „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე“ და სხვ.) და ს. გ. შაუმიანისა („კლასები ევროპის თანამედროვე საზოგადოებაში“ და სხვ.), რომლებშიც ისინი ამხილებდნენ ყველა ჯურის რევიზიონისტებს.

რევოლუციის პერიოდში ფართო მასშტაბები მიიღო კავკასიის კავშირისა და მისი ადგილობრივი კომიტეტების ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობამ. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა რსდმპ II ყრილობაზე მიღებული „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა“, რსდმპ III ყრილობაზე მიღებული „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

---

[1] П. А. Джапаридзе. Избранные статьи, речи и письма. 1905—1918 гг., М., 1958, стр. 23.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 476.

წესდება“, „ცნობები უმცირესობისა და უმრავლესობის საერთო რუსეთის კონფერენციების შესახებ“.

რსდმპ კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ 1905 წლის იანვრიდან ნოემბრამდე გასულ პერიოდში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, არასრული მონაცემებით, დაიბეჭდა 300 ათასი ეგზემპლარი გაზეთი, ბროშურა და ფურცელი სამ ენაზე [1].

რსდმპ ბაქოს კომიტეტმა 1905 წლის იანვარ — აგვისტოში რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოუშვა 140-მდე ფურცელი 250 ათასზე მეტი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. 1905 წლის მარტში რუსულ ენაზე გამოიცა 2ათასი ეგზემპლარი რსდმპ პროგრამა[2]. 1905 წელს რსდმპ პროგრამა ნ. ნ. ნარიმანოვის თარგმანით გამოიცა აზერბაიჯანულ ენაზე[3].

კავკასიის კავშირის კომიტეტის მითითებით ელიზავეტპოლის ჯგუფის ცალკეული ფურცლები იბეჭდებოდა თბილისში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. 1905 წლის ზაფხულამდე იქ გამოიცა ხუთი ასეთი ფურცელი სამ ენაზე, 9600 ეგზემპლარი საერთო ტირაჟით[4]. კავკასიის კავშირის კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის, ელიზავეტპოლის ჯგუფისა და „ჰუმეთის“ ორგანიზაციის ფურცლები ვრცელდებოდა აქსტაფაში, ევლახში, ყაზახსა და აზერბაიჯანის სხვა ადგილებში.

ქართულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“, „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „სოფლის ღარიბებს“ და სხვ.

რევოლუციის წლებში თბილისის, ბაქოს, ბათუმისა და ალექსანდროპოლის იატაკქვეშა სტამბებში სომხურ ენაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის ათამდე ნაშრომი და 100-ზე მეტი ბოლშევიკური ფურცელი [5].

---

[1] Авлабарская нелегальная типография Кавказского союзного комитета РСДРП (1903—1906 гг.). Сборник материалов и документов, стр. 11.

[2] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 85.

[3] იქვე, გვ. 106.

[4] Авлабарская нелегальная типография Кавказского союзного комитета РСДРП (1903—1906 гг.). Сборник материалов и документов, стр. 23—24.

[5] Очерки истории Коммунистической партии Армении, стр. 58—59.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, ასრულებდნენ რა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებს, ინტენსიური მუშაობა გააჩაღეს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. რსდმპ კავკასის კავშირის, თბილისის, ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოსა და ბათუმის კომიტეტები რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებათა დაუცხრომელ პროპაგანდას ეწეოდნენ. ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე, პროკლამაციებსა და მოწოდებებში ისინი თანმიმდევრულად იცავდნენ ლენინურ ტაქტიკურ ხაზს რევოლუციაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იბრძოდნენ ლენინური ტაქტიკური ხაზის რეალიზაციისათვის და ფართოდ გააჩაღეს მუშაობა მებრძოლი და წითელი რაზმების შესაქმნელად, მათ შესაიარაღებლად და გასაწვრთნელად, იარაღისა და ფეთქებაღ ნივთიერებათა დასამზადებელი სახელოსნოებისა და ლაბორატორიების, პირველი სამედიცინო დახმარების რაზმების და სხვ. შესაქმნელად.

რევოლუციური მოძრაობის შესუსტებისა და რევოლუციური ძალების დაქსაქსვის მიზნით მთავრობამ თბილისში, ბაქოში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში შექმნა შავრაზმული ორგანიზაციები— „რუს პატრიოტთა საზოგადოება“, „რუს მშრომელთა კომიტეტი“ და სხვ. „პატრიოტები“ აშკარად გამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ყოველნაირად სწამებდნენ მათ ცილს, აქეზებდნენ რუს მუშებს სხვა ეროვნებათა მუშების წინააღმდეგ. კავკასიის მეფისნაცვალმა შეაიარაღა ეს შავრაზმული კონტრრევოლუციური რაზმები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში პოლიციისა და კაზაკების წაყრუებითა და დახმარებით რბევას მართავდნენ თბილისის ქუჩებში და ტერორს უწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

მაგრამ არავითარ ტერორს არ შეეძლო შეეჩერებინა რევოლუციურად განწყობილი მასების შეტევა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მშრომელთა პროტესტის გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა 1905 წლის 12 ივნისს დაბა ხონში ამიერკავკასიის ლენინურისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი შემქმნელის ა. გ. წულუკიძის დაკრძალვა, რომელშიც 10 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

1905 წლის ზაფხულისათვის დაიწყო ამიერკავკასიის მუშების საგაფიცვო მოძრაობის ახალი ხანა. რსდმპ თბილისის კომიტეტის მოწოდებით 20 ივნისს ქალაქის პროლეტარიატმა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადა. მუშებმა მთავრობას შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: დამფუძნებელი კრების მოწვევა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, ქალაქიდან კაზაკების გაყვანა, სამხედრო

პატრულების მოხსნა, შავრაზმელების განიარაღება, მოსახლეობის დასაცავად სახალხო მილიციის შექმნა. გაფიცვის პერიოდში ქალაქის სხვადასხვა რაიონში მიტინგები იმართებოდა. კაზაკებსა და პოლიციელებს, რომლებიც მიტინგების გაფანტვას ცდილობდნენ, მუშები ბომბებით „უმასპინძლდებოდნენ".

23 ივნისს გაიფიცნენ რკინიგზელები მთელ ხაზზე თბილისიდან ბათუმამდე. 25 ივნისს მათ შეუერთდნენ ელიზავეტპოლის მუშები.

გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", შეფასებას აძლევდა რა ივნისის გაფიცვას, წერდა: „...უკვე ის ფაქტი, რომ ათასობით პროლეტარი სოლიდარულად გამოვიდა ძირმომპალი თვითმპყრობელობის ახალი ცდის წინააღმდეგ მოეწყო შინაომი კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებათა შორის..., ნათლად გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატმა გამოიცნო მთავრობის პოლიტიკის ნამდვილი ხასიათი, განიმსჭვალა მისდამი შეურიგებელი სიძულვილით და ყოველ წუთს მზად არის შეუსუსტებელი ენერგიით მჭიდროდ დარაზმულ რიგებად მიიტანოს იერიში მის სიმაგრეებზე. შორს არ არის უკანასკნელი, გადამწყვეტი იერიშის მომენტი, და კავკასიის პროლეტარიატს უკანასკნელი ადგილი როდი ეკუთვნის იერიშის მიმტან კოლონაში!"[1].

რუსეთის ცენტრალურ რაიონებში მზარდი მუშათა მოძრაობის, კერძოდ ივანოვო-ვოზნესენსკში გაფიცვის გავლენით, ამ დროს კიდევ უფრო გაძლიერდა მუშების რევოლუციური ბრძოლა ბაქოში და აზერბაიჯანის მაზრებში. 1905 წლის ივნის — ივლისში გაფიცვები მოედო ბაქოს მთელ სამრეწველო საწარმოთა სამ მეოთხედს. გაფიცული იყვნენ არა მარტო მენავთობეები, არამედ სადგურ ბალაჯარის რკინიგზელებიც, გემთსარემონტო სახელოსნოების მუშები, კასპიის სავაჭრო ფლოტის თითქმის ყველა გემის ეკიპაჟები და სხვ.

პარტიული მუშაობა მასებში სულ უფრო ძლიერდებოდა. ბოლშევიკების გავლენა განუხრელად იზრდებოდა. 1905 წლის აგვისტოში კავშირის კომიტეტმა „პროლეტარის" რედაქციას აცნობა, რომ კავკასიაში საქმის საერთო ვითარება გაუმჯობესდა[2].

რევოლუციური მოძრაობის ყველგან აღმავლობის ვითარებაში მეფის მთავრობამ კვლავ მიმართა მოტყუების პოლიტიკას, გამოაცხადა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა. 1905 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნდა მანიფესტი ე. წ. ბულიგინის სათათბიროს მოწ-

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 1, 1905 წ. 1 (14) ივლისი.

[2] მლი-ს ცპა, ფ. 26, აღწ. 29 ნ, დაცვ. ერთ. 20104, ფურც. 1.

ვევის შესახებ. ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა ბულიგინის სათათბირო დაახასიათეს როგორც სახალხო წარმომადგენლობის იდეის პირდაპირ აბუჩად აგდება, და აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს მას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გაიაზრეს ბრძოლა ბულიგინის სათათბიროს მიმართ ლენინური ტაქტიკისათვის, მენშევიკების ოპორტუნისტული პოლიტიკის მხილებისათვის და შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ ამ პერიოდში გამოქვეყნდა სტატიები „მეფის მანიფესტი და სახალხო რევოლუცია“, „რეაქცია ძლიერდება“ და „ბურჟუაზია მახეს აგებს“. ამ სტატიებში მხილებული იყო ნამდვილი მიზეზები, რომლებმაც აიძულა მეფის მთავრობა რეპრესიების პოლიტიკისათვის დაემატებინა ხალხისადმი ცრუ დათმობათა პოლიტიკა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დაპირების სახით. სტატიებში მხილებული იყო მეფის მთავრობის ნამდვილი მიზნები— განემტკიცებინა შერყეული თვითმპყრობელობა და მის გარშემო შეეკავშირებინა ლიბერალური ბურჟუაზია. „დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ეს მანიფესტი მეფისაა, — ნათქვამია ერთ სტატიაში.— ამით ყველაფერია ნათქვამი: „ძაღლი ბატკანს ვერ მოიგებს“ — მეფისაგან სახეიროს არაფერს უნდა ველოდეთ“[1].

„გაზეთმა „პროლეტარმა“ მოათავსა რეცენზია „პროლეტარიატის ბრძოლის“ მესამე ნომერზე, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ამ გაზეთის მოწინავე სტატიას — „მეფის მანიფესტი და სახალხო რევოლუცია“[2].

რსდმპ თბილისის და ბაქოს კომიტეტებმა მასებში დიდი მუშაობა გასწიეს სათათბიროს მიმართ ლენინური ტაქტიკის დასაცავად. გამოუშვეს მთელი რიგი ფურცლები, მოაწყეს მუშათა კრებები, რომლებზეც გამოააშკარავეს სათათბიროს ნამდვილი არსი. 1905 წლის 5 ივნისს საკითხი სათათბიროს შესახებ განხილულ იქნა ბაქოს მუშათა საარაიონთაშორისო კრებაზე, ხოლო 1905 წლის 11 სექტემბერს ბაქოს პარტიული ორგანიზაციის საარაიონთაშორისო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის შესახებ. პოლიციამ კონფერენციის კვალს მიაგნო და მისი 60-ზე მეტი მონაწილე დააპატიმრა, მათ შორის პ. ა. ჯაფარიძე, მ. ნ. ლიადოვი (რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი) და სხვა თვალსაჩინო პარტიული მუშაკები. პასუხისმგებელი პარტიული

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 3, 1905 წ. 15 (28) აგვისტო.

[2] Газ. «Пролетарий» № 22, 24 (11) октября 1905 г.

მუშაკების დაპატიმრებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1905 წლის აგვისტოში ბაქოს კომიტეტმა ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა მოამზადა. გაფიცვა, რომელიც 16 აგვისტოს დაიწყო, ქალაქსა და ყველა სარეწ რაიონს მოედო. გაფიცულნი მოითხოვდნენ: 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, კრებების თავისუფლებას, სარეწებში მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი რაზმების განიარაღებას და 1904 წლის ცნობილი „დეკემბრის ხელშეკრულების“ ყველა პუნქტის შესრულებას.

მაგრამ შენდრიკოველების, დაშნაკებისა და ჰნჩაკისტების წინააღმდეგობის გამო გაფიცვა მეორე დღეს შეწყდა. გაფიცვის წარუმატებლობაში გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ პოლიციამ დააპატიმრა მოწინავე მუშები, გაფიცვის ხელმძღვანელები.

1905 წლის აგვისტოს ბოლოს ბაქოში, შუშასა და სხვა ქალაქებში კვლავ პროვოკაციულად გამოწვეულ იქნა შეტაკებანი აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ბოლშევიკებმა მუშები დარაზმეს პროვოკატორებისადმი წინააღმდეგობისათვის. თბილისის პროლეტარებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი ბაქოს მუშებს. 1905 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) თბილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში გაიმართა მუშათა მიტინგი ეროვნებათაშორის შეტაკებათა გამო. შეიკრიბა 2500 კაცი. კაზაკები გარს შემოერტყნენ შენობას, ჩაკეტეს გამოსასვლელები, სინათლე ჩააქრეს და სროლა აუტეხეს უიარაღო ხალხს. მოკლულ იქნა და დაიჭრა 400-მდე კაცი, დაპატიმრებულ იქნა 200-მდე.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. იმავე ღამეს თბილისის კომიტეტმა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე— სამ-სამ ათას ეგზემპლარად დაბეჭდა ფურცელი „სისხლი იღვრება, ემზადეთ აჯანყებისათვის!“ ეს ფურცელი მთლიანად გადაბეჭდა გაზეთმა „პროლეტარმა“.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) ერთდროულად მოაწყო თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე ქალაქის რამდენიმე რაიონში.

ვ. ი. ლენინი დაკვირვებით ადევნებდა თვალს უცხოეთის პრესასაც, რომელიც აქვეყნებდა კორესპონდენციებს რევოლუციურ მოვლენებზე რუსეთში. სტატიას „პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში“ რომ აეზადებდა, ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ რვეულში ჩანაწერებისათვის შეიტანა ამონაწერი 1905 წლის 11 ოქტომბრის ფრანგულ კონსერვატიულ გაზეთ „Le Temps“-იდან („დროება“), რომელშიც ნათქვამი იყო: „აფორიაქება, რაც

თბილისში 8 ოქტომბერს საღამოს 9 ბომბის ერთდროულად აფეთქებამ გამოიწვია, მხოლოდ ღამის 11 საათისათვის მინელდა... ეჭვს გარეშეა, რომ ბომბები მიმართული იყო კაზაკების წინააღმდეგ, როგორც რეპრესალია თბილისში 11 სექტემბრის მომხდარ დახვრეტათა გამო"[1].

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციამ, რომელიც 1905 წლის სექტემბერში რიგაში გაიმართა, თავის რეზოლუციაში „კავკასიის ამბების გამო" გადაჭრით ამხილა მეფის თვითმპყრობელობის სისხლიანი ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ეროვნებათა შორის მტრობის გაღვივებისაკენ, და გამოთქვა „თავისი ღრმა თანაგრძნობა ბაქოელი და თათარი (აზერბაიჯანელი — *რედ.*) ამხანაგებისა და კავკასიის მთელი პროლეტარიატისადმი, დარწმუნებულმა, რომ ისინი, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მომავალშიაც განაგრძობენ რევოლუციურ ბრძოლას მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად და მასთან ერთად მიიყვანენ ამ ბრძოლას ცარიზმზე საბოლოოდ გამარჯვებამდე"[2].

ამიერკავკასიის პროლეტარები პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობით ენერგიულად ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტაკებისათვის თავიანთ კლასობრივ მტრებთან.

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ხალხის მასების სათავეში რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. რსდმპ კავკასიის კავშირის მეორე კონფერენცია

1905 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო მოსკოვის მუშათა გაფიცვა, რომელიც მალე გადაიზარდა სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვად. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ამ გაფიცვის უდიდეს გაქანებას და მას ოქტომბრის რევოლუცია უწოდა. „პროლეტარიატის მძლავრმა ხელმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატისა, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეში გმირული სოლიდარობის უაღრესი აღმავლობის დროს აღსდგა, მთელი მრეწველობის, ვაჭრობისა და სახელმწიფო ცხოვრების მაჯისცემა შეაჩერა"[3].

მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა ცნობა მოსკოვის მუშათა დაწყებული გაფიცვის შესახებ, 1905 წლის 13 ოქტომბერს თბილისის

---

[1] Ленинский сборник XVI, стр. 211.

[2] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 115.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 9, გვ. 526.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სარაიონთაშორისო კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ბოლშევიკების ინიციატივით, მიიღეს გადაწყვეტილება შეერთებოდნენ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. 14 ოქტომბერს დილიდან გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები. საღამოს მათ შეუერთდნენ ტრამვაის, ყველა სტამბისა და თითქმის ყველა ქარხნისა და ფაბრიკის მუშები, ხოლო 15 ოქტომბრისათვის გაფიცვა საყოველთაო გახდა. გაფიცვა დაიწყო რკინიგზაზეც. 15 ოქტომბერს დაიწყო გაფიცვა სადგურ აქსტაფაში და სწრაფად მოედო მთელ ამიერკავკასიის რკინიგზას. 15—17 ოქტომბერს ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ელიზავეტპოლში, სოხუმში, ალექსანდროპოლში, ერევანში, ფოთში, ჭიათურაში, ევლახში, აჯიქაბულში და ამიერკავკასიის ბევრ სხვა ქალაქსა და რკინიგზის პუნქტში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. რკინიგზის მოძრაობა შეჩერდა. იქმნებოდა საგაფიცვო კომიტეტები. რკინიგზების საგაფიცვო კომიტეტების განკარგულებაში იყო „სადელეგატო მატარებლები", რომლებიც სოციალ-დემოკრატიული და საგაფიცვო კომიტეტების სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ.

საგაფიცვო მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო სადგურებში სანაინსა და ალექსანდროპოლში. ალექსანდროპოლ-ყარსის რკინიგზის ხაზი გადავიდა გაფიცულთა ხელში, რომლებსაც სათავეში ედგა საგაფიცვო კომიტეტი.

ამიერკავკასიის მუშები, ისევე როგორც მთელი რუსეთის პროლეტარები, მოითხოვდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას და სხვ.

მუშათა მოძრაობის გავლენით კიდევ უფრო გაძლიერდა გლეხთა რევოლუციური ბრძოლა. ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, გორის მაზრებსა და ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სხვა მაზრებში ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა ხალხის — გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელში.

პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი" იმ დღეებში იუწყებოდა: „ჭიათურაში ფაქტიურად სრული დემოკრატიული რესპუბლიკაა. საქმე ის არის, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონები... მუშები და გლეხები არიან. ადმინისტრაცია არ ჩანს — მას ყველა დასცინის, იგი ყველას ეზიზღება. გლეხთა ჯგუფები და ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოქმედებენ როგორც მცირე მასშტაბის დროებითი რევოლუციური მთავრობა"[1].

[1] Газ. «Пролетарий» № 15, 5 сентября (23 августа) 1905 г.

თანდათან ჩაღდებოდა აგრარული მოძრაობა აზერბაიჯანშიც. სულ უფრო ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე სოფლებში ბოლშევიკი ორგანიზატორები — მოწინავე მუშები. ზოგიერთი მათგანი გლეხთა გამოსვლების წამომწყები და ხელმძღვანელი ხდებოდა.

1905 წლის შემოდგომისათვის გლეხთა მღელვარება მოედო ელიზავეტპოლის გუბერნიის შუშის, ელიზავეტპოლის, ყაზახის, კარიაგინის, ჯევანშირის მაზრებს, ბაქოს გუბერნიის ჯევათის, ლენქორანის, გეოქჩაის მაზრებსა და ზაქათალის ოლქს. გლეხები უარს აცხადებდნენ შეესრულებინათ მეფის ხელისუფალთა განკარგულებანი, გადაეხადათ გადასახადები ხაზინისათვის, მოეხადათ ბეგარა მემამულეების წინაშე, ისინი ხელში იგდებდნენ და კაფავდნენ სახაზინო და მემამულეთა ტყეებს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ადმინისტრაციასა და ბეგებს.

მთელ ქვეყანაში პროლეტარული მოძრაობის გრანდიოზულმა გაქანებამ აიძულა საშინლად დამფრთხალი მეფე გამოეშვა 17 ოქტომბერს მანიფესტი, რომელშიც მან ხალხს „უბოძა" „სამოქალაქო თავისუფლების ურყევი საფუძვლები: პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება". მეფე ჰპირდებოდა მოეწვია საკანონმდებლო სათათბირო და არჩევნებში მონაწილეობა მიეღებინა მოსახლეობის ყველა კლასისათვის.

ამრიგად, როგორც ამბობდა ვ. ი. ლენინი „რევოლუცია ისეთ მომენტამდე მივიდა, როცა კონტრრევოლუციისთვის თავდასხმა, შეტევა ხელსაყრელი არაა"[1].

ვ. ი. ლენინი 17 ოქტომბრის მანიფესტს აფასებდა როგორც რევოლუციის პირველ გამარჯვებას და ამავე დროს მიაჩნდა იგი მახედ, მეფის მთავრობის მზაკვრულ ხერხად ხალხის მასების მოსატყუებლად, რევოლუციის დასათრგუნავად. „რევოლუციურმა ხალხმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მრავალი უაღრესად სერიოზული საბრძოლო ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, რათა რევოლუცია ნამდვილ და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს"[2].

18 ოქტომბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება მეფის მანიფესტის გამო. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მშრომელთ გამოეყენებინათ მეფის მიერ „ნაბოძები" უფლებანი, და მომზადებულიყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 510.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 9, გვ. 525.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს მეფის მანიფესტის ცრუ ხასიათს, მოუწოდებდნენ ხალხს მეფის თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. გამოიცა რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს და თბილისის კომიტეტების მოწოდებანი, რომლებიც ამხილებდნენ მეფის მანიფესტის ფარისეველურ ხასიათს და მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

რსდმპ ბაქოს კომიტეტი 18 ოქტომბრის ფურცელში ამხილებდა მეფის მანიფესტის არსს და წერდა: „ეს იაფფასიანი საქონელი აქვს ჩვენს მეფეს, მაგრამ ამ იაფფასიან საქონელში ხალხისათვის სასარგებლო არაფერია“[1].

რსდმპ თბილისის კომიტეტის ფურცელში „ყველა მუშას“, რომელიც გამოშვებულ იქნა 19 ოქტომბერს, ნათქვამი იყო: „ხალხი ვერ დაენდობა მეფის დაპირებას, — იგი მხოლოდ თავის თავს უნდა ენდობოდეს, მხოლოდ საკუთარ ძალას უნდა ეყრდნობოდეს: ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის ხელით უნდა მოხდეს. მხოლოდ მჩაგვრელთა ძვლებზე შეიძლება აღიმართოს ხალხის თავისუფლება, მხოლოდ მჩაგვრელთა სისხლით შეიძლება განოყიერებულ იქნას ნიადაგი ხალხის თვითმპყრობელობისათვის! მხოლოდ მაშინ, როცა შეიარაღებული ხალხი გამოვა პროლეტარიატის მეთაურობით და აღმართავს საყოველთაო აჯანყების დროშას, მხოლოდ მაშინ შეიძლება დამხობილ იქნას მეფის მთავრობა, რომელიც ხიშტებს ეყრდნობა. არა ლიტონი ფრაზები, არა უაზრო „თვითშეიარაღება“, არამედ ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება,— აი საით მიდიან დღეს მთელი რუსეთის „პროლეტარები“[2].

„ჰუმეთის“ 21 ოქტომბრის ფურცელი „თავისუფლების მებრძოლებს!“ შეიცავდა მშრომელი მასებისადმი მოწოდებას გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ცარიზმის პროვოკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ[3]. ეს ფურცელი გადაბეჭდა ლენინურმა გაზეთმა „ნოვაია ჟიზნმა“[4].

26 და 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა რსდმპ ყარსის ჯგუფისა და ალექსანდროპოლის ბოლშევიკების მოწოდებანი, რომლებშიც მხილებული იყო მეფის მანიფესტის ანტიხალხური ხასიათი. „ასე ცდილობს მომაკვდავი ცარიზმი, — წერდნენ ალექსანდროპოლელი ბოლშევიკები, — თავის სიკვდილის წინ აგონიაში უთხრას სიცოცხ-

---

1 Листовки бакинских большевиков 1905—1970 гг., стр. 163.

2 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 495.

3 Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 165—166.

4 Газ. «Новая жизнь» № 19, 23 ноября 1905 г.

ლეს: შეჩერდიო. ამაო იმედია. მთელი რუსეთი აღდგა ცარიზმის წინააღმდეგ, — იგი გაიძახის: ძირს მეფის დათმობანი! გაუმარჯოს რევოლუციას!“ [1]

დაშნაკები და პანისლამისტები, მენშევიკები და შენდრიკოველები, სოციალ-ფედერალისტები და ანარქისტები ჩაებღაუჭნენ მანიფესტის ცრუ დაპირებებს, დამთავრებულად თვლიდნენ რევოლუციას.

18—21 ოქტომბერს ამიერკავკასიის ბევრ ქალაქში გაიმართა მშრომელთა მიტინგები და დემონსტრაციები პროტესტით ცარიზმის ახალი ხრიკის წინააღმდეგ. იმ დღეებში თბილისში მიტინგებსა და დემონსტრაციებში 200 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. 19—20 ოქტომბრის ხალხმრავალ მიტინგებზე თბილისში მუშებმა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებთან ერთად შეიმუშავეს გაფიცულთა მოთხოვნები: პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლება, მუდმივი არმიის შეცვლა შეიარაღებული სახალხო მილიციით, სამხედრო წესებისა და ეგზეკუციის გაუქმება, დამფუძნებელი კრების მოწვევა. ბაქოში 19 ოქტომბერს მოეწყო მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია რამდენიმე ათეული ათასი ძუშის მონაწილეობით. დემონსტრანტებმა გარეკეს ყარაული, საპყრობილიდან გამოუშვეს პოლიტიკური პატიმრები, მიაღწიეს სამხედრო წესების მოხსნას.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, ალექსანდროპოლსა და სხვა ქალაქებში. მიტინგებზე ბოლშევიკებისაგან გამოდიოდნენ: მ. ა. აზიზბეკოვი, მ. ბ. ახუნდოვი, ა. დ. ახუნდოვი, ა. ა. ბეკზადიანი, ს. გ. ბუაჩიძე, მ. ნ. დავითაშვილი, პ. ვ. მონტინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები.

20—24 ოქტომბერს დიდი პოლიტიკური დემონსტრაციები გაიმართა ელიზავეტპოლში. დემონსტრაციები მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს თავისუფლებას!“. ამ დემონსტრაციების ორგანიზატორთა შორის იყო ს. მეჰმანდაროვი, რომელიც მანამდე ცოტა ხნით ადრე ელიზავეტპოლში ჩავიდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით.

ბევრ ადგილას მუშათა დემონსტრაციებმა გადაზრდა იწყო შეიარაღებულ შეტაკებებად პოლიციასთან და ჯარებთან.

რევოლუციასთან ანგარიშის გასწორების მიზნით მეფის მთავ-

---

[1] Революционное движение в Армении 1905—1907 гг., Сборник документов и материалов, стр. 151.

რობამ გააქტიურა პოლიციურ-მონარქიული ორგანიზაციების საქმიანობა — ბაქოში „იაკორისა“ („ღუზა“) და თბილისში „პატრიოტული საზოგადოებისა“, რომლებშიც შედიოდნენ კულტის მსახურნი, პირწავარდნილი დიდმპყრობელი შოვინისტები, მეფის ერთგული ქვეშევრდომი მოხელეები და დეკლასირებული ელემენტები. მეფის ხელისუფალთა დაეალებით შავრაზმელებმა 20—23 ოქტომბერს მთელი რიგი სისხლისმღვრელი რბევა მოაწყეს ბაქოში და აზერბაიჯანის ზოგიერთ სხვა ქალაქში, ცდილობდნენ პროვოკაციულად გამოეწვიათ სომეხ-აზერბაიჯანელთა ახალი ხოცვა-ჟლეტა. 21—22 ოქტომბერს შავრაზმელებმა თბილისში მოაწყეს „პატრიოტული“ დემონსტრაციები, რომლებსაც თან სდევდა მასობრივი თარეში და სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა.

ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობა აღშფოთებით შეხვდა ცნობას ხელისუფლების მიერ მოწყობილი რბევის შესახებ. თბილისში, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები სისხლისმღვრელი რბევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. 1905 წლის ოქტომბრის ბოლოს რსდმპ თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია „მოქალაქენო“, რომელიც საზოგადოების ყველა კლასს მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ პროლეტარიატისათვის, შეიარაღებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. 26 ოქტომბერს დამრბევთა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თბილისში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. ბაქოში ამ დღეებში მუშათა მებრძოლი რაზმები, რევოლუციურად განწყობილი მატროსები გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდნენ შავრაზმელ დამრბევთ, ფანტავდნენ მათს თავყრილობებს. 1905 წლის ოქტომბერ — ნოემბერში სომხეთში წარმოიშვა მთელი რიგი საგაფიცვო და გლეხთა კომიტეტები.

ალავერდში, ალექსანდროპოლში, ყარსსა და სანაინში ბოლშევიკების ინიციატივით საგაფიცვო კომიტეტებთან შეიქმნა მუშათა მებრძოლი რაზმები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ მატარებლების მოძრაობას, ხოლო სანაინის მუშების საგაფიცვო კომიტეტმა ხელმძღვანელობას ჩამოაშორა ოფიციალური თანამდებობის პირები და თავის ხელში აიღო ძალაუფლება. ყარსსა და ალექსანდროპოლში საგაფიცვო კომიტეტების ხელმძღვანელობით ოქტომბრის ბოლოს მასობრივი პოლიტიკური მიტინგები გაიმართა.

1905 წლის 20 ნოემბერს დაიწყო ალავერდის მუშების ოთხიათასიანი რაზმის დიდი გაფიცვა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით

მუშებმა აირჩიეს საგაფიცვო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შეიდნენ ,ბოწინავე მუშები: მ. ალამიანი, ა. დევდარიანი, ს. ფირუზიანი, ვ. ჭელიძე, ა. ხოჯაევი, ნ. ჯაფაროვი და სხვები. ალაევერდის მუშების პოლიტიკურ დემონსტრაციებსა და მიტინგებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სანაინის მუშები, ახპატის, ვორნაკის, უზუნლარისა და სხვა სოფლების გლეხები. გაფიცულებს შეუერთდნენ შეიარაღებული გლეხები მეზობელი სოფლებიდან[1]. ალაევერდის მუშების გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა: მუშების მეტი წილი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა.

1905 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობაც გაძლიერდა. მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ოზურგეთის მაზრაში, სადაც გლეხთა რევოლუციური გამოსვლები შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. 20—21 ოქტომბერს ოზურგეთის მაზრის გლეხთა მებრძოლმა რაზმებმა ნასაკირალის რაიონში კაზაკთა და პოლიციელთა სადამსჯელო რაზმი გაანადგურეს. ოზურგეთის მაზრა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. გურია გამოცხადებულ იქნა „დემოკრატიულ რესპუბლიკად". კავკასიაში პოლიციის უფროსი პოლიციის დეპარტამენტისადმი თავის მოხსენებაში 1905 წლის ოქტომბერში წერდა: „კავკასიაში სოციალისტური პარტიის განსაკუთრებულ ძალას შეადგენს მისი პრინციპების პრაქტიკული განხორციელების ცდა გურიის მართვის მოწყობაში სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის საწყისებზე"[2]. ასეთივე „დემოკრატიული რესპუბლიკები" წარმოიშვა ყვირილაში, ჭიათურაში, გორში, ზუგდიდში, სენაკში, რაჭასა და სხვა ადგილებში.

მთავრობამ გადაწყვიტა ჯარები გამოეყვანა აჯანყებული გურული გლეხების წინააღმდეგ. საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მუშათა კლასი ქართველი გლეხობის დასაცავად აღდგა. თბილისში, ბაქოში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები, რომლებზეც მუშები კატეგორიულად მოითხოვდნენ გურიიდან ჯარების გაყვანას და სამხედრო წესების მოხსნას[3].

ბაქოში მუშების ერთ-ერთ მიტინგზე ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის წევრი პ. ვ. მონტინი მიესალმებოდა ქართველი გლეხების გმირულ ბრძოლას და ამბობდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირი უზრუნველყოფს თვითმპყრობელობაზე გამარჯვებას. გურიის აჯანყებული გლეხების დასაცავად

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 27, საქ. 2567, ფურც. 32.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 86. ფურც. 31.

3 გაზ. „ცნობის ფურცელი" № 2938, 1905 წ. 1 ნოემბერი

აღდგა აგრეთვე ამიერკავკასიის მშრომელი გლეხობა. ოქტომბრის ბოლოს თბილისის მაზრის სოფ. ხაშმში გლეხთა კრებამ გამოჰყო დელეგაცია 30 გლეხის შემადგენლობით მეფისნაცვალთან მოსალაპარაკებლად და დაავალა განეცხადებინა მისთვის, რომ თუ გურიიდან ჯარები დაუყოვნებლივ არ იქნებოდნენ გამოყვანილი, გარეკახეთის გლეხები უკლებლივ ყველანი აჯანყდებოდნენ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავდნენ გურულებს[1]. მასების ზემოქმედებით მთავრობა იძულებული გახდა გამოეწვია ჯარები გურიიდან და გაეუქმებინა სამხედრო წესები.

1905 წლის ოქტომბერ—ნოემბერში აზერბაიჯანში ყველაზე მწვავე ხასიათი აგრარულმა მოძრაობამ მიიღო ზაქათალის ოლქში, სადაც ბევრი სოფლის გლეხები იარაღით ხელში გამოღიოდნენ მიწათმფლობელთა, მეფის ხელისუფალთა წინააღმდეგ, ანადგურებდნენ პოლიციის რაზმებს, ხელთ იგდებდნენ და ინაწილებდნენ მიწებს. ზაქათალის ოლქის, განსაკუთრებით ოლქში აგრარული მღელვარების ცენტრის — სოფელ გავახჩელის აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ გამოყვანილ იქნენ ჯარები არტილერიით და ადგილობრივ მიწათმფლობელთა რაზმები. შეიარაღებული გავახჩელელები მათ დასახმარებლად მისულ მეზობელი აზერბაიჯანული და ქართული სოფლების გლეხთა მხარდაჭერით მტკიცედ იდგნენ და იგერიებდნენ მეფის ჯარებისა და ბეგების ბანდების იერიშებს.

რევოლუციის უდიდესი აღმავლობის პერიოდში კავკასიის კავშირის კომიტეტმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა განსაკუთრებით ფართო ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდა გაუწიეს ჯარისკაცებს შორის. კავშირის კომიტეტთან შეიქმნა „სოციალ-დემოკრატ ჯარისკაცთა კავშირი“, ხოლო დიდ გარნიზონებში — ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ალექსანდროპოლში და სხვ.—რსდმპ სამხედრო ჯგუფები და ორგანიზაციები. ალექსანდროპოლის სამხედრო ორგანიზაციას ჰქონდა თავისი არალეგალური სტამბა, სადაც ყარსის, სარიყამიშის, არტაანისა და ჯარისკაცთა სხვა საგარნიზონო ბიუროების ფურცლებიც იბეჭდებოდა. ჯარისკაცები მონაწილეობას იღებდნენ მშრომელთა პოლიტიკურ დემონსტრაციებსა და მიტინგებში. ახასიათებდა რა ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა მოთხოვნებს, კავკასიის პოლიციის გამგე წერდა, რომ „ისინი შედგენილი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ“ [2].

გახშირდა მღელვარება ბაქოსა და ელიზავეტპოლის გარნიზონების ჯარისკაცებს შორის. 12 დეკემბერს ბაქოს ქუჩებში გაიმართა

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 2940, 1905 წ. 3 ნოემბერი.
[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 63, საქ. 17, ფურც. 361.

რამდენიმე პოლკის ჯარისკაცთა მძლავრი დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვდნენ დაპატიმრებულ რევოლუციონერთა განთავისუფლებას.

ელიზავეტპოლის გარნიზონი ერთ-ერთ ყველაზე „ნაკლებად მშვიდ“ გარნიზონად ითვლებოდა კავკასიის სამხედრო ოლქში. მისი ჯარისკაცების გამოსვლებს სათავეში ედგა ბოლშევიკების ინიციატივით შექმნილი ადგილობრივი „ჯარისკაცთა კავშირი“. დეკემბრის დამდეგს ამ „კავშირმა“ ელიზავეტპოლში მოაწყო მიტინგი, რომელშიც გარნიზონის ყველა ნაწილის ჯარისკაცები მონაწილეობდნენ. ბოლშევიკების წინადადებით მიტინგმა მიიღო 48 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნები, რომლებიც სარდლობას გადაეცა.

პეტერბურგის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკისა და ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა გამოცდილების გავლენით ბაქოს პროლეტართა შორის სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნის იდეა.

მენშევიკი-შენდრიკოველები ცდილობდნენ მხოლოდ თავიანთი მომხრეებისაგან ჩამოეყალიბებინათ საბჭო და გადაექცეთ იგი ადგილობრივი თვითმმართველობის, მუშათა ვიწროპროფესიული ეკონომიური ინტერესების დაცვის ორგანოდ. ეყრდნობოდნენ რა ბაქოს პროლეტარიატის ჩამორჩენილ, შეუგნებელ ნაწილს, მათ მოიწვიეს სარეწაო-საქარხნო კომისიების წარმომადგენელთა კრება, რომელთა უმრავლესობა მაშინ ჰათს გავლენაში იყო, და 1905 წლის ნოემბრის დამლევს გამოაცხადეს იგი მუშათა დეპუტატების საბჭოდ. ამრიგად უმრავლესობა საბჭოში მენშევიკებისა აღმოჩნდა. საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ლ. შენდრიკოვმა დაიკავა. საბჭოს მცირე, მაგრამ მტკიცედ შეკავშირებული ბოლშევიკური ფრაქცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ კ. მ. ალასიევი, ვ. ფ. ეფიმოვი (სარატოველი), ა. ო. ზარგაროვი, მ. ბ. კასუმოვი, მ. მ. მამედიაროვი, პ. ვ. მონტინი, ფ. კ. სოროკინი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, ი. ტ. ფიოლეტოვი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები, შეუპოვრად იბრძოდა იმისათვის, რომ ნამდვილი რევოლუციური გზით წარემართა საბჭოს საქმიანობა, გადაექცია იგი შეიარაღებული აჯანყების მებრძოლ ორგანოდ.

საქართველოსა და სომხეთში მუშათა დეპუტატების საბჭოები არ არსებობდნენ, მაგრამ მათს როლს ასრულებდნენ მუშათა ზოგიერთი საგაფიცვო კომიტეტები. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მასების მომზადებას შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1905 წლის ოქტომბერ—ნოემბერში, ბაქოში, თბილისში, ალექსანდროპოლში, ყარსში, სარიყამიშში და ამიერკავკასიის მთელ

რიგ სხვა ქალაქებში წარმოიშვა აგრეთვე საგარნიზონო საბჭოები.

1905 წლის ოქტომბრის დღეებში რუსეთის სამრეწველო ცენტრებში ისახება და ვითარდება პროფესიული მოძრაობა. 1905 წლის ბოლოს ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჰიათურაში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში წარმოიშვა პირველი პროფესიული კავშირები. 1905 წლის 17 ოქტომბერს თავისი საქმიანობა დაიწყო ბაქოს საქალაქო ცხენის ტრამვაის მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირმა, ხოლო ნოემბერში დაარსდა მბეჭდავთა კავშირი.

ძლიერი რევოლუციური მოძრაობა დაბეჯითებით მოითხოვდა ლეგალური ბოლშევიკური ორგანოს გამოცემას. 1905 წლის 20 ნოემბერს გამოვიდა პირველი ნომერი ბოლშევიკური ლეგალური გაზეთისა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, რომელიც გაზეთ „ბორბა პროლეტარიატის“ ტრადიციებს განაგრძობდა და ლენინურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ პრინციპების გამტარებელი იყო.

რევოლუციის განვითარებამ ახალი ძალით დააყენა დღის წესრიგში მუშათა კლასის პარტიის ერთიანობის საკითხი. ახორციელებდა რა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებას „მენშევიკებთან გაერთიანების პირობების მომზადების შესახებ“, რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1905 წლის 10 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოაქვეყნა მიმართვა „ყველა პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატს“, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, მომწიფებული პოლიტიკური საკითხების, პირველ რიგში პარტიული გაერთიანების საკითხის გადასაჭრელად საჭიროა პარტიის IV ყრილობის მოწვევაო.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი ამ მიმართვაში იძლეოდა პარტიის გაერთიანების დაწვრილებითს გეგმას და წინადადებას აძლევდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას შესდგომოდნენ ყრილობის მოწვევისათვის მზადებას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ შემოიღო სპეციალური განყოფილება პარტიის გაერთიანების საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის.

პირველი ნაბიჯი ამიერკავკასიაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისაკენ რსდმპ ბაქოს კომიტეტმა გადადგა. ბაქოს ბოლშევიკების სარაიონთაშორისო კრებამ განიხილა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიის გასაერთიანებლად IV ყრილობის მოწვევის შესახებ და მოიწონა გაერთიანების

გეგმა. პარტიის საბოლოო გაერთიანება, ნათქვამი იყო თათბირის რეზოლუციაში, მხოლოდ პარტიულ ყრილობაზე მოხდება[1].

1905 წლის 19 ნოემბერს ჩამოყალიბებულ იქნა რსდმპ ბაქოს კომიტეტისა და „ბაქოს მუშათა კავშირის" გაერთიანებული აღმასრულებელი კომისია. კომისია ქმნიდა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს ბაქოს საწარმოებში, აწყობდა რაიონულ კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს.

კავკასიისაგან რსდმპ IV ყრილობაზე წარმომადგენლობის უკეთ მოსაწყობად და პარტიული ტაქტიკის საკითხებზე კავკასიის კავშირის ორგანიზაციების კოლექტიური აზრის შესამუშავებლად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა ნოემბრის დამლევს მოეწვია სამხარეო ყრილობა. გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში" გამოქვეყნდა ყრილობის დღის წესრიგის პროექტი.

ყრილობის ნაცვლად 1905 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში თბილისში მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენცია[2]. მას დაესწრო 24 დელეგატი (მათგან 14 გადამწყვეტი ხმით და 10 სათათბირო ხმით), რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 3.500-მდე წევრს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ: კავკასიის კავშირის, ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, თბილისის, ბათუმის კომიტეტები და გურიის და გროზნოს ჯგუფები. კონფერენციას ესწრებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელიც.

კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: კავკასიის კავშირის კომიტეტების საანგარიშო მოხსენებანი, პარტიის გაერთიანების შესახებ, კავკასიაში პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების ფორმები, კავკასიის წარმომადგენლობა IV პარტიულ ყრილობაზე, გამომცემლობა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის მუშაობა, შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება, სომეხ-მუსლიმანთა შეტაკებანი, ეროვნული საკითხი, მუშათა დეპუტატების საბჭოები, პროფესიული კავშირები და ა. შ.

ძირითადი საკითხები იყო: პარტიის გაერთიანება და შეიარაღებული აჯანყების მომზადება. ყველა დანარჩენი საკითხი ამ ცენტრალური საკითხების მიხედვით წყდებოდა.

კონფერენციის დადგენილებას პარტიის გაერთიანებისა და ახალი ყრილობის მოწვევის შესახებ საფუძვლად დაედო პარტიის ცენ-

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок» № 5, 29 ноября (11 декабря) 1905 г.

[2] იმ პერიოდის პარტიულ დოკუმენტებში ამ კონფერენციას IV კონფერენცია ეწოდება, ვინაიდან მან მექანიკურად მიიღო კავკასიის კავშირის ნაკარაულევი ყრილობის ნუმერაცია.

ტრალური კომიტეტის მიმართვა რსდმპ IV ყრილობის მოწვევის შესახებ.

კონფერენციამ აღნიშნა, პარტიის გაერთიანების სასარგებლოდ ძლიერი მიმდინარეობის არსებობა, მაგრამ მიუთითა, რომ სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას გაერთიანების პირობების განსაზღვრაზე, და, ამის გათვალისწინებით, გაერთიანების საკითხი გაიყო ორ ნაწილად: შეერთება და შეთანხმება.

ორივე ფრაქციის ერთმანეთთან შეერთების უმნიშვნელოვანეს პირობად კონფერენციას მიაჩნდა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირების აღიარება. „გაერთიანების ძირითადი პირობა, — ნათქვამია დადგენილებაში, — როგორც ადგილებზე, ისე პარტიის „ზედაფენებში“ უნდა იყოს პარტიის III ყრილობაზე მიღებული წესდების § 1-ის აღიარება, ამ პარაგრაფიდან გამომდინარე ორგანიზაციული ცენტრალიზმით“[1]. ამასთან ერთად კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანების ძირითადი პირობა უნდა ყოფილიყო პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირების არა მარტო ფორმალური აღიარება, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელებაც.

კონფერენციამ დაადგინა შესდგომოდნენ გაერთიანებას ადგილებზე ხოლო იქ, სადაც ორგანიზაციული გაერთიანება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, შეთანხმებულიყვნენ მენშევიკებთან, რომ ერთობლივად ეხელმძღვანელნათ პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლებისათვის.

კონფერენციამ ყველაზე მიზანშეწონილად ცნო გაერთიანების ძველი ფორმა — კავკასიის კავშირი და ხაზგასმით აღნიშნა კავშირის კომიტეტსა და დანარჩენ ორგანიზაციებს შორის კავშირის გაძლიერების აუცილებლობა.

მეორე ძირითადი საკითხი იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი.

კონფერენციამ დაგმო მენშევიკური ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისა რევოლუციის აღმავლობის მომენტში და აღიარა, რომ ცარიზმის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი პირობაა შეიარაღებული აჯანყება. კონფერენციამ ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მისცა გაეძლიერებინათ მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად.

კონსპირაციული მოსაზრებებით კონფერენციის დადგენილებანი შეიარაღებული აჯანყების შესახებ, აგრეთვე ჯარისკაცებს შორის

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок» № 8, 3 (16) декабря 1905 г.

მუშაობის შესახებ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ მათი შინაარსი მოკლედ გადმოცემულ იქნა კავკასიის კავშირის კომიტეტის ცნობაში კონფერენციის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო: „ამხანაგო მუშებო! ახლოვდება „ქუჩაში შეჯახების“ მომენტი! კრიზისის გაღრმავება ქალაქად, შიმშილობის გაძლიერება სოფლად, „ღალატი“ ფლოტში, „ღალატი“ არმიაში, — ყოველივე ეს გარდუვალს ხდის სწორედ ასეთ შეჯახებას. ემზადეთ, ამხანაგებო! კონტრრევოლუციის ძალები ირაზმებიან ხალხის თავისუფლების ჯალათთა გარშემო, — მაშ დაირაზმეთ სოციალ-დემოკრატიის, თქვენი მოწინავე ამხანაგების გარშემო! მათ პირველმა აგიხილეს თვალი, ისინი პირველნი გაგიძღვნენ მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისინი დაგეხმარნენ მოგეპოვებინათ ოქტომბრის გამარჯვება, ისინივე დაგეხმარებიან შექმნათ ახალი სახალხო მთავრობა, ისინივე შეგიყვანენ სოციალიზმის „აღთქმულ ქვეყანაში“, **მხოლოდ ისინი!..** ხალხის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვითონ ხალხის საქმე, ხალხისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს“[1].

შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად კონფერენციამ აირჩია კავკასიის ბიურო.

შეიარაღებული აჯანყების საკითხი კონფერენციამ განიხილა ჯარისკაცთა და გლეხთა მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ჯარისკაცთა მოძრაობის შეკავშირება რევოლუციის ავანგარდის — რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობასთან და პირველის დაქვემდებარება მეორისათვის. კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა „გადამწყვეტი შეჯახების“ მოახლოება და გლეხობის როგორც პროლეტარიატის მთავარი მოკავშირის როლი და რჩევა მისცა ბოლშევიკებს „შეუდგნენ ფართო დემოკრატიზმის საწყისებზე გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ შექმნას, ამასთან არ არიონ ასეთი ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, არამედ ეცადონ დაუქვემდებარონ ისინი უკანასკნელთ“[2].

კონფერენციამ აღნიშნა, რომ საგაფიცვო კომიტეტები და მუშათა დეპუტატების საბჭოები არიან რევოლუციური მასების აჯანყების ორგანოები, რომლებიც ზრდისა და მომწიფების პროცესში იმყოფებიან. კონფერენციამ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საგაფიცვო კო-

---

1 Газ. «Кавказский рабочий листок» № 8, 3 (16) декабря 1905 г.

2 Газ. «Кавказский рабочий листок» № 9, 4 (17) декабря 1905 г.

მიტეტებისა და საბჭოების შექმნაში და „რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გაეყვანათ იქ მტკიცე სოციალ-დემოკრატები“ [1].

რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებასთან დაკავშირებით კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის გაფართოების შესახებ, განსაკუთრებით სომხურ და აზერბაიჯანულ პროვინციებში. მან გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ გამოაცხადა კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოდ, მიიღო გადაწყვეტილება ასეთივე ორგანოების ქართულ და სომხურ ენებზე შექმნისა და ბაქოში აზერბაიჯანულ ენაზე ყოველკვირეული ორგანოს დაარსების შესახებ.

კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს. გამოდიოდა რა პროლეტარიატის ინტერნაციონალური აღზრდის, პროლეტარიატის ძალების ერთიან განუყოფელ პროლეტარულ არმიად გაერთიანების ინტერესებიდან, კონფერენციამ ერთხელ კიდევ უარყო კავკასიის ეროვნებათა ავტონომია და ფედერაცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ როგორც ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ისე ზოგიერთი მენშევიკებიც, ერთხელ კიდევ დაადასტურა ლენინური საპროგრამო პრინციპები ერთა თვითგამორკვევის საკითხში.

კონფერენციამ განიხილა საკითხი სომეხ-მუსლიმანთა შეტაკებების შესახებ, რომლებიც რევოლუციის შესუსტების მიზნით პროვოკაციულად გამოწვეული იყო ზეფის მთავრობის მიერ, და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა ორივე ერის პროლეტარიატში, გამოეცათ მეტი ლიტერატურა ეროვნულ ენებზე და განემარტათ მშრომელი მასებისათვის, რომ ეროვნული და სოციალური განთავისუფლების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა ხალხის ერთობლივი ბრძოლით.

კონფერენციამ რსდმპ IV ყრილობისათვის აირჩია სამი დელეგატი გადამწყვეტი ხმით: კავკასიის კავშირის კომიტეტისა და თბილისის კომიტეტისაგან — ი. ბ. სტალინი, ბაქოს კომიტეტისაგან — პ. ვ. მონტინი და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან — გ. პ. თელია.

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი რევოლუციის ძირითად საკითხებზე და მასების რევოლუციური ბრძოლისადმი ხელმძღვანელობის საკითხებზე, მან ფრიად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებასა და მხარეში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок» № 9, 4 (17) декабря 1905 г.

რსდმპ IV ყრილობის გახსნა ნავარაუდევი იყო 1905 წლის 10 დეკემბრისათვის, მაგრამ მთელ რიგ ადგილებზე გაფიცვებთან და აჯანყებებთან დაკავშირებით დელეგატებმა თავი ვერ მოიყარეს, და ნაცვლად ყრილობისა გაიმართა კონფერენცია ტამერფორსში. ეს პირველი საერთორუსეთის ბოლშევიკური კონფერენცია იყო. მის გადაწყვეტილებებში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საკითხებს პარტიის ერთიანობის აღდგენისა და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

ასრულებდნენ რა პარტიის III ყრილობისა და კავკასიის კავშირის II კონფერენციის დადგენილებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. რსდმპ კავკასიის კავშირის ნოემბრის კონფერენციის მიერ არჩეული „კავკასიის ბიურო“ ახორციელებდა მებრძოლი რაზმების შექმნის, შეიარაღებისა და გაწვრთნის საქმის საერთო პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. ამ მიზნით სპეციალურად შეიქმნა სამხედრო-ტექნიკური კომისია კავკასიის კავშირის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციები კომიტეტებთან და ჯგუფებთან, რომელთა მოვალეობა იყო მებრძოლი რაზმების შექმნა, მათთვის, სამხედრო საქმის სწავლება, აგრეთვე იარაღის შეძენა და დამზადება. ასეთი მებრძოლი რაზმები შეიქმნა თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში, გორსა და სხვა ადგილებში. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თბილისში, ბაქოში, ქუთაისში, მიხაილოვოში, სამტრედიასა და სოხუმში შეიქმნა იარაღისა და ფეთქებად ნივთიერებათა დასამზადებელი და შესანახი სახელოსნოები და საწყობები.

საზღვარგარეთ იარაღის შესყიდვის გარდა, მას სხვადასხვა გზით ადგილებზეც ოულობდნენ. იარაღის შესყიდვისათვის საჭირო სახსრები შემოდიოდა მუშებისაგან, გლეხებისაგან, მოწინავე ინტელიგენციისაგან, აგრეთვე მთავრობის ფულადი სახსრების ექსპროპრიაციის გზით. მაგალითად, 1905 წლის დეკემბერში შორაპნის მებრძოლი რაზმების შტაბმა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით ყვირილის ხაზინიდან 201 ათასი მანეთის ექსპროპრიაცია მოახდინა. წაღებული ფული საზღვარგარეთ იარაღის შესყიდვას მოხმარდა. გარდა ამისა, იარაღის შეძენის მიზნით მებრძოლი რაზმები თავს ესხმოდნენ სამაზრო კანცელარიებს, განაიარაღებდნენ ჩაფრებსა და ჯარის მცირე ნაწილებს, ოულობდნენ „იარაღს იარაღით“.

საქართველოში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ იარაღი საზღვარგარეთიდან (ბელგიიდან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან), ხოლო ბა-

ქოში — ცენტრალური რუსეთიდან (მოსკოვიდან და ასტრახანიდან).

კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი დეპეშით აფრთხილებდა ქუთაისის, ბათუმისა და ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორებს, რომ ლონდონიდან გამოვიდა გემი „ეგიპტიანინი", რომელშიც კავკასიელების მიერ ჩატვირთულია და ოდესასა და ბათუმში იგზავნება 80 ყუთი იარაღი, და რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები იარაღის ტრანსპორტის დასაკავებლადო[1].

კავკასიის პოლიციის უფროსი ბათუმში ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ატყობინებდა, რომ, რუსეთის ელჩის ცნობით 1905 წლის ნოემბერში ამსტერდამიდან გამოვიდა იარაღით დატვირთული გემი „სირიუსი" და რომ ეს იარაღი გადმოტვირთულ იქნა ბათუმში[2]. იარაღის შეტყობინებაა და ჩამოტანას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მ. ზ. ბოჭორიძე, კამო (ს. ა. ტერ-პეტროსიანი), გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ი. ქავთარაძე და სხვ.

რევოლუციურ მოვლენათა განვითარება რომ ჩაეფუშა. მთავრობა ცდილობდა პროვოკაციულად გამოეწვია პროლეტარიატის ნაადრევი გამოსვლები, ტერორი მოეწყო რევოლუციური ბრძოლის ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეებისათვის. ასე იყო ბაქოში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში.

27 ნოემბერს ქუთაისში, პოლიციისა და ჯარების პროვოკაციული მოქმედების პასუხად, ატყდა საბარიკადო ბრძოლები, რომლებიც 29 ნოემბრამდე გაგრძელდა. აჯანყებულნი თავს დაესხნენ პოლიციის საგუშაგოებსა და მთავრობის სხვა დაწესებულებებს, ხელში ჩაიგდეს იარაღი. ფოთში, ადგილობრივ ხელისუფალთა პროვოკაციების პასუხად, მუშებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყეს. ბათუმში, კაზაკთა ნაწილების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის პასუხად, 28 ნოემბერს მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს ქალაქის გამგეობა, რკინიგზის სადგური, განაიარაღეს პოლიცია. ბათუმის ქუჩებში ბარიკადები აღიმართა.

ბაქოში 5 დეკემბერს შავრაზმელებმა მოკლეს ა. ი. მიკაილოვი, ეროვნებებს შორის შეტაკებათა წინააღმდეგ მამაცი მებრძოლი, ერთი დღის შემდეგ კი მოკლეს რსდმპ ბაქოს კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პ. ვ. მონტინი. ბაქოში ა. ი. მიკაილოვისა და თბილისში პ. ვ. მონტინის დაკრძალვა ბაქოს და თბილისის მუშათა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციებად გადაიქცა.

მოსკოვის მუშების დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 50, საქ. 1309, ფურც. 12.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 83, საქ. 137, ფურც. 50.

მძლავრი ბიძგი მისცა ამიერკავკასიაში რევოლუციური ბრძოლის შემდგომ აღმავლობას.

პასუხად 29 რკინიგზის წარმომადგენელთა იმ კონფერენციის ბოწოდებისა, რომელიც იმ დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა, — გამოეცხადებინათ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა — ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზელთა კონფერენციამ, რომელიც 7 დეკემბერს ბაქოში შეიკრიბა, გამოიტანა გადაწყვეტილება შეერთებოდა ამ გაფიცვას. 10 დეკემბრის წინაღამეს გაიფიცნენ ბაქოს რკინიგზელები.

9 დეკემბერს, როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა 7 დეკემბერს მოსკოვის მუშათა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყების შესახებ, რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა შეერთებოდა სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას და მიეღო ზომები მოსახლეობის შესაიარაღებლად და ახალი მებრძოლი რაზმების შესაქმნელად, აგრეთვე საჭიროდ ცნო შეექმნა ფედერაციული საბჭო ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველსაყოფად. 10 დეკემბერს გაიმართა ორივე ფრაქციის გაერთიანებული კრება, რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება მოქმედების ერთიანობის საკითხზე.

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ სტატიაში „ცალცალკე ვიაროთ, ერთად შევუტიოთ“ [1] აღნიშნავდა, რომ რსდმპ, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური პარტია, უნდა იცავდეს თავის სრულ იდეურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას და ამასთან ერთად ცდილობდეს ცარიზმთან საბრძოლველად მიაღწიოს მთელი რევოლუციური და ოპოზიციური ძალების მოქმედების კოორდინაციას. იმავე გაზეთის მოწინავე სტატია „უკანდახევა აღარ შეიძლება!“ მოუწოდებდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ [2].

1905 წლის 11 დეკემბერს ნაძალადევში (თბილისი) გაიმართა, საერთო საქალაქო სახალხო მიტინგი, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება გამოეცხადებინა 12 დეკემბერს თბილისში საყოველთაო გაფიცვა მოსკოვის მუშებთან სოლიდარობის ნიშნად.

ამავე დღეს ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების საერთო კრებაზე არჩეულ იქნა ცენტრალური საგაფიცვო ბიურო, რომელშიც ბოლშევიკებისაგან შევიდნენ: შ. ზ. ელიავა, ი. კორა (ი. ა. სანჟური), ფ. ი. მახარაძე, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია და სხვ.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок» № 15, 11 (24) декабря 1905 г.
[2] Газ. «Кавказский рабочий листок» № 4, 10 (23) декабря 1905 г.

12 დეკემბერს გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის, დეპოსა და სახელოსნოების მუშები, თბილისის ყველა ფაბრიკისა და ქარხნის მუშები, ქალაქის თვითმმართველობისა და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოსამსახურენი, მოსწავლენი. დაიხურა ყველა მაღაზია, გარდა იმ მაღაზიებისა, რომლებიც პირველი საჭიროების საგნებით ვაჭრობდნენ. თბილისის მუშათა რაიონები (ნაძალადევი და დიდუბე) შეიარაღებული მუშების ხელში გადავიდა.

გაფიცულებმა ხელში ჩაიგდეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი. ბაქო — თბილისის, თბილის — ბათუმის, ბაქო — პეტროვსკის, თბილის — ერევნის რკინიგზის ხაზების ხელმძღვანელობა საგაფიცვო კომიტეტების ხელში გადავიდა. საგაფიცვო ბიუროები და კომიტეტები მართავდნენ მთელ რკინიგზას [1].

ბოლშევიკების მტკიცე მოთხოვნით ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭომ 14 დეკემბერს, თუმცა დაგვიანებით, გამოაცხადა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცვა სწრაფად მოედო ქალაქსა და მის სარეწაო-საქარხნო რაიონებს.

ბაქოში დაწყებულმა მძლავრმა გაფიცვამ დამბლა დასცა ადგილობრივ ხელისუფალთა ძალებს, გამოიწვია მათი შიში და დაბნეულობა. მაგრამ, მიუხედავად გაფიცვის მნიშვნელოვანი გაქანებისა, იმ მაღალი რევოლუციური აქტივობისა, რაც მაშინ ბაქოს პროლეტარებმა გამოიჩინეს, საბჭოს მენშევიკურ-შენდრიკოვულმა ხელმძღვანელობამ თავისი ოპორტუნისტული პოლიტიკით ხელი შეუშალა ბაქოს საყოველთაო გაფიცვის გადაზრდას შეიარაღებულ აჯანყებად.

ეროვნული შუღლის პოლიტიკა, რასაც ახორციელებდნენ ხელისუფალნი, აზერბაიჯანელი და სომეხი ნაციონალისტური ბურჟუაზია, მცირედ როდი უთხრიდა ძირს მუშათა კლასის ერთიანობას, უკიდურესად აძნელებდა ბაქოში პროლეტარული მასების შეკავშირებული გამოსვლის მოწყობას. ბაქოში შეიარაღებული აჯანყების გატარებას იმ გარემოებამაც შეუშალა ხელი, რომ მეფის მთავრობამ არა მარტო მოახერხა თავის ხელში შეენარჩუნებინა ჯარების უმრავლესობა, არამედ დამატებითი სამხედრო ძალები გადაესროლა ბაქოში.

15 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა სამხედრო წესები გამოაცხადა თბილისში, თბილისის მაზრაში და ამიერკავკასიის რკინიგზაზე. დაიწყო რეაქციული ძალების შეტევა რევოლუციის წინააღმდეგ.

---

[1] Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, стр. 158.

16 დეკემბერს საგაფიცვო ბიურომ გამოუშვა პროკლამაცია „ყველა მოქალაქეს“ შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოწოდებით“ [1].

თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შექმნა შეიარაღებული აჯანყების შტაბი, რომელიც ნაძალადევში იმყოფებოდა. იქ 18 დეკემბერს გაგზავნილ იქნენ მეფის ჯარები. უთანასწორო ბრძოლაში მუშები დამარცხდნენ. ამ შეტაკებაში გმირულად დაიღუპნენ რაზმელები გ. დვალი, გ. ელიავა, ვ. თვარაძე, მ. კალაძე, ტ. ლაზიაშვილი, ი. ნინიძე, ი. ცინცაძე, ვ. ხუცურაული და გ. ჯაში. მძიმედ დაჭრილი კამო, გ. ძაგნიძე და სხვა რაზმელები დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

21 დეკემბერს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა: „საგაფიცვო ბიურო თბილისშია. კომიტეტები — სადგურებში ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, რიონში, მიხაილოვოში, ალექსანდროპოლში, ელიზავეტპოლში და ბაქოში. ინტენსიური საქმიანობა გამოვლინდა 12 დეკემბერს, როცა მთელი გზა ბიუროს ხელში აღმოჩნდა. მოსკოვიდან 15 დეკემბერს მიღებული დეპეშის შემდეგ გზაზე გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. მთავრობის ხელში ამჟამად ერევან — ყარსის, თბილის — ბაქოს უბანია, სადაც მოძრაობს ჯარი იცავს, თბილისი, ბათუმი, ფოთი რევოლუციონერების გამგებლობაშია“ [2].

22 დეკემბერს სალდათის ბაზრის რაიონში მოხდა ჯარის ნაწილების შეტაკება თბილისის მუშებთან, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა 60-ზე მეტი აჯანყებული. 23 დეკემბერს ჯარები და კაზაკები თავს დაესხნენ დიდუბის რაიონს, სადაც იმყოფებოდა მებრძოლი რაზმების შესაკრები პუნქტი ნაძალადევში განადგურების შემდეგ.

როცა მთავრობამ თბილისის აჯანყებული პროლეტარიატის წინააღმდეგ ჯარის ნაწილები დასძრა, გურიის გლეხებმა გულისწყრომით აღსავსე პროტესტი განაცხადეს. 1905 წლის 22 დეკემბერს სახალხო მიტინგმა ლანჩხუთში მოითხოვა სამხედრო წესების დაუყოვნებლივ გაუქმება თბილისში. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ნათქვამი იყო მიტინგის რეზოლუციაში, — ჩვენ მზად ვართ იარაღით ხელში დავდგეთ თბილისის პროლეტარიატის მხარდამხარ და ჩვენი სისხლით დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება“ [3]. ანალოგიური შინაარსის რეზოლუცია მიიღო ნიგოითის საზოგადოების მიტინგმა.

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 11, აქ. 4, ფურც. 218.

2 ორცსა, პდ ფ. 00, 1905 წ., ს. 2555, ტ. 7, ფურც. 294.

3 გაზ. „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“ № 9, 1905 წ. 24 დეკემბერი.

რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა დეკემბრის დამლევს თბილისის პროლეტარიატის დასახმარებლად გაგზავნა 700 შეიარაღებული რაზმელი ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და ქუთაისის მაზრების წითელ ასეულთა შემადგენლობიდან. ასე ცეცხლსა და სისხლში იქედებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საგაფიცვო ბიუროს 25 დეკემბრის მოწოდებას თბილისის მუშათა შეიარაღებული ბრძოლის საყოველთაო მხარდაჭერის შესახებ. ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდისა და სხვა მაზრების მთელ რიგ რაიონებში აჯანყების ცეცხლი გიზგიზებდა. აჯანყებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო შორაპნის მაზრაში, სადაც წითელი ასეულების რაზმელებს ბრძოლის წარმოება უხდებოდათ არა მარტო პოლიციისა და ჟანდარმერიის წინააღმდეგ, არამედ რეგულარული ჯარების წინააღმდეგაც.

28 დეკემბერს ტყიბულში 150 რაზმელმა ბრძოლა გაუმართა 129-ე ბესარაბიის პოლკის ასეულს და ხელთ იგდო საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ცენტრი — ტყიბული. 30 დეკემბერს რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს მებრძოლი რაზმები, რომელთა სათავეში იდგა ს. გ. ბუაჩიძე, თავს დაესხნენ ტენგინის პოლკის მე-11 და მე-12 ასეულებს ყვირილასა და ხარაგოულში, იარაღი აჰყარეს მათ და ტყვე ჯარისკაცები ჭიათურაში გაგზავნეს[1]. მიხაილოვოს, ქუთაისის, სამტრედიის, ჭიათურის რაზმელებმა შორაპნის მაზრის სადგურ წიფის რაიონში განაიარაღეს ეისკის კაზაკთა პოლკის ასეული, რომელიც გვირაბს იცავდა, დაიკავეს გვირაბი, ჩახერგეს იგი და გზა გადაუჭრეს დამსჯელ ექსპედიციას, რომელიც თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მიდიოდა[2].

თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია მოცული იყო შეიარაღებული აჯანყებით. ქუთაისის გუბერნიაში 1905 წლის დეკემბრის დამდეგისათვის არსებულ მდგომარეობას რომ აღწერდა, ქუთაისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი შიშკოვსკი აღნიშნავდა, რომ რკინიგზა მხარეში უპყრიათ შეიარაღებულ გლეხებს, მატარებლებში არ უშვებენ იარაღიან კაზაკებს, ტელეგრაფი შეიარაღებული რაზმების ხელშია, შეიარაღებულმა რევოლუციურმა მცველმა რაზმებმა დაიკავეს ქუთაისი, ფოთი და სხვა პუნქტები, სახალხო მილიციაში ირიცხება ორი ათასამდე კაცი, რომლებიც შეიარაღებული არიან

---

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов. стр. 623.

[2] Революция 1905 г. в Закавказье, Тифлис, 1926, стр. 179.

ბერდანებით, სამხაზიანი შაშხანებით, შვეიცარიული თოფებითა და ამერიკული კარაბინებითაც კი. ისინი სავსებით მზად არიან ბრძოლისათვის. პირველივე გასროლა სიგნალი იქნება აჯანყებულთა საერთო შეტევისათვის [1].

1905 წლის დეკემბერში აჯანყებულთა ხელში იყო აგრეთვე რკინიგზის სადგურები ერევანი, ალექსანდროპოლი, ყარსი, სანაინი და სხვები. შეიარაღებული რაზმების საბრძოლო მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კომიტეტები. მთელ რიგ ადგილებში ჯარისკაცები მხარს უჭერდნენ აჯანყებულებს, მაგალითად, ალექსანდროპოლში მე-9 პოლკის ჯარისკაცებმა უარი თქვეს ესროლათ აჯანყებული სომეხი მუშებისა და გლეხებისათვის.

თბილისის საგაფიცვო ბიურომ გაფიცვა დამთავრებულად გამოაცხადა 29 დეკემბერს ღამის 12 საათიდან. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუშებმა იწყეს ორგანიზებულად უკანდახევა, ძალებს ინახავდნენ მოშავალი ბრძოლებისათვის.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის რევოლუციური მასების ბრძოლას 1905 წელს: „...1905 წლის გაფიცვების ოფიციალური სტატისტიკა (ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოცემული), — წერდა ვ. ი. ლენინი, — გვიჩვენებს, რომ პროლეტარული საგაფიცვო ბრძოლის სიმტკიცით ლიფლანდიის გუბერნია პირველ ადგილზე დგას... ლიფლანდიის გუბერნიას მოჰყვება ბაქოს გუბერნია, სადაც ფაბრიკა-ქარხნის თვითეული მუშა გაფიცული იყო 4,56-ჯერ, თბილისის გუბერნია — 4,49-ჯერ, პეტროკოვსკის გუბერნია — 4,38-ჯერ და პეტერბურგის გუბერნია— 4,19-ჯერ“ [2].

ვ. ი. ლენინი განაზოგადებდა მებრძოლი რაზმების რევოლუციურ გამოცდილებას და წერდა: „ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“ [3].

---

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, стр. 484—485.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 324—325.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 10, გვ. 127.

4. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციის უკანდახევის პერიოდში. რსდმპ IV და V ყრილობები და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მოსკოვში დაიწყო რევოლუციის თანდათანობითი შენელება. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, სულ უფრო ძლიერდებოდა რეაქცია. ცარიზმი სისხლისღვრით უსწორდებოდა ხალხს: მხარეში მძვინვარებდნენ სადამსჯელო ექსპედიციები, ყველგან მოქმედებდნენ სამხედრო-საველე სასამართლოები, რომლებსაც რევოლუციონერებისათვის მკაცრი განაჩენები გამოჰქონდათ, სულ უფრო გახშირდა საწარმოებიდან მოწინავე მუშების მასობრივი დათხოვნა, დაპატიმრება და გადასახლება. რეაქციამ ახალი ძალით იწყო ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივება. კავკასიის ხელისუფალნი ზუსტად ასრულებდნენ მეფე ნიკოლოზ II-ის მითითებას, მიცემულს კავკასიაში მეფისნაცვლისათვის გაგზავნილ წერილში: „იარაღის ძალით დამშვიდების **საქმე ბოლომდე მიიყვანეთ**, ნუ მოერიდებით ყველაზე უკიდურეს ღონისძიებასაც“[1]

მაგრამ, მიუხედავად ყველა სიძნელისა, ბოლშევიკები სულით არ დაცემულან, ისინი ბრძოლებით იხევდნენ უკან და მოუწოდებდნენ ხალხის მასებს მომზადებულიყვნენ ახალი აჯანყებისათვის. „ამხანაგებო! — წერდნენ მაშინ ბაქოს ბოლშევიკები ფურცელში „დეკემბრის გაფიცვის შედეგები“, — ყოველივე ვიღონოთ, რათა მოვემზადოთ საყოველთაო აჯანყებისათვის, რომელიც შორს აღარ არის. შევქმნათ მტკიცე, მწყობრი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რათა თვითეულმა იცოდეს თავისი ადგილი, თავისი საქმე ბრძოლის დღეს. გავაერთიანოთ და დავრაზმოთ ბრძოლისათვის ფართო პროლეტარული მასები... ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები, ორგანიზაციის ნაკლოვანებანი, რომლებმაც თავი იჩინა დეკემბრის რევოლუციაში, გაკვეთილი იქნება ჩვენთვის, თუ როგორ მოვემზადოთ შემდეგი... უეჭველად ძლევამოსილი შეტაკებისათვის“[2].

მაგრამ ძალთა მომზადებას ახალი რევოლუციური აფეთქებისათვის, იმ ამოცანათა განხორციელებას, რომლებიც ბოლშევიკების წინაშე ახალ პირობებში დადგა, მნიშვნელოვანწილად უშლიდა ხელს ის, რომ პარტიაში ერთიანობა არ იყო. გამაერთიანებელმა მოძრაობამ რსდმ პარტიაში, რაც ჯერ კიდევ რევოლუციის აღმავ-

---

1 Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, стр. 166.

2 Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 180.

ლობის პერიოდში დაიწყო, გამოიწვია ის, რომ ბევრ ადგილას, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, შეიქმნა გაერთიანებული ანუ ფედერაციული კომიტეტები. ორივე ფრაქციის გაერთიანებისათვის დაწყებული მუშაობა უნდა დაემთავრებინა რსდმპ IV ყრილობას, რომლის მოწვევა ნავარაუდევი იყო 1906 წლის გაზაფხულისათვის.

ბაქოში ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანება მოხდა ტამერფორსის კონფერენციის შემდეგ — ჯერ კიდევ 1905 წლის დეკემბერში[1]. ორგანო რსდმპ ბაქოს ორგანიზაციისა, რომლის ხელმძღვანელობაში მაშინ ბოლშევიკები სჭარბობდნენ, გახდა არალეგალური გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" (მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის მაისის დამდეგს). 1906 წლის იანვარ—თებერვალში თბილისში, ბათუმში, ქუთაისში გაიმართა პარტიული კონფერენციები, რომლებმაც რსდმპ გაერთიანებული კომიტეტები აირჩიეს. 1906 წლის მარტ — აპრილში თბილისის გაერთიანებული კომიტეტი უშვებდა გაზეთებს „განთიადს" და „ელვას". უმაღლესი პარტიული ორგანო, რომელმაც ამიერკავკასიის ბოლშევიკებისა და მენშევიკების პრაქტიკული საქმიანობა გააერთიანა, გახდა კავკასიის კავშირის კომიტეტისა და კავკასიის მენშევიკური ბიუროს მიერ შექმნილი აღმასრულებელი კომისია. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მხარის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებაში, გაერთიანებული პარტიული კომიტეტების შექმნის შემდეგ თავისი არსებობა შეწყვიტა"[2].

ასრულებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს და ემყარებოდნენ ტამერფორსის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკები რსდმპ IV ყრილობისათვის მზადების პერიოდში კვლავ განუწყვეტლივ სრულყოფდნენ ორგანიზაციული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, იბრძოდნენ შინაპარტიული დემოკრატიის პრაქტიკული განხორციელებისათვის და ყოველნაირად აძლევდნენ სტიმულს პარტიული მასების ინიციატივას. ისინი წინა პლანზე აყენებდნენ პარტიული უჯრედების ორგანიზაციულ განმტკიცებასა და იდეურ-პოლიტიკურ წრთობას, პარტიის თვითეული წევრის შეგნებულობის დონის ყოველმხრივ ამაღლებას.

მენშევიკები კი ცდილობდნენ უზრუნველეყოთ თავიანთი უპირატესობა ორგანიზაციებში, ფართოდ უღებდნენ კარს პარტიაში შესასვლელად ყველა ჯურის წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს და

---

[1] Газ. «Баку» № 37, 18 февраля 1906 г.

[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 159.

ამით ანაგვიანებდნენ ორგანიზაციებს რევოლუციური მარქსიზმისათვის უცხო, შემთხვევითი ადამიანებით.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმების — რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ძირითადი რეზოლუციების პროექტების განხილვის დროს. ყრილობაზე გასაგზავნთა არჩევნები სწორედ ამ პლატფორმების მიხედვით წარმოებდა. ბაქოში, თბილისში და სხვა ქალაქებში ეწყობოდა სადისკუსიო კრებები, რომლებზეც ბოლშევიკები განმარტავდნენ თავიანთ თვალსაზრისს რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, აკრიტიკებდნენ მენშევიკების ოპორტუნისტულ მიზანდასახულობებს. ამის შედეგად რსდმპ ბაქოს ორგანიზაციისაგან ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით გაიგზავნა ორი ბოლშევიკი და ერთი მენშევიკი. ერევნის პარტიულ ორგანიზაციაში დელეგატად არჩეულ იქნა ს. გ. შაუმიანი. ხოლო თბილისში, სადაც მენშევიკებმა შეძლეს ხელოვნურად გაებერათ თავიანთ მომხრეთა რიცხვი ორგანიზაციაში პარტიის ბევრი ფიქტიური წევრის ჩარიცხვით, არჩეული აღმოჩნდა 10 მენშევიკი. ბოლშევიკებისაგან არჩეულ იქნა ი. ბ. სტალინი.

მენშევიკების ანტიპარტიულმა მოქმედებამ თბილისის მოწინავე მუშათა კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ყრილობის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელიც ხელმოწერილი იყო 200 მუშის მიერ და წაკითხულ იქნა ყრილობის მე-20 სხდომაზე, ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ თბილისის მენშევიკებმა დაარღვიეს რსდმპ წესდების მოთხოვნები, პარტიის წევრთა სიებში შეიტანეს „ბევრი პირი, რომლებიც არათუ არ იღებენ პროგრამას (პარტიისას — რედ.), არამედ რომლებსაც არავითარი წარმოდგენაც არა აქვთ მის შესახებ"[1].

თავის მოხსენებაში რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით აღნიშნა თბილისის მუშათა ეს წერილი — პროტესტი, დაახასიათა იგი როგორც „საკმაოდ დიდი ფაქტი, დაკავშირებული ყრილობის შემადგენლობის გარკვევასთან"[2].

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა გაიმართა 1906 წლის აპრილში სტოკჰოლმში. მან განიხილა აგრარული საკითხი, მიმდინარე მომენტი და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების და სხვა საკითხები. ყრილობაზე მენშევიკების სიჭარბემ განსაზღვრა მის გადაწყვეტი-

---

[1] Четвертый (Объединительный) съезд РСДРП. Протоколы, М., 1959, стр. 336.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 10, გვ. 388.

ლებათა უმრავლესობის ხასიათი. აგრარულ საკითხზე ბოლშევიკებისაგან მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელიც იცავდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის მოთხოვნას და მთელი მიწის ნაციონალიზაციის პროგრამას. მენშევიკი მომხსენებელი პ. პ. მასლოვი იცავდა მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას. ამიერკავკასიელი მენშევიკი დელეგატები სავსებით მხარს უჭერდნენ მუნიციპალიზაციის პოლიტიკურად მავნე, მცდარ პროგრამას. კავკასიელ ბოლშევიკ დელეგატთა ნაწილმა კი (ს. გ. შაუმიანი და სხვ.) მხარი დაუჭირა ლენინის მოთხოვნებს, ხოლო მეორე ნაწილმა (ი. ბ. სტალინი, პ. დ. საყვარელიძე) — „დაყოფის მომხრეთა“ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა კონფისკაციაქმნილი მიწების დაყოფას და მათ გადაცემას გლეხების კერძო საკუთრებაში. დაყოფის მომხრეთა შეცდომა ის იყო, რომ ისინი ვერ ითვალისწინებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის პერსპექტივებს. ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა „დაყოფის მომხრეთა“ პროგრამა, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ ნაციონალიზაციის მოთხოვნას არ მიიღებდა ყრილობის მენშევიკური უმრავლესობა, მან ხმა მისცა „დაყოფის მომხრეთა“ პროგრამას.

IV ყრილობამ მხოლოდ ფორმალურად გააერთიანა ბოლშევიკები და მენშევიკები რსდმპ ჩარჩოებში. არსებითად როგორც ბოლშევიკებს, ისე მენშევიკებს არ შეუცვლიათ თავიანთი შეხედულებანი, შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებელი ორგანიზაციები.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის პრინციპული ბრძოლა გაჩაღდა I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხზე. ხელმძღვანელობდნენ რა ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, ბაქოს, თბილისის, ქუთაისის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ელიზავეტპოლის და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების ბოლშევიკებმა გააჩაღეს კამპანია სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ორგანიზაციისათვის. თავიანთ ფურცლებსა და გამოსვლებში ისინი მასებს განუმარტავდნენ 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის ანტიდემოკრატიულ არსს, ამტკიცებდნენ, რომ სათათბირო წარმოადგენს სახალხო წარმომადგენლობის უბადრუკ ნაყალბევს, მკვეთრად აკრიტიკებდნენ მენშევიკთა მიზანდასახულობას დასდგომოდნენ ქვეყნის განვითარების კონსტიტუციურ-პარლამენტურ გზას. მიუხედავად დაბრკოლებებისა, რომლებსაც მენშევიკები ქმნიდნენ, ვიტეს სათათბიროს აქტიურ ბოიკოტს მხარი დაუჭირა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის სარაიონთაშორისო კრებამ, რომელიც 1906 წლის მარტის დამდეგს გაიმართა[1]. ხოლო როცა 1906 წლის აპრილში ბა-

---

[1] Четвертый (Объединительный) съезд РСДРП. Протоколы, стр. 311, 314, 316, 332, 334.

ქოში დაიწყო მუშების რწმუნებულთა არჩევნები. მუშათა ძირითადმა მასამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს [1]. 1906 წლის თებერვალში ქუთაისში შეკრებილმა პარტიულმა კონფერენციამაც მიიღო გადაწყვეტილება აქტიური ბოიკოტის შესახებ. ეს რომ შეიტყეს, თბილისელმა მენშევიკებმა ქუთაისში გაგზავნეს თავიანთ მომხრეთა ჯგუფი, რათა ხელი შეეშალათ ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. ამიერკავკასიის მენშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს სათათბიროს არჩევნებში. საქართველოდან არჩეული 7 დეპუტატიდან 5 მენშევიკი იყო.

ამ დროისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების მდგომარეობა ძლიერ გართულდა. რსდმპ IV ყრილობის შემდეგ ბევრი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მენშევიკების ხელში აღმოჩნდა. მაგრამ ამ მეტად მძიმე პირობებშიც კი ბოლშევიკები ახორციელებდნენ თავიანთ პრინციპულ პოლიტიკურ ხაზს, კვლავ ეწეოდნენ შეუპოვარ ბრძოლას მენშევიკების ოპორტუნიზმისა და კადეტებთან მათი შემგუებლობის წინააღმდეგ, კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს უკანასკნელნი ნერგავდნენ, და ყოველნაირად ცდილობდნენ გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა მასებში.

1906 წლის ივნისში მუშათა ხალხმრავალ მიტინგზე ბაქოში ბოლშევიკებმა, რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის ლენინურ რეზოლუციაზე დაყრდნობით, შეძლეს ჩაეშალათ რსდმპ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის ოპორტუნისტული რეზოლუცია სათათბიროს „პასუხისმგებელი“ სამინისტროსათვის მხარის დაჭერის შესახებ [2]. 1906 წლის ზაფხულში ბაქოში მიიღეს ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი I სათათბიროს დათხოვნასთან დაკავშირებით რსდმპ ტაქტიკის შესახებ. ეს დოკუმენტი, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, იყო „ჭეშმარიტად შესანიშნავი ნიმუშია ოპორტუნისტული აზროვნებისა“ [3]. ბაქოს ბოლშევიკებმა, ლენინის მიერ შეფასების საფუძველზე, მკაცრად გააკრიტიკეს ცენტრალური კომიტეტის წერილი. ბალახანის რაიონმა, რომელიც ბოლშევიკების დასაყრდენს წარმოადგენდა, მოაწყო წერილის განხილვა ქვერაიონების ორგანიზაციებში და შემდეგ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „ცენტრალურმა კომიტეტ-

---

1 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 484, აღწ. 1, ს. 65, ფურც. 139—141.

2 Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 104—105.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 11, გვ. 168.

ამა თავი აარიდა მის წინაშე მდგომ ამოცანას — კარგად გაერჩია პირობები, რომლებშიც შეიძლება შეიკრიბოს სრულუფლებიანი და ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, და მიეთითებინა, რა გზით უფრო მალე მივაღწევთ ამას"[1].

ანალოგიური რეზოლუცია მიიღო საქალაქო რაიონის სანაპირო ქვერაიონმა. ბიბი-ეიბათის რაიონში ბალახანის რაიონის რეზოლუციაში წამოყენებულ დებულებებს ხმა მისცა რაიონული პარტიული კრების მონაწილეთა მესამედმა. ლენინური „პროლეტარის" რედაქციამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ბაქოს ბოლშევიკების ამ პრინციპულად მტკიცე დოკუმენტს და გამოაქვეყნა იგი გაზეთის ფურცლებზე.

მენშევიკთა გავლენისაგან მუშათა ნაწილის განთავისუფლებას ხელი შეუწყო აგრეთვე ბოლშევიკების მიერ ძმების შენდრიკოვების ავანტიურისტული საქმიანობის გამომჟღავნებამ, რომლებიც მხილებულ იქნენ მეფის ხელისუფლებთან კავშირში. ბოლშევიკების ინიციატივით რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის სარაიონთაშორისო კრებამ 1906 წლის ზაფხულში გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიიდან ლ. შენდრიკოვის გარიცხვის შესახებ. გაზეთების „კაიწის" („ნაპერწკალი") და „ახალი ცხოვრების" საშუალებით ბაქოს ბოლშევიკებმა თავიანთ თანამოაზრეებს სომხეთსა და საქართველოში მიაწოდეს ინფორმაცია შენდრიკოვის პარტიული გასამართლების ყველა პერიპეტიის შესახებ, კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით აჩვენეს შენდრიკოვების ნათესაობა მენშევიკებთან.

ვითარება მოითხოვდა შინაპარტიული მუშაობის გაძლიერებას და პარტიულ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების უფრო ფართოდ დანერგვას. დღის წესრიგში დადგა საკითხი პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ. შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის საფუძველზე სარაიონთაშორისო პარტიულმა კრებამ 1906 წლის ივნისში შეიმუშავა და მიიღო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდება. ამ წესდების თანახმად პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენლები ქმნიდნენ რაიონულ კომიტეტს. პირველადი ორგანიზაცია, რომელშიც 25 კაცი ირიცხებოდა, რაიონულ კომიტეტში ირჩევდა თითო წარმომადგენელს — ორგანიზატორს, აგრეთვე ამკრეფსა და ტრანსპორტიორს. რაიკომი ირჩევდა მოლარეს, ორგანიზატორსა და ლიტერატორს. რაიონული კომიტეტების წარმომადგენლები ქმნიდნენ თბილისის კომიტეტს. თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებები, თუ ისინი კონსპირაციული არ იყო,

---

1 Второй период революции. 1906—1907 годы. Часть вторая, май — сентябрь 1906 года. Книга третья, М., 1963, стр. 318.

რაიონული კომიტეტების დახმარებით უნდა გაეცნოთ პარტიის თვითეული წევრისათვის. საკითხებს, რომლებიც მასების რევოლუციურ გამოსვლებს ეხებოდა, წყვეტდა მთელი ორგანიზაცია. კოოპტაცია აკრძალული იყო.

ამ რეორგანიზაციამ ხელი შეუწყო პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას და ფართო პარტიული მასების აქტივობის გაძლიერებას.

მწვავე პარტიული უთანხმოების პირობებში 1906 წლის სექტემბერში შედგა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობა. მან მუშაობა დაიწყო თბილისში, ხოლო განაგრძო და დაამთავრა იგი ბაქოში. ყრილობამ დაამთავრა ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების ფორმალური გაერთიანება ამიერკავკასიაში. მასზე გადამწყვეტი ხმით წარმოდგენილი იყვნენ— თბილისის, ბაქოს, გურიის, ჭიათურის, ბათუმის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ფოთის, სამტრედიის, რაჭის, მიხაილოვოს, ბორჯომისა და სილნაღის ორგანიზაციები; სათათბირო ხმით — სოხუმის, ერევნის, დუშეთისა და ყვირილის ორგანიზაციები. ყრილობამ განიხილა საკითხები თანამედროვე მომენტისა და პარტორგანიზაციების ტაქტიკის შესახებ, პროფკავშირების შესახებ, ეროვნული საკითხი, აგრეთვე საკითხები კავკასიაში გლეხთა მოძრაობის შესახებ, ერებს შორის შეტაკებათა შესახებ, პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ და სხვ. ყრილობის 43 დელეგატიდან გადამწყვეტი ხმით ბოლშევიკი იყო სულ 6 კაცი. ყრილობის უპირატესად მენშევიკურმა შემადგენლობამ განსაზღვრა ძირითად ტაქტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მენშევიკური ხასიათი. მართალია, ბოლშევიკებმა შეძლეს დაეცვათ თავიანთი პრინციპული პოზიციები ეროვნულ საკითხში. ისინი მკაცრად გამოვიდნენ დელეგატთა ჯგუფის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ დაეყენებინათ საკითხი კულტურულ-ეროვნული ავტონომის შესახებ, დაგმეს ეს ავტონომია როგორც აშკარა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინება.

ყრილობამ აირჩია ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი 9 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით — ძირითადად მენშევიკური[1].

საოლქო კომიტეტი მთელ თავის საქმიანობაში ემყარებოდა რსდმპ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის დებულებებს, ყოველნაირად უშლიდა ხელს ბოლშევიკების მისწრაფებას თავიანთ გავლენაში მოექციათ მუშათა უფრო ფართო მასები. ამის საპასუხოდ ბოლშევიკებმა 1907 წლის დამდეგს შექმნეს თავიანთი დამოუკი-

---

[1] ცნობა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების მეოთხე მორიგ სიეზდის შესახებ, 1906, გვ. 2—27.

დებელი ცენტრი, რომელსაც „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“ უწოდეს. ბიუროს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ მ. ნ. დავითაშვილი, ფ. ე. მახარაძე, ვ. ი. ნანეიშვილი, ი. ბ. სტალინი, ს. ს. სპანდარიანი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები. „ლიტერატურული ბიურო“ განაგრძობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ტრადიციებს, იგი არსებითად საოლქო ბოლშევიკურ. ცენტრს წარმოადგენდა.

რევოლუციის უკანდახევის პერიოდში მუშათა კლასი განაგრძობდა სასტიკ საარიერგარდო ბრძოლებს. 1906 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელს ჩვენ ქვეყანაში, კვლავ აზვირთდა რევოლუციური ტალღა, რაც მოასწავებდა რევოლუციური ძალების ცდას შეეჩერებინათ უკანდახევა და კვლავ გადასულიყვნენ გადამწყვეტ შეტევაზე მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი პარტიას მოუწოდებდა: „დაუყოვნებლივ დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე, რათა ამ აღმავლობაში იმაზე მეტი შეგნება, მეტი ორგანიზებულობა შევიტანოთ, ვიდრე ოქტომბერსა და დეკემბერში შევძელით“[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ეყრდნობოდნენ ლენინის მითითებებს და მთელ ძალღონეს ახმარდნენ იმას, რომ მუშათა მოძრაობა მოექციათ ორგანიზებული და შეგნებული — კლასობრივი ბრძოლის კალაპოტში, მიეცათ მისთვის საბრძოლო, შემტევი ხასიათი, გაეფართოებინათ მისი ბაზა.

ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა საგაფიცვო ბრძოლა ბაქოში. საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაული 1 მაისი ბაქოს მუშებმა აღნიშნეს წარმატებითი საყოველთაო გაფიცვით. ᲛᲔᲛᲓᲔᲒ გაფიცვებმა მთელი რიგი საწარმოები მოიცვა. 1906 წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის სარეწებზე უკვე გაფიცული იყო მუშების დაახლოებით 65 პროცენტი. ბევრი გამოსვლა, როგორც, მაგალითად, თაღიევის საფეიქრო ფაბრიკის მუშათა გაფიცვა, გამოირჩეოდა დიდი ხანგრძლივობით, სიმტკიცითა და სხვადასხვა ეროვნების მუშათა სოლიდარობის მკაფიო გამოვლინებებით. ამ პერიოდში ბაქოს მუშათა გაფიცვების უდიდესი უმრავლესობის მნიშვნელოვანი თავისებურება იყო მათი შემტევი ხასიათი.

1906 წლის მაის — ივნისში გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თბილისის მუშებიც. გაფიცული იყვნენ თამბაქოს ყველა ფაბრიკის მუშები, ნოქრები, ასოთამწყობები, ფეხსაცმლის მკერავები, პურისმცხობლები, მექუდეები, დეპოს, ტრამვაის მუშები. გა-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 10, გვ. 473.

ფიცული მუშები ყველგან იჩენენ ორგანიზებულობასა და სიმტკიცეს, წერდა ამის გამო ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი“, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა.

1906 წლის 22 ივნისს თბილისის პარტიული ორგანიზაციის საარაიონთაშორისო კონფერენციის მოწოდებით გაიმართა საყოველთაო გაფიცვა თბილისის გარნიზონის სამეგრელოს პოლკის 27 ჯარისკაცის სამხედრო გასამართლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ჯარისკაცთა აჯანყების მოწყობისათვის 1906 წლის მარტში. რევოლუციონერ ჯარისკაცებს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მუშათა ზეგავლენის შედეგად სასამართლო იძულებული გახდა 9 ჯარისკაცი გაემართლებინა, დანარჩენთა მიმართ კი სასჯელის შედარებით ლმობიერი ზომები გამოეყენებინა. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს პოლკის ჯარისკაცებისათვის გამოტანილმა განაჩენმა ერევნის, ალექსანდროპოლის, ყარსის, სარიყამიშის, ქუთაისის და სხვა გარნიზონების ჯარისკაცთა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია.

ამ პერიოდში გაფიცვები ხდებოდა აგრეთვე ჭიათურაში, ფოთში, ყარსში, ალექსანდროპოლში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. 1906 წლის აგვისტოს დამდეგს მუშაობა შეწყვიტა ალავერდის სპილენძის მაღაროების რამდენიმე ათასმა მუშამ — სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ქართველებმა, რუსებმა და სხვ. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ ბორჩალოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და თბილისის ბოლშევიკების წარმომადგენლები ს. ს. სპანდარიანი და ს. გ. შაუმიანი. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ პოლიციისა და ჯარების დახმარებით გაფიცვა ჩახშობილ იქნა.

მეფის ხელისუფალნი სულ უფრო აძლიერებდნენ რეპრესიებს რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. 1906 წლის აგვისტოში ბაქოში დააპატიმრეს 600-ზე მეტი მუშა, რომლებიც მალე გასახლებულ იქნენ ქალაქიდან. რსდმპ ბაქოს ორგანიზაციამ მოუწოდა პროლეტარებს პროტესტი გამოეთქვათ ძალადობის წინააღმდეგ. 25—26 აგვისტოს ბაქოში გაიმართა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. ერთი კვირის შემდეგ, 4 სექტემბერს, მოეწყო კიდევ ერთი საერთო პოლიტიკური გამოსვლა ბაქოს მუშებისა, რომლებიც მოითხოვდნენ არ გაესამართლებინათ რევოლუციური მატროსების ჯგუფი.

პროლეტართა ძალების შეკავშირებაში, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მათი ბრძოლის ორგანიზაციაში დიდი დამსახურება მიუძღოდა პროფკავშირებს და სარეწაო-საქარხნო კომისიებს. აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ბოლშევიკები აქ-

ტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროფკავშირების როგორც შექმნაში, ისე საქმიანობაში. 1906 წლის ბოლოსათვის თბილისში მოქმედებდა დაახლოებით 30, ბაქოში — 20-მდე კავშირი. პროფკავშირების ახალი ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში, გორში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ალავერდში, ყარსში და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში.

ლენინის მითითებათა საფუძველზე ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ პროფესიულ ორგანიზაციათა ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ. მენშევიკები მოითხოვდნენ კავშირების „ნეიტრალობას“, პროფკავშირების შექმნას ვიწროამქრული პრინციპის მიხედვით, რაც მუშათა ძალების დაქსაქსვას იწვევდა. ბოლშევიკები კი მხარს უჭერდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს პროფკავშირების საქმიანობაში, პროფკავშირების ორგანიზაციას საწარმოო პრინციპის მიხედვით, ვინაიდან მხოლოდ ასეთი პირობით შეიძლებოდა სხვადასხვა ეროვნების მუშათა დარაზმვა, პროფკავშირთა გადაქცევა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნამდვილ სკოლად. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო ბაქოში 1906 წლის ზაფხულში, როცა აქ დაიწყო იმ მუშათა პროფკავშირების ჩამოყალიბება, რომლებიც ნავთობის მრეწველობაში იყვნენ დაკავებული. ბაქოს მენშევიკები ცდილობდნენ თავიანთი ოპორტუნისტული პოზიცია განემტკიცებინათ II ინტერნაციონალის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ავტორიტეტით. ამ მიზნით მათ მიმართეს კ. კაუცკის თხოვნით გამოეთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ პროფკავშირების რომელი ტიპი (საწარმოო თუ საამქრო) ყველაზე უფრო მიზანშეწონილია. კაუცკიმ ბაქოს მუშებისადმი სპეციალურ წერილში გაიზიარა მენშევიკური თვალსაზრისი [1].

მაგრამ მენშევიკების ყველა მანევრის მიუხედავად, ბაქოს ბოლშევიკებმა 1906 წლის შემოდგომაზე შექმნეს ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირი, რომელიც აერთიანებდა ნავთობის მრეწველობის რამდენიმე ათას მუშას მიუხედავად მათი პროფესიისა და ეროვნებისა. მოკლე ხანში ეს კავშირი გაიზარდა ბაქოს პროლეტარიატის მებრძოლ რევოლუციურ ორგანიზაციად. კავშირის თვალსაჩინო ხელმძღვანელები იყვნენ: ს. დ. იაკუბოვი, ს. კანდელაკი, მ. მ. მამედიაროვი, მ. გ. მელიქიანი, ს. ᲐᲕ. ტერ-გაბრიელიანი, ვ. ფ. ტრონოვი, ი. ტ. ფიოლეტოვი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოქმედებდა თბილისის

---

[1] Материалы по истории профдвижения бакинских нефтепромышленных рабочих. Выпуск I, Баку, 1925, стр. 91; газ. «Баку» № 199, 19 сентября 1906 г.

თითქმის ყველა პროფკავშირი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრში მენშევიკები სჭარბობდნენ. 1906 წლის დეკემბერში ბოლშევიკების ინიციატივით შეიქმნა პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, რომელიც ახდენდა თბილისის პროფესიულ ორგანიზაციათა მთელი საქმიანობის კოორდინაციას და წარმართავდა მას. პროფკავშირების ორგანო გახდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ახალი დროება".

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ბევრი ძალა და ენერგია მოახმარეს იმას, რომ აღეკვეთათ გავლენა დაშნაკების, პანისლამისტებისა და ქართველი სოციალ-ფედერალისტების აგიტაციისა ეგრეთწოდებული „პარტიული" და „ეროვნული" პროფკავშირების შექმნისათვის. მუშათა კრებებზე გამოსვლებში, თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე ბოლშევიკები განუმარტავდნენ მუშებს ამგვარი კავშირების შექმნის ინიციატორთა ნამდვილ ზრახვებს, უჩვენებდნენ, თუ რა უდიდეს ზიანს აყენებს საერთო საქმეს დაშნაკური თეორია „წმინდა პარტიული" კავშირების შესახებ, აგრეთვე მუშათა დაყოფა პროფკავშირებში ეროვნული ნიშნის მიხედვით. ბოლშევიკების ამ მუშაობას თავისი ნაყოფი მოჰქონდა. მაგალითად, ბაქოში დაშნაკების ცდას — გათიშვა შეეტანათ პროფესიულ მოძრაობაში წარმატება არ მოჰყოლია. ერთ-ერთ იმ კრების რეზოლუციაში, რომელზეც ეროვნული პროფკავშირების საკითხს განიხილავდნენ, აღნიშნული იყო,, რომ „მხოლოდ ყველა ეროვნების პროლეტართა ერთიანობაა ჩვენი ყველაზე მთავარი იარაღი ექსპლოატაციასთან ბრძოლაში"[1].

პროლეტარული ბრძოლის ბაზის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ბოლშევიკების საქმიანობას ლეგალურ მასობრივ ორგანიზაციებში — უმუშევართა საბჭოებში, რომლებიც 1906 წლის ზაფხულში თბილისსა და ბაქოში შეიქმნა პეტერბურგისა და მოსკოვის მაგალითისამებრ. საბჭოები გადაჭრით ილაშქრებდნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოთა და უმუშევრებისათვის ულმობელი ექსპლოატაციის გამწვე მოიჯარეთა წინააღმდეგ. ქმნიდნენ უმუშევართა არტელებს დროებითი საზოგადოებრივი სამუშაოების შესასრულებლად, ხსნიდნენ იაფფასიან სასადილოებს, აგროვებდნენ სახსრებს უმუშევართა დახმარების ფონდისათვის. საბჭოების შემადგენლობაში შედიოდნენ არა მარტო უმუშევართა, არამედ აგრეთვე პროფკავშირების და სარეწაო-საქარხნო კომისიების წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობდა საბჭოების საქმიანობის პრაქ-

---

[1] Газ. «Баку» № 143. 5 июля 1906 г.

ტიკაში ორგანიზებულობისა და გეგმაზომიერების ელემენტების გაღლიერებას, უმუშევართა შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებას. ამრიგად, ბოლშევიკებმა შეძლეს გადაექციათ პროფკავშირები და უმუშევართა საბჭოები თავიანთი რევოლუციური მუშაობის დიდმნიშვნელოვან საყრდნობ პუნქტებად.

საყოველთაო-სახალხო აჯანყების მომზადების ამოცანებისადმი იყო დაქვემდებარებული ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა სოფლად. ბოლშევიკები კვლავ იწვევდნენ მიტინგებს, უშვებდნენ გლეხებისადმი მიმართულ ფურცლებს, მოუწოდებდნენ მათ განემტკიცებინათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან. 1906 წლის ივლისში რსდმპ ბორჩალოს ორგანიზაციის ინიციატივით დაბა ხაჩი-დურში შედგა სასოფლო უჯრედების თათბირი, რომელმაც პარტიული მუშაობის მთელი რიგი საარსებო საკითხები განიხილა. თათბირის შემდეგ გაიმართა მიტინგი გარშემო მდებარე სოფლების გლეხთა მონაწილეობით, რომელზეც, როგორც გაზეთი „კაიწი“ აღნიშნავდა, გადაწყდა „ებრძოლათ მიწისა და დემოკრატიისათვის“.

მთავრობის მიერ სასტიკი ტერორის მიუხედავად, გლეხთა მოძრაობა ამიერკავკასიაში გრძელდებოდა 1906 წელს. საქართველოს მთებსა და ტყეებში მოქმედებდნენ გლეხთა პარტიზანული რაზმები. ოზურგეთის, სენაკის, ქუთაისის, გორის და საქართველოს სხვა მაზრებში შესამჩნევი იყო გლეხთა მასობრივი მღელვარება, თელავის მაზრაში ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვები [1]. 1906 წლის პირველ ნახევარში აგრარული მოძრაობა გავრცელდა აზერბაიჯანის მეტ წილ მაზრებში. გლეხთა რაზმები თავს ესხმოდნენ პოლიციელ ჩაფრებსა და კაზაკთა რაზმებს, მემამულეთა მამულებს. გახშირდა ღარიბი გლეხობის მიერ სახაზინო და მემამულეთა მიწების ძალით დაკავების, აგრეთვე ტყის მასობრივი გაჩეხვის შემთხვევები. გააქტიურდა ღაყაღების მოძრაობა ნუხის, ყაზახის, ჯევანშირის, გეოქჩაის მაზრებში და ზაქათალის ოლქში[2].

აგრარული მოძრაობის მსვლელობაში საფუძველი ეყრებოდა კავშირს ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ გლეხებს შორის, აგრეთვე მათს ურთიერთმხარდაჭერას. ზაქათალის ოლქის გლეხები დახმარებას უწევდნენ სიღნაღისა და თელავის მაზრების, თბილისის გუბერნიის აჯანყებულ ქართველ გლეხებსა და დაღესტნის ოლქის

---

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, стр. 670—671, 690—691.

[2] Азербайджан в годы первой русской революции. Сборник статей, Баку, 1966, стр. 188—193.

გლეხებს. მემამულეთა მიერ ჩაგვრისა და იმ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, რასაც დაშნაკები სჩადიოდნენ, ერთობლივად გაჩოდიოდნენ ერევნის გუბერნიის სოფლები და აზერბაიჯანელი გლეხები. ბოლშევიკური გაზეთი „ნორ ხოსქ“ („ახალი სიტყვა“) მაშინ ამის შესახებ წერდა: „უკანასკნელ ხანს ერევნის გუბერნიის მრავალ საფელში, აგრარული ჩაგვრისა და ძარცვის გამო, არის ძლიერი საჩივრები და ყრუ აღშფოთება დაშნაკი „უფროსების“ წინააღმდეგ... აპარანის რაიონში ხდება ძლიერი ბრძოლები, მკვლელობანი, ადგილი აქვს შეიარაღებულ შეტაკებებს, მთელი საათობით გრძელდება შაშხანების სროლა. ბევრი ოჯახი თავს აფარებს სხვა სომხურ სოფლებს, ხოლო მათი უმრავლესობა — აზერბაიჯანულ სოფლებს. ამჟამად ბევრი გლეხის ოჯახი იმყოფება მეზობელ აზერბაიჯანულ სოფლებში, რომლებიც სიყვარულით ინახავენ მათ“[1].

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამიერკავკასიის ბოლშევიკთა საქმიანობა არმიაშიც. რსდმპ სამხედრო ორგანიზაციები, რომლებიც თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ალექსანდროპოლში და სხვა ქალაქებში არსებობდნენ, სულ უფრო აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ კავშირს ჯარისკაცებთან, მათ შორის აჩაღებდნენ რევოლუციურ აგიტაციას. ისინი ჯარისკაცებსა და მატროსებს განუმარტავდნენ მათი ინტერესების ერთობლიობას მუშათა და გლეხთა ინტერესებთან, მოუწოდებდნენ გადასულიყვნენ ხალხის მხარეზე, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიებრუნებინათ იარაღი.

ამ აგიტაციის ზეგავლენით სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა რევოლუციური განწყობილების ზრდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ნაწილების ჯარისკაცთა შორის. 1906 წელს ამიერკავკასიაში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონშიც, მოხდა ჯარისკაცთა დიდი გამოსვლები: აჯანყებებმა იფეთქა მიხაილოვის ციხე-სიმაგრეში ბათუმში და მესანგრეთა ბრიგადის ბანაკში ალექსანდროპოლის მახლობლად; მღელვარება დაიწყო რკინიგზის ბატალიონში და 156-ე ელიზავეტპოლის პოლკში თბილისში, ბაქოს გარნიზონში, კასპიის ფლოტის მეზღვაურთა შორის და სხვ. ჯარისკაცები სულ უფრო ხშირად აცხადებდნენ უარს მუშათა მიტინგებისა და კრებების გარეკვაზე, გაფიცვების ჩახშობაზე.

რევოლუციის წლებში ამიერკავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის სხვა ეროვნულ განაპირა მხარეებში, გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მხურვალედ უჭერდა მხარს რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასი. ეს მოძრაობა მჭიდროდ

---

[1] გაზ. „ნორ ხოსქ“ № 4, 1906 წ. 25 აგვისტო.

ერთვოდა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, გლეხობის აგრარულ მოძრაობას. ყოველივე ეს რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აძლევდა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს, აფართოებდა ბრძოლის ფრონტს.

ამზადებდნენ რა მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის, ბოლშევიკებმა გააძლიერეს საბრძოლო მუშაობა. პარტიული ორგანიზაციები იძენდნენ იარაღს, ქმნიდნენ ახალ მებრძოლ რაზმებს. 1906 წლის 20 მაისს თბილისში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული მებრძოლი რაზმების წარმომადგენელთა კონფერენცია. მან მიიღო დადგენილება რაზმების ხელმძღვანელთა კადრების მოსამზადებლად ინსტრუქტორთა სკოლების შექმნის შესახებ. 1906 წლის ზაფხულის დასაწყისში შეიქმნა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის მებრძოლი რაზმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შავი ქალაქისა და თეთრი ქალაქის, ბალახანის, ბიბი-ეიბათის, საქალაქო, საზღვაო და ბალაჯარის რაიონების რაზმები. იმავე ხანებში მ. ა. აზიზბეკოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მუსლიმანთა მებრძოლი რაზმი „ბეიდაგი ნუსრეტ“ („დახმარების დროშა“), რომელიც საერთო-საქალაქო რაზმში შედიოდა.

ამიერკავკასიაში დაბინავებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცთა პოლიტიკურ აღზრდაში სერიოზული როლი შეასრულეს გაზეთებმა: „გოლოს კაზარმი“ — თბილისის სამხედრო ორგანიზაციის ორგანომ და „დრუგ სოლდატა“ — ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის ორგანომ. სამხედრო-საბრძოლო მუშაობის მოწყობაში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ: ნ. ნ. ალაჯალოვა, მ. ბ. ახუნდოვი, მ. ზ. ბოჭორიძე, ბ. ა. დადაშევი, ი. პ. ვაცეკი, კამო, მ. ბ. კასუმოვი, მ. მ. მამედიაროვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ბ. მ. სარდაროვი, ს. ი. ქავთარაძე, ს. ა. ხმალაძე და სხვები.

მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის და რევოლუციური ბრძოლისათვის მათი შეკავშირების დარგში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მთელი საქმიანობა მიმდინარეობდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების წინააღმდეგ უმძაფრესი იდეური ბრძოლის პირობებში. რევოლუციის შენელების პერიოდში ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ანარქისტები. ანარქისტთა ჯგუფები გამოჩნდნენ ბაქოში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, ელიზავეტპოლში. ანარქისტებმა იწყეს ქართულ ენაზე თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების — ჟურნალ „ნობათისა“ და გაზეთების „მუშისა“ და „ხმის“ გამოცემა, რომელთა ფურცლებზე მრავლად იბეჭდებოდა ცილისმწამებლური მონაჭორები სოციალ-დემოკრატიის მისამართით.

ანარქისტები უტიფრად ამახინჯებდნენ მარქსისტული მოძღვრების არსს, გამოდიოდნენ დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებათა წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ფართო ბრძოლა გააჩაღეს ანარქიზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამომავალი ბოლშევიკური გაზეთები „ახალი ცხოვრება", „ჩვენი ცხოვრება", „ახალი დროება", „დრო", „განთიადი", „კაიწ", „ნორ ჩოსქ", „ორერ" („დღეები"), „თექამიული" („სრულყოფა") აქვეყნებდნენ მ. ნ. დავითაშვილის, ს. მ. ეფენდიევის, ს. ი. კასიანის, ს. ს. სპანდარიანის, ი. ბ. სტალინის, ს. გ. შაუმიანის და პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა სტატიებს, რომლებიც ამხილებდნენ ანარქიზმის ცრურეოლუციურობას და თეორიულ უსაფუძვლობას და იცავდნენ და პროპაგანდას უწევდნენ რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლებს.

თეორიული შრომებიდან, რომლებშიც მხილებული იყო ანარქიზმი, უნდა აღინიშნოს ი. ბ. სტალინის ცნობილი შრომა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" — რომელიც გამოქვეყნდა 1906—1907 წლებში სტატიების სერიის სახით. ანარქიზმის ბილების მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე ბოლშევიკების გამოსვლები ხალხმრავალ მუშათა კრებებზე, მიტინგებზე და ანარქისტებთან დისკუსიებში. კრებებზე მუშებს ყველგან გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებშიც მკვეთრად გმობდნენ ანარქისტებს და ხაზს უსვამდნენ, რომ მათი მოქმედება „აბნელებს პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას და დემორალიზაცია შეაქვს მუშათა წრეში"[1].

ამ პერიოდში გაძლიერდა ბრძოლა ესერებთანაც. რევოლუციის დაწყებითს პერიოდში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გავლენა მუშებზე ამიერკავკასიაში მეტად სუსტი იყო. ბაქოს სოციალ-დემოკრატთა მოსწრებული განსაზღვრით, ბაქოს ესერების მთელი ორგანიზაცია მაშინ „ერთ დივანზე დაეტეოდა"[2]. მაგრამ შემდეგში ესერებმა შეძლეს რამდენადმე განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები, კერძოდ, შეექმნათ უჯრედები ბაქოს მთელ რიგ წვრილ სამრეწველო საწარმოებში, კასპიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებს შორის და ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში. მათთან ერთად გამოდიოდნენ აზერბაიჯანული ესერული ორგანიზაციები „იტიფაკი" და „ეშემსი".

ამ პერიოდში გაჩნდა ისეთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციებიც, როგორიც იყო სოციალ-ფედერალისტური ჯგუფი

---

[1] Газ. «Баку» № 233, 1 ноября 1906 г.

[2] Газ. «Революционная Россия» № 66, 5 мая 1905 г.

„ჰეირათი“, რომელიც მოქმედებდა ელიზავეტპოლში, ეგრეთწოდებული კავკასიის სრულიად ძუსლიმანთა კომიტეტი „დეფაი“ (თავდაცვა“), პარტია „მუდაფიე“ („დაცვა“) და სხვ. კვლავ დიდ ზიანს აყენებდნენ ამიერკავკასიის მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირების საქმეს დაშნაკები, ქართველი სოციალ-ფედერალისტები, სომეხი „სპეციფიკები“ და სხვ. მაგალითად, „სპეციფიკებმა“, რომლებიც ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა სომეხ მუშებზე, ბაქოში შექმნეს უმუშევარ სომეხთა განსაკუთრებული საბჭო და იგი დაუპირისპირეს უმუშევართა საერთო საბჭოს.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობის გამოცოცხლება ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა მაქსიმალურად დაეძაბათ ძალები მათი ნაციონალისტური ქადაგებისა და მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლაში გამოეყენებინათ მოქნილი ტაქტიკური ხერხები. 1906 წლის დამდეგს რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა სომხური სექცია, რომლის ფუნქციებში შედიოდა სომეხ მუშებს შორის პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობა. სექციას საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღოდა დაშნაკების, „სპეციფიკებისა“ და ჰნჩაკისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებაში, ნაციონალისტების გავლენისაგან სომეხ პროლეტართა ნაწილის განთავისუფლებაში. ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ფარუკი“ („სამართლიანობისათვის მებრძოლი“), რომელმაც გააჩაღა ბოლშევიზმის იდეებისა და პრინციპების პროპაგანდა დაღესტნელთა შორის. მიღებულ იქნა აგრეთვე ზომები, რომ გაძლიერებულიყო აზერბაიჯანული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „ჰუმეთის“ საქმიანობა, რომელმაც ამ დროისათვის შეძლო პარტიის გარშემო დაერაზმა ბრავალი მუსლიმანი პროლეტარი.

ამიერკავკასიის მუშებისა და ყველა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბოლშევიკური ლეგალური და არალეგალური პრესა. მარტო რევოლუციის უკანდახევის წლებში ამიერკავკასიაში გამოდიოდა 15-ზე მეტი ბოლშევიკური გაზეთი და ჟურნალი ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. მათს გამოშვებაში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ: მ. ა. აზიზბეკოვი, ა. დ. ახუნდოვი, მ. ნ. დავითაშვილი, ს. მ. ეფენდიევი, ს. ი. კასიანი, ფ. ე. მახარაძე, ვ. პ. ნოგინი, ვ. ა. რადუს-ზენკოვიჩი, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

1906 წლის ზაფხულში ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა

ს. გ. შაუმიანის ნაშრომი „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომელშიც გაშუქებული იყო ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხები.

ბოლშევიკური პრესა განუწყვეტლივ უწევდა პროპაგანდას პარტიის ლოზუნგებს მასებში, რაზმავდა მშრომელებს ერთობლივი რევოლუციური ბრძოლისათვის. სწორედ აქ, ამიერკავკასიაში, პარტიული პრესის პრაქტიკაში პირველად განხორციელდა ისეთი თავისებური ბეჭდვითი გამოცემის გამოშვება, როგორიც იყო გაზეთი „დეევეთკოჩ“ („მოწოდება“). მისი ორი გვერდი იბეჭდებოდა აზერბაიჯანულ ენაზე და ორი — სომხურ ენაზე. ეს გაზეთი გამოდიოდა როგორც მგზნებარე მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისათვის. მან მცირე როლი როდი შეასრულა აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ბეგობრობის განმტკიცებაში.

ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, არაერთხელ აღუნიშნავს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების და მათი ბეჭდვითი ორგანოების დადებითი საქმიანობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში და სხვა პარტიული ორგანიზაციებისათვის მაგალითად დაუსახავს ეს საქმიანობა. „ჩვენთვის ნიმუშს, — ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, — უნდა წარმოადგენდეს კავკასიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ერთ და იმავე დროს ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე“[1].

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის უკანდახევა გრძელდებოდა, საგაფიცვო მოძრაობის დონე ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით ბაქოში, შედარებით მაღალი იყო 1907 წლის პირველ ნახევარშიც. რევოლუციური აღმავლობა 1907 წლის გაზაფხულზე მთელ რუსეთში, ისევე როგორც 1906 წლის გაზაფხულ — ზაფხულის აღმავლობა, მოწმობდა იმას, რომ მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე ფენები მთელ ძალღონეს ხმარობდნენ, რომ შეეკავებინათ რეაქციის შეტევა. ამასთან მეტად დამახასიათებელია, რომ ამ პერიოდში მასობრივ ბრძოლაში ჩაბმა იწყეს პროლეტარიატის სულ ახალმა, მათ შორის ყველაზე ჩამორჩენილმა, ფენებმა, რომლებსაც მანამდე არ გამოუჩენიათ აქტივობა.

მარტო 1907 წლის იანვარში ბაქოში გაიმართა 32 ეკონომიური გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სარეწების 7 ათასზე მეტმა მუშამ, თებერვალში —20 გაფიცვა. მარტში —17. ამ პერიოდში ბაქოს მუშათა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო კასპიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც თვენახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა და გაფიცულთა გამარჯვებით დამთავ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 37.

რდა. თებერვალში გაიფიცნენ პროლეტარები შუშისა და ნუხის აბრეშუმსახვევ ფაბრიკებში და ქედაბეკის სპილენძსადნობ ქარხანაში და მაღაროში. იმავე ხანებში მუშაობა შეწყვიტეს ალიხანოვის, თაიროვისა და ტოლეს ზეთსახდელი, საპნის სახარში და სანთლის ქარხნების მუშებმა თბილისში. მარტში გაიფიცა თბილისის სატვირთო სადგურის ორასი მტვირთავი. დიდი დემონსტრაცია გაიმართა 23 მარტს ფოთში. 1907 წლის თებერვალ — აპრილში გაფიცვები ხდებოდა აგრეთვე სარაჯევის ღვინის ქარხანაში ერევანში, ალექსანდროპოლის სტამბებსა და საკონდიტროებში და სომხეთის სხვა საწარმოებში. დიდი გამოხმაურება გამოიწვია სომეხი და აზერბაიჯანელი მუშების გაფიცვამ კაფანის (ზანგეზური) ქარხნებსა და მაღაროებში 1907 წლის მარტის დამლევს. იგი მიმდინარეობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის და ბაქოს ბოლშევიკების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ რეპრესიები გააძლიერეს, მუშებმა ერთსულოვანი, სოლიდარული ბრძოლით მიაღწიეს თავიანთ მოთხოვნათა ნაწილობრივ დაკმაყოფილებას.

1907 წელს ამიერკავკასიის მუშებმა წარმატებით აღნიშნეს პროლეტარული დღესასწაული 1 მაისი. ამ დღეს ბაქოში პარტიული ორგანიზაციის მოწოდებით გაიმართა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. 1 მაისს გაიფიცნენ თბილისის ქარხნების, სახელოსნოებისა და ტრამვაის, სავაჭრო და სახელოსნო საწარმოების და ბორჯომის მინერალური წყლების შემფუთავი განყოფილების მუშები. საპირველმაისო გაფიცვები და მიტინგები გაიმართა აგრეთვე ელიზავეტპოლში, ფოთში, ქუთაისში, ჭიათურასა და შორაპანში. მაისის დამდეგს მოხდა აბრეშუმსახვევი ფაბრიკების ათასზე მეტი მუშის გაფიცვა ნუხაში. იგი რამდენიმე დღეში დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით[1].

ხოლო რაც შეეხება გლეხთა მოძრაობას ამიერკავკასიაში 1907 წელს, იგი მაშინ მნიშვნელოვნად შენელდა. 1907 წლის დასაწყისში თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში გლეხები მასობრივად ჩეხდნენ მემამულეთა ტყეს. გლეხთა მთელი რიგი რევოლუციური გამოსვლები მოხდა იმ პერიოდში სომხეთსა და აზერბაიჯანში — ლორში, ბაშქენდში, ნორ-ბაიაზეთში, დარალაგიოზში, ეჩმიაძინში, ყარსში, შუშის მაზრაში, ზაქათალის ოლქში და სხვა ადგილებში. მაგრამ ეს იყო დამცხრალი რევოლუციური ქარიშხლის მხოლოდ გამოძახილი.

---

[1] ორცსა. ფ. 102, მე-4 ს. წ., 1907 წ., დაცვ. ერთ. 19, ნ. 2, ფურც 7.

ითვალისწინებდნენ რა ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაში, ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეცვალეს ტაქტიკა, მოუწოდეს ხალხის მასებს მონაწილეობა მიეღოთ II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ამოცანა ის იყო, რომ სათათბირო გამოეყენებინათ როგორც ტრიბუნა რევოლუციური აგიტაციისათვის და ცარიზმის მხილებისათვის.

წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა, რომელიც რსდმპ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის ტაქტიკას მისდევდა, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გაუგზავნა საინსტრუქციო წერილი, რომელშიც წინადადებას აძლევდა ეხელმძღვანელათ რსდმპ სრულიად რუსეთის I (1906 წლის ნოემბრის) კონფერენციის გადაწყვეტილებებით და ცენტრალური კომიტეტის წერილით საარჩევნო კამპანიაში ტაქტიკის შესახებ.

ბოლშევიკებმა მასებში ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს. ისინი ააშკარავებდნენ „შავრაზმული საფრთხის“ შესახებ მენშევიკების თეზისის უსაფუძვლობას, კადეტებთან ფართო საარჩევნო შეთანხმებათა იმ ტაქტიკის მავნეობას, რომელსაც მენშევიკები უჭერდნენ მხარს, ფართოდ განმარტავდნენ და აქტიურად იცავდნენ სოციალ-დემოკრატებისა და ნაროდნიკული ჯუფების, უწინარეს ყოვლისა ტრუდოვიკების „მემარცხენე ბლოკის“ ლენინურ იდეას. თავიანთ ფურცლებსა და გაზეთებში. სადისკუსიო კრებებზე გამოსვლებში ბოლშევიკები მშრომელებს განუმარტავდნენ, რომ სათათბირო ვერ განახორციელებს ხალხის იმედებს, რომ მთავარი როლი კვლავ უნდა შეასრულოს მასების რევოლუციურმა ბრძოლამ სათათბიროს გარეშე. თბილისის მენშევიკების მიერ წამოყენებული წმინდა ლიბერალური ლოზუნგების „რადაც უნდა დაგვიჯდეს შევინარჩუნოთ სათათბირო“, „ძირს სათათბიროს გარეშე გამოსვლები“ და სხვ. პასუხად თბილისის ბოლშევიკებმა თავიანთ რეზოლუციაში „სახელმწიფო სათათბიროსა და ჩვენი ტაქტიკის შესახებ“ აღნიშნეს, რომ საჭიროა „რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ სათათბიროს ტრიბუნა პროლეტარიატის ფართო მასებში სოციალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის იდეების გავრცელების მიზნით..., ვესწრაფოდეთ იმჯ, რომ მჭიდროდ შევაკავშიროთ გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა მათი რევოლუციური მოთხოვნებისათვის სისტემატური მხარდაჭერით, მათთან ერთობლივი ბრძოლით ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის წინა-

აღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალთა დარაზმვას სათათბიროს გარეთ..., ყოველნაირად ხაზი გავუსვათ ხოლმე იმას, რომ საჭიროა ძველი რეჟიმის მოსპობა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა როგორც მიმდინარე მომენტის მორიგი ამოცანები"[1].

ასეთსავე რეზოლუციებს იღებდნენ მაშინ სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციებიც.

მრავალეროვანი პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობის ინტერესებისათვის ბაქოს ბოლშევიკები დათანხმდნენ საარჩევნო კამპანიის პერიოდისათვის დროებითი შეთანხმება (ბლოკი) დაედოთ მენშევიკებთან და „სპეციფიკებთან". 1906 წლის ნოემბერში შექმნილ იქნა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის 10 წარმომადგენელი, „სომხეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის" („სპეციფიკების") ბაქოს კომიტეტის 5 წარმომადგენელი და აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „ჰუმეთის" ორი წარმომადგენელი[2].

არჩევნებში მემარცხენე ძალების გაერთიანებამ გამარჯვება სოციალ-დემოკრატიას მოუტანა. ბაქოს გუბერნიისაგან სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქნა „ჰუმეთის" ჯგუფის მიერ რეკომენდებული[3] სარეწების მოსამსახურე ზ. ე. ზეინალოვი[4], რომელიც მაშინ სოციალ-დემოკრატებს ემხრობოდა.

საქართველოში კი მენშევიკებმა საარჩევნო შეთანხმებები დადეს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და მთელ რიგ შემთხვევებში მიწისმფლობელ თავად-აზნაურობასთანაც კი. ამის შედეგად საქართველოსაგან სათათბიროში არჩეული რვავე დეპუტატი მენშევიკი აღმოჩნდა.

რსდმპ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის შემთანხმებლური, ოპორტუნისტული პოლიტიკა, რომელმაც კვლავ აშკარად იჩინა თავი სათათბიროს კამპანიის პერიოდში, რუსეთის პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობის სულ უფრო მეტ აღშფოთებას იწვევდა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ საჭირო იყო პარტიის ყრილობის სასწრაფოდ მოწვევა. 1906 წლის სექტემბერში

---

[1] გაზ. „ჩვენი ცხოვრება" № 7, 1907 წლის 25 თებერვალი: Пятый (Лондонский) съезд РСДРП. Протоколы. М., 1963, стр. 349.

[2] Второй период революции. 1906 — 1907 годы. Октябрь — декабрь 1906 г., часть третья, стр. 414—415.

[3] მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. 2. დაცვ. ერთ. 137, ფურც. 15.

[4] Газ. «Баку» № 30, 7 февраля 1907 г.

რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა და მთელმა რიგმა სხვა კომიტეტებმა მიიღეს „მიმართვა რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიისადმი" ახალი პარტიული ყრილობის რაც შეიძლება სწრაფად მოწვევის შესახებ.

ამ მიმართვას მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა. რსდმპ V ყრილობისათვის მზადება აქ მეტისმეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე (1906 წ. სექტემბერი) მენშევიკებმა უარყვეს წინადადება პარტიის V ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ და მხარი დაუჭირეს აქსელროდის დეზორგანიზატორულ იდეას ეგრეთწოდებული „მუშათა ყრილობის" [1] მოწვევის შესახებ. ამ უბადრუკი იდეის არსი იყო იმისადმი მისწრაფება, რომ არალეგალური პროლეტარული პარტია გადაექციათ ფართო უპარტიო მასობრივ ორგანიზაციად, წვრილბურჟუაზიულ წრეში გაეთქვიფათ პარტია.

„მუშათა ყრილობის" იდეას ჩაებღაუჭნენ არა მარტო ამიერკავკასიის მენშევიკები, არამედ ესერებიც. ყრილობის მოწვევის გზაზე პირველ ნაბიჯად მათ მიაჩნდათ „ვიწროპარტიულ ჩარჩოებზე" უარის თქმა, ისეთი მუშათა ორგანიზაციების შექმნა და მათი საქმიანობის გაჩაღება, როგორიც იყვნენ მუშათა დეპუტატების საბჭოები და უპარტიო კონფერენციები, რომლებშიც, როგორც ისინი აცხადებდნენ, „შეიძლება გამოიჭედოს ის ფართო მასობრივი ორგანიზაცია, რომლის მისაღწევადაც ეწევიან მენშევიკები აგიტაციას მუშათა ყრილობის სასარგებლოდ. მუშათა ყრილობა კი იქნება მხოლოდ დამთავრება მუშაობისა ადგილებზე" [2]. ამ მიმართულებით ნიადაგი მოსინჯეს ბაქოში ესერებმა, რომლებმაც უპარტიოთა კონფერენცია მოაწყეს ბიბი-ეიბათის რაიონში.

ბოლშევიკებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს მენშევიკებისა და ესერების ამ ლიკვიდატორულ განზრახვებს. როგორც მაშინ თვითონ ამიერკავკასიის ესერები აღიარებდნენ, უპარტიო კონფერენციის იდეა „წააწყდა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ბოლშევიკების მხრივ, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი მუშათა ყრილობისათვის მომზადებად მიიჩნიეს" [3].

გაცხარებული დისკუსიის მსვლელობაში, რომელიც 1906

---

1 ცნობა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მეოთხე მოხსენიების შესახებ, გვ. 6.

2 Известия Закавказского областного комитета. Издание Закавказского областного комитета ПСР, № 1, июнь 1907 г., стр. 7.

3 იქვე.

წლის დამლევს გაჩაღდა ბაქოში, ბოლშევიკებმა შეძლეს ბრძოლით დაეთმობინებინათ მენშევიკებისათვის პარტიული ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკა დაგმეს ელიზავეტპოლის ბოლშევიკებმაც — საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1906 წლის ნოემბერში თბილისიდან ჩამოსული ს. სპანდარიანის მონაწილეობით. იმ დროისათვის ევლახის რკინიგზის სადგურში შეიქმნა ახალი პარტიული ორგანიზაცია — რსდმპ ელიზავეტპოლის ორგანიზაციის ევლახის რაიონი. ბაქოს ბოლშევიკების დახმარებასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით სულ უფრო აფართოებდნენ თავიანთ მუშაობას მასებში რსდმპ შუშისა და შემახის ჯგუფები.

მენშევიკებთან ბრძოლაში თანდათანობით მტკიცდებოდა აგრეთვე ბოლშევიკების პოზიციები საქართველოსა და სომხეთში. ლენინური გაზეთი „პროლეტარი" 1907 წლის იანვარში წერდა, რომ თბილისში „ბოლშევიკების მდგომარეობა დღითიდღე უფრო მტკიცე ხდება... ძალიან სწრაფად იზრდება ს.-დ. მუშაობა აგრეთვე ერევანში, ალექსანდროპოლში, ყარსსა და ელიზავეტპოლში"[1].

თავიანთ ბეჭდვითს გამოცემებში ამიერკავკასიის ბოლშევიკები ფართოდ აშუქებდნენ პარტიის V ყრილობისათვის მზადების საკითხებს. გაზეთებში „ჩვენი ცხოვრება" და „დრო" გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტები ყრილობის ორი რეზოლუციისა — „ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ" და „სახელმწიფო სათათბიროში ს.-დ. ტაქტიკის შესახებ". გარდა ამისა, გაზეთმა „დრომ" დაბეჭდა რამდენიმე მოწინავე სტატია სათაურით „სოც.-დემ. პარტიის V ყრილობა", სერია სტატიებისა „მოლიპულ გზაზე", რომლებიც მიმართული იყო „მუშათა ყრილობის" იდეის წინააღმდეგ, გამოაქვეყნა პარტიული ორგანიზაციების მთელი რიგი რეზოლუციები, წერილები და ცნობები ყრილობის დელეგატთა არჩევნების შესახებ. რამდენიმე სტატია, რომლებშიც მკვეთრად იყო გაკრიტიკებული მენშევიკების მოსაზრებანი „მუშათა ყრილობის" სასარგებლოდ, დაიბეჭდა გაზეთ „ახალი დროების" ფურცლებზე. „ლიტერატურულმა ბიურომ" გამოუშვა მოწოდება, სადაც მხილებული იყო მაქინაციები ქართველი მენშევიკებისა, რომლებიც არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ რაც შეიძლება მეტი ხმები მიეღოთ ყრილობაზე არჩევნებში და ბოლშევიკებისათვის დაეკარგვინებინათ დელეგატის მანდატები. მოწოდებასთან ერთად „ლიტერატურულმა ბიურომ" შეიმუ-

---

[1] Газ. «Пролетарий» № 12, 25 января 1907 г.

შავა რეზოლუციის პროექტიც. ეს დოკუმენტები განიხილეს და მოიწონეს მოწინავე მუშებმა რაიონულ კრებებზე და უჯრედებში.

ბოლშევიკებს დიდი სიძნელეების დაძლევა მოუხდათ ყრილობის დელეგატთა არჩევნების დროს. როცა სოლქო კომიტეტში შეიტყეს, რომ ელიზავეტპოლში განზრახულია ყრილობაზე გაიგზავნოს ბოლშევიკი (ს. ს. სპანდარიანი), იქ გაემგზავრა კავკასიის მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ნ. რამიშვილი, რომელმაც, ორგანიზაციის ნების საწინააღმდეგოდ, უკვე შემდგარი არჩევნები გაბათილებულად გამოაცხადა და შეძლო გაეყვანა მენშევიკთა კანდიდატურა. ამასვე შეეცადნენ, თუმცა უშედეგოდ, მენშევიკები ერევანშიც. მათ არაკანონიერად გამოაცხადეს აგრეთვე ბოლშევიკი დელეგატების არჩევა ბორჩალოს პარტიული ორგანიზაციისაგან[1]. მაგრამ ბორჩალოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მესამე კონფერენციამ 1907 წლის მარტში დაადასტურა სიმწორე ბორჩალოს ორგანიზაციისაგან რსდმპ V ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევისა[2].

მენშევიკების ყველა ხრიკების მიუხედავად, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შეძლეს ყრილობაზე გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები — ვ. ფ. ეფიმოვი (სარატოველი), ა. ს. კახოიანი, გ. ნ. სოკოლოვსკი, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია.

რსდმპ მეხუთე ყრილობა შეიკრიბა 1907 წლის მაისში ლონდონში. მთავარ საკითხზე — ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ — მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. ბოლშევიკური ხასიათისა იყო რეზოლუციები სხვა დიდმნიშვნელოვან ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზეც. ამრიგად, მეხუთე ყრილობა მოასწავებდა ბოლშევიზმის დიდ გამარჯვებას მუშათა მოძრაობაში.

ყრილობიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მეფის მთავრობამ მოახდინა ეგრეთწოდებული სამი ივნისის გადატრიალება, გარეკა II სახელმწიფო სათათბირო. ეს აქტი მოასწავებდა რეაქციის გამარჯვებას, მეფის თვითმპყრობელობის პოზიციების დროებითს განმტკიცებას.

რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან საფუძვლიანად შეარყია მეფის თვითმპყრობელობის საფუძვლები და მშრომელ და ჩაგრულ მასებს ჩაუნერგა საკუთარი ძალების რწმენა, იმის რწმენა, რომ უნარი შესწევთ მოიპოვონ გა-

---

[1] Пятый (Лондонский) съезд РСДРП. Протоколы, стр. 227—229.

[2] გაზ. „დრო“ № 19, 1907 წ. 1 აპრილი.

მარჯვება საძულველ მტერზე. მან მისცა მათ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სერიოზული და საგულისხმო გაკვეთილი და გაამდიდრა ისინი მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებით თავიანთი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციამ ყველა მშრომელთა ჰეგემონად და ნამდვილ ბელადად წამოსწია პროლეტარიატი, უჩვენა მასებს ყველა პოლიტიკური პარტიის ნამდვილი იდეური და პოლიტიკური სახე და ხელი შეუწყო მათს სულ უფრო და უფრო მეტად დარწმუნებას იმაში, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტიაა თანმიმდევრულად რევოლუციური პარტია, რომელსაც უნარი შესწევს დარაზმოს მასები და გაუძღვეს მათ ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებზე გამარჯვების მოსაპოვებლად. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის ხალხთა საბრძოლო კავშირისა და ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცებას. ჩვენი ქვეყნის ეროვნული განაპირა მხარეების, მათ შორის ამიერკავკასიის, მშრომელები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რუსეთის ყველა პროლეტართან ძმური ერთიანობითა და შეუპოვარი ბრძოლით შეძლებენ გაიკვლიონ გზა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენ.

ამიერკავკასიის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს რუსეთის პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის სახელოვანი ბრძოლის ისტორიაში, პირველი რევოლუციის დროს, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსეული პროლოგი იყო.

თავი მეოთხე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რეაქციის პერიოდში

(1907 — 1910 წლები)

1. რეაქციის შეტევა. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ლენინური ტაქტიკისათვის, პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის

სტოლიპინის რეაქციის წლები ყველაზე მძიმე პერიოდი იყო რუსეთის ხალხთა რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. „რევოლუციის სამი წლის, 1905—1907 წლების, შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რუსეთმა განიცადა კონტრრევოლუციის სამი წელი..., შავი სათათბიროს..., ძალადობისა და უუფლებობის მძვინვარების... სამი წელი... კიდევ უფრო გაძლიერდა კაპიტალისტთა მიერ მუშების ჩაგვრა, კიდევ უფრო თავხედური გახდა უკანონობა და მოხელეთა თვითნებობა ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად, კიდევ უფრო გამძვინვარებით უსწორდებიან თავისუფლებისათვის მებრძოლთ...“[1].

სამი ივნისის რეჟიმი მიმართული იყო უმთავრესად მუშათა კლასისა და მისი პარტიის წინააღმდეგ. II სახელმწიფო სათათბირო რომ გარეკა, ცარიზმი მძიმე რეპრესიებით დაატყდა თავს უწინარეს ყოვლისა რევოლუციური მოძრაობის ავანგარდს. „მეფის მთავრობა, მემამულეები და კაპიტალისტები, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ცოფმორეულნი შურს იძიებდნენ რევოლუციურ კლასებზე, და პირველ რიგში პროლეტარიატზე, რევოლუციაში მონაწილეობისათვის, — თითქოს ჩქარობდნენ, რათა მასობრივი ბრძოლის დროებითი შეწყვეტა გამოეყენებინათ თავიანთი მტრების მოსასპობად“[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 442.

[2] იქვე.

შავი რეაქციის თავდაუჭერელი თარეშის ვითარებაში ბოლშევიკებს წილად ხვდათ უძნელესი ამოცანა — გაეძლოთ თვითმპყრობელობის და ქვეყნის მთელი რეაქციული ძალების გააფთრებული შემოტევისათვის, შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ არალეგალური პროლეტარული პარტია, მოემზადებინათ მშრომელი მასები მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის.

ამიერკავკასია ეკუთვნოდა იმ მხარეებს, სადაც 1905—1907 წლებში რევოლუციურმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო, ხოლო რევოლუციის დამარცხების შემდეგ ყველაზე მეტ ხანს გრძელდებოდა დიდი არიერგარდული ბრძოლები. მაგრამ 1907 წლის მეორე ნახევრიდან რეაქცია აქაც მთელი ძალით გამძვინვარდა. ყველგან თავაწყვეტილად იქცეოდნენ შავრაზმელები, დამსჯელი რაზმები და საჰხედრო-საველე სასამართლოები.

რევოლუციური მოღვაწეებისათვის პოლიციის თვალთვალის გასაძლიერებლად შეიქმნა ოხრანკის ახალი ორგანო — „კავკასიის რაიონული განყოფილება", გადიდებულ იქნა ჟანდარმთა რიცხვი. კავკასიის მეფისნაცვალმა თითქმის მთელ მხარეში სამხედრო წესები გამოაცხადა და კატეგორიულად მოითხოვდა გუბერნატორებისაგან „ყველა ზომები მიეღოთ წესრიგის დასაცავად..."[1].

რეპრესიების გაძლიერება გამოიხატა უწინარეს ყოვლისა რევოლუციონერთა მასობრივი დაპატიმრებითა და გასახლებით. მარტო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან 1907 წელს ადმინისტრაციული წესით გასახლებულ იქნა 3.704 კაცი[2]. მხარის საგუბერნიო და სამაზრო საპყრობილეები გაჭედილი იყო. ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ალექსანდროპოლის, სენაკის, სოხუმის, ზუგდიდისა და ყვირილის საპყრობილეებში, რომლებიც ნავარაუდევი იყო 1400—1500 კაცისათვის, რეაქციის წლებში ძუდამ 4—5 ათასამდე კაცი ჰყავდათ[3]. „სოხუმის საპყრობილეში,—აცნობებდა ვორონცოვ-დაშკოვი სტოლიპინს, — სივიწროვე 1907 წელს იქამდე აღწევდა, რომ ღამით დაწოლილს შეეძლო დაეძინა პატიმართა მხოლოდ 1/3-ს, ხოლო დანარჩენ 2/3-ს უნდა დაეძინა ნაწილს მჯდომარეს, ხოლო ნაწილს ფეხზე მდგომს, კედელზე მიყუდებულს; საავადმყოფო საკანში კი, რომელიც ტიფის გამო სავსე იყო, საწოლებზე

---

1 სომხეთის სსრ ცსა. ფ. 102. ს. 81, ფურც. 58.

2 Журн. «Красный архив». г. 3 (34), 1929. стр. 217.

3 Журн. «Красный архив», г. 4 (35), 1929, стр. 128—133.

იწვა ორ-ორი პატიმარი, ხოლო ავადმყოფთა ნაწილი პირდაპირ იატაკზე იწვა“ [1].

რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლაში ფართოდ იყენებდნენ სხვა ზომებსაც. იმ მოსახლეობის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა მისწრაფება სახელმწიფო წესრიგი და საზოგადოებრივი უშიშროება დაერღვია, — წერდა ვორონცოვ-დაშკოვი, — მთელი სისრულით ვიყენებდით ზომებს, გათვალისწინებულს სამხედრო წესებით: ადმინისტრაციულ გასახლებას იმპერიის შიდა გუბერნიებში და საზღვარგარეთ, საეგზეკუციო რაზმების გაგზავნას, სოფლის საზოგადოებებში მთავრობის მამასახლისების დანიშვნას, ფულად ჯარიმებს, გარკვეული ვადით საეაჭრო და სარეწაო დაწესებულებების დახურვას და სხვ.“ [2].

რეპრესიების ლახვარი როგორც მთელ ქვეყანაში, ისე ამიერკავკასიაში მიმართული იყო უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასისა და მისი ორგანიზაციების წინააღმდეგ. არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა, რომელთა წინააღმდეგაც უაღრესად მკაცრ ზომებს იღებდნენ, რეაქციის წლებში ულმობლად სდევნიდნენ მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებსაც, მათ შორის პროფკავშირებს. „პროფესიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, — მოახსენებდა თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს 1908 წლის დეკემბერში, — ბევრი კავშირი, 1906 წლის 4 მარტის დროებითი წესების საფუძველზე ნებადართულთა რიცხვიდან, დრ[ოებითი] გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით უკანასკნელ ხანს დახურული იყო და მათი წევრების მხრივ მავნე საქმიანობის ოდნავ გამომჟღავნებისთანავე ხდებოდა მათი ლიკვიდაცია“ [3].

მიუხედავად ყოველივე ამისა, სტოლიპინი აშკარად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლაში კავკასიის ხელისუფალთა მოქმედების გამო. მეფის მთავრობის შეთაური ფიქრობდა, რომ 1907—1908 წლებში კავკასიაში „დამნაშავეობის“ მეტისმეტი განვითარება უმთავრესად „კანონისა და წესრიგის დამრღვევთა მიმართ რეპრესიების სისუსტით“ აიხსნებოდა [4]. გამოთქვამდა რა „უაღრესად დიდ შეშფოთებას ბხარის შედგომი

---

1 Журн. «Красный архив», т. 4 (35), 1929, стр. 133.

2 Журн. «Красный архив», т. 3 (34), 1929, стр. 217.

3 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 185, ფურც. 13.

4 Журн. «Красный архив», т. 3 (34), 1929, стр. 202.

ბედისათვის“, მეფის სატრაპი კავკასიის ხელმძღვანელთაგან მოითხოვდა არ გადაეხვიათ იმ „საერთო პოლიტიკისაგან, რასაც ატარებდა მთავრობა, რომელიც უკვე... დაადგა მტკიცე ღონისძიებათა განუხრელ გზას“ იმპერიაში „შერყეული წესრიგის“ აღსადგენად[1].

ახორციელებდნენ რა სტოლიპინისა და მეფის მთავრობის სხვა უმაღლეს მოხელეთა მითითებებს, კავკასიის ხელისუფალნი დღითიდღე აძლიერებდნენ რეპრესიებს რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა მის საარსებო ინტერესებზე ბურჟუაზიის შეტევის გაძლიერებით.

სარგებლობდნენ რა ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის შეცვლით, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამო წარმოების დროებით შეკვეცით, კაპიტალისტები თვითმპყრობელობის დახმარებით ცდილობდნენ მიეღწიათ რევოლუციის პერიოდის ყველა ეკონომიურ მონაპოვართა მოსპობისათვის. ისინი კვლავ ზრდიდნენ სამუშაო დღეს, ამცირებდნენ ხელფასს, აწესებდნენ ზეგანაკვეთურ მუშაობას, აუქმებდნენ საჯილდოო და საბინაო ფულის გაცემას.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბაქოს და ჭიათურის მუშები. 1907—1908 წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაზე, ვინაიდან სწორედ ისინი მხარის მრეწველობის სხვა დარგებზე უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიო ბაზართან. თუ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბაქო და ჭიათურა ნავთობისა და მარგანეცის მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტის ნახევარზე მეტს იძლეოდნენ, სამაგიეროდ რეაქციის წლებში, მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან და სხვა ქვეყნების კონკურენციასთან დაკავშირებით, ამ პროდუქტების წარმოება და გატანა მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, ნავთობის მოპოვება კავკასიის მთელ სარეწებში 1909 წელს 1904 წელთან შედარებით 103,2 მილიონი ფუთით შემცირდა, ხოლო ბათუმის მეშვეობით ნავთის გატანა 61,6 მილიონი ფუთიდან 23,2 მილიონ ფუთამდე დაეცა[2]. 1908 წელს ჭიათურაში მანგანუმის ამოღება 1906 წელ-

---

[1] Журн. «Красный архив», т. 3 (34), 1929, стр. 200.

[2] Всеподданнейший отчет за пятилетие управления Кавказом генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова, С.-Петербург, 1910, стр. 13.

თან შედარებით 50,2 მილიონი ფუთიდან, 6,9 მილიონ ფუთამდე შემცირდა[1].

ბაქოს და ჭიათურის კაპიტალისტები, პროლეტარიატთან ბრძოლის სხვა ფორმებთან ერთად, ხშირად მიმართავდნენ მასობრივ დათხოვნასა და ლოკაუტებს. 1908—1909 წლებში ბაქოში მთელი მექანიკური ქარხნების 47,2 პროცენტი დაიხურა. საერთოდ ლოკაუტებისა და მასობრივი დათხოვნების შედეგად რეაქციის წლებში ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. 1909 წელს 1906 წელთან შედარებით მუშების რაოდენობამ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში თითქმის 2 ათასი კაცით იკლო. „უმუშევართა მასა, — ნათქვამი იყო ჭიათურიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში, — სოფლებში მიდის, სადაც მას შიმშილი ელის...[2]

კაპიტალისტები ფართოდ მიმართავდნენ მასობრივ დათხოვნებსა და ლოკაუტებს ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც. თბილისში მარტო ადელხანოვის ქარხნებიდან ქუჩაში გარეკეს 1500 კაცი. თითქმის მთლიანად ჩაკვდა სამრეწველო ცხოვრება ბათუმში. „ბათუმისათვის ოქროს ხანა გაქრა, — ნათქვამია გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში. — ქარხნები დაიხურა, და უამრავი მუშა ულუკმაპუროდ დარჩა... დღევანდელი ბათუმი არაფრით არა ჰგავს ძველს. იგი დაცარიელდა, გაიყინა, სიცოცხლის ნიშანწყალი დაკარგა“[3].

უკეთესი მდგომარეობა მხარის მრეწველობის არც იმ დარგების მუშებს ჰქონდათ, რომლებიც რეაქციის წლებში კვლავ ზრდიდნენ წარმოების მოცულობას. ძველი, რევოლუციამდელი წესების აღდგენამ უკიდურესად გააუარესა მუშების მატერიალური უზრუნველყოფა და შრომის პირობები. მუშა კორესპონდენტი ალავერდის სპილენძის სამადნეებიდან იწერებოდა: „წყვდიადი, ჭუჭყი, ღატაკური ცხოვრებისა და მძიმე შრომის სიცარიელე და ფიზიკური ტანჯვა ადამიანის ყველა გრძნობას გვიხშობს, მუშა პირუტყვად გვხდის. აი როგორ პირობებში გვიხდება ცხოვრება[4].

რეაქციის წლებში გლეხობის მდგომარეობაც მკვეთრად გაუარესდა. შავი დამსჯელი და საეგზეკუციო რაზმების დახმარებით მემამულენი აიძულებდნენ გლეხებს გადაეხადათ რევოლუციის წლების განმავლობაში გადაუხდელი ბეგარა და სხვა გადასახდელები,

---

1 Всеподданнейший отчет за пятилетие управления Кавказом генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова. С.-Петербург, 1910, стр. 16.

2 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 29, საქ. 488, ფურც. 97.

3 გაზ. „მოგზაური“ № 6, 1910 წ. 23 მაისი.

4 Газ. «Бакинский рабочий» № 15—16, 24 октября 1908 г.

აენაზღაურებინათ მემამულეთა მეურნეობებისათვის რევოლუციური გამოსვლების დროს მიყენებული ზიანი და ა. შ.

გლეხობას, მეტადრე მის უღარიბეს ნაწილს, დააწვა აგრეთვე მთელი სიმძიმე ძველი აგრარული ურთიერთობის მსხვრევისა, რასაც ამ წლებში მეფის მთავრობა ახორციელებდა.

განაგრძობდა რა ჯერ კიდევ 1861 წელს დაწყებულ ეგრეთწოდებული „პრუსიული გზით“ კაპიტალისტური ევოლუციის ხაზს, ცარიზმი რეაქციის წლებში ცდილობდა თავისებურად გადაეწყვიტა აგრარული საკითხი: ერთი მხრივ შეენარჩუნებინა მემამულეთა ყოვლისშემძლეობა, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველეყო კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება სოფლად.

ცვლილებებმა თვითმპყრობელობის აგრარულ პოლიტიკაში ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სტოლიპინის აგრარული რეფორმით, რომელიც განმტკიცებულ იქნა 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით და 1910 წლის 14 ივნისის კანონით. უფლებას ანიჭებდა რა გლეხს გასულიყო თემიდან და პირად საკუთრებად შეენარჩუნებინა თავისი ნადელი, რეფორმა მთავარ მიზნად ისახავდა იმის უზრუნველყოფას, რომ შექმნილიყო მაგარი კულაკური ფენა როგორც თვითმპყრობელობის ახალი დამატებითი სოციალური დასაყრდენი.

რუსეთის ცენტრალური რაიონებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიაში ამ დროისათვის თემური მიწათმფლობელობა აღარ არსებობდა. აქ დიდი ხანია ჩამოყალიბდა კომლობრივ — ნაკვეთური მიწათმფლობელობა, და სტოლიპინის აგრარულ რეფორმას შეეძლო მხოლოდ იურიდიულად გაეფორმებინა და განემტკიცებინა უკვე მომხდარი ისტორიული ფაქტი. მაგრამ მეფის მთავრობა არ ჩქარობდა ეღიარებინა ეს ფაქტი და ყოველნაირად ცდილობდა არ გაევრცელებინა ახალი აგრარული კანონმდებლობა ამიერკავკასიაზე.

რეაქციის წლებში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ის საკითხი, რომ ამიერკავკასიაში მომხდარიყო დროებითვალდებულების ურთიერთობის ლიკვიდაცია და გლეხებს პირად საკუთრებად შეენარჩუნებინათ მემამულეებისაგან გამოსყიდული სანადელო მიწები, რაც ცენტრალურ რუსეთში განხორციელებული იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში. რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც კავკასიის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ რევოლუციის წლებში შეიმუშავა, განუხორციელებელი დარჩა. 1908 წლის 15 დეკემბერს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ III სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში დროებითვალდებულების ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მე-

მამულეებისათვის რაიმე ანაზღაურების მიუცემლად. მაგრამ შავრაზმულმა სათათბირომ კანონპროექტი მეტისმეტად რადიკალურად მიიჩნია და უარყო იგი.

რეაქციის წლებში მწვავედ დადგა აგრეთვე ის საკითხი, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხები მესაკუთრეთა კატეგორიაში ჩარიცხულიყვნენ. მაგრამ ამ საკითხზე შემუშავებული მრავალი კანონპროექტი თვითმპყრობელობის უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანის უამრავ წინასწარ ინსტანციაში გაიჩხირა. ამით ცარიზმმა ფაქტიურად უარი თქვა იმაზე, რომ ამიერკავკასიის გლეხობა უფლებებით გაეთანაბრებინა იმპერიის ცენტრალური გუბერნიების გლეხობასთან. აქ თვით თებერვლის რევოლუციამდე ძალაში რჩებოდა სახელმწიფო გლეხების ხაზინისადმი დამორჩილების სისტემა და მთელი რიგი სხვა ნახევრადბატონყმური ურთიერთობანი.

ამრიგად, ცარიზმის ახალ აგრარულ პოლიტიკას, რომელიც ნავარაუდევი იყო მიწის კერძოკაპიტალისტური საკუთრების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, ამიერკავკასიაში რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუცია და ფაქტიურად არ ხორციელდებოდა, რაც მხარეში აგრარული კრიზისის შემდგომ გამწვავებას იწვევდა.

სამაგიეროდ ამიერკავკასიაში მთელი სისრულით ხორციელდებოდა სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული განაპირა მხარეების რუსული კოლონიზაციის გაძლიერებას. „ჩემი მმართველობის ხუთი წლის განმავლობაში, — მოახსენებდა მეფისნაცვალი კავკასიაში გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეფეს 1910 წელს, — აქ შეიქმნა რუსთა 261 დასახლება, რომლებშიც ჩასახლებულ იქნა ორიენ სქესის 54 ათასამდე სული...“ [1]. ამასთან მეფისნაცვალი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ამ საქმეს ცენტრალური მთავრობა საკმაოდ არ აფინანსებსო, და სთხოვდა მეფეს უალრესად ენერგიული ზომები მიეღო „დაუყოვნებელი რუსული კოლონიზაციისათვის...“[2].

ეროვნულ განაპირა მხარეებში გლეხების მასობრივი გადასახლება მიზნად ისახავდა ამ მხარეებში თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლისათვის მტკიცე დასაყრდენის შექმნას. მაგრამ ეს ღონისძიება ხშირად თვით ცარიზმის წინააღმდეგ შეტრიალდებოდა ხოლმე. განაპირა მხარეებში აგრარული ჭარბმოსახლეობის გაძლიე-

---

1 Всеподданнейший отчет за пятилетие управления Кавказом..., стр. 34.
2 იქვე, გვ. 38.

რებას რომ უწყობდა ხელს, მეფის მთავრობა თვითონ აფართოებდა ნიადაგს როგორც რევოლუციურ-გლეხური, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის.

ასე იყო კავკასიაშიც. მიწის მეტისმეტი სიმცირისა და აგრარული ჭარბმოსახლეობის პირობებში, როცა ამიერკავკასიის გლეხობა თვითონ განიცდიდა თავისუფალი მიწების მწვავე ნაკლებობას, ცარიზმის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის საადგილმამულო უფლებების უხეშად გათელვა გლეხობისა და მთელი მოწინავე საზოგადოებრიობის მრისხანე პროტესტს იწვევდა. ეროვნული ბურჟუაზია და ადგილობრივ მემამულეთა ნაწილიც კი არ ფარავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას მხარის რუსული კოლონიზაციის გაძლიერების გამო.

ჩაგრულ ხალხთა ინტერესებზე რეაქციის შეტევამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა III სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობასა და თავის პოლიტიკურ მისწრაფებებში. ვ. ი. ლენინმა მას „შავი სათათბირო“ უწოდა. 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონი მიმართული იყო მთელი მშრომელი მასების და განსაკუთრებით ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ. თუ II სახელმწიფო სათათბიროში კავკასიიდან არჩეული იყო 29 დეპუტატი, III სათათბიროში კავკასიის მხოლოდ 10 წარმომადგენელი მოხვდა. ამასთან, სათათბიროში არჩევის უფლებას კანონი მხოლოდ იმ პირებს ანიჭებდა, ვინც რუსულ ენას ფლობდა.

შავრაზმულ-კადეტური სათათბირო თვითმპყრობელობის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის მორჩილი იარაღი იყო. სათათბიროს დახმარებით ცარიზმმა ფინეთის კონსტიტუცია გააუქმა და სხვა ხალხების ისედაც შეზღუდული უფლებები შეკვეცა. ყველაზე რეაქციულ დეპუტატებს სათათბიროში შეჰქონდათ წინადადებანი, რომ განაპირა ჰხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, სავსებით აკრძალულიყო დედა ენაზე სწავლება. მეფის მთავრობის მეთაური სათათბიროს ტრიბუნიდან ცინიკურად აცხადებდა, არარუს ხალხებს „დემოკრატიული უფლებები“ მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭებათ, რაც ისინი თვითმპყრობელობის „თვალსაზრისს“ მიიღებენ და თავიანთ „უმაღლეს კეთილდღეობად“ რუსეთის მოქალაქეებად ყოფნას მიიჩნევენო[1].

ამრიგად, რეაქციის წლებში აღმოჩნდა, რომ ცარიზმს არ ძალუძდა გადაეჭრა ის ძირითადი სოციალური წინააღმდეგობანი, რომლებმაც 1905—1907 წლების რევოლუცია გამოიწვია. პირიქით,

---

[1] გაზ. „წყარო“ № 22, 1907 წ. 23 ნოემბერი.

ეს წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გამწვავდა. სულ უფრო და უფრო მეტად გროვდებოდა საწვავი მასალა, რომლის ასაფეთქებლად საკმარისი იყო სულ მცირეოდენი ნაპერწკალი.

რეაქციის წლები თავისებური გამოცდა იყო ყველა კლასისა და პოლიტიკური პარტიისათვის. უფრო მკაფიოდ გაირკვა მათი პოლიტიკური მისწრაფებები. მართალია, კლასობრივ ძალთა ის განლაგება, რაც ჯერ კიდევ 1905 წლის წინ ჩამოყალიბდა, პრინციპულად უცვლელი რჩებოდა, მაგრამ ძირითად მებრძოლ ბანაკთა შიგნით გარკვეული დაჯგუფება მოხდა. სტოლიპინის აგრარული რეფორმა მოასწავებდა ახალ ნაბიჯს იმ გზაზე, რომ რუსეთი ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცეულიყო. ცარიზმი მემამულე-მებატონეთა დიქტატურად რჩებოდა, მაგრამ ამავე დროს იძულებული იყო პირდაპირი კავშირი დაემყარებინა ბურჟუაზიასთან, ბონაპარტისტულად ეწარმოებინა მანევრირება ბურჟუაზიასა და მემამულეებს შორის. თავის მხრივ ბურჟუაზია თანდათან კარგავდა ოპოზიციურობას და სულ უფრო უკავშირდებოდა თვითმპყრობელობასა და მემამულეებს.

ასეთივე სოციალური და პოლიტიკური ძვრები ხდებოდა ეროვნულ განაპირა მხარეებშიც, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. ადგილობრივი მემამულენი კვლავ რჩებოდნენ თვითმპყრობელობის საიმედო დასაყრდენად, მაგრამ ამავე დროს სულ უფრო უახლოვდებოდნენ ეროვნულ ბურჟუაზიას. ეს უკანასკნელი კი სულ უფრო ზომიერი ხდებოდა თავის ოპოზიციურობაში და მეტი ხალისით უთანხმდებოდა ცარიზმს.

ამ სერიოზულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა მკაფიო გავლენა მოახდინა პოლიტიკური პარტიების ბრძოლაზე და ამიერკავკასიის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები რეაქციის პირობებში მკვეთრად გამემარჯვენდნენ. რევოლუციის საქმეს ისინი საბოლოოდ და სამუდამოდ წაგებულად თვლიდნენ და ამიტომ კიდევ უფრო მეტად სჯერდებოდნენ „ლეგალურ-ოპოზიციურ მუშაობას“.

როგორც მთელ ქვეყანაში, ისე ამიერკავკასიაშიც, რევოლუციის მამოძრავებელი ძალები მუშათა კლასი და გლეხობა იყვნენ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოწოდებული იყო გამოეხატა ამ კლასების ინტერესები და უზრუნველეყო მათი საბრძოლო რევოლუციური კავშირის შექმნა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით. მაგრამ ამ წლებში რსდმ პარტიის შიგნითაც მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მისი მენშევიკური

ფრთა ვერ გაუმკლავდა რეაქციის შემოტევას. მენშევიკები ლიკვიდატორობის გზას დაადგნენ და შიგნიდან მიიტანეს იერიში პროლეტარულ პარტიაზე. მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ბრძოლას ისიც ართულებდა, რომ თვით ბოლშევიკურ ფრაქციაში გაჩნდნენ ოტზოვისტები, ულტიმატისტები, შემარიგებლები და სხვა მიმდინარეობები და ჯგუფები.

რეაქციის მძიმე პირობებში მხოლოდ ბოლშევიკმა-ლენინელებმა გაუძლეს დიდ გამოცდას და კვლავ რჩებოდნენ თანმიმდევრულ რევოლუციონერებად. ისინი წარმოუდგენელ სიძნელეებს სძლევდნენ. მათ კიდევ უფრო მაღლა აღმართეს რევოლუციური დროშა, რომლის გარშემო შეკავშირდნენ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საუკეთესო ძალები, საზოგადოების მთელი ნამდვილად რევოლუციური ელემენტები.

ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით პარტიის ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს. შეტევის ტაქტიკა შეიცვალა აქტიური თავდაცვის ტაქტიკით, რომელიც ითვალისწინებდა მუშათა კლასისა და მისი პარტიის ძალების შენარჩუნებასა და შეკავშირებას, მშრომელთა მომზადებას ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, ახალი რევოლუციისათვის, რომლის უთუო გამარჯვებაში ბოლშევიკები ისევე იყვნენ დარწმუნებულნი, როგორც წინათ.

ასეთი ტაქტიკის წარმატებით განხორციელების მთავარ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ლეგალური და არალეგალური მუშაობის უნარიანად შეხამება. მტკიცედ ებრძოდნენ რა მენშევიკ-ლიკვიდატორებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეცვალათ არალეგალური პარტია ლეგალური „მუშათა ორგანიზაციით“, აგრეთვე ოტზოვისტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მუშაობის ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებაზე და ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ფაქტიურად წარმოადგენდნენ „პირუკუ ლიკვიდატორებს“, ბოლშევიკი-ლენინელები თანმიმდევრულად იბრძოდნენ როგორც პროლეტარიატის არალეგალური რევოლუციური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ისე ბრძოლის ყველა ლეგალური შესაძლებლობის ფართოდ გამოყენებისთვისაც.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ლენინური ტაქტიკით. მთელი ძალღონით ებრძოდნენ რა შეტევაზე გადმოსულ რეაქციას, ისინი ამხილებდნენ მუშათა კლასის გამცემლებს, დაუცხრომლად განამტკიცებდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციების რიგებს, ზრდიდნენ და აკავშირებდნენ პროლეტარიატსა და მთელ რევოლუციურ ძალებს. რეაქციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და

განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს მ. ა. აზიზბეკოვმა, ვ. ფ. ეფიმოვმა (სარატოვეცმა), ს. მ. ეფენდიევმა, ვ. მ. კასპაროვმა, მ. მ. მამედიაროვმა, ფ. ე. მახარაძემ, ნ. ნ. ნარიმანოვმა, გ. კ. ორჯონიკიძემ, ბ. მ.სარდაროვმა, ს. ს. სპანდარიანმა, ი. ბ. სტალინმა, ი. ტ. ფიოლეტოვმა, ს. გ. შაუმიანმა, პ. ა. ჯაფარიძემ და სხვა გამოჩენილმა პარტიულმა მოღვაწეებმა. ამიერკავკასიის ბოლშევიკ-ლენინელთა ეს სახელოვანი პლეადა რეაქციის მთელი პერიოდის განმავლობაში შეუდრეკლად იდგა საბრძოლო პოსტზე და უდიდეს მუშაობას ეწეოდა ყველა სიძნელეთა დასაძლევად. 1908 წელს ს. გ. შაუმიანი კანონიერი სიამაყით აცნობებდა მ. გ. ცხაკაიას საზღვარგარეთ: „ჩვენ, შენი მეგობრები, მხნედ ვდგავართ ჩვენს პოსტებზე და ვმუშაობთ ისე, რომ არაფერს არ ვერიდებით. მუშაობის პირობები, ძვირფასო მიხა, საშინლად ძნელი გახდა: ჩვენ პირდაპირ ჯვარს გვაცვამენ, ყოველი მხრიდან გვაფურთხებენ, გვამცირებენ... მაგრამ ჩვენ გულს არ ვიტეხთ. მომავლის რწმენა და ჩვენი საქმისადმი სიყვარული დაუშრეტელ ენერგიას გვინერგავს...“[1].

პარტიული ორგანიზაციების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმატებით მუშაობისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა მჭიდრო და უშუალო კავშირს ვ. ი. ლენინთან და ბოლშევიკურ ცენტრთან. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ეს კავშირი რეაქციის მთელი წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა. „კავკასიის ბოლშევიკების ჯგუფთან, — წერდა ნ. კ. კრუპსკაია, — ყოველთვის განსაკუთრებით მეგობრული მიწერ-მოწერა გვქონდა“[2].

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო რუსული ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის აღდგენას.

ვ. ი. ლენინის უდიდესი მეცადინეობის შედეგად 1908 წლის თებერვლიდან ჟენევაში დაიწყო ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარის“ გამოსვლა, რომლის ნომრები სიპატეპატურად ჩამოჰქონდათ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში. არასრული მონაცემებით, რომლებიც გაზეთ „პროლეტარის“ არქივშია, 1908 წლის ოქტომბრის ბოლოდან 1909 წლის ნოემბრამდე გაზეთი კოპენჰაგენის მეშვეობით მოსკოვში ეგზავნებოდა 10 ადრესატს, პეტერბურგში — ხუთ, თბი-

---

[1] С. Г. Шаумян. Избранные произведения в двух томах, т. 1. М., 1957, стр. 285.

[2] Н. К. Крупская. Воспоминания о Ленине. М., 1957, стр. 177.

ლისში — ხუთ, ბაქოში — ექვს ადრესატს[1]. ამიერკავკასიაში შემოჰქონდათ აგრეთვე რსდმპ ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ნომრები. ამ გაზეთის ფაქტიური რედაქტორიც ვ. ი. ლენინი იყო.

ამიერკავკასიაში ცენტრალური ბოლშევიკური გაზეთების შემოტანას, რომლებშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები და წერილები, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ პარტიის ბელადისა და ბოლშევიკური ცენტრის მითითებათა განხორციელებისათვის, პარტიაში საქმის ვითარების გაცნობისათვის. ამიერკავკასიის ბოლშევიკები, თავის მხრივ, სისტემატურად უგზავნიდნენ პარტიის ცენტრალურ ორგანოებს და პირადად ვ. ი. ლენინს ინფორმაციას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის წიგნები და სტატიები, მისი წერილები და მითითებანი მძლავრ იარაღს წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვის ლიკვიდატორებთან და სხვა ოპორტუნისტებთან ბრძოლაში, ეხმარებოდნენ მათ ადგილობრივი პირობების შესაბამისი სწორი ტაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში და მთელ მათს ორგანიზატორულ მუშაობაში.

ხელმძღვანელობდნენ რა ლენინის მითითებით, რომ რეაქციის პირობებში „რსდმპ შენარჩუნება და განმტკიცება ძირითადი ამოცანაა, რომელსაც ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ“ [2], ამიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ უწინარეს ყოვლისა შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ არალეგალური პარტიული ორგანიზაციები.

ხოლო ამიერკავკასიის პარტორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელი იყო. სტოლიპინის რეაქციის აღვირახსნილი თარეშისა და მენშევიკ-ლიკვიდატორების ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად ბევრი პარტიული ორგანიზაცია მთლიანად განადგურებული ან ლიკვიდირებული იყო. შემცირდა პარტიის წევრთა საერთო რიცხვიც. თუ 1907 წლის მაისში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში პარტიის 15670 წევრი ითვლებოდა, უკვე 1908 წლის დამდეგს მათი რიცხვი 14100 გახდა[3].

---

1 Журн. «Исторический архив» № 1, 1959, стр. 37.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 534.

3 ბოლშევიზმის ისტორიისათვის. წერილები და მასალები, თბილისი, 1932. გვ. 90.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ იმით რთულდებოდა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი რეაქციის მთელი პერიოდის განმავლობაში მთლიანად მენშევიკების ხელში იყო და აშკარა ლიკვიდატორულ პოლიტიკას ეწეოდა. საოლქო კომიტეტი მთელ რიგ შემთხვევებში თვითონ გამოდიოდა ცალკეული ორგანიზაციების ლიკვიდაციის ინიციატორად. მაგალითად, საოლქო კომიტეტის დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა სიღნაღის კომიტეტი.

მენშევიკი ლიდერების ლიკვიდატორული ხაზი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების V ყრილობაზე 1908 წლის თებერვალში, მენშევიკების სხვადასხვა საარჩევნო მაქინაციების შედეგად ყრილობას ესწრებოდა 14 მენშევიკი-ლიკვიდატორი და მხოლოდ ორი ბოლშევიკი — თბილისის ორგანიზაციისაგან. წარმომადგენელი ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა მსხვილი პარტიული ორგანიზაციებისაგან ყრილობაზე სრულებით არ ყოფილა.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) საოლქო კომიტეტის ანგარიში; 2) პარტიული მუშაობის შესახებ; 3) პროფკავშირების შესახებ; 4) განმარტება ლონდონის ყრილობის რეზოლუციისა პარტიზანული გამოსვლების შესახებ და სხვ.

ყრილობაზე ცენტრალური ადგილი დაიკავა საკითხმა რეაქციის პირობებში პარტიული მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კავკასიის მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია. მისი აზრით, რევოლუციის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო მუშათა კლასის ჰეგემონია. ამიტომ მას მიაჩნდა, რომ პროლეტარიატმა საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი თავის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში და ის ბურჟუაზიას დაუთმოსო. რევოლუციის დამარცხების მეორე დიდმნიშვნელოვან მიზეზად იგი თვლიდა რსდმპ პროგრამისა და ტაქტიკის „უვარგისობას“. იგი მოუწოდებდა პარტიას ხელი აეღო თავის რევოლუციურ პროგრამა-მინიმუმზე და შეემუშავებინა „წმინდა ევროპული ტაქტიკა“[1].

ამ წმინდა ლიკვიდატორულ ტაქტიკას ყრილობის ბოლშევიკმა დელეგატებმა დაუპირისპირეს ლენინური ტაქტიკა. რუსეთის რევოლუცია, ამბობდნენ ისინი, არ მომკვდარა, იგი ცოცხალია და გარდუვალად მიაღწევს გამარჯვებას. მუშათა კლასი რევოლუციის ჰეგემონი იყო და კვლავ არის. თუ პროლეტარულ პარტიას როდისმე სჭირდებოდა რევოლუციური პროგრამა, კიდევ უფრო სჭირდება იგი

[1] Газ. «Борьба» № 1, июнь 1908 г.

რეაქციის ეპოქაში, რომ უზრუნველყოს საზოგადოების მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირება თავისი საბრძოლო დროშის ქვეშ. რეაქციის პირობებში ამ პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად შემუშავებულ უნდა იქნას ახალი ტაქტიკა, რომელიც უნდა გამოიხატოს ბრძოლის ყველა ლეგალური და არალეგალური ფორმის ფართოდ გამოყენებით. ასეთი ტაქტიკის განხორციელების მთავარი პირობაა არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნება და განმტკიცება[1].

რამდენადაც ყრილობა თითქმის მთლიანად მენშევიკური იყო, მან ხმის უდიდესი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ლიკვიდატორული გეზი[2].

ყრილობამ ლიკვიდატორული რეზოლუციები მიიღო ყველა დანარჩენ განხილულ საკითხზეც. მაგალითად, რეზოლუციაში პროფკავშირების შესახებ ნათქვამი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიამ ხელი უნდა აიღოს პროფკავშირების იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაზე, ამ უკანასკნელთ მხოლოდ ლეგალურ ნიადაგზე შეუძლიათ მუშაობა.

ყრილობამ აირჩია საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც არც ერთი ბოლშევიკი არ შესულა.

ყრილობის შემდეგ ამიერკავკასიის მენშევიკების ლიკვიდატორული საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდა. საოლქო კომიტეტი თითქმის მთლიანად უმოქმედოდ იყო და ფაქტიურად აღარ წარმოადგენდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების თუნდაც ფორმალურ ხელმძღვანელ ცენტრს. გარდა ცალკეული პროკლამაციებისა და მიმართვებისა კერძო საკითხებზე, იგი არ სცემდა არავითარ არალეგალურ ლიტერატურას, არა ჰქონდა არალეგალური ბეჭდვითი პერიოდული ორგანო, ხოლო ამიერკავკასიის ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პრესა, რომელიც საოლქო კომიტეტის ფაქტიურ კონტროლში იმყოფებოდა, სარგებლობდა რა რსდმ პარტიის დროშით, ყოველნაირად აქებდა პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ლიკვიდატორობას და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის მსგავსად ეწეოდა ზომიერ-ოპოზიციურ პროპაგანდას სახელმწიფო სათათბიროსა და სხვადასხვა ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკითხებზე.

ამრიგად, რეაქციის უკვე დასაწყის პერიოდში სავსებით გარკვეულად იჩინა თავი ამიერკავკასიის მენშევიკების ლიკვიდატო-

---

[1] Газ. «Борьба» № 1, июнь 1908 г.

[2] იქვე.

რულმა ხაზმა. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლამ აქ თავიდანვე მიიღო მენშევიკ-ლიკვიდატორებთან გააფთრებული იდეურ-ორგანიზაციული ბრძოლის ფორმა. ამასთან იმ პირობებში, როცა საოლქო კომიტეტი მთლიანად იმყოფებოდა მენშევიკ-ლიკვიდატორების ხელში, ბოლშევიკების წინაშე დადგა ის ამოცანა, რომ უწინარეს ყოვლისა დაეპყროთ ყველაზე მსხვილი საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ორგანიზაციის დაუფლებას, და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მთელი თავიანთი მთავარი ძალები სწორედ ამ საქმისათვის მოეხმარებინათ. ახასიათებდა რა ამიერკავკასიის ბოლშევიკების საქმიანობის ამ პერიოდს, გ. კ. ორჯონიკიძე წერდა: „ეს იყო ქარიშხლისა და ბაქოზე ბოლშევიკების შეტევის პერიოდი... ჩვენმა ფრაქციამ გადაწყვიტა მთელი ძალები ბაქოში გადაესროლა, რომ მენშევიკები განედევნა ამიერკავკასიის პროლეტარული ცენტრიდან“[1]. რეაქციის წლებში ბაქოში მუშაობდნენ: მ. ა. აზიზბეკოვი, ა. ს. ენუქიძე, გ. ი. ელისაბედაშვილი, ს. მ. ეფენდიევი, ვ. მ. კასპაროვი, ბ. მ. კნუნიანცი, ს. ი. კასიანი, მ. მ. მამედიაროვი, მ. გ. მელიქიანი, ა. ა. მრავიანი, ა. თ. მიასნიკოვი (ა. თ. მიასნიკიანი), ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, მ. ს. ოლმინსკი, ბ. მ. სარდაროვი, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ. ვ. ი. ლენინის რეკომენდაციით აქ ჩამოვიდა ლატვიის სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო მოღვაწე ი. დ. ლენცმანი. უფრო გვიან ბოლშევიკების საზღვარგარეთის ცენტრმა ბაქოში გამოგზავნა ლ. ბერნგეიმი (სერგეი ბაკინსკი), რ. ს. ზევლიაჩკა და სხვ.

დაძაბული სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად ბოლშევიკები 1907 წლის მეორე ნახევრიდან თანდათან იპყრობენ უმრავლესობას ბაქოს ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტებში. ივნისში ბიბი-ეიბათისა და ივლისში თეთრი ქალაქის რაიონული ორგანიზაციები ბოლშევიკების ხელზე აღმოჩნდნენ, აგვისტოში კი ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ აგრეთვე შავი ქალაქისა და საზღვაო რაიონული ორგანიზაციები. აგვისტოს ბოლოს ხუთი სარეწაო-საქარხნო რაიონის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და „ჰუმეთმა“ შექმნეს კომისია, რომელმაც ბაქოში დროებითი ხელმძღვანელი ბოლშევიკური ცენტრის ფუნქციები იკისრა და გააჩაღა მუშაობა საერთოსაქალაქო პარტიულ კონფერენციის მოსამზადებლად.

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 95. 28 апреля 1924 г.

ბაქოს საერთოსაქალაქო კონფერენციამ, რომელიც 1907 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა, დაამთავრა ბოლშევიკების გამარჯვება მენშევიკებზე, არჩეულ იქნა რსდმ პარტიის ბაქოს ახალი, ბოლშევიკური კომიტეტი. მაგრამ მენშევიკებმა გადაწყვიტეს განხეთქილება მოეხდინათ. მათ მოიწვიეს ცალკე კონფერენცია და აირჩიეს თავიანთი „ხელმძღვანელი კოლექტივი". ესწრაფოდნენ რა განხეთქილების ლიკვიდაციას, ბაქოს ბოლშევიკებმა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს თხოვნით დაუყოვნებლივ გამოეგზავნა ბაქოში თავისი წარმომადგენელი.

1907 წლის ბოლოს ბაქოში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულების „მოსაგვარებლად" ჩამოვიდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი: მენშევიკი ნ. ჟორდანია და ბოლშევიკი კ. დანიშევსკი, რომელსაც მაშინ ლიკვიდატორების მიმართ შემარიგებლური პოზიცია ეჭირა. თავიანთი ჩამოსვლით მათ კიდევ უფრო გაამწვავეს მდგომარეობა, ვინაიდან ორივემ დაიწყო გამოსვლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. სარაიონთაშორისო კონფერენციამ, რომელიც 1908 წლის მარტში გაიმართა, დაგმო ცენტრალური კომიტეტის ამ ორი წევრის გამთიშველური მოქმედება.

ამრიგად, ბაქოს ორგანიზაციაში მენშევიკ-ლიკვიდატორების მიზეზით განხეთქილება მოხდა. ეს ხელს უშლიდა ბაქოს პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობის განხორციელებას რეაქციის უძნელეს პირობებში. ასეთ ვითარებაში ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ბაქოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვისაც. ეწეოდნენ რა შეუპოვარ ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, ბაქოს ბოლშევიკები აღადგენდნენ და განამტკიცებდნენ პარტიულ უჯრედებს ქარხნებსა და სარეწებში, აძლიერებდნენ პარტიულ პროპაგანდასა და აგიტაციას მუშათა მასებში, აწყობდნენ მათს გამოსვლებს. ბაქოს კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოსა და სომხეთის ბოლშევიკებთან და დიდ დახმარებას უწევდა მათ ლიკვიდატორებთან ბრძოლაში. ამასთან ერთად ბაქო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი გახდა ვ. ი. ლენინის ბრძოლაში პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

უფრო ძნელი აღმოჩნდა ბოლშევიკების მიერ თბილისის ორგანიზაციის დაუფლება. პროლეტარული ბაქოსაგან განსხვავებით თბილისში ჭარბობდა ე. წ. „სავაჭრო პროლეტარიატი", რომელიც უფრო ადვილად ითვისებდა ოპორტუნისტულ იდეებს.

მენშევიკებმა, უმრავლესობა რომ მოიპოვეს რსდმ პარტიის

თბილისის ორგანიზაციაში, მისი რიგების დეზორგანიზაცია მოახდინეს. დაიწყო დაშლა პარტიული უჯრედებისა და მთელი რაიონული ორგანიზაციებისაც კი.

თბილისის ბოლშევიკების მუშაობას კიდევ უფრო აძნელებდა ის, რომ რსდმპ IV და V ყრილობებისა და მთელი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შემდეგ მათ არა სურდათ გამოსულიყვნენ გათიშვის ინიციატორებად და ოფიციალურად შეექმნათ თავიანთი ცალკე ხელმძღვანელი ცენტრები. თბილისის ბოლშევიკების წინაშე დაისახა ამოცანა — შექმნილი პირობების შესაბამისად გამოენახათ პარტიული მშენებლობის ახალი ორგანიზაციული ფორმები. და მათ წარმატებით გადაწყვიტეს ეს ამოცანა, უნარიანად გამოიყენეს „თბილისის ბოლშევიკური ლიტერატურული ბიურო“, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წლის დამდეგს შეიქმნა მენშევიკებთან იდეური ბრძოლისა და ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის გაშლის მიზნით. თანდათანობით აფართოებდნენ რა „ლიტერატურული ბიუროს“ ფუნქციებს ბოლშევიკებმა გადააქციეს იგი ნამდვილ ხელმძღვანელ ორგანიზაციულ ცენტრად.

„ლიტერატურული ბიუროს“ ფუნქციების გაფართოება და მისი მუშაობის გაღრმავება გამოიხატა უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მენშევიკებთან იდეურ-თეორიულ ბრძოლასთან და ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობასთან ერთად იგი განუწყვეტლივ აჩაღებდა წმინდა პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას: ქმნიდა პარტიულ წრეებსა და უჯრედებს საწარმოებში, სათავეში ედგა პრაქტიკულ ბრძოლას პარტიული ორგანიზაციებიდან მენშევიკ-ლიკვიდატორების გასადევნად.

დაძაბული მუშაობის შედეგად თბილისელმა ბოლშევიკებმა უკვე 1908 წლის შემოდგომისათვის მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს. შვიდიდან სამ რაიონულ ორგანიზაციაში, მათ მტკიცე უმრავლესობა მოიპოვეს, ხოლო თბილისის კომიტეტის 9 წევრიდან 5 ბოლშევიკი აღმოჩნდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორებთან ახალი ძალით გაჩაღდა რსდმ პარტიის V საერთორუსეთის კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1908 წლის დეკემბერში გაიმართა. ბაქოს ბოლშევიკებმა თავიანთი მანდატი ამ კონფერენციაზე ვ. ი. ლენინს გადასცეს, მაგრამ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა, რაიმე არჩევნების მოუწყობლად, პარტიული ორგანიზაციების გვერდის ავლით, სადელეგატო მანდატები გადასცა მენშევიკ-ლიკვიდატორებს: პ. ბ. აქსელროდს, ფ. ი. დანს და ნ. ბ. რამიშვილს. მიუხედავად მენშევიკ-ლიკვიდატორების, მათ შორის აგრეთვე ამიერკავკასიის საოლქო კო-

მიტეტის დელეგატების ჯიუტი წინააღმდეგობისა, კონფერენციამ მიიღო ლენინური რეზოლუციები, რომლებიც გადაჭრით გმობდნენ ლიკვიდატორობას. კონფერენციამ საერთოპარტიული მასშტაბით დააკანონა პარტიის ახალი, ლენინური ტაქტიკა რეაქციის პირობებში.

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი განაგრძობდა ლიკვიდატორულ ხაზს, არ დაემორჩილა რსდმპ V კონფერენციის გადაწყვეტილებებს და შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა მათ წინააღმდეგ. საოლქო კომიტეტი ცდილობდა კიდევაც დაემალა კონფერენციის გადაწყვეტილებანი ფართო პარტიული მასებისათვის. ამიტომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააჩაღეს მუშაობა უწინარეს ყოვლისა კონფერენციის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისათვის. ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა უზრუნველყო კონფერენციის რეზოლუციების გამოცემა და გავრცელება და საფუძვლად დაუდო ისინი თავის მუშაობას პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის პროკლამაციაში, რომელიც გამოშვებულ იქნა კონფერენციის დოკუმენტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ნათქვამი იყო: „ჩვენმა პარტიამ ამ კონფერენციის სახით ახალი ნაბიჯი გადადგა წინ. მაშ ვიმუშაოთ, ამხანაგებო, რათა კიდევ უფრო წინ წავწიოთ იგი და შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა რუსეთის რევოლუციისა და დიდი ინტერნაციონალის წინაშე“[1].

რსდმპ V საერთორუსეთის კონფერენციის შემდეგ მენშევიკ-ლიკვიდატორებთან განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თბილისის ორგანიზაციაში. იმართებოდა მრავალი გაერთიანებული სადისკუსიო პარტიული კრება მოწინავე მუშების მონაწილეობით, რომლებზეც ბოლშევიკები ამხილებდნენ მენშევიკების ანტიპარტიულ ძირგამომთხრელ მოქმედებას, აღწევდნენ ლიკვიდატორობის დამგმობი რეზოლუციების მიღებას. მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ერთ-ერთი სადისკუსიო კრების რეზოლუციაში გამოთქმული იყო სურვილი, რომ თბილისის კომიტეტს გაეძლიერებინა ბრძოლა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ „თვით პარტიიდან მათ გარიცხვამდე“[2].

დისკუსიებში რომ დამარცხდნენ, მენშევიკებმა გადაწყვიტეს

---

[1] მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. 1. დაცვ. ერთ, 344. ფურ. 1.

[2] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფ. 93. აღწ. 2. დაცვ. ერთ. 139, ფურც. 105.

საერთორუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ლაშქრობა გამოეცხადებინათ თვით თბილისის კომიტეტში. მაგრამ აქაც მარცხი განიცადეს. თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ, რომელიც 1909 წლის მარტში გაიმართა, ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია კონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულების შესახებ.

1909 წლის გაზაფხულზე თბილისის კომიტეტის ერთ-ერთი მენშევიკი წევრის დაპატიმრებასთან დაკავშირებით მოეწყო დამატებითი არჩევნები. არჩეული აღმოჩნდა ბოლშევიკი. რაკი დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკებმა საბოლოოდ მოიპოვეს მტკიცე უმრავლესობა თბილისის კომიტეტში, მენშევიკებმა გადაწყვიტეს გათიშვა მოეხდინათ და გააკეთეს ოფიციალური განცხადება კომიტეტიდან თავიანთი გასვლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით თბილისის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია: „კომიტეტის ის წევრები, რომლებიც არ ცნობენ მის დადგენილებებს და არ ემორჩილებიან მათ, მოწვეული აღარ იქნებიან შემდეგ კრებაზე, ხოლო კომიტეტი თავის საქმიანობას განაგრძობს“[1].

ამრიგად, თბილისის კომიტეტი წმინდა ბოლშევიკური გახდა. მასში შედიოდნენ: ა. მ. აკოფიანი, პ. ი. არველაძე, ა. ბ. დოლიძე, ვ. ი. ნანეიშვილი, გ. პ. რიფეტვარიძე, პ. ა. საბაშვილი და სხვ. კომიტეტის მუშაობაში ქმედით მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მ. მ. კვარაცხელია და ე. დ. სტასოვა. ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისადმი მთელი ხელმძღვანელობა თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის ხელში გადავიდა.

„თბილისის ბოლშევიკური ლიტერატურული ბიურო“, რომელმაც თავისი ამოცანები და ფუნქციები ამოწურა, დაშლილ იქნა.

ბაქოსა და თბილისის ორგანიზაციების დაპყრობისათვის ბრძოლასთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გაიაზრეს მხარის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებშიც. რეაქციის წლებში, მიუხედავად მძიმე რეპრესიებისა და არაერთგზის ჩავარდნისა, პარტიული ორგანიზაციები და ჯგუფები მოქმედებდნენ ერევანში, ალავერდში კაფანში, ალექსანდროპოლში, ნორ-ბაიაზეთში, ყარსში, ელიზავეტპოლში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში, სოხუმსა და სხვა ადგილებში.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბორჩალოს ორგანიზაციის გარშემო. გათიშვის ხაზს რომ ადგა, მენშევიკური საოლქო კომიტეტი ცდილობდა მიეღ-

[1] ბოლშევიზმის ისტორიისათვის, წერილები და მასალები, გვ. 105.

წია ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციისათვის. „მთელი რაიონი,—წერდა გაზეთი „ბორბა“, — რომელშიც არის რამდენიმე ათასი მუშა, ალავერდის უზარმაზარი ქარხანა 2000 მუშით და უმიწაწყლო გლეხობა, უყურადღებოდ რჩებოდა“[1]. ბაქოს კომიტეტმა გადაჭრით დაგმო საოლქო კომიტეტის ფრაქციული ძირგამომთხრელი მოქმედება ბორჩალოს ორგანიზაციის მიმართ[2]. საკადრის პასუხს აძლევდნენ რა მენშევიკებს, ბოლშევიკები განამტკიცებდნენ პარტიულ უჯრედებს ალავერდის სპილენძის სამადნეებში, ჯალალ-ოღლიში, რკინიგზის სადგურებში. 1908 წელს გაიმართა ბორჩალოს ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სომეხ და აზერბაიჯანელ მუშებში პარტიული მუშაობისა და პოლიტიკური აგიტაციის გაძლიერების შესახებ, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების შესახებ[3]. ბორჩალოს ორგანიზაციამ თავისი რიგები განამტკიცა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების ბრძოლაში მენშევიკ-ლიკვიდატორებთან.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებდნენ ორ ფრონტზე ბრძოლის ლენინურ ხაზს და გადაჭრით ამხილებდნენ აგრეთვე ოტზოვისტებს, ულტიმატისტებს, ღვთისმშენებლებსა და სხვა ანტილენინურ ჯგუფებს, რომლებიც რეაქციის წლებში წარმოიშვნენ ბოლშევიკური ფრაქციის შიგნით. ჯერ კიდევ 1908 წელს ს. გ. შაუმიანი სწერდა მ. გ. ცხაკაიას: „ჩვენ პარტიაში უფრო გაუგებარ მოვლენად მიგვაჩნია ეგრეთწოდებული „ოტზოვიზმი“. პირდაპირ წარმოუდგენლად და მეტად საწყენად მიგვაჩნია, რომ ასეთ შეხედულებებს, ასეთ აზროვნებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სერიოზული სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში“[4].

ოტზოვისტებისა და სხვა ოპორტუნისტების მხილებაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს დიდად დაეხმარა გადაწყვეტილებები რსდმპ V საერთო რუსეთის კონფერენციის დელეგატ-ბოლშევიკებისა და გაზეთ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის წევრთა თათბირისა, რომელიც გაიმართა 1909 წლის ივნისში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. თათბირმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების სახით პარტიას საქმე ჰქონდა „პირუკუ ლიკვიდატორებთან“, რომლებიც ინილბებოდნენ „მემარცხენე“ ფრა-

---

1 Газ. «Борьба» № 1, июнь 1908 г.

2 Газ. «Бакинский пролетарий» № 3, 15 апреля 1908 г.

3 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 33, დაცვ. ერთ 343, ფურც. 1.

4 С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, стр. 268.

ზებით და უსპობდნენ პარტიას იმის შესაძლებლობას, რომ განმტკიცებინა კავშირი მასებთან.

თათბირის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას. ბაქოს და თბილისის ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე განმარტებული იყო, რომ, თუ გადამწყვეტ ბრძოლას არ აწარმოებდა „მემარცხენე“ საშიშროებასთან, პარტია ვერ შეძლებდა მოეკრიბა ძალები და გასაღოლოდა მასებს რევოლუციური ბრძოლისათვის. პარტიული უჯრედები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც გმობდნენ ოტზოვიზმის ავანტიურისტულ არსს. ოტზოვისტების ლიდერმა ა. ა. ბოგდანოვმა, რომელიც თათბირმა პარტიიდან გარიცხა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა დამორჩილებოდა „პროლეტარის“ რედაქციის უმრავლესობის ნებას, სცადა თავის მხარეზე გადაეყვანა ბაქოს კომიტეტი, რომელსაც მიმართა სპეციალური წერილით. მაგრამ მის ცდას წარმატება არ მოჰყოლია. თათბირის მასალების მიღებისთანავე ბაქოს კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბაქოს კომიტეტს მიაჩნია, რომ რედაქციის უმცირესობის თვალსაზრისი არ შეესაბამება პარტიისა და პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ გადაჭრით უჭერს მხარს რედაქციის უმრავლესობის პოზიციას, უმრავლესობისა, რომლის წარმომადგენელიც არის ამხანაგი ლენინი“[1].

„პროლეტარის“ რედაქციამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ რეზოლუციას და გადაბეჭდა იგი თავისი გაზეთის ფურცლებზე.

ოტზოვისტებს თბილისის ბოლშევიკებმაც გადაჭრით გასცეს საკადრისი პასუხი. რსდმპ თბილისის ორგანიზაციის 1909 წლის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „კონფერენცია არ იზიარებს ჩვენი პარტიის არც იმ მემარჯვენე ელემენტების შეხედულებებს, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ კანონმდებლობას ეწეოდნენ მესამე სათათბიროში, არც მით უმეტეს იმ ეგრეთწოდებულ „მემარცხენე“ ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების აზრს, რომლებიც უარყოფენ, რომ სათათბიროს ფრაქცია სასარგებლოა“[2].

არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანი იყო მათი ფართო ლიტერატურულ-საგა-

---

[1] Газ. «Бакинский пролетарий» № 7, 27 августа 1909 г.

[2] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 189, ფურც. 2.

მომცემლო მუშაობა. განაგრძობდნენ რა ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში ჩამოყალიბებულ სახელოვან ტრადიციებს, ისინი შავი რეაქციის მძიმე პირობებში ახერხებდნენ არალეგალური სტამბების მოწყობას, პროკლამაციების, გაზეთების, ბროშურების გამოცემას.

1908 წლის მარტში ბაქოში მოეწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები, პროკლამაციები, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტები და სხვა ლიტერატურა. სტამბის შექმნასა და მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მ. მ. მამედიაროვი, ი. თ. სტურუა, ა. ქ. ხუმარიანი, ზ. ი. ჩოდრიშვილი და სხვ. სტამბის ლიკვიდაცია თვითონ ბოლშევიკებმა მოახდინეს 1909 წლის სექტემბერში ჩავარდნის საფრთხის გამო. ბაკოს ბოლშევიკებმა მოახერხეს ქალაქის ზოგიერთ რაიონულ ორგანიზაციაშიც კი მოეგვარებინათ საგამომცემლო მუშაობა (ბიბი-ეიბათი, ბალახანა, რკინიგზისა და საზღვაო რაიონები).

ჯერ კიდევ 1908 წლის ივნისში „თბილისის ბოლშევიკურმა ლიტერატურულმა ბიურომ" მიიღო გადაწყვეტილება თბილისში დიდი არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ[1]. ამ ძნელი საქმის შესრულებას ენერგიულად მოჰკიდა ხელი ზ. ი. ჩოდრიშვილმა. სტამბა მოეწყო ავლაბრის განთქმული სტამბის ნიმუშის მიხედვით. მაგრამ 1908 წლის 12 სექტემბერს, ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე, სტამბა აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა პოლიციის მიერ. სტამბასთან ერთად პოლიციას ხელში ჩაუვარდა არალეგალური ლიტერატურის, იარაღისა და საბრძოლო მასალის დიდი საწყობი.

1909 წლის შემოდგომაზე თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა თბილისში მოაწყო ახალი დიდი არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები, გაზეთები, ბროშურები და სხვა ლიტერატურა. სტამბა აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა პოლიციის მიერ 1910 წლის ივნისში[2].

რეაქციის წლებში არალეგალური სტამბები ჰქონდათ აგრეთვე ბათუმის, ქუთაისისა და გორის გაერთიანებულ კომიტეტებს. ამ სტამბების მოწყობასა და მუშაობაში ბოლშევიკებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მენშევიკი-პარტიელები.

არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკები ხშირად სარგებლობდნენ ლეგალური სტამბებით. მაგალი-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 4, საქ. 40, ფურც. 245.

[2] საქართველოს სსრ ცსა, 22, საქ. 504, ფურც. 10.

თად, ლეგალურ სტამბა „შრომაში“ იბეჭდებოდა თბილისის ბოლშევიკების გაზეთი „ბორბა“.

რეაქციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკების ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციური მოძრაობის საერთო დაქვეითების პირობებში ბოლშევიკური გამოცემები მასებს უნერგავდნენ რევოლუციის გარდუვალი გამარჯვების რწმენას, არწმუნებდნენ მათ არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობაში. „მრავალტანჯული სოციალ-დემოკრატია, — ნათქვამი იყო თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის 1910 წლის 23 იანვრის პროკლამაციაში, — მიუხედავად უამრავი „შინაგანი“ და გარეშე მტრებისა, ცოცხალია, როგორც ცოცხალია თვით პროლეტარიატი. იგი ვერ მოსპეს და არც შეეძლოთ მოესპოთ, როგორც ვერ მოსპობენ თვით პროლეტარიატს. მაშ ასე, დავირაზმოთ ამ პარტიის გარშემო, იგი გვიხელმძღვანელებს; ვემზადოთ იმ დღისათვის, როცა კვლავ აღდგება ყოვლისმძლე ხალხი და იერიშს მიიტანს თვითმპყრობელობის ტახტზე, ძალით გამოგლეჯს ბურჟუაზიას სასიცოცხლო უფლებებს და გაკაფავს გზას პროლეტარიატის საბოლოო მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ!“[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლაში ლიკვიდატორებთან და სხვა ოპორტუნისტებთან ლენინური ტაქტიკისათვის, არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არალეგალურ პერიოდულ პრესას. მიუხედავად საოლქო კომიტეტის გააფთრებული წინააღმდეგობისა, თბილისის ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ 1908 წლის ივნისში მოაწყეს ქართულ და რუსულ ენებზე არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა, რომელმაც ლენინური „პროლეტარის“ მაღალი შეფასება მიიღო[2]. რეაქციის წლებში ბაქოში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები „ბაკინსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი პროლეტარი“, „გუდოკ“, „ვოლნა“, „იოლდაშ“ („ამხანაგი“) და სხვები. ბაქო ამიერკავკასიის ერთადერთი ქალაქი იყო, სადაც რეაქციის წლებში იცემოდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ლენინური იდეების პროპაგანდაში. „ჩვენი გაზეთი „გუდოკი“, — იგონებდა გ. კ. ორჯონიკიძე, — ... ფაქტიურად ჩვენი ფრაქციის ორგანო — იმ დროს მთელ რუსეთში ქუხდა“[3]. 1910 წლის იან-

---

[1] შლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 192, ფურც. 2.

[2] Газ. «Пролетарий» № 34, 25 августа 1908 г.

[3] Газ. «Бакинский рабочий» № 95, 28 апреля 1924 г.

ვარში გამოსვლა იწყო. თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის არალეგალურმა ორგანომ „ტიფლისკი პროლეტარმა“ და მისმა დანართმა „ლისტოკ ტიფლისკოგო პროლეტარიამ“.

ბაქოს და თბილისის ბოლშევიკების არალეგალური და ლეგალური გაზეთები ინფორმაციას აწვდიდნენ პარტიულ მასებს იმაზე, თუ რა მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში, აცნობდნენ მათ პარტიის ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებებს, ვ. ი. ლენინის მითითებებს. ისინი ფართოდ ვრცელდებოდნენ მთელ ამიერკავკასიაში და მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ლენინური იდეების პროპაგანდაში, მუშათა მასების პოლიტიკურ აღზრდაში, მენშევიკ-ლიკვიდატორების ოტზოვისტებისა და მუშათა მოძრაობის სხვა რენეგატების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლაში.

ლიკვიდატორების ყველა ნაირსახეობასთან ბოლშევიკების პრინციპული ბრძოლა სულ უფრო არწმუნებდა რიგით მენშევიკებს ლენინური ორგანიზაციული და ტაქტიკური ხაზის სისწორეში, არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობაში. ისინი ემიჯნებოდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორებს და იჩენდნენ სურვილს ემუშავნათ ბოლშევიკებთან ერთად. ჯერ კიდევ რსდმპ V საერთორუსეთის კონფერენციის დროს დელეგატ-ბოლშევიკებისა და გაზეთ „პროლეტარის“ რედაქციის წევრების თათბირზე ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა ამ მოვლენას, ხოლო გაზეთ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის 1909 წლის ივნისის თათბირმა დასახა მენშევიკ-პარტიელებთან ორგანიზაციული ბლოკის შექმნის კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუწყო იმან, რომ გ. ვ. პლეხანოვმა პირი იბრუნა პარტიელობისაკენ.

პლეხანოვის ამ შემობრუნებამ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა რიგით მენშევიკებზე ამიერკავკასიაში, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ ლიკვიდატორობის წინააღმდეგ მისი ერთ-ერთი პირველი აშკარა გამოსვლა ამიერკავკასიელი ლიკვიდატორების ლიდერის ს. ვ. ჯიბლაძის გაკრიტიკება იყო. მოახსენებდა რა იმის შესახებ, რომ თბილისში ფართოდ გავრცელდა გ. ვ. პლეხანოვის სტატია „ოპორტუნიზმი, გათიშვა თუ ბრძოლა პარტიაში გავლენისათვის?“, რომელიც მიმართული იყო ლიკვიდატორების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა ს. ვ. ჯიბლაძის წინააღმდეგ, აგენტურა აუწყებდა ოხრანკას: „ამ წერილმა დიდი გავლენა მოახდინა თბილისის მენშევიკებზე“[1].

---

[1] ბოლშევიზმის ისტორიისათვის. წერილები და მასალები, გვ. 106.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებდნენ მენშევიკ-პარტიელებთან ორგანიზაციული ბლოკის ლენინურ ხაზს. ჯერ კიდევ 1909 წლის აგვისტოში რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში მომხდარ გათიშვასთან დაკავშირებით თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური პროკლამაცია, რომელშიც მოუწოდებდა „პარტიის ყველა ნამდვილ წევრს, განურჩევლად ფრაქციებისა, შეკავშირდნენ მის გარშემო“.[1] გაზეთი „ბაკინსკი პროლეტარი“ მიესალმებოდა მენშევიკ-პარტიელებთან გაერთიანების კურსს, და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თანამედროვე პირობებში „ასეთი გაერთიანება საჭიროა უფრო მეტად ვიდრე ოდესმეო[2]. ასეთსავე პოზიციას ადგა გაზეთი „ტიფლისკი პროლეტარი“. ახლა, — ნათქვამი იყო გაზეთის პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში, — უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ ჩვენ, რომლებიც უცვლელად დავრჩით პოსტზე — შევკავშირდეთ ერთიან და განუყოფელ პარტიულ ორგანიზაციად[3]. „ჩვენ ერთხელ კიდევ ვაძლევთ წინადადებას ადგილობრივ პლეხანოველებს, ნათქვამი იყო გაზეთის შემდეგ ნომერში, — ... რუსეთის ამხანაგების მაგალითისამებრ კავშირი გავწყვიტოთ ლიკვიდატორებთან და პარტიულ ნიადაგზე ვიმუშაოთ ბოლშევიკებთან ერთად“[4].

საკითხი მენშევიკ-პარტიელებთან დამოკიდებულების შესახებ არაერთხელ იქნა განხილული ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში და ყოველთვის მიღებული იყო გადაწყვეტილებანი მათთან გაერთიანების სასარგებლოდ. მაგალითად, თბილისის ორგანიზაციის 1909 წლის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „მენშევიკებს, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ლიკვიდატორებთან, რომლებიც ცნობენ ყველა პარტიულ დადგენილებას და ემორჩილებიან ამ დადგენილებებს, მზად არიან შემოვიდნენ ორგანიზაციაში არა დამანგრეველი მუშაობისათვის, არა იმისათვის, რომ შიგნიდან „ააფეთქონ“ იგი, არამედ პარტიული მუშაობისათვის, ასეთ მენშევიკებს კონფერენცია მოუწოდებს ერთიან ორგანიზაციაში ერთობლივი მუშაობისაკენ და თბილისის კომიტეტის გარშემო შეკავშირებისაკენ“[5].

ამასთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკები ულმობლად ამხი-

---

[1] ბოლშევიზმის ისტორიისათვის. წერილები და მასალები, გვ. 106.

[2] Газ. «Бакинский пролетарий» № 7, 27 августа 1909 г.

[3] Газ. «Тифлисский пролетарий» № 1, 5 января 1910 г.

[4] Газ. «Тифлисский пролетарий» № 2, 1 марта 1910 г.

[5] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტ. არქივი ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. ფურ. 189, ფურც.1.

ლებდნენ ტროცკისტებსა და სხვა შემარიგებლებს, რომლებიც ცდილობდნენ შეენიღბათ თავიანთი ლიკვიდატორობა „ცენტრიზმისა“ და „უფრაქციობის“ დროშით და ამ გზით მიეღწიათ ყველა და ყოველნაირ მიმდინარეობათა უპრინციპო გაერთიანებისა და შერიგებისათვის. თბილისის ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც 1909 წლის ნოემბერში გაიმართა, და ბაქოს ბოლშევიკებმა გადაჭრით დაგმეს რევოლუციონერებისა და ოპორტუნისტების ერთ პარტიაში ერთად ცხოვრების დამპალი ტროცკისტული „თეორია“.

მენშევიკ-პარტიელებთან ბლოკის ლენინურ ხაზს ამიერკავკასიაში სერიოზული წარმატებები ჰქონდა. ბაქოში, თბილისში და მხარის სხვა ქალაქებში იქმნებოდა გაერთიანებული პარტიული უჯრედები და ჯგუფები, იმართებოდა საერთო კრებები და კონფერენციები. მენშევიკ-პარტიელებს, რომლებმაც ლიკვიდატორებთან კავშირი გაწყვიტეს, ხალისით იზიდავდნენ სამუშაოდ პარტიულ ორგანიზაციებში, არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში და ა. შ. ზოგიერთი მათგანი შემდეგში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწე გახდა.

მენშევიკ-პარტიელებთან ორგანიზაციული ბლოკის ტაქტიკამ ხელი შეუწყო გამაერთიანებელი მოძრაობის გაძლიერებას იმ მენშევიკ მუშებშიც კი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი ლიკვიდატორულ ხელმძღვანელ ორგანოებთან და გადასულიყვნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. რიგითი მუშა-მენშევიკები სულ უფრო ენერგიულად მოითხოვდნენ რაიონული და საქალაქო ბოლშევიკური და მენშევიკური კომიტეტების გაერთიანებას. მაგალითად, 1909 წლის აგვისტოში ბაქოს მენშევიკი მუშების დიდი ჯგუფი, წინააღმდეგ ლიკვიდატორული ხელმძღვანელობის ნებისა, მოვიდა ბოლშევიკებთან საერთო კრებაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ და შექმნა კომისია ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის [1].

ბაქოს მენშევიკური „ხელმძღვანელი კოლექტივი“ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სრული მხარდაჭერით განაგრძობდა გამთიშველ ხაზს და ყველა ღონისძიებას იღებდა, რომ ჩაეშალა გაერთიანება. მაგრამ რეაქციის შემდგომ გაძლიერებასთან დაკავშირებით ბაქოში მთელი პარტიული ძალების გაერთიანება სულ უფრო აუცილებელი ხდებოდა. უკვე 1908 წლის ბოლოდან შესამჩნევი გახდა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის წევრთა რიცხვის მკვეთრად შემცირება ყველა ჯურის იმ წვრილბურჟუაზიულ თანამგზავრთა წასვლის გამო,

[1] Газ. «Бакинский пролетарий» № 7, 27 августа 1909 г.

რომლებიც პარტიაში მოვიდნენ რევოლუციის „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდში. განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება იყო მენშევიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც თავის დროზე ხელოვნურად გაიბერა ასეთი დროებითი თანამგზავრების ხარჯზე. თუ 1908 წლის გაზაფხულზე რსდმპ ბაქოს ორგანიზაციაში 3 ათასზე მეტი წევრი ირიცხებოდა, წლის ბოლოსათვის დარჩა 1200, 1909 წლის შემოდგომისათვის კი — 400, მათგან მენშევიკები სულ 100 იყო[1].

ასეთ პირობებში მენშევიკური „ხელმძღვანელი კოლექტივი“ იძულებული გახდა დათანხმებოდა ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის წინადადებას, რომ განეახლებინათ მოლაპარაკება გაერთიანების შესახებ.

რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის გაერთიანებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტისა და მენშევიკური „ხელმძღვანელი კოლექტივის“ ერთობლივ სხდომას 1910 წლის მარტში. სხდომამ მოისმინა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრის ვ. პ. ნოგინის მოხსენება, და მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ. ამასთან, გადაწყვეტილებაში ლაპარაკი იყო არალეგალური ორგანიზაციის შენარჩუნებისა და ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე. მაგრამ ახალ რეპრესიებთან და ჩავარდნებთან დაკავშირებით საბოლოო გაერთიანება 1911 წლის თებერვლამდე გაჭიანურდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების უმნიშვნელოვანესი ამოცანა რეაქციის წლებში იყო პარტიულ მშენებლობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური ორგანიზაციული პრინციპების შენარჩუნება და განმტკიცება. ამ ამოცანის შესრულება ძალიან ძნელდებოდა იმით, რომ რეაქციის მთელ პერიოდში არ არსებობდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, რომელიც ლიკვიდატორობის ბურჯს წარმოადგენდა, 1908 წლის შემდეგ აღარ გადარჩეულა და მხარის დიდი პარტიული ორგანიზაციების აზრს არ ასახავდა. ნაცვლად მაკოორდინირებული და წარმმართველი ცენტრის ფუნქციის შესრულებისა იგი, პირიქით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დეზორიენტაციას ახდენდა და მათი გადაწყვეტილებების საბოტაჟს ეწეოდა.

ასეთ პირობებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს უხდებოდათ ეძებნათ ურთიერთკავშირის სხვა ორგანიზაციული ფორმები და სა-

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 36, აღწ. I, დაცვ. ერთ. 27104. ფურც. 43; ფ. 558, აღწ. I, დაცვ. ერთ. 4516, ფურც. I.

შუალებები: პროკლამაციების, გაზეთებისა და სხვა ლიტერატურის გაცვლა, საერთო ღონისძიებების განხორციელება და ა. შ.

რეაქციის წლებში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ურთიერთკავშირის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ერთძანეთისადმი დახმარება ხელმძღვანელი კადრებით. მაგალითად, სამი თვის განმავლობაში — 1909 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე — თბილისისა და ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციებში დიდ მუშაობას ეწეოდა ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის წევრი პ. ა. ჯაფარიძე. იმავე წელს ბაქოდან თბილისში რამდენჯერმე ჩავიდა ი. ბ. სტალინი, რომელიც ხელმძღვანელობდა თბილისის ორგანიზაციის ნოემბრის კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებას. პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად სომხეთსა და საქართველოში ჩამოდიოდნენ ს. ს. სპანდარიანი, ს. გ. შაუმიანი და სხვ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ბევრი ღონისძიება იხმარეს კავკასიის საერთო ერთიანი პარტიული ცენტრის შესაქმნელად. თბილისის ორგანიზაციის 1909 წლის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიის ორგანიზაციები ამჟამად ფაქტიურად მოკლებული არიან ცენტრს, ვინაიდან საოლქო კომიტეტი თავის მოვალეობას არ ასრულებს: იგი არ ხელმძღვანელობს კავკასიის ორგანიზაციებს, არ აერთიანებს მათს საქმიანობას, არა აქვს სპეციალური ორგანო, არ უშვებს ფურცლებსა და ბროშურებს, სრულიად უყურადღებოდ ტოვებს ამიერკავკასიის საერთო საჭიროებებს და არ ასრულებს საერთო პარტიულ დადგენილებებს. იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას, კონფერენცია საჭიროდ თვლის მოწვეულ იქნას კავკასიის ყრილობა, რომელსაც შეუძლია შექმნას მოქმედი, ენერგიული საოლქო კომიტეტი“[1].

იყო აგრეთვე კავკასიის საერთო ბეჭდვითი ორგანოს შექმნის ცდები. ამ მიზნით თბილისის ორგანიზაციის ნოემბრის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება: „ბაქოს კომიტეტთან ერთად გამოიცეს ორგანო, რომელიც იხელმძღვანელებს პარტიული დადგენილებებით“[2].

მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდატორთა წინააღმდეგობის და ხშირ ჩავარდნათა გამო ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა საოლქო ცენტრისა და საერთო ბეჭდვითი ორგანოს შექმნაც კი ვერ მოახერხეს, ისინი ენერგიულად ცდილობდნენ მიეღწიათ პროლეტარული

---

1 შლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4. დაცვ. ერთ. 189, ფურც. 2.

2 იქვე.

ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელებისათვის როგორც ცალკეულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში, ისე თვითეული ორგანიზაციის შიგნითაც. პარტიული უჯრედები, აგრეთვე რაიონული და საქალაქო კომიტეტები, ყველგან იქმნებოდა ინტერნაციონალიზმის საწყისებზე. ბაქოს კომიტეტთან მრქმედებდნენ „ჰუმეთი“ და სომხური სექცია, აგრეთვე ლატვიური სექცია, რომელსაც სათავეში ედგა ი. ლენცმანი.

მაგრამ მეფის ხელისუფალთა მხრივ სასტიკი რეპრესიების გამო „ჰუმეთის“ საქმიანობა 1909 წლის მეორე ნახევარში თითქმის შეწყდა. ოხრანკის მძიმე დარტყმებისაგან „ჰუმეთი“ მთელი რიგი წლების განმავლობაში ვეღარ მომჯობინდა.

რეაქციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს კავშირი ჰქონდათ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, როსტოვის, კრასნოიარსკისა და შუა აზიის ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებთან. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი აღწევდნენ ამ ორგანიზაციებთან ერთად უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებას [1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განსაკუთრებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, პირადად ვ. ი. ლენინთან, მაგალითად, როგორც კი დამთავრდა თბილისის ორგანიზაციის 1909 წლის ნოემბრის კონფერენციის მუშაობა, მისი რეზოლუციები და თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის ანგარიში მაშინვე გადაეგზავნა ვ. ი. ლენინს. გაზეთებმა „პროლეტარმა“ (1909 წლის დეკემბერში) და „სოციალ-დემოკრატმა“ (1910 წლის აპრილში) გამოაქვეყნეს ცნობები ამ კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა შესახებ. გარდა ამისა, გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე და მის დამატებაში („საფიანსიო ფურცელში“) გამოქვეყნებული იყო ი. ბ. სტალინის „წერილები კავკასიიდან“, სადაც იგი მკვეთრად აკრიტიკებდა ამიერკავკასიელ ლიკვიდატორებს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები აქტიურად უჭერდნენ მხარს პარტიის ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას. მაგალითად, 1909 წელს ისინი ცოცხლად გამოეხმაურნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის შეკითხვას პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ. თავის რეზოლუციაში ბაქოს კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა საერთოპარტიული ყრილობის მოწვევის საჭიროება. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა ამ გადაწყვეტილებას, რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა იგი გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“. გაზეთი აღნიშნავდა ბაქოს ბოლშევიკების ენერგიულ ბრძოლას ლიკვიდატორებ-

---

1 ЦГАОР СССР, ფ. 00, 1909 წ., საქ. 5, ფურც. 3.

თან და შემარიგებლებთან და მიუთითებდა, რომ ბაქოს კომიტეტი „ეკუთვნის უდავოდ ყველაზე ცოცხალ და მოქმედ ორგანიზაციებს პარტიაში“[1].

ამრიგად, რეაქციის მძიმე პირობებში, მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტებთან, შემარიგებლებთან და სხვა ოპორტუნისტებთან შეურიგებელ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით, დიდი მუშაობა გასწიეს პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამ ძნელ ბრძოლაში იწრთობოდნენ პროლეტარული პარტიის ახალი კადრები, იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მტკიცე ლენინელები, რომლებიც არ დაიბნენ უაღრესად რთულ და მკაცრ პირობებში, შეურყეველად იცავდნენ ლენინიზმს, პარტიასა და პარტიულობას და ამით ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი გამარჯვებებისათვის.

2. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა იდეოლოგიის დარგში რეაქციის წინააღმდეგ

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაძლიერდა რეაქცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. რეაქციის შეტევა წარმოებდა იდეოლოგიურ ფრონტზეც. სასტიკი პოლიტიკური რეპრესიები და მძიმე ეკონომიური ჩაგვრა შეერთებული იყო რეაქციული ძალების იდეოლოგიურ ლაშქრობასთან. ამ ლაშქრობაში ჩაებნენ არა მარტო პირწავარდნილი მონარქისტები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები, არამედ წვრილბურჟუაზიული მჯღაბნელებიც, ყველა ჯურის ოპორტუნისტები. ისინი ცდილობდნენ ყველა საშუალება გამოეყენებინათ იმისათვის, რომ ელანძღათ მარქსიზმი და რევოლუცია, ექადაგნათ იდეალიზმი, ბნელეთისმოციქულობა, მონური მორჩილება ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინაშე.

რეაქციის ეს საერთო შეტევა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა პარტიას, რევოლუციის შემდგომ ბედს. საკითხს ისიც ართულებდა, რომ რუსეთში წვრილბურჟუაზიული სტიქია ჭარბობდა, და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას აქ თავის გასავრცელებლად რეალური ნიადაგი ჰქონდა მუშათა კლასშიც. „წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, როცა მუშათა პარტიაში მრავლად მოიპოვებიან წვრილბურჟუაზიული

[1] Газ. «Социал-демократ» № 12, 5 апреля 1910 г.

ინტელიგენტები, ლიბერალებისადმი პროლეტარიატის პოლიტიკური დამორჩილების ტენდენციას უაღრესად რეალური ფესვები აქვს"[1]. შემთხვევითი როდია, რომ კადეტების მიერ გამოცემული კრებული „ვეხი", რომელსაც ვ. ი. ლენინმა ლიბერალური რენეგატობის ენციკლოპედია უწოდა, მთელი რეაქციული ძალების იდეოლოგიური დროშა გახდა.

რეაქციის წლებში იდეურმა გახრწნამ რევოლუციურ წრეებშიც შეაღწია. სოციალ-დემოკრატიული პარტია არა მარტო ორგანიზაციული, არამედ აგრეთვე იდეურ-პოლიტიკური ხასიათის მძიმე კრიზისს განიცდიდა. რევოლუციის უოფილმა თანამგზავრებმა, არამტკიცე სოციალ-დემოკრატებმა კაპიტულაცია მოახდინეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე და ფილოსოფიაში რევიზიონისტულ პოზიციებზე დაეშვნენ. მენშევიკ-ლიკვიდატორები, ტროცკისტები და სხვა ოპორტუნისტები გამოდიოდნენ როგორც ბურჟუაზიის აგენტები მუშათა მოძრაობაში. რევიზიონისტები მარქსიზმის „გაუმჯობესებისა" და „გასწორების" საბაბით ცდილობდნენ გადაესინჯათ მისი ძირითადი დებულებანი, უარეყოთ მარქსისტული ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რის ნაცვლად გვთავაზობდნენ პირწავარდნილი იდეალიზმის, ნეოკანტიანელობის, ემპირიოკრიტიციზმის, „ღვთისმშენებლობის", „ღვთისმაძიებლობის" ეკლექტიკურ ნარევს. სწორედ ასეთი სახე ჰქონდა ვ. ა. ბაზაროვის, ი. ა. ბერმანის, ა. ა. ბოგდანოვის, პ. ს. იუშკევიჩის, ა. ვ. ლუნაჩარსკის, ს. ა. სუვოროვის სტატიების კრებულს „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების" სახელწოდებით, რომელსაც ვ. ი. ლენინი აღშფოთებით უწოდებდა „ნარკვევებს მარქსიზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ".

ამ პირობებში პირველ პლანზე წარმოდგა მარქსისტული ფილოსოფიის — ჩვენი პარტიის თეორიული საფუძვლის დაცვის საკითხები. „მიმდინარე მომენტი" რუსეთში სწორედ ისეთია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ მარქსიზმის თეორიულ მუშაობას, ამ მუშაობის გაღრმავებასა და გაფართოებას გვიკარნახებს... ჩვენი ქვეყნის მთელი ობიექტური მდგომარეობა. როდესაც მასები ითვისებენ უშუალო რევოლუციური ბრძოლის ახალსა და უმაგალითოდ მდიდარ გამოცდილებას, მაშინ თეორიული ბრძოლა რევოლუციური მსოფლმხედველობისათვის ე. ი. რევოლუციური მარქსიზმისათვის, დღის ლოზუნგი ხდება"[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 13. გვ. 66—67.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 15, გვ. 350—351.

მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების რევიზიის ცდებმა საკადრისი პასუხი მიიღო ბოლშევიკებისაგან. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაწარმოებს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელმაც არა მარტო დაიცვა მარქსისტული ფილოსოფია მახიზმისა და სხვა მოდური იდეალისტური „იზმების" წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ კიდევაც მოასწავებდა ახალ ეტაპს მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში. ვ. ი. ლენინმა მოიგერია მტრების იერიშები მარქსისტულ ფილოსოფიაზე, განაზოგადა უახლესი აღმოჩენები ბუნებისმეტყველების დარგში, დაუბუთა ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპი. მან ცხადყო, რომ მახისტული და სხვა ფილოსოფიური რევიზიონიზმი უკავშირდება რეაქციას პოლიტიკაში.

ოპორტუნისტების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსისტული მოძღვრება პარტიაზე როგორც მუშათა და ყველა მშრომელთა ხელმძღვანელ ძალაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარქსისტების ბრძოლა რევიზიონიზმის წინააღმდეგ შესავალია პროლეტარიატის დიდი რევოლუციური ბრძოლებისა მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლებისათვის.

ვ. ი. ლენინის წიგნმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" პარტიის თეორიული საფუძვლების სიწმინდე დაიცვა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მისი კადრების იდეურ განვითარებასა და გამოწრთობაში. ვ. ი. ლენინის მიერ ამ წიგნში განვითარებული აზრები, მისი თეორიული დებულებები სახელმძღვანელო გახდა მთელი პარტიისათვის, მათ შორის ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვისაც, სადაც იდეოლოგიურმა ბრძოლამ მწვავე ფორმები მიიღო.

რეაქციის პერიოდში ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ წლებში გამოდიოდნენ მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ, ყოველნაირად აქებდნენ პ. ბ. სტრუვეს, ს. ნ. ბულგაკოვის, ნ. ა. ბერდიაევისა და სხვა ბურჟუაზიულ ლიბერალთა ცდებს — „გაემდიდრებინათ" და „შეევსოთ" მარქსიზმი კანტის, კონტისა და სპენსერის სუბიექტიურ-იდეალისტური და პოზიტივისტური ფილოსოფიით. რეაქციის გამარჯვებამ ჩაუნერგა მათ სურვილი გაეძლიერებინათ იდეალიზმისა და მისტიციზმის პროპაგანდა. „ახლა, როგორც არასოდეს წინათ, — წერდა ქართული ნაციონალისტური გაზეთი „დროება", — საჭიროა დაეუპირისპიროთ მატერიალიზმს იდეალისტური აზროვნება" [1].

[1] გაზ. „დროება" № 2, 1909 წ. 2 იანვარი.

„იდეალისტური აზროვნების“ საუკეთესო ფორმად, რომელიც ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს უნდოდათ მატერიალიზმისათვის დაეპირისპირებინათ, მიჩნეულ იქნა მახიზმი. სუბიექტიური იდეალიზმის ამ სახესხვაობის ქადაგება ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, ისე როგორც მარქსიზმის სხვა მტრებს, პირველ რიგში იმისათვის სჭირდებოდათ, რომ დაემტკიცებინათ სოციალიზმის „ფილოსოფიური დაუსაბუთებლობა და არამეცნიერულობა“. მართლაც, თუ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, რომ საგარეო მატერიალური არ არის და რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი შეუცნობადია, აქედან ლოგიკურად გამოდის დასკვნა, რომ სოციალიზმი არ შეიძლება მეცნიერულად დავასაბუთოთ, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ეთიკური იდეალი, მიმზიდველი ოცნება და არა მეცნიერული თეორია.

მახისტური ფილოსოფია საუკეთესოდ შეესაბამებოდა აგრეთვე ბურჟუაზიული ნაციონალისტების პრაქტიკულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა არა ადამიანთა მატერიალური ინტერესები, არამედ იდეები, რომ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის არა კლასობრივ, არამედ ეროვნულ ბრძოლას. უარყოფდნენ რა კლასობრივი ინტერესების დაპირისპირებულობის პრინციპს და ფართოდ ეწეოდნენ რა „საერთო ნიადაგის“ თეორიის პროპაგანდას, ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ ანტაგონისტური კლასებისა და მათი იდეოლოგიების შერიგებისათვის, „საერთო“ იდეალებისათვის ბრძოლაში ერის ყველა სოციალური ფენის უპირინციპო გაერთიანებისათვის.

აი რატომ ამიერკავკასიის ბურჟუაზული ნაციონალისტები რეაქციის შემოტევის პირველივე დღეებიდანვე აქტიურად ჩაებნენ საერთო ლაშქრობაში მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 1908 წელს ქართული სოციალ-ფედერალისტების გაზეთ „ამირანში“ გაჩნდა მთელი რიგი სტატიები („მარქსისტული მეცნიერების მეტაფიზიკური სარჩული“, „მეცნიერება და სოციალიზმი“ და სხვ.), სადაც გესლიანად დასცინოდნენ მარქსიზმს, უწინარეს ყოვლისა მარქსისტულ ფილოსოფიას, უარყოფდნენ სოციალიზმის მარქსისტული თეორიის მეცნიერულობას. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერი ა. ჯორჯაძე კანტიანურ-მახისტული გნოსეოლოგიის პოზიციიდან აცხადებდა, რომ „არსებობს მხოლოდ ის, რაც ცდაში აღიქმება“, ჩვენი გონება კი „ვერ შეიცნობს მოვლენის არსს“. იგი მოითხოვდა უარი გვეთქვა მეცნიერული წინასწარხედვის ყოველ პრეტენზიაზე, სოციალიზმისათვის ბრძოლაზე და ხელი მოგვეკიდა ისეთი პრაქტიკული, ხელშესახები საქმეებისათვის, როგორიც არის

ეროვნული ავტონომია, კულტურა, ენა და ა. შ. ანარქიზმის საკმაოდ ცნობილი იდეოლოგი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი თავის მხრივ უარყოფდა დიალექტიკურ მატერიალიზმს და კაცობრიობის ბედიღბლის გადამწყვეტად თვლიდა ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებს. ისეთი ლიტერატორები, როგორიც იყვნენ ს. ავალიანი, მ. წერეთელი, ა. ჯაჯანაშვილი და სხვ. გამოდიოდნენ სუბიექტური სოციოლოგიის პოზიციებიდან და უარყოფდნენ ისტორიულ კანონზომიერებებს, „ისტორიული პროგნოზის“ შესაძლებლობას.

აზერბაიჯანელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები (ი. აშურბეკოვი, მ. ე. რასულზადე, მ. გ. გაჯინსკი, კ. ყარაბეკოვი, ა. კ. ქიაზიმზადე და სხვ.) თავგამოდებით იბრძოდნენ მარქსიზმისა და რევოლუციის წინააღმდეგ, გულმოდგინედ ქადაგებდნენ პანისლამიზმსა და პანთურქიზმს. პანთურქისტებიც ა. ჰუსეინზადე, გ. ს. აივაზოვი, აჰმედ ქამალი და სხვ. ხოტბას ასხამდნენ მახიზმსა და მალთუსიანელობას.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების გაზეთები „თაზე ჰაიათ“ („ახალი ცხოვრება)“), „ენი ფიიუთზათი“ („ახალი სიკეთე“) და სხვები ცილსა სწამებდნენ ბოლშევიკებს, მარქსისტულ მოძღვრებას, ქადაგებდნენ ფანატიზმს, რელიგიურ ბნელეთისმოციქულობას.

მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მახიზმის, ემპირიოკრიტიციზმის და სხვა მოდურ იდეალისტურ ფილოსოფიურ მოძღვრებათა პროპაგანდაში განირჩეოდნენ აგრეთვე დაშნაკები და სხვა ნაციონალისტები (ე. კუზიანი, ა. ოვანისიანი, მ. ოვანისიანი, ე. ფრანგიანი და სხვ.). მათ 1910 წელს ერევანში გამოსცეს მახისტური კრებული, რომელსაც ეწოდებოდა „მიტქ“ („აზრი“), სადაც ცამდე აჰყავდათ თავიანთი მასწავლებლები — მახი, ავენარიუსი, ბოგდანოვი და მიაჩნდათ, რომ „ემპირიომონიზმი აზროვნების თანამედროვე წესებიდან ყველაზე მეცნიერულია“. მარქსიზმს ისინი უპირისპირებდნენ სუბიექტურ იდეალიზმს, სოლიფსიზმს. განსაკუთრებულ სიტყვაუხვობას იჩენდა დაშნაკი ფილოსოფოსი ე. ფრანგიანი, რომელიც თავის ცრუმეცნიერულ „შრომებში“ („ემპირიოკრიტიციზმის ძირითადი დებულებებისათვის“, „პესიმიზმის ფილოსოფია“, „ზეკაცის ფილოსოფია“ და სხვ.) პროპაგანდას უწევდა რეაქციულ იდეებს და უწოდებდა მახს „მშრომელთა ინტერესების დამცველს“.

მახის მიმდევრებს, რომლებიც იდეალისტურად წყვეტდნენ ფილოსოფიის ძირითად საკითხს, მიაჩნდათ, რომ პირველადია სული და არა მატერია, და ობიექტის არსებობა განპირობებულია სუბიექტის

მიერ. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ თითქოს „მატერია მონაგონია“ და იგი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც „შეგრძნებათა კომპლექსი“[1].

როგორც მახი და ავენარიუსი, ისე მათი ამიერკავკასიელი ეპიგონები არა სცნობდნენ მატერიალური სამყაროს არსებობას უადამიანოდ. ისინი უარყოფდნენ აგრეთვე მიზეზობრიობას და საერთოდ კანონზომიერებას ბუნებასა და საზოგადოებაში. მათ ისტორია წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ყოველგვარ შემთხვევითობათა მექანიკური ჯამი, ისინი ზიზღით ლაპარაკობდნენ ხალხის მასებზე და ქადაგებდნენ „აქტიური გმირების“ და „პასიური ბრბოს“ რეაქციულ თეორიას. მახისტები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ დაენერგათ კლასობრივი მშვიდობა და მარადიული გაეხადათ ბურჟუაზიის ბატონობა მშრომელებზე.

ამრიგად, ამიერკავკასიაში ბურჟუაზიული ნაციონალისტები გამოდიოდნენ როგორც რეაქციული, იდეალისტური ფილოსოფიის თავგამოდებული მქადაგებლები. ისინი ცდილობდნენ გაებრუებინათ ხალხის მასები, ჩამოეშორებინათ ისინი კლასობრივი, რევოლუციური ბრძოლისაგან და მარადიული გაეხადათ მშრომელი მასების ექსპლოატაცია. საერთოდ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის მახიზმი გახდა ფრიად შესაფერი და ხელსაყრელი ფილოსოფია მათი რეაქციული პოლიტიკის გატარების საქმეში.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან ფილოსოფიურ დისკუსიაში ჩაება ამიერკავკასიის მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია. მაგრამ, ემყარებოდა რა მარქსისტული ფილოსოფიის ბერნშტეინისებურ გაგებას, იგი ფედერალისტებთან და მარქსიზმის სხვა მტრებთან ერთად უარყოფდა საზოგადოებრივ მოვლენათა დარგში მეცნიერული განჭვრეტის შესაძლებლობას[2]. ფედერალისტები არც თუ უსაფუძვლოდ ჩაეჭიდნენ ამას და აცხადებდნენ: ნ. ჟორდანია ჩვენი „თანამოაზრე აღმოჩნდაო“[3].

შემდეგში ამიერკავკასიის მენშევიკები სულ უფრო ექანებოდნენ ფილოსოფიური რევიზიონიზმის პოზიციებზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი მახიზმის აშკარა აღიარებამდე მივიდა. ჯერ კიდევ 1908 წელს თვალსაჩინო მენშევიკი პუბლიცისტი შვარცი (ახმეტელაშვილი) ამტკიცებდა, რომ მეცნიერების განვითარებაში მარქსისა და დარვინის შემდეგ მესამე დიდი ნაბიჯი გადადგა მახმა[4]. 1909 წელს სხვა

---

1 კრებული „მიტქ“, ერევანი, 1910, გვ. 277.

2 გაზ. „დასაწყისი“ № 6, 1908 წ. 9 მარტი.

3 გაზ. „ამირანი“ № 37, 1908 წ. 18 აპრილი.

4 გაზ. „ხომლი“ № 25, 1908 წ. 12 აგვისტო.

მენშევიკი პუბლიცისტი „ალ. ე-იანი“ აშკარად გამოვიდა მახის, ავენარიუსისა და ბოგდანოვის დასაცავად“[1].

გამოცდა ვერ დაძლიეს ცალკეულმა მერყევმა ბოლშევიკებმაც, რომლებიც მახისა და მისი რუსი მიმდევრების, კერძოდ ბოგდანოვის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. მაგალითად, ა. ს. სვანიძემ ქართულ ენაზე გამოსცა ბროშურა „ემპირიოკრიტიციზმი“, რომელშიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მარქსიზმს არ შეუმუშავებია თავისი ფილოსოფია და ამ ხარვეზის შევსება მახიზმით შეიძლება. მის კვალს გაჰყვა კ. მ. ცინცაძეც, რომელიც თვითონვე არ უარყოფდა, რომ იგი „ემპირიომონიზმმა“ გაიტაცა“[2].

ბოლშევიკების წინაშე დადგა გადაუდებელი ამოცანა — მოეგერიებინათ როგორც ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების, ისე ოპორტუნისტების თავდასხმები, ემხილებინათ მათი რევიზიონისტული და რეაქციული შეხედულებანი.

ბოლშევიკები მძაფრ ბრძოლას ეწეოდნენ მარქსიზმის მტრებისა და რენეგატების წინააღმდეგ. საქმეს განსაკუთრებით ვნებდნენ რევოლუციის დროებითი თანამგზავრები. თბილისელი ბოლშევიკები ამხილებდნენ ამ თანამგზავრებს და ერთ-ერთ თავიანთ პროკლამაციაში გულისწყრომით წერდნენ: „ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინანდელი მეგობარი, მუშათა საქმის ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინანდელი „დამცველი“ დღეს მტრების რიგებშია და უტიფრად აბუჩად იგდებს გატანჯულ მუშა-ხალხს. რევოლუციური ფრაზებით უბადრუკი მოლაყბენი, მუშათა კლასის წუთიერი მეგობრები, უბადრუკი ლაჩრები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ საბრძოლო მოწოდებას გაიძახოდნენ, ახლა უკვე მიიმალ-მოიმალნენ თავიანთ კაბინეტებში და ბოროტად გაჰყვირიან: ყველაფერს მიანებეთ თავი. ყველაფერი დაიღუპა, ბრძოლა წაგებულია, ელოდეთ ნასუფრალს“[3].

ბოლშევიკებს უხდებოდათ არა მარტო ებრძოლათ რეაქციის წინააღმდეგ, დაეძლიათ წარმოუდგენელი სიძნელენი არალეგალურ და ლეგალურ მუშაობაში, არამედ აგრეთვე გარკვევით გამიჯვნოდნენ ყოველგვარ ფსევდომეგობრებს. მაგრამ რა მძიმეც უნდა ყოფილიყო მუშაობის პირობები, ბოლშევიკები გამოდიოდნენ როგორც თანმიმდევრული მარქსისტები, სულ უფრო ფართოდ აჩაღებ-

---

1 გაზ. „ჩვენი საქმე“ № 3, 1909 წ. 7 თებერვალი.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14. აღწ. 5, დაცვ. ერთ. 451, ფურც. 45.

3 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 192, ფურც. 1.

დნენ ყოველმხრივ რევოლუციურ საქმიანობას, მათ შორის იდეოლოგიურ ფრონტზეც. ბაქოში, თბილისში, ერევანში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა გაცხოველებული ფილოსოფიური, სოციოლოგიური კამათი, რომელშიც ბოლშევიკები გამოდიოდნენ როგორც მეომარი მატერიალისტები. 1908 წელს ს. გ. შაუმიანი თავის ერთ-ერთ წერილში ბაქოდან იტყობინებოდა: „უნდა ითქვას, რომ ახლა აქ გაძლიერებულ ინტერესს ვიჩენთ ფილოსოფიისადმი, გულდასმით ვკითხულობთ დიცგენს, პლეხანოვს, ბოგდანოვს და სხვ.". იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ფილოსოფიური კამათი და საერთოდ იდეოლოგიური ბრძოლა დადებით შედეგს გამოიღებს. საბოლოოდ მიღწეულ იქნება „მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების უკეთ გაცნობა და... გაწმენდა ახალი „იზმებისაგან", რომლებსაც სურთ მარქსიზმის დამატება იყონ"[1].

ბაქოს ბოლშევიკებს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ვ. ი. ლენინთან მ. გ. ტოროშელიძის, მ. გ. ფილიას, მ. გ. ცხაკაიას და სხვების საშუალებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ს. გ. შაუმიანის მიწერ-მოწერა მ. გ. ცხაკაიასთან, რომელიც მაშინ შვეიცარიაში იმყოფებოდა. მ. გ. ცხაკაია ს. გ. შაუმიანის სახელზე ბაქოში გაგზავნილ თავის წერილებში ეხებოდა დიდი იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მთელ რიგ საკითხებს. ამ წერილებს რომ იღებდა, ს. გ. შაუმიანი თავის პარტიულ ვალად სთვლიდა გაეცნო ისინი დანარჩენი ამხანაგებისათვის[2].

ასეთი საფუძვლიანი განხილვის შემდეგ ბაქოს ბოლშევიკები მივიდნენ მტკიცე დასკვნამდე, რომ ოტზოვიზმს, მახიზმს და სხვ. საერთო არა აქვთ რა ბოლშევიზმთან, მარქსიზმთან. ისინი გმობდნენ ამ ანტიპარტიულ მიმდინარეობებს და მტკიცედ იცავდნენ ლენინურ პოზიციებს. „ჩვენ, — სწერდა ს. გ. შაუმიანი მ. გ. ცხაკაიას, — მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი ილიჩის პოზიციის სისწორეში და ვეკიდებით... დიდი უნდობლობით ემპირიომონიზმს და სხვ.". კვლავ უბრუნდებოდა ამ საკითხს ს. გ. შაუმიანი და იწერებოდა, რომ ბაქოს ბოლშევიკები გაეცნენ ბოგდანოვის „ემპირიომონიზმის" საკ ტომს და მეტად უარყოფითი აზრისა არიან მათ შესახებ. აკრიტიკებდა რა ბოგდანოვს, იგი აღნიშნავდა: „დღემდე მეტად უარყოფითი აზრისა ვარ. მისი დებულება ყოფიერებისა და ცნობიერების იგივეობის შესახებ, ჩემი აზრით, არღვევს მარქსის მთელ სისტემას"[3].

[1] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, стр. 268.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 286.

ბოლშევიკები განუხრელად იცავდნენ მარქსისტულ ფილოსოფიას — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფია იძლევა ისტორიის მეცნიერულ, მატერიალისტურ გაგებას. ხოლო რაც შეეხება ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ყველა თავისი „ახალი მიმართულებით", იგი განიცდის ღრმა კრიზისს, რომლის მკაფიო გამოვლინებაა ემპირიოკრიტიციზმი.

ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა მიიღო განსაკუთრებული რეზოლუცია „პროლეტარის" გაფართოებულ რედაქციაში უთანხმოებათა შესახებ, რომელშიც დაგმობილი იყო ოტზოვიზმი, ულტიმატიზმი, „ღვთისმშენებლობა" და ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ულმობელი ი დ ე უ რ ი ბრძოლა აღნიშნულ მიმდინარეობებთან, რომლებიც დაჯგუფებულია რედაქციის უმცირესობის გარშემო, წარმოადგენს პარტიული მუშაობის „ერთ-ერთ გადაუდებელ მორიგ ამოცანას"[1].

მაგრამ ვინაიდან ბაქოს კომიტეტს არა ჰქონდა საკმაოდ სრული ინფორმაცია ბოგდანოვის ფრაქციული, გამთიშველი მოქმედების შესახებ, იგი თავის რეზოლუციაში აღნიშნავდა, რომ არ ეთანხმება გაზეთ „პროლეტარის" რედაქციის უმრავლესობის ორგანიზაციულ ხაზს. პროტესტს აცხადებდა რა ბოგდანოვის ქცევის წინააღმდეგ, რომელმაც უარი განაცხადა დამორჩილებოდა რედაქციის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, ბაქოს კომიტეტს ამავე დროს არასწორად მიაჩნდა მისი გარიცხვა პარტიიდან[2].

ბურჟუაზიული ნაციონალისტების და მარქსიზმის სხვა მტრების მძაფრი თავდასხმებისაგან პროლეტარული იდეოლოგიის დაცვისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თითქმის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე. ისინი თავიდანვე მტკიცედ დადგნენ ლენინურ პოზიციებზე.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მ. ნ. დავითაშვილის ფილოსოფიური წერილები და ჩანაწერები, სადაც მოცემულია გაშლილი კრიტიკა მახისტური ფილოსოფიისა, კერძოდ ვინმე მახისტის „ნ. ო."-ს სტატიისა, რომელიც მიმართული იყო ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" წინააღმდეგ. მ. ნ. დავითაშვილი ამხილებს მახიზმის იდეალისტურ, ანტიმეცნიერულ არსს და პოპულარული ფორმით იძლევა ვ. ი. ლენინის წიგნის თითქ-

---

[1] Газ. «Бакинский пролетарий» № 7, 27 августа 1909 г.

[2] იქვე.

მის მთელ შინაარსს, იცავს მის დებულებებს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულება, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობადობა, პრაქტიკის როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის მნიშვნელობა, ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებულება, ფილოსოფიაში პარტიულობის პრინციპი და ა. შ.[1].

მარქსისტული ფილოსოფიის დასაცავად იმ პერიოდში გამოვიდა ა. ს. ენუქიძეც, რომელმაც გამოაქვეყნა სერია სტატიებისა სახელწოდებით „მეცნიერული საუბრები", სადაც მისაწვდომი ენით გადმოსცემდა მეცნიერული კომუნიზმის ზოგიერთ საკითხს.

რეაქციის წლებში მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდას ეწეოდნენ ს. ი. კასიანი, ს. გ. ოსეფიანი და ს. ს. სპანდარიანი, რომლებიც მთელი რიგი მკაფიო პუბლიცისტური სტატიებით გამოვიდნენ. ისინი მკვეთრად ამათრახებდნენ მახისტებს და სხვა რევიზიონისტებს, რომლებიც ცდილობდნენ დიალექტიკური მატერიალიზმი „მეცნიერული" პოზიტივიზმით შეეცვალათ.

ფ. ე. მახარაძემ 1909 წელს ქართულ ენაზე თარგმნა კ. კაუცკის შრომა „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება" და მისთვის დაწერა წინასიტყვაობა, რომელშიც ხაზს უსვამდა ისტორიის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ აღმოჩენილი მატერიალისტური გაგების უღიდეს მეცნიერულ და გამარევოლუციურებელ მნიშვნელობას. „ახლა, — წერდა იგი, — ჩვენ უკვე ვიცით, რა არის ისტორიული ცხოვრების საწყისი პუნქტი, ამ ცხოვრების წამყვანი ძალა: ეს არის საზოგადოების მატერიალური საფუძველი, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის წინააღმდეგობის საფუძველზე აღმოცენებული კლასობრივი ბრძოლა, ხოლო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარება ისტორიული აუცილებლობით მიგვიყვანს ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვებამდე"[2].

1911 წელს ერევნის გაზეთ „ნორ ძაინში" („ახალი ხმა") დაიბეჭდა ა. მელიქიანის რეცენზია ე. ფრანგიანის წიგნზე „ნ. კ. მიხაილოვსკი როგორც ფილოსოფოს-სოციოლოგი". ამ რეცენზიაში ა. მელიქიანმა მკაცრად გააკრიტიკა ფრანგიანის იდეალისტური შეხედულებანი და ცხადყო, რომ მისი ფილოსოფიური ქადაგება მახის.

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 417.
[2] История философии, т. V. М., 1961, стр. 373.

ავენარიუსის, ნიცშეს, შოპენჰაუერის, მიხაილოვსკისა და სხვ. რეაქციულ-იდეალისტური თეორიების ნარევია.[1]

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა განსაკუთრებით გააძლიერეს ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". 1909 წლის 19 მაისს გაზეთ „ბაკინსკიე ვესტი"-ში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის წიგნის დაწვრილებითი რეცენზია. რეცენზენტი მიესალმებოდა ლენინის გენიალური ნაშრომის გამოსვლას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენს „საუცხოო იარაღს იმ ფაფის წინააღმდეგ, რომლითაც უკანასკნელ ხანს უმასპინძლდებიან საშუალო რუს მკითხველს ჩვენი მახისტები, რომლებიც არასწორად გადმოსცემენ მახ—ავენარიუსს და სრულიად ამახინჯებენ მარქს—ენგელსის მოძღვრებას". რეცენზიაში აღნიშნული იყო: ვ. ი. ლენინის წიგნი „დიდ სარგებლობას მოუტანს" მარქსისტული მოძღვრების ყველა შემსწავლელს. მ. გ. ფილიამ 1910 წელს ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი ინტერესით სწავლობენ მის წიგნს და ამ წიგნის მიხედვით აჩაღებენ ენერგიულ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას.

რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები იყენებდნენ აგრეთვე სერიას გ. ვ. პლეხანოვის სტატიებისას „მებრძოლი მატერიალიზმი", რომლებიც ქართულ პრესაში 1909 წელს გამოქვეყნდა. პლეხანოვის ეს შრომა, რომელიც უმთავრესად ა. ა. ბოგდანოვის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვ .ი. ლენინმა ძირითადად დადებითად შეაფასა.

რეაქციის შემოტევა უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის სიმბოლისტები, დეკადენტები და სხვა „მოდური" მწერლები, როგორიც იყვნენ ლ. ანდრეევი, მ. არციბაშევი, ა. ბელი, თ. სოლოგუბი, ზ. გიპიუსი, დ. მერეჟკოვსკი, ი. აიჰენვალდი, რომლებიც ბოროტად სწამებდნენ ცილს რევოლუციას, მასებში კლავდნენ ადამიანისადმი რწმენას, აქებ-ადიდებდნენ ინდივიდუალიზმს, გარყვნილებას, გამცემლობას და სხვ.

დაცემულობისა და გახრწნის სულისკვეთებას აჰყვა აგრეთვე ამიერკავკასიის მწერლებისა და ლიტერატურული კრიტიკოსების ნაწილი (კ. აბაშიძე, ა. აჰარონიანი, ს. ზერგიარი, ჭ. ლომთათიძე, კ. მაყაშვილი, ა. მიუზნიბი, ა. მიუნირი, გ. რობაქიძე, ი. ტახირი, ყარა-დერვიში და სხვ.). თავიანთ ნაწარმოებებში ისინი აუგად იხსე-

---

1 გაზ. „ნორ ძაინ" № 8, 1911 წ. 20 ნოემბერი.

ნიებდნენ რევოლუციასა და კლასობრივ ბრძოლას, აიდეალებდნენ წარსულს, ქადაგებდნენ პესიმიზმს, ადიღებდნენ სუბიექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს.

ეწეოდნენ რა ულმობელ ბრძოლას რეაქციული კულტურის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ბოლშევიკები წარმატებით იყენებდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას იმისათვის, რომ მუშებსა და გლეხებში გაევრცელებინათ განმათავისუფლებელი იდეები, დემოკრატიული და რევოლუციური შეხედულებანი. მათი დახმარებით გაიზარდნენ ახალი ლიტერატორები, პროლეტარული მწერლები, რომლებიც სიყვარულით უმღერდნენ მშრომელი ხალხის იმედებს.

მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას მოახმარა მთელი თავისი ნიჭი სომხური პროლეტარული ლიტერატურის დამაარსებელმა აკოფ აკოფიანმა, რომელიც თავისი ნაწარმოებებით უნერგავდა ხალხს ძალასა და რწმენას, მოუწოდებდა მას გადამწყვეტი ბრძოლისაკენ:

შიშვილის ჩაგვრის, სულშემხუთავ საკანის გაელით,
მამაცად დარჩი სიმაღლით გამოკვეთილი,
თანამებრძოლო, საყვარელო ძვირფასო ძმაო,
შენ გამარჯვებას ხვალ მიაღწევ გამობრძმედილი.
ჩვენს ხვალინდელ დღეს ეხედავ ნათლად, ვადიდებ ახლა...
ჩვენს მომავალს, — ახლოს რომ დგასო.
მაშ, გვჯეროდეს და იმარჯვებდე, მუშათა კლასო!

ხალხის განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი, ჭეშმარიტად ხალხური ლიტერატურის მქადაგებელი იყო ნ. ნ. ნარიმანოვი, რომელიც თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში მრისხანედ ამხილებდა ექსპლოატატორულ წყობილებას.

დემოკრატიულ თავისუფლებებსა და რევოლუციურ იდეებს ემსახურებოდა ი. ეკდოშვილის (ხოსიტაშვილი), შ. ყურღინიანის, ჯ. მამედყული-ზადეს, მ. საბირის, ა. წერეთლის და სხვა პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებები.

ლიტერატურის საკითხებზე იდეოლოგიურ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები აშუქებდნენ არა მარტო ადგილობრივ მოვლენებს, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ ზოგად პრობლემებსაც. 1908 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“, ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში“ გამოქვეყნდა სტატია — „ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების მეოთხმოცე წლისთავისათვის“. ამ სტატიის ძირითადი აზრები თითქმის მთლია-

ნად ემთხვეოდა ლენინის დებულებებს მებრძოლი პროლეტარიატისათვის ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნავდა რა მწერლის შემოქმედების წინააღმდეგობრივ ხასიათს და პროლეტარიატისათვის მისი იმ ქადაგების მიუღებლობას, რომ ბოროტებას წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიოს ძალადობით, სტატია ხაზს უსვამდა, რომ მუშათა კლასს ტოლსტოი მაინც მიაჩნდა და მიაჩნია „თავისად", ყოველთვის „უაღრესი სიამოვნებით" კითხულობდა და წაიკითხავს „მის რომანებს. როცა გაძლიერდა ცილისმწამებლური გამოხდომები მ. გორკის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ამხილეს ამ გამოხდომების ავტორები და დაიცვეს დიდი პროლეტარული მწერალი. ს. გ. შაუმიანმა თავის სტატიაში „გორკის შესახებ" (1911 წ.) ცხადყო, რომ არა არის რა მოულოდნელი მ. გორკის წინააღმდეგ მუშათა კლასის მტრების „ჯვაროსნულ ლაშქრობაში", ვინაიდან იგი მუშების „საყვარელი ადამიანი" და „მგოსანია", „პროლეტარული ლიტერატურის მშვენებასა და სიამაყეს შეადგენს" და მუშებს შეუძლიათ განაცხადონ: „დიახ, გორკი ჩვენია! ის ჩვენი ხელოვანია, ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლია შრომის განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში"[1].

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის პროლეტარული პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს და ხელმძღვანელობდნენ ლენინური პრინციპებით, რეაქციის წლებში მრავალმხრივი საქმიანობა გააჩაღეს იდეოლოგიურ ფრონტზე. ისინი შეუპოვრად და უნარიანად იგერიებდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების თავდასხმებს, ამხილებდნენ ოპორტუნისტებს, რევიზიონისტებს, იცავდნენ კომუნისტური პარტიის თეორიულ საფუძველს — მარქსისტულ ფილოსოფიას.

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკები მასების რევოლუციური შეკავშირებისათვის ბრძოლაში

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი თანამგზავრების სრული იმედგაცრუება გამოიწვია. მრავალეროვანი ამიერკავკასიის პირობებში განსაკუთრებით სამარცხვინო როლს ასრულებდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები. რევოლუციის საქმე მათ სამუდამოდ დაღუპულად მიაჩნდათ. რევოლუციასთან ერთად, წერდა ქართველი სოციალ-ფედერალისტების ლიდერი

[1] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, стр. 317.

ა. ჯორჯაძე, თავისუფლებისადმი შემოქმედებითმა მისწრაფებამაც განიცადა დამარცხება.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა გააძლიერეს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ქადაგება, საზოგადოების ყველა კლასებს მოუწოდებდნენ გაერთიანებულიყვნენ და ეროვნული ავტონომიით შეეზღუდათ თავიანთი მოთხოვნები.

არსებითად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე დაეშვნენ მენშევიკი-ლიკვიდატორებიც. ნ. ჟორდანია პირდაპირ აცხადებდა: „საერთო ნიადაგის“ თეორია ჩემია; ა. ჯორჯაძემ იგი ჩვენგან გადაიღო და მიითვისა: თქვენ კი არა, ჩვენ ვადგავართ ამ თვალსაზრისზო“[1]. ყველა ჯურის ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ერთად მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ რევოლუცია დაღუპა სხვადასხვა კლასების, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის მოქმედების შეუთანხმებლობამ. ისინი მუშათა კლასს ურჩევდნენ ხელი აეღო რევოლუციურ ბრძოლაზე, ბურჟუაზიისათვის დაეთმო დემოკრატიული მოძრაობის ჰეგემონის როლი, დახმარებოდა მას კონსტიტუციის მოპოვებაში.

რეაქციის წლებში მენშევიკებმა თავი გამოამჟღავნეს როგორც მუშათა მოძრაობის ნამდვილმა დეზორგანიზატორებმა. მაგალითად. თბილისის ტრამვაის მუშათა მღელვარებებთან დაკავშირებით 1905 წლის ზაფხულში მენშევიკების საოლქო კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც მუშათა გამოსვლას აფასებდა როგორც „საზოგადოების ნაძირალების“ მიერ წამოწყებულ ტერორს. როგორც გაზეთი „ბორბა“ იუწყებოდა, მუშები ისე აღაშფოთა საოლქო კომიტეტის ქცევამ, რომ „ამ ფურცლებს წვრილ ნაფლეთებად ხევდნენ“[2].

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთშიც, მხოლოდ ბოლშევიკები დარჩნენ რევოლუციური დროშის, განმათავისუფლებელი ბრძოლის მაღალი იდეების ერთგულნი. შავი რეაქციის თარეში მათ მიაჩნდათ დროებით მოვლენად, რომელსაც გარდუვალად მოჰყვებოდა რევოლუციის ახალი აღმავლობა.

„დესპოტური მთავრობის სისხლიანმა ბრჭყალებმა, დამპალი წყობილების ყოვლისმომწამვლელმა სიმყრალემ, — ნათქვამი იყო ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის მიერ 1905 წლის 9 იანვრის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით გამოშვებულ პროკლამაციაში, — კვლავ მოწამლა საზოგადოებრივი ატმოსფერო, კვლავ მწუხარება

---

[1] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1911, გვ. 440.

[2] Газ. «Борьба» № 2—4, июль—октябрь 1908 г.

და ტანჯვა გვხვდა წილად. მაგრამ ნუ შეუშინდებით ამას, რჩეულებო! თქვენს მამაც გულს არაერთხელ გაუცამტვერებია აუტანელი ცხოვრების ასეთი გამოხდომები... გავიხსენოთ, ამხანაგებო, 9 იანვრის დიადი ლაშქრობა, გავიხსენოთ 1905 წლის დიადი დღეები, გავიხსენოთ და კვლავ თავდადებით ვეკვეთოთ ულმობელ მტერს, ახალი ძალითა და ენერგიით დავიწყოთ ბრძოლა აუტანელი ჩაგვრის წინააღმდეგ"[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მტკიცე რწმენა, რომ ახალი რევოლუციური აღმავლობა გარდუვალია, ემყარებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მეცნიერულ ანალიზს. მიმდინარე მომენტს, წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ტიფლისსკი პროლეტარი", ახასიათებს უწინარეს ყოვლისა ის, რომ საზოგადოების არც ერთი კლასი, გარდა მამულიანი თავადაზნაურობისა, კმაყოფილი არ არის შექმნილი მდგომარეობით. მუშებსა და გლეხებზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, „საქმის თანამედროვე მდგომარეობით" უკმაყოფილოა ბურჟუაზიაც კი, რადგან რევოლუციის შემდეგ მის ხელში ვერ მოხვდა მართვა-გამგეობის სადაოები. რეაქცია განსაკუთრებით ავიწროებს საზოგადოების დემოკრატიულ ფენებს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ცხოვრების ვანახლება აუცილებლად საჭიროა. მაგრამ ბურჟუაზიას რევოლუცია არ უნდა. იგი „გემრიელი ლუკმის" მიღებას კონტრრევოლუციის ხელიდან უფრო ამჯობინებს, ვიდრე რევოლუციის ხელიდან. „ამრიგად, — დაასკვნიდა გაზეთი, — თანამედროვე ცხოვრების განმაახლებელთა როლი ორი უმთავრესი კლასის — პროლეტარიატისა და გლეხობის წილად მოდის. ყველაზე მეტი ტვირთის ზიდვა მოუხდება პროლეტარიატსა და მის პარტიას"[2].

მომავალ რევოლუციაში პროლეტარიატისა და მისი პარტიის ავანგარდული როლის ეს მაღალი შეგნება ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შთააგონებდა რეაქციის წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის, დაუღალავი მუშაობის საწარმოებლად მასების რევოლუციური აღზრდისა და დარაზმვისათვის. ამ მიზნით ისინი ფართოდ იყენებდნენ როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ შესაძლებლობებს.

ხელმძღვანელობდნენ რა ლენინური ტაქტიკით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავ-

---

[1] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 190, ფურც. 1.

[2] Газ. «Тифлисский пролетарий», № 2, 1 марта 1910 г.

შირებით ჩაატარეს დიდი პოლიტიკური კამპანია და გამოიყენეს იგი მშრომელი მასების იდეური აღზრდისა და ორგანიზაციული დარაზმვის მიზნით.

სამი ივნისის საარჩევნო კანონმა, რომელიც გამსჭვალული იყო ანტიხალხურობით და დიდმპყრობელური შოვინიზმით, კიდევ უფრო შეკვეცა მშრომელი მასებისა და ჩაგრული ხალხების უფლებები. ბოლ ამიერკავკასიას უნდა აერჩია მხოლოდ 6 დეპუტატი, ამასთან ბაქოელ მუშებს ხმა უნდა მიეცათ სამი გუბერნიის მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ერთად. ამით მეფის მთავრობას უნდოდა ჩაეხშო ბაქოს პროლეტარიატის ხმა. საერთოდ, როგორც აღნიშნავდა ვ. ვ. ვოროვსკი, რუსეთის განაპირა მხარეები სათათბიროში იყვნენ „თითქოსდა სათათბირო ხმით და წარმოადგენდნენ სასურველი სათათბიროს შავრაზმულ-თავადაზნაურული უმრავლესობის ლამაზ ეთნოგრაფიულ დეკორაციას“[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამხილებდნენ სამი ივნისის საარჩევნო სისტემის რეაქციულ ხასიათს და მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს დარაზმულიყვნენ და ხმა მიეცათ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის კანდიდატებისათვის. ბაქოში, თბილისში, ერევანში და მხარის სხვა ადგილებში ერცელდებოდა რევოლუციური ფურცლები რუსულ, სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლებშიც განმარტებული იყო ბოლშევიკების ტაქტიკა სათათბიროს მიმართ.

არჩევნები სრული თვითნებობის პირობებში მიმდინარეობდა. დიდი სიძნელეების დაძლევით ბოლშევიკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, ბაქოში მუშათა კურიის რწმუნებულთა კრებამ, რომელიც 1907 წლის 22 სექტემბერს გაიმართა, აირჩია 4 ბოლშევიკი-ამომრჩევი და მიიღო ბოლშევიკების მიერ წარმოდგენილი განაწესი III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატებისათვის. განაწესში, საპარლამენტო ტაქტიკის ლენინური პრინციპების შესაბამისად, ნათქვამი იყო, რომ შავრაზმული სათათბირო ვერ მისცემს ხალხს ვერავითარ მონაპოვრებს, რომ „ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ — ეს არის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის გზა“[2].

არჩევნების უკანასკნელი ტური შედგა 1907 წლის ოქტომბერში ქ. ელიზავეტპოლში, სადაც ჩავიდნენ ამომრჩევები ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებიდან.

---

1 В. В. Воровский. Избранные произведения о первой русской революции, М., 1955, стр. 248.

2 Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 304.

ბაქოს კომიტეტის დავალებით ბოლშევიკ-ამომრჩევებთან ერთად ელიზავეტპოლში ჩავიდნენ ა. ა. მრავიანი და ს. გ. შაუმიანი, რომლებმაც ადგილობრივი ბოლშევიკების დახმარებით დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიეს.

მუშა-ამომრჩევებმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ა. არკერიანი, „სავსებით ჩამოყალიბებული ბოლშევიკი"[1]. მაგრამ დანარჩენმა ამომრჩევებმა (კადეტებმა, დაშნაკებმა, კაპიტალისტებმა, კულაკებმა და სხვ.) ბლოკი 'შეკრეს და სათათბიროში გაიყვანეს დაშნაკი ო. საღათელიანი, ეს, ს. გ. შაუმიანის თქმით, ყველაზე მემარჯვენე და ყველაზე უფერული, უვარგისი წარმომადგენელი.

თუმცა ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს სათათბიროში გაეყვანათ თავიანთი დეპუტატი, მაგრამ განვლილი კამპანია პროლეტარებისათვის ბრძოლის დიდი პოლიტიკური სკოლა იყო, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ბოლშევიკების კავშირი მშრომელ მასებთან. მენშევიკებმა კი ამ კამპანიაში თავი აჩვენეს როგორც ბურჟუაზიის აგენტებმა მუშათა მოძრაობაში: „ეს სოციალ-დემოკრატები კი არა, — წერდა გაზეთი „პროლეტარი", — უბრალოდ ლაქიები არიან"[2].

რეაქციის წლებში მეფის მთავრობა გადამწყვეტ ზომებს იღებდა რევოლუციური პროფესიული მოძრაობის წინააღმდეგ. პოლიციის დეპარტამენტისადმი 1907 წლის 10 მაისის, 27 ივლისის, 21 სექტემბრის, 14 ოქტომბრის და 1909 წლის 5 აპრილის ცირკულარულ მიწერილობებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღება ექცეოდა იმას, რომ „პროფესიული კავშირები ყველგან ფართოდ არის განვითარებული, მთავრობის საწინააღმდეგო პარტიები ყველგან ისწრაფვიან პროფესიული მოძრაობა გამოიყენონ იმ მიზნით, რომ მათგან შექმნან პოლიტიკური ორგანიზაციული ძალა არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ უთუოდ აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა ამ მოვლენასთან, რომელიც სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის ინტერესებს ემუქრება"[3]. პოლიციის დეპარტამენტი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა პროფკავშირების მხრივ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობის „ოდნავი გამოვლინების" დროსაც კი დაუყოვნებლივ დახურონ

---

1 Н. Колесникова. Массовики-подпольщики, М., 1935, стр. 11.

2 Газ. «Пролетарий» № 34, 25 августа (7 сентября) 1908 г.

3 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 10, საქმე 166, ფურც. 192.

ისინი 1906 წლის 4 მარტის კანონის საფუძველზე, ხოლო კავშირების აქტიური წევრები მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში[1].

ამიერკავკასიის მენშევიკები, რომლებიც დაჟინებით იცავდნენ პროფკავშირთა „ნეიტრალობის“ გაცვეთილ ოპორტუნისტულ თეორიას, რეაქციის წლებში თავიანთი ოპორტუნიზმით თავიანთ დასავლეთევროპელ მასწავლებლებსა და რუს კოლეგებზე შორს წავიდნენ. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები V ყრილობაზე (1908 წლის თებერვალი) მათ მთლიანად უარყვეს პარტიის ხელმძღვანელი როლი პროფკავშირების მიმართ და აიღეს კურსი პროფესიული მოძრაობის სრული ლეგალიზაციისაკენ. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მენშევიკი წარმომადგენელიც კი, რომელიც ყრილობას ესწრებოდა, იძულებული იყო გაეკრიტიკებინა ამიერკავკასიის მენშევიკების პოზიცია პროფესიული მოძრაობის მიმართ. „თქვენი ოპორტუნიზმი, — ამბობდა იგი, მიმართავდა რა ყრილობის მენშევიკურ უმრავლესობას, — რაღაც განსაკუთრებული, „ეშმარიტად თბილისურია“... თქვენი პოლიტიკა იმ შედეგებს იძლევა, რომ მუშები... ერთნაირი უნდობლობით უნდა უყურებდნენ ყველა პოლიტიკურ პარტიას: ბურჟუაზიულია იგი თუ პროლეტარული“[2].

ამიერკავკასიის მენშევიკების ლიკვიდატორული ხაზის თანმიმდევრული კრიტიკით გამოვიდნენ ყრილობის მხოლოდ ბოლშევიკი დელეგატები. პროფესიულ კავშირებს, ამბობდნენ ისინი, უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან და პარტიასთან. ხოლო ლეგალური კავშირების ნიადაგზე კლასობრივი ბრძოლის წარმოების სიძნელის გამო საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ არალეგალური კავშირები შეიქმნას იქ, სადაც ლეგალური კავშირები შეუძლებელია. კავშირების სიმტკიცისათვის საჭიროა ფაბრიკა-ქარხნებში პარტიულ უჯრედებთან ერთად ჩამოყალიბდეს პროფესიული უჯრედები... პარტიასა და კავშირებს შორის ორგანიზაციული კავშირი არა თუ არ შეასუსტებს და არ ჩაშლის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს და ნაყოფიერს გახდის მას[3].

პროფესიულ კავშირებზე გავლენისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შეუპოვარი ბრძოლა უხდებოდათ აგრეთვე დაშნაკებთან და სხვა ნაციონალისტურ პარტიებთან, რომლებიც ისწრაფვოდნენ გაეთიშათ პროფკავშირები ეროვნული ნიშნის მიხედვით. 1908 წლის

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 17. საქმე 5886. ფურც. 2.

2 Газ. «Борьба» № 2—4, июль—октябрь 1908 г.

3 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, ს. 21, ფურც. 77 — 78.

9 დეკემბერს თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა, რომ ამიერკავკასიის პროფესიულ კავშირთა ნაწილი დაშნაკების გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მათს „შემდგომ წარმატებას ამ მიმართულებით... ხელს უშლიან სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით უმრავლესობის ფრაქციები, რომლებიც... ეწევიან... მათთან შეუპოვარ ბრძოლას ხალხის მასების „კულტურული“ განათლების ნიადაგზე და თავიანთი პროგრამის უპირატესობის თვალსაზრისით“[1].

მეფის ხელისუფალთა მხრივ სასტიკი რეპრესიებისა და მენშევიკების, დაშნაკების და სხვა ნაციონალისტური პარტიების დეზორგანიზატორული საქმიანობის მიუხედავად, ამიერკავკასიის ბოლშევიკები შეუპოვრად ცდილობდნენ მიეღწიათ პროფესიული კავშირების განმტკიცებისათვის, მათ გარშემო რაზმავდნენ ხალხის ფართო მასებს.

რეაქციის წლებში განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა ბაქოში ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირი. ბოლშევიკების (ვ. ფ. ეფიმოვის (სარატოვეცის), მ. მ. მამედიაროვის, ვ. ფ. ტრონოვის, პ. ა. ჯაფარიძის და სხვ.) ხელმძღვანელობით ეს პროფკავშირი ნამდვილად მასობრივი მუშათა ორგანიზაცია გახდა და თავისი განყოფილებები ჰქონდა ქალაქის ყველა სარეწაო-საქარხნო რაიონში. 1908 წელს ამ კავშირის რიგებში 9 ათასამდე კაცი ითვლებოდა. კავშირის დახმარებით ბოლშევიკებმა ენერგიული სააგიტაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღეს. დიდი ყურადღება ეთმობოდა ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატის ინტერნაციონალურ დარაზმვას. ამას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა ის, რომ კავშირის პირველადი უჯრედები აგებული იყო საწარმოო პრინციპის მიხედვით და აერთიანებდნენ ნავთობის მრეწველობის ყველა დარგის და ყველა ეროვნების მუშებს.

კავშირის ავტორიტეტი მუშათა მასებში დღითიდღე იზრდებოდა. პ. ა. ჯაფარიძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირი თავისი აღმოცენებიდანვე გიგანტური ნაბიჯებით იზრდებოდა, მან უდიდესი გავლენა მოიპოვა ბაქოს მუშებზე. თითქმის არავითარი ავტორიტეტი არა ჰქონდა მექანიკური წარმოების მუშათა მცირერიცხოვან კავშირს, რომელიც მენშევიკების გავლენის ქვეშ იყო. შემთხვევითი როდი იყო, რომ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები მეფის ხელისუფლებთან ერთად პირველ რიგში სდევნიდნენ ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის აქტიურ მოღვაწეებს. ამასთან კავშირში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდ-

1 საქართველოს სსრ ცსა. ფ. 3. ს. 21. ფურც. 77.

ნენ ანარქისტულ-სინდიკალისტური ელემენტები ა. მ. სამარცევის (ი. პ. შიტიკოვის) მეთაურობით, რომლებიც პროფკავშირებს უპირისპირებდნენ პარტიულ ორგანიზაციებს, უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს და გამოდიოდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში პროფკავშირთა მონაწილეობის წინააღმდეგ. ბოლშევიკები ამ გამეიშველთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ. მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა რეაქციის შეტევა, მით უფრო სუსტდებოდა ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციების საქმიანობა. ასე. მაგალითად, 1909 წლის დასაწყისში ანარქო-სინდიკალისტური ელემენტები გაბატონდნენ კავშირის გაგეოებაში, ხოლო 1910 წელს კავშირის რიგებში სულ რამდენიმე ათეული წევრი დარჩა.

რეაქციის წლებში ბაქოს მუშათა შორის მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე მკერავთა და მექუდეთა პროფესიული საზოგადოება — „იგლა" („ნემსი"), ნოქრების, მეჩექმეების, მენავმზადეების, ხარაზების და სხვ. კავშირები. 1907 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე შეიქმნა ახალი პროფკავშირები: მებათქაშე და მძერწავი მუშების, კალატოზებისა და სხვ. ამ პერიოდში, ისევე როგორც წინათ, პროფკავშირები იბრძოდნენ მუშათა ინტერესებისათვის, წყვეტდნენ კონფლიქტებს საწარმოთა მფლობელებთან, შეძლებისამებრ აწყობდნენ საპედიცინო დახმარებას თავიანთი წევრებისათვის, იბრძოდნენ მუშათა სანიტარულ-საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, მუშებს შორის აწყობდნენ კულტურულ-აღმზდელობითს მუშაობას. ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ ამ კავშირებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

ბაქოს პროლეტარიატის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ აგრეთვე სარეწაო-საქარხნო კომისიები. თუმცა ისინი შექმნილი იყო მუშათა ეკონომიური ინტერესების დასაცავად, ბოლშევიკები წარმატებით იბრძოდნენ ამ კომისიების გადაქცევისათვის პროლეტარული მასების პოლიტიკური ორგანიზაციის დასაყრდენ პუნქტებად.

რეაქციის პერიოდში სარეწაო-საქარხნო კომისიების საქმიანობას ბაქოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნავთობის მრეწველობის მუშების კავშირთან, სახალხო სახლებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პარტიული რიგების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. 1907 წლის ზაფხულიდან დაისახა გარდატეხა ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის და სარეწაო-საქარხნო კომისიების ურთიერთობაში. მათ შო-

რის დამყარდა მჭიდრო კავშირი რევოლუციური ბრძოლის საერთო ინტერესების საფუძველზე. რეაქციის წლებში სარეწაო-საქარხნო კომისიები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ნობელის ფირმებში, სააქციო საზოგადოება „ელექტროძალაში“, კოკორევის სარეწებზე და სხვ. მუშათა ზეგავლენით ბევრ ფირმაში კაპიტალისტები იძულებული იყვნენ ოფიციალურად ეცნოთ მუშათა კომისიები. ნავთობის მრეწველობის მთელი რიგი მსხვილი საწარმოების ადმინისტრაციაც კი მუშებს იღებდა და ითხოვდა მხოლოდ სარეწაო-საქარხნო კომისიებთან შეთანხმებით.

ნობელის სარეწებზე გაფიცვის დროს 1908 წლის იანვარში, მირზოევისა და კომპანიის ნავთობის და სავაჭრო ამხანაგობის სარეწებზე გაფიცვის დროს 1908 წლის თებერვალში ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო სარეწაო-საქარხნო კომისიების უფლებათა დაცვა.

1908 წლის შუა ხანებიდან განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობოდა რეაქციის შეტევა ბაქოს ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატზე. ამან გავლენა მოახდინა სარეწაო-საქარხნო კომისიებზეც, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვნად გართულდა. მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. მთელ რიგ სარეწებსა და ქარხნებში კომისიები მუშაობას განაგრძობდნენ 1909 წელშიც.

1907 წლის ზაფხულში კომისიებმა ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირთან ერთად შეიმუშავეს ბაქოს მუშების პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები, მათ შორის მოთხოვნები რვა საათის სამუშაო დღის შესახებ, პროფესიული კავშირების, საქარხნო და სარეწაო კომისიების როგორც მუშათა წარმომადგენლობის ორგანოების ოფიციალურად ცნობის შესახებ და სხვ.

ბოლშევიკები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ორგანიზებული ბრძოლით. ეყრდნობოდნენ რა ბაქოს მუშათა რევოლუციური განწყობილების აღმავლობას, მათ დაიწყეს საყოველთაო გაფიცვის მომზადება და ყველაზე ხელსაყრელ დროდ გაფიცვისათვის მიიჩნიეს ზაფხული, როცა ვოლგაზე და კასპიის ზღვაზე ნავიგაციის მეოხებით ნავთობის გატანა მკვეთრად მატულობდა. ნავთობის მრეწველებმა, რომლებიც შეაშინა გაფიცვისათვის მზადებამ და გარდუვალმა დიდმა ზარალმა, წამოაყენეს მუშებთან მოთათბირების იდეა, რათა წვრილმანი დათმობებით ჩაეშალათ საყოველთაო გაფიცვა და საერთოდ ძირი გამოეთხარათ ბაქოს პროლეტარიატის ერთიანობისათვის. მეფის ხელისუფლებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი კაპიტალისტების

ამ განზრახვას. კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა თავისი თანაშემწე — საგანგებო დავალებათა მოხელე ჯუნკოვსკი დანიშნა შუამავლად მუშებსა და ნავთობის მრეწველებს შორის.

ბოლშევიკებმა მაშინვე ამხილეს ეს ვერაგული მანევრები და გამოიმუშავეს თათბირის აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა. სწორედ ამ ტაქტიკის სულისკვეთებით იქნა მიღებული გადაწყვეტილებანი ბალახნის, ბიბი-ეიბათის, თეთრი ქალაქის და შავი ქალაქის რაიონების პარტიულ კონფერენციებზე. მუშებმა მხარი დაუჭირეს ამ ტაქტიკას და თავიანთ კრებებზე გამოდიოდნენ თათბირის ბოიკოტისა და საყოველთაო გაფიცვის სასარგებლოდ. ასე, მაგალითად, ბალახნის და ბიბი-ეიბათის რაიონების მუშათა დელეგატების კრების რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ უარს ამ თათბირში მონაწილეობაზე და მოვუწოდებთ მუშებს გაძლიერებით განაგრძონ უკვე დაწყებული მუშაობა საყოველთაო გაფიცვის მოსაწყობად“[1]. ლოზუნგით „ძირს თათბირი, გაუმარჯოს ბრძოლას“ მუშათა უმრავლესობა იცავდა ბოლშევიკების ტაქტიკას.

ბაქოს მენშევიკები მხარს უჭერდნენ თათბირში მონაწილეობას და გამოდიოდნენ საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ. ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ, აჩვენებდნენ მასებს, რომ მენშევიკები არიან ნავთობის მრეწველი ბურჟუაზიის პირდაპირი ხელშემწყობნი, მისი აგენტურა მუშათა მოძრაობაში. ოხრანკის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ „ბოლშევიკების პარტიამ, მენშევიკების პროტესტების, მიუხედავად, გადაწყვიტა ბალახნის სარეწაო რაიონში მოაწყოს საერთო როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური გაფიცვა“[2]. მაგრამ საყოველთაო გაფიცვის მოწყობისათვის ხელსაყრელი ზაფხულის დრო ხელიდან იყო გაშვებული. მიუხედავად ამისა, მუშები ბოლშევიკების მეთაურობით ვერ დაიყოლიეს და, ისინი, განაგრძობდნენ ბრძოლას.

1907 წლის ნოემბერში დადგა საკითხი ახალი თათბირის შესახებ. ბაქოს პროლეტარიატის ორგანიზებულობამ ნავთობის მრეწველები და მეფის მოხელეები აიძულა წასულიყვნენ დათმობებზე და შეჰკითხოდნენ მუშებს, რა პირობებით შეეძლოთ მათ მისულიყვნენ თათბირზე.

შეცვლილი ვითარების, კერძოდ ნავიგაციის შეწყვეტის, გამო ბოლშევიკებმა ახალი ლოზუნგი წამოაყენეს: „თათბირი გარანტიებით ან არავითარი თათბირი!“ კონკრეტულად ეს ნიშნავდა, რომ მუ-

---

[1] Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 288.

[2] История Азербайджана, т. 2, стр. 642.

შები წავლენ თათბირზე, თუ მიეცემათ შესაძლებლობა: 1) თავისუფლად განიხილავდნენ თავიანთ მოთხოვნებს, რომლებმაც კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველი უნდა შეადგინონ; 2) თავისუფლად იწვევდნენ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშვალდებულ რწმუნებულთა საბჭოს; 3) სარგებლობდნენ თავიანთი პროფკავშირების მომსახურეობით; 4) თვითონ ირჩევდნენ თათბირის გახსნის დროს; 5) დადონ ერთიანი კოლექტიური ხელშეკრულება — წინააღმდეგ კაპიტალისტების მისწრაფებისა მენავთობე მუშები დაპყონ ამ თანრიგად (სარეწვების მუშები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები და ჭბურღავი მუშები) და დადონ საერთო სხვადასხვა ხელშეკრულება.

ამ ტაქტიკის განსამარტებლად ბოლშევიკებმა ფართო სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა და აგიტაცია გააჩაღეს: აწყობდნენ საუბრებსა და მოხსენებებს რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, უშვებდნენ ფურცლებს და სხვა ლიტერატურას.

მუშებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბოლშევიკების ტაქტიკას და წინააღმდეგობა გაუწიეს მენშევიკებს — „შენდრიკოველთა სახელგატეხილ მემკვიდრეებს“, რომლებიც ქადაგებდნენ „უსიტყვო მონაწილეობას“ თათბირში, აგრეთვე დაშნაკებსა და ესერებს, რომლებიც მოითხოვდნენ თათბირის „აუცილებელ ბოიკოტს“ და იყენებდნენ ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკას ბ. მ. კნუნიანცი ამხილებდა მენშევიკების, დაშნაკებისა და ესერების შემთანხმებლურ, ავანტიურისტულ პოლიტიკას. და წერდა, რომ „თათბირი პირმშოა ბაქოს მუშების ბრძოლისა უკანასკნელ წლებში“[1] და რომ მხოლოდ ბოლშევიკების ტაქტიკა აქცევს მას პროლეტარიატის ძალთა კლასობრივი დარაზმვის ერთ-ერთ ფორმად.

ნავთობის მრეწველები და მეფის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ბაქოს ორგანიზებული პროლეტარიატის შეტევის წინაშე. 1908 წლის იანვარ — თებერვალში შედგა მუშების რწმუნებულთა საბჭოს არჩევნები, ამასთან 395 არჩეულიდან 250 ბოლშევიკების ტაქტიკის მომხრე იყო. მალე მუშების რწმუნებულთა საბჭო მუშაობას შეუდგა და გამოიმუშავა ბაქოს პროლეტარიატის საერთო მოთხოვნები, აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელშიც ბოლშევიკებიდან შევიდნენ კ. მ. აღასიევი, ი. პ. ვაცეკი. ფ. ფ. კნიაზევი, მ. პ. მელნიკოვი, გ. დ. რთველაძე, ვ. ფ. ტრონოვი და სხვ. შემდეგში გ. კ. ორჯონიკიძე წერდა: „...იმ დროს, როცა მთელ რუსეთში შავი რეაქცია იყო გაბატონებული, ბაქოში სხდომებს მართავდა ნამდვილი მუშათა პარლამენტი. ამ პარლამენტში აშკარად

[1] Б. М. Кнунянц. Избранные произведения. 1903—1911 гг., стр. 115.

მუშავდებოდა ბაქოს მუშათა ყველა მოთხოვნა, ჩვენი ორატორები ვრცლად ეხებოდნენ მთელ ჩვენს პროგრამა-მინიმუმს"[1].

ნავთობის მრეწველებმა და მეფის ადმინისტრაციამ, რაკი დაინახეს, რომ ჩაიფუშა მათი გეგმა თათბირის მოწვევისა შენდრიკოვული ნიმუშის მიხედვით, კოლექტიური ხელშეკრულების დადების წინ საჩქაროდ ჩაშალეს თათბირი.

ამრიგად, ბაქოს ბოლშევიკებმა 1907 — 1908 წლებში წარმატებით ჩაატარეს სათათბირო კამპანიები და ცხადყვეს რევოლუციური საქმიანობის გაჩაღების ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების შესანიშნავი ნიმუში. სათათბირო კამპანიის მსვლელობაში ბოლშევიკები არა მარტო ფუშავდნენ მეფის მთავრობის და ნავთობის მრეწველთა გეგმებს, არამედ კიდევაც ამაღლებდნენ მუშათა პოლიტიკურ შეგნებულობას, რაზმავდნენ მათ და ამზადებდნენ აქტიური კლასობრივი ბრძოლებისათვის.

პროლეტარული ბაქოსაგან განსხვავებით პროფესიულ მოძრაობას თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ალექსანდროპოლსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში დიდი დაქსაქსულობა ახასიათებდა. მაგრამ რეაქციის საწყის პერიოდში იგი აქაც განაგრძობდა განვითარებას და მოიცავდა სულ ახალ ქალაქებს. „პროფესიული კავშირები საქართველოში, — ნათქვამი იყო თბილისიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში, — დიდ ორგანიზაციულ სიცოცხლისუნარიანობას იჩენენ. ალიხანოვებისა და გრიაზნოვების სამხედრო-საველე და საექსპედიციო ვაკქანალიამ ვერ ჩაახშო ფართო მასების მისწრაფება ორგანიზაციული მშენებლობისაკენ, ადგილობრივი მუშათა კავშირები, რომლებიც ლეგალური პოზიციებიდან იატაკქვეშეთში ჩარეკეს, ენერგიულ მუშაობას განაგრძობენ.... საქართველოში ძნელი სანახავია ისეთი დაბა, ქალაქი, სადაც კავშირის ჩანასახი არ იყოს"[2]. მარტო თბილისში 1907 წლის ნოემბრისათვის ითვლებოდა 34 პროფკავშირი (აქედან 24 არალეგალური), რომლებიც 10 ათას წევრს აერთიანებდნენ[3].

თბილისის ბოლშევიკებმა განიმტკიცეს პოზიციები მთელი რიგი უმსხვილესი პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში. მაგალითად, უკვე 1907 წლის ზაფხულში მათ უმრავლესობა მოიპოვეს სასადილოებისა და რესტორნების მუშაკთა პროფკავშირის „ხელმძღვანელ ბიუროში". ეს პროფკავშირი 2,5 ათასზე მეტ წევრს აერ-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 95. 28 апреля 1924 г.

[2] Газ. «Голос социал-демократа» № 3, март 1908 г.

[3] Газ. «Товарищ» № 420, 10 (23) ноября 1907 г.

თიანებდა[1]. წლის ბოლოსათვის ბოლშევიკები უმრავლესობას შეადგენდნენ აგრეთვე მბეჭდავების, ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკების, ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშების, პურის მცხობლების, დაბლების, ნოქრების, ფარმაცევტების და სხვ. პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში. ბოლშევიკების ხელში კვლავ რჩებოდა აგრეთვე უმუშევართა საბჭო.

თბილისის პროფკავშირები, რომლებიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, ენერგიულ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ, სათავეში ედგნენ მუშათა საგაფიცვო მოძრაობას, უშვებდნენ პროკლამაციებსა და სააგიტაციო ფურცლებს, აწყობდნენ არალეგალურ მიტინგებსა და კრებებს, ახორციელებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. მაგალითად, სასადილოებისა და რესტორნების მუშაკთა პროფკავშირმა 1907 წლის 15 ოქტომბრიდან 1908 წლის 15 იანვრამდე თბილისში მოაწყო სამთვიანი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

1908 წლის თებერვალში თბილისის მუშებმა მიაღწიეს იმას, რომ ქალაქის სამმართველომ მიიღო დადგენილება ყველა სახელოსნოში 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ[2].

1907 წლის მეორე ნახევარში საქართველოში პროფესიული მოძრაობის სერიოზულ წარმატებებს მოწმობს აგრეთვე პროფკავშირთა საქალაქო „ცენტრალური ბიუროების" შექმნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და სიღნაღში. 1907 წლის 11 სექტემბერს თბილისში გაიმართა თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის პროფკავშირთა „ცენტრალური ბიუროების" წარმომადგენელთა თათბირი. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებები პროფკავშირთა ამიერკავკასიის ყრილობის მოწვევის შესახებ, ამიერკავკასიის საერთო პროფკავშირული ბეჭდვითი ორგანოს შექმნის შესახებ და სხვ.

მაგრამ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა გააძლიერეს მუშაობა პროფკავშირული მოძრაობის „ევროპეიზაციისათვის". მათ პროფკავშირების უმრავლესობას თავს მოახვიეს გადაწყვეტილება „დაუყოვნებლივი ლეგალიზაციის" შესახებ და ამით რეაქციას გაუადვილეს ბრძოლა მათი ლიკვიდაციისათვის. უკვე 1908 წლის აპრილში ქუთაისში აღარ იყო აღარც ერთი ლეგალური მუშათა პროფკავშირი[3].

---

1 გაზ. „ახალი ქვეყანა". № 10, 1907 წ. 26 აგვისტო.

2 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 29, ს. 488, ფურც. 97.

3 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, ს. 222, ტ. 3, ფურც. 5.

შემოდგომისათვის ლიკვიდირებულ იქნა აგრეთვე პროფკავშირების უმრავლესობა თბილისსა და სხვა ქალაქებში. „რეაქციამ, — წერდა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი", — განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი თბილისში... მრავალი პროფესიული კავშირიდან, რომლებიც შეიქმნა 4 მარტის კანონის საფუძველზე, აღარც ერთი ან თითქმის არც ერთი პროფკავშირი არ დარჩენილა... დაპატიმრებები, ჩხრეკა, ჯარიმები, გადასახლება — აი თბილისის ცხოვრების ჩვეულებრივი ქრონიკა"[1].

მაგრამ რეაქციას არ შეეძლო მთლიანად ჩაეხრჩო პროფკავშირული მოძრაობა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. არალეგალური კავშირები კვლავ განაგრძობდნენ ენერგიულ ბრძოლას ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

შედარებით სუსტი იყო პროფკავშირული მოძრაობა სომხეთში. მაგრამ რეაქციის წლებში აქაც ზოგიერთ ადგილებში მაინც მოქმედებდნენ პროფესიული კავშირები. მაგალითად, ალექსანდროპოლში მოქმედებდა ორი პროფკავშირი. ერევნის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1908 წლის მარტში ამის შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის საპოლიციო ნაწილის საგანგებო განყოფილებას აუწყებდა: „აგენტურის ცნობებით, ქ. ალექსანდროპოლში პროფესიულ კავშირებად გაერთიანდნენ ნოქრები 200-მდე კაცი და სტამბის მოსამსახურეები 30-მდე კაცი"[2]. ამ პროფკავშირებში აქტიურ როლს ასრულებდნენ ბოლშევიკები ა. ა. ვართანიანი, ვ. ა. ხაჩატრიანი, ა. გ. შაგინიანი.

პროფკავშირების საკითხში ამიერკავკასიის ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ პროფკავშირები ეროვნული ნიშნის მიხედვით შეექმნათ და ისინი თავიანთი გავლენისათვის დაემორჩილებინათ. სწორედ ამას ესწრაფვოდნენ დაშნაკები, სოციალ-ფედერალისტები და სხვები. მათ რომ ამხილებდნენ, ბოლშევიკებმა ცხადყვეს: მხოლოდ კლასობრივი, ინტერნაციონალური პრინციპია ერთადერთი სწორი პროლეტარული ორგანიზაციების, მათ შორის აგრეთვე პროფკავშირების შექმნის საქმეში.

რევოლუციურ საქმიანობაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები იყენებდნენ ისეთ ლეგალურ შესაძლებლობებსაც, როგორიც არის კლუბები, სახალხო სახლები, ბიბლიოთეკები, საღამოს კურსები, საგანმანათლებლო და კოოპერაციული დაწესებულებანი და სხვ. ბა-

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 5—6, 20 сентября 1908 г.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, ს. 21, ფურც. 44.

ქოში მათ ჩამოაყალიბეს მუშათა თვითგანათლების საზოგადოება „ცოდნა ძალაა“, რომელსაც თავისი განყოფილებები ჰქონდა ბალახანაში, სურახანაში, შავ ქალაქში და ბიბი-ეიბათში. მუშაობდნენ სახალხო სახლები, სადაც მუშები ისმენდნენ ლექციებსა და საუბრებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო თემებზე. ამ დაწესებულებათა მუშაობაში ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდნენ მ. ა. აზიზბეკოვი, ი. ი. ანაშკინი, ბ. მ. კნუნიანცი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ბ. მ. სარდაროვი, ს. ს. სპანდარიანი, ს. გ. შაუმიანი და სხვა ბოლშევიკები.

თბილისში ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს სახალხო უნივერსიტეტში და ზუბალოვის სახალხო სახლში, სადაც ისინი აწყობდნენ მოხსენებებს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე, მართავდნენ სპექტაკლებს და ახორციელებდნენ სხვა ღონისძიებებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მუშების რევოლუციურ აღზრდაში თუ პირველ ხანებში სახალხო უნივერსიტეტი მთლიანად მენშევიკების, ფედერალისტებისა და დაშნაკების ხელში იყო, 1908 წლის ზაფხულში ბოლშევიკებმა მოახერხეს მისი გამგეობის შემადგენლობაში თავიანთი წარმომადგენლები გაეყვანათ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულად მუშაობდნენ აგრეთვე სახალხო აუდიტორიებში, დრამატულ წრეებში, უმუშევართა სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში და სხვ. ერევანში ბოლშევიკები „სასარგებლო ცოდნათა გავრცელების საზოგადოების“ აბრით კითხულობდნენ ლექციებს სოციოლოგიისა და ლიტერატურის საკითხებზე[1].

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რევოლუციური საქმიანობით შეშფოთებული მეფის ხელისუფალნი მოითხოვდნენ: „პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდისაკენ მათი გადახრის შემთხვევაში მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები თვით ამ საზოგადოებათა დახურვამდე“[2].

რეაქციის პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკები სხვადასხვა ლეგალურ ყრილობებსაც იყენებდნენ. მაგალითად, ბაქოს წარმომადგენელი, თვალსაჩინო ბოლშევიკი ვ. ფ. ეფიმოვი (სარატოველი) მონაწილეობას იღებდა ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა ყრილობის მუშაობაში მოსკოვში და თავის მკაფიო სიტყვაში წამოაყენა რევო-

---

1 ძველი ბოლშევიკების მოგონებანი, წიგნი I, ერევანი, 1958 (სომხურ ენაზე), გვ. 112.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი. ფ. 8, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 183, ფურც. 141.

ლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნები მუშათა საკითხში. ბაქოს მუშათა წარმომადგენლები 1909 წელს მონაწილეობდნენ აგრეთვე ალკოჰოლის საწინააღმდეგო ყრილობაში მოსკოვში და მხარი დაუჭირეს მუშათა ჯგუფის რეზოლუციებს, რომლებიც გმობდნენ ალკოჰოლიზმს და მის წარმომშობ ექსპლოატატორულ წყობილებას.

რეაქციის მძიმე პირობებში აპიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულად იბრძოდნენ სხვადასხვა ლეგალური ორგანიზაციების მოპოვებისათვის, მათ გარშემო რაზმავდნენ ხალხის ფართო მასებს. ამ გზაზე ისინი წარმატებით ძლევდნენ არა მარტო რეაქციის გააფთრებულ შემოტევას, არამედ მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგობასაც. „გათიშვა მეკეტსა და ბეკეტს შორის, — ნათქვამი იყო 1909 წლის 4 ოქტომბერს თბილისიდან საზღვარგარეთულ ბოლშევიკურ ცენტრში გაგზავნილ წერილში, — მეტად მწვავე ფორმებს იღებს ლეგალური ორგანოების დაუფლების ნიადაგზე. ბეკეტი უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ ამისათვის"[1].

ბოლშევიკები წარმატებით უხამებდნენ ერთმანეთს არალეგალურ და ლეგალურ მუშაობას და იყენებდნენ ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმებს მშრომელი მასების დასარაზმავად, მათი რევოლუციური გამოსვლების მოსაწყობად. რევოლუციური მოძრაობის საერთო დაქვეითების მიუხედავად, მეფის ხელისუფლებმა მაინც ვერ შეძლეს დაემყარებინათ თავიანთვის სასურველი „მშვიდობა", და კლასობრივი ბრძოლა ამ პერიოდში არ შეწყვეტილა, არამედ „სულ ახალ და მით უფრო მკაფიო სახეს იღებს"[2].

მეფის რეაქციის ღამის წყვდიადში კაშკაშა ალივით ენთო ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა. ბაქოში რეაქციამ შეძლო მორეოდა მუშებს უფრო გვიან, ვიდრე რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ბაქოს პროლეტარიატი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ შეუპოვარ არიერგარდულ ბრძოლებს ეწეოდა. 1907 წლის 19 სექტემბერს ნავთობის მრეწველთა დაქირავებულმა აგენტებმა ვერაგულად მოკლეს რსდმპ ბიბი-ეიბათის რაიონული კომიტეტის და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „ჰუმეთის" აღმასრულებელი ბიუროს წევრი ჰანლარ საფარალიევი, რომელმაც მოაწყო ნაფტალანის საზოგადოების მუშათა წარმატებით დამთავრებული გაფიცვა. ასეთი ტერორისტული აქტებით კაპიტალისტები ცდილობდნენ დაეშინებინათ პროლეტარიატი და შეეჩერებინათ რევოლუ-

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 377. აღწ. 13, დაცვ. ერთ. 36540.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 31, გვ. 14.

ციური მოძრაობა, მაგრამ მათი ცდები ამაო აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა ამხილეს მეპატრონეთა ეს საზიზღარი ფანდები და ვერაგული მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოაწყეს ორდღიანი საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც 10 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა. „ჩვენ მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ, რომ ჰანლარი მარტო არ არის, — ნათქვამი იყო პარტიის ბიბი-ეიბათის რაიონული კომიტეტის მიერ იმ დღეებში გამოშვებულ ფურცელში, — რომ ყოველი მოწინავე მუშის უკან დგას მრავალათასიანი მასის არმია, რომელიც მზად არის მკერდით დაიცვას თავისი ამხანაგები — ბელადები“[1].

ჰანლარ საფარალიევის ლაკრძალვა ბოლშევიკებმა გადააქციეს მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად ბურჟუაზიისა და ცარიზმის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა მუშამ — ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატის წარმომადგენლებმა. მათ სიძულვილით დაასვეს სამარცხვინო დაღი საზიზღარ მკვლელობას და ცხადყვეს თავიანთი მზადყოფნა შეუპოვრად განეგრძოთ რევოლუციური საქმე, რომელსაც სიცოცხლე შესწირა თავდადებულმა მებრძოლმა.

1907 წლის 22 ნოემბერს ბაქოში მოეწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა მუშამ. იგი მიმართული იყო II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გასამართლების წინააღმდეგ. ბოლშევიკები ამხილებდნენ მეფის ხელისუფალთა აღვირახსნილ თვითნებობას და მოუწოდებდნენ მუშებს ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწიათ რეაქციისათვის.

ბაქოში საგაფიცვო ტალღა ახალ სიმაღლეზე ავიდა 1908 წელს, როცა მუშები გამოდიოდნენ უფრო ორგანიზებულად, დარაზმულად და წმინდა ეკონომიური მოთხოვნებიდან გადადიოდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებზე. რსდმპ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარდა მშრომელთა საპირველმაისო დღესასწაულთან შეფარდებული საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც „ბაქოს პროლეტარიატმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი სოლიდარობა საერთაშორისო რევოლუციურ პროლეტარიატთან და თავისი უნარი გაფიცვების მოწყობისა, თავისი მზადყოფნა ბრძოლისათვის, მიუხედავად მოზეიმე რეაქციის მთელი თავხედობისა და ბურჟუაზიის თავაწყვეტილი შემოტევისა“[2].

---

[1] Листовки бакинских большевиков 1905—1907 гг., стр. 300

[2] Газ. «Бакинский пролетарий» № 4, 15 мая 1908 г.

1908 წელს პროლეტარული ბაქო მუდამ იმყოფებოდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში. წლის განმავლობაში ბაქოში მოეწყო 228 გაფიცვა. ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ“ წერდა: „1908 წელს იმ გუბერნიების სათავეში, სადაც გაფიცულთა მნიშვნელოვანი რიცხვი იყო, დგას ბაქოს გუბერნია 47 ათასი გაფიცულით. მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის უკანასკნელი მოჰიკანები!“[1].

შემდგომ წლებში, რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მუშათა მოძრაობამ იკლო ბაქოშიც. ამას ბევრ რამეში უწყობდნენ ხელს ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც მეფის ხელისუფალთა საამებლად წინააღმდეგობას უწევდნენ ბაქოს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ შეკავშირებას. ბოლშევიკები გადაჭრით გმობდნენ ამ გამთიშველ პოლიტიკას და იბრძოდნენ სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთიან ინტერნაციონალურ ფრონტად შეკავშირებისათვის. 1909 წლის მარტში გამოშვებულ ბოლშევიკურ პროკლამაციაში „ქალაქ ბაქოს ყველა მუშას“, ნათქვამი იყო: „მუშების ძალას შეადგენს მათი სოლიდარობა, მათი ერთობლივი ბრძოლა ეროვნებისა და ტომის განურჩევლად ექსპლოატატორი მეპატრონეების წინააღმდეგ... ამხანაგებო! გაერთიანებული ინტერნაციონალური კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ასეთივე გაერთიანებული და ინტერნაციონალური ბრძოლა. საერთაშორისო სოციალდემოკრატიის მიერ აღმართული წითელი დროშა უწინარეს ყოვლისა მოუწოდებს ყველა მუშას ერთიანობისა და ძმობისაკენ, ეროვნებისა და ტომისაგან დამოუკიდებლად“[2].

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ბაქოს ბოლშევიკებმა საპირველმაისო გაფიცვა მოამზადეს და მოაწყეს 1909 წელსაც. მათ გამოსცეს სპეციალური ფურცელი, რომელიც მუშებს მოუწოდებდა გამოსულიყვნენ ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, 8 საათიან სამუშაო დღეს!“ იმავე წელს გაფიცვები გაიმართა აზერბაიჯანის სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. მაგალითად, ქედაბეკის სპილენძსადნობ ქარხანაში მუშები 1909 წლის აგვისტოში ორჯერ გაიფიცნენ.

ბაქოს პროლეტარიატის გმირული რევოლუციური გამოსვლები შთააგონებდნენ მთელი ამიერკავკასიის მშრომელებს, რომლებიც, საშინელ სიძნელეთა მიუხედავად, დაუცხრომლად იბრძოდნენ სამი ივნისის რეჟიმის წინააღმდეგ. ბოლშევიკები უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ამ ბრძოლას. ისინი მასებს განუმარტავდნენ, რომ,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 16, გვ. 502.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, ს. 22, ფურც. 221.

რაც არ უნდა მძიმე იყოს ბრძოლის პირობები, რეაქცია მარადიული არ არის და მალე დადგება პერიოდი მძაფრი რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მოჰყვება სოციალიზმის გამარჯვება. მიმართავდნენ რა მუშებს, თბილისის ბოლშევიკები ერთ-ერთ პროკლამაციაში წერდნენ: „ამხანაგებო! თქვენ ხედავთ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით, რა საშიშროებანი გვემუქრება! ერთი მხრივ მთავრობა, მეორე მხრივ ბურჟუაზია, რომელსაც მთავრობა უმაგრებს ზურგს. ორივე უნდა მოვსპოთ. უნდა დავამყაროთ დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ შემდეგ უფრო მხნედ გავეშუროთ სოციალიზმისაკენ"[1].

რეაქციის წლებში მუშათა მოძრაობა საქართველოში დაქვეითების პერიოდს განიცდიდა, მაგრამ მაინც არა წყდება. განსაკუთრებით დიდი ეკონომიური გაფიცვები ხდებოდა თბილისში. 1907 წლის შემოდგომაზე გაიფიცნენ აზარიანცის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკა „მირ"-ის, ალექსანდროვის სამკერვალო სახელოსნოს მუშები; 1908 წელს გამოვიდნენ სტამბის მუშები; 1909 წელს მღელვარება იყო იარალოვის ქარხანაში, ტრამვაის მუშებს შორის, ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში და სხვ.

გაზეთი „ტიფლისსკი პროლეტარი", ანალიზს უკეთებდა რა საგაფიცვო ბრძოლის გაკვეთილებს, მოუწოდებდა მუშებს დარაზმულიყვნენ ბოლშევიკების გარშემო და ეწარმოებინათ ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლა: „მომავალი ჩვენ გვეკუთვნის! მაშ ვემზადოთ. შევკავშირდეთ და ნათელი იმედით შეხმატკბილებულად, ხელიხელჩაკიდებულებმა გავწიოთ წინ"[2].

გაფიცვები ხდებოდა აგრეთვე ბათუმში, ჭიათურაში, ფოთში და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში, სადაც თამბაქოს ფაბრიკების, მარგანეცის მაღაროების, ხე-ტყის სახერხი და ზეთსახდელი ქარხნების, რკინიგზის სადგურებისა და შტოების, საზღვაო ნავსადგურების მუშები მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას, უფასო სამედიცინო დახმარებას და სხვ.

ბოლშევიკები რეაქციის წლებში მოუწოდებდნენ მუშებს და ყველა მშრომელთ სულით არ დაცემულიყვნენ, ემზადებინათ ძალები ორგანიზებული გამოსვლებისათვის. მაგალითად, რსდმპ ბორჩალოს კომიტეტმა სამი ივნისის გადატრიალებასთან დაკავშირებით გამოუშვა ფურცელი, რომელშიც ნათქვამი იყო: „რევოლუციური ბრძოლისათვის საჭიროა დავირაზმოთ და უფრო მჭიდროდ შევა-

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 192.

2 Газ. «Тифлисский пролетарий» № 1, 5 января 1910 г.

კავშიროთ რევოლუციური რიგები: მარტო რევოლუციის გზით შეძლებთ დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნები. ამიტომ მოდით დავირაზმოთ, ამხანაგებო"[1].

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" ალავერდელი კორესპონდენტი, აღწერდა რა კატორღულ შრომას სპილენძის მაღაროებში და მიმართავდა რა მუშებს, წერდა: „მხოლოდ შეკავშირება, დარაზმვა შეძლებდა ყოველივე ამის შეცვლას, დამონებული მასების გამხნევებას, მათს გულში ენერგიის მომატებას"[2].

სომხეთის მუშათა გამოსვლები რეაქციის წლებში მეტწილად ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ არსებითად მიმართული იყო სამი ივნისის რეჟიმის წინააღმდეგ. აქტიურად იბრძოდნენ ალავერდისა და კაფანის სპილენძის მაღაროების მუშები, ალექსანდროპოლისა და ყარსის რკინიგზელები, ერევნის სტამბის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მოითხოვდნენ 8 საათის სამუშაო დღეს. ხელფასის გადიდებას, საკალდებულო ყოველწლიურ შვებულებებს და სხვ.

მუშათა რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო მაისობანი, რომლებიც რეაქციის წლებში არალეგალურად იმართებოდა. მაგალითად, 1909 წელს ბაქოდან ჩასული ბოლშევიკი მუშების (ა. მ. მარტიროსიანის, მ. ც. მანუჩარიანის და სხვ.) ინიციატივით კაფანში გაიმართა მაისობა, რომელზეც მუშები რევოლუციური სიტყვებით გამოვიდნენ[3].

მუშათა გამოსვლებს ერთვოდა გლეხთა მღელვარებანი. თუმცა მაზრების უფროსებს ნაბრძანები ჰქონდათ „აკრძალონ ყოველივე წერილობითი და სიტყვიერი აგიტაცია, რომლის მიზანია ჩააბას მოსახლეობა აგრარულ მოძრაობაში"[4], მაგრამ მეფის ხელისუფლებმა ვერ შეძლეს ჩაეხშოთ გლეხთა მასების ბრძოლა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზანგეზურელ გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა 1908 წლის ზაფხულში. გლეხთა ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კაფანის სპილენძის მაღაროების ბოლშევიკი მუშები. „თუ მთავრობას არ უნდა წაართვას მიწა მემამულეებს და მოგვცეს იგი ჩვენ, გლეხებს, — ამბობდნენ ისინი, — ძალით უნდა წავართვათ იგი... მაშ გავერთიანდეთ და გავრეკოთ მემამულეებიც და პოლიციის მოხელეებიც"[5].

---

1 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 33, დაცვ. ერთ. 391, ფურც. 1.
2 Газ. «Бакинский рабочий» № 15—16, 24 октября 1908 г.
3 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 34, დაცვ. ერთ. 6, ფურც. 2.
4 სომხეთის სსრ ცსია, ფ. 103, ს. 83, ფურც. 46.
5 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 34, დაცვ. ერთ. 6, ფურც. 76.

ადგილობრივმა ხელისუფლებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს იმისათვის, რომ ჩაეხრჩოთ გლეხთა გამოსვლა. 1909 წლის 30 ივლისს მათ სცადეს ძალით ჩაეხშოთ გამოსვლა ს. ბაშკენდში. მაშინ ფეხზე დადგა არა მარტო მთელი ბაშკენდი, არამედ მეზობელი მაღაროებისა და სოფლების ასობით მუშა და გლეხიც: ხანჯლებით, კეტებითა და რკინის წნელებით შეიარაღებულნი, ისინი გაეშურნენ ბაშკენდელთა საშველად. მხოლოდ პოლიციელთა სპეციალურად გამოძახებული დამატებითი ძალების დახმარებით შეძლეს ხელისუფლებმა „დაემშვიდებინათ" აჯანყებულნი და დაეპატიმრებინათ მოძრაობის წინამძღოლები. ბოქაული ხანხოისკი ამის გამო დაწერილ მოხსენებითს ბარათში ზანგეზურის მაზრის უფროსს აუწყებდა: „ძლივს შევძელი ამბოხებული გლეხების დამშვიდება, მაგრამ თუ ზემოხსენებული პიროვნებები გამოჩნდებიან ჩემდამი რწმუნებულ უბანში, ვეღარ ვაგებ პასუხს უბნისათვის პოლიტიკური მხრივ. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება ჩემდამი რწმუნებული უბნიდან ან ამიერკავკასიის ტერიტორიიდან მათი გასახლების შესახებ და მისცეთ ისინი კანონიერ პასუხისგებაში"[1].

აჯანყების დაპატიმრებულ ხელმძღვანელებს დიდხანს სასტიკად აწამებდნენ გორისა და ელიზავეტპოლის საპყრობილეებში, და მხოლოდ მეტეხის ციხეში სიკვდილმა იხსნა ისინი არაადამიანური ტანჯვა-წამებისაგან.

კაფანის აგრარული მოძრაობა მკაფიო მაგალითია მუშათა და გლეხთა კავშირის გამოვლინებისა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

გლეხებს შორის აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს ბოლშევიკები. ისინი მართავდნენ არალეგალურ კრებებს, აწყობდნენ მოხსენებებსა და საუბრებს, ავრცელებდნენ ფურცლებსა და პროკლამაციებს, რომლებშიც მოუწოდებდნენ მშრომელ გლეხებს ეწარმოებინათ ორგანიზებული კლასობრივი ბრძოლა. მაგალითად, ბოლშევიკურ პროკლამაციაში „გლეხობას" ნათქვამი იყო: „რევოლუცია ცოცხლობს, იმიტომ რომ გლეხობას არა აქვს მიწა, მუშას — შრომის გაუმჯობესებული პირობები, 8 საათის სამუშაო დღე და ა. შ., რევოლუცია ცოცხლობს, რადგან რუსეთის მთავრობა არა თუ არ ცდილობს განუკურნოს პროლეტარიატსა და გლეხობას ძძიმე წყლულები", არამედ უფრო მეტად უღიზიანებს მათ"[2].

აგრარული მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო საქართვე-

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 23, ს. 758, ფურც. 22.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 3, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 193.

ლოს გორის, ახალციხის, სიღნაღის, თელავის მაზრებში, სადაც გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მემამულეებსა და მეფის ხელისუფალთ, ხოცავდნენ ყველაზე საძულველ თავადებს. სოფლებში ზედა თმოგვსა და კორდში გლეხებმა ხელთ იგდეს მემამულეთა მიწები. მეფის ხელისუფლებმა მხოლოდ შეიარაღებული ძალების დახმარებით შეძლეს გასწორებოდნენ „მოძალადეებს“.

ბოლშევიკები სულ უფრო აძლიერებდნენ გლეხთა შორის მუშაობას აზერბაიჯანშიც. ელიზავეტპოლის მაზრაში განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ბოლშევიკები მ. გ. მელიქიანი, კ. მ. აღასიევი და სხვები, რომლებიც გლეხებს განუმარტავდნენ — მიწისა და თავისუფლების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ აქტიური კლასობრივი ბრძოლით შეიძლებაო. ასეთსავე აგიტაციას ეწეოდა ბოლშევიკი ბ. მ. სარდაროვი, რომელიც 1908 წელს ჩავიდა კარიაგინოს ნაზრაში, რისთვისაც ერთ-ერთი კულაკი დაემუქრა: „აქ ბაქოური სენი არ შემოიტანოთ, თორემ იცოდეთ, ცუდად წაგივათ საქმე“. რეაქციის წლებში გლეხთა მღელვარებას ადგილი ჰქონდა ჯევანშირის, ელიზავეტპოლის, შემახის, შუშის და სხვა მაზრებში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობის სფეროს გარეთ არც მოსწავლე ახალგაზრდობა დარჩენილა. შეიქმნა მარქსისტული წრეები, რომლებშიც ახალგაზრდობა რევოლუციურ ლიტერატურას სწავლობდა.

თბილისში ბოლშევიკებმა მოახერხეს გაეერთიანებინათ მოსწავლეთა მარქსისტული წრეები ერთიან ორგანიზაციად, რომელიც ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობდა. „თბილისში , — აცნობებდა აგენტურა ოხრანკას 1910 წლის 27 სექტემბერს, — არსებობს მოსწავლეთა ორგანიზაცია, რომელსაც თავისი კომიტეტი აქვს... ორგანიზაციის ყველა წევრი რწმენით ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატია“[1].

ბოლშევიკები სათავეში ედგნენ მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ გამოსვლებს ბაქოში, თბილისში, ერევანში და მხარის სხვა ქალაქებში. ერევნის ვაჟთა გიმნაზიაში ენერგიულად მუშაობდა ბოლშევიკი გ. ა. ათარბეგოვი (გ. ა. ათარბეკიანი), რომლის აქტიური მონაწილეობით 1910 წლის 26 იანვარს გაიმართა გიმნაზიის მოსწავლეთა გაფიცვა-დემონსტრაცია. მოსწავლეთა ხანგრძლივ გამოსვლას ადგილი ჰქონდა ერევნის ეპარქიალურ სასწავლებელში. იგი დაიწყო 1907 წლის ნოემბერში და გრძელდებოდა 1908 წლის

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 4, ს. 40, ფურც. 464.

იანერამდე. მოსწავლეები ერთსულოვნად გამოვიდნენ სასწავლებელში დამყარებული მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მეფის არმიაშიც. სხვადასხვა ნაწილების ჯარისკაცთა შორის ვრცელდებოდა არალეგალური გაზეთები „გოლოს კაზარმი", „დრუგ სოლდატა", რევოლუციური ფურცლები და სხვ. თბილისის კომიტეტთან კვლავ მოქმედებდა სამხედრო ორგანიზაცია, რომლის აქტიური წევრები იყვნენ ბოლშევიკები ს. ი. ბაგდატიევი, ი. დავთიანი, ა. კ. ელბაქიძე და სხვ. ეს ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწეოდა თბილისის გარნიზონში და სხვა სამხედრო ნაწილებში. თბილისის დამცველი განყოფილების უფროსის პატაკში ნათქვამი იყო: „დანაშაულებრივ პროპაგანდას თბილისის გარნიზონის ჯარებში ამჟამად მნიშვნელოვანი წარმატება აქვს, და უახლოეს მომავალში ჯარები არა თუ აღარ შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის დასაყრდენად, არამედ ზოგიერთი ნაწილი აშკარად გადავა რევოლუციური ორგანიზაციების მხარეზე. პროპაგანდას ყველაზე მეტად აყოლილი არიან სპეციალური დანიშნულების ჯარების ნაწილები"[1].

ბოლშევიკები დიდ დახმარებას უწევდნენ ირანის 1905—1911 წლების რევოლუციასაც, რომელმაც რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით იფეთქა. თავიანთ პროკლამაციებში და არალეგალურ პრესაში ისინი აშუქებდნენ ირანის მშრომელთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, გამოთქვამდნენ თავიანთ ინტერნაციონალურ სოლიდარობას ირანელი რევოლუციონერებისადმი. მაგალითად, სტატიაში „რევოლუცია ახლო აღმოსავლეთში", რომელიც ბოლშევიკურ გაზეთ „ბორბაში" დაიბეჭდა, აღნიშნული იყო, რომ ირანის რევოლუციის გაღრმავებისას „ქვეყანაში, რომელიც „მარგალიტის შადრევანთან" თვლემდა, მოგვესმება მხნე და გაბედული მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", და პროლეტარიატის საერთაშორისო ოჯახის წიაღში შემოვლენ ბეჩავთა და ჩაგრულთა სულ ახალი და ახალი კადრები. და ჩვენ, როგორც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ჩვენს სოციალისტურ სალამს ვუთვლით სპარსელ ხალხს და ვუსურვებთ რევოლუციის სრულ გამარჯვებას"[2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ირანის რევოლუციონერების-მუჯაჰიდების მასობრივი ორგანიზაციების შექმნას, ქმნიდნენ მოხალისეთა რაზმებს, შოულობდნენ იარაღს, გზავნიდნენ ირანში რევოლუციურ ლიტერატურას და სხვ.

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 36, ს. 35, ფურც. 8.

[2] Газ. «Борьба» № 2—4. июль—октябрь 1908 г.

ყველა ამ ღონისძიების ორგანიზაციასა და განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა ირანელ რევოლუციონერთა დამხმარე კომიტეტებს, რომლებიც ბაქოსა და თბილისში შეიქმნა და რომლებსაც სათავეში ედგნენ მ. ა. აზიზბეკოვი და ნ. ნ. ნარიმანოვი. რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად პარტიულმა ორგანიზაციამ ირანში გაგზავნა მ. ა. აზიზბეკოვი. ირანის რევოლუციაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის მუშათა ასობით წარგზავნილნი, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ირანელი ხალხის თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში დაღუპულთა შორის იყვნენ ბოლშევიკები მ. ბ. ახუნდოვი, ვ. ტ. ბაქრაძე და სხვ.

ირანის რევოლუციაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის გ. კ. ორჯონიკიძეს. იგი, 1909—1910 წლებში იმყოფებოდა ირანში, მან დიდი პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა, ქმნიდა ინტერნაციონალურ კლუბებს, ავრცელებდა ფურცლებს, გაზეთებს და სხვ. გ. კ. ორჯონიკიძე ირანიდან დაუკავშირდა ბოლშევიკურ ცენტრს პარიზში. ვ. ი. ლენინისადმი 1910 წლის 4 ივლისის წერილში იგი იტყობინებოდა: „სპარსეთში ფიქრობენ შეუდგნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას“[1].

ამრიგად, რეაქციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა უმაგალითო სიძნელეთა გადალახვით გაცხოველებული საქმიანობა გააჩაღეს და მამაცურად იბრძოდნენ მშრომელთა რევოლუციური შეკავშირებისათვის.

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, ტ. 1, თბილისი, 1957, გვ. 2.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში

(1910 — 1914 წლები)

I. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში. მასებში რევოლუციური განწყობილების ზრდა

სტოლიპინელობის ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად თვითმპყრობელობისა და გაბატონებული კლასების ყველა ცდისა, სამი ივნისის გადატრიალების უკვე სამი წლის შემდეგ გამოჩნდა მოახლოებული ახალი რევოლუციური აღმავლობის ნიშნები. აღმავლობა წინასწარ განსაზღვრული იყო ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პირობების ერთობლიობით.

რევოლუციური მოძრაობის თანდათანობით ზრდა მიმდინარეობდა იმ სამრეწველო აღმავლობის ვითარებაში, რომელმაც ამიერკავკასიის მრეწველობის მთელი რიგი დარგებიც მოიცვა. აქ მნიშვნელოვნად გადიდდა სპილენძის წარმოება, მან 1912 წელს რუსეთის იმპერიაში მთელი მისი გამოდნობის დაახლოებით 31,5 პროცენტი შეადგინა. ჰიათურის მარგანეცის მადნის მოპოვებამ, მიუხედავად ბუდობების დამუშავების შინამრეწველური წესისა და ჩამორჩენილი მოწყობილობისა, 1913 წელს მიაღწია 56,3 მილიონ ფუთს, ანუ მთელი მსოფლიო წარმოების 40-მდე პროცენტს. მოპოვებული მადანი ძირითადად საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში 1911—1913 წლებში 66,7 პროცენტით გადიდდა და 4,2 მილიონი ფუთი შეადგინა[1].

ამავე დროს ამიერკავკასიის მრეწველობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიც ნავთობის მრეწველობა იყო კვლავ დეპრესიის მდგომარეობაში რჩებოდა. ნავთობის მოპოვებამ 1913 წელს

[1] სტატისტიკური კრებული. 1909—1921. თბილისი. 1923. გვ. 49—50.

468 მილიონი ფუთი შეადგინა, ნაცვლად 1910 წლის 502 მილიონი ფუთისა. შემცირდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების პროდუქციაც.

უმსხვილესი მონოპოლისტური გაერთიანებანი — რუსეთის ნავთობის გენერალური კორპორაცია („ოილ"), ძმათა ნობელების ამხანაგობა და ნავთობის კომპანია „შელი", რომლებმაც თავიანთ ხელში მოუყარეს თავი რუსეთში ნავთობის მოპოვების 60 პროცენტს, აფერხებდნენ წარმოების ზრდას და ტექნიკურ პროგრესს ნავთობის მრეწველობაში. ცდილობდნენ რა მიეღწიათ მაქსიმალური მოგების მიღებისათვის მუშათა კლასის თავაწყვეტილი ექსპლოატაციისა და ნავთობპროდუქტების ფასების უსირცხვილოდ გაძვირების გზით, ნავთობის მეფეები ხელოვნურად ქმნიდნენ ქვეყანაში ნავთობის შიმშილს.

ამიერკავკასიის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა წარმოების კონცენტრაცია, განმტკიცდა მონოპოლიების, მეტადრე უცხოეთის მონოპოლიების პოზიციები, გრძელდებოდა საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შეზრდის პროცესი.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის შემდგომი ზრდა; პირველი მსოფლიო ომის წინ მის რიგებში დაახლოებით 180—190 ათასი კაცი ითვლებოდა. სამრეწველო პროლეტარიატის ძირითადი მასა კვლავ თავმოყრილი იყო ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ნუხის, ალავერდის, ქედაბეკის, კაფანის საწარმოებში.

მეფის ხელისუფალთა მხარდაჭერით კაპიტალისტები 1910—1912 წლებში განაგრძობდნენ შეტევას მუშათა საარსებო ინტერესებზე. ნავთობის სარეწებში, მარგანეცისა და სპილენძის სამადნეებში, სპილენძსადნობ ქარხნებში სამუშაო დღე საგანაკვეთო სამუშაოთა ჩათვლით 10—12 საათს გრძელდებოდა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელ საწარმოებში იგი 13—14 საათს აღწევდა, ხოლო სანაოსნო კომპანიების გემებზე დღეღამეში 16 საათსა და მეტსაც კი. მეწარმენი განაგრძობდნენ ხელფასის შემცირებას, აწესებდნენ ყოველნაირ ჯარიმებს, ცვლიდნენ მუდმივ მუშებს „დროებითი" მუშებით, აფართოებდნენ ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენებას, რომელთა ექსპლოატირება უფრო ადვილი იყო. შრომის დაცვისა და ქმედითი სამედიცინო დახმარების უქონლობა, სისტემატური უბედური შემთხვევები, მასობრივი პროფესიული და სხვა დაავადებანი, აუტანელი საბინაო პირობები ასობით მუშის სიცოცხლეს იწირავდა, ათასობით პროლეტარს ხეიბრად ცევდა. ყველგან გამეფებული იყო მეფის მოხელეთა და კაპიტა-

ლისტთა თვითნებობა. ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა“ 1911 წლის მაისში წერდა, რომ კავკასიაში მეფის ადმინისტრაციის თვითნებობამ ისეთი აუტანელი ხასიათი მიიღო, როგორც რუსეთის არც ერთ სხვა ნაწილში, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ცინიკურად თელავს მოსახლეობის საერთოადამიანურ უფლებებსა და ეროვნულ ღირსებას.

მრეწველობის მონოპოლიზებულ დარგებთან ერთად ამიერკავკასიის ეკონომიკაში ცოტა როდი იყო წარმოების ისეთი დარგები, რომლებშიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო გადასვლა მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმებიდან კაპიტალისტურზე. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მხარის სოფლის მეურნეობას. მაგრამ ამიერკავკასიის სოფელში სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, დიდდებოდა მებამბეობის, მევენახეობისა და მთელი რიგი სხვა დარგების სასაქონლო პროდუქცია, ფართოვდებოდა დაქირავებული შრომის გამოყენება, ღრმავდებოდა გლეხობის სოციალური დიფერენციაცია.

მშრომელი გლეხობის მდგომარეობა კვლავ უაღრესად მძიმე იყო. სასტიკი მემამულური და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა, მემამულეთა და მეფის მოხელეთა თვითნებობა, მიწის უქონლობა და მიწის სიმცირე, კაბალური იჯარა, გამაჩანაგებელი გადასახადები და ბეგარა — ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა მშრომელ გლეხებს, განწირავდა მათ გაღატაკებისა და შიმშილისათვის. ყოველივე ეს აიძულებდა გლეხებს გარესაშოვარზე ევლოთ ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ჩიათურაში, ალავერდში, ნოვოროსიისკში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ერევნის გუბერნიიდან 1912—1913 წლებში გარესაშოვარზე წავიდა 85 ათასზე მეტი კაცი[1].

გლეხთა მასების მდგომარეობა არც მას შემდეგ გაუმჯობესებულა, რაც 1912 წლის დეკემბერში გამოიცა კანონი ამიერკავკასიის გლეხების მიერ მემამულეთაგან სანადელო მიწების სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ. ვინაიდან გამოსასყიდი გადასახდელები დიდი იყო და ხაზინის მიერ მიცემულ სესხში მაღალი პროცენტი უნდა გადაეხადათ, გლეხთა უმრავლესობამ ნადელები ვერ გამოისყიდა. ხაზინის მიწებზე მცხოვრები გლეხები განსაკუთრებით სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ თვითმპყრობელური სახელმწიფოს მხრივ. მათს მდგომარეობას ართულებდა ცარიზმის საგადასახლებო პოლიტიკა, რომელსაც ადგილობრივი გლეხობის ინ-

---

[1] «Экономический вестник Армении» № 2, 1923 г., стр. 23.

ტერესების ხარჯზე ახორციელებდნენ, სამრეწველო გლეხთა სანადელო მიწების ხელში ჩაგდება ჰემამულეების მიერ მეფის ხელისუფალთა წაყრუებით.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმას, რომ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მკვეთრად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომლებითაც იქმნებოდა ნიადაგი ახალი რევოლუციური აფეთქებისათვის.

რევოლუციური აღმავლობა ამიერკავკასიაში უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში. ეს დაკავშირებული იყო მოდუნებასთან ამიერკავკასიის მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში, მეტადრე მეფის ხელისუფალთა სასტიკ რეპრესიებთან ბოლშევიკური ორგანიზაციების მიმართ, იმ გავლენასთან, რასაც მუშათა ჭნიშვნელოვან ნაწილზე ახდენდნენ წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები. 1910—1911 წლების განმავლობაში ამიერკავკასიის საწარმოებში — ბაქოში, ჰიათურაში, ერევანში და სხვ. ხდებოდა ცალკეული, დაქსაქსული გაფიცვები, რომლებიც მეტ წილად ეკონომიურ ხასიათს ატარებდა და მუშების მცირე ნაწილს მოიცავდა.

როგორც 1910 წლის ბოლოს პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" აღნიშნავდა, „მუშათა მოძრაობა კავკასიაში სწორედ ახლა განიცდის ყველაზე მძიმე, ყველაზე მწვავე კრიზისს"[1].

ბევრ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფელში ხდებოდა გლეხთა გამოსვლები, მაგრამ ისინი სტიქიურ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდნენ. გაჩაღდა მღელვარება მთელი რიგი გარნიზონების ჯარისკაცთა შორის. გამოცოცხლება მოედო ამიერკავკასიის მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილსაც. მაგრამ მთლიანად რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში ამ პერიოდში ნელა იზრდებოდა.

ახალი რევოლუციური აღმავლობის დასაწყისისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცარიზმის რეპრესიების შედეგად მკვეთრად შემცირდა მათი რიცხობრივი შემადგენლობა, 1911 წლის დამლევს, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მონაცემებით, მხარის ყველაზე მსხვილ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში ირიცხებოდა: ბაქოს ორგანიზაციაში — 200-ზე ცოტა მეტი წევრი, ხოლო თბილისისაში — 100 წევრზე მეტი. მაგრამ მეფის ოპრიჩნიკებმა ვერ გატეხეს ბოლშევიკების საბრძოლო ნებისყოფა. რეპრესიებს გადარჩენილი ბოლშე-

[1] Газ. «Социал-демократ» № 18, 16 (29) ноября 1910 г.

ვიკ-ლენინელთა მტკიცე ბირთვი უმძიმეს პირობებში განაგრძობდა რევოლუციურ მოღვაწეობას.

მასებში აქტიურ მუშაობას განაგრძობდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც მტკიცედ იდგა ლენინურ პოზიციებზე. მიუხედავად ლიკვიდატორების წინააღმდეგობისა და მათდამი ადგილობრივი მენშევიკური ხელმძღვანელი კოლექტივის შემარიგებლური დამოკიდებულებისა, ბაქოში წარმატებით ხორციელდებოდა მენშევიკ-პარტიელებთან ბლოკის ტაქტიკა. ეს გაერთიანება ხდებოდა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პლატფორმაზე.

1911 წლის დამდეგს შეიქმნა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის გაერთიანებული ხელმძღვანელი ცენტრი, რომელშიც შევიდა 9 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი-პარტიელი. ხელმძღვანელმა ცენტრმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 5 კაცისაგან. ამ ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში ბოლშევიკებისაგან შედიოდნენ ა. ს. ენუქიძე, ვ. მ. კასპაროვი, ს. გ. შაუმიანი და სხვ.

1911 წლის ზაფხულისათვის ბაქოში უკვე 10—11 გაერთიანებული პარტიული უჯრედი ითვლებოდა[1]. პარტიულმა მუშაობამ აქ თანდათან გამოცოცხლება იწყო. შეიქმნა პროპაგანდისტული წრეები, რომლებსაც არალეგალურ ლიტერატურას აწვდიდნენ. თავის წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი ბაქოს პარტიული ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინებოდა: „ჩვენ არ გვინდა გავაზვიადოთ არც მუშებს შორის აღნიშნული გამოცოცხლების და არც ჩვენი გაერთიანების ფაქტის მნიშვნელობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ერთიც და მეორეც გვინერგავს სიმხნევეს და იმის იმედს, რომ შევძლებთ ჩვენს გარშემო შევაკავშიროთ პარტიის მთელი ერთგული ელემენტები და განვავითაროთ ერთგვარი პოლიტიკური მუშაობა“ [2].

ვ. ი. ლენინმა მოიწონა ბაქოს ბოლშევიკების საქმიანობა, რომლებმაც განახორციელეს ადგილობრივ მენშევიკ-პარტიელებთან გაერთიანება. „1910 და 1911 წლების რუსეთისათვის ისეთ სანიმუშო და მოწინავე სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, როგორიც ბაქოს და კიევის ორგანიზაციებია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს კავშირი, ბოლშევიკებისათვის დიდად სასიხარულოდ, იქცეოდა თითქმის სრულ შეერთებად, სოციალ-დემოკრატი პარტიელების ერთიან განუყოფელ ორგანიზმად“[3].

---

[1] ორცსა, პდ ფ, 00, 1912 წ., საქ. 5, ნაწ. 79, ფურც. 5.

[2] «Рабочая газета» № 4—5, 15 (28) апреля 1911 г.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 17, გვ. 414.

1911 წლის ზაფხულიდან ბოლშევიკებმა მენშევიკ-პარტიელთა ნაწილთან ერთად გააჩაღეს ბრძოლა ორგანიზაციის გარდაქმნისათვის არჩევითს საწყისებზე. ხელმძღვანელი ცენტრი შეცვლილ იქნა რსდმპ ბაქოს გაერთიანებული კომიტეტით, რომელმაც თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო აღმასრულებელი კომისია. ბაქოს გაერთიანებული კომიტეტის შექმნის შემდეგ ბაქოში პარტიული ორგანიზაციების რიცხვი ზრდას განაგრძობდა. ამას შეშფოთებით იუწყებოდა პოლიციის აგენტურა, რომლის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნული იყო, ამჟამად ორგანიზაციაში უჯრედები იქმნებაო.

პარტიული რიგების განმტკიცებისათვის, პარტიის ერთიანობისათვის თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდნენ თბილისის ბოლშევიკებიც. 1911 წლის თებერვალ—მარტში ქალაქის საწარმოებში მომუშავე ბოლშევიკებმა და მენშევიკმა-პარტიელებმა შექმნეს საორგანიზაციო ჯგუფი თბილისის არალეგალური პარტიული ორგანიზაციის აღსადგენად, რომლის ხელმძღვანელთა ნაწილი დაპატიმრებულ იქნა ჯერ კიდევ 1910 წლის ზაფხულში[1].

საორგანიზაციო ჯგუფმა კავშირი დაამყარა მოწინავე მუშებთან და ენერგიული საქმიანობა გააჩაღა. როგორც „რაბოჩაია გაზეტა" იუწყებოდა, ჯგუფის საქმიანობის შედეგებმა მალე იჩინა თავი: შეიქმნა უჯრედები, რეგულარულად შემოდიოდა საწევრო შენატანები, იმართებოდა კრებები, იქმნებოდა ახალი უჯრედები[2].

ახორციელებდა რა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ საბრძოლო პარტიული ძალების შეკავშირების ხაზს, საორგანიზაციო ჯგუფმა მოლაპარაკება გამართა მენშევიკების თბილისის კომიტეტთან და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტთან. საორგანიზაციო ჯგუფი წინადადებას აძლევდა მათ გაერთიანებულიყვნენ მენშევიკების მიერ არალეგალური რსდმ პარტიის უშენიშვნოდ ცნობისა და ლიკვიდატორებთან გადამწყვეტი ბრძოლის საფუძველზე. მაგრამ მენშევიკთა ლიდერებმა მოლაპარაკება ჩაშალეს. ამის შემდეგ თბილისელმა ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გადაჭრით დაიწყეს მენშევიკური კომიტეტების პოზიციის მხილება. მათ გამოუშვეს პროკლამაციები, რომლებშიც განმარტებული იყო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში.

საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობით პარტიულმა უჯ-

---

[1] Газ. «Социал-демократ» № 24, 18 (31) октября 1911 г.

[2] «Рабочая газета» № 6, 22 сентября (5 октября) 1911 г.

რედებმა გამოჰყვეს რწმუნებულები, რომლებმაც აირჩიეს რსდმპ თბილისის ჯგუფის ხელმძღვანელი წრე. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: პ. ი. არველაძე, ო. დ. გაბუნია, ს. ი. კასიანი, მ. მ. კვარაცხელია, ს. ს. სპანდარიანი, ე. დ. სტასოვა, ვ. დ. ძნელაძე და სხვ.

1912 წლის დამდეგისათვის რსდმპ თბილისის ჯგუფი აერთიანებდა 79 ბოლშევიკსა და მენშევიკ-პარტიელს [1]. ეს ჯგუფი მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა მუშებში. პარტიის ცენტრალური ორგანოსათვის განკუთვნილ კორესპონდენციაში, როველიც ხელში ჩაიგდო ოხრანკამ, ნათქვამი იყო, რომ „საკმარისი იყო მუშას შეეტყო პარტიული ორგანიზაციის არსებობა, რომ მაშინვე ხარბად მიეშურებინა მისკენ“[2].

პარტიული ორგანიზაციის აღდგენისა და განმტკიცებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ სოხუმის ბოლშევიკები, რომლებიც მოქმედებდნენ ადგილობრივ მენშევიკ-პარტიელებთან ბლოკში. სოხუმის პარტიული ორგანიზაცია დაკავშირებული იყო თბილისის ბოლშევიკურ ჯგუფთან და ხელმძღვანელობდა მისი მითითებებით.

არალეგალური ორგანიზაციები, ჯგუფები და წრეები არსებობდნენ ელიზავეტპოლში, ბათუმში, ქუთაისში, ერევანში, კაფანში, ხონში, ახპატში, ალექსანდროპოლში, ალავერდში, ჯალალოღლიში, ყაგიზმანში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და ადგილებში მათ მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ თბილისის და ბაქოს ბოლშევიკები.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება მიმდინარეობდა ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და პარტიის სხვა მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. ლიკვიდატორებთან შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბაქოს ბოლშევიკები. მათ ჩაშალეს ლიკვიდატორების ცდა 1911 წლის შემოდგომაზე ორგანიზაციულად გაეფორმებინათ ბაქოში თავიანთი ცენტრი. ს. გ. შაუმიანი ატყობინებდა ნ. კ. კრუპსკაიას, რომ „ლიკვიდატორები ამოძრავდნენ ამ ბოლო დროს, მაგრამ ცოტა ხნით და ძალიან წარუმატებლად. აქ მათ საერთოდ მოსავალი არ ექნებათ“[3].

რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომისიამ განიხილა საკითხი ადგილობრივი ლიკვიდატორების ანტიპარტიული

---

1 Газ, «Социал-демократ» № 26, 25 апреля (8 мая) 1912 г

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 266, ფურც. 25.

3 მლი-ს ცპა, ფ. 37, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 35819.

მოქმედების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ჩაეთვალა მათი ჯგუფი აშკარა ლიკვიდატორულად, რომელმაც „მიზნად დაისახა ჩვენი რსდმ პარტიის ლიკვიდაცია“[1]. დადგენილება პარტიის ყველა წევრს ავალებდა ემხილებინათ ლიკვიდატორები კრებებზე და არ დაემყარებინათ მათთან არავითარი ორგანიზაციული ურთიერთობა. ეს დადგენილება ერთსულოვნად მოიწონეს მუშათა კრებებზე. ამის შემდეგ ბაქოში ლიკვიდატორთა ჯგუფი მალე დაიშალა.

ლიკვიდატორების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ თბილისის ბოლშევიკებიც. ადგილობრივი ლიკვიდატორები ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიული ორგანიზაციების აღდგენასა და განმტკიცებას, უარს ამბობდნენ მასებში არალეგალურ მუშაობაზე და თვით პრესაშიც კი უარყოფდნენ სოციალიზმს. საქართველოს ლიკვიდატორებს ხელს უწყობდნენ ადგილობრივი მენშევიკების ლიდერები ნ. ჟორდანიას მეთაურობით. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, ნ. ჟორდანია — „ეს იმავე მოწინააღმდეგის იგივე პატარეაა, მაგრამ ოსტატურად შენიღბული“[2]. 1911 წლის გაზაფხულზე მოწვეული ამიერკავკასიის მენშევიკური კონფერენციის რეზოლუციაში ამტკიცებდნენ, რსდმ პარტიაში ლიკვიდატორობა როგორც მთლიანი მიმდინარეობა არ არსებობსო. ამ რეზოლუციას მოწონებით შეხვდა ლიკვიდატორული გაზეთი „გოლოს სოციალ-დემოკრატა“.

საქართველოს ბოლშევიკებს უხდებოდათ განემარტათ რიგითი მენშევიკ-პარტიელებისათვის, რომლებიც მოტყუებული იყვნენ მათი ლიდერების დემაგოგიით, თუ რაოდენ დამღუპველი იყო ლიკვიდატორობა. თბილისის საორგანიზაციო ჯგუფის 1911 წლის 1 მაისისათვის გამოცემულ ფურცელში გადაჭრით დაგმობილი იყვნენ ლიკვიდატორები, რომლებიც ცდილობდნენ მოესპოთ პროლეტარიატის არალეგალური პარტია და „ასრულებდნენ მუშათა კლასის ყველა მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა სურვილს“[3]. ბოლშევიკების მიერ წარმოებულ მუშაობას თავისი ნაყოფი მოჰქონდა: ზოგიერთი კადრის მუშა მენშევიკები გადადიოდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. ამან მენშევიკურ პრესას აატეხინა განგაში ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში მენშევიკური ორგანიზაციების დაქვეითების შესახებ.

---

1 «Рабочая газета» № 47, 22 декабря 1911 г.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 19, გვ. 191.

3 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 199, ფურც. 2.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები გადაჭრით გამოდიოდნენ აგრეთვე ტროცკისტების და მათი ორგანოს გაზეთ „პრავდის“ წინააღმდეგ, რომელიც ვენაში გამოდიოდა. ტროცკი ცდილობდა მიემხრო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. „რაბოჩაია გაზეტას“ ფურცლებზე ს. გ. შაუმიანი ბაქოში ვენის „პრავდის“ აგენტის ჩამოსვლაზე წერდა: „არავითარი აზრი არა აქვს ვილაპარაკოთ იმ ჭორებზე, რომლებსაც [იგი] ავრცელებდა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მისი მოხსენების შემდეგ ბაქოს კომიტეტში... მას როგორც მეკებმა (მენშევიკმა-პარტიელებმა — რედ.), ისე [აგრეთვე] ბოლშევიკებმა ერთსულოვნად გასცეს ისეთი საკადრისი პასუხი, რომელსაც იგი ალბათ არ მოელოდა“[1]. ტროცკის აგენტი იძულებული იყო შერცხვენილი განშორებოდა ბაქოს. ბაქოს ბოლშევიკებმა და მენშევიკმა-პარტიელებმა, როგორც გ. კ. ორჯონიკიძე აღნიშნავდა, „...უცერემონიოდ გააგდეს, დეზორგანიზატორთა წარმომადგენელი, არ ისურვეს მოესმინათ მისთვის“[2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მაღალ პრინციპულობას იჩენდნენ აგრეთვე ოტზოვისტების მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ უშვებდნენ თავიანთ ორგანო „ვპერიოდს“. ამიერკავკასიაში ოტზოვისტებს ცოტა მომხრე ჰყავდათ. ამის თაობაზე ე. დ. სტასოვა წერდა: „თბილისის ჯგუფში არავითარი ვპერიოდელი არ შედის. ამ ჯგუფს არასოდეს არაფერში არ ეამოუჩენია ოტზოვისტურ-ღვთიური ტენდენციები“[3].

ლიკვიდატორებისა და პარტიის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს უდიდეს დახმარებას უწევდა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინს მიწერ-მოწერა ჰქონდა მხარის მთელ რიგ პარტიულ მოღვაწეებთან, იგი მხურვალე ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობისადმი, აძლევდა მათ ძვირფას რჩევა-დარიგებას, უწევდა დახმარებას არალეგალური ლიტერატურით.

საზღვარგარეთიდან შემოტანილი ლიტერატურა, მათ შორის „რაბოჩაია გაზეტა“, რომელმაც 1910 წლის ოქტომბერში იწყო გამოსვლა, ფართოდ ვრცელდებოდა მხარის მოწინავე პროლეტარებში.

ამავე დროს ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პარტიული ლიტერატურის გამოცემას ადგილებზე. ბა-

---

[1] «Рабочая газета» № 47, 22 декабря 1911 г.

[2] მლი-ს ცპა, ფ. 37, აღწ. 2, დაც. ერთ. 15716, ფურც. 7.

[3] მლი-ს ცპა, ფ. 29, აღწ. 24, დაც. ერთ. 35, ფურც. 42.

ქოს ბოლშევიკებმა 1911 წლის გაზაფხულზე მოახერხეს ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით მოეწყოთ ლეგალური ყოველკვირეული ჟურნალის „სოვრემენნაია ჟიზნ“-ის გამოშვება. ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ ა. ს. ენუქიძე, ვ. ძ. კაპპაროვი, ბ. მ. კნუნიანცი, კ. ნ. რიზელი. ჟურნალის რედაქციას ვ. ი. ლენინმა გამოსაქვეყნებლად გაუგზავნა თავისი სტატია „მარქსიზმი და „ნაშა ზარია“, რომელიც ამხილებდა ლიკვიდატორებს. იგი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალის მესამე ნომერში. ჟურნალი განირჩეოდა პოლიტიკური სიფხიზლით, მებრძოლი, შემტევი სულისკვეთებით, იგი მოუწოდებდა პროლეტარიატს ორგანიზებული გამოსვლებისათვის კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ მეფის ხელისუფლებმა მალე დახურეს ეს ჟურნალი.

1911 წლის ნოემბრიდან 1912 წლის აპრილამდე ბაქოში ს. გ. შაუმიანის რედაქციით გამოდიოდა სომხური ლეგალური მარქსისტული ჟურნალი „ნორ ხოსკ“ („ახალი სიტყვა“), რომელიც უნარიანად ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას და ილაშქრებდა ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ.

ჟურნალების „სოვრემენნაია ჟიზნისა“ და „ნორ ხოსკის“ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიის პარტიული ძალების შეკავშირების, მასებში ბოლშევიკების გავლენის გაფართოების საქმეში. მუშები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ ორგანოებისადმი, ყოველნაირად ეხმარებოდნენ მათ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები უშვებდნენ პროკლამაციებსა და ფურცლებს, რომლებშიც შუქდებოდა მხარის პროლეტარიატისა და მუშათა მოძრაობის მდგომარეობა, ლაპარაკი იყო პარტიული მუშაობის ამოცანებზე. 1911 წლის სექტემბერში თბილისის ბოლშევიკური საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გამოცემულ პროკლამაციას მაღალი შეფასება მისცა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“, რომელმაც მოკლედ გადასცა მისი შინაარსი[1].

1911 წლის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში რევოლუციურმა განწყობილებამ გაძლიერება იწყო. ბაქოში თავისი საქმიანობა განაახლა ზოგიერთმა პროფესიულმა კავშირმა, საგანმანათლებლო და კოოპერაციულმა საზოგადოებებმა. მათს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკები პ. ა. გრაჩოვი, დ. ს. ეგოროვი (როგოვსკი), ს. დ. იაკუბოვი, ს. ტ. იაკუშევი, ფ. ა. ტროფიმოვი და სხვები. 1911 წლის 31 დეკემბერს შავ ქალაქში გაიმართა ბოლშევიკების კრება, რომელმაც განიხილა საკითხები ნავთობის მრეწველობის მუშათა ერთიანი კავშირის შექმნის შესახებ, ლეგალური ორგა-

[1] Газ. «Социал-демократ» № 24, 18 (31) октября 1911 г.

ნოს გამოცემის, IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. კრებამ დაადგინა, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში და ვეცადოთ ბოლშევიკი კანდიდატის გაყვანასო[1].

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მუშების ჩამორჩენილ ფენებში მუშაობას. 1911 წელს ბაქოს ბოლშევიკებმა ხელოსანთა კრებები და ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა II სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატის არჩევნები გამოიყენეს პოლიტიკური აგიტაციისათვის და მასებთან კავშირის განსამტკიცებლად. რევოლუციური მუშაობა წარმოებდა უმუშევრებშიც. თბილისის ბოლშევიკები თავიანთი წარმომადგენლების ე. ლომიძის, ს. პაიჭაძის, ა. ხავთასისა და სხვების მეშვეობით ხელმძღვანელობდნენ უმუშევართა საბჭოს მუშაობას.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ენერგიულ ორგანიზაციულ-პროპაგანდისტულ მუშაობას რომ ეწეოდნენ მშრომელთა სხვადასხვა ფენებში, აღადგენდნენ და განამტკიცებდნენ მხარის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ცდილობდნენ სათავეში ჩასდგომოდნენ მასების დაწყებულ რევოლუციურ აღმავლობას.

2. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის და მის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში

ქვეყანაში რევოლუციური აღმავლობის ზრდა მოითხოვდა ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომ შეკავშირებასა და განმტკიცებას, ლიკვიდატორებისა და სხვა ანტიპარტიული მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოპარტიული კონფერენციის მოწვევას.

1911 წლის ივნისში ვ. ი. ლენინის ინიციატივით შედგა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ მცხოვრებ წევრთა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საერთოპარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ და მის მოსაწვევად შექმნა საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისია. საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის წინადადებებით, გამოცდილ პარტიულ მუშაკებს — ბ. ა. ბრესლავს,

---

[1] ორცსა, პდ ფ., 00, 1912 წ. საქ. 5, ნაწ. 6, ლიტ. ბ. ფურც. 5, 6.

გ. კ. ორჯონიკიძესა და ი. ი. შვარცს დაავალა წასულიყვნენ რუსეთში კონფერენციის მომზადების მიზნით ადგილებზე პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად.

კიევი, ეკატერინოსლავი, დონის როსტოვი, ბაქო რომ შემოიარა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას გაეცნო, გ. კ. ორჯონიკიძე წერდა: „ცხოველე, სიმხნევე, ერთგულება, აი რით ცხოვრობენ აქ. აქ საქმის ვითარება გაცილებით უკეთესია, ვიდრე სადმე სხვაგან... ლიკვიდატორებზე არავის რაიმეს გაგონებაც არ უნდა“[1].

ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები, საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის ცნობას რომ გაეცნენ და გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენება მოისმინეს, მხურვალედ მიესალმნენ გადაწყვეტილებას კონფერენციის მოწვევის შესახებ და მხარი დაუჭირეს იმას, რომ შექმნილიყო რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც მთლიანად თავის ხელში უნდა აეღო კონფერენციის მომზადების საქმე. ერთსულოვნად მოიწონეს წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ თბილისის ბოლშევიკებმაც, სადაც გ. კ. ორჯონიკიძე ბაქოდან ჩამოვიდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და მათი ხელისშემწყობი მენშევიკთა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის იმ ცდებს, რომ ხელი შეეშალათ კონფერენციის მოწვევისათვის.

დიდი მუშაობის შედეგად, რომელიც ქვეყნის მთელი რიგი ქალაქების პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს, წარმატებით განხორციელდა მზადება იმისათვის, რომ შექმნილიყო რუსეთის საორგანიზაციო კომისია კონფერენციის მოსაწვევად.

1911 წლის 29 სექტემბერს ბაქოში გაიხსნა ბაქოს, თბილისის, კიევის, ეკატერინოსლავის, ეკატერინბურგის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კონსტრუირებულიყო რუსეთის ორგანიზაციულ კომისიად.

რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნა გადამწყვეტი ეტაპი იყო საერთოპარტიული კონფერენციის მოწვევის მომზადებაში. რუსეთში შეიქმნა ცენტრი, რომლის გარშემოც ერთიანდებოდნენ ჰეშმარიტად პარტიული ძალები. ეს იყო პარტიულობის გამარჯვება ლიკვიდატორობაზე.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას კონფერენციის მომზადებისათვის, აღნიშნა, რომ

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 37, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 35716, ფურც. 1—2.

„რუსეთის საორგანიზაციო კომისია შეჰქმნეს კიევის, ეკატერინოსლავის, თბილისის, ბაქოს და ეკატერინბურგის ორგანიზაციებმა, რომელთაც მალე შეუერთდა კიდევ 20 ორგანიზაცია“[1].

მას შემდეგ, რაც 30 სექტემბერს ბაქოში დააპატიმრეს ს. გ. შაუმიანი და ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის მთელი რიგი სხვა წევრები, რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობა გადატანილ იქნა თბილისში, სადაც გაიმართა მისი კიდევ ორი სხდომა, რომლებმაც მიიღეს მიმართვა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისადმი და შეიმუშავეს კონფერენციაზე დელეგატთა არჩევის წესი.

რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიმართვა ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა მხურვალედ მოიწონეს. კონფერენციის დელეგატად თბილისის ბოლშევიკებმა აირჩიეს გ. კ. ორჯონიკიძე, ბაქოს ბოლშევიკებმა დ. ს. ეგოროვი (როგოვსკი). მაგრამ მისი დაპატიმრების გამო კონფერენციაზე ბაქოს ბოლშევიკებისაგან გაიგზავნა ს. ს. სპანდარიანი.

რსდმპ VI სრულიად რუსეთის კონფერენცია შედგა პრაღაში 1912 წლის 5—17 (18—30) იანვარს, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის 20-ზე მეტი პარტიული ორგანიზაცია. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც გამოვიდა მოხსენებებით უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. ს. სპანდარიანის მოხსენებებში. ჩანაწერებში, რომლებსაც დელეგატების გამოსვლების დროს ვ. ი. ლენინი აკეთებდა, აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს არასოდეს არ შეუწყვეტიათ პარტიული მუშაობა და დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდნენ ლიკვიდატორებისა და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ[2].

კონფერენციამ განსაზღვრა მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობის კონკრეტული ამოცანები, შეიმუშავა ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში პარტიის პოლიტიკური ხაზი და ტაქტიკა. ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციაში „თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ „აუცილებელია გაძლიერებული მუშაობა რსდმ პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აღსადგენად, რომელიც კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებს, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა, ყველა და ყოველგვარ ლეგალურ შესაძლებლობას, შეძლებს უხელმძღვანელოს

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 17, გვ. 651.

[2] Журн. «Пролетарская революция» № 1, 1941, стр. 149—151.

პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას და რომელსაც ერთადერთს შეუძლია უხელმძღვანელოს მის სულ უფრო და უფრო გახშირებულ პოლიტიკურ გამოსვლებს"[1].

კონფერენციაზე არჩეულ იქნა რსდმპ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის, ფ. ი. გოლოშჩეკინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. ს. სპანდარიანის, დ. მ. შვარცმანისა და სხვ. შემადგენლობით. კონფერენციის ბოლოს, შემდგარ პლენუმზე, გადაწყდა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეეყვანათ ი. ბ. სტალინი, ი. ს. ბელოსტოცკი. რამდენიმე ხნის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა შევსებულ იქნა გ. ი. პეტროვსკისა და ი. მ. სვერდლოვის შეყვანით. კანდიდატებად ცენტრალური კომიტეტის წევრებად კოოპტაციის წესით შეყვანისათვის კონფერენციამ დაასახელა ა. ს. ბუბნოვი, მ. ი. კალინინი, ა. პ. სმირნოვი, ე. დ. სტასოვა და ს. გ. შაუმიანი.

რუსეთში პარტიული და რევოლუციური მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის პრაღის კონფერენციამ შექმნა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო ფ. ი. გოლოშჩეკინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. ს. სპანდარიანის, ი. ბ. სტალინისა და ე. დ. სტასოვას შემადგენლობით.

პრაღის პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც მოასწავებდა ბოლშევიზმის ზეიმს, მის გადამწყვეტ გამარჯვებას ლიკვიდატორებზე, ცენტრიზმზე და ოპორტუნიზმის სხვა ნაირსახეობებზე, განამტკიცა პარტია, გააძლიერა მისი ბრძოლისუნარიანობა, კიდევ უფრო შეაკავშირა მისი რიგები. კონფერენციამ პარტიიდან განდევნა მენშევიკი-ლიკვიდატორები და შეაჯამა მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის მთელი ისტორიული ხანის შედეგი, განამტკიცა ბოლშევიკების გამარჯვება, შეუნარჩუნა მათ რსდმპ საბრძოლო დროშა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გასცნობოდნენ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე რუსეთის ბიუროს მეტმა წილმა წევრებმა და კონფერენციის დელეგატებმა შემოიარეს პარტიული ორგანიზაციები, აკეთებდნენ მოხსენებებს პრაღის კონფერენციის შედეგებზე, აცნობდნენ პარტიულ ორგანიზაციებს მის რეზოლუციებს.

1912 წლის თებერვალ — მარტში ამიერკავკასიაში ჩამოვიდნენ გ. კ. ორჯონიკიძე, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს კონფერენციის გადაწყვეტილებათა ახსნა-

---

[1] „სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. I, გვ. 341.

განმარტებისათვის. რსდმპ თბილისის ხელმძღვანელმა ჯგუფმა მოისმინა ს. ს. სპანდარიანის მოხსენება და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სავსებით შეუერთდა კონფერენციის გადაწყვეტილებებს და გამოთქვა მზადყოფნა, რომ მხარს დაუჭერდა და დაეხმარებოდა ახალ ცენტრალურ კომიტეტს „მის აღმშენებლობითს მუშაობაში"[1]. 1912 წლის მარტში ს. ს. სპანდარიანი კონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიულ კრებებზე ბაქოს ბალახანა-საბუნჩისა და საქალაქო რაიონებში. 29 მარტს ბალახანაში გაიმართა რაიონული ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. მიღებულ რეზოლუციაში თათბირმა მოიწონა პრაღის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი და მკვეთრად გააკრიტიკა ამიერკავკასიის მენშევიკური საოლქო კომიტეტი. მაგრამ რეზოლუცია შემარიგებლობის ზოგიერთ ელემენტებსაც შეიცავდა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ლიკვიდატორებთან შეთანხმების საკითხზე[2].

პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებები გააცნეს ბოლშევიკურ ჯგუფებს ბორჩალოში, ნორ-ბაიაზეთში და სხვ.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ერთსულოვნად მოიწონეს კონფერენციის გადაწყვეტილებანი და გააჩაღეს ბრძოლა მათი განხორციელებისათვის.

ვ. ი. ლენინი ცენტრალური კომიტეტის წევრებისაგან მოითხოვდა დაეჩქარებინათ მათთვის მინდობილი საქმეთა შესრულება, მიეწოდებინათ დაწვრილებითი ინფორმაცია მისი მიმდინარეობის შესახებ, ეგზავნათ რეზოლუციები იმის შესახებ, რომ პარტიული ორგანიზაციები უერთდებოდნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებს. 1912 წლის 28 მარტს ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძეს, ს. ს. სპანდარიანსა და ე. დ. სტასოვას სწერდა: „ძვირფასო მეგობრებო! მე საშინლად მაწუხებს და მაღელვებს ჩვენი (და თქვენი) ურთიერთობისა და კავშირის სრული დეზორგანიზაცია... არც თბილისიდან, არც ბაქოდან (მეტად მნიშვნელოვანი ცენტრები) კრინტსაც არ ძრავენ იყო თუ არა მოხსენებები? სად არის რეზოლუციები?"[3].

ამ დროისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების რეზოლუციები, რომლებითაც იწონებდნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებს, უკვე გაგზავნილი იყო, და ცოტა უფრო გვიან ნ. კ. კრუპსკაიამ თბილისელ ბოლშევიკებს აცნობა ამ რეზოლუციების მიღება[4].

---

[1] Газ. «Социал-демократ» № 26. 25 апреля (8 мая) 1912 г.

[2] იქვე.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35. გვ. 8, 9.

[4] მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 244, ფურც. 227.

მრავალი ინფორმაცია და რეზოლუცია, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებიდან მიიღო, მოწმობდა, რომ ქვეყნის ყველაზე დიდი პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით გამოდიოდნენ ოპორტუნისტების ცდების წინააღმდეგ ჩაეშალათ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულება და ჰოეწყოთ თავიანთი ანტიპარტიული კონფერენცია.

თბილისის ბოლშევიკური ჯგუფის რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1912 წლის აპრილში, მხილებული იყო ნამდვილი ხასიათი ანტიპარტიული კონფერენციისა, რომელსაც ამზადებდნენ ლიკვიდატორები, ტროცკისტები, მენშევიკების ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, ბუნდი და სხვა ოპორტუნისტები. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ „ამ კონფერენციის მოსაწვევად მუშაობას დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში, რომელმაც ეს არის დაიწყო შეკავშირება ცენტრალური კომიტეტის გარშემო, და ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ უარს ამ კონფერენციაში მონაწილეობაზე და მოვუწოდებთ ყველა ს.-დ. ორგანიზაციას ბოიკოტი გამოუცხადონ მას"[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დამაჯერებლად ამხილებდნენ ლიკვიდატორებისა და ტროცკისტების ცილისმწამებლურ მონაპორებსაც პრაღის კონფერენციისათვის თბილისისა და ბაქოს პარტიული ორგანიზაციების მიერ არჩეული დელეგატების არაუფლებამოსილების შესახებ. ამის თაობაზე ტროცკისტული „პრავდის" მტკიცებებს თბილისელმა ბოლშევიკებმა მტკნარი სიცრუე უწოდეს[2]. ხოლო ბაქოს ბოლშევიკების თათბირმა თავის რეზოლუციაში მენშევიკ-ლიკვიდატორთა ცილისმწამებლური გამოხდომები დაახასიათა როგორც ვიწრო-ფრაქციული გამოსვლა[3].

პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ამიერკავკასიის ბოლშევიკები, ისევე როგორც მთელი პარტია, შეაიარაღა მიზნის სიცხადით და პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის დარგში უახლოესი ამოცანების შეგნებით. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებებმა სწორი ორიენტაცია მისცა პარტიას ლიკვიდატორთა და პარტიის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებში. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პრაღის კონფერენციის შემდეგ ამიერკავკასიაში, ისევე რო-

---

1 Газ. «Социал-демократ» № 27, 4 (17) июня 1912 г.

2 იქვე.

3 Газ. «Социал-демократ» № 26, 25 апреля (2 мая) 1912 г.

გორც მთელ ქვეყანაში პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა შესამჩნევად გაძლიერდა. კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლის პროცესში ამიერკავკასიის ბოლშევიკები განამტკიცებდნენ და აფართოებდნენ თავიანთ რიგებს. ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და ჯგუფებში შედიოდნენ მოწინავე მუშები, იქმნებოდა ახალი პარტიული უჯრედები, მტკიცდებოდა ბოლშევიკების გავლენა მუშათა მასებში.

1912 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი მუშაობა თბილისის ბოლშევიკებმა. თბილისში ბოლშევიკების გავლენის ზრდასთან და მათი რიგების რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ ჯგუფს ეწოდა თბილისის ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც არსებითად ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის როლს ასრულებდა. აუწყებდა რა ამას პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ე. დ. სტასოვა წერდა: „ჩვენ ჯგუფიდან ორგანიზაციად გადავირქვით სახელი და გავაკეთეთ ეს სამი კვირის წინათ, ვხელმძღვანელობდით რა იმით, რომ, ჯერ ერთი, უკვე მთელი წელია ვარსებობთ და, მეორეც, ჩვენი ორგანიზაცია სწრაფად ფართოვდება“[1].

12 ივნისს თბილისის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ მოაწყო კრება იმ საკითხებზე, რომ შექმნილიყო ახალი უჯრედები საწარმოებში, კერძოდ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. დიდი ყურადღება ეთმობოდა პროფკავშირების ორგანიზაციასა და საქმიანობას. პარტიულ კრებებზე აგვისტოში განხილულ იქნა საკითხები მასებში აგიტაციის გაძლიერების შესახებ, რევოლუციური კონსპირაციის სასტიკად დაცვის შესახებ და სხვ. კონსპირაციის უკეთ დაცვის მიზნით გადაწყდა, რომ უჯრედებში წევრთა რიცხვი 6—7 კაცზე მეტი არ ყოფილიყო. პარტიული უჯრედების მუშაობის ხელმძღვანელობას თბილისის ხელმძღვანელი ბოლშევიკური ორგანიზაცია ახორციელებდა.

ბაქოში 1912 წელს კიდევ მწვავედ იგრძნობოდა ბოლშევიკების ადგილობრივი კომიტეტის წევრთა დაპატიმრების შედეგები. 1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს ბაქოს სამ ბოლშევიკურ რაიონულ ორგანიზაციაში — ბალახანის, ქალაქის I-ლ და მე-2 ორგანიზაციებში პოლიციური რეპრესიების გამო პარტიის 100-ზე ცოტა მეტი წევრიღა რჩებოდა. მაგრამ ბაქოში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ცენტრებში, გამოდიოდნენ რევოლუციური მოძ-

---

[1] მლი-ის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 266, ფურც. 43.

რაობის ახალი აქტიური მონაწილენი და წინამძღოლები, რომლებიც მუშებს ბოლშევიკური ლოზუნგებით რაზმავდნენ.

1913 წლის იანვარში მოწვეულ იქნა ბაქოს ბოლშევიკების თათბირი, რომელზეც აირჩიეს ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ახალი შემადგენლობა — 5 კაცი (გ. ზ. იოანისიანი, ე. ნ. კოზლოვი, ა. ტ. პარუპი და სხვები).

1913 წლის აპრილში ბოლშევიკური კომიტეტის აღდგენის შესახებ ნ. კ. კრუპსკაია კრაკო

ჭიათურის პარტორგანიზაცია, რომელსაც ადგილობრივი კომიტეტი ხელმძღვანელობდა. აქ რეგულარულად მუშაობდა პროპაგანდისტთა წრე, იღებდნენ ზომებს არალეგალური ლიტერატურის გამოსაცემად[1]. 1912 წლის ივნისში ადგილობრივი ხელისუფალნი პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებდნენ, რომ „ჭიათურაში ს.-დ. მუშებში სერიოზული ორგანიზაციული მუშაობა წარმოებს... არის ადგილობრივი ქვეკომიტეტი, კვირაში ორჯერ იკრიბება პროპაგანდისტთა წრე და უნდათ ჰქონდეთ თავიანთი საბეჭდი და ჰექტოგრაფი“ [2].

ალავერდის მუშებში სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაცია (ფ. ს. გარგალაჯევი, ს. გ. ევოიანი, ი. კ. ხოჯიევი და სხვ.)[3].

ახასიათებდა რა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს როგორც „საკმაოდ ძლიერს“, გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1913 წლის ბოლოს იუწყებოდა: „ზოგიერთ ქალაქში ისინი გაერთიანებული არიან მენშევიკებთან, ზოგიერთში, როგორიც არის ბაქო, თბილისი, დამოუკიდებლად მუშაობენ. სოხუმში ჩვენები ჭარბობენ. მუშაობენ გაერთიანებულად“[4].

ამიერკავკასიაში სამხარეო ცენტრის უქონლობა თბილისისა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე აყენებდა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობის ამოცანებს. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია დახმარებას უწევდა პარტიულ ჯგუფებს ელიზავეტპოლში, ყარსში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში, აწვდიდა მათ მარქსისტულ ლიტერატურას. ბაქოდან გაგზავნილი ბოლშევიკები სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ კაფანის მაღაროელებში. საქართველოს მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებშიც ბოლშევიკები მუშაობდნენ მენშევიკ-პარტიელებთან ერთად, თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას მიმართავდნენ ბევრ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხზე. დამახასიათებელია, რომ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფის 1913 წლის 14 ნოემბრის კრებაზე განხილულ იქნა სოხუმის ბოლშევიკების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეცნოთ მათი გაერთიანება ადგილობრივ მენშევიკ-პარტიელებთან, ვინაიდან ამ უკანასკნელებმა მხოლოდ და მხოლოდ სწორად ცნეს არალეგალური პარტიული ორგანიზაციის არსებობა. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია დათანხმდა ამ

---

1 ორცსა, ფ. 102, 00, საქ. 5, ნაწ. 39, 1912 წ., გვ. 20.

2 ი ქ ვ ე.

3 მლი-ს ცპა, ფ. 124, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 1026, ფურც. 43.

4 Газ. «Социал-демократ» № 32, 15 (28) декабря 1913 г.

გაერთიანებაზე იმ პირობით, რომ სოხუმის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში არ დაეშვათ გადახრები ლიკვიდატორობისაკენ და მტკიცედ დაეცვათ არალეგალური მუშაობის პრინციპები, რომ მას მთელ თავის შემდგომ საქმიანობაში ეხელმძღვანელათ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებით. ეს პოზიცია ფაქტიურად შეესაბამებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის იმ თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელიც 1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა კრაკოვში პარტიულ მუშაკებთან.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირის დოკუმენტები და რეზოლუციები ბაქოში გადაიბეჭდა და გავრცელებულ იქნა პარტიის წევრებს შორის 1913 წლის იანვარში.

ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცება მიმდინარეობდა ლიკვიდატორთა, ტროცკისტთა და პარტიის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების პირობებში. ბაქოს, თბილისისა და ამიერკავკასიის მთელი რიგი სხვა ქალაქების ბოლშევიკები მტკიცედ გამოდიოდნენ იმ ანტიპარტიული ბლოკის წინააღმდეგ, რომელიც 1912 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა ტროცკისტების, ლიკვიდატორების, მენშევიკთა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა და სხვა ოპორტუნისტების კონფერენციაზე.

ბაქოში ერთ-ერთი ბოლშევიკური ჯგუფის იმ კრების მონაწილეებმა, რომელიც 1912 წლის ბოლოს გაიმართა, აგვისტოს ანტიპარტიულ კონფერენციას „საშინელი არათანმიმდევრობის ნაყოფი"[1] უწოდეს. ასეთივე აზრი გამოთქვა ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯგუფმაც.

შემარიგებელთა მცირე ჯგუფისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის ბოლშევიკთა უდიდესი უმრავლესობა ანტილიკვიდატორულ პოზიციებზე იდგა. თუმცა ამიერკავკასიის მენშევიკებმა თავიანთ კონფერენციაზე 1913 წლის სექტემბერში თბილისისა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიწვიეს, მაგრამ მათ გადაჭრით უარყვეს ეს მოწვევა. 1913 წლის შემოდგომაზე კავკასიის სოციალ-დემოკრატების ჯგუფის წერილში გაზეთ „ზა პრავდუ"-ს რედაქციისადმი ნათქვამი იყო: „ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ლიკვიდატორული ლოზუნგები კავკასიის და, კერძოდ, ბაქოს მუშებში, სრულებით არ სარგებლობს თანაგრძნობით"[2].

ბაქოს და თბილისია ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან ერთად

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 23, საქ. 1011, ფურც. 206—213.

[2] Газ. «За правду» № 22, 29 октября 1913 г.

ლიკვიდატორების წინააღმდეგ მეტად თუ ნაკლებად აქტიურად გამოდიოდნენ ამიერკავკასიის სხვა პარტიული ორგანიზაციებიცა და ჯგუფებიც, რომლებშიც ბოლშევიკები გაერთიანდნენ მენშევიკ-პარტიელებთან. მაგალითად, ჭიათურის პარტიულმა ორგანიზაციამ გადაჭრით უარყო მენშევიკების მტკიცება, თითქოს ლეგალური ქართული გაზეთები, რომლებიც მათი ხელმძღვანელობით გამოდიოდა, შეესაბამებოდა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს. ჭიათურელმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ამ გაზეთების იდეურ მიმართულებას მუშებისათვის მიუღებლად თვლიდნენ, ყველა ღონისძიება მიიღეს ახალი ლეგალური პროლეტარული გაზეთის გამოსაცემად.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობის აქტივიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის მხრივ. საზღვარგარეთ რომ იმყოფებოდა, ვ. ი. ლენინს ამ წლებში მიწერ-მოწერა ჰქონდა ამიერკავკასიის იმ თვალსაჩინო ბოლშევიკებთან, როგორიც იყვნენ ა. ს. ენუქიძე, ვ. მ. კასპაროვი, ს. ი. კასიანი, ფ. ე. მახარაძე, ე. დ. სტასოვა, ს. გ. შაუმიანი, და სხვებთან. ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას მიწერ-მოწერა ამიერკავკასიის ბოლშევიკებთან მოწმობს იმას, თუ რა დაუცხრომელ ყურადღებას უთმობდა პარტიის ბელადი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. 1913 წლის თებერვალში რუსეთში გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავდა, რომ კარგი კავშირი იყო ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტთან. იმავე წლის აპრილში იგი ვ. მ. კასპაროვს წერდა: „ჩვენ ახლა გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ კავკასიის შესახებ"[1]. ამ და სხვა წერილებში ნ. კ. კრუპსკაია ეკითხებოდა კავკასიიდან მიღებულ ცნობებზე, რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციების პარტიული ცხოვრების ამბებზე, მისამართებზე, რომლებითაც შეიძლებოდა ბაქოში, თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ცენტრებში არალეგალური ლიტერატურის, კორესპონდენციის და სხვა. გაგზავნა.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ დამყარებული პეტერბურგის, მოსკოვის, რიგის, ტაშკენტის, ასტრახანისა და სხვა ქალაქების ბოლშევიკებთანაც. პეტერბურგიდან ბაქოში ეაიგზავნა რამდენიმე პარტიული მუშაკი. ქვეყნის სხვა ქალაქების, და განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან კავშირის გაფართოებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს მაშინ ბაქოში მომუშავე ლატვიელმა სოციალ-დემოკრატებ-

[1] მლი-ს სპა, ფ. 17, აღწ. I, დაცვ. ერთ. 1303, ფურც. I.

მა: ავგუსტ ბერცემ, პაულ ბლანკ-ბერზინმა, ამალია დრუგისმა, კარლ ილმერმა და სხვებმა.

მასებში ამიერკავკასიის ბოლშევიკების გავლენის გაძლიერებას ხელს უწყობდა პარტიული ლიტერატურის გავრცელება. ბაქოს, თბილისისა და სხვა ქალაქების მუშებში, ისევე როგორც წინათ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა".

პრაღის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნოდა მასობრივ ყოველდღიურ მარქსისტულ ლეგალურ მუშურ გაზეთ „პრავდას", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

„პრავდის" ფურცლებზე მკაფიოდ აისახა რუსეთის, კერძოდ აგრეთვე ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცხოვრება და ბრძოლა. ამ პერიოდში ამიერკავკასიის მუშათა ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც „პრავდა" არ გამოხმაურებოდა. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საგაფიცავო ბრძოლას. იგი სისტემატურად ბეჭდავდა მასალებს გაფიცვებზე ბაქოში, ჭიათურასა და მხარის სხვა სამრეწველო ცენტრებში. „პრავდა" თავის ფურცლებზე აშუქებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური შეგნების ზრდას. იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „უკანასკნელ წლებში კავკასიის პროლეტარიატის კულტურული დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა, კლასობრივი სოლიდარობა განმტკიცდა, პროლეტარულმა იდეოლოგიამ მუშათა კლასის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებში შეაღწია"[1].

„პრავდას" ამიერკავკასიაში მუშა კორესპონდენტები ჰყავდა. „პრავდაში", აგრეთვე ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში" გამოქვეყნებული სტატიებისა და ცნობების ავტორები იყვნენ ა. ა. ბერცე, ბ. ა. ბორიანი, ა. ბ. ვაბრიელიანი (ა. ბ. კარინიანი), პ. ი. ვოეოდინი, გ. ზ. იოანისიანი, ს. ი. კასიანი, ა. ა. მრავიანი, ვ. ი. ნანეიშვილი, ს. ვ. ოსეფიანი, ა. ტ. პარუპი, ე. ე. რაზმაჩაევი, ს. ი. ქავთარაძე და სხვები.

ბოლშევიკური „პრავდა" ამიერკავკასიის პროლეტართა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მხარის მოწინავე მუშები მხურვალედ მიესალმებოდნენ ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის გამოსვლას, უგზავნიდნენ რედაქციას მისალმებებს, უწევდნენ როგორც მატერიალურ, ისე მორალურ დახმარებას. „ჩვენ, ქ. თბილისის

[1] Газ. «Северная правда» № 25, 31 августа 1913 г.

ელექტროტექნიკურ მუშათა ჯგუფი. — ნათქვამი იყო „პრავდის“ რედაქციის მიერ მიღებულ ერთ-ერთ წერილში, — ყოველდღიური მუშური გაზეთის გამოსვლა რომ შევიტყეთ, მივესალმებით კეთილ წამოწყებებს და შემოგვაქვს ჩვენი ძალღონის შესაბამისი წვლილი“[1]. დიდი გულთბილობითა და თავიანთი გაზეთისადმი სიყვარულით იყო გამსჭვალული ქართველი მუშების წერილი თელავიდან „პრავდის“ რედაქციისადმი. წერილში ნათქვამი იყო: „თუმცა ჩვენგან ძალიან ცოტამ იცის რუსული ენა, მაგრამ რას იზამ, კოჭლობით, ძლივსძლივობით წავიკითხავთ რუსულ ანბანს, და თვით ინსტიქტი დაგვეხმარება გავიგოთ, რა გზას გვიჩვენებს ჩვენი გაზეთი“[2]. ელიზავეტპოლის მუშათა ჯგუფი 1913 წლის 2 მარტს რედაქციას სწერდა: „გაზეთი „პრავდა“ ერთადერთი ნათელი სხივია, რომელიც სიმხნევეს მატებს დაღლილთ, ნამდვილი შუქით ანათებს ცხოვრების ყველა მოთხოვნილებას და მოგვიწოდებს ახალი დაუცხრომელი მუშაობისაკენ სახალხო ასპარეზზე. მხოლოდ „პრავდა“ არის მუშათა კლასის ინტერესთა ნამდვილი გამომხატველი და მხოლოდ იგია ღირსი იყოს პროლეტარიატის ჭეშმარიტი წინამძღოლი მის სახელოვან ბრძოლაში უკეთესი მომავლისათვის. გულითად სალამს ვუძღვნით „პრავდის“ ყველა თანამშრომელს და გამოვთქვამთ იმედს, რომ საერთო ენერგიული მხარდაჭერით „პრავდა“ ძლიერ კაშკაშა ალად გაღვივდება“[3]. წერილს დართული ჰქონდა ფული, რაც „პრავდის“ თანამგრძნობთ შეეკრიბათ მუშური პრესის ფონდში.

ასეთივე გრძნობები იყო გაჟღოქმული ბიბი-ეიბათის ნავთობის სარეწების მუშათა მისალმებაში „პრავდის პირველი წლისთავის დღეს. მასში ნათქვამი იყო, რომ გაზეთი „პრავდა“ ყოველთვის იყო ის კაშკაშა ჩირაღდანი, რომელიც აშუქებდა ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას, გვიჩვენებდა განთავისუფლების გზას და სულიერი გასაჭირის დროს ყოველთვის გვამხნევებდა, აღგვაფრთოვანებდა და გვიხმობდა წინ. და ჩვენ ესოდენ შევეჩვიეთ მას, იგი ესოდენ მშობლიური, ძვირფასი გახდა ჩვენთვის... „პრავდამ“ გაგვინათა კლასობრივი თვითმეგნების შუქი, „გვასწავლა ბრძოლა, შეგვაკავშირა თავის გარშემო ერთიან მუშურ ოჯახად, მილიონობით მუშასავით დაგვაწყებინა ფიქრი და ფანცდა“[4].

მუშები აწყობდნენ „პრავდისათვის“ ფულადი სახსრების შეგროვებას. 1913 წელს ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის „ინიციატივით

---

1 Журн. «Красный архив» № 4 (77), 1936, стр. 22.

2 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, საქ. 623, ფურც. 15.

3 ორცსა, 3დ ფ., 00, 1913, საქ. 5. ნაწ. 24, ლტ. ბ., ფურც. I.

4 «Правда» № 106, 10 мая 1913 г.

ბაქოს მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაზეთის ფონდში გადაერიცხათ თავიანთი ორი დღის ხელფასი.

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც ქვეყნის სხვა ნაწილებშიც, მეფის ოხრანკა სდევნიდა „პრავდის“ გავრცელებას. ეს ხელს უშლიდა გაზეთის მუდმივ ხელის მომწერთა რიცხვის გადიდებას. მათი რიცხვი კავკასიაში 1913 წლის დამლევისათვის, როგორც ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავდა, მხოლოდ 114 კაცს შეადგენდა[1]. მაგრამ გაზეთის ეგზემპლარები დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა ხელმოწერის გარეშე, ცალობით გაყიდვის გზით. შემდეგში ამიერკავკასიაში „პრავდის“ ხელის მომწერთა რიცხვი გაიზარდა, 1914 წლის ზაფხულისათვის მან კავკასიაში შეადგინა გაზეთის ხელის მომწერთა საერთო რიცხვის დაახლოებით 9 პროცენტი.

ამიერკავკასიის მოწინავე მუშები მხურვალედ უჭერდნენ მხარს „პრავდას“ და ამავე დროს დაუღალავად ამხილებდნენ მენშევიკური ორგანოების — გაზეთ „ლუჩისა“ და ჟურნალ „ნაშა ზარიას“ ლიკვიდატორულ ხაზს. როცა IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკმა-დეპუტატებმა სცადეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში გაეპარებინათ გადაწყვეტილება, რომ ყველა მის წევრს მიეღო მონაწილეობა ბოლშევიკურ „პრავდასა“ და მენშევიკურ გაზეთ „ლუჩში“, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ ცდების წინააღმდეგ. ბაქოდან 20 მუშის განცხადებაში 1913 წლის იანვარში ნათქვამი იყო: „ლუჩისა“ და „ნაშა ზარიას“ ვაჟბატონების მთელი მუშაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ნდობისათვის რსდმ პარტიისადმი, რომელიც თავისი დაშლილი რიგების წესრიგში მოყვანას იწყებდა[2]. დასასრულ მუშა-პარტიელები აცხადებდნენ: „...ჩვენ მიგვაჩნია, რომ მუშათა კლასის ნამდვილ რჩეულთა ღირსებას არ შეეფერება ითანამშრომლონ ასეთ გამოცემებში და ქადაგებდნენ ასეთ გაერთიანებას...“[3]. ვ. ი. ლენინის მითითებით ბაქოს მუშების ეს წერილი „პრავდამ“ გამოაქვეყნა[4].

ამ საკითხში ასეთსავე პოზიციას დაადგნენ ამიერკავკასიის აგრეთვე სხვა ქალაქების მოწინავე მუშები, 1913 წლის 13 მაისს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა ჯგუფი თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა: „გაზეთებს „პრავდასა“ და „ლუჩს“ რომ ვკითხულობთ, ჩვენ ვხედავთ, რომ თანმიმდევრული

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. I, დაცვ. ერთ. 1363, ფურც. I.

[2] Журн. «Красная летопись» № 1 (10), 1924, стр. 74.

[3] იქვე, გვ. 74, 75.

[4] «Правда» № 52, 3 марта 1913 г.

მარქსისტული გაზეთის „პრავდის“ გაერთიანება ლიკვიდატორულ „ლუჩთან“ შეუძლებელია“[1].

„პრავდის“, „ზვეზდისა“ და სხვა ცენტრალური პარტიული ორგანოების გავრცელებას რომ ეწეოდნენ, ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამავე დროს თვითონ სცემდნენ საკმაოდ ბევრ რევოლუციურ ლიტერატურას. იყენებდნენ რა თავიანთ გავლენას მოწინავე მუშა-ტელეგრაფისტებს შორის, თბილისის ბოლშევიკებმა ს. ს. სპანდარიანისა და ე. დ. სტასოვას ხელმძღვანელობით 1912 წლის გაზაფხულზე უზრუნველყვეს ქალაქის ლეგალურ სტამბებში ისეთი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების გამოცემა, როგორიც იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“ და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ფურცელი „პარტიისათვის!“, რომლის ავტორიც იყო ი. ბ. სტალინი. ეს დოკუმენტები გაეგზავნა საზღვარგარეთ ვ. ი. ლენინს და დაიგზავნა რუსეთის 18 ქალაქში. მათ მიღებას რომ ადასტურებდა, ნ. კ. კრუპსკაია მხურვალედ მიესალმებოდა თბილისის ბოლშევიკებს[2]. გ. კ. ორჯონიკიძე კიევიდან იუწყებოდა, რომ ორივე დოკუმენტმა „ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ხალხი აღტაცებულია“[3].

თბილისის ბოლშევიკები სცემდნენ აგრეთვე ფურცლებს, რომლებიც თბილისისა და საქართველოს მთელი რიგი სხვა ქალაქების საწარმოებში ვრცელდებოდა. თბილისის ბოლშევიკები არ სჯერდებოდნენ არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის ბეჭდვას ლეგალურ სტამბებში და 1912 წლის ზაფხულის დასაწყისში თავიანთი იატაკქვეშა სტამბა შექმნეს. მაგრამ 21 ივლისს იგი აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა.

1912 წლის დამლევს — 1913 წლის დამდეგს თავიანთი საგამომცემლო საქმიანობა გააძლიერეს ბაქოს ბოლშევიკებმა, რომლებმაც გამოუშვეს პროკლამაციები „ბაქოს ყველა ბოლშევიკს“, „9 იანვრის ხსოვნას“ და სხვ. რომანოვთა გვარეულობის სამასი წლისთავის გამო „ზეიმთან“ დაკავშირებით ბაქოში ჰექტოგრაფზე გამრავლებულ იქნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ფურცელი სათაურით „ძირს მონარქია!“ და გამოიცა პროკლამაცია „რომანოვების იუბილეს გამო. ძირს ტირანები! მოვიშოროთ ბორკილები!“.

ბაქოს მოწინავე მუშებში მწიფდებოდა ადგილობრივი ნაბეჭდი

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, საქ. 643, ფურც. 39.

2 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ., 5, დაცვ. ერთ. 266; ფურც. 49.

3 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 244, ფურც. 236.

ორგანოს შექმნის იდეა. 1913 წლის ივნისში ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის კრებაზე განხილულ იქნა საკითხი ბაქოში მუშათა გაზეთის გამოშვების შესახებ. მაგრამ, გაითვალისწინეს, რომ საკუთარი გამოცემის მოწყობას დიდი დრო დასჭირდებოდა, — მუშებმა გადაწყვიტეს, ურალელთა მაგალითისამებრ, პეტერბურგის მუშების გაზეთთან ერთად „კავკაზსკი ლისტოკის“ გამოცემა. „პრავდა“ სარედაქციო სტატიაში „ბაქოს მუშების ამოცანებისათვის“ მიესალმა ასეთ ინიციატივას და ამავე დროს აღნიშნა, რომ თუ მშობლიურ ენაზე გაზეთი არ ექნათ, ისე ბაქოს ბოლშევიკებს მუშების შეკავშირება და გაყოლიება გაუჭირდებათო. „მხოლოდ მუსლიმანთა მშობლიურ ენაზე შედგენილ გაზეთს ან გაზეთის განყოფილებას — წერდა „ტრუდოვაია პრავდა“, — შეუძლია ბიძგი მისცეს კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას“[1].

მასებში რევოლუციური აგიტაციისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკები წარმატებით იყენებდნენ ლეგალურ შესაძლებლობებს. 1912 წელს ბაქოში დემოკრატიულ გაზეთში „ბაქი ხაიათი“ („ბაქოს ცხოვრება“) ქვეყნდებოდა ბოლშევიკების დ. ხ. ბუნიათზადეს, ს. მ. ეფენდიევის, ა. გ. რასულზადეს, გ. გ. სულთანოვის და სხვ. სტატიები. ამ სტატიებში მხილებული იყო პროლეტარიატის სასტიკი ექსპლოატაცია კაპიტალისტების მიერ, შეეხებოდა მუშებისა და მშრომელი გლეხობის მდგომარეობის საკითხები.

1913 წელს ფ. ე. მახარაძე ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოვიდა ბაქოში ქართულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ ფურცლებზე, პროპაგანდას უწევდა ლენინურ იდეებს და ბოლშევიკური „პრავდის“ პოპულარიზაციას ეწეოდა. აპრილში, „პრავდის“ წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალმა თითქმის მთლიანად გადაბეჭდა ამ გაზეთიდან სტატია, რომელიც აჯამებდა მისი ერთი წლის მუშაობის შედეგებს.

ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სომხურ ენაზე ლეგალური მუშათა გაზეთის შექმნას. ორგანო, რომელმაც გააჩაღა მარქსისტული იდეების პროპაგანდა მშრომელ სომხებში, იყო გაზეთი „ხოსკ“ („სიტყვა“); მისი გამოსვლა დაიწყო ერევანში 1913 წლის ივნისში ა. მ. მელიქიანის რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავ ამიერკავკასიის მშრომელთა მდგომარეობის, კლასობრივი ბრძოლის საკითხების გაშუქებას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დაცვას.

პარტიის იმ ტაქტიკის განხორციელებისათვის, რომ არალეგალური მუშაობა ლეგალურთან შეეხამებინა, მუშათა მასებთან პარ-

---

[1] Газ. «Трудовая правда» № 10. 8 июня 1914 г.

ტიის კავშირის განმტკიცებისათვის მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა ბოლშევიკების მონაწილეობას IV საჩელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანიაში.

მეფის მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა მშრომელთა მონაწილეობას არჩევნებში, რომელიც მრავალსაფეხურიანი იყო. მეფის ხელისუფალნი რეაქციულ საარჩევნო კანონსაც კი თვითნებურად განმარტავდნენ და ათასობით ადამიანს ხმის უფლებას ართმევდნენ. ისინი განსაკუთრებით ცდილობდნენ მუშებისათვის შეეშალათ ხელი არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში.

კავკასიაში ისევე როგორც რუსეთის სხვა ეროვნულ ოლქებსა და კოლონიურ განაპირა მხარეებში, ეგრეთწოდებული მუშათა კურია არ შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ათეულ ათასობით მუშა იყო. პოლიცია ყოველნაირ რეპრესიებს მიმართავდა, რომ ხელი შეეშალა ისეთი დეპუტატების არჩევისათვის, რომლებიც სასურველი არ იყვნენ მთავრობისათვის. თბილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი წერდა: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცდები... აწარმოოს გაძლიერებული წინასაარჩევნო კამპანია, ორგანიზაციის ხელმძღვანელების დაპატიმრებათა მეოხებით მაინცდამაინც გავლენას ვერ ახდენს“[1].

მასების მოტყუების მიზნით მენშევიკთა ლიდერებმა ჩხეიძემ და სკობელევმა თბილისელ და ბაქოელ ბოლშევიკებს წინადადება მისცეს საარჩევნო კამპანიაში მენშევიკებთან გაერთიანებულიყვნენ. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მიეღოთ მენშევიკების წინადადება მათი ლიკვიდატორული პლატფორმის გამოსააშკარავებლად, აცნობეს მათ, რომ თანახმა არიან გააერთიანონ მოქმედება საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკური საარჩევნო პლატფორმის საფუძველზე, და წინადადება მისცეს გამოეცათ იგი რსდმპ თბილისის საარჩევნო ბიუროს სახელით, რომელიც შეიქმნა საარჩევნო კამპანიის სახელმძღვანელოდ. მაგრამ მენშევიკებმა თავი აარიდეს პირდაპირ პასუხს და წინადადება მისცეს ბოლშევიკებს როგორც საარჩევნო კამპანიის, ისე საერთოდ პარტიული მუშაობის სახელმძღვანელოდ შეექმნათ გაერთიანებული ორგანო (20 კაცზე ერთი წარმომადგენლის ანგარიშით), იმ იმედით, რომ ამ ბიუროში რიცხობრივ უპირატესობას მიიღებდნენ. მაგრამ ეს ვარაუდი არ გაუმართლდათ. ბოლშევიკებმა, რომლებიც მტკიცედ მოითხოვდნენ თავიანთი პირობების მიღებას, წინადადება წამოაყენეს ჩაეტარებინათ მუშებში დისკუსია, რათა განემარტათ მათთვის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მენშევიკური ორგანიზაციის შეხედულებანი. მუშებში ბოლ-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1438, საქ. 604, ფურც. 46, 47.

შევიკური აგიტაციის წარმატებამ აიძულა მენშევიკები მიეღოთ ეს პირობები. „ჩვენ ამ დროს, — იგონებდა ე. დ. სტასოვა, — დიდ მუშაობას ვეწეოდით IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მოსამზადებლად. მენშევიკებთან გაერთიანებული კომისია გვქონდა. მაგრამ, ჩვენ, ბოლშევიკებს, რა თქმა უნდა, ჩვენი წინასწარი თათბირებიც გვქონდა, სადაც ვიმუშავებდით დებულებებს, რომლებიც უნდა დაგვეცვა საერთო სხდომებზე"[1].

საარჩევნო კამპანია თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ჭიათურასა და მთელ რიგ სხვა ადგილებში მიმდინარეობდა ბოლშევიკური ლოზუნგებით (8 საათის საშუშაო დღე, ეროვნულეთა მიწების კონფისკაცია, დემოკრატიული რესპუბლიკა).

იღებდა რა მხედველობაში, რომ წინანდელმა სათათბიროებმა მშრომელთა სულ მცირე იმედებიც ვერ გაამართლეს და არაფერი არ მისცეს მათ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით გლეხობა, პასიურად მოეკიდა IV სათათბიროს არჩევნებს. გაზეთი „პრავდა" კორესპონდენციაში „აოჩევნები კავკასიაში" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამრჩევთა და დეპუტატთა არჩევნები მხარის ზოგიერთ მაზრაში პასიურად მიმდინარეობდა. ბევრნი საერთოდ არ მონაწილეობდნენ ხმის მიცემაში. ამიტომ მეფის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ მთელ რიგ ადგილებში გაეუქმებინათ ან განმეორებით ჩაეტარებინათ არჩევნები. მაგალითად, ალექსანდროპოლსა და ნორ-ბაიაზეთში ამრჩევთა არჩევა არ შემდგარა იმის გამო, რომ ამომრჩევლები არ გამოცხადდნენ[2]. ერევნის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის 1912 წლის 19 სექტემბრის მოხსენებაში აღნიშნავდა, ამომრჩევლები არჩევნებს გულგრილად ეკიდებიანო[3].

მიუხედავად საარჩევნო კანონის შეზღუდვებისა, მეფის ხელისუფალთა რეპრესიებისა და მხარის მოსახლეობის ეროვნულოვანი ნაწილის პასიური დამოკიდებულებისა არჩევნებისადმი, მთელ რიგ პუნქტებში ამრჩევებად არჩეულ იქნენ ბოლშევიკები: ბაქოში— მ. ა. აზიზბეკოვი, ყაგიზმანის საარჩევნო ოლქში — ო. ს. საროხანიანი, ხოლო ნორ-ბაიაზეთისაში — ი. ნ. შჩედრინი (რომელიც შემდეგში ბოლშევიკი გახდა).

ამიერკავკასიის ბოლშევიკებს განზრახული ჰქონდათ წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატი სათათბიროში ასარჩევად, მაგრამ ამას ხელი შეუშალა მეფის ხელისუფალთა რეპრესიებმა. ჯერ კიდევ

---

[1] Е. Д. Стасова. Страницы жизни и борьбы, М., 1957, стр. 66.

[2] «Правда» № 133, 3 октября 1912 г.

[3] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1438, საქ. 604, ფურც. 46, 47.

1912 წლის აპრილში განადგურებულ იქნა რსდმპ გურიის კომიტეტი. იმავე წლის ზაფხულში დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი ბათუმელი სოციალ-დემოკრატები. სერიოზული დარტყმა განიცადა თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ იმით, რომ დაპატიმრებულ იქნენ ს. ს. სპანდარიანი, ე. დ. სტასოვა, ვ. ლ. შვეიცერი და სხვ., რომლებიც მალე ციმბირში გადაასახლეს.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის მენშევიკებმა მოახერხეს სათათბიროში გაეყვანათ თავიანთი რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებსაც ხმა მისცეს უმთავრესად წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. რაც შეეხება მუშებს, ვ. ი. ლენინის გამოანგარიშებით, დეპუტატმა-მენშევიკმა ჩხეიძემ მიიღო მხოლოდ 5 ათასი მუშის, ჩხენკელმა კი ათასი მუშის ხმა. ამიერკავკასიელმა მენშევიკმა დეპუტატებმა სათათბიროში ყველა მენშევიკის თითქმის ნახევარი შეადგინეს. ჩხეიძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა მენშევიკურ „შვიდეულს“, ბრძოლას ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელობაში ლენინური ხაზის წინააღმდეგ.

სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები, არჩეულნი ქვეყნის ექვსი ძირითადი სამრეწველო გუბერნიიდან, სადაც თავმოყრილი იყო რუსეთის პროლეტარიატის 80-მდე პროცენტი, გაბედულად იცავდნენ პარტიის თვალსაზრისს ყველა საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხში, სარგებლობდნენ მთელი ქვეყნის, კერძოდ აგრეთვე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ჯგუფების მხურვალე მხარდაჭერით. ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებთან. კავკასიელ მარქსისტთა ჯგუფის წერილში, რომელიც 1913 წლის ოქტომბრის ბოლოს გაეგზავნათ სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს, ნათქვამი იყო: „ძვირფასო ამხანაგებო! მოგესალმებით! მივესალმებით თქვენს გაბედულ და მტკიცე უარს დაემორჩილოთ შემთხვევითს უმეტესობას ერთი ხმით (იგულისხმება სათათბიროს დეპუტატთა მენშევიკური შვიდეული — **რედ.**). მივესალმებით თქვენს მტკიცე სურვილს უფრო სრულად გამოვთქვათ რუსეთის ორგანიზებული პროლეტარიატის შეუკვეცელი მოთხოვნები“[1].

ხელმძღვანელობდნენ რა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააძლიერეს მუშაობა პროფკავშირებში, სახალხო სახლებში, კლუბებში, სახალხო უნივერსიტეტებში, საადაზღვევო დაწესებულებებში, უნარიანად ახამებდნენ ლეგალურ მუშაობას არალეგალურთან.

ბაქოში ბოლშევიკები კვლავ სათავეში ედგნენ ნავთობის მრეწ-

---

[1] Газ. «За правду» № 22, 29 октября 1913 г.

ველობის მუშათა კავშირს, იღებდნენ ღონისძიებებს მისი განმტკიცებისათვის. 1913 წლის ზაფხულის დამდეგს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირის მიერ გამართულ დისკუსიაზე მისმა მონაწილეებმა აზრი გამოთქვეს, რომ საჭირო იყო 1904 წლის კოლექტიური ხელშეკრულების შევსება მთელი რიგი ახალი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებით. ეს ფაქტი გაზეთ „რაბოჩაია პრავდას" უაღრესად დიდმნიშვნელოვნად და ღირსშესანიშნავად მიაჩნდა: „იგი მოწმობს კლასობრივი თვითშეგნების უდიდეს ზრდას ვაზუთის საშეფოს პროფესიულად დაურაზმავ მუშებშიც კი, რომლებიც პროფესიულ კავშირში თავიანთ ერთგულ დამცველს ხედავენ" [1].

ბაქოს ბოლშევიკები წარმატებით ეწეოდნენ ბრძოლას ესერების წინააღმდეგ კასპიის საკავშრო ფლოტის მეზღვაურთა არალეგალური კავშირის ხელმძღვანელობისათვის, მიაღწიეს ამ პროფკავშირის წევრთა რიცხვის მნიშვნელოვან გადიდებას, განამტკიცეს მასში თავიანთი პოზიციები.

1913 წლის შემოდგომისათვის ბაქოს მუშების ყველაზე დიდი პროფკავშირები ბოლშევიკების გავლენაში იყვნენ. „პროფესიული კავშირების ყველა (ექვს) გამგეობაში უმრავლესობა ჩვენია", — ნათქვამი იყო ბაქოდან მიღებულ ბოლშევიკურ კორესპონდენციაში, რომელიც გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" გამოქვეყნდა [2]. ბაქოს პროფკავშირების მოღვაწეობაში ამ დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკები ყ. მ. აღასიევი, ს. ა. გრაჩოვი, ს. დ. იაკუბოვი, ე. ნ. კოზლოვი, მ. ა. მედვედევი (კუდრინი), გ. გ. სულთანოვი, მ. ა. ყარაგიოზოვი და სხვ.

პროფესიული კავშირების ორგანიზაციასა და განმტკიცებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ თბილისის ბოლშევიკები. ამ საკითხებს ხშირად განიხილავდნენ პარტიულ კრებებზე. 1913 წლის ოქტომბერში ბოლშევიკური უჯრედების შექმნასთან დაკავშირებით თბილისის სამრეწველო საწარმოებში გამოიყო მუშა ბოლშევიკების ჯგუფი პროფკავშირული მუშაობის გასაძლიერებლად. ბოლშევიკებმა შეძლეს აღედგინათ მთელი რიგი არალეგალური პროფკავშირები — კვების მრეწველობის საწარმოთა, წყალსადენის მუშებისა, ელექტრიკოსებისა და სხვ., რომლებშაც გაჰგეობებში ბოლშევიკები აირჩიეს. ფართოვდებოდა ლეგალურად არსებული პროფკავშირების მუშაობაც.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ეგრეთწოდებულ დაზღვევის კომპანიაში. ისინი ამხილებდ-

---

[1] Газ. «Рабочая правда» № 14, 28 июля 1913 г.

[2] Газ. «Социал-демократ» № 32, 15 (28) декабря 1913 г.

ნენ დაზღვევის შესახებ მეფის კანონის ანტიპროლეტარულ არსს, ფართოდ იყენებდნენ ლეგალურ შესაძლებლობებს საავადმყოფო სალაროების გამგეობათა არჩევასთან დაკავშირებით. თბილისის ბოლშევიკები, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ხელმძღვანელობა საავადმყოფო სალაროების არჩევნებისა მუშების მხრივ, განუმარტავდნენ მათ დაზღვევის საკითხებს, ეხმარებოდნენ სალაროების მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში. თბილისში, ჭიათურაში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში შექმნილი საავადმყოფო სალაროები ბოლშევიკების ძლიერ გავლენაში იყვნენ. იმისათვის, რომ საავადმყოფო სალაროების ხელმძღვანელობა პროლეტარიატის ხელში გადასულიყო, ფოთელმა მუშებმა 1913 წლის სექტემბერში წამოაყენეს მოთხოვნა — დანიშნულიყო საავადმყოფო სალაროების გამგეობათა ახალი არჩევნები და ქართულ ენაზე გამოქვეყნებულიყო დაზღვევის შესახებ კანონის ტექსტი. ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნები.

იმ წლებში საქართველოში შექმნილმა საავადმყოფო სალაროებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუშების გაერთიანებასა და პოლიტიკურ აღზრდაში, საგაფიცვო ბრძოლაში მათს ჩაბმაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებშიც. ბოლშევიკური გავლენის გამტარებელნი იყვნენ ბაქოს მუშათა კლუბი „ცოდნა ძალაა", რომელსაც განყოფილებები ჰქონდა ბაქოს სარეწაო-საქარხნო რაიონებში, და თბილისის სამრეწველო საწარმოების მოსამსახურეთა კლუბი, რომელიც 1913 წლის იანვარში გაიხსნა. ამ კლუბებში ბოლშევიკები აწყობდნენ კრებებს, მართავდნენ დისკუსიებს მენშევიკებთან, აწყობდნენ ლექციებსა და მოხსენებებს. ბოლშევიკების ლეგალური მუშაობის კერები იყო აგრეთვე სახალხო სახლები და მუშათა თეატრები. თბილისის მუშათა თეატრმა — ეგრეთწოდებულმა ავჭალის აუდიტორიამ — შექმნა თავისი რეპერტუარი, რომელიც პროლეტართა იდეურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს შეესაბამებოდა. თბილისის სახალხო სახლი და ავჭალის აუდიტორია სახალხო უნივერსიტეტის თბილისის საზოგადოების გამგებლობაში იყვნენ. ეს საზოგადოება ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშაობდა. მენშევიკი ლიკვიდატორები ამ დაწესებულებებიდან განდევნილ იქნენ. თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტებში ბოლშევიკები აწყობდნენ ფულის შეგროვებას ბოლშევიკური პრესის ფონდში, აწყობდნენ ლექციებს პოლიტიკურ თემებზე.

მუშებში ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების გავლენის გავრცელებას ხელს უწყობდა მათი მოღვაწეობაც კოოპერატივებში. მაგალითს წარმოადგენს ბაქოელი ბოლშევიკების მუშაობა კოოპერატივებში „შრომაში", „მუშაკში", „დახმარებაში".

თვითმპყრობელური წყობილების რეაქციული არსის მხილებისა და რევოლუციური აგიტაციის გაძლიერებისათვის ბოლშევიკები ადგილობრივ საქალაქო თვითმმართველობებსაც იყენებდნენ. 1911 წლის დეკემბერში ბაქოს საქალაქო თვითმმართველობის ხმოსნად არჩეული მ. ა. აზიზბეკოვი საქალაქო თვითმმართველობის ტრიბუნიდან გმობდა ცარიზმისა და ნავთობის მრეწველთა პოლიტიკას, პროტესტს აცხადებდა მშრომელი მოსახლეობის აუტანლად მძიმე მდგომარეობის გამო.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკები რევოლუციური აღმავლობის წლებში წარმატებით ახორციელებდნენ ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების ტაქტიკას, ერეკებოდნენ მენშევიკებს ლეგალური ორგანიზაციებიდან.

ამავე დროს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააქტიურეს თავიანთი მოღვაწეობა მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური გამოსვლების ხელმძღვანელობისათვის. ლენის ამბებმა დააჩქარა ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა. 1912 წლის 4 აპრილს ლენის ოქროს საბადოებზე მეფის ჯალათებმა დახვრიტეს მუშების სამიათასიანი დემონსტრაცია, რომლებიც შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

ლენაზე მხეცურ ყლეტას რუსეთის მუშათა კლასმა მძლავრი პროტესტით უპასუხა. პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, რიგაში კიევსა და ბევრ სხვა სამრეწველო ცენტრში გამართულ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში ასეულ ათასობით მუშა მონაწილეობდა.

ცარიზმის სისხლიანი დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტის ხმა ამიერკავკასიის მუშებმაც აღიმაღლეს. ბაქოს მთელ რიგ საწარმოებში მუშებმა ერთი დღის ხელფასი გადარიცხეს ლენაზე დაღუპულ ამხანაგთა ოჯახების სასარგებლოდ[1]. როგორც კავკასიის მეფისნაცვლისადმი თავის 1912 წლის 17 მაისის მოხსენებაში ბაქოს ქალაქის შმართველი აღიარებდა, სარეწების რაიონის მუშა მოსახლეობის დიდი ნაწილი ლენის ამბების შთაბეჭდილებით მტრულად იყო განწყობილი მთავრობის მიმართ. თბილისის ბოლშევიკების პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „სისხლიან დაფიონში ვეგებებით 1 მაისს... შორეულ ციმბირში ასე არაადამიანურად დახვრეტილი ჩვენი 500

[1] «Правда» № 1, 22 апреля 1912 г.

ძმის ჯერ კიდევ ცხელი სისხლი მოგვიწოდებს შურისსაძიებლად"[1]. ბათუმელი მუშები სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან მოითხოვდნენ მიღებული ყოფილიყო ზომები. ლენის ოქროს საბადოებზე ჩადენილი ბოროტმოქმედების დაუყოვნებლივ გამოძიებისათვის, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის და დაღუპულ მუშათა ოჯახების სრული მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ცარიზმის ბოროტმა დანაშაულმა მშრომელთა პროტესტები გამოიწვია აგრეთვე ალექსანდროპოლში, ყარსში, კაფანში, ალავერდში. დემოკრატიული გაზეთი „არაგაწი", რომელიც ალექსანდროპოლში გამოდიოდა, წერდა, რომ ლენაზე დახვრეტამ „ღრმად აღაშფოთა საზოგადოებრივი სინდისის სიმშვიდე, მთელი რუსეთის შეგნებული და მოაზროვნე ნაწილი შეაძრწუნა ამ უმაგალითო ბოროტმოქმედებამ"[2].

თბილისის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ გამოუშვა ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო პროკლამაცია რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეს პროკლამაცია გავრცელებულ იქნა 30 აპრილს რკინიგზის სახელოსნოებსა და სხვა ადგილებში. ამიერკავკასიაში გამოსვლები ლენაზე მუშათა დახვრეტის წინააღმდეგ უერთდებოდა საპირველმაისო გაფიცვებსა და დემონსტრაციებს ბაქოში, კაფანში და სხვა ადგილებში.

1912 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე მუშათა მოძრაობა მხარეში კვლავ თანდათანობით იზრდებოდა. გაფიცვებს აწყობდნენ არა მარტო ბაქოსა და თბილისის მთელ რიგ საწარმოთა მუშები, არამედ აგრეთვე ჭიათურის, ბათუმის, ნუხის, ალექსანდროპოლის, ფოთის, ქედაბეკის, სოხუმის მუშები, შოლარის წყალსადენის მშენებლები ბაქოს გუბერნიის კუბის მაზრაში. მუშათა მოძრაობამ თითქმის მთელი ამიერკავკასია მოიცვა.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ბოლშევიკების პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებას. ეროვნული საკითხი მაშინ ძლიერ გამწვავდა. თვითმპყრობელობის მიერ ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერების ნიშანი იყო ფინეთის ავტონომიის ლიკვიდაცია. განაპირა მხარეების რუსიფიკაციის მიზნით ცარიზმი თავიანთი შეჩვეული ადგილებიდან ერეკებოდა მკვიდრ მოსახლეობას შუა აზიის, ციმბირის და ნაწილობრივ ამიერკავკასიის

---

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 204, ფურც. 1.

2 გაზ. „არაგაწ" № 31, 1912 წ. 26 აპრილი.

სხვადასხვა ადგილებში და იქ რუსეთიდან ჩამოსახლებულთ აბინავებდა.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, თვითმპყრობელობამ ყოველივე მოიმოქმედა... „ხალხების ურთიერთჩამოშორებისათვის"[1]. ბურჟუაზიულ პრესაში და სათათბიროში, სასამართლოებსა და სკოლებში ავიწროებდნენ და სდევნიდნენ „არარუსებს". ცარიზმი სისტემატურად აძევებდა ამიერკავკასიის სკოლებიდან მშობლიურ ენას. „მშობლიური ენა დაწყებითს სკოლებში მთლად აბუჩად აგდებულია"[2], — აღნიშნავდა გაზეთი „პრავდა" სტატიაში „სკოლა კავკასიაში". შენიშვნაში „სამკაპიკიანი ნაციონალიზმი" „პრავდა" იუწყებოდა, რომ ხონის პროგიმნაზიის გამგე ქალი მოსწავლე გოგონებს სამ კაპიკ ჯარიმას ახდევინებდა ქართულად ლაპარაკისათვის[3]. ხოლო შავრაზმელმა მასწავლებელმა ქუთაისის გიმნაზიაში შენიშნა მოსწავლეს, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა: „ნუ ყეფთ ცხოველთა ამ ენაზე"[4]. ამის გამო შეტანილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს 38 დეპუტატის შეკითხვა, მაგრამ იგი სათათბიროს შეკითხვათა კომისიაში ჩაიძირა. ასეთივე ბედი ეწია სახელმწიფო სათათბიროს 30 წევრის 1913 წლის 21 იანვრის შეკითხვას კავკასიაში განათლების მდგომარეობის შესახებ. სასტიკ დევნას განიცდიდა ამიერკავკასიის ხალხთა ბევრი პროგრესული მოღვაწე. ცარიზმის რეპრესიები თავს ატყდებოდა პრესის დემოკრატიულ ორგანოებსაც, რომლებიც ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე გამოდიოდა. ბევრ ამ გაზეთსა და ჟურნალს ხურავდნენ და მათი კონფისკაცია ხდებოდა.

შოვინიზმის გაძლიერება, გარდა ყოველივე ამისა, დაკავშირებული იყო აგრეთვე საგარეო პოლიტიკასთან, რასაც ახორციელებდა თვითმპყრობელობა, რომელიც, ისევე როგორც სხვა იმპერიალისტური მთავრობები, მსოფლიოს ხელახლა გასანაწილებელი ომისათვის ემზადებოდა.

ნაციონალისტური ტენდენციები იზრდებოდა ამიერკავკასიის ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაშიც, რაც გამოწვეული იყო თვითმპყრობელობის მიერ ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებით, მისი შოვინისტური პოლიტიკით. ეროვნული ბურჟუაზია ცდილობდა ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა უწინარეს ყოვლისა იმისათვის გამოეყენებინა, რომ მეფის მთავრობა

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 25, გვ. 97.

2 «Правда» № 6, 8 января 1913 г.

3 «Правда» № 58, 6 июля 1912 г.

4 სსრ კავშირის ცსია, ფ. 1278, 1910, აღწ. 2, ს. 2562, ფურც. 1.

დაეყოლიებინა ახალ დათმობებსა და პრივილეგიებზე თავისთვის, თვით მოძრაობა კი ნაციონალისტური კალაპოტით წარემართა.

ამიერკავკასიის ბევრი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის პროგრამებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში თავგამოდებული ნაციონალიზმის ქადაგება შეხამებული იყო თვითმპყრობელობისადმი ერთგულ-ქვეშევრდომულ გრძნობებთან. ნერგავდნენ და აღვივებდნენ რა მტრობას რუსი მუშებისა და გლეხებისადმი, ისინი ეროვნულ შუღლს თესავდნენ თვით ჩაგრულ ხალხებს შორისაც. „ყველა ერის ლიბერალური ბურჟუაზია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ხოლო ველიკოროსული უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა, **თავისი** ერის პრივილეგიებისათვის იბრძვის..., იბრძვის ეროვნული განკერძოებულობისათვის, ეროვნული განსაკუთრებულობისათვის და მით ეხმარება ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას"[1].

ქვეყნის მთელი რეაქციული ძალები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ რევოლუციური მოძრაობის ჩახშობით, ნაციონალიზმის დანერგვითა და ომის მომზადებით, ყველანაირად ცდილობდნენ დაეშალათ პროლეტარების ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტი, რათა შეესუსტებინათ მათი ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ქადაგება ამიერკავკასიაში აჰ წლებში განსაკუთრებით გააძლიერეს დაშნაკებმა, აზერბაიჯანული ბურჟუაზიის პარტიამ „მუსავატმა", რომელიც 1911 წელს აღმოცენდა, სოციალ-ფედერალისტების პარტიამ საქართველოში, სომეხმა „სპეციფიკებმა", ქართველმა მენშევიკებმა. ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ნაციონალისტები და მათს ბანაკში გადაბარგებული წვრილბურჟუაზიული პარტიები ქადაგებდნენ კლასობრივ მშვიდობას „თავიანთ" ერებს შიგნით, წამლავდნენ მუშათა და გლეხთა შეგნებას ნაციონალიზმის შხამით, რათა ჩამოეშორებინათ ისინი რევოლუციური ბრძოლისათვის. ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობდნენ გაეთიშათ სხვადასხვა ეროვნების მუშები, წაესისხლიანებინათ ისინი ერთმანეთისათვის, ილაშქრებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ პროფკავშირები და პროლეტარიატის სხვა ორგანიზაციები აგებული ყოფილიყო ინტერნაციონალური პრინციპის მიხედვით, ხშირად ჩაშლიდნენ ხოლმე გაფიცვებს, ტერორით აშინებდნენ მოწინავე მუშებს.

ბუნდის მაგალითისამებრ დაშნაკები, სოციალ-ფედერალისტები, ქართველი მენშევიკები, სომეხი „სპეციფიკები" და სხვა ნაციონალისტები მხარს უჭერდნენ „კულტურულ-ეროვნული ავტონომი-

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 267.

ის“ ყბადაღებულ თეორიას, რომელიც წამოაყენა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ და ითვალისწინებდა მუშათა ორგანიზაციების, პარლამენტების და სხვა დაწესებულებების, სკოლებისა და სხვ. შექმნას ეროვნული ნიშნის მიხედვით. კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მომხრეები არსებითად წყალს ასხამდნენ ველიკორუსულ შოვინიზმის წისქვილზე, ერთა სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპს ცვლიდნენ მხოლოდ კულტურის სფეროში თანასწორუფლებიანობით, რომელიც, პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორუფლებიანობა თუ არ იქნებოდა, ფიქციად გადაიქცეოდა.

„კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ აპოლოგეტებად გამოდიოდნენ ამიერკავკასიის მენშევიკების ისეთი ლიდერები, როგორიც იყვნენ ჟორდანია, ჩხენკელი და სხვ. პირველი მათგანი მენშევიკური პრესის ფურცლებზე გამოვიდა სტატიით „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის შესახებ“, ხოლო მეორემ ეს ლოზუნგი წამოაყენა სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას.

იქმნებოდა საფრთხე, რომ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ტალღა მუშათა მასებსაც მოიცავდა. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკებისათვის საჭირო იყო წინააღმდეგობა გაეწიათ შოვინიზმისა და ნაციონალიზმისათვის, დაეცვათ მშრომელი მასები მათი გამხრწნელი გავლენისაგან. ბოლშევიკური პარტიის წინაშე დადგა ამოცანა შემდგომ უფრო ღრმად დაემუშავებინა თავისი პროგრამა ეროვნულ საკითხში.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში ხელმძღვანელი როლი ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. თავის განთქმულ შრომებში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“ და სხვ., პარტიულ მუშაკებთან ცენტრალური კომიტეტის კრაკოვისა და პორონინოს თათბირებზე გამოსვლებში ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ განავითარა და დაასაბუთა მარქსისტული პროგრამა ეროვნულ საკითხში.

ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს ბოლშევიკურმა პარტიამ დაუპირისპირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ყველა ერის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აი, ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 13.

შრომებში ეროვნულ საკითხზე ვ. ი. ლენინი გადაჭრით იცავდა ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ თვით სრულ გამოყოფამდე და გამანადგურებლად აკრიტიკებდა „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიას. ვ. ი. ლენინმა, კერძოდ, გვიჩვენა, რომ ნაციონალიზმის ეს წვრილბურჟუაზიული ნაირსახეობა, რომელიც მარქსისტებმა დაგმეს, იარაღად გაიხადეს ბუნდმა, მენშევიკ-ლიკვიდატორებმა, კავკასიის ნაციონალისტურმა პარტიებმა „დაშნაკცუტიუნმა“ და სოციალ-ფედერალისტებმა[1].

ვ. ი. ლენინი ღრმა ინტერესით ეკიდებოდა ეროვნულ საკითხს კავკასიაში. 1913 წლის 24 აგვისტოს იგი ს. გ. შაუმიანს სწერდა: „აუცილებლად გამომიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში (რაკი თქვენ, **სამწუხაროდ**, არ შეგიძლიათ თვითონ დაწეროთ) და **კოსტროვის** (ნ. ჟორდანია — **რედ.**) სტატია და მისი წიგნები... და კავკასიის **ეროვნებათა სტატისტიკა** და მასალა ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში, სპარსეთში, თურქეთსა და რუსეთში... არ დაგავიწყდეთ აგრეთვე **მოძებნოთ** კავკასიელი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ სტატიები ეროვნულ საკითხზე კავკასიაში“[2]. ამ საკითხებზე ვ. ი. ლენინი მიმართავდა ამიერკავკასიის სხვა თვალსაჩინო ბოლშევიკებსაც.

ეროვნულ საკითხში პარტიის მარქსისტული პროგრამის შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა ი. ბ. სტალინმა. კავკასიის მენშევიკების ნაციონალიზმის მხილებისადმი იყო მიძღვნილი მისი სტატია „ნაციონალიზმის გზაზე (წერილი კავკასიიდან)“, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წლის იანვარში გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“. იმავე წელს ჟურნალ „პროსვეშჩენიეს“ ფურცლებზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა ნაშრომით „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომელმაც ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება მიიღო. 1913 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი წერდა: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე იყო გაშუქებული უკანასკნელ ხანებში (აქ პირველ ადგილზეა სტალინის სტატია)“[3].

ეროვნული საკითხის მარქსისტულ დამუშავებაში ამ წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. გ. შაუმიანმა, რომელმაც განაზოგადა მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციების ძვირფასი გამოცდილება ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. 1914 წელს ცალკე ბროშურად გამოვიდა ს. გ. შაუმია-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20. გვ. 106—109.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35. გვ. 99.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 645.

ნის ნაშრომი „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის შესახებ“, რომელშიც იგი ამხილებდა სომეხი სპეციფიკების ერთ-ერთ ლიდერს — ანანუნს და ააშკარავებდა ნაციონალიზმისა და ოპორტუნიზმის შინაგან ნათესაობას. აზერბაიჯანული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის ერთ-ერთი ორგანოს მკვეთრი კრიტიკით გამოდიოდა ნ. ნ. ნარიმანოვი. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებდა ფ. ე. მახარაძე.

ეროვნულ საკითხში პარტიის პროგრამით შეიარაღებულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააძლიერეს ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, დაუღალავად ზრდიდნენ მშრომელ მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სტატიებსა და ლექციებში, მუშათა კრებებზე გამოსვლებში ბოლშევიკები მშრომელებს მოუწოდებდნენ ინტერნაციონალური ერთიანობისაკენ, ამხილებდნენ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის ლოზუნგს. გაზეთ „ზა პრავდუ“-ში დაბეჭდილი თავისი წერილებიდან ერთ-ერთში კავკასიელი მარქსისტების ჯგუფი მკაცრად გმობდა IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკ დეპუტატებს, რომლებიც გამოდიოდნენ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით[1]. წერილში ნათქვამი იყო რომ სათათბიროში მენშევიკური „ვიდეულის“ ამ გამოსვლაში გამოვლინდა „ვიწრო და ღვარძლიანი ნაციონალიზმის“ გავლენა. წერილი მოუწოდებდა კავკასიელ მუშებს გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ წინააღმდეგ.

როცა დაშნაკებმა და სომეხმა კადეტებმა კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ჩაგონებით 1913 წელს თბილისში მოიწვიეს ეგრეთწოდებული „სრულიად სომხეთის ყრილობა“, რათა ნიადაგი მოემზადებინათ სომხების ჩასაბმელად მოახლოებულ ომში, გაეღვივებინათ ეროვნული ვნებანი და სომხეთის პროლეტარიატი მოეწყვიტათ საერთო-რუსეთის რევოლუციური მოძრაობისაგან. მათი მხილებისათვის ყრილობაზე გამოცხადდნენ ბოლშევიკები ა. ტ. ვარდანიანი, ს. ი. კასიანი და ა. ს. კახოიანი. თავის სიტყვაში ს. ი. კასიანმა და მის მიერ წაკითხულ რეზოლუციის პროექტში ამხილა მეფის რუსეთის დიდმპყრობელური საგარეო პოლიტიკა, დაგმო დაშნაკები და სომეხი კადეტები, როგორც ცარიზმის ლაქიები და თავისი ხალხის გამცემლები. რეზოლუციის ამ პროექტის პირი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა[2].

მშრომელთა ინტერნაციონალურ დარაზმვასა და აღზრდაში დი-

---

1 Газ. «За правду» № 22, 29 октября 1913 г.

2 ბლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 4, დაცვ. ერთ. 36, ფურც. 18.

დი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა პრესამ. 1914 წელს ბაქოში გამომავალ ლეგალურ მუშათა გაზეთ „ნაშა ჟიზნ"-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამი იყო: „ბაქოელ მუშას, ვინც უნდა იყოს იგი — რუსი, თათარი (აზერბაიჯანელი — რედ.), ებრაელი, სომეხი თუ ქართველი, —არ შეიძლება არ სტანჯავდეს რუსეთის მთელი მუშათა კლასის ტანჯვა, არ შეიძლება არ ახარებდეს მისი სიხარული, არ შეიძლება იგი არ გამოუხმაუროს რუსეთის მუშათა მასების საერთო საქმეს"[1]. გაზეთი ბაქოს მუშებს მოუწოდებდა განემტკიცებინათ ინტერნაციონალური კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, დარაზმულიყვნენ მის გარშემო, გაეერთიანებინათ „ადგილობრივი საერთოსთან"[2].

დაშნაკების ნაციონალისტური ქადაგების წინააღმდეგ გადაჭრით გამოდიოდა სომხური მუშათა გაზეთი „ხოსქ"). მიმართავდა რა სომხეთის პროლეტარიატს, გაზეთი არწმუნებდა მას რომ საჭიროა „...გავცილდეთ ვიწროეროვნულ ჩარჩოებს და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სრულიად რუსეთის ბრძოლაში"[3].

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა „პრავდა". 1912—1914 წლებში იგი არაერთხელ გამოსულა კავკასიის ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ რუსეთის ყველა ჩაგრული ხალხის, მათ შორის აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხების, განთავისუფლება ცარიზმისა და კაპიტალისტების უღლისაგან შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მთელი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გამარჯვების შედეგად. ერთ-ერთ შოწინავე სტატიაში „პრავდა ტრუდამ" მაღალი შეფასება მისცა კავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთიანობას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ 15 წლის მანძილზე კავკასიის ყველა ეროვნების მუშები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები წარმატებით ახორციელებენ პროლეტარიატის გაერთიანების ინტერნაციონალურ პრინციპს და წინაღმდეგობას უწევენ ყოველგვარ ნაციონალიზმს"[4].

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობას თავისი ნაყოფი მოჰქონდა. ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნების პროლეტარები, კლასობრივი სოლიდარობის გრძნობით გამსჭვალულნი, იჩენდნენ ცარიზმისა და

---

1 Газ. «Наша жизнь» № 1, 19 апреля 1914 г.

2 იქვე.

3 გაზ. „ხოსქ" № 14, 1914 წ. 3 აპრილი.

4 Газ. «Правда труда» № 12, 24 сентября 1913 г.

ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში მიზნებისა და მოქმედების ერთიანობის სრულ გაგებას. ამ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, გამოხატულებას პოულობდა მშრომელთა არა მარტო სოციალური, არამედ აგრეთვე ეროვნული განთავისუფლებისადმი მისწრაფება.

ბოლშევიკების მიერ გაწეული დიდი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად ამიერკავკასიის პროლეტარიატის ეროვნული კადრები ნაციონალისტების გავლენის ქვეშ არ მოქცეულან. ცალკეული ჩამორჩენილი მუშებიც კი, ერთ ხანს თუ წამოეგებოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტების ანკეტაზე, სწრაფად გამოიცნობდნენ ხოლმე მათს ნამდვილ სახეს. რუდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი 1913 წლის 25 ნოემბრის წერილში ს. ი. კასიანი აღნიშნავდა, რომ მოწინავე მუშები ტოვებენ სომხეთის ს.-დ. მუშათა ორგანიზაციას და ჩვენს პარტიაში გადმოდიან, ხოლო „დაშნაკცუტიუნის" პარტიაში გამეფებულია განხეთქილება, მასები ტოვებენ ამ ნაციონალისტურ ორგანიზაციას"[1].

მშრომელი მასების ინტერნაციონალური შეკავშირების საქმეში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობამ ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება მიიღო. „ჩვენში და კავკასიაში, — წერდა ვ. ი. ლენინი 1913 წლის თებერვალში, — ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები[2] + რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ე რ თ ი ა ნ ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა"[3]

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მასების რევოლუციური ბრძოლის სათავეში პირველი მსოფლიო ომის წინ

რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები მასებს ამზადებდნენ ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ახალი ბრძოლებისათვის. სისხლიანი კვირის წლისთავი 1913 წლის 9 იანვარი ბაქოს მთელი რიგი საწარმოების მუშებმა გაფიცვით აღნიშნეს.

დიდი მუშაობა ცასწიეს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა 1913

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 1348, ფურ. 3.

2 თათრები — აზერბაიჯანელები (რედ.).

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 76.

წელს 1 მაისის დღესასწაულის მოსამზადებლად. ბაქოში გავრცელებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამაისო ფურცელი, რომელიც აქ ხელმეორედ გამოიცა 400 ცალად. მენშევიკების ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა 1 მაისის მოახლოებასთან დაკავშირებით გამოსცა პროკლამაცია, მაგრამ იგი მუშებს მოუწოდებდა არა გაფიცვისაკენ, არამედ ურჩევდა ეს დღე აღენიშნათ „შეძლებისამებრ". მენშევიკური პროკლამაციის საწინააღმდეგოდ ქუთაისის ბოლშევიკებმა გამოუშვეს თავიანთი ფურცელი, რომელშიც გადაჭრით მოითხოვდნენ პოლიტიკური გაფიცვის ჩატარებას. „ამხანაგებო! — მოუწოდებდა იგი მუშებს, — არ იმუშაოთ პირველ მაისს. მხარი დაუჭირეთ რუსეთის მუშათა კლასის გამოსვლებს. იცოდეთ, ვინც არ გაიფიცება, იგი საერთო საქმის მოღალატეა"[1]. ამიერკავკასიის მოწინავე მუშებმა 1 მაისის დღეს მოაწყეს მთელი რიგი გაფიცვები, მიტინგები, კრებები.

ზაფხულის დამდეგისათვის მუშათა მოძრაობამ ზრდა იწყო. 1913 წლის 5 ივნისს დაიწყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშათა გაფიცვა. იგი მებრძოლ, შემტევ ხასიათს ატარებდა, გაფიცულთა დიდი ორგანიზებულობითა და დისციპლინით გამოირჩეოდა. მაღაროელთა გაფიცვას შეუერთდნენ მუშები, რომლებიც ზესტაფონის სადგურში, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში მადნის დატვირთვაზე მუშაობდნენ. გაფიცვაში 10 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. მუშები მოითხოვდნენ 8 საათის სამუშაო დღეს, კვირა-უქმე დღეებში მუშაობის აღკვეთას, ბავშვთა შრომის აკრძალვას, ხელფასის მომატებას, შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობას.

გაფიცვამ აშკარად პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მას სათავეში ედგა ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელმაც მოამზადა გაფიცვა და წარმართავდა მას. ხელისუფლებმა მიმართეს თავიანთ ჩვეულ პროვოკაციულ ხერხებს: მათ ქართველი მუშები გამოაცხადეს წამქეზებლებად, სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთმანეთისათვის დაპირისპირებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ გაფიცულთა ერთიანობისათვის. მაგრამ ეს ცდები მარცხით დამთავრდა. საგაფიცვო ბიურომ, რომელიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოქმედებდა, გამოუშვა მუშებისადმი მიმართვა, რომელშიც განმარტავდა გაფიცვის მნიშვნელობას. შემდეგში საგაფიცვო ბიურომ გამოუშვა მთელი რიგი ფურცლები და პროკლამაციები: „მოსახლეობას!", „გაფიცულთა საყურადღებოდ!", „ძირს შტრეიკბრეხერები!" და სხვ.

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 3, ს. 664, ფურც. 7.

თუმცა საგაფიცვო ბიუროში შედიოდნენ მენშევიკებიც, რომლებიც ცდილობდნენ დაეყოლიებინათ მუშები, რომ გაფიცვისათვის „ზომიერი“ ხასიათი მიეცათ, მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნები წამოეყენებინათ და შეთანხმებოდნენ მრეწველებს, გაფიცულები არ აჰყვნენ მენშევიკების აგიტაციას. მუშები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მტკიცედ იცავდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას — განეგრძოთ ბრძოლა მანამდე, სანამ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნებოდა.

მეფის ხელისუფალნი მრეწველებთან ერთად ყველა ღონეს მიმართავდნენ, რომ ჩაეხშოთ გაფიცვა. მაგრამ გაფიცვა არ წყდებოდა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა საგაფიცვო ბიუროს ახალი პროკლამაცია, რომელიც ამხილებდა გუბერნატორის მიერ მიღებულ ზომებს და მოუწოდებდა მუშებს უარი არ ეთქვათ თავიანთ მოთხოვნებზე.

ჭიათურელი მუშების გაფიცვის მსვლელობას რეგულარულად აშუქებდა „პრავდა“, რომელიც გმობდა მეფის ხელისუფალთა რეპრესიებს გაფიცულთა მიმართ და გაფიცულებთან სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა მთელი ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს.

საერთოდ გაფიცვა 24 ივლისამდე, ე. ი. 49 დღეს გაგრძელდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, რომლებმაც მიაღწიეს მთელი რიგი თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საგაფიცვო ბიურომ გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც აღნიშნავდა მუშათა შესანიშნავ გამარჯვებას და, იმოწმებდა რა გაფიცვის გაკვეთილებს, განუმარტავდა მუშებს, რომ მათი ძალა ერთობასა და სოლიდარობაშია.

ჭიათურელი პროლეტარების ბრძოლამ შთააგონა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშებიც. ისინი გაიფიცნენ ჭიათურაში გაფიცვის გამოცხადების 10—12 დღის შემდეგ და მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის მომატება. ხელისუფლებმა უპასუხეს რეპრესიებით, ყაზარმებიდან მუშათა გამოსახლებით. მაგრამ გაფიცვა გრძელდებოდა. იგი ერთ თვეს გაგრძელდა. მუშებმა მიაღწიეს 9 საათის სამუშაო დღის დაწესებას და ხელფასის 10 პროცენტით გადიდებას. ჭიათურის მაღაროელებთან ერთად გაფიცული იყვნენ ქალებიც — აბრეშუმძაფსახვევი ფაბრიკის მუშები სამტრედიაში, მეურმეები ჭიათურაში და სხვ.

ამიერკავკასიაში 1913 წელს მუშათა მოძრაობამ ყველაზე დიდ აღმავლობას მიაღწია ბაქოში. გაზაფხულის დამლევს აქ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საყოველთაო გაფიცვისათვის. გაფიცვის საკითხი განხილულ იქნა აპრილში, ბოლშევიკების მიერ ბალახანაში მოწვეულ კრებაზე. მოწვეულ იქნა აგრეთვე დელეგატთა ორი კრება, რომლებზეც აღინიშნა, საბრძოლოდ განწყობილი მუშები საყო-

ველთაო გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას მოითხოვენო. ჯერ კიდევ მის დაწყებამდე, 16 ივლისს, გაიფიცა კასპია-შავი ზღვის საზოგადოების ორი ათასამდე მუშა.

ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ გაჩაღებულ საგაფიცვო მოძრაობას, წარმართეს იგი ორგანიზებული კალაპოტით. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი და ჩატარდა მუშათა მთელი რიგი სახელდახელო მიტინგები და კრებები. გაფიცვის მომზადებასა და მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბ. ა. ბორიანი, ა. ბ. გაბრიელიანი, ს. დ. იაკუბოვი, გ. ზ. იოანისიანი, მ. მ. მამედიაროვი, ე. ე. რაზმაჩაევი და სხვა ბოლშევიკები.

21 ივლისს ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტი შეიკრიბა სარეწაო-საქარხნო კომისიების წარმომადგენლებთან ერთად. გადაწყდა გამოეშვათ მუშებისადმი მოწოდება და 25 ივლისს დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა. მოწოდება გამოშვებულ იქნა საგაფიცვო კომიტეტის სახელით და ფართოდ გავრცელდა მასებში. 25 ივლისს ბაქოში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. გაიფიცნენ ქალაქისა და მისი რაიონების 220-ზდე სამრეწველო საწარმოს მუშები. გაფიცულთა რიცხვი 35 ათას კაცს აღწევდა.

ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტმა მუშების რწმუნებულთა მონაწილეობით შეიმუშავა და ნავთობის მრეწველთა ყრილობის საბჭოს გაუგზავნა გაფიცულთა მოთხოვნები: 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის გადიდება, სარეწაო-საქარხნო კომისიებისა და პროფკავშირების ცნობა, მათთვის ადმინისტრაციის მიერ შინაგანაწესის წესების დაცვისადმი კონტროლის უფლების მინიჭება, საწარმოებში მუშების მიღება მხოლოდ პროფკავშირებისა და სარეწაო-საქარხნო კომისიების წარდგენით, პრესის თავისუფლება, 1 მაისის დღესასწაულის თავისუფალი ზეიმობა, მუშათა დაბების აშენება, მუშებისათვის სკოლების შექმნა მშობლიურ ენაზე. პროლეტარიატის ხელში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, აგრეთვე ნავთობის მრეწველთა ყრილობის საბჭოს საავადმყოფოებისა და ამბულატორიებისადმი ხელმძღვანელობის გადაცემა და სხვ.

გაფიცვით შეშინებული მეწარმეთა ნაწილი იძულებული იყო წასულიყო დათმობაზე და დათანხმებოდა ცალკეულ მოთხოვნებს. მაგრამ მუშები განაგრძობდნენ გაფიცვას, მტკიცედ მოითხოვდნენ ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ამ ფართო გაფიცვას დიდ ყურადღებას უთმობდა „პრავდა". იგი სისტემატურად ბეჭდავდა გამოხმაურებებს საყოველთაო გაფიცვაზე ბაქოში, აშუქებდა გაფიცვის მსვლელობას. გამოთქვამდა

პროტესტს ხელისუფალთა და კაპიტალისტთა მხრივ რეპრესიების წინააღმდეგ.

გაფიცვის დღეებში დიდი სიმტკიცე და შეუპოვრობა ბრძოლაში გამოიჩინეს სარეწების მუშებმა — აზერბაიჯანელებმა და დაღესტნელებმა. გაფიცვაში მათი აქტიური მონაწილეობა „სევერნაია პრავდას“ მიაჩნდა ბაქოს პროლეტარიატის ამ გამოსვლის საგულისხმო ნიშნად. გაზეთი აღნიშნავდა, რომ მუსლიმან მუშათა მასამ „მთლიანად თავისი მხრებით ზიდა ბაქოს მთელი გაფიცვა“[1].

როცა კაპიტალისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ უთანხმოება შეეტანათ გაფიცულთა ინტერნაციონალურ რიგებში, ლაქუცი დაუწყეს მუსლიმან მუშებს, მათ უპასუხეს, „უქრისტიანებოდ (ე. ი. ურუსებოდ, უსომხებოდ, უქართველებოდ — **რედ.**) მუშაობას არ შევუდგებითო“. გაზეთი „პრავდა ტრუდა“ ხაზგასმით აღნიშნავდა, ამ პასუხით მუსლიმანმა მუშებმა ცხადყვეს, რომ ისინი „თანამედროვე მუშათა მოძრაობის სიმაღლეზე დგანან“[2].

1913 წლის ზაფხულის გაფიცვაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მენშევიკების, ესერების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების დეზორგანიზატორულმა მუშაობამ. გაფიცვის დღეებში ბაქოში ჩავიდა IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკი დეპუტატი მ. სკობელევი, რომელიც სთავაზობდა მუშებს უარი ეთქვათ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მოთხოვნებზე და დათანხმებულიყვნენ წვრილმან დათმობებზე, მაგრამ მენშევიკთა ცდამ მარცხი განიცადა.

გაფიცვა რომ ჩაეშალათ, მეფის ხელისუფლებმა მუშების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები გამოიყენეს. ამხანაგობა „რუსსკაია ნეფტის“ სარეწებზე მთელი ყაზარმები გაგზავნილ იქნენ საპყრობილეებში[3]. ბაქოს საპყრობილეები გაჭედილი იყო დაპატიჭრებული გაფიცულებით. ბევრ სარეწზე პოლიციელები და ჩაფრები სცემდნენ მუშა აქტივისტებს. 1913 წლის აგვისტოში დაპატიმრებულ იქნა რსდმპ ბაქოს კომიტეტის და საგაფიცვო კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. პოლიციასა და მუშებს შორის შეტაკებები ხდებოდა.

პოლიციის მხრივ ტერორის მიუხედავად, გაფიცვა სულ უფრო ფართოვდებოდა და ქალაქ ბაქოს და მისი რაიონების 468 საწარმო მოიცვა. გაფიცვის მონაწილეთა რიცხვი 45 ათასამდე ავიდა. ბაქოს

---

1 Газ. «Северная правда» № 13, 17 августа, и № 25, 31 августа 1913 г.

2 Газ. «Правда труда» № 12, 24 сентября 1913 г.

3 Газ. «Северная правда» № 5, 6 августа 1913 г.

პროლეტარიატის გაფიცვა 1913 წლის 17 ოქტომბრამდე გრძელდებოდა.

შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ბევრ საწარმოში კაპიტალისტები იძულებული იყვნენ ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა მოთხოვნები.

გაფიცვამ ბაქოსა და ჭიათურაში გავლენა მოახდინა მუშებზე ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და ადგილებში. აგვისტოში გაფიცვები ჰოხდა ნუხის ზოგიერთ აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში. ისინი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. ამავე თვეში გაიფიცა ხე-ტყის სახერხი ქარხნის და ხე-ტყის დამზადების 600 მუშა სოფელ საქილაოს (საქართველო) მახლობლად. 12 აგვისტოს ახალი გაფიცვა დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის შახტებში. ამჯერად აქ გაიფიცა სააქციო საზოგადოება „ნახშირის“ 558 მუშა, რომლებმაც შეძლეს მიეღწიათ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. 25 აგვისტოს მუშაობა შეწყვიტეს თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა. მათ შეუერთდნენ ტრამვაის სახელოსნოების, ელექტროსადგურის და სხვ. მუშები. გაფიცულები მოითხოვდნენ ზედმეტი სამუშაოების გაუქმებას, ხელფასის გადიდებას, სამედიცინო დახმარების მოწყობას და სხვ. გაფიცვაში ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. ხელისუფლებმა ტრამვაის პარკში რკინიგზის ბატალიონი გაგზავნეს და მუშებს საყოველთაო დათხოვნით დაემუქრნენ, მაგრამ მუქარამ არ იმოქმედა მუშებზე. გაფიცულები კიდევ უფრო გაამხნევა რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცთა განცხადებამ, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ იმუშავებდნენ დათხოვნილი მუშების მაგივრად. გაფიცულებმა მიაღწიეს ხელფასის 20 პროცენტით მომატებას და გადაწყვიტეს 11 სექტემბერს შეეწყვიტათ გაფიცვა.

1913 წლის აგვისტოში მღელვარება დაიწყო ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის მუშებშიც. მეფის ოხრანკის აღიარებით, ეს მღელვარება დაკავშირებული იყო „უკანასკნელ გაფიცვებთან კავკასიაში“[1].

ამიერკავკასიის მუშათა საგაფიცვო ბრძოლა, თუმცა უფრო ნაკლები ძალით, გრძელდებოდა 1913 წლის ოქტომბერ—დეკემბერშიც, როცა გაფიცული იყვნენ ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მუშები, ტყიბულის მეშახტეები, ბათუმის ნავთობგადამმუშავებლები და პოლიგრაფისტები.

გამოანგარიშებით, რაც სულაც არ არის სრული, გაფიცულ მუშათა რიცხვი ამიერკავკასიაში 1913 წელს 60 ათას კაცს აღემატებოდა.

---

[1] ორცსა, ბდ. ფ. 4 ს. წ., ს. 75, ნაწ. II, 1913 წ., ფურც. 1.

ქვეყანაში მზარდი რევოლუციური აღმავლობის პირობებში ამიერკავკასიაში გახშირდა გლეხთა გამოსვლებიც. გლეხები უარს აცხადებდნენ შრომითი ბეგარის გადახდაზე, იტაცებდნენ მემამულეთა და სახაზინო მიწებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლებს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლებს. 1912 წლის აპრილში ბაქოს გუბერნიის ლენქორანის მაზრის სოფელ ბუტასარის გლეხები გამოვიდნენ მსხვილი მემამულეების — ხანების ტალიშინსკების წინააღმდეგ. ელიზავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის მაზრის სოფელ ყარაპირიმის გლეხებმა მიიტაცეს მემამულეთა მიწები და წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლებს. მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ იმავე გუბერნიის ნუხის მაზრის სოფლების დადიქენდის და ჯალუთის გლეხები. 1912 წლის ოქტომბერში მანგლისში (საქართველო) მოხდა გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა, რის შედეგად იყო მოკლულები და დაჭრილები. 1913 წლის იანვარში ბაქოს მახლობლად სოფელ მაშტაგის გლეხებმა სცემეს მამასახლისს, მის თანაშემწეს, უბნის ზედამხედველს და პოლიციელს, რომლებიც გადასახადების ძალაკრეფად გამოცხადდნენ. მაგრამ 1912—1914 წლებში ამიერკავკასიის გლეხთა გამოსვლები წინანდებურად დაქსაქსული იყო, ლოკალურ და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდნენ, რაც მოწმობდა ამ პერიოდში ბოლშევიკების სუსტ მუშაობას სოფლად.

გრძელდებოდა ჯარისკაცთა მღელვარებანიც. ჯარისკაცთა შორის სერიოზული უკმაყოფილება იყო ერევნის, ალექსანდროპოლის, ყარსის, ყაღიზმანის, სარიყამიშის, ოლთისის გარნიზონებში. 1912 წლის ივლისსა და ოქტომბერში მღელვარება იყო ყარსის ციხე-სიმაგრის არტილერიის ქვეგანაყოფებში, ოქტომბერში — ყაღიზმანის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის, 1913 წლის იანვარში — მე-80 ყაბარდოს ქვეითს პოლკში, რომელიც ყარსში იდგა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ჯარისკაცთა შორის არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ. ერევნის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთ ცნობაში აღნიშნული იყო, ჯარისკაცთა შორის თავს იჩენს სოციალ-დემოკრატიული ჟანწყობილებაო.

რევოლუციური მოძრაობის ტალღა ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდებოდა. ცნობაში პარტიულ მუშაკებთან ერთად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის შესახებ, რომელიც 1913 წლის სექტემბერ — ოქტომბერში დაბა პორონინოში გაიმართა, — ნათქვამი იყო: „აბლოუდება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები, რომლე-

ბიც გადაწყვეტენ ჩვენი საამშობლოს ბედს"[1]. ამ თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციებს აგიტაციის ამოცანების შესახებ, საგაფიცვო მოძრაობის შესახებ, პარტიული პრესის შესახებ, ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ, ეროვნულ საკითხზე და სხვებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ისინი საფუძვლად დაედო პარტიის შემდგომ მუშაობას რევოლუციური მოძრაობისადმი ხელმძღვანელობაში.

მთელ პარტიასთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის და პორონინოს თათბირების გადაწყვეტილებებით, გაცხოველებული საქმიანობა გააჩაღეს მასების მოსამზადებლად ახალი ბრძოლებისათვის ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

1914 წლის დამდეგიდან რევოლუციური აღმავლობა ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, უფრო სწრაფად იზრდებოდა. 1914 წლის იანვარ—თებერვალში ბაქოს ნავთობის საწარმოებზე მოხდა მიტროფანოვის, მირზოევების, გალპერინის, ამიერკავკასიის ნავთობსამრეწველო ამხანაგობის და სხვა ფირმების მუშათა გამოსვლები. ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ბოლშევიკების მიერ ჩატარებულ კამპანიასთან დაკავშირებით თებერვალში მოეწყო გაფიცვა თბილისში. მარტში მოხდა ქარხანა „მოლოტის "მუშათა გაფიცვა ბაქოში, მექანიკური ქარხნისა და სატვირთო სადგურის მუშათა გაფიცვა თბილისში. გაიფიცნენ ცემენტის ქარხნის მუშები თაუზში (აზერბაიჯანი), სამტრედიის რკინიგზელები. 18 მარტს ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით გაფიცვა გამოაცხადეს სპილენძსადნობი ქარხნის მუშებმა ალავერდში, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთ მოთხოვნათა ნაწილის დაკმაყოფილებას. მეფის მთავრობის მიერ მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 22 აპრილს ბაქოში გაიფიცნენ ძმ. ნობელების ამხანაგობის ქარხნის მუშები.

1914 წელს ამიერკავკასიაში ფართო ხასიათი მიიღო ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულმა საპირველმაისო დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა. თბილისისა და ბათუმის პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს საპირველმაისო ფურცლები, რომლებიც ფართოდ ვრცელდებოდა თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, ალექსანდროპოლში, კაფანში, ელიზავეტპოლში, ძანსულის მაღაროებში (საქართველო) და მხარის სხვა ადგილებში. 1 მაისის დღესასწაულში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბაქოს პროლეტარებმა.

---

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.... ნაწ. I, გვ. 388.

ამ დღეს აქ გაფიცული იყო 10 ათასამდე მუშა. 2 მაისს ბაქოში ჩატარდა გაფიცვები სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მუშების მიმართ მეფის მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. თბილისში საპირველმაისო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს ოცზე მეტი საწარმოს მუშებმა. მიტინგები მოეწყო ნაძალადევში, ბოტანიკურ ბაღში და ქალაქის სხვა რაიონებში. საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა ბათუმში. ფოთში გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე მუშამ. მის ჩასახშობად გამოძახებულ იქნენ ჯარები. 1914 წლის მაისობაში ზანგეზურში მონაწილეობა მიიღო 300-მდე მუშამ.

1914 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს საგიტაციო მუშაობა მასებში. ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვის მიზნით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ახალი ბეჭდვითი ორგანოები შექმნეს. უკვე 1914 წლის იანვარში თბილისში სომხურ ენაზე გამოვიდა ლეგალური ჟურნალის „მერ ხოსქის“ („ჩვენი სიტყვა“) პირველი ნომერი. ჟურნალის შექმნასა და გამოშვებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ს. ი. კასიანი, დ. ა. შაევრდოვი, ს. გ. შაუმიანი და სხვ. „მერ ხოსქი“ მიზნად ისახავდა სომეხ მუშათა შორის მარქსიზმის იდეების გავრცელებას, მათს აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ბოლშევიკური გაზეთი „პუტ პრავდი“ მხურვალედ მიესალმა ამ ჟურნალის გამოსვლას: „თბილისში გამოვიდა მარქსისტული მიმართულების სომხური ჟურნალის პირველი ნომერი. ნომრის შინაარსი საინტერესო და მრავალმხრივია... ვუსურვოთ სომეხ მუშათა ახალგაზრდა ორგანოს წარმატება და დიდხანს არსებობა მუშათა პრესისათვის მძიმე ჟამს“[1]. ჟურნალმა მაშინვე მიიპყრო ადგილობრივ ხელისუფალთა ყურადღებაც; მათ იგი პირველი ნომრის გამოსვლის დღეს დახურეს.

1914 წლის გაზაფხულზე მუშათა ახალი ლეგალური გაზეთი შექმნეს ბაქოს ბოლშევიკებმა. 19 აპრილს ბაქოში გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა „ნაშა ჟიზნ“, რომლის რედაქტორი ს. გ. შაუმიანი იყო. გაზეთი გამოდიოდა ყოველკვირეულად ათასი ცალი ტირაჟით. მას ენთუზიაზმით შეხვდნენ მოწინავე მუშები, რომლებიც თავიანთ მისალმებებში გამოთქვამდნენ იმედს, რომ ეს გაზეთი, „პრავდის“ მსგავსად, ერთგულად და თანმიმდევრულად გაუწევდა სამსახურს მუშათა კლასის ინტერესებს. მუშებმა მოაწყეს სახსრების შეგროვება გაზეთის სასარგებლოდ. მაგრამ მეფის ხელისუფლებმა მალე დახურეს „ნაშა ჟიზნ“.

---

[1] Газ. «Путь правды» № 14, 6 февраля 1914 г.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელშეწყობით პროლეტარულმა პოეტმა-ბოლშევიკმა ა. აკოფიანმა 1914 წლის გაზაფხულზე თბილისში დაიწყო გამოცემა ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული ალმანახებისა „წითელი მიხაკები“ და „მუშის ალბომი“ საერთო სახელწოდებით „მუშათა ახალი ბიბლიოთეკა“. მათ უშვებდა სტამბის მუშათა ავლაბარში შექმნილი წრე. ამ ალმანახების გარშემო გაერთიანდნენ სომეხი პროლეტარული მწერლები და პოეტები ა. აკოფიანი, მ. არაზი, ა. ვართანიანი, ა. კამარი (ბეჯანიანი) და სხვ. გამოშვებულ იქნა 9 კრებული. მათ შორის 7 — სომხურ და 2 — რუსულ ენებზე. გაზეთი „ტრუდოვაია პრავდა“ მიესალმა „მუშათა ახალი ბიბლიოთეკის“ შექმნას, მაგრამ ამავე დროს გააკრიტიკა იგი იმისათვის, რომ მოათავსა „ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის მჭლე წიგნაკები, რომლებშიც 8 ფურცელზე ლაპარაკია „ხელოვნების“ შესახებ, „ისტორიაში კოლექტივის როლის“ შესახებ და სხვ.[1].

გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემასთან, ფურცლებისა და პროკლამაციების გამოშვებასთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამავე დროს აფართოებდნენ მასებში ცენტრალური პარტიული ორგანოების, განსაკუთრებით „პრავდის“ გავრცელებას. მისი ორი წლისთავის წინახანებში, 1914 წლის აპრილში, თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ სპეციალურად განიხილა საკითხი „მარქსისტული პრესის რკინის ფონდში“ ფულის შეგროვების ორგანიზაციის შესახებ. გადაწყდა შეეგროვებინათ სახსრები და ქართულ და სომხურ ენებზე გამოეშვათ ალმანახი, მიძღვნილი ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პრესისადმი.

მუშათა პრესის დღის აღნიშვნის შესახებ ბოლშევიკების მოწოდებას გლეხებიც გამოეხმაურნენ. ქართული სოფლებიდან ლანჩხუთიდან და კონჭკათიდან მიღებულ იქნა დეპეშა: „ჩვენ ვდღესასწაულობთ მუშათა პრესის დღეს, ვგმობთ ახალ კანონპროექტებს, რომლებიც მიმართულია მუშათა პრესის წინააღმდეგ“.

აქტიური იდეურ-პოლიტიკური მუშაობის პროცესში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები და ჯგუფები ორგანიზაციულადაც განმტკიცდნენ. ბოლშევიკების მიერ ბაქოში გაწეული მუშაობის შედეგად 1914 წლის მაისში აღდგენილ იქნა რსდმპ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი. ჟანდარმერიის ერთ-ერთ მაშინდელ პატაკში აღნიშნული იყო, რომ „ხელმძღვანელი როლი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში გადავიდა ბოლშევიკების ხელში, ხელმძღვანელმა კოლექტივმა (ან, როგორც ზოგიერთ შემ-

[1] Газ. «Трудовая правда» № 28, 29 июня 1914 г.

თხვევაში უწოდებენ, „ხელმძღვანელმა კომისიამ“, ან „ხელმძღვანელმა ცენტრმა“) თავისი მნიშვნელობა დაკარგა“[1].

თუმცა 27 აპრილს დაპატიმრებულ იქნენ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები (ს. ი. კასიანი, გ. დ. ყურულაშვილი, დ. ა. შავერდოვი, კ. ა. წულუკიძე და სხვ.), თბილისის ბოლშევიკებმა სწრაფად აღადგინეს თავიანთი ძალები. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პ. ა. ჯაფარიძემ. გადასახლებიდან ივნისში რომ დაბრუნდა თბილისში, მან, როგორც ოხრანკა იუწყებოდა, „იკისრა ბოლშევიკური ორგანიზაციის შემდგომი ხელმძღვანელობა“ [2]. უკვე ივნისის დამლევს პ. ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გაიმართა ბოლშევიკების კრებები, რომლებმაც დასახეს ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების, ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლის, არალეგალური სტამბის შექმნის დარგში.

განმტკიცდნენ აგრეთვე ბათუმის, ჭიათურის და სხვ. პარტიული ორგანიზაციები. პირველი მათგანის შემადგენლობაში შედიოდა 60-მდე ბოლშევიკი და მენშევიკი-პარტიელი. რსდმპ ადგილობრივ კომიტეტში სპარბობდნენ ბოლშევიკები. ბათუმის პარტიული ორგანიზაცია მუშაობას ეწეოდა რკინიგზის დეპოს, როტშილდისა და ხაჩატუროვის ქარხნების მუშებს შორის, წარმატებით აგროვებდა სახსრებს მუშათა პრესისათვის და საგაფიცვო ფონდში. ჭიათურის პარტიულმა ორგანიზაციამ 1914 წლის ზაფხულის დამდეგს ითავა თბილისის, ჭიათურის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ნოვოროსიისკის პარტიულ მუშათა კონფერენციის მოწვევა. კონფერენციის მოწვევა ნავარაუდევი იყო 1914 წლის 13 ივლისს. მის მოსამზადებლად ამ ქალაქებში გაიგზავნენ ჭიათურის პარტორგანიზაციის წარმომადგენლები. მაგრამ კონფერენციის ჩატარება არ მოხერხდა.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა გააცხოველეს მუშაობა ელიზავეტპოლში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, ზანგეზურში, ბორჩალოში, ახპატში, ალავერდში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი პოზიციები ლეგალურ ორგანიზაციებში — პროფკავშირებში, სახალხო უნივერსიტეტებში, კოოპერატივებში. როგორც თბილისის ჟანდარმერიის უფროსმა აღიარა პოლიციის დეპარტამენტისადმი 1914 წლის 4 ივნისის მოხსენებაში, „იღეებმა, რომლებსაც

---

[1] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 486, აღწ. I, ს. 20, ფურც. 50.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 31, ს. 97, ფურც. 10.

ს.-დ. ქადაგებენ, მიიზიდეს მიმდევართა მნიშვნელოვანი რაოდენობა, ამასთან ს.-დ. ძლიერ გავლენას ახდენენ მუშებზე" [1].

ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მნიშვნელოვნად აღიმაღლეს ავტორიტეტი ეხარის მშრომელ მასებს შორის. 1914 წლის 20 ივლისს ვ. მ. კასპაროვი ნ. კ. კრუპსკაიას სწერდა, რომ კავკასიაში „ბოლშევიზმის გავლენა სულ უფრო იზრდება" [2].

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს კვლავ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, პირადად ვ. ი. ლენინთან. თავის მხრივ რსდმპ ცენტრალური კომიტეტი ყველა ზომას იღებდა კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან კავშირის განსამტკიცებლად.

მორიგი პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1914 წლის აპრილის თათბირის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, მათ შორის კავკასიაშიც (ბაქოში ან თბილისში) ნავარაუდევი იყო საოლქო საორგანიზაციო კომისიების შექმნა.

ყრილობისათვის მზადების საქმეში კავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობას ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „საქმის ვითარება ისეთია, რომ წინა პლანზე დაყენებულია საკითხი ყრილობის შესახებ, — სწერდა ნ. კ. კრუპსკაია ს. ი. კასიანს. — საჭიროა კავკასიელმა ამხანაგებმა მთელი ძალღონე მოიკრიბონ, შექმნან საოლქო კომიტეტი და დაიწყონ სისტემატური მზადება ყრილობისათვის" [3]. კავკასიის საორგანიზაციო კომისიის მოწვევა ნავარაუდევი იყო დაევალებინათ ა. ს. ენუქიძის, ს. გ. შაუმიანისა და სხვებისათვის. გარდა ამისა, ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციის მიზნით დასახული იყო კავკასიაში გაეგზავნათ ა. ე. ბადაევი.

როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ამიერკავკასიაშიც მუშათა მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა. ბოლშევიკები რაზმავდნენ ძალებს ახალი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოსამზადებლად ბაქოში, გააჩაღეს მუშაობა რწმუნებულთა ასარჩევად მუშებისაგან, პროფესიული კავშირებისა და სარეწაო-საქარხნო კომისიების განსამტკიცებლად, საგაფიცვო კომიტეტების შესაქმნელად საწარმოებში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშების მიერ რწმუნებულთა საბჭოს არჩევას. ამ საბჭოში შევიდა 100-მდე კაცი, რომელთაგან ორ მესამედს პრავდისტები შეადგენდნენ.

---

1 ორცსა, ბდ ფ., 00, 1914 წ., ს. 5, ნ. 79, ფურც. 27.

2 ბლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ., I, დაცვ. ერთ. 1536, ფურც. 1.

3 ორცსა, ბდ ფ., 00, 1914 წ., ს. 5, ფურც. 168.

რსდმპ ბაქოს კომიტეტი ყველა საჭირო ზომას იღებდა იმისათვის, რომ უზრუნველეყო გულმოდგინედ მომზადება საყოველთაო გაფიცვისათვის. 1914 წლის მაისში ბოლშევიკებმა შექმნეს ორი მთავარი საგაფიცვო კომიტეტი (ძირითადი და სათადარიგო). სარეწაო-საქარხნო რაიონებში იყო რაიონული საგაფიცვო კომიტეტები. 26 მაისს გაიმართა რწმუნებულთა საბჭოს კრება. ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად მან დაადგინა ორი დღის შემდეგ დაეწყოთ გაფიცვა. „მუშები ესწრაფვოდნენ გაფიცვას და ისიც კი არ უნდოდათ, რომ მოთხოვნათა შემუშავებასა და დაბეჭდვას დალოდებოდნენ“[1], — სწერდა ვ. ი. ლენინს ს. გ. შაუმიანი.

1914 წლის 28 მაისს დილიდან ბაქოში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მასში 50 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. გაფიცვამ რუსეთის მთელი მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

ამავე დღეს საგაფიცვო კომიტეტმა მოიწვია რწმუნებულთა კრება, რომელზეც საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა ნავთობის სარეწების მუშათა საერთო მოთხოვნები, რომლებიც მათ მეწარმეებს წარუდგინეს: 8 საათის სამუშაო დღე, 1 მაისის აუცილებლად ზეიმობა, სახალხო სახლების გახსნა შავ ქალაქსა და ბაილოვში, მუშათა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობის აღდგენა, ხელფასის მომატება, კოლექტიური ხელშეკრულების დადება. მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ. როგორც გაზეთი „ტრუდოვაია პრავდა“ აღნიშნავდა, თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევმა ამ მოთხოვნებმა შეძლეს „უმოკლეს დროში შეეკავშირებინათ მაზუთის მუშაკთა მთელი ეს სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე არმია ერთ მეგობრულ ოჯახად, რომელიც ერთსულოვნად გამოვიდა ბაქოს ამ გაფიცვაში“[2].

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მ. ა. აზიზბეკოვი, მ. დ. გრიგორიანცი, ი. მ. დოროფეევი, ნ. ნ. კარტაშევი, ე. ა. კვანტალიანი (ს. მ. პაპავა), ფ. ე. მახარაძე, გ. თ. სტურუა, ა. მ. სტოპანი, გ. გ. სულთანოვი, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შაუმიანი და სხვ.

გაფიცვის დღეებში ბოლშევიკები უშვებდნენ და აერცელებდნენ რსდმპ ბაქოს კომიტეტისა და საგაფიცვო კომიტეტის ფურცლებსა და პროკლამაციებს, რომლებიც მუშებს მოუწოდებდნენ სიმტკიცისა და ორგანიზებულობისაკენ.

ცდილობდა რა გაფიცვა უმეთაუროდ დაეტოვებინა, მეფის ოხ-

---

[1] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. I, стр. 465.

[2] Газ. «Трудовая правда» № 27, 28 июня 1914 г.

რანკამ დააპატიმრა საგაფიცვო კომიტეტის მთელი რიგი წევრები და ბაქოს პარტიული ორგანიზაციის აქტიური მუშაკები. გაფიცვის ხელმძღვანელობა სათადარიგო საგაფიცვო კომიტეტის ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები, ესერები, დაშნაკები და მუსავატელები ცდილობდნენ ჩაეშალათ გაფიცვა, დეზორგანიზაცია შეეტანათ მუშებში, გაფიცულებმა დიდი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინეს.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების იმ ცდებს, რომ დეზორგანიზაცია შეეტანათ გაფიცულთა რიგებში, ბოლშევიკებმა უპასუხეს იმით, რომ გამოუშვეს ფურცელი, რომელიც პროლეტარიატს მოუწოდებდა განემტკიცებინა ინტერნაციონალური ერთიანობა. გაფიცვის წინ და გაფიცვის დღეებში ბოლშევიკების თანმიმდევრულმა და ენერგიულმა მუშაობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მასების ინტერნაციონალურ დარაზმვაში, რომლებიც, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა „ტრუდოვაია პრავდა“, წარმოადგენდნენ „ყველა ეროვნების ძმურად შეკავშირებულ პროლეტართა დიად სურათს“ [1].

მეფის ხელისუფლებმა და კაპიტალისტებმა გაფიცულებს თავს დაატეხეს უამრავი რეპრესიები. ბაქოში და მის სარეწაო-საქარხნო რაიონებში მიმდინარეობდა მასობრივი დაპატიმრება. ნავთობის მრეწველები პოლიციის დახმარებით მუშებს ყაზარმებიდან ასახლებდნენ. ქალაქიდან ადმინისტრაციული წესით გასახლებულ იქნა რამდენიმე ათასი მუშა. ბაქოში გამოცხადებულ იქნა საგანგებო დაცვის წესები, ხოლო უფრო გვიან — სამხედრო წესები. მეფის მთავრობამ გაფიცვის ჩასახშობად ბაქოში თავი მოუყარა 27 ასეულზე მეტ ქვეითს ჯარს და 6 ასეულზე მეტ კაზაკებს, საგანგებო რწმუნებებით მიაელინა იქ ყანდარმთა კორპუსის სარდალი გენერალი ჯუნკოვსკი.

მაგრამ სასტიკი რეპრესიები მუშათა შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. რსდმპ ბაქოს კომიტეტი აწყობდა გაფიცულთა მასობრივ მიტინგებსა და კრებებს. 20 ივნისს ბალახანაში გაიმართა მძლავრი დემონსტრაცია, რომელშიც 15—20 ათასი მუშა მონაწილეობდა. 8 ივლისს ჩატარდა გაფიცულთა ცოლების დემონსტრაცია, რომლებმაც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციასა და კაზაკებს. მათთვის გზა რომ გადაეღობათ, ბავშვიანი ქალები მიწაზე სხდებოდნენ. ხოლო როცა მათრახები აზუზუნდა, დემონსტრანტმა ქალებმა კაზაკებს ქვა დაუშინეს.

ბოლშევიკური პრესა, განსაკუთრებით „პრავდა“, სისტემატუ-

---

[1] Газ. «Трудовая правда» № 32, 4 июля 1914 г.

რად აშუქებდა ბაქოს გაფიცულ მუშათა გმირულ ბრძოლას, მოუწოდებდა გაეწიათ მათთვის ყოველმხრივი დახმარება. გაფიცვის დაწყების ცოტა ხნის წინ „პრავდაში“, ვ. ი. ლენინის მითითებით, შეიქმნა „ბაქოს განყოფილება“, რომელიც გაფიცვის დაწყებიდან ყოველდღიური გახდა. რუბრიკით „საყოველთაო გაფიცვა ბაქოში“ „პრავდა“ ყოველდღე აქვეყნებდა მუშა კორესპონდენტების დეპეშებს, გაფიცულთა წერილებსა და სხვა მასალებს.

მთელი მოწინავე რუსეთი მხურვალე თანაგრძნობითა და აღტაცებით ადევნებდა თვალს ბაქოს პროლეტარიატის ბრძოლას. „ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის აფშერონის ნახევარკუნძულზე რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოექცა“ [1], — წერდა „პრავდა“.

ბოლშევიკების მოწოდებით პიტერელმა მუშებმა დაიწყეს სახსრების შეგროვება ბაქოელი ამხანაგებისათვის დახმარების ფონდში. 1914 წლის 4 ივლისს „ტრუდოვაია პრავდაში“ გამოქვეყნდა IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატის ა. ე. ბადაევის დეპეშა ბაქოს მუშებისადმი: „პეტერბურგის პროლეტარიატის დავალებითა და სახელით გიგზავნით მის მხურვალე მისალმებას ბაქოს გმირი პროლეტარიატისადმი, რომელიც ერთსულოვნებისა და კლასობრივი შეუპოვრობის მაგალითს იძლევა. პეტერბურგის პროლეტარიატი გულსხმიერი ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს ბრძოლას“ [2]. პეტერბურგის ქარხანა „ნოვი აივაზის“ მუშები და მუშა ქალები თავიანთ რეზოლუციაში, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა, გამოხატავდნენ რა ჰორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას ბაქოს პროლეტარიატისადმი, წერდნენ: „ბაქოელთა გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა“ [3].

„პიტერელ მუშათა ამხანაგური მხარდაჭერა ძალ-ღონეს ვეძატებს და აღგვაფრთოვანებს. მადლობა და სალამი პეტერბურგის პროლეტარიატს“ [4] — საპასუხოდ აცხადებდნენ ბაქოს გაფიცული მენავთობეები.

ბაქოს გაფიცულთა სიმტკიცით აღფრთოვანებულნი, ამიერკავკასიის მთელი რიგი ქალაქების მუშები სოლიდარობის გაფიცვებს აწყობდნენ. ბოლშევიკების მოწოდებით 9 ივლისს გაფიცვა გამოაცხადა თბილისის 900-მდე ტრამვაელმა. ჭიათურაში გაიფიცნენ პანასიეს ქარხნის, გელზენკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოების ქარხნისა და მაღაროების მუშები.

ბაქოს მუშებთან სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ პეტერ-

---

[1] Газ. «Трудовая правда» № 17, 17 июня 1914 г.
[2] Газ. «Трудовая правда» № 32, 4 июля 1914 г.
[3] Газ. «Трудовая правда» № 30, 2 июля 1914 г.
[4] Газ. «Трудовая правда» № 29, 1 июля 1914 г.

ბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, რიგის და სხვა ქალაქების პროლეტარები. 3 ივლისს პოლიციამ ტყვია დაუშინა პუტილოვის ქარხნის მუშათა მიტინგს. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით დედაქალაქში მეორე დღეს გაიფიცა 90.000 მუშა, 11 ივლისს—200.000.

მაგრამ რევოლუციური აღმავლობა შეწყვიტა დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა. მობილიზაციისა და შემოღებული სამხედრო წესების პირობებში საყოველთაო გაფიცვა ბაქოში ვეღარ გაგრძელდებოდა, თუმცა ათასობით მუშა ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა და მუშაობას არ იწყებდა. 1914 წლის 7 აგვისტოს საგაფიცვო კომიტეტმა ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც პროლეტარებს მოუწოდებდა დარაზმულიყვნენ პროფკავშირებში, დაეცვათ და განმტკიცებინათ თავიანთი პარტიული ორგანიზაცია, ხელი შეეწყოთ მუშათა პრესის შექმნისათვის.

1913—1914 წლებში ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა მხარის პროლეტარებს შესძინა ბრძოლის ძვირფასი გამოცდილება, ცხადყო მხარის მაღალი ბრძოლისუნარიანობა.

ამრიგად, ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით კიდევ უფრო განმტკიცდნენ, გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა მასების მოსამზადებლად მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. მათმა შეურიგებელმა ბრძოლამ მენშევიკი-ლიკვიდატორების, ტროცკისტების, ესერების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ დიდი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა მოძრაობაში წარმოქმნილი ოპორტუნიზმის დამარცხებაში. არალეგალური მუშაობის ფართოდ შეხამებით ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებასთან, პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის გაფართოებითა და გაღრმავებით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა განამტკიცეს თავიანთი პოზიციები მასებში და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მხარის მუშათა დარაზმვაში ლენინის დროშის ქვეშ, გაიმდიდრეს გამოცდილება მუშათა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში.

იჩენდნენ რა შემოქმედებითს ინიციატივას როგორც მხარის მრავალეროვანი პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა ბრძოლის პრაქტიკული ხელმძღვანელობის საქმეში, ისე ამ ბრძოლის გამოცდილების თეორიულ განზოგადებაში, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაში და ეროვნულ საკითხში პარტიის პროგრამის შემუშავებაში.

თავი მეექვსე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის მეორე რევოლუციის წლებში

(1914 წელი — 1917 წლის თებერვალი)

1. პირველი მსოფლიო ომის დაწყება. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დამოკიდებულება ომისადმი

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა დროებით შეწყვიტა მსოფლიო ომმა, რომელიც 1914 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს) ატყდა. ომი იყო შედეგი ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გაშწვავებისა, რომლებიც უმთავრესად მათი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობით იყო გამოწვეული.

პირველი მსოფლიო ომის უშუალო წამომწყები იყო გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ესწრაფვოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და მონოპოლიებს შორის უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახლა განაწილებას.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა გერმანიის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ როლს ომის დაწყებაში და ამასთან მიგვითითებდა ინგლის-საფრანგეთის კოალიციის აგრესიულობაზეც.

პასუხისმგებლობა მსოფლიო ომის დაწყებისათვის, რომელმაც ხალხებს აუთვალელი უბედურება მოუტანა, სავსებით ეკისრებოდა ყველა მეომარი იმპერიალისტური სახელმწიფოს მთავრობებსა და გაბატონებულ კლასებს.

მეფის მთავრობა ომში ჩაება ინგლის-საფრანგეთის კოალიციის მხარეზე, რადგან იგი მასზე ეკონომიურად იყო დამოკიდებული. თუმცა რუსეთის ცარიზმი მომზადებული არ იყო ომისათვის, მაგრამ, ომში რომ ებმებოდა, მას ამოძრავებდა საკუთარი ინტერესებიც, სახელდობრ: თავისი კოლონიური სამფლობელოების და ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროების გაფართოება, აგრეთვე ომი-

სადმი მისწრაფება, რომ შეესუსტებინა მზარდი რევოლუციური მოძრაობა ქვეყნის შიგნით.

გერმანიის იმპერიალიზმი ცდილობდა თავის მხარეზე ომში ჩაება თურქეთი, რომელსაც რუსეთთან საერთო საზღვარი ჰქონდა. თავის მხრივ თურქეთიც გაძლიერებით ემზადებოდა ომისათვის, რადგან იმედი ჰქონდა, რომ განახორციელებდა თავის მტაცებლურ პრეტენზიებს ამიერკავკასიის მიმართ. იგი თვალთმაქცობდა და ამ ვითარებაში ცდილობდა დაეტყუებინა გარიგება თავისთვის ხელსაყრელ პირობებში. 1914 წლის აგვისტოში იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისთან და ამავე დროს საიდუმლო შეთანხმება დადო გერმანიასთან.

იმავე წლის ოქტომბრის დამლევს თურქეთის სამხედრო ხომალდებმა, რომელთა ნაწილს გერმანელი საზღვაო ოფიცრები მეთაურობდნენ, სროლა აუტეხეს რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქებს (ბათუმს, ოდესას, სევასტოპოლს, ფეოდოსიასა და ნოვოროსიისკს). თურქეთმა „სამღვთო“ ომი გამოუცხადა ანტანტას. თურქეთის ჯარები შეიჭრნენ ბათუმის ოლქში და ამიერკავკასია საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა: 1914 წლის შემოდგომაზე შეიქმნა კავკასიის ფრონტი.

ომი გადაიქცა მკაცრ გამოცდად ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. მეომარი სახელმწიფოების ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები უსიტყვოდ დაადგნენ იმპერიალისტური ომის გამართლების და თავიანთი ქვეყნების მშრომელთა მოტყუების გზას. თავიანთ საქმიანობას ბურჟუაზიულმა პარტიებმა საფუძვლად დაუდეს ხალხთა ერთიმეორის წინააღმდეგ წასისიანების პოლიტიკა, წამოაყენეს „მამულის დაცვის“, „თავისუფლებისა და კულტურის“ ფარისევლური ლოზუნგები.

ამიერკავკასიაშიც მკვეთრად იჩინა თავი განსხვავებამ პირველი მსოფლიო ომისადმი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და პარტიების დამოკიდებულებაში. გაბატონებული კლასები — ბურჟუაზია და მემამულეები — და მათი პარტიები, ხოლო მათთან ერთად ინტელიგენციის რეაქციული ნაწილიც რუსეთის ჩაბმას ომში „პატრიოტული“ მანიფესტაციებით შეხვდნენ.

ქართველი სოციალ-ფედერალისტების დიდმა უმრავლესობამ ობორონცული პოზიცია დაიკავა. სომეხი ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიები — „დაშნაკცუტიუნი“, კადეტები და სხვ.— საკუთარი უპერდნენ მხარს ცარიზმის მილიტარისტულ პოლიტიკას. სომეხ ბურჟუაზიასთან ერთად, სხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების, კერძოდ გნჩაკისტების, მხარდამხარ, ინტე-

ლიგენციის ერთი ნაწილის და სამღვდელოების აშკარა ხელშეწყობით ისინი სომეხ ხალხს მოუწოდებდნენ გაეგზავნა თავისი წევლები ფრონტზე, თვითმპყრობელობის დასახმარებლად. მათ მიერ შექმნილი მოხალისეთა რაზმები გადაცემულ იქნენ კავკასიის ფრონტის სარდლობის განკარგულებაში. მართალია, მოხალისეები — ამ რაზმების მონაწილეები, რომელთა უმრავლესობას მუშები, მშრომელი გლეხობა, ხელოსნები და ინტელიგენცია შეადგენდნენ, შთაგოხებული იყვნენ სულთანის თურქეთის უღლისაგან დასავლეთელი სომხების განთავისუფლების იდეით, მაგრამ ამ მოძრაობის ხელმძღვანელები რუსეთის ცარიზმთან ერთად მოხალისეთა რაზმებს საკუთარი რეაქციული მიზნებით იყენებდნენ.

ახალგაზრდა თურქთა მთავრობამ ისარგებლა საომარი ვითარებით და დასავლეთელი სომხების ბარბაროსულად მოსპობას მიჰყო ხელი. მხეცურად გაჟლეტილ იქნა მილიონზე მეტი სომეხი. ექვსასი ათასზე მეტი კაცი განდევნილ იქნა მესოპოტამიის უდაბნოებში.

შეფასებას აძლევდა რა ამ ამბებს, გ. კ. ორჯონიკიძე წერდა: „ახალ ისტორიაში ცოტანი არიან ხალხები, რომლებსაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გაეღოთ, როგორც სომხებმა გაიღეს, და ცოტაა ქვეყნები, სადაც იმდენი სისხლი დაღვრილიყოს, რამდენიც სომხეთში დაიღვარა“[1].

სომეხი ხალხის მიმართ დანაშაულებრივი გენოციდის წინააღმდეგ აღშფოთების მრისხანე ხმა აღიმაღლეს კარლ ლიბკნეხტმა, რომენ როლანმა, ანატოლ ფრანსმა, მაქსიმ გორკიმ, ვალერი ბრიუსოვმა, ემილ ვერჰარნმა და სხვებმა.

იმპერიალისტურ ომში ცარიზმის პოლიტიკას მხარს უჭერდნენ აგრეთვე აზერბაიჯანელი მემამულეები და მრეწველები, „მუსავატის“ პარტია. მუსლიმანებისგან შექმნილი „ველური დივიზია“ დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა.

დაწყებულმა ომმა უთანხმოება და დაბნეულობა შეიტანა ამიერკავკასიის მენშევიკთა ლიდერების რიგებში. მენშევიკების ერთი ნაწილი ჟორდანიას მეთაურობით სოციალ-პატრიოტიზმის პოზიციებზე დადგა და მოუწოდებდა მუშებს ყოველმხრივ დაეჭირათ მხარი და დახმარება გაეწიათ მეფის მთავრობისათვის ომში. მენშევიკთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც პირველ ხანებში იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მაგრამ მენშევიზმის ლიდერთა გავლენით მათაც მალე მარჯვნივ იბ-

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 515.

რუნეს პირი და მხარი დაუჭირეს ლოზუნგს — ომი სრულ გამარჯვებამდე.

ერთადერთი პარტია, რომელიც მტკიცედ და გადაჭრით დაადგა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციას და თანმიმდევრულად ილაშქრებდა უსამართლო ომის წინააღმდეგ, ბოლშევიკების პარტია იყო. ომის პირველივე დღეებიდან ბოლშევიკები ამხილებდნენ მის იმპერიალისტურ, ანტიხალხურ ხასიათს და მოუწოდებდნენ მშრომელ მასებს არავითარი მხარდაჭერა არ გაეწიათ ცარიზმისა და ბურჟუაზიისათვის. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს, რომ ომი წარმოებს არა სამშობლოს დასაცავად, როგორც ამას ბურჟუაზიული მთავრობები და რუსეთის ცარიზმი გაიძახოდნენ, არამედ სხვისი მიწაწყლის მიტაცებისათვის, ხალხთა გაძარცვისა და დამონებისათვის, ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებისათვის, რომლებიც ომით მდიდრდებიან.

II ინტერნაციონალის პარტიების დიდი ნაწილი ობორონცულ პოზიციებზე დადგა და თავის იმპერიალისტურ მთავრობებს დაუჭირა მხარი. ამ ოპორტუნისტულ პარტიებში ვ. ი. ლენინი ორ მთავარ ელფერს არჩევდა. პირველს, აშკარად ცინიკურს და ამიტომ ხაკლებად საშიშს, პლეხანოვის, შეიდემანის და სხვ. ტიპის სოციალიმპერიალიზმს, და მეორეს — შენიღბულს — კაუცკიანურს (ჰაზეზ, მარტოვი, ჩხეიძე და სხვ.) — პირველზე უფრო მავნესა და საშიშს.

როგორც ცნობილია, II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესზე 1912 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც გმობდა იმპერიალისტურ ომს, რაც მზადდებოდა, და მოუწოდებდა მისი დაწყების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ როგორც კი ომი ატყდა, II ინტერნაციონალის ბელადებმა დაივიწყეს თავიანთი საზეიმო ფიცი და დაპირება, უღალატეს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს და ფაქტიურად გამოვიდნენ როგორც იმპერიალისტური ომის მომხრენი, დახმარებას უწევდნენ თავიანთი ქვეყნების რეაქციულ მთავრობებსა და ბურჟუაზიას. ამრიგად, II ინტერნაციონალი პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მალე ფაქტიურად დაიშალა ცალკეულ სოციალ-შოვინისტურ პარტიებად, რომლებიც ურთიერთშორის იბრძოდნენ. ამ პარტიების წარმომადგენლები პარლამენტებში ხმას აძლევდნენ სამხედრო კრედიტებს, თავიანთი მთავრობებისათვის მხარდაჭერას იმპერიალისტურ, დამპყრობლურ ომში. უფრო მეტიც, „სოციალისტები" ვანდერველდე, გედი, სამბა და სხვები თვითონ შევიდნენ ბურჟუაზიულ მთავრობებში და ამით ცხადყვეს თავიანთი ნამდვილი რეაქციული ბუნება, რომელსაც წინათ სოციალისტური ფრაზეოლოგიით ფარავდნენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ომის დაწყებისთანავე სწორი ინტერნაციონალური პოზიცია დაიკავეს. ბაქოს ბოლშევიკების კრებაზე, რომელიც ბალახანაში გაიმართა, მისმა მონაწილეებმა ს. დ. იაკუბოვმა, მ. ბ. კასუმოვმა, მ. მ. მამედიაროვმა, გ. გ. სულთახოვმა, ი. ტ. ფიოლეტოვმა და სხვებმა გადაწყვეტილება მიიღეს ძუშებს შორის ეწარმოებინათ ფართო აგიტაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

1914 წლის 22 ივლისს დილით ბაქოს ბოლშევიკებმა სტეფანე რაზინის მთაზე მოაწყეს გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მიტინგის შემდეგ ათი ათასამდე მუშა გაემართა ქალაქის ერთ-ერთი მუშათა რაიონის — საბუნჩისაკენ წითელი დროშებითა და ლოზუნგებით, რომლებზეც ეწერა: „ცირს იმპერიალისტური ომი!“

მუშათა ომისსაწინააღმდეგო გამოსვლები ხდებოდა ბაქოს სხვა რაიონებშიც, აგრეთვე ელიზავეტპოლში, ქედაბეკში, თაუზში, ალსტაფაში. მუშათა მიტინგებზე გაისმოდა შეძახილები: „ვის სჭირდება ომი? ომი სჭირდება იმათ, ვინც ცდილობს მოგვატყუოს“. „ომი — ომს“.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია ომის დაწყების წინ რეპრესიების შედეგად შესამჩნევად იყო დასუსტებული. მაგრამ თბილისის ბოლშევიკები სძლევდნენ სიძნელეებს და დიდ მუშაობას ეწეოდნენ თავიანთი პარტიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად. ამ მუშაობაში განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა პ. ა. ჯაფარიძე, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა 1914 წლის ივნისში. 24 ივლისს თბილისში მისი ინიციატივით გაიმართა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის იმ წევრთა თათბირი, რომლებიც დაპატიმრებას გადარჩნენ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ა. პ. ბედუკიძემ, ა. ს. კახოიანმა, ვ. პ. სუხიშვილმა, ა. ა. სოლოვიანმა, ს. დ. თავდიშვილმა, მ. ი. ჩოდრიშვილმა, შ. მ. ასკურავამ და სხვებმა. თათბირზე განხილულ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციების აღდგენისა და მათი ქსელის გაფართოების, ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის აღდგენის, არალეგალური სტამბის მოწყობის საკითხები.

პ. ა. ჯაფარიძისა და ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით, მ. ი. ჩოდრიშვილისა და სხვა პარტიული მუშაკების აქტიური მონაწილეობით ელიზავეტპოლში მოწყობილ იქნა არალეგალური სტამბა, რომელიც შემდეგ კონსპირაციული მოსაზრებებით გადმოტანილ იქნა საქართველოში, ოზურგეთის მაზრის სოფელ აცანაში. ეს სტამბა ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს განკარგულებაში იყო.

სტამბაში გამრავლებულ იქნა ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის ომისსაწინააღმდეგო მოწოდება „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო!“, აგრეთვე დაიბეჭდა საპირველმაისო პროკლამაციები, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მანიფესტი და რეზოლუციები, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბაქოს თათბირის (1915 წლის ოქტომბერი) რეზოლუციები და სხვა პარტიული დოკუმენტები.

ომის პირველი დღეებიდან მეფის მთავრობამ ამიერკავკასიის არალეგალურ და ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებს უმკაცრესი რეპრესიები დაატეხა, დააპატიმრა და გაასახლა ბევრი თვალსაჩინო ბოლშევიკი, ფრონტზე გაგზავნა ათასობით რევოლუციური მუშა. ბაქოში 1914 წლის აგვისტო — სექტემბერში დაპატიმრებულ ბოლშევიკებს შორის იყვნენ მ. ვ. ბასინი, ს. ს. გაფუროვი, მ. პ. ვოროჟეევი, გ. ზ. იოანისიანი, ფ. ე. მახარაძე, ა. მ. სტოპანი, გ. თ. სტეფუა და სხვები[1].

ყველა სიძნელის მიუხედავად, ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობა ომის წლებში არ შეწყვეტილა. ბოლშევიკები მუშაობაში ნამდვილ თავდადებას იჩენდნენ. ბაქოს ბოლშევიკებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სათათბიროს ბოლშევიკურმა ფრაქციამ. 1914 წელს აგვისტოს დამლევს ბაქოში არალეგალურად ჩავიდა სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრი ა. ე. ბადაევი. ჭაბი დახმარებით დამყარდა ბაქოს ბოლშევიკების კავშირი სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან და პარტიის პეტერბურგის კომიტეტთან. ამავე დროს მან შეასრულა მოსამზადებელი მუშაობა სრულიად რუსეთის პარტიული თათბირისათვის, რომელიც შემოდგომისათვის იყო დასახული.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკური მუშაობის გამოცოცხლებას ბაქოში. 1914 წლის ოქტომბერში ბოლშევიკმა ნ. ნ. იაკოვლევმა პეტროგრადიდან ჩაიტანა თავდაპირველი ტექსტი ვ. ი. ლენინის თეზისებისა ომის შესახებ — „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში“.

ამ თეზისებში და სხვა ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინი მკვეთრად აკრიტიკებდა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტების გამცემლურ პოლიტიკას, აღნიშნავდა, II ინტერნაციონალის კრახი ამავე დროს ოპორტუნიზმის კრახიც არისო.

---

[1] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 10, აღწ. 1, ს. 27, ფურც. 61—84; საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, ს. 3889, ფურც. 3—6.

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში გამოაშკარავებულია ომის ეკონომიური და პოლიტიკური ფესვები, მოცემულია მისი მიზეზების ღრმა ანალიზი და მხილებულია მისი იმპერიალისტური ხასიათი. ამ დოკუმენტში ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ პროლეტარიატის საქმისადმი სოციალისტური პარტიების ლიდერების ღალატი მათი ოპორტუნიზმის კანონზომიერი შედეგია. მასში მთავარი ყურადღება ექცეოდა ამოცანებს, რომლებიც ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით რუსეთის, სოციალ-დემოკრატების წინაშე დადგა ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

ამ მანიფესტში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა საერთაშორისო პროლეტარიატისა და მისი პარტიების საბრძოლო ლოზუნგი: „იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად". მან ამხილა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები, ცხადყო ომის იმპერიალისტური, მძარცველური ხასიათი.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს უხდებოდათ არა მარტო ებრძოლათ სოციალ-შოვინისტების და საერთაშორისო პროლეტარიატისა და რევოლუციური მოძრაობის საქმის სხვა აშკარა მოღალატეების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ემხილებინათ ფარული, შენიღბული მტრები — ცენტრისტები და სხვები, რომელთა წინადადება იყო „საკუთარი მთავრობის დამარცხების" რევოლუციური პროლეტარული ლოზუნგის შეცვლა „მშვიდობისათვის ბრძოლის" მენშევიკური ლოზუნგით და ტროცკისტული ლოზუნგით — „არც გამარჯვება, არც დამარცხება". ამ ლოზუნგებს საერთო არა ჰქონდათ რა პროლეტარიატის ნამდვილ ინტერესებთან, ისინი ობიექტურად ემსახურებოდნენ ცარიზმისათვის მხარდაჭერისა და მისი დამპყრობლური პოლიტიკის გაძართლების მიზნებს.

ბურჟუაზია და სოციალ-შოვინისტები ბოლშევიკებს ბრალს სდებდნენ პატრიოტიზმის უქონლობაში. ამის საპასუხოდ ვ. ი. ლენინი 1914 წლის 12 დეკემბერს გამოვიდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" სტატიით „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ", რომელშიც ცხადყო ბურჟუაზიული პატრიოტიზმის ანტიხალხური არსი.

ლენინური დოკუმენტები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის პროგრამა გახდნენ.

ვ. ი. ლენინის თეზისებს ომის შესახებ მხურვალედ დაუჭირეს ეხარი ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. ბაქოს ბოლშევიკებმა გაამრავლეს ამ დოკუმენტის ტექსტი და გაავრცე-

ლეს იგი ბაქოს მუშებს შორის, აგრეთვე გაგზავნეს თბილისში. თბილისის ბოლშევიკების კრებამ, რომელიც 1915 წლის 11 იანვარს ვაიმართა პ. ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მთლიანად მოიწონა თეზისები და რსდმპ ცეხტრალური კომიტეტის მანიფესტი და ძიელო გადაწყვეტილება დაებეჭდათ და მოსახლეობის ფართო მასებში გაევრცელებინათ ისინი, მათ საფუძველზე გაეშალათ სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა, რათა მასებისათვის განემარტათ ომის იმპერიალისტური, მძარცველური ხასიათი და მისდამი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება. მანიფესტი ბოლშევიკებმა თარგმნეს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, და მისი შინაარსი ამიერკავკასიის მშრომელი მასების კუთვნილება გახდა. კრებამ განიხილა აგრეთვე საკითხი 1 მაისის ზეიმისა და საპირველმაისო პროკლამაციების გამოშვების შესახებ.

1915 წლის აპრილში რსდმპ თბილისის ორგანიზაციის საბელიო საპირველმაისო დღესასწაულისათვის გამოშვებულ იქნა პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!“, რომელიც დაწერილი იყო პ. ა. ჯაფარიძის მიერ და დაიბეჭდა ბოლშევიკურ სტამბაში თბილისში. პროკლამაცია ფართოდ ვრცელდებოდა ამიერკავკასიის მშრომელებში და კავკასიის ფრონტის ჯარებში. იგი მთავრდებოდა ლოზუნგით „ძირს სისხლისმღვრელი ომი!“, „ძირს მუდმივი არმია!“, „გაუმარჯოს განიარაღებას, როგორც მშვიდობის ხანგრძლივობის ჭეშმარიტ გარანტიას!“, „ძირს რუსეთის დანაშაულებრივი თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. პროკლამაცია გავრცელებულ იქნა თბილისში, ბაქოში, ქუთაისში, ალექსანდროპოლში, შუშაში, ბათუმში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე სამხედრო ნაწილებში და ამიერკავკასიის მთელი რიგი მაზრების გლეხებს შორის.

ბოლშევიკურმა აგიტაციამ თავისი საქმე გააკეთა. ხელისუფალთა მიერ მიღებული საგანგებო ზომების მიუხედავად, თბილისის და ბაქოს მთელი რიგი საწარმოების მუშები 1915 წლის 1 მაისს სამუშაოზე არ გამოსულან.

ომმა ამიერკავკასიის პროლეტარიატს მოუსწრო მაშინ, როცა გაჩაღებული იყო საგაფიცვო ბრძოლა. ამ ბრძოლის ავანგარდში ბაქოს პროლეტარიატი გამოდიოდა. ომმა დროებით შეანელა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა, რადგან მეფის ხელისუფალთა და ბურჟუაზიულ პარტიათა მიერ ხელოვნურად გაღვივებულმა ცრუპატრიოტულმა აღტყინებამ პირველ ხანებში მუშათა ნაწილიც მოიცვა. ეს სერიოზულად აძნელებდა ბოლშევიკების მუშაობას. მაგრამ ამ „პატრიოტული“ აღტყინების გავლენაში მოქცეულმა მუ-

შებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მალე შეიგნეს თავიანთი შეცდომა. ომმა და მისმა გამაპარტახებელმა შედეგებმა კიდევ უფრო გააძწვავა კლასობრივი ბრძოლა. ბოლშევიკური პროპაგანდა და აგიტაცია თანდათან თვალს უხელდა ხალხს, თუ რა იყო ომის ნამდვილი მიზნები და როგორი იყო მისი ეედეგები მშრომელებისათვის.

ომის დაწყებისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები შედარებით სუსტი იყვნენ, არა ჰქონდათ მტკიცე ცენტრი, რომელსაც შეეძლებოდა ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაეწია ეთელი პარტიული მუშაობისათვის, თუმცა ცალკეული ბოლშევიკური ჯგუფები და უჯრედები თითქმის ყველგან არსებობდნენ. ზოგან ბოლშევიკები ირიცხებოდნენ მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციებში. ლეგალური მუშაობისათვის პირობების უქონლობა, მეფის ხელისუფალთა მხრივ მუდმივი სასტიკი რეპრესიები, რომლებიც პირველ რიგში მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ, ზღუდავდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის მასშტაბებს.

პარტიულ ორგანიზაციებს დიდ ზიანს აყენებდნენ ჯაშუშები და პროვოკატორები, რომლებიც ზოგჯერ ახერხებდნენ ბოლშევიკურ უჯრედებში შეღწევას. გამცემლურად იქცეოდნენ მენშევიკებიც, რომლებიც არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ, რომ ხელი შეეშალათ მუშათა მასებზე ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებისათვის.

საკუთარი ბეჭდვითი ორგანოების უქონლობა, აგრეთვე ამიერკავკასიის ბოლშევიკების ყველაზე გამოცდილ და მებრძოლ ხელმძღვანელთა ხშირი დაპატიმრებები ფრიად უარყოფითად მოქმედებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაზე. მაგრამ ბოლშევიკები სძლევდნენ ამ მძიმე წლების ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას და არ წყვეტდნენ რევოლუციურ მუშაობას. ბოლშევიკებმა სწორი, ლენინური პოზიცია დაიკავეს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში და რაზმავდნენ მასებს პარტიული ლოზუნგების გარშემო.

1914 წლის ბოლოს ბაქოში ბოლშევიკების შინაპარტიულმა არალეგალურმა მუშაობამ თანდათან მოგვარება იწყო. უკვე 1915 წლის დამდეგისათვის აქ ექვსი პარტიული უჯრედი ითვლებოდა, რამაც შესაძლებელი გახადა ხელახლა შეექმნათ ბაქოს კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ მ. მ. ვარნაჩევი, ი. დ. ზევინი, ფ. ფ. კნიაზევი, ნ. ნ. კოლესნიკოვა, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. ვ. შაუმიანი და სხვები.

თბილისის, ბაქოს სარეწებში, ქარხნებსა და სხვა საწარმოებში

ბოლშევიკები ავრცელებდნენ ომის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციას. ეს პროკლამაცია, რომელიც გამოშვებულ იქნა 18 აგვისტოს რსდმპ კავკასიის ბიუროს სახელით ასეთი სახელწოდებით — „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო!“, ამხილებდა მეომარი ქვეყნების ბურჟუაზიულ მთავრობებს, მათ შორის რუსეთის პეფრს მთავრობასაც. პროკლამაცია გამსჭვალული იყო რევოლუციური სულისკვეთებით და გაისმოდა როგორც საბრალდებო აქტი ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. იგი მთავრდებოდა საბრძოლო რევოლუციური ლოზუნგებით: „ძირს მეფის მონარქია! ძირს ომი! გაუმარჯოს რევოლუციას!“ პროკლამაცია გავრცელებულ იქნა აგრეთვე ამიერკავკასიის გლეხებსა და კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში. მან დიდი როლი შეასრულა მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მასებისათვის ბოლშევიკების პოზიციის განმარტებაში, აშუქებდა რევოლუციური ბრძოლის უახლოეს პერსპექტივებს.

1915 წლის 18 აგვისტოს ჟანდარმერიამ დააპატიმრა მთელი რიგი გამოჩენილი ქართველი ბოლშევიკები და გაჩხრიკა მათი ბინები და სახვედრები. მაგრამ ჟანდარმების იმედები, რომ პარტიულ ორგანიზაციას გაანადგურებდნენ, არ გამართლდა — დაპატიმრებულ ბოლშევიკ ხელმძღვანელთა ადგილს მაშინვე იკავებდნენ ახალი პარტიელები, რომლებიც განაგრძობდნენ მძიმე არალეგალურ მუშაობას.

ქვეყნის „თავდაცვის“ უზრუნველსაყოფად მატერიალური რესურსების მობილიზაციისა და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის რუსეთის ბურჟუაზიამ შექმნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები ცენტრში და ადგილებზე. 1915 წლის ივლისში გაიმართა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობამ დაადგინა შექმნილიყო „პუშათა ჯგუფები“ ცენტრალურ და ადგილობრივ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან. ამით ბურჟუაზიას უნდოდა ჩამოეშორებინა მუშები კლასობრივი ბრძოლისაგან, უზრუნველეყო კლასობრივი ზავი და მოეგვარებინა ზურგის შეუფერხებელი მუშაობა ფრონტის საჭიროებათა მომსახურებისათვის.

მენშევიკებმა და სხვა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა ენერგიული მონაწილეობა მიიღეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში. ჩხეიძე, მარტოვი, ტროცკი და სხვა ცენტრისტები მოუწოდებდნენ ამ კომიტეტებში მუშაობისაკენ, ვითომც „მუშების დარაზმვის“ ინტერესებისათვის.

ამიერკავკასიის მენშევიკებმა, ისევე როგორც მთელმა ოპორტუნისტულმა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა, ენთუზიაზმით

აიტაცეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისა და მათთან „მუშათა ჯგუფების“ შექმნის იდეა. 1915 წლის ოქტომბერში მოწვეულ თავიანთ კონფერენციაზე მათ მიიღეს რეზოლუციაზ, რომელიც იწონებდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობას. უფრო მეტიც, ამიერკავკასიის მენშევიკებმა საკუთარი „ინიციატივაც“ გამოიჩინეს ამ საკითხში, წინადადება მისცეს მუშებს გამოეყენებინათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობა სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობის მოსაწვევად.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მიმართ სულ სხვა პოზიციას დაადგა ბოლშევიკების პარტია. ვ. ი. ლენინი სტატიაში „რამდენიმე თეზისი“ წერდა: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობისა, რომლებიც ხელს უწყობენ იმპერიალისტური, რეაქციული ომის წარმოებას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საარჩევნო კომპანიის გამოყენება, მაგალითად, მონაწილეობა არჩევნების პირველ სტადიაში მხოლოდ საგიტაციო და ორგანიზაციული მიზნებისათვის“[1].

ასრულებდა რა ლენინის მითითებებს, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი (1915 წლის ოქტომბერი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში და სხვ. მონაწილეობა დაუშვებელია მუშებისათვის, ვინაიდან ყოველივე ამან არ შეიძლება რაიმე სარგებლობა მოიტანოს ქვეყნის ნამდვილი თავდაცვისათვის და, პირიქით, შეიძლება საშსახური გაუწიოს მეფის მთავრობას“[2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შესაძლებლად ცნეს მონაწილეობა „მუშათა ჯგუფების“ არჩევნების მხოლოდ პირველ სტადიაში. კრებებზე, რომლებიც ქარხნებსა და ფაბრიკებში მიმდინარეობდა, ბოლშევიკები განმარტავდნენ, რომ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების თანამშრომლობა დაუშვებელი იყო, და ამასთან მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადასცემოდათ მშრომელთა ფართო მასებს, ვარაუდობდნენ გამოეყენებინათ წინასაარჩევნო კრებები რევოლუციური მიზნებისათვის. ბოლშევიკები მოითხოვდნენ, რომ წინასაარჩევნო კრებების ხელმძღვანელობა გადასცემოდათ მუშათა ორგანიზაციებს, მინიშნებოდა მათ არჩევნების ყველა საკითხის გადაწყვეტა არჩევნების ჩატარების და არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პრობლემის განხილვის სრული თავისუფლების გარანტიით, ისე რომ ამაში არაეითარი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 491.

[2] ბაქოს ბოლშევიკების თათბირის რეზოლუცია ციტირებულია წიგნიდან: С. Г. Ш а у м я н. Избранные произведения, т. I, стр. 487—496.

მონაწილეობა არ მიეღოთ არც საფაბრიკო-საქარხნო და არც რაიმე სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები წარმატებით ახორციელებდნენ ლენინურ ტაქტიკას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მიმართ, უნარიანად იყენებდნენ ყველა შესაძლებლობას ემხილებინათ მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა და ფართო მასებისათვის განემარტათ მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათი. მათ ჩაშალეს მენშევიკების ყველა ის ცდა, რომ ამიერკავკასიის მუშათა კლასი ბურჟუაზიის გავლენისათვის დაემორჩილებინათ, და დაარწმუნეს მუშები, რომ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საქმიანობას პროლეტარიატის ინტერესებთან საერთო არა აქვს რა.

ბოლშევიკების ახსნაგანმარტებითმა მუშაობამ გავლენა მოახდინა მშრომელთა ფართო მასებზე. როგორც წესი, მუშები არჩევნების დროს აშავებდნენ ბურჟუაზიისა და მენშევიკების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. ბურჟუაზიის წამოწყება — შეექმნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან „მუშათა ჯგუფები“ — ჩაიფუშა.

ბოლშევიკების შეუპოვარი მუშაობის შედეგად 1915 წლის შემოდგომიდან ამიერკავკასიაში იწყება პარტიული ჯგუფებისა და უჯრედების რიცხვის ზრდა. ბოლშევიკებმა გააფართოეს და გააქტიურეს თავიანთი მოღვაწეობა მუშათა რაიონებში, განსაკუთრებით მრავალეროვან ბაქოს პროლეტარიატში.

ომის წლებში, განსაკუთრებით 1915 წლიდან, ს. ს. სპანდარიანს, ს. გ. შაუმიანს, პ. ა. ჯაფარიძეს და ამიერკავკასიის სხვა ბოლშევიკებს დამყარებული ჰქონდათ კავშირი რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, პირადად ვ. ი. ლენინთან, რომლისგანაც იღებდნენ მითითებებსა და რჩევა-დარიგებას. ისინი ცენტრალურ კომიტეტს აწვდიდნენ ინფორმაციას მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობაზე. 1915 წლის 1 ოქტომბრის წერილში ვ. ი. ლენინისადმი ს. გ. შაუმიანი მადლობით აღნიშნავდა იმ დახმარების მნიშვნელობას, რომელსაც ცენტრალური კომიტეტისაგან იღებდა. „თქვენი წერილები, რჩევა და მითითებანი — წერდა ს. გ. შაუმიანი, — ყოველთვის ყველაფერზე ძვირფასი იყო ჩემთვის“ [1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბაქოს 1915 წლის ოქტომბერში გამართულ თათბირს, რომელმაც ფაქტიურად პარტიული კონფერენციის მნიშვნელობა შეიძინა.

---

1 ბლ-ს ცპა, ფ. 2, აღწ. 5, დაცვ. ერთ. 613, ფურ. I.

ოქტომბრის დამდეგს გაიმართა აგრეთვე ამიერკავკასიის მენშევიკების კონფერენცია.

ბოლშევიკების ბაქოს თათბირიც და მენშევიკების ამიერკავკასიის კონფერენციაც, რომლებიც თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდნენ, ერთსა და იმავე საკითხებს განიხილავდნენ, მაგრამ, ბუნებრივია, სულ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამოიტანეს. თავიანთი გადაწყვეტილებებით მენშევიკებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ბურჟუაზიის ერთგული მსახურნი და მუშათა კლასის ინტერესების მოღალატენი არიან. მენშევიკურმა კონფერენციამ განიხილა საკითხი „თანამედროვე მომენტის შესახებ". მის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელ ხანს მოვლენებმა თითქოს თვალი აუხილა ბურჟუაზიას და იგი დარწმუნდა, რომ ძველ ბიუროკრატიულ რეჟიმს აღარ შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება და ხელს არ უწყობს ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის დამყარებას. მთავრობის მოქმედებამ, რომელმაც უარყო სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ლოზუნგი „ომი რეფორმების საშუალებით", — პოლიტიკური კონფლიქტი გამოიწვია მათ შორის. ამ კონფლიქტის გამო, მენშევიკების აზრით, ბურჟუაზია ცარიზმის მიმართ ოპოზიციის გზას დაადგა. ამართლებდნენ რა ბურჟუაზიასთან კავშირს, მენშევიკებმა თავიანთ კონფერენციაზე თავიანთი ამოცანები შემდეგნაირად განსაზღვრეს: „ამიტომ, ვემყარებით რა ჩვენს პროგრამულ დებულებას, ჩვენ მხარს ვუჭერთ ბურჟუაზიის ოპოზიციურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, ვცდილობთ მივცეთ ყველა ამ ნაბიჯს უფრო რადიკალური ელფერი, რათა ამით გავაადვილოთ ფართო მასების გამოსვლა დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად. ჩვენ ახლა ვაყენებთ ძველ ნაცად ლოზუნგს: „ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთად ვურტყათ"[1].

ამრიგად, მენშევიკები, „ცალკე" რომ მიდიოდნენ და მხედველობაში ჰქონდათ თავიანთი პროგრამული დებულებანი, დარწმუნებული იყვნენ, რომ ბურჟუაზიასთან ერთად მიაღწევდნენ ერთიან მიზანს — ბურჟუაზიული წყობილების დამყარებას, რაც კიდევაც განახორციელეს მენშევიკებმა საქართველოში მათი ხანმოკლე ბატონობის წლებში.

ამიერკავკასიის მენშევიკებმა ომში მეფის რუსეთის და, შაშასადამე, მთელი ანტანტის გამარჯვების ინტერესებისათვის მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიის ლოზუნგს „პასუხისმგებელი სამინისტროს"

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 3585, ფურც. 29—30.

შექმნის შესახებ. ამ მიზნით ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის განახლებას, რომ მისი მეშვეობით მიეღწიათ დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის, რომელსაც უნდა შეექმნა პასუხისმგებელი „სამინისტრო დემოკრატიული ხელისუფლებისა“ და მოეწყო ქვეყნის დაცვა მტრის შემოსევისაგან [1]. სხვანაირად რომ ვთქვათ მენშევიკები მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიისა და ცარიზმის ლოზუნგს — „ომი გამარჯვებამდე“. მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიის ლოზუნგი „პასუხისმგებელი სამინისტროს“ შექმნის შესახებ ამიერკავკასიის მენშევიკების ლოზუნგიც გახდა.

წინააღმდეგ ამიერკავკასიის მენშევიკების მოთხოვნებისა, ბოლშევიკების ბაქოს თათბირმა მიღებულ რეზოლუციაში შეაფასა მსოფლიო ომთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა, აგრეთვე თვით ომის ხასიათი და აღნიშნა, „რომ ახლანდელი ომი დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა იმპერიალისტური (კოლონიური) პოლიტიკის გარდუვალი შედეგია და რომ ამ ომისათვის პასუხისმგებლობა ერთნაირად ეკისრება ყველა ამ სახელმწიფოს“. თათბირმა განსაზღვრა ამოცანები მუშათა კლასის და ყველა შშრომელთა ბრძოლისა, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავიანთი გაუთავისუფლებისათვის. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ოქტომბრის თათბირის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „კაპიტალისტური წყობილებისა და მისი რეჟიმის მოსპობას... და ამ წყობილების შეცვლას სოციალისტური წყობილებით შეუძლია იხსნას ხალხები... და გამოიყვანოს კაცობრიობა შემდგომი პროგრესის გზაზე“. რეზოლუციამ ცალკე გამოჰყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვადიუდებელ უახლოეს ამოცანად თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამჟამად ძირითადი საყოველთაო-სახალხო ამოცანაა ბრძოლა მეფის მონარქიის დამხობისათვის და მისი შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით“. ანალიზს უკეთებდა რა, ურთიერთობას ბურჟუაზიასა და ცარიზმს შორის, რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ მეფის მონარქიამ, რომელიც მშვიდობიან დროში ერთგულად ემსახურებოდა ბურჟუაზიას „შინაგან მტრებთან“, ე. ი. მუშათა კლასთან ბრძოლაში, ვერ გაამართლა მისი იმედები ომის დროს. ბურჟუაზიას იმედი გაუცრუა ცარიზმის უუნარობამ ომში. იგი ოცნებობდა გასაღების ბაზრების გაფართოებასა და კოლონიების დაპყრობაზე, სინამდვილეში კი მეფის ჯარები ფრონტზე დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. ეს აიძულებდა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს სულ უფრო ხშირად დაფიქრებოდნენ იმას,

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 3585, ფურც. 29—30.

რომ გავლენის ახალი სფეროების შექმნის ნაცვლად შეიძლებოდა უკვე არსებული დაეკარგათ, თუ არ გამოინახებოდა საშუალებანი ისეთი ხელისუფლების შესაქმნელად, რომელსაც შეეძლებოდა გამარჯვებამდე მიეყვანა ომი. მაგრამ მეორე მხრივ, შიში რევოლუციურად განწყობილი მუშათა კლასის წინაშე ბურჟუაზიას აიძულებდა ჩაბღაუჭებოდა მონარქიას.

ბოლშევიკების თათბირის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული მუშათა კლასის პირველი რიგის ამოცანები. „რუსეთის მუშათა კლასმა, — ნათქვამი იყო მასში, — გლეხური და ქალაქის დემოკრატიის უფრო გაბედულ ელემენტებთან კავშირში აწარმოოს უფრო გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ბლოკის წინააღმდეგ და ემზადოს გარდუვალი სამოქალაქო ომისათვის თავადაზნაურობისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ".

ბოლშევიკები არა მარტო გამოდიოდნენ მტაცებლური ომის წინააღმდეგ, ისინი ისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ განეხორციელებინათ ლენინური ლოზუნგი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მიზნით. კავკასიის ბოლშევიკების თათბირის რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ ნამდვილი ზავის განსახორციელებლად საჭიროა იგი დადოს არა მეფის მთავრობამ, არამედ თვით რევოლუციური ბრძოლისათვის აღმდგარმა ხალხმა. ამიტომ ნამდვილი ზავის დადების, არსებული წყობილების დამხობისა და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ინტერესებისათვის მუშათა კლასის ახლანდელ პირობებში უნდა წამოაყენოს ლოზუნგი ისეთი დამფუძნებელი კრებისა, რომელიც მოწვეული იქნება „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით". ამასთან რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „დამფუძნებელი კრება შეიძლება მოწვეულ იქნას მხოლოდ რევოლუციური გზით", მაშინ როცა ამიერკავკასიის მენშევიკები დამფუძნებელი კრების მოწვევას ვარაუდობდნენ სახელმწიფო სათათბიროს მეშვეობით.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ორგანიზაციულ საკითხებს. მან აღნიშნა რომ, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ტერორისა და დევნის პირობებში განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას და უნარიანად ახამებენ მუშაობის ლეგალურსა და არალეგალურ ფორმას. თათბირი მოუწოდებდა:

„1. დავძაბოთ მთელი ძალები, უწინარეს ყოვლისა, დაქსაქსული არალეგალური უჯრედების გასაერთიანებლად და შევქმნაო აღ-

გილებზე პარტიის მეტად თუ ნაკლებად შეკავშირებული და ჩამოყალიბებული არალეგალური ორგანიზაციები. ამ მიმართულებით ლტოლვა მუშებში ძლიერდება. შეგნებული ამხანაგები უნდა ცდილობდნენ ყოველნაირად განამტკიცონ და გააფართოონ თავიანთი ორგანიზაციები.

2. ლეგალურ ორგანიზაციათაგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პროფესიულ კავშირებს, გამოვაცოცხლოთ და გავაფართოოთ ისინი, სადაც კი გადაურჩნენ რეაქციის მიერ განადგურებას, და ვეცადოთ მივაღწიოთ დახურულთა აღდგენის ნებართვის მიღებას".

რეზოლუციაში შემდეგ აღნიშნული იყო იმის საჭიროება, რომ მონაწილეობა მიეღოთ კოოპერატივებში, გამოეყენებინათ ისინი მუშათა კლასობრივი მიზნებისათვის, აგრეთვე ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტებში, რათა უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ყოფილიყვნენ მასებთან.

ურჩევდა რა ორგანიზაციის ყველა ამ ფორმას, კონფერენცია თავის რეზოლუციაში მიუთითებდა წარმოუდგენელ სიძნელეებზე, რომლებიც უნდა დაეძლიათ მუშაობაში, და მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლის დიადი მიზნების გულისათვის გამოეჩინათ საჭირო თავდადება, ვინაიდან „ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და მდგომარეობა რუსეთს შიგნით უმაგალითო პასუხისმგებლობას აკისრებს რუსეთის მუშათა კლასს, მის გადასაჭრელად აყენებს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის საკითხებს".

კავკასიის ბოლშევიკების 1915 წლის თათბირის მუშაობაში დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ საკითხს. თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა 1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ხათქვამი იყო, რომ იგი ხასიათდება ნაციონალიზმის გაძლიერებით, რასაც ცოტათი როდი შეუწყო ხელი დაწყებულმა მსოფლიო ომმა და თვალთმაქცურმა ლოზუნგებმა, რომლებიც ამასთან დაკავშირებით წამოაყენეს ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურმა პარტიებმა. რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ პარტიის წევრები და მოწინავე მუშები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იცნობდნენ ბოლშევიკური პარტიის პროგრამას ეროვნულ საკითხში. „ამის გამო ჩვენ ვურჩევთ, — მითითებული იყო რეზოლუციაში, — პარტიის ყველა წევრს, უწინარეს ყოვლისა, უფრო ფართოდ გაეცნონ არსებულ პარტიულ ლიტერატურას ეროვნულ საკითხზე (კ. სტალინის ბროშურა[1]; ლენინის

[1] იგულისხმება ი. ბ. სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

„ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ „პროსვეშჩენიეს“ №№-ში და სხვ.“).

რეზოლუციაში შემდეგ გადაჭრით უარყოფილი იყო კულტურულ-ეროვნული ავტონომიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი და მითითებული იყო ამ საკითხის გადაწყვეტის გზები. „ჩვენ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მტრები ვართ, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — მხარს ვუჭერთ ენათა სრულ თანასწორუფლებასა და თანასწორუფლებიანობას და ვფიქრობთ, რომ ამისათვის საუკეთესო გარანტიაა:

1) სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყველა მოქალაქეთა უფლებებში გათანასწორება განურჩევლად ეროვნებისა. (იხ. პროგრამის § 7).

2) ენათა სრული თანასწორუფლებიანობა სკოლაში, ლიტერატურაში, საზოგადოებრივ კრებებზე, სასამართლოში, პოლიციასა და სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში. (იხ. პროგრამის § 8).

3) საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით და განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით. (პროგრამის § 3)... მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენი პროგრამა ცნობს „იმპერიის შემადგენლობაში შემავალ „ყველა ერთა თვითგამორკვევის უფლებას“.

მხარს უჭერდა რა ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, რეზოლუცია გამოთქვამდა რწმენას, რომ მომავალში ეროვნული საკითხი სწორედ ასე გადაიჭრება, მაგრამ ამავე დროს არ იძლეოდა რჩევის ღაჟინებით მოგვეთხოვა ამ პრინციპის განხორციელება ახლანდელ პირობებში. რეზოლუციაში შემდეგ ლაპარაკი იყო უახლოეს ამოცანებზე: „მთელი მუშაობა კლასისა და მთელი დემოკრატიის ძალონე განურჩევლად ეროვნებისა ამჟამად უნდა მოვახმაროთ მორიგ საერთო სახალხო ლოზუნგს — რუსეთში მეფის მონარქიის დამხობას“.

კავკასიის ბოლშევიკების თათბირმა განიხილა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი — „კავკასიაში ეროვნებათა შორის ურთიერთობის შესახებ“. ეს საკითხი დასმული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ომის წლებში კავკასიის ხალხთა შორის ურთიერთღამოკიდებულება ძლიერ გამწვავდა, რაც აიხსნებოდა მეფის პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა ერთა შორის შუღლის გაღვივებას.

ითვალისწინებდა რა კავკასიის ცალკეულ ეროვნებათა შორის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვან გაუარესებას, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირმა პარტიის ყველა წევრს დაავალა ეწარმოებინათ ყველა ეროვნების როგორც მუშებში, ისე დანარჩენ მშრომელ ფენებში გაძლიერებული აგიტაცია, მიმართული გაბატონებულ კლასთა დანაშაულებრივი პოლიტიკის მხილებისაკენ. კონფერენციამ მოუწოდა კავკასიის მუშებსა და მოსახლეობის ფართო მასებს არ აჰყოლოდნენ გაბატონებული კლასებისა და ნაციონალისტური პარტიების პროვოკაციებს, ხსომებოდათ, რომ მხოლოდ ყველა ეროვნების დემოკრატთა ძმური ერთიანობაა მათი გამარჯვებისა და განთავისუფლების საწინდარი და რომ, პირიქით, ეროვნული მტრობის შემდგომ გაძლიერებას შეუძლია ვადააქციოს კავკასია სისხლისმღვრელ ძმათამკვლელ შეჯახებათა ასპარეზად.

კავკასიის ბოლშევიკების თათბირმა აირჩია რსდმპ კავკასიის ბიურო ფ. ე. მახარაძის, ი. ტ. ფიოლეტოვის, ს. ი. ქავთარაძის, ს. გ. შაუმიანისა და სხვების შემადგენლობით.

თათბირმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. მან ნათელი პასუხი გასცა ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომლებიც პარტიის წინაშე დააყენა მიმდინარე ისტორიულმა მომენტმა, განსაზღვრა ბოლშევიკების დამოკიდებულება იმ პრობლემებისადმი, რომლიც ამიერკავკასიის ხალხებისა და პარტიების წინაშე იდგა იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, და ეხებოდა ამიერკავკასიაში რევოლუციური ძოძრაობის განვითარების პერსპექტივა უახლოესი პერიოდისათვის.

ამიერკავკასიაში ბოლშევიზმისადმი მტრულმა პარტიებმაც კი ვერ დაუკნინეს თათბირის გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა. კერძოდ, საქართველოს ფედერალისტების ორგანო გაზეთი „ზვირთი“, შეფასებას აძლევდა რა კავკასიის ბოლშევიკების ოქტომბრის თათბირის შედეგებს და, განსაკუთრებით, მის რეზოლუციას ეროვნულ საკითხებზე, წერდა: „ჩვენ საქმე გვაქვს დოკუმენტთან, რომლის შედგენაშიც მონაწილეობას იღებდნენ რუსები, თათრები, სომხები და ქართველები. ამ ჯგუფს ეკუთვნის ჰეგემონია ისეთ დიდ სამრეწველო ცენტრში, როგორიც არის ბაქოს რაიონი, მას დიდი ძალა აქვს თბილისში და სხვა ადგილებში“ [1].

იმ ამოცანების სწორი გაგების მეოხებით, რომლებიც ისტორიამ დააყენა რუსეთის მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური პარ-

[1] გაზ. „ზვირთი“ № 8, 1915 წ. 30 ნოემბერი.

ტიის წინაშე, ბოლშევიკებმა შეძლეს გაეწიათ ფართო მასებში დიდი ორგანიზატორული და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო მშრომელებზე მათი ზეგავლენის გაძლიერებას. მენშევიკების გავლენა კი, პირიქით, სუსტდებოდა. არა მარტო მუშათა კლასში, არამედ საკუთარი პარტიის შიგნითაც კი თავიანთ სისუსტეს რომ გრძნობდნენ, მენშევიკების ლიდერები იძულებული იყვნენ სასტიკი ორგანიზაციული ზომები მიეღოთ. მენშევიკების ოქტომბრის კონფერენციამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავდა მენშევიკური პარტიის წევრებს არამენშევიკური მიმართულების გაზეთებში თანამშრომლობას და მათთვის რაიმე დახმარების გაწევას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარისკაცები გაერკვნენ ომის ნამდვილ მიზნებში და სულ უფრო ხშირად დაიწყეს სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, მენშევიკების კონფერენციამ ცალკე განიხილა საკითხი „დეზერტირების შესახებ“ და მიიღო ვადაწყვეტილება, რომელიც მიმართული იყო მეფის არმიაში დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

ამიერკავკასიის მენშევიკები მისდევდნენ თავიანთ ლიკვიდატორულ ხაზს და ყოველნაირად ცდილობდნენ მუშათა უპარტიო ორგანიზაციით შეეცვალათ მუშათა კლასის ყველაზე შეგნებული ელემენტების მოწინავე პოლიტიკური ორგანიზაცია. გამოთქვამდა რა ამ აზრს, მენშევიკების ოქტომბრის კონფერენციამ დააყენა საკითხი სრულიად რუსეთის მუშათა კრებების მოწვევის შესახებ. მუშათა კრებების მოწვევის იდეა ახალი როდი იყო. იგი წამოყენებული იყო ჯერ კიდევ რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში და მკვეთრად დაგმობილ და უარყოფილ იქნა რსდმპ V კრებების მიერ. ჯერ კიდევ მაშინ ამ მენშევიკური ლოზუნგის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც იგი შეაფასა როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიკვიდაციის ერდა. ახლა, რვა წლის შემდეგ, ამიერკავკასიის მენშევიკებმა კვლავ დააყენეს ეს საკითხი თავიანთი კონფერენციის დღის წესრიგში.

1915 წლის შემოდგომაზე ს. გ. შაუმიანი ატყობინებდა საზღვარგარეთ მყოფ ბოლშევიკებს რომ „გაიმართა ორი თათბირი. ერთი ანის მეგობრებისა, მეორე ჩვენი[1]. გიამბობთ ჯერ პირველის შე-

---

[1] ს. გ. შაუმიანს მხედველობაში აქვს კავკასიის მენშევიკების (ანია, ე. ი. ნ. ჟორდანიას მეგობრების) თათბირი და კავკასიის ბოლშევიკების ზემოაღნიშნული თათბირი.

სახებ. იგი გურიაში გაიმართა, დაესწრო 15 დელეგატი... მთავარი გადაწყვეტილებაა — მოითხოვონ დამფუძნებელი კრება „საათბირის მეშვეობით", ლოზუნგი, რომელიც ანმა წამოაყენა. ბაქოელი და თბილისელი წინააღმდეგი იყვნენ და მიიმხრეს გლეხ დელეგატთა ნაწილი, მაგრამ უმრავლესობა ანს გაჰყვა. მე გწერდით; რომ ანს მიმდევრები არა ჰყავს ომის საკითხში და სხვ. მე მხედველობაში ვქონდა ბაქო და თბილისი" [1].

ს. გ. შაუმიანმა გადასცა ბოლშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილებათა შინაარსი და დაჰპირდა, რომ მალე გაუგზავნიდა ძათ. მან შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი ბოლშევიკები ცუდად იყვნენ ინფორმირებულნი საერთაშორისო და საშინაო ხასიათის მოვლენებზე. „არავითარი ცნობები არა გვაქვს, როგორ უყურებთ თქვენ მომენტს და სხვ. ცუდად გვაქვს წარმოდგენილი რა ხდება საერთოდ ევროპაში ისიც კი, თუ რა ხდება პიტერსა და მოსკოვში". წერილში შემდეგ აღნიშნული იყო, რომ „ყველგან არიან ბოლშევიკური ტრადიციების ერთგული ცალკეული მუშაკები, მაგრამ მასობრივი მუშაობა და გავლენა არ არის" [2]. ბოლშევიკების კონფერენციამ ატყობინებდა იგი დაჯასრულ, დაადგინა „გააფართოოს საცხობი" [3], რომელზეც მე გწერდით, და გააძლიეროს მისი მუშაობა. ამით ვამთავრებ. მეგობრულ სალამს ვუთვლი ყველას, განსაკუთრებით ძიასა და ბიცოლას [4]. თქვენი აიაქსი" [5].

თათბირის რეზოლუციები დაიბეჭდა ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს არალეგალურ სტამბაში ცალკე ფურცლად სამი ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. ეს ფურცელი ფართოდ გავრცელდა ბაქოს, თბილისის და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებისა და მაზრების მუშებში [6]. თათბირის გადაწყვეტილებანი განიხილეს და მოიწონეს ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა.

ვ. ი. ლენინი მალე გაეცნო თათბირის რეზოლუციებს და მოიწონა ისინი. პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", რომელიც ჟენევაში გამოდიოდა ვ. ი. ლენინის ხელ-

---

1 С. Г. Шаумян. Избранные произведения. т. 1, стр. 497.

2 იქვე, გვ. 498—499.

3 ლაპარაკია იატაკქვეშა სტამბაზე.

4 იგულისხმებიან ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია.

5 С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. 1, стр. 499.

6 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 46, აღწ. 20, საქ. 53, ფურც. 63, 225; საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 4749, ფურც. 12—13.

მძღვანელობით, ამიერკავკასიის ბოლშევიკების სათბირის გამო წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა კავკასიელი ინტერნაციონალისტების — რუსების, ქართველების, სომხებისა და თათრების — სახელით გამოუშვეს მანიფესტი, რომელიც გადმოსცემს მათს თვალსაზრისს ომზე. დოკუმენტი მთლიანად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის ნიადაგზე დგას". გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევდა კავკასიის ბოლშევიკების საქმიანობას. მისი სიტყვებით, ისინი კარგად და წარმატებით იცავენ „რევოლუციური მარქსიზმის დროშას კავკასიაში. ახლანდელ მძიმე დღეებშიც... პარტიული არალეგალური მუშაობა ძლიერ იზრდება კავკასიის ყველა ადგილში. მოძრაობა იქმნება და მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა ლოზუნგებით..." [1].

საჭიროა აღინიშნოს, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის ბიურომ, ოქტომბრის თათბირის რეზოლუციის გამოქვეყნებასთან ერთად, გამოსცა ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის (1915 წ. 5—8 სექტემბრის) მანიფესტი რუსულ და ქართულ ენებზე [2]. მანიფესტს ხელი მოაწერეს ვ. ი. ლენინმა, ვ. კოლაროვმა და სხვებმა. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი ციმერვალდის კონფერენციას ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან იდეურად და პრაქტიკულად კავშირის გაწყვეტის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად თვლიდა.

ბოლშევიკებმა ციმერვალდის მანიფესტი ბაქოს, თბილისისა და სხვა ქალაქების მუშებში გაავრცელეს.

მეფის ოხრანკა უდიდეს ღონისძიებებს იღებდა, რომ დაეპატიმრებინა ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელები, აგრეთვე აღმოეჩინა მათი არალეგალური სტამბა. ჟანდარმები თბილისიდან პოლიციის დეპარტამენტს ატყობინებდნენ: „სად ცხოვრობს ახლა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელი, იგივე დამაარსებელი ამ ფრაქციისა ლონდონის ყრილობის შემდეგ, სტეფანე შაუმიანი — ცნობილი არ არის. მისი დაპატიმრებისა და სტამბის აღმოჩენისათვის ძებნა განუწყვეტლივ წარმოებს" [3].

თათბირის (1915 წ.) გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს პარტიული ორგანიზაციების აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ისინი, სულაც არ ისწრაფოდნენ ჩაკეტილიყვნენ არალეგალური მუშაობის ჩარჩოებ-

---

1 Газ. «Социал-демократ» № 51, 29 февраля 1916 г.

2 ორცსა, ბდ ფ. 00, 1915 წ., აღწ. 16, საქ. 167. ნაწ. 7, ფურც. 36.

3 საქართველოს სსრ ცსა. ფ. 2, საქ. 3671. ფურც. 10—11.

ში. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში დიდმნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ ლეგალურ ორგანიზაციებში ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებას. ბოლშევიკები ცდილობდნენ მიეღწიათ დახურული პროფკავშირების აღდგენისათვის, მელითონელთა, მბეჭდავთა, კვების მრეწველობის მუშაკთა და სხვათა პროფკავშირებში თავიანთი გავლენის გაძლიერებისათვის. წარმოებდა მუშაობა ნავთობის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის აღსადგენად.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ ისეთ ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობას, როგორიც იყო ლტოლვილთათვის დახმარების აღმომჩენი კომიტეტები. 1915 წლის თებერვალში ბაქოში შეიქმნა „ეროვნებათა განურჩევლად ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი", რომელშიც შევიდნენ ბოლშევიკები ი. დ. ზევინი, ბ. მ. სარდაროვი, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შაუმიანი და სხვები. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა მ. ა. აზიზბეკოვი, მდივანი — ნ. ნ. კოლესნიკოვა[1]. ამ ლეგალური ორგანიზაციის ბალახანის ქვეკომიტეტს სათავეში ედგა ი. ტ. ფიოლეტოვი.

ომის წლებში ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად კოოპერატივებს. 1915 წელს მარტო ბაქოსა და მის რაიონებში 18 კოოპერატივი არსებობდა. 1916 წელს შეიქმნა კოოპერატივები „კანაეთი" („მომქირნეობა"), მისი გამგეობის თავმჯდომარე გახდა ნ. ნ. ნარიმანოვი, „მაიაკი", რომლის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო ბოლშევიკი ფ. კ. სოროკინი.

კოოპერატივებში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ა. დ. ახუხდოვი, დ. ხ. ბუნიათზადე, მ. მ. ვარნაჩევი, ს. დ. იაკუბოვი, მ. მ. მამედიაროვი, კ. რუმიანცევი, პ. გ. სერგეევი, ა. მ. სტოპანი, გ. გ. სულთანოვი და სხვა ბოლშევიკები.

ბოლშევიკების გავლენაში იყვნენ მუშათა კლუბები. ამ კლუბების გამგეობები აწყობდნენ სხდომებს, რომლებსაც იყენებდნენ პარტიული პროპაგანდისა და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისათვის.

ბოლშევიკები წარმატებით იყენებდნენ საავადმყოფო სალაროებს, სხვადასხვა საზოგადოებებს, აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტებს. თბილისში სახალხო უნივერსიტეტში მუშაობდნენ ვ. ი. კახიანი, მ. ი. ჩოდრიშვილი, პ. ა. ჯაფარიძე, ს. მ. ხანოიანი და სხვები. ბაქოში სახალხო სახლში — მ. ვ. ბასინი, ნ. ნ. ნარიმანოვი, რ. მ. ოკინშევიჩი, ა. მ. სტოპანი და სხვები.

---

[1] Газ. «Каспий» № 51, 5 марта 1915 г.

ბოლშევიკები აქტიურად სარგებლობდნენ რევოლუციური პროპაგანდისათვის ბაქოს ქალაქის თვითმმართველობის ტრიბუნითაც. ბოლშევიკი მ. ა. აზიზბეკოვი თვითმმართველობის ხმოსანი იყო და თავის გამოსვლებში დაუცხრომლად ამხილებდა გაბატონებული კლასების ანტიხალხურ პოლიტიკას, იცავდა მშრომელთა ინტერესებს.

თბილისში ფარმაცევტთა პროფკავშირში მუშაობდა ბოლშევიკი ს. პ. ჯუღელი, მეჩექმეთა კავშირს სათავეში ედგა შ. კარაკაში, ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა პროფკავშირისა და მის კლუბში მუშაობდნენ ბოლშევიკები ს. ი. კასიანი, მ. ე. მელიქიანი და სხვები, მბეჭდავთა შორის მუშაობას ეწეოდნენ ს. ი. თოდრია, ი. ბ. ბოლქვაძე, მასწავლებელთა შორის—ს. ნ. შავერდოვა, ჯ. ა. ხუტულაშვილი და სხვ.

მიუხედავად პოლიციის მთელი გულმოდგინეობისა, ვერ მოახერხა რსდმპ კავკასიის ბიუროს ლიკვიდირება, ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობა კი სულ უფრო ფართოვდებოდა, მოიცავდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მასებს. ბოლშევიკები იყენებდნენ ლეგალურ ორგანიზაციებსა და ლეგალურ პრესას, რამაც ყველგან გამოიწვია პარტიული მუშაობის აქტივიზაცია.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ როგორც „ერობათა კავშირში", ისე „ქალაქთა კავშირშიც". „ქალაქთა კავშირის" საკონტროლო განყოფილებაში 9 მოსამსახურიდან 7 ბოლშევიკი იყო. ისინი დაჭრილთა შორის პროკლამაციებსა და ბროშურებს ავრცელებდნენ, ჯარისკაცებში აგიტაციას ეწეოდნენ.

დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები რევოლუციურ მუშაობას დაჭრილთა და ავადმყოფთა შორის, ეწყობოდა არალეგალური წრეები, იმართებოდა კრებები. თბილისის ლაზარეთებში მუშაობდნენ ბოლშევიკები ო. დ. გაბუნია, ბ. ა. ბორიანი და სხვები

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ფართო პროპაგანდას უწევდნენ და განუმარტავდნენ მუშებსა და გლეხებს მარქსიზმის იდეებს, ბოლშევიკების პარტიის ტაქტიკასა და სტრატეგიას, მის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამებოდა მშრომელი მასების საარსებო ინტერესებს.

ინფორმაციას აწვდიდა რა ბოლშევიკების საზღვარგარეთის ცენტრს ბოლშევიკების მუშაობაზე ლეგალურ ორგანიზაციებში, ს. გ. შაუმიანი ჯერ კიდევ 1915 წლის შემოდგომაზე ატყობინებდა: „ყველგან უაღრესად გავლენიანი ჩვენი მეგობრები არიან"[1].

---

[1] С. Г. Шаумян. Письма, 1896—1918, Ереван, 1959, стр. 186.

ამრიგად, მიუხედავად დევნისა და წარმოუდგენელი სიძნელეებისა ამიერკავკასიის ბოლშევიკები მჭიდროდ ირაზმებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ეწეოდნენ რევოლუციურ ბრძოლას.

2. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მხარის მუშათა და გლეხთა, კავკასიის არმიის ჯარისკაცთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში

მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში ომის დასაწყის პერიოდში, ე. ი. 1914 წლის აგვისტოდან 1915 წლის გაზაფხულამდე, სუსტი იყო და თავს იჩენდა მხოლოდ მცირე გაფიცვების ფორმით, რომლებშიც წამოყენებული იყო ხოლმე ძირითადად ეკონომიური მოთხოვნები.

ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ამ პერიოდში ძირითადად გამოიხატებოდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობით, იმით, რომ მშრომელებს განუმარტავდნენ ომის მიზნებსა და ხასიათს, სხვადასხვა კლასებისა და პარტიების პოზიციებს. აგრეთვე განსაზღვრავდნენ პროლეტარიატის წინაშე მდგომ ამოცანებს, უწინარეს ყოვლისა — ბრძოლაში შოვინიზმთან, რომელიც ჰოედო მუშათა კლასის ცალკეულ ნაკლებადშეგნებულ ფენებს.

მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო 1915 წლის გაზაფხულის დამლევიდან — ზაფხულის დამდეგიდან. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ 1915 წლის შემოდგომაზე რუსეთში რევოლუციური კრიზისი იყო.

ფრონტზე დამარცხებანი, მეურნეობის მოშლა, სასურსათო სიძნელენი, პოლიტიკური უუფლებობა, სიძვირე, დაწყებული შიმშილი — ყოველივე ეს ბიძგს აძლევდა მშრომელებს ძირმომპალი სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ ბრძოლის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, იდგა მუშათა კლასი ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით.

ბაქოს, თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა გაფიცვები და გამოსვლები 1915 წლის გაზაფხულზეც ხდებოდა, მაგრამ იმავე წლის შემოდგომიდან უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

1915 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დამდეგს გაფიცული იყვნენ კასპიის საავჭრო ფლოტის მეზღვაურები. თაუზის ცემენტის ქარხნის მუშები, ბაქოს ფეიქრები და სხვა საწარმოთა მუშები.

1915 წლის ზაფხულის ბოლოს გაფიცვებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ფეიქრების გაფიცვა ბაქოში, თაღიევის ფაბრიკაში. ეს გაფიცვა, რომელშიც 419 მუშა მონაწილეობდა, 31 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე გრძელდებოდა და მუშების გამარჯვებით დამთავრდა. (სამუშაო დღე შემოღებულ იქნა 11.5 საათიდან 10 საათამდე, შრომის ანაზღაურება 6 პროცენტით გადიდდა)[1]. ეს გაფიცვა ომის დაწყების შემდეგ ყველაზე დიდი ეკონომიური გაფიცვა იყო ბაქოში.

1915 წლის სექტემბერში გაიფიცნენ ბაქოს სტამბების მეტი წილი მუშები, რომლებიც შრომის ანაზღაურების გადიდებას მოითხოვდნენ.

1915 წლის გაფიცვებიდან საქართველოში ყველაზე დიდი იყო ტყიბულის ქვანახშირის მუშათა გაფიცვა აგვისტო — სექტემბერში. მან წარმატება მოუტანა მუშებს, რომლებმაც მიაღწიეს რვა საათის სამუშაო დღის დაწყებას და ხელფასის გადიდებას. იმავე წლის შემოდგომაზე თბილისში განუწყვეტელი გაფიცვები ხდებოდა.

ოქტომბერში გაიფიცნენ რკინიგზის თბილისის სადგურის მუშები და მოსამსახურეები, თაიროვის ზეთსახდელი და საპნის საბარში ქარხნების, ალიხანოვის, ტოლეს ქარხნების მუშები. გაიფიცნენ გაზეთების „კავკაზსკოე სლოვოსა“ და „ორიზონტის“ სტამბის ასოთამწყობები და მუშები, ძმათა საფაროვების მზა ტანსაცმლის მაღაზიის მოსამსახურენი[2].

მღელვარება იყო აგრეთვე თბილისის ტრამვაის მუშებსა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშებს შორის. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ხუნაში, თაუზსა და სხვა ქალაქებში გაფიცვები ხდებოდა. დამახასიათებელია, რომ მუშების ბევრი გაფიცვა მათი გამარჯვებით დამთავრდებოდა. გაფიცულნი აყენებდნენ არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც. უკვე 1915 წლის საპირველმაისო გაფიცვა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობის ლოზუნგით მიმდინარეობდა და ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

ამიერკავკასიის მუშების საგაფიცვო ბრძოლა და მღელვარება გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენდა გლეხობაზეც. მუშების კვალდაკვალ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაებნენ გლეხები და ჯარისკაცები.

ახასიათებდა რა გურიის (ოზურგეთის მაზრის) გლეხობას რო-

---

[1] ორცსა, 3დ ფ. 4 საქმ. წარმ., 1915 წ., საქ. 5, ნაწ. II, ფურ. 53.

[2] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 20, საქ. 3652/4259, ფურც. 78.

გორც საქართველოს გლეხებს შორის პოლიტიკურად ყველაზე ძოუსვენარს, ქუთაისის გუბერნატორი წერდა: „გურია ყოველთვის განსაკუთრებით საზრუნავს ხდიდა ზედამხედველობას მის ფარგლებში მცხოვრებ საეკვო ელემენტებზე, რის გამო უკანასკნელ სანს შემოდის ცნობები, რომ ზოგიერთი პარტიული მუშაკები ცდილობენ ორგანიზაციულად შეკავშირდნენ მთელი საქმიანობის გაძლიერების მიზნით"[1]. ყაზახის მაზრის უფროსის მოხსენებიდან ჩანს, რომ ბოლშევიკები გაძლიერებულად აწყობდნენ სოფლებში მთავრობის საწინააღმდეგო საუბრებს, ამზადებდნენ გლეხთა გამოსვლებს. პოლიციის ადგილობრივი ორგანოები იტყობინებოდნენ, რომ მუშა აგიტატორებმა შეძლეს ბევრი მომხრე ეპოვნათ სოფლებში.

1915 წლის ნოემბერში რსდმპ ბაქოს კომიტეტის წინადადებით ბაქოს სარეწებსა და ქარხნებში შეიქმნა არალეგალური მუშათა კომისიები, რომლებმაც შეიმუშავეს მუშათა მოთხოვნები. ეს მოთხოვნები სამოცდარვა რწმუნებულის ხელმოწერით წარედგინა ნავთობის მრეწველთა ყრილობას[2]. ყრილობამ უარი განაცხადა იმაზე, რომ განეხილა მოთხოვნები. შექმნილი ვითარების გამო, ბოლშევიკების წინადადებით, მუშათა კომისიების რწმუნებულთა კრებაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომისია, ხოლო ცენტრალურმა კომისიამ თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც დაიწყო მუშაობა საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებლად და ცდილობდა პოლიტიკური ხასიათი მიეცა ამ მუშაობისათვის მაგრამ 1916 წლის თებერვალ—მარტში ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწენი დაპატიმრებულ იქნენ.[3]

მეფის ხელისუფალთა რეპრესიებმა ვერ შეაჩერა მუშათა ბრძოლა. 1916 წელს ბაქოში, თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში იგი განუხრელად ფართოვდებოდა. გაფიცვების მზარდი ნაწილი მეტი ორგანიზებულობით, სიმტკიცითა და შეუპოვრობით განირჩეოდა, ვიდრე წინა წლებში.

ომიანობის დროის ძნელ პირობებში რსდმპ კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილ I მაისის დღესასწაულის მოწყობა 1916 წელს. მთავრობის ხელისუფალთა მიერ მიღებული ყველა ღონისძიების მიუხედავად, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შეძლეს დაებეჭდათ და გა-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 652/425, ფურ. 33—40.

[2] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. I, აღწ. 1, საქ. 1661, ფურც. 41—42.

[3] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. I, აღწ. I, საქ. 1661, ფურ. 41—42; ბლ-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 52, ფურც. 14.

ევრცელებინათ საპირველმაისო პროკლამაცია რუსულ და ქართულ ენებზე სათაურით „ამხანაგო მუშებო“[1].

პროკლამაცია განმარტავდა იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული ომის ხასიათსა და ნამდვილ მიზნებს, გმობდა მუშების რაიმე მონაწილეობას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მუშაობაში. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ პროლეტარიატს საერთაშორისო სოლიდარობისაკენ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის ბრძოლისაკენ. მუშათა კლასისა და გლეხობის ამოცანაა, ნათქვამი იყო პროკლამაციაში, ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

ამიერკავკასიის ბევრი ქალაქის მუშები ამ პროკლამაციის მოწოდებებს I მაისის გამოსვლებით გამოეხმაურნენ. ზოგიერთ ქალაქში 1 მაისს გაფიცვები მოეწყო.

1916 წლის 3 მაისს გაიფიცნენ ამხ-ბა „კომეტის“ თამბაქოს ფაბრიკის მუშები. 14 დღის შეუპოვარი ბრძოლა ძუშების ეკონომიკურ მოთხოვნებით დამთავრდა. ამის შემდეგ გაიფიცნენ თბილისის სპილეიძსავლინავი ფაბრიკის, მექანიკური ქარხანა „ეროს“ მუშები, ადელხანოვის ფეხსაცმლის საკერავი სახელოსნოს, საფაროვის თამბაქოს ფაბრიკის, ბეპეს მექანიკური სახელოსნოს მუშები, ჭიათურის მაღაროელები, თბილისის მაღაზიების მოსამსახურენი და სხვები.

1916 წლის ივნისიდან წლის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ხდებოდა გაფიცვები ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვის თამბაქოს ფაბრიკებში, იარალოვის მექანიკურ ქარხანაში და ტრამვაელთა შორის. გამარჯვებით დამთავრდა ტყიბულის და ჭიათურის მაღაროელთა გაფიცვები.

თუ 1915 წლის მაის — ივლისში ბაქოში 5 გაფიცვა მოხდა, 1916 წლის ამავე პერიოდში მოეწყო 18 გაფიცვა, რომლებშიც 2826 მუშა მონაწილეობდა. მარტო 1916 წლის ოქტომბერში მოხდა 16 გაფიცვა 1627 მონაწილით[2]. 1916 წელს, არასრული მონაცემებით ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა 148 გაფიცვას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 33 ათასმა მუშამ.

ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად მუშებმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება, კერძოდ ისეთებისაც, როგორიც იყო 8 საათის სამუშაო დღე, პოლიციის მიერ დაპატიმრებული მუშების განთავისუფლება, ადმინისტრაციის იმ

---

1 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 4346, ფურ. 48.

2 აზერბაიჯანის სსრ ცსა, ფ. 509, აღწ. I, საქ. 294, ფურც. 7—124.

წარმომადგენლების დათხოვნა, რომლებიც მუშებთან უხეში მოპყრობით გამოირჩეოდნენ, და სხვ.

ამ მხრივ დამახასიათებელია ბაქოში პენკენდორფის მექანიკური ქარხნის მუშების (1916 წლის მაისში, ივლისში, აგვისტოში), ბაქოს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ყუმბარის ქარხნის მუშების (აპრილში) და სხვა გაფიცვები, რომლებიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

მთელ იმპერიაში როგორც ცენტრში, ისე განაპირა მხარეებშიც პროლეტარიატის ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძლიერდებოდა და მწვავდებოდა. 1916 წელს რუსეთში გაიმართა 1500 გაფიცვა. გაფიცული იყო მილიონზე მეტი მუშა.

ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ტყიბულის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ქედაბეკის, ნუხის, ალექსანდროპოლისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მუშათა საგაფიცვო ბრძოლა გავლენას ახდენდა გლეხთა მასაზეც. სოფლის ღარიბები ახლა უფრო აქტიურად ეხმაურებოდნენ მუშათა გამოსვლებს. გლეხთა შეიარაღებული შეტაკებანი პოლიციასთან მოხდა სიღნაღის მაზრის სოფელ ქევხიანში 1916 წლის შემოდგომაზე. ხელისუფლებმა გლეხთა წინააღმდეგობის ჩახშობა მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც დამხმარე ძალები მიიღეს სიღნაღიდან.

„შუშისა და ყუბის მცხოვრებნი, — ნათქვამი იყო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის სახელზე 1916 წლის 28 დეკემბერს გამოგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში, — გაძლიერებულად იარაღდებიან, ყიდულობენ სხვადასხვა იარაღს ბაქოსა და თბილისში. შეიარაღების მიზანია წინააღმდეგობის გაწევა იმ შემთხვევაში, თუ მათ თავდაცვის სამუშაოებზე გაიწვევენ"[1].

სამხედრო გადასახადების შემოღებასა და მემამულეთა აღვირახსნილობას აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ 1916 წელს ელიზავეტპოლის, შუშის, ყაზახისა და ყუბის მაზრების მთელი რიგი სოფლების გლეხები.

აუტანელმა მატერიალურმა გაჭირვებამ მთელ რუსეთში გამოიწვია შიმშილობასთან დაკავშირებული მღელვარება. 1916 წლის შუა თებერვალში შიმშილობით გამოწვეული ამბოხებები მოხდა ბაქოში. ხალხმრავალი ჯგუფები, რომლებიც უმთავრესად ქალებისაგან შედგებოდა, თავს ესხმოდნენ მაღაზიებსა და სპასურსათო საწყობებს. სამ დღეში, 14-დან 16 თებერვლამდე, დარბეულ იქნა 116 სასურ-

---

[1] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 9, აღწ. I, საქ. 67, ფურც. 2.

სათო საწყობი და მაღაზია. მიყენებულმა ზარალმა სამ მილიონ ჭანეთს მიაღწია[1].

ხელისუფლებმა ბაქოში თავი მოუყარეს ჯარისა და პოლიციის ძალებს თბილისიდან, ელიზავეტპოლიდან, პეტროვსკიდან და თემირხან-შურიდან. ჯარებმა იარაღი იხმარეს. ხალხმა კაზაკებსა და პოლიციელებს ქვა დაუშინა. ამ შეტაკებებში მოკლულ იქნა და დაიჭრა 70-მდე კაცი. პოლიციამ 206 კაცი დააპატიმრა, მათ შორის 83 ქალი.

პოლიციის მთელ რიგ დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ ჯარისკაცები და მატროსები ამბოხებული მასების მხარეზე იყვნენ და ბევრ შემთხვევაში პირდაპირ ეხმარებოდნენ მათ[2].

ამ ამბებთან დაკავშირებით მეფის სენატმა ბაქოს გრადონაჩალნიკის თანამდებობიდან გადააყენა პოლკოვნიკი მარტინოვი. მას პრალს სდებდნენ იმის უუნარობაში, რომ დროზე ჩაეხშო „უწესრიგობა იარაღის ძალით“[3].

შიმშილობით გამოწვეული მღელვარება ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსაც ეოლდო. 1916 წლის 3—5 ივლისს თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ უზარმაზარ გროვად თავშეყრილი აღშფოთებული მოქალაქენი, რომელთაც სათავეში ედგნენ ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ცოლები. პოლიციამ, ჟანდარმერიამ და სამხედრო ნაწილებმა ხალხი ვერ შეაკავეს.

თბილისში შიმშილობით გამოწვეული ამბოხების დროს პოლიციელებმა და ჟანდარმებმა 300-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. ბევრ შემთხვევაში ჯარისკაცები, დამშეულთ რომ თანაუგრძნობდნენ. მათ მხარეზე დგებოდნენ და ათავისუფლებდნენ დაპატიმრებულთ. კავკასიის უმაღლეს ხელისუფალთა კატეგორიულ მოთხოვნაზე — დაეპატიმრებინა გამოსვლების მონაწილენი — თბილისის პოლიცმეისტერი უპასუხებდა: „შეპყრობა შეუძლებელი ხდებოდა იმის გამო, რომ არ გვყავდა თავისუფალი პოლიციელები, რომლებიც საჭირო იყო დაპატიმრებულთა გამყოლებად და მცველებად. ბევრ შეპყრობილს პოლიციელებს სამხედროები ართმევდნენ“[4].

1916 წლის ივლისში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს მიხაილოვში (ხაშური), სურამში, სამტრედიაში, ხონში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და სხვა ადგილებში.

---

1 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. I, აღწ. 7, საქ. 3, ფურც. 2—4.

2 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 485, აღწ. I, საქ. 38, ფურც. 67—67.

3 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. I, აღწ. I, საქ. 652, ფურც. I, აღწ. 7, საქ. 3, ფურ. 2—4.

4 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2, საქ. 4375, ფურც. 31.

როცა გაჩაღებული იყო შიმშილობით გამოწვეული მღელვარეობა, საქართველოში ჩამოვიდა IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მენშევიკი ნ. ჩხეიძე. ჩხეიძემ ქალაქები შემოიარა და მოუწოდებდა მოსახლეობას არ დაერბიათ დუქნები და მაღაზიები, ვინაიდან სხვისი საკუთრების ხელყოფა უკულტურობაა. თითქოს მისი რჩევა-დარიგების „პასუხად“ 1916 წლის აგვისტოში დიდი მღელვარეობა მოხდა ბათუმში.

„რევოლუციური სოციალ-დემოკრატი, — წერდა ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიაში ჩხეიძის ვიზიტის გამო, — იტყვის: დუქნის დარბევა მიზანშეწონილი არაა, მოვაწყოთ უფრო სერიოზულად დემონსტრაცია თუნდაც ერთსა და იმავე დროს ბაქოს, თბილისის, პიტერის მუშებთან ერთად, მივმართოთ ჩვენი სიძულვილი მთავრობის წინააღმდეგ, გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზე ნაწილი ჯარისა, რომელსაც ზავი სურს. განა ასე ლაპარაკობდა ბ-ნი ჩხეიძე? არა, ის მოუხმობდა „ბრძოლისაკენ“, **რომელიც მისაღებია ლიბერალებისათვის!**“[1].

ომის წლებში ბოლშევიკური ორგანიზაციები და ჯგუფები არსებობდნენ თბილისში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, შუშაში, ალავერდში, ზანგეზურში, ქუთაისში, ბათუმში, ელიზავეტპოლში, ქედაბეკში, ყარსში, სარიყამიშში, ოზურგეთსა და სხვა ქალაქებსა და მაზრებში. ამ ორგანიზაციებსა და ჯგუფებში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ისეთი თვალსაჩინო ბოლშევიკები, როგორიც იყვნენ ს. კ. ალავერდიანი, ი. ი. ანაშკინი, პ. ი. არველაძე, გ. ა. ათარბეკოვი, ა. დ. ახუნდოვი, ვ. ს. ბახტაძე, დ. ხ. ბუნიათზადე, ვ. ნ. გუბანოვი, ბ. ა. დადაშევი, ს. დარახველიძე, ნ. დიდიძე, ს. დ. თავდიშვილი, ს. ი. თოდრია, გ. ზ. იოანისიანი, ა. ბ. იუსიფზადე, ს. დ. იაკუბოვი, ვ. მ. კალანდაძე, ს. ი. კასიანი, მ. ბ. კასუმოვი, ა. მ. მელიქიანი, ა. ი. მიქოიანი, ა. მ. მრავიანი, ვ. ი. ნანეიშვილი, ბ. ვ. სარდაროვი, ა. ა. სულეიმანოვი, გ. გ. სულთანოვი, ო. ს. სარუხანიანი, ს. ვ. ტერ-ვაბრიელიანი, ლ. ო. ტერ-ოვსეპიანი, ბ. ბ. ღარიბჯანიანი და ბევრი სხვა.

პარტიის დავალებით ისინი ეწეოდნენ პროპაგანდისტულ მუშაობას მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა მასებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში, მუდამ ახსოვდათ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ყველაზე მორიგ და საჭირბოროტო ამოცანებად ჩვენ ძიგვაჩნია სოციალ-დემოკრატიული მუშაობის განმტკიცება და გაფართოება პროლეტარიატში, ხოლო შემდეგ მისი გავრცელება

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 217.

სოფლის პროლეტარიატში, სოფლის ღარიბ-ღატაკებში და ჯარში"[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. ლენინის თეორიული დებულებანი ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე, რომლებსაც ბოლშევიკები მასებს განუმარტავდნენ, სულ უფრო ღრმად აღწევდნენ ამიერკავკასიის მუშათა შეგნებაში, რაზმავდნენ მშრომელთ რევოლუციური ბრძოლისათვის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მთელ პარტიულ მუშაობას ვ. ი. ლენინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს დირექტივების განხორციელებას კავკასიაში ეწეოდნენ ბოლშევიკები ფ. ე. მახარაძის, ს. ი. ქავთარაძის, ს. გ. შაუმიანის, პ. ა. ჯაფარიძის და სხვათა მეთაურობით.

მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებიც ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში წარმოიშვა, განსაკუთრებით 1915 და 1916 წლებში, ბოლშევიკები უნარიანად ახამებდნენ არალეგალურ მუშაობას შესაძლო ლეგალურ ფორმებთან.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააძლიერეს მასებში რევოლუციური მუშაობა ლეგალურ ორგანიზაციებში, აგრეთვე ლაზარეთებში, პროფკავშირებსა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

მშრომელ მასებზე ბოლშევიკების გავლენის გაძლიერების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თბილისის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნები. მიუხედავად ქონებრივი ცენზის არსებობისა და სხვადასხვა მაქინაციებისა, რომლებსაც ბურჟუაზია აწყობდა, ბოლშევიკებმა მაინც მოახერხეს თვითმმართველობაში თავიანთი კანდიდატების გაყვანა. 1916 წლის მარტში თბილისის ქალაქის თვითმმართველობაში პირველად იქნა არჩეული ორი ბოლშევიკი.

საგაფიცვო მოძრაობა 1916 წელს სულ უფრო ძლიერდებოდა, გაფიცვების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რაც მუშების გაზრდილი პოლიტიკური შეგნების მაჩვენებელი იყო და ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგს წარმოადგენდა.

მეფის მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა მუშათა საგაფიცვო ბრძოლა ვერ შეაჩერა. იგი ძლიერდებოდა, მიუხედავად დრაკონული რეპრესიებისა, რასაც გაფიცულების წინააღმდეგ მიმართავდნენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 491.

რანაირად არ ცდილობდა მეფის მთავრობა, მაგრამ მაინც ვერ დაიფარა არმია ზურგის მხრივ გამარევოლუციურებელი გავლენისაგან. ქვეყანაში საგაფიცვო მოძრაობის ზრდას, რაც გამოწვეული იყო ეკონომიური სიძნელეებით, სიძვირითა და პოლიტიკური ჩაგვრით, მძიმე დამარცხებებს ფრონტზე, ომს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, — ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ შეექმნა ხელსაყრელი პირობები რევოლუციური „სენის“ გავრცელებისათვის ჯარისკაცებს შორის.

ჯარისკაცთა მასები სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ბოლშევიკების ლოზუნგი — იმპერიალისტური ომის გადაქცევა საშოქალაქო ომად — შეესაბამებოდა მიმდინარე მომენტის მოთხოვნებს. მხოლოდ ამ ლოზუნგის განხორციელებას შეიძლებოდა მივეყვანეთ სისხლისმღვრელი ომის დამთავრებამდე და ზავის მოპოვებამდე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დაუღალავად აჩაღებდნენ რევოლუციურ აგიტაციას კავკასიის მოქმედ არმიაში. ჯარებში არალეგალური მუშაობის საწარმოებლად მათ თავიანთი საუკეთესო ძალები გაგზავნეს. ფრონტელ ჯარისკაცთა შორის მუშაობდნენ ს. კ. ალავერდიანი, პ. ი. არველაძე, ს. ა. ბოგდანოვი, ბ. ა. ბორიანი, ო. ღ. გაბუნია, ა. ღამბარიანი, ა. ი. იაღუბიანი, ნ. ვ. კუზნეცოვი, ი. ვ. მალიგინი, ტ. მუსიევი, ს. გ. ოსეფიანი, გ. ა. ოსეფიანი, მ. დ. ორახელაშვილი, ო. ა. პოღოსიანი, ა. საკიანი, ბ. საკიანი, ზ. ს. ტრაპაიძე, ა. ქართველიშვილი, გ. ნ. ყორღანოვი, ა. ა. შახსუვარიანი და სხვები.

ფრონტის ნაწილებში ბოლშევიკური იდეების პროპაგანდას ეწეოდა პ. ა. ჯაფარიძე, რომელიც 1916 წელს წითელი ჯვრის ტრაპიზონის ორგანიზაციაში მუშაობდა ბარათოვის გვარით.

კავკასიის მოქმედ არმიაში ბოლშევიკების მუშაობის შედეგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მათ რომ მოეხერხებინათ შეექმნათ თავიანთი ორგანიზაციები უშუალოდ არმიის ქვეგანაყოფებში. კავკასიელი მენშევიკები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს სამხედრო ნაწილებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას.

მაშინ როცა ბოლშევიკები დაუცხრომლად ამზადებდნენ ჯარისკაცებს მოახლოებული რევოლუციისათვის, მენშევიკები სჯერდებოდნენ ლეგალური გაზეთების გამოცემას და მეფის ცენზურის მიერ ოფიციალურად ნებადართული იდეების პროპაგანდას. საერთოდ ისინი ისეთ მუშაობას ეწეოდნენ, რომელიც „კანონიერების“ ფარგლებს არ სცილდებოდა.

მიუხედავად სამხედრო-საველე სასამართლოების მრავალი სასიკვდილო განაჩენისა, კავკასიის არმიაში რევოლუციური განწყო-

ბილება განუხრელად იზრდებოდა. ჯარებში ძალიან ხშირად იფეთქებდა ხოლმე მღელვარება, ხშირი იყო ფაქტები, რომ ცალკეული ჯარისკაცები და მთელი ქვეგანაყოფები არ ემორჩილებოდნენ ოფიცერთა ბრძანებებს.

ომით უკმაყოფილება და მისი არასამართლიანი, მძარცველური ხასიათის შეგნება, რაც სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა ჯარისკაცთა წრეში, თავს იჩენდა დეზერტირობით, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო, მეტადრე 1916 წლის შემოდგომიდან. 1916 წლის უკანასკნელ ორ თვეში კავკასიის ფრონტის მარტო 1-ლი და მე-15 სათადარიგო ბრიგადებიდან იდეზერტირა 3441 კაცმა [1]. ეს ფაქტები მოწმობდა არმიაში დისციპლინის მკვეთრად შესუსტებას. ჯარისკაცთა მასებისა და ოფიცრობის ნაწილის გარეოლუციონერების პროცესი გაძლიერებული ბოლშევიკური აგიტაციის უშუალო ზემოქმედებით მიმდინარეობდა.

თავიანთი გაზეთი რომ არ ჰქონდათ, ბოლშევიკებმა ფართო მასშტაბებით მოაწყეს არალეგალური ლიტერატურის გამოშვება. ასეთ ლიტერატურას უშვებდნენ ბაქოში, თბილისში, ელზავეტპოლში, ლაბჩხუთსა და ჭიათურაში. ამასთან ერთად ბოლშევიკები რევოლუციური პროპაგანდისათვის იყენებდნენ სხვადასხვა ლეგალურ გამოცემებს. მაგალითად, სომეხ სოციალ-დემოკრატთა ლეგალურ გაზეთ „ფაიქარში" („ბრძოლა") თანამშრომლობდნენ და მის ფურცლებს ბოლშევიკური ლოზუნგებით მასების მობილიზაციისათვის მოხერხებულად იყენებდნენ ა. მ. აკოფიანი, ა. მ. ამირიანი, ა. ბ. გაბრიელიანი, მ. ე. მელიქიანი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. მრავიანი, ს. გ. შაუმიანი, ს. მ. ხანოიანი და სხვები.

1916 წლის იანვრის პირველ ნახევარში გაიმართა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის კრება. კრებაზე მოსმენილ იქნა ს. ი. ქავთარაძის მოხსენება ციმერვალდის კონფერენციის შესახებ [2]. მომხსენებელმა აღნიშნა იმ გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა, რომლებიც მიღებულ იქნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირზე 1915 წელს.

რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში სულ უფრო ძლიერდებოდა. ლენინური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" 1916 წლის 29 თებერვალს აღნიშნავდა: „მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ბოლშევიკური მიმდინარეობა შესამჩნევად იზრდება კავკასიაში. ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, როგორიც ბაქო და

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 9, აღწ. 5, საქ. 1056.

[2] საქ. სსრ ცსა, ფ. 7, საქ. 3359, ფურც. 16.

გროზნოა, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური მიმდინარეობის ჰეგემონიაში იმყოფება. თბილისსა და ზოგიერთ სხვა პუნქტში ბოლშევიკები მცირე გავლენით როდი სარგებლობენ. ‘ოწყობილია არალეგალური სტამბები. იბეჭდება ფურცლები და მოწოდებები“ [1].

იმპერიალისტური ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბოლშევიკების თავდადებულმა ბრძოლამ ახალი რეპრესიები გამოიწვია ძეფის მთავრობის მხრივ. 1916 წლის 18 აგვისტოს ოხრანკამ ძლიერი დარტყმა მიაყენა პარტიულ ორგანიზაციებს, დააპატიმრა ბოლშევიკების დიდი ჯგუფი, მათ შორის რსდმპ კავკასიის ბიუროს წევრები, რომლებიც ძირითადად თბილისში მუშაობდნენ. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ შ. მ. ასკურავა, პ. გ. ავლახაშვილი, მ. ს. თალაკვაძე, ს. ნ. კალანდაძე, ს. ი. ქავთარაძე, კ. მ. ცინცაძე, ლ. ს. ხუნდაძე და სხვები. კიდევ უფრო ადრე, თებერვალსა და მარტში დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი თვალსაჩინო ბაქოელი ბოლშევიკები. მათ შორის ს. გ. შაუმიანიც. ახალ რეპრესიებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე.

ბოლშევიკებმა დაიწყეს ძალების მოკრება იმისათვის, რომ კვლავ შეექმნათ ხელმძღვანელი ცენტრი. ფ. ე. მახარაძე ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა, რომ მონაწილეობა მიეღო ბოლშევიკების თბილისისა და ამიერკავკასიის ცენტრების აღდგენაში. 1916 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

მაგრამ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ცენტრი რომ არ არსებობდა, ეს სერიოზულად უშლიდა ხელს რევოლუციური მუშაობის ორგანიზაციას, ბრძოლის ერთიანი მოფიქრებული ტაქტიკის განხორციელებას. თუმცა, მიუხედავად ყველა სიძნელისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკები მაინც განაგრძობდნენ აქტიურ მოღვაწეობას, შრომელ მასებს აცნობდნენ პარტიის ყველა გადაწყვეტილებასა და ლოზუნგს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, ისევე როგორც მთელ პარტიას, ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ვ. ი. ლენინის შრომები, კერძოდ, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ და 1916 წელს გამოქვეყნებული მისი სხვა ნაშრომები.

იმპერიალიზმის ეპოქაში სხვადასხვა ქვეყანაში კაპიტალიზმის

---

[1] Газ. «Социал-демократ» № 51, 29 февраля 1916 г.

განვითარების მარქსისტულმა მეცნიერულმა ანალიზმა ლენინი მიიყვანა მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს საკითხი თეორიულად ღრმად დაასაბუთა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ", „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა" და სხვა ნაშრომებში.

ვ. ი. ლენინის ღრმა თეორიულ დებულებათა და პრაქტიკულ მითითებათა საფუძველზე ბოლშევიკების პარტიამ მასებში აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა. იმპერიალისტური ომის, მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციური პრძოლის პირველ რიგებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებიც მიდიოდნენ.

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

1916 წლის დამლევს ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. მუშათა კლასი მზად იყო ცარიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. „ბუნებრივია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ რევოლუციურმა კრიზისმა **ყველაზე ადრე** იფეთქა მეფის რუსეთში, სადაც ყოველად საშინელი დეზორგანიზაცია იყო და სადაც პროლეტარიატი უაღრესად რევოლუციურია (არა მის განსაკუთრებულ თვისებათა გამო, არამედ „ცხრაასხუთი წლის" ცოცხალი ტრადიციების მეოხებით). ეს კრიზისი დააჩქარა მთელმა რიგმა უმძიმესმა დამარცხებებმა, რომლებიც რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა იგემეს"[1].

რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ცარიზმზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად ფეხზე დადგნენ ამიერკავკასიის მშრომელებიც. რევოლუციურ მებრძოლთა პირველ რიგებში გამოდიოდა ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატი, რომლის საერთო რაოდენობა 1917 წელს 100 ათას კაცს აღემატებოდა[2].

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1916 წლის შემოდგომიდან წარმოებდა გაძლიერებული მზა-

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 398.

2 აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. I. აღწ. I. საქ. 601: Кавказский календарь, 1916 წლისა, გვ. 40—41; ჟურნ. «Нефтяное дело», № 14, 1917 წ., გვ. 3—5.

დება ნავთობის ქალაქის პროლეტარიატის საყოველთაო პოლიტიკური გამოსვლისათვის. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ცენტრალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა მუშების მოთხოვნები. 1916 წლის 14 დეკემბერს ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტმა მუშებს პროკლამაციით მიმართა და მოუწოდა მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ბოლშევიკების მოწოდებით მუშები ორგანიზებულად აღდგნენ რევოლუციური ბრძოლისათვის.

1917 წლის დასაწყისი ბაქოში, ისევე როგორც საერთოდ მთელ ქვეყანაში, ახალი, კიდევ უფრო მძაფრი რევოლუციური აღმავლობით აღინიშნა. ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს 1916 წლის დეკემბერში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მითითება მისცა მოემზადებინათ და 9 იანვარს ყველგან მოეწყოთ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს ადგილებზე.

ბრძოლაში პირველი ჩაება რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი — პიტერის მუშები. პეტროგრადის პროლეტარიატის ბრძოლას მხარი დაუჭირეს ბაქოს მუშებმა. 1917 წლის 9 იანვარს ბაქოში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია. ამ დღიდან საგაფიცვო მოძრაობამ ბაქოში განუწყვეტელი გაძლიერება იწყო. განსაკუთრებით გადიდდა პოლიტიკური გაფიცვების რიცხვი.

მეფის ხელისუფლებს მოვლენათა შემდგომი განვითარებისა ეშინოდათ. ამიტომ გაფიცულთა წინააღმდეგ მათ დამსჯელ ღონისძიებებს მიმართეს. 16 იანვარს საბუნჩში მეშადი-ამირ ნურ-ოღლის ბინაზე ჟანდარმებმა დააპატიმრეს მუშათა რწმუნებულების არალეგალური კრების მონაწილენი, რომლებიც ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო გამოსვლის საკითხს განიხილავდნენ. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ვ. ივანოვა, ე. როდიონოვი, გ. სტურუა და სხვები. „25 შეპყრობილთაგან, — სწერდა პოლიციის დეპერტამენტის დირექტორს ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, — თერთმეტ პირს სამმართველო იცნობს, როგორც რევოლუციურ მოღვაწეებს"[1].

მეორე დღეს, 17 იანვარს, 25 მუშა-ბოლშევიკის დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად საბუნჩში დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა. 20 იანვრიდან გაფიცვა გადაედო ბაქოს ყველა ნავთობის რაიონს[2].

---

[1] ორცსა, 3დ ფ., 00 1917 წ., საქ. 341, ნაწ. 7, ფურც. 2.

[2] ᲐᲡᲙᲪᲘᲐ, ფ. 23, აღწ. 16, საქ. 302, ფურც. 5—10, 21.

გაფიცული მუშები ორგანიზებულად და ერთსულოვნად ძოითხოვდნენ ყველა თავიანთი ამხანაგის — დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას, მუშათა კომისიებისა და მუშების რწმუნებულთა საბჭოს აღიარებას, 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას, გაფიცვის დღეებში არმიაში წაყვანილი მუშების დემობილიზაციას, ხელფასის გადიდებას სარეწებისა და ქარხნების ყველა მუშისათვის 30-დან 100-მდე პროცენტით[1].

გაფიცვის მსვლელობაში ბოლშევიკებმა ბაქოს ქუჩებსა და მის რაიონებში მოაწყეს გრანდიოზული კრებები და მიტინგები, რომლებშიც ერთიდან ათი ათასამდე მუშა მონაწილეობდა[2].

ბაქოს მუშების იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ძათი გამარჯვებით დამთავრდა. მუშების ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა. ეს ომის წლების მანძილზე ბაქოში ყველაზე მძლავრი გაფიცვა იყო. იგი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩატარდა და ქვეყანაში მომწიფებული საერთო რევოლუციური კრიზისის მკაფიო გამოხატულება იყო.

რევოლუციური მოძრაობას აღმავლობით შეხვდნენ 1917 წელს საქართველოსა და სომხეთის მშრომელნიც. „მდგომარეობა საგანგაშოდ მიმაჩნია", — მოახსენებდა თბილისის პოლიცმეისტერი 1917 წლის 20 იანვარს[3]. იანვარში გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოთა მუშები, საზოგადოება „კახეთის" ძუშები და მოსამსახურეები, თბილისის ტრამვაის, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები და სხვ.

საგაფიცვო მოძრაობა მოედო სამხედრო საწარმოთა მუშებსაც. კავკასიის მეფისნაცვალი ნ. რომანოვი წერდა: „თავდაცვაზე მომუშავე საწარმოებში გაფიცვების გამო ვითვალისწინებ იმის აუცილებლობას, რომ მიღებულ იქნას ზომები გასაწვევი ასაკის გაფიცული მუშების ფრონტზე გასაგზავნად; ვინაიდან მუშებს შორის მუსლიმანებიც არიან, ვშუამდგომლობ, რომ თქვენმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ნება დაგვრთოს ჩავაბათ ისინი ბუერგის მუშათა სამხედრო კომანდებში"[4].

---

[1] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 798, აღწ. I, საქ. 1686, ფურც. 10—17 იქვე: საქ. 38, ფურც. 77.

[2] ვლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 436, აღწ. 16. დაცვ. ერთ. 167, ფურც. 27; ფ. 276, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 118, ფურც. 55—58; აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფ. 798, აღწ. 4, საქ. 38, ფურც. 79—88.

[3] Революция 1917 года в исторических документах, Тбилиси, 1930, стр. 7—8.

[4] ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო ისტორიული არქივი (შემდეგში — ცსსია), ფ. 1300, აღწ. 1, საქ. 243, ფურც. 5—6.

მეფეს თავისი პასუხი არ დაუყოვნებია. გაფიცული მუშები ფრონტზე გაგზავნეს.

1917 წლის 27 თებერვალს პეტროგრადში ხალხის აჯანყებული ძალების შეტევით, რომლებსაც ბოლშევიკები აღაფრთოვანებდნენ, მეფის მთავრობა დაემხო.

რუსეთის მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკების მეთაურობით, დაამხო ცარიზმი და უზრუნველყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, ამრიგად, გზა გაუხსნა მის გადასვლას მეორე ეტაპზე — სოციალისტურ რევოლუციაზე.

რევოლუციის დღეებში აჯანყებულებმა შექმნეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. პეტროგრადის საბჭოს მაგალითისამებრ საბჭოები შეიქმნა ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებშიც. ისინი აწესებდნენ რვა საათის სამუშაო დღეს, ერეკებოდნენ პოლიციას და ქმნიდნენ წითელ გვარდიას, საბსახურიდან ყრიდნენ მეფის მოსამართლეებს და ირჩევდნენ თავიანთ სახალხო მოსამართლეებს, აწესებდნენ მუშათა კონტროლს, ეხარს უჭერდნენ მუშებს მეწარმეებთან კონფლიქტებში. გარნიზონები საბჭოებს ემორჩილებოდნენ. საბჭოები აჯანყების ორგანოები და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ორგანოები იყვნენ.

იმ დღეებში, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით, რომლის შემადგენლობაში მენშევიკები და ესერები ჭარბობდნენ, შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა. მის სათავეში დაუყენეს თავადი ლვოვი. გამოვიდა თავისებური გადახლართვა ორი დიქტატურისა — მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით და ბურჟუაზიის დიქტატურისა — დროებითი მთავრობის სახით. ქვეყანაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა.

თავისებური სურათი იყო ამიერკავკასიაში. მენშევიკებმა გარიგება დადეს მეფისნაცვალ ნ. რომანოვთან და თბილისის ქალაქის თავთან. ისინი თავდაპირველად უმალავდნენ მოსახლეობას ცარიზმის დამხობის ამბავს, შემდეგ კი დაიწყეს ამ მოვლენის აზრის ღამახინჯება. ამიერკავკასიის მენშევიკებს არ სჯეროდათ მეფის მონარქიის დამხობის შესაძლებლობა, მათ ეგონათ, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ მთავრობის შეცვლას მონარქიის შენარჩუნებით. აქედან მთელ თავიანთ მოქმედებას ისინი ათანხმებდნენ კავკასიის მეფისნაცვალთან, რომელიც მოუწოდებდა ხალხს დაეცვა სიმშვიდე და დამორჩილებოდა ხელისუფალთ.

1917 წლის 4 მარტს მეფისნაცვალმა მოიწვია „საზოგადოებრიობის“ წარმომადგენელთა თათბირი თავადაზნაურობის წინამძღოლთა, თბილისის ქალაქის თავის, მენშევიკების ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის და სხვ. მონაწილეობით. თათბირის ძირითადი მიზანი იყო „მხარეში სრული სიმშვიდის შენარჩუნება“, ნ. რომანოვი კმაყოფილი დარჩა მენშევიკების ქცევით და შეაქო ისინი, თქვა, რომ „...თბილისში დაცულია სანიმუშო წესრიგი, ეს, ჩემი აზრით, აიხსნება იმით, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ, კავკასიაში, უდიდესი გავლენა აქვს, წესრიგის მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ეს შემდეგშიც გაგრძელდება“[1].

როგორც მენშევიკები, ისე ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ქუჩის მანიფესტაციებისა და მიტინგების მავნეობა რევოლუციის საქმისათვის. თბილისის ქალაქის თვითმმართველობის 1917 წლის 2 მარტის სხდომაზე გადაწყდა „უარყოფილ იქნას ქუჩის ყოველგვარი გამოსვლები, რა ფერისაც უნდა იყოს ისინი, წითელი თუ სამფეროვანი“[2].

ამრიგად, ამიერკავკასიაში მოქმედებას განაგრძობდა ძველი ხელისუფლება.

3 მარტს თბილისის საბჭოს შექმნის პირველი ცდა იყო. ამ დროისათვის კავკასიის ბიუროს წევრები კიდევ იმყოფებოდნენ საპყრობილეებსა და გადასახლებაში. კრებამ თავის თავმჯდომარედ აირჩია ფ. ე. მახარაძე, კრებაზე გამოცხადდნენ მენშევიკების ლიდერები ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე და სხვ. მათ ობსტრუქცია მოაწყეს, ბოლშევიკებს ბრალი დასდეს სეპარატიზმში და კრება ჩაშალეს.

მენშევიკებმა, თავის მხრივ, შექმნეს საარჩევნო კომისიები, გახსაზღვრეს წარმომადგენლობის ნორმები და დებულება არჩევნების შესახებ. ქალაქი გაყოფილ იქნა ხუთ რაიონად. ნაჩქარევად შექმნილ საარჩევნო კომისიებს მითითება მიეცათ: არჩევნები სასწრაფოდ უნდა მოეწყოს, რომ 4 მარტს საღამოს მოხერხდეს საბჭოს პირველი სხდომის გამართვა“[3].

არჩევნების დებულების თანახმად წვრილ კუსტარულ საწარმოებს უპირატესობა ეძლეოდათ. ისინი ერთიანდებოდნენ და 100

---

1 გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 52, 1917 წ. 5 მარტი.

2 «Известия Тифлисской Городской Думы», 1917 г., №№ 1—3, стр. 112.

3 Протоколы Закавказских Революционных Советских организаций, т. I, Тифлис, 1920, стр. VIII.

კაცზე ერთ დეპუტატს ირჩევდნენ. მსხვილ საწარმოთა მუშები კი ერთ დეპუტატს ირჩევდნენ 200 კაცისაგან.

1917 წლის 4 მარტს სახალხო სახლში გაიმართა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა. მენშევიკი ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით დეპუტატების მანდატები, თუ მათ ქალაქის თვითმმართველობა არ დაამტკიცებდა, ძალადაკარგულად ითვლებოდა.

მენშევიკურმა ზედაფენამ მიაღწია იმის უფლების მიღებას, რომ საბჭოს შემადგენლობაში დეპუტატების კოოპტაცია მოეხდინა თავისი შეხედულებისამებრ. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 7 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა საბჭოში დაეშვათ მთავრობის დაწესებულებების მოსამსახურეთა, ფოსტის მოხელეთა წარმომადგენლები, 9 მარტს დაშვებულ იქნენ ქალთა უმაღლესი კურსების წარმომადგენლები და ა. შ.

წვრილბურჟუაზიული სტიქიის პირობებში, რომელიც ძალებს მოედო, მენშევიკებმა და ესერებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ უმეტესობა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და საქართველოს სხვა საბჭოებში. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროისათვის შესუსტებული იყვნენ რეპრესიებით.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ცალცალკე არსებობდნენ. ბოლშევიკურად განწყობილი საყარაულო ბატალიონი, რომელსაც ს. ი. ქავთარაძე და სხვა ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, შეუდგა ჟანდარმების განიარაღებასა და დაპატიმრებას. 6 მარტს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, იმისათვის, რომ ჯარისკაცები თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა, გამოიტანა გადაწყვეტილება: „არმიას კომიტეტში უნდა ჰყავდეს 5 წარმომადგენელი, მათგან 3 ჯ. დ. ს-საგან (ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან — რედ.) და 2 კაცი — ოფიცრობისაგან“ [1].

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭომ გადაწყვიტა შეექმნა ადგილობრივი ხელისუფლება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს წევრთა და ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა თანაბარი რიცხვისაგან. იქვე შევიდნენ სხვადასხვა პარტიების, ოფიცრობის და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები.

ამრიგად, თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი

---

[1] Протоколы Закавказских Революционных Советских организаций, т. I, Тифлис, 1920, стр. VIII.

კოალიციური ორგანო იყო. ამიერკავკასიის მენშევიკებმა „გაუსწრეს“ თავიანთ პეტერბურგელ მოძმეებს, მათზე წინ შევიდნენ ბურჟუაზიასთან აშკარა კოალიციაში.

საბჭოს შემადგენლობა არ ასახავდა და არ გამოხატავდა თბილისის მუშათა კლასის ნებასა და მისწრაფებებს. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 46 წევრიდან — მუშა დეპუტატი იყო მხოლოდ 5—6 კაცი, დანარჩენები იყვნენ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები — მენშევიკები და ესერები. მასში შედიოდნენ ნ. ჟორდანია, ა. ლომთათიძე, ა. ზურაბოვი, ვ. ჯუღელი, ს. ჯიბლაძე, ნ. ხომერიკი და ქართველი მენშევიკების სხვა ლიდერები.

მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭო, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ცდილობდა შეენარჩუნებინა კლასობრივი ზავი ბურჟუაზიასთან. საწარმოებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხიც კი არ დაუყენებია, მუშათა კონტროლის განხორციელების წინააღმდეგი იყო, მეპატრონეებთან კონფლიქტებში მხარს არ უჭერდა მუშებს და ა. შ. მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია იმ აზრისა იყო, რომ „მუშათა და გლეხთა საკითხები უნდა წყდებოდეს დამფუძნებელ კრებამდე შემარიგებელ კამერებში. რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დღეს და მიწების კონფისკაციას — ეს საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაწყვიტოს“[1].

თბილისში ხელისუფლების საკითხი რომ მოაწესრიგა, დამხობილი მეფის მთავრობის ნაცვალი კავკასიაში ნ. რომანოვი 7 მარტს მენშევიკებისა და დაშნაკების დახმარებით თბილისიდან გაემგზავრა სპეციალური მატარებლით. იგი დიდი პატივით გააცილეს. მან თან წაიღო მრავალი დოკუმენტი, ძვირფასეულობა და ბევრი სხვა ქონება.

მეფის მონარქიის დამხობის შესახებ ცნობა ბაქოში მიღებულ იქნა 2 მარტს. ბაქოს პროლეტარიატი ზეიმით შეხვდა რევოლუციის გამარჯვებას. ქალაქში და მის რაიონებში ეწყობოდა გრანდიოზული მიტინგები და დემონსტრაციები. დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა აგრეთვე ელიზავეტპოლში, შუშაში, ქედაბეკში, ნუხაში, შემახაში, ყაზახში, ლენქორანში, ნახჩევანსა და სხვა ადგილებში. ბოლშევიკების ინიციატივით საბჭოს არჩევნები 4 მარტს დაიწყო. 7 მარტს შეიქმნა ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭო. ბაქოს საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაუსწრებლად არჩეულ იქნა ს. გ. შაუმიანი. იმავე დღეს ბაქოში შეიქმნა ჯარისკაცთა და

[1] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ორი წლის მანძილზე. თბილისი, 1919 წ. გვ. 6.

ოფიცერთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც მარტის ბოლოს სამხედრო დეპუტატების ერთიან საბჭოდ გაერთიანდნენ[1].

8 მარტს გადასახლებიდან ბაქოში დაბრუნდა ს. გ. შაუმიანი. ცოტა უფრო გვიან — ს. მ. ეფენდიევი, მ. ისრაფილბეკოვი (კადირლი), პ. ა. ჯაფარიძე და სხვა თვალსაჩინო ბოლშევიკები.

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მიუხედავად, ბაქოს საბჭოში მენშევიკები და ესერები სჭარბობდნენ. ბაქოს საბჭო პეტროგრადის საბჭოს ობორონცულ პოზიციას ემხრობოდა. დროებითი მთავრობის მიმართ მან პირობითი მხარდაჭერის პოზიცია დაიკავა. მაგრამ, მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებსაც ხმების უმრავლესობა ჰქონდათ, ბაქოს საბჭომ ძიღლო დადგენილება 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, საფაბრიკო-საქარხნო და სარეწაო კომისიების უფლებათა აღიარების შესახებ, ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაყენების შესახებ, მუშათა საერთო მოთხოვნების შემუშავების შესახებ და სხვ. მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად 5 მარტს ბაქოში, ხოლო ცოტა უფრო გვიან აზერბაიჯანის სხვა ქალაქებსა და სამაზრო ცენტრებშიც შეიქმნა „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტები“ — ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების ორგანოები. მუშათა დეპუტატების ბაქოს საბჭო ესერი და მენშევიკი დეპუტატების ზეგავლენით იძულებული გახდა ეცნო „აღმასრულებელი კომიტეტის“ არსებობა. ბევრ მაზრაში მთელი ხელისუფლება ფაქტიურად თავმოყრილი იყო „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტების“ ხელში.

8 მარტს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო შეიქმნა ალექსანდროპოლში. რამდენიმე დღის შემდეგ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო. შემდეგში ისინი გაერთიანდნენ. საბჭოსთან შეიქმნა გლეხთა სექცია. საბჭომ განაიარაღა პოლიცია და სახალხო მილიცია შექმნა.

მუშათა და ჯარისკაცთა მრავალათასიანმა მიტინგმა გამოიტანა გადაწყვეტილება ასეთივე საბჭოების შექმნის შესახებ ყარსში. შემდეგში ისინი გარდაიქმნა გაერთიანებულ საბჭოდ. ხელმძღვანელი როლი საბჭოში ეკუთვნოდათ ბოლშევიკებს, რომლებიც იშვიათი სიმტკიცით მოქმედებდნენ. საბჭოს ბრძანებები დაუყოვნებლივ შოჰყავდათ სისრულეში რევოლუციურ ჯარისკაცებს. გარნიზონმა ცნო საბჭოს ძალაუფლება. დაპატიმრებულ იქნენ ციხე-სიმაგრის

---

[1] Газ. «Известия Бакинского Исполнительного комитета» № 2, 7 марта и № 3. 8 марта 1917 г.

ძეთაური გენერალი ლინდენბაუმი, მისი შტაბის უფროსი, ქალაქის კომენდანტი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და სხვ.

მარტის პირველ რიცხვებში საბჭოები შეიქმნა ოზურგეთში, ბორჯომში, ჭიათურაში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ეჩმიაძინში, კაფანში და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში.

9 მარტს დროებითმა მთავრობამ დანიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომ), რომელიც დროებითი მთავრობის სამხარეო ორგანოს წარმოადგენდა. ოზაკომ-ში შედიოდნენ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები: სახელმწიფო სათათბიროს წევრები — კადეტები ბ. ხარლამოვი (თავმჯდომარე), მ. პაპაჯანოვი (პაპაჯანიანი), ბუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე. კ. აბაშიძის ავადმყოფობის გამო იგი შეცვალა მენშევიკმა ა. ჩხენკელმა. როგორც ოზაკომ-ის შემადგენლობიდან ჩანს, იგი კოალიციური იყო. ოზაკომ-ის წევრები თბილისში ჩამოვიდნენ, და 18 მარტს კომიტეტი მუშაობას შეუდგა. ოზაკომ-ის თავმჯდომარის ბ. ხარლამოვის მიმართვაში მხარის მოსახლეობისადმი ნათქვამი იყო, რომ ყველა დაწესებულება და სასამართლო, სანამ არ მოხდება მათი რეფორმა ან გაუქმებული არ იქნებიან კანონიერი ხელისუფლების მიერ, ვალდებული არიან შეუჩერებლად მოქმედებდნენ, გადასახადებისა და ბაჟების შეტანა წინანდებურად უნდა ხდებოდეს, სანამ ისინი ახლებით არ შეიცვლება; დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლას, საველე სამუშაოებს და ენერგიულ მუშაობას დაწესებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია თავდაცვასთან, მოსახლეობა განუხრელად უნდა ეწეოდეს.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელიც მენშევიკების, ესერების, დაშნაკებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების სრული მხარდაჭერით სარგებლობდა, 1917 წლის 18 მარტს შემდგარ საბჭოების პირველ ყრილობაზე პაპაჯანოვის პირით გახაცხადა, რომ მის რწმუნებებს ფართო მასშტაბი აქვს,რომ მას რჩება „ვეტოს“ უფლება და ამ უფლებას არავის არ დაუთმობს. საბჭოების ყრილობამ ოზაკომ-ს სრული ნდობა გამოუცხადა და აღუთქვა, რომ მასთან სრული კონტაქტით იმუშავებდა.

ამიერკავკასიის სხვა რაიონებში საბჭოები ან სულ არ შეუქმნიათ, ან მოქმედება დაიწყეს გაცილებით უფრო გვიან. მაგალითად, ძუშათა დეპუტატების ერევნის საბჭო შეიქმნა 1917 წლის აპრილის ბოლოს ნახევარში. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ზოგიერთ მაზრაში მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკის ხელში იყო. ალექსანდროპოლში, კაფანში, ხაშურში, სო-

ხუმში და სხვა ადგილებში საბჭოები არ გამხდარან მორჩილ იარაღად ბურჟუაზიის ხელში, ისინი ახორციელებდნენ რევოლუციურ ღონისძიებებს, ბურჟუაზიული ხელისუფლების საპირისპიროდ. საბჭოების მოქმედებაში ასეთ განსხვავებას განსაზღვრავდა ადგილობრივი პირობები, ის, რომ იყო იქ ბოლშევიკების გავლენა თუ არა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომლებსაც ძირითადად სწორად ესმოდათ საბჭოების როლი და მნიშვნელობა, იბრძოდნენ იმისათვის, რომ გადაექციათ ისინი მუშათა და გლეხთა ძალაუფლების იარაღად. წარმართავდნენ მათს საქმიანობას მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

ამრიგად, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად ამიერკავკასიის, ისევე როგორც მთელი რუსეთის, მუშათა კლასი გამოვიდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის უშუალო ბრძოლის ასპარეზზე. „მუშებო, — წერდა იმ დღეებში ვ. ი. ლენინი თავის განთქმულ „წერილებში შორიდან", — **თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე"**[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 406—407.

თავი მეშვიდე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოამზადებისა და მაპარკუკების პერიოდში

(1917 წლის მარტი—ოქტომბერი)

1. ამიერკავკასიის ბოლშევიკების გამოსვლა იატაკქვეშეთიდან და მათი საქმიანობა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

მეფის თვითმპყრობელობის დამხობამ ბოლშევიკების პარტიას შესაძლებლობა მისცა გამოსულიყო იატაკქვეშეთიდან და ღია პოლიტიკურ საქმიანობაზე გადასულიყო. აფართოებდნენ და განმტკიცებდნენ რა თავიანთ კავშირს მასებთან, ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს საბჭოებში, პროფესიულ კავშირებში და ყველა სხვა მასობრივ ორგანიზაციებში, ცდილობდნენ ჩაებათ ისინი პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებისათვის.

ლაპარაკობდა რა ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზეზებზე, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე"[1].

ბოლშევიკების წინაშე მწვავედ დადგა ამოცანა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან გაეთავისუფლებინათ მშრომელთა ფართო ფენები და ემხილებინათ შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკა მასებისაგან მათი იზოლაციის მიზნით. შექმნილი ვითარება ბოლშევიკების პარტიისაგან მოითხოვდა შეემუშავებინა რევოლუციის პირველი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპიდან მეორე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 24. გვ. 52.

ზე — სოციალისტურ ეტაპზე გადასვლისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები უდიდეს ძალ-ღონეს ახმარდებენ თავიანთი რიგების აღდგენასა და განმტკიცებას. 11 მარტიდან თბილისში გამოსვლა იწყო ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ".

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო პარტიული ორგანიზაციების დარაზმვაში დიდი როლი შეასრულეს გადასახლებიდან და ემიგრაციიდან დაბრუნებულმა, ციხეებიდან და იატაკქვეშეთიდან გამოსულმა ამიერკავკასიის პროლეტარიატის აღიარებულმა ხელმძღვანელებმა მ. ა. აზიზბეკოვმა, ს. მ. ეფენდიევმა, ს. ი. კასიანმა, ფ. ე. მახარაძემ, ა. მ. ნაზარეტიანმა, ვ. ი. ნანეიშვილმა, ნ. ნ. ნარიმანოვმა, ს. მ. ტერ-გაბრიელიანმა, ი. ტ. ფიოლეტოვმა, ს. ი. ქავთარაძემ, ს. გ. შაუმიანმა, მ. გ. ცხაკაიამ, პ. ა. ჯაფარიძემ და სხვებმა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც ქვეყნის ბევრ სხვა რაიონში, შეიქმნა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს გაერთიანება ბევრ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ბოლშევიკები და მენშევიკები ერთ ორგანიზაციაში იყვნენ, მაგრამ რევოლუციის ძირეულ საკითხებში საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავდნენ, ურთიერთშორის შეურიგებელ იდეურ ბრძოლას ეწეოდნენ. თვითეული ფრაქცია არსებითად დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებდა, თავისი საკუთარი ტაქტიკა ჰქონდა. მენშევიკებთან ამ დროებითმა გაერთიანებამ მაინც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ბოკავდა მათს მუშაობას დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის ძმრომელთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში.

მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების გავლენა და ავტორიტეტი სისტემატურად იზრდებოდა. 1917 წლის 10 მარტს ბაქოში საერთო საქალაქო პარტიულ კრებაზე არჩეულ იქნა რსდმპ ბაქოს გაერთიანებული დროებითი კომიტეტი. შემდეგ პარტიული კრებები ჩატარდა ბალახანაში, შავი ქალაქის, რამანინის, ბაილოვ-ბიბი-ეიბათის და სხვა რაიონებში. გაჩნდნენ ახალი ორგანიზაციები. იქმნებოდა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის რაიონული კომიტეტები, რომლებიც დიდ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ.

მარტში გაიმართა „ჰუმეთის" წევრთა საგანგებო კონფერენცია. დროებითი კომიტეტის შემადგენლობაში კონფერენციამ აირჩია მ. ა. აზიზბეკოვი, დ. ხ. ბუნიათზადე, მ. ნ. ისრაფილბეკოვი (ადირლი), ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. გ. სულთანოვი.

რსდმპ ორგანიზაციების აღდგენა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც წარმოებდა. ელიზავეტპოლის ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებულ კრებაზე 6 მარტს არჩეულმა დროებითმა საორგანიზაციო კომიტეტმა 9 აპრილს მოიწვია საერთო საქალაქო პარტიული კრება, რომელმაც ჩამოაყალიბა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და აირჩია რსდმპ ელიზავეტპოლის კომიტეტი.

1917 წლის მარტში სამხრეთ აზერბაიჯანის მკვიდრ მუშებს შორის რევოლუციური მუშაობის საწარმოებლად შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „ადალეთი" („სამართლიანობა"). მისი მუშაობის ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ბოლშევიკები ბ. ალიევი და ა. კაფარზადე.

აპრილში განახლდა გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" გამოცემა. სომხურ ენაზე დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატი".

26 მარტს ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრებაზე არჩეულ იქნა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტი. ბოლშევიკები კომიტეტში უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ ყველა ძირითად საკითხში თავიანთ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ხაზს იცავდნენ. ის ანი გამოვიდნენ დეკლარაციით, რომელშიც წამოაყენეს ჰოთხოვნა — თავიანთი წარმომადგენლობა ჰყოლოდათ ყველა დაწესებულებაში, ყველა თათბირზე, რომელიც კი გაიმართებოდა. ამათ ავრეთვე უარყვეს წინადადება მთელი პრესა დაქვემდებარებოდა თბილისის გაერთიანებულ კომიტეტს და მიაღწიეს იმას, რომ დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს თავიანთ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის". ბოლშევიკებს ჰყავდათ აგრეთვე საგიტაციო და პროპაგანდისტული კოლეგიები. ბოლშევიკურმა ფრაქციამ შეინარჩუნა უფლება მოეწვია კრებები და თათბირებსა და კონფერენციებზე გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები.

სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციაზე კავკასიისაგან წარგზავნილი დელეგატი ფ. ე. მახარაძე თავის გამოსვლაში შეეხო ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებას თბილისში და აღნიშნა, რომ „ბოლშევიკები ორგანიზაციაში შევიდნენ დროებით და შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებელი კრებები, თავიანთი აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კოლეგიები. ბოლშევიკურმა გაზეთმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავა მენშევიკების მიმართ, ისე რომ გაერთიანება მხოლოდ ფორმალური იყო. ამას მენშევიკებიც აღიარებენ"[1].

---

[1] Седьмая (Апрельская) Всероссийская конференция РСДРП (большевиков). Протоколы. М., 1958, стр. 161.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ აღდგენილი პარტიული ორგანიზაციებიდან ერთ-ერთი ძლიერი იყო ალექსანდროპოლის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ალექსანდროპოლი წარმოადგენდა მნიშვნელოვან რკინიგზის კვანძს, სადაც საკმაოდ დიდი იყო ძუშათა რიცხვი. თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის მეოხებით ალექსანდროპოლი მსოფლიო ომის წლებში გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო ბაზად კავკასიის ფრონტზე. ალექსანდროპოლის გაერთიანებულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ბოლშევიკებს პ. ი. არველაძეს, გ. ა. ათარბეკოვს, ნ. მ. ლეჟავას, ბ. ბ. ღარიბჯანიანს, ი. შაპოვალენკოს.

სარიყამიშის გაერთიანებულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელიც 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბდა, აირჩია დროებითი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ბოლშევიკები ს. ალავერდიანი, ა. არაქელიანი, პ. კუხმალაიკინი და სხვები.

გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ჩამოყალიბდა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, გორსა და სხვა ქალაქებში.

ლორის, ალავერდისა და ახპატის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ბოლშევიკურ ფრაქციებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბაქოს, ალექსანდროპოლის, ყაზახის, შულავერის ბოლშევიკებთან. მუდმივ დახმარებას ისინი იღებდნენ თბილისის ბოლშევიკებისაგან.

მშრომელთა შორის თავიანთ პოლიტიკურ მუშაობაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები გაზეთ „პრავდას“ იყენებდნენ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ პირველ დღეებში „პრავდა“ ბაქოში, თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში დავეიანებით და მცირე რაოდენობით მიდიოდა. „პრავდაზე“ სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ბოლშევიკებმა ბაქოში გამოუშვეს „პრავდის“ სპეციალური ნაკრები ნომერი, რომელშიც მოათავსეს მთელი რიგი ყველაზე მნიშვნელოვანი სტატიები გაზეთის სხვადასხვა ნომრებიდან. ნაკრები ნომერი დაიბეჭდა ექვს გვერდზე 6 ათასი ცალის რაოდენობით. ტირაჟის ნაწილი გაიგზავნა თბილისში, ხოლო დანარჩენი გავრცელდა ბაქოში[1]. ამ გამოცემამ ბოლშევიკებს სერიოზული დახმარება გაუწია მუშათა მასებში კარტიის იდეებისა და ლოზუნგების პროპაგანდაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების საქმიანობა რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა და წვრილ-

---

[1] «Правда» и Азербайджан. Сборник статей, Баку, стр. 184.

ბურჟუაზიულმა პარტიებმა, რომლებიც სარგებლობდნენ ცარიზმის მხრივ რეპრესიების შედეგად ბოლშევიკური ორგანიზაციების დასუსტებით, ომის წლებში მხარის მუშათა კლასის შემადგენლობაში ბომხდარი ცვლილებებით, შეძლეს გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა საბჭოებში და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებში, მათი საშუალებით ახორციელებდნენ თავიანთ ანტიორგანიზატორულ-შემთანხმებლურ პოლიტიკას, ნაციონალიზმის შხამით წამლავდნენ მშრომელების, განსაკუთრებით გლეხების, შეგნებას. ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული პარტიები მშრომელებს მოუწოდებდნენ „საერთოეროვნული ინტერესების“ გულისათვის უარი ეთქვათ კლასობრივ ბრძოლაზე როგორც „თავიანთი“, ისე „სხვისი“ შემაჭულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მხარი დაეჭირათ და დახმარება გაეწიათ დროებითი მთავრობისათვის „თავდაცვითი“ ომის წარმატებით წარმოებაში.

ბოლშევიკური პარტიის გარშემო მშრომელთა დარაზმვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ახალი ტაქტიკის გამომუშავებას, რამაც გამოხატულება ჰპოვა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებში და რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებში.

1917 წლის 3 აპრილს, ათი წლის ემიგრაციის შემდეგ, ვ. ი. ლენინი პეტროგრადში დაბრუნდა. მის ჩამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პარტიული ორგანიზაციების სწორი იდეური და პოლიტიკური ორიენტაციის საქმეში, ისე პარტიული რიგების ზრდისა და განმტკიცების, მათი საქმიანობის გამოცოცხლების საქმეში. ჩამოსვლის მეორე დღესვე ვ. ი. ლენინი — ჯერ ბოლშევიკების კრებაზე, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების და მენშევიკების — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირის დელეგატების გაერთიანებულ კრებაზე — გამოვიდა მოხსენებით „პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში“. ამ მოხსენებაში წამოყენებული დებულებები ისტორიაში შევიდა „აპრილის თეზისების“ სახელწოდებით. მათში ვ. ი. ლენინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა და თეორიულად დაასაბუთა პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის — საარსებო პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გარდამავალ პერიოდში, აგრეთვე დასახა მათი განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი.

თეზისებში ხაზგასმული იყო რევოლუციის განვითარების ახალი ეტაპის მნიშვნელობა. ყოველი რევოლუციის ძირითადი საკით-

ხია ძალაუფლების საკითხი. ქვეყანაში არსებულმა ორხელისუფლებიანობამ გარდუვალად უნდა დაუთმოს ადგილი დიქტატურას — ან ბურჟუაზიის, ან პროლეტარიატის დიქტატურას. ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა ქვეყანაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შექმნილ ვითარებაში იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესაძლებლობა. მან პარტიას მოუწოდა საათავეში ჩასდგომოდა მასებს მათს ბრძოლაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება, — წერდა ვ. ი. ლენინი თეზისებში, — მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, **მეორე ეტაპზე გადასვლაში**, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს"[1].

განაზოგადებდა რა რუსეთსა და დასავლეთში რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებას, ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში აღმოაჩინა საბჭოების რესპუბლიკა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმა. ამ გენიალური აღმოჩენით ვ. ი. ლენინმა გაამდიდრა მარქსისტული თეორია.

1917 წლის 24-დან 29 აპრილამდე პეტროგრადში მიმდინარეობდა რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენცია. ეს იყო ბოლშევიკების პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელმაც ჩვენი პარტიის ისტორიაში ყრილობის როლი შეასრულა.

კონფერენციამ მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენებები მიმდინარე მომენტის შესახებ, ომის შესახებ, აგრარულ საკითხზე, პარტიის პროგრამის გადასინჯვის შესახებ. ამ მოხსენებებს საფუძვლად დაედო აპრილის თეზისები. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები საბჭოებისა და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, კოალიციური სამინისტროს შესახებ, ეროვნულ საკითხზე. წვრილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტთა გაერთიანების შესახებ, აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის შესვლამ იმპერიალიზმის სტადიაში დღის წესრიგში დააყენა საკითხი სახელმწიფო ძალაუფლების პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ხელში გა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 24, გვ. 4.

დასვლის შესახებ და რომ რუსეთის პროლეტარიატი მოწოდებულია წამყვანი როლი შეასრულოს ამ ისტორიულ საქმეში. კონფერენციაზე სავსებით მოწონებულ იქნა ლენინის დებულება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

აგრარულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებისათვის და პროლეტარიატის ბრძოლასთან მისი შეერთებისათვის საჭიროა ბოლო ძოღლოს მემამულეთა მიწათმფლობელობას და განხორციელდეს ყველა მიწების ნაციონალიზაცია, მიწის გამგებლობის უფლება გადაეცეს სოფლის მეურნეობის მუშებისა და უღარიბესი გლეხობის დეპუტატთა საბჭოებს.

კონფერენციამ მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება ეროვნული საკითხის შესახებ. ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციაში დასაბუთებული იყო პარტიის საპროგრამო მოთხოვნა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

აპრილის თეზისები და რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII კონფერენციის გადაწყვეტილებანი გადაიქცნენ მოქმედების პროგრამად მთელი პარტიისათვის. 28 აპრილს თბილისის ბოლშევიკების საერთო კრებამ მისალმება გაუგზავნა აპრილის კონფერენციას. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ნათქვამი იყო მისალმებაში, — რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი საიმედო სახელმძღვანელო იქნება თავისი იდეალების განხორციელებისათვის რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სახელოვანი ბელადი, ამხანაგი ლენინი, რომელიც მიჩვეულია მეფის მთავრობის მხრივ დევნა-შევიწროებას, მისთვის ჩვეული სიმტკიცით მოიგერიებს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და ყველა მისი ლაქიების ყველა თავდასხმას“ [1].

ახორციელებდნენ რა აპრილის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკები შეუდგნენ დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნას. აპრილის კონფერენციის მონაწილენი ფ. ე. მახარაძე და მ. გ. ცხაკაია გამოვიდნენ ბოლშევიკების საერთო-საქალაქო კრებებზე ბაქოში (მაისის დამდეგს) და თბილისში (14 მაისს) მოხსენებებით კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ. ისინი მოუწოდებდნენ ბოლშევიკებს რაც შეიძლება სწრაფად გამიჯვნოდნენ მენშევიკებს.

---

1 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), Тбилиси, 1958, стр. 19.

გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ აქვეყნებდნენ რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებს. გარდა ამისა, თბილისში გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ გამომცემლობამ 1917 წლის ივლისში ცალკე ბროშურად გამოუშვა კონფერენციის ყველა რეზოლუცია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი შესავალით, რომელიც მანამდე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „სოლდატსკაია პრავდას“ დამატებაში. ბროშურა გავრცელებულ იქნა ამიერკავკასიის ძმოომელთა და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის.

„ომმა , — წერდა ვ. ი. ლენინი, — მთელი კაცობრიობა დალუპვის პირამდე მიიყვანა. კაპიტალისტები ჩაებნენ ომში და აღარ ძალუძთ თავი დააღწიონ მას. მთელი მსოფლიო კატასტროფის წინაშე დგას.

ამხანაგო მუშებო! ახლოვდება ის დრო, როცა ძოვლენები მოგთხოვთ თქვენ ახალ და კიდევ უფრო მეტ გმირობას, — ამასთან მილიონთა და ათეულ მილიონთა გმირობას, — ვიდრე თებერვლისა და მარტის რევოლუციის სახელოვან დღეებში. ემზადეთ“ [1].

რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის საარაიონთაშორისო კონფერენციამ, რომელიც 1917 წლის 15 მაისს გაიმართა, განიხილა პარტიის აპრილის კონფერენციის შედეგები. კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობამ აზრი გამოთქვა პეტროგრადში შექმნილი კოალიციური მთავრობის წინააღმდეგ. სანამ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, განაცხადეს ბაქოს ბოლშევიკებმა, იგი არასოდეს არ იტყვია უარს იმპერიალისტურ ომზე, და მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას პროლეტარიატისა და სხვა დემოკრატიული ძალების ხელში „შეიძლება მოჰყვეს ომის დამთავრება და ხალხებს შორის მშვიდობისა და ძმობის აღდგენა“ [2]. ამ კონფერენციაზე გაჩაღებულ პოლიტიკურ ბრძოლაში მენშევიკები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ კონფერენცია. ბოლშევიკებმა აქ სრული გამარჯვება მოიპოვეს, დროებითი ბოლშევიკური კომიტეტი აირჩიეს.

25 ივნისს გაიხსნა ბოლშევიკების ბაქოს საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორგანიზაციულად საბოლოოდ გამიჯვნოდნენ მენშევიკებს. კონფერენციის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიც არის: დამოკიდებულება ომისა და მშვიდობისადმი, თავისუფლების სესხისადმი, კოა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 24. გვ. 374.

[2] «Правда» № 77, 22 июня 1917 г.,

ლიციური მთავრობისადმი, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისადმი, აგრეთვე ეროვნულ და აგრარულ საკითხებში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის უთანხმობა იმდენად ღრმა და შეურიგებელია, რომ ერთ ორგანიზაციაში ერთობლივი მუშაობა შეუძლებელი ხდება. რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში, რომელიც კონფერენციამ აირჩია, შევიდნენ: ი. ი. ანაშკინი. მ. ე. ბაბინი. ს. მ. ეფენდიევი. მ. მ. ვარნაჩევი, ი. პ. ვაცეკი. მ. ნ. ისრაფილბეკოვი (კადირლი), ვ. ი. ნანეიშვილი. ნ. ნ. ნარიმანოვი, ს. გ. შაუმიანი. პ. ა. ჯაფარიძე და სხვ. ბაქოს ბოლშევიკებმა შეძლეს თავიანთ ხელში დაეტოვებინათ ბაქოს კომიტეტის აპარატი და გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“.

ბოლშევიკებმა მოაწესრიგეს პარტიული მუშაობა ბაქოს საქალაქო და სარეწაო რაიონებში. 1917 წლის ივნის — ივლისში შედგა საქალაქო. ზაბრატის, ბიბი-ეიბათის, ვაგზალ-გალმა, ბინაგადის რაიონული კომიტეტების არჩევნები, აგრეთვე კომიტეტისა სადგურ აჯიკაბულში. სარეწაო-საქარხნო რაიონების მუშებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტმა ჩაშალა ეს ქვერაიონული უჯრედები.

მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა აზერბაიჯანელ მშრომელთა შორის „ჰუმეთის“ ორგანიზაციამ და სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ „ადალეთმა“.

თავიანთ საერთო-საქალაქო კრებაზე 1917 წლის 4 ივნისს თბილისია ბოლშევიკებმა განიხილეს აპრილის კონფერენციის რეზოლუციები და ერთხმად მიიღეს ისინი სასელმძღვანელოდ. დამთავრდა მენშევიკებთან სრული გათიშვა. კრებაზე არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) თბილისის დროებითი კომიტეტი და გამოიყო საორგანიზაციო კომისია ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენციის მოსაწვევად. რსდმპ (ბ) თბილისის დროებითი კომიტეტის მოწოდებაში, რომელიც 1917 წლის 6 ივნისს გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო: „მომენტის სერიოზულობა და მის მიერ დაყენებულ ამოცანათა სწორი გადაჭრის უდიდესი სიძნელე დაბეჯითებით მოითხოვს პროლეტარიატისა და მისი პარტიის ორგანიზაციულ დარაზმვას სოციალიზმის დროშის გარშემო. სოციალიზმისა, რომელიც აშუქებს წვრილბურჟუაზიულ მერყეობათაგან თავისუფალი წმინდა პროლეტარული პოლიტიკის დაცვის ელვას და ანიშნებს გზას...

ამის გამო კრებამ დაადგინა კავშირი გავწყვიტოთ რევოლუციურ ობორონცობის თვალსაზრისზე მდგომ მენშევიკურ ორგანიზაციასთან. გამოვიწვიოთ იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე-ბოლშევიკები და შევქმნათ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსა-

ზრისზე მდგომი ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“ [1].

7-დან 17 ივნისამდე ქ. თბილისის ოთხსავე რაიონში გაიმართა ბოლშევიკების კრებები, რომლებზეც ჩამოყალიბებულ იქნა რაიონული პარტიული ორგანიზაციები. 1917 წლის 5 ივლისს ბოლშევიკების საერთო-საქალაქო კონფერენციამ აირჩია რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ვ. ა. ვაშაკიძე, ფ. ე. მახარაძე, ა. მ. ნაზარეტიანი, მ. გ. ტოროშელიძე, ს. ი. ქავთარაძე. მ. გ. ცხაკაია და სხვ

დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე ბათუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ჩოხატაურში, ახალსენაკში, თელავში, სიღნაღში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ფოთში თებერვლის რევოლუციის პირველივე დღეებიდან არსებობდა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც შ. კ. ლეჟავა ხელმძღვანელობდა. 1917 წლის მაისში ჩამოყალიბდა რსდმპ(ბ) სოხუმის საოკრუგო კომიტეტი. რომელიც აბორციელებდა აფხაზეთის ყველა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ გ. ა. ათარბეკოვი, ე. ა. ეშბა, ნ. ა. ლაკობა. კ. ლ. ველაძე და სხვები.

1917 წლის 16 ივლისს ბოლშევიკების ალექსანდროპოლის საერთო-საქალაქო კრებამ განიხილა მიმდინარე მომენტისა და პარტიის ტაქტიკის საკითხი და ერთხმად დაადგინა შექმნილიყო დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია. არჩეულ იქნა რსდმპ (ბ) ალექსანდროპოლის ორგანიზაციის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ფ. ამაშუკელი, პ. არველაძე, ი. კოროსტელენკო, ნ. ლეჟავა, ლ. მაკაროვი, ლ. ოვანესიანი, ვ. თარახჩიანი, ბ. ღარიბჯანიანი, ი. შაპოვალენკო.

დროებითი მთავრობა განაგრძობდა ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას იმ მიზნით, რომ გაეთიშა სხვადასხვა ეროვნების პროლეტარები. დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის ორგანოებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შოვინისტური აგიტაცია. თავის მხრივ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობა ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ამ პარტიებს განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდათ სოფლად. მათ მხარს უჭერდა აგრეთვე ომის წლებში დეკლასირებული ნაწი-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), стр. 35—36.

ლი მუშათა კლასისა. ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით გამოდიოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შიმართულების გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები. ბოლშევიკურ ლიტერატურას, რომლის გამოცემის მოგვარება ის იყო იწყებოდა, მათთან ძნელი ორთაბრძოლის წარმოება უხდებოდა. პირველ თვეებში თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკური ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზე სულ არ გამოდიოდა. ყოველივე ეს აძნელებდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას რევოლუციური მასების ძალთა მობილიზაციის დარგში.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ძალები — დაშნაკები, მუსავატელები; აზერბაიჯანელი ფედერალისტები (რომლებიც შემდეგ მუსავატელებთან გაერთიანდნენ), ქართველი მენშევიკები და სხვ. ცდილობდნენ თავიანთი ანგარებითი მიზნებისათვის გამოეყენებინათ აღმავლობის გზაზე დამდგარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამავე დროს ისინი არ ერიდებოდნენ პირდაპირ შეთანხმებას რუსეთის კონტრრევოლუციასთან.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების პოლიტიკამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი კავკასიის მუსლიმანთა ყრილობაზე, რომელიც ბაქოში 1917 წლის აპრილში გაიმართა. ყრილობის მონაწილეთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ბურჟუაზიის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის, მემამულეებისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. ყრილობა მიესალმა ბურჟუაზიულ დროებით ჰთავრობას, მოუწოდა კავკასიის მუსლიმან მოსახლეობას ყოველი ღონისძიებით დაეჭირა მხარი ამ მთავრობისათვის.

ყრილობის მუშობაში მონაწილეობას იღებდნენ ბოლშევიკები მ. ა. აზიზბეკოვი, ნ ნ. ნარიმანოვი, გ. გ. სულთანოვი, რომლებმაც მისი ტრიბუნა გამოიყენეს ბურჟუაზიული ნაციონალისტების ანტიხალხური პოლიტიკის მხილებისათვის. თავიანთ გამოსვლებში ისინი მხურვალედ მოუწოდებდნენ მშრომელ მუსლიმანებს ზურვი ექციათ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის და მხარდამაარ გაჰყოლოდნენ რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს[1].

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლის მსვლელობაში ამიერკავკასიის ბოლშევიკები, მრავალი სიძნელის დაძლევით, შეუპოვარ და დაძაბულ ბრძოლას ეწეოდნენ, რომ მასებისათვის ჩამოეშორებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიები და ორგანიზაციები, რევოლუციის მხარეზე გადაეყვანათ

---

[1] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 217.

ძმრომელი გლეხობა, შეექმნათ მისი პოლიტიკური არმია, დამყარებული მუშათა კლასის კავშირზე უღარიბეს გლეხობასთან.

პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებაში, მშრომელ მასებს შორის ლენინის იდეების პროპაგანდაში და სოციალისტური რევოლუციისათვის მათი ბრძოლის ორგანიზაციაში მეტად დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ და პირველ რიგში გაზეთმა „პრავდამ“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბეჭდვითს პროპაგანდაში; ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა როგორც რუსულ ენაზე, ისე ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე.

ბოლშევიკური იდეების პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა „კავკაზსკი რაბოჩიმ“ და „ბაკინსკი რაბოჩიმ“, რომლებიც სწორ ლენინურ ხაზს ადგენენ და ულმობლად ამხილებდნენ მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს, ავრეთვე რევოლუციის სხვა მტრებს. ისინი ბეჭდავდნენ ვ. ი. ლენინის ბევრ ნაშრომს და უმნიშვნელოვანეს სადირექტივო პარტიულ დოკუმენტებს, ფართოდ აშუქებდნენ მხარის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას, პროფკავშირების საქმიანობას, კავკასიის არმიის ჯარისკაცთა რევოლუციურ გამოსვლებს. ამხილებდა რა ბურჟუაზიული პარტიების ნაციონალისტურ პოლიტიკას, ბოლშევიკური პრესა რაზმავდა ამიერკავკასიის მშრომელებს, სისტემატურად განმარტავდა რუსეთში მომხდარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებებს, აჩვენებდა მის განსხვავებას დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან, ცხადყოფდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ არსს.

1917 წლის ივნისიდან რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტმა დაიწყო გამოცემა გაზეთ „ბრძოლისა“ ქართულ ენაზე და გაზეთ „ბანვორი კრივისა“ („მუშის ბრძოლა“) სომხურ ენაზე, ხოლო 1917 წლის 22 ივნისიდან ალექსანდროპოლის ბოლშევიკებმა — გაზეთ „ნორ კიანქის“ („ახალი ცხოვრება“) გამოცემა სომხურ ენაზე.

1917 წლის 3 ივლისიდან ბაქოში გამოდის ბოლშევიკური გაზეთი „ჰუმეთი“ („ენერგია“) ნ. ნარიმანოვის რედაქციით. გაზეთი იყო აზერბაიჯანელ მშრომელთა შორის ბოლშევიკური იდეების მქადაგებელი. პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ნათქვამი იყო, რომ „ჰუმეთმა“, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილს წარმოადგენს, წააწერა „...თავის დროშას მარქსისა და ენგელსის ცნობილი სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ამიტომ, ნათქვამი იყო შემდეგ, „ჰუმეთი“ „მთელი

ძალებით ცდილობს და კვლავაც ეცდება მოსპოს ახლანდელი კაპიტალისტური წესები და ჯათ.ნაკლად დაამყაროს სოციალიტური წესები, ე. ი. შექმნას ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც არ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, ბატონები და ძონები, რომლის დროსაც ყველანი თანასწორუფლებიანი ძმები იქნებიან. ასეთია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნები, რომლებიც „ჰუმეთის“ დროშაზეა წარწერილი“.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, ახორციელებდნენ რა რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებება და ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებით, გათავისუფლდნენ გაერთიანების ილუზიებისაგან, ორგანიზაციულად გაემიჯნენ მენშევიკებს, შეძლეს გაეძლიერებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი რიგები და მნიშვნელოვანი მუშაობა გაეწიათ თურქუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური მხილებისათვის და მხარის მშრომელი მასების გაერთიანებისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, მათი მობილიზაციისათვის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა მასებისათვის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში. ივლისის დღეები ამიერკავკასიაში

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ ძალღონეს ახმარდნენ ჰთელი რევოლუციური ძალების გაერთიანებას, პროლეტარული რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნას. საჭირო იყო ფართო მასებამდე მიტანა ლენინის ლოზუნგისა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. ამას ხელს უშლიდნენ უმთავრესად შემთანხმებლური პარტიები, რომლებმაც ხელთ იგდეს ხელმძღვანელობა საბჭოებში და მშრომელთა სხვა მასობრივ ორგანიზაციებში. ბოლშევიკებს ყველა შესაძლებლობა და საშუალებანი უნდა გამოეყენებინათ, რათა დაერწმუნებინათ მასები პარტიის ლენინური ლოზუნგების სისწორეში და დაერაზმათ ისინი ამ ლოზუნგების გარშემო. ამიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და კომისიებში, პროფესიულ კავშირებში და სხვა მასობრივ ორგანიზაციებში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშაობას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, რომლებსაც მშრომელი მასები უყურებდნენ როგორც თავიანთი ხელისუფლების ორგანოებს. საჭირო იყო საბჭოების გამოყენება როგორც მასებისათვის ბრძოლის მთავარი საშუალებისა. ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვის ამ მიზნის განხორციელება ყველაზე მძიმე პოლიტიკური ამოცანა იყო, ვინაიდან საბჭოებში უმრავლესობას მენშევიკები და ესერები შეადგენდნენ. საჭირო იყო მათი შემთანხმებლური პოლიტიკის მხილება, საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება და ბრძოლა მათი გადაქცევისათვის მშრომელთა სრულუფლებიან ორგანოებად.

ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი ბოლშევიკური ფრაქცია ბაქოს საბჭოში იყო. ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ბაქოს საბჭოდან მენშევიკების, ესერების, დაშნაკების განდევნისათვის, საბჭოს მეშვეობით რევოლუციურ ღონისძიებათა გატარებისათვის. ბოლშევიკები თანდათანობით განამტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს საბჭოში. 1917 წლის აპრილში ხელახალი არჩევნების შედეგად ბოლშევიკების ფრაქცია ბაქოს საბჭოში თითქმის ერთისამად გადიდდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ს. მ. ეფენდიევი. ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

მაგრამ უმრავლესობა საბჭოში კვლავ მენშევიკებს, ესერებსა და დაშნაკებს ეკუთვნოდათ. 10 მაისს ბაქოში მუშათა დეპუტატების საბჭოს და სამხედრო დეპუტატების საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოხდა ამ საბჭოების შეერთება, რის შემდეგ მენშევიკ-ესერი შემთანხმებლების პოზიციები ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოში კიდევ უფრო განმტკიცდა. მათ მიაღწიეს იმას, რომ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულ იქნა ესერი ს. სააკიანი. თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ბოლშევიკური ფრაქცია მტკიცედ იბრძოდა საბჭოს ესერულ-მენშევიკური უმრავლესობის შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოს სხდომაზე 16 მაისს განხილულ იქნა საკითხი კოალიციური მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ. რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის შესახებ, ხელისუფლებისაგან კაპიტალისტთა სრული ჩამოშორებისა და სახელმწიფოს მართვის პროლეტარიატისა და სხვა დემოკრატიული კლასების ხელში გადაცემის შესახებ, რომელიც ბოლშევიკების სახელით ს. გ. შაუმიანმა შეიტანა, უარყოფილ იქნა. საკითხი კოალიციური დროებითი მთავრობის შესახებ საბჭომ განიხილა 1917 წლის 25 მაისსაც. საბჭომ ხმის უმრავლესობით მი-

ღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა სოციალისტების შესვლას დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. ბოლშევიკებმა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ამხილებდნენ შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკას.

ჯიდევ უფრო ძნელი ვითარება შეიქმნა თბილისში, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობა თავიდან ხელთ იგდეს მენშევიკებმა, რომლებმაც აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თავიანთი ლიდერი ნ. ჯორდანია.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში იყო ორი ბოლშევიკი (მ. ს. ოკუჯავა და ს. ი. ქავთარაძე). როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ ხმის უმრავლესობით მიიღო დადგენილება გაზეთ „პრავდის" ნომრების კონფისკაციის შესახებ, ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებულებმა მ. ს. ოკუჯავამ და ს. ი. ქავთარაძემ მკვეთრი პროტესტი განაცხადეს, აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გავიდნენ და სხდომა მიატოვეს. ეს მოხდა 1917 წლის 19 აპრილს, მაშინ ბოლშევიკებისათვის უკვე ცნობილი იყო აპრილის თეზისები, ვ. ი. ლენინის მოთხოვნა განემარტათ მასებისათვის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები რევოლუციური მთავრობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა და რომ ბოლშევიკები — საბჭოების წევრები. სანამ ისინი მათში უმცირესობას შეადგენენ, ვალდებული არიან ეწეოდნენ კრიტიკას, არკვევდნენ შეცდომებს და იმავე დროს ქადაგებდნენ „მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისთვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გაწოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს"[1]. ამიტომ ბოლშევიკების გასვლა მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან იმ დროს, როცა ბოლშევიკური პარტია იწყებდა ბრძოლას იმისათვის, რომ მთელი ძალაუფლება საბჭოებს გადასცემოდათ ტაქტიკური შეცდომა იყო.

1917 წლის 21—31 მაისს თბილისში ჩატარდა კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ყრილობა. ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხები მიმდინარე მომენტის შესახებ და ტაქტიკის შესახებ, ომისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარული, მუშათა, სასურსათო, ეროვნული და სხვა საკითხები. მენშევიკური ფრაქცია ამხილებდა შემთანხმებლური ბლო-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 24. გვ. 5—6.

კის ხაზს. კოალიციური მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხზე ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტში ნათქვამი იყო „არა ძალაუფლების ნახევრულობას, არამედ ამ ძალაუფლებისაგან იმპერიალისტური კლასების მხოლოდ სრულ ჩამოშორებას და სახელმწიფოს მართვის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადაცემას შეეძლება იხსნას ქვეყანა ანარქიისა და კონტრრევოლუციის ავბედი აჩრდილისაგან და რევოლუციის საქმე მის საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს“ [1].

ბოლშევიკებმა ყრილობას წარუდგინეს აგრეთვე პროექტი რეზოლუციისა საზოგადოებრივი წარმოებისა და პროდუქტების განაწილებისადმი მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ. ეს პროექტები ყრილობამ უარყო. ბოლშევიკებმა, რომლებმაც მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მოითხოვეს მთელი მიწის ნაციონალიზაციის გატარება, მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ, დამფუძნებელი კრების მოწვევის დაულოდნელად, გადაცემა გლეხებისათვის. ყრილობამ ბოლშევიკების ეს წინადადებაც უარყო და მიიღო რეზოლუცია, რომლის აზრი ის იყო, რომ აგრარული საკითხი გადასაწყვეტად დამფუძნებელ კრებას გადასცემოდა. ყრილობამ აირჩია მუშათა და გლეხთა დეპუტატების კავკასიის სამხარეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში ბოლშევიკებიდან შეიდნენ: ს. ა. ბოგდანოვი, ს. მ. ტერ-გაბრიელიანი, ნ. ნ. ცერცვაძე, ბ. გ. ცხაკაია, ბ. ა. ჯაფარიძე და სხვ.

იბრძოდნენ რა საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისათვის, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა პროფესიულ კავშირებშიც, რომელთა საშუალებით ისინი აგრეთვე ცდილობდნენ ეწარმოებინათ მასების რევოლუციური აღზრდა, რაზმავდნენ მათ ლენინური ლოზუნგების გარშემო და ამზადებდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად.

თებერვლის რევოლუციის პირველივე დღეებიდან ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს რევოლუციურ ბრძოლაში უკვე ნაცად ამ მუშათა ორგანიზაციებს. 1917 წლის მარტიდან თბილისსა და ბაქოში კვლავ დაიწყო პროფესიული კავშირების აღდგენა. მაისისათვის თბილისში უკვე ჩამოყალიბებული იყო 30 პროფესიული კავშირი (მბეჭდავების, მეტყავეების, ფელეტონიერების, მკერავების და სხვ.), რომლებიც 10.200 კაცს აერთიანებდნენ. მაისში შეიქმნა პროფესიული კავშირების ცენტრალური ბიურო. ამავე დროისათვის ბაქოში შეიქმნა 32 პროფესიული

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 60. 28 мая 1917 г.

კავშირი, რომლებიც 20 ათასზე მეტ კაცს აერთიანებდნენ. პროფესიული კავშირები აღმოცენდა აგრეთვე ალექსანდროპოლში, ერევანში, ალავერდში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ელიზავეტპოლში, ნუხაში, შუშაში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული პროფესიული კავშირი იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშათა კავშირი, რომელსაც ბოლშევიკები ი. ტ. ფიოლეტოვი და პ. ა. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდნენ. კავშირის ავტორიტეტისა და გავლენისათვის ანგარიშის გაწევა უხდებოდათ როგორც ნავთობის მრეწველებს, ისე ბურჟუაზიული ხელისუფლების აღგილობრივ ორგანოებს. კავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბაქოს მუშათა ბრძოლაში ნავთობის მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ცდილობდნენ პროფკავშირთა მთელი საქმიანობა დაექვემდებარებინათ რევოლუციური ბრძოლისათვის. ამიტომ აქტიურად გამოდიოდნენ მენშევიკებისა და დაშნაკების წინააღმდეგ, რომლებმაც მოახერხეს თავიანთი გავლენა გაეკრცელებინათ მთელ რიგ პროფესიულ კავშირებზე. მშრომელთა ამ მასობრივი ორგანიზაციების როლსა და ამოცანებს მენშევიკები და დაშნაკები ზღუდავდნენ მხოლოდ ვიწრო ეკონომიური ინტერესების დაცვით. ამ მიზნით ისინი ქმნიდნენ ეგრეთწოდებულ „შემარიგებელ კამერებს“, რომ მუშათა და მეწარმეთა შორის კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინათ და არ დაეშვათ გაფიცვები.

ამიერკავკასიის პროლეტარიატი განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ ლოზუნგის განხორციელებისათვის. მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭო იძულებული გახდა მხარი დაეჭირა მუშათა ფართო მასების ამ მოთხოვნისათვის და გამოაცხადა 8 საათის სამუშაო დღის შემოღება 1917 წლის 19 აპრილიდან. ბაქოში მასების ზეგავლენით საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აღმასრულებელმა კომიტეტმაც გამოსცა დადგენილება 1 მაისიდან სარეწებსა და ქარხნებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ერევნის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დროებითი მთავრობისათვის მოეთხოვა სათანადო დეკრეტით დაეკანონებინა 8 საათის სამუშაო დღე. 29 მაისს ამასთან დაკავშირებით პეტროგრადის საბჭოს გაეგზავნა დეპეშა. მაგრამ პროლეტარიატის ეს სამართლიანი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებდნენ პეტროგრადელთა მაგალითისამებრ 8 საათის სამუშაო დღე შემოეღოთ

მეწარმეებთან შეუთანხმებლად. ბაქოში, თბილისში, ჭიათურაში, ბათუმში და სხვა ქალაქებში მთელ რიგ საწარმოთა მუშებმა შეძლეს თავიანთი ნებით განეხორციელებინათ 8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა.

დიდი მუშაობა წარმოებდა საწარმოებში მუშათა კონტროლის შემოღებისათვის. ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებში მუშათა კონტროლის იდეა საპროგრამო მოთხოვნების გვერდით იდგა და მუშათა საბრძოლო ამოცანად გახდა. ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლოზუნგი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. მუშათა კონტროლის შესახებ ბოლშევიკური ლოზუნგის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მენშევიკები და ესერები, რომლებმაც წამოაყენეს სახელმწიფო კონტროლის ლოზუნგი, რაც არსებითად ნიშნავდა კონტროლის საქმის გადაცემას ბურჟუაზიის ხელში.

მეწარმეების, მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლშევიკებმა შეძლეს მიეღწიათ ამიერკავკასიის მთელ რიგ საწარმოებში მუშათა კონტროლის შემოღებისათვის. ხშირად ბაქოში მუშები და მათი სარეწაო-საქარხნო კომისიები, რომლებიც ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ, მოქმედებდნენ რა მუშათა კოლექტივების სახელით, განდევნიდნენ ხოლმე მათთვის საძულველ ადმინისტრატორებს, საწარმოთა მმართველებს და თვითონ ჰკიდებდნენ ხელს მართვას. ბაქოელებმა მიაღწიეს იმას, რომ მეწარმეების მიერ მუშა-მოსამსახურეების მიღება და დათხოვნა მეტ წილ შეთანხმებულ სარეწაო-საქარხნო კომისიების თანხმობით ხდებოდა. ფითოევის ბათუმის გასამხედროებულ ქარხანაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების 500-ზე მეტი მუშა მუშაობდა, ბოლშევიკების წინადადებას — განეხორციელებინათ მუშათა კონტროლი, მხურვალედ დაუჭირეს მხარი მუშებმა[1].

ამ რევოლუციურ მოთხოვნათა განხორციელება შეუპოვარ ბრძოლაში ხდებოდა. გაფიცვების დახმარებით, რომელთა ორგანიზატორებად ბოლშევიკები გამოდიოდნენ, მუშები აღწევდნენ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას. სულ უფრო ჩაღდებოდა საგაფიცვო მოძრაობა: 18 მაისიდან 2 ივნისამდე გაფიცული იყვნენ თბილისის სამრეცხაოთა მუშები, 26 მაისიდან 2 ივნისამდე — მირზაბეკიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები ბაქოში; მთელ ზაფხულს გრძელდებოდა თბილისის გაიდამაკინის კონვერტების ფაბრიკის მუშათა გაფიც-

---

[1] გ. ვ. ხაჭაპურიძე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში. თბ., 1954, გვ. 103—104.

ვა, რომელიც 15 ივნისს დაიწყო. გაფიცვებმა მასობრივი ხასიათი ძიიღო აგრეთვე ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, ქედაბეკში, ნუხაში, ელიზავეტპოლში და სხვა ადგილებში.

თებერვლის რევოლუციამ ვერც აგრარული საკითხი გადაწყვიტა. ფეოდალური გადმონაშთები ხელუხლებელი დარჩა, მიწები კვლავ შემამულეებს ეკუთვნოდა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხთა მასებში. გლეხები მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ამას ემატებოდა ომით გამოწვეული ნგრევა და შიმშილი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ პირველი თვეების განმავლობაში ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს მასობრივი ხასიათი არა ჰქონდა. იყო მემამულეთა მიწების დატაცების მხოლოდ ცალკეული შემთხვევები.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები გლეხობაში რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ. „არავითარი ნდობა დროებითს მთავრობას“, „მიწა გლეხებს!“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ — ასეთი ლოზუნგებით მიდიოდნენ გლეხებთან ბოლშევიკები რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში. თბილისიდან, ბაქოდან, ალექსანდროპოლიდან, ელიზავეტპოლიდან და სხვა ქალაქებიდან ბოლშევიკები მიდიოდნენ სოფლებში, სადაც გლეხებს განუმარტავდნენ ლენინური ლოზუნგების შინაარსს, ამხილებდნენ დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ არსს და შემთანხმებელთა დამღუპველ პოლიტიკას, იბრძოდნენ გლეხთა მასებისაგან მენშევიკებისა და ესერების იზოლაციისათვის. სოფლებში იქმნებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები.

აგრარულმა მოძრაობამ ამიერკავკასიაში ფართო ხასიათის მიღება დაიწყო 1917 წლის ივნისიდან. გლეხები აღარ უცდიდნენ დამფუძნებელ კრებას და უარს ამბობდნენ გადასახადებისა და საიჯარო გადასახდელის გაღებაზე, იტაცებდნენ მემამულეთა და საეკლესიო-სამონასტრო მიწებს, სახაზინო ტყეებს, საძოვრებს. თავიანთ გამგებლობაში იღებდნენ სარწყავ სისტემებს; იყო იმ მემამულეთა მოკვლის შემთხვევები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ. გლეხთა მოძრაობამ მოიცვა მთელი ამიერკავკასია, განსაკუთრებით გორის, ბორჩალოს, ახალი ბაიაზეთის, ელიზავეტპოლის, შუშის და ყაზახის მაზრები.

ამიერკავკასიის სხვადასხვა სოფლებიდან ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებში მემამულეები მოითხოვდნენ განსაკუთრებული ზომების

მიღებას, შეიარაღებული ძალების გაგზავნას მათ დასაცავად გლეხთა თავდასხმებისაგან. და ამ თხოვნას ბევრ შემთხვევაში აკმაყოფილებდნენ. ამასთან ერთად აგრარული რევოლუციის ჩასახშობად, აგრეთვე გლეხთა „დასამშვიდებლად" და მემამულეთა ინტერესების დასაცავად ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ გლეხთა ყრილობა და შეექმნათ გლეხთა სამხარეო ცენტრი.

20—26 ივნისს თბილისში მიმდინარეობდა გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობა. ზოგიერთი საკითხი, რომლებიც გატანილ იქნა ყრილობის განსახილველად, ერთი თვით ადრე განხილული იყო მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო ყრილობაზე (ომისა და ზავის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარული საკითხი და სხვ). დელეგატთა შორის სჭარბობდნენ მენშევიკები და ესერები. ამიტომ ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები მენშევიკურ-ესერული იყო. ყრილობაზე გამოსულმა მშრომელი გლეხების წარმომადგენლებმა დაასურათეს სოფლად შექმნილი მძიმე მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ გლეხობა მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას მიწის საკითხი და განთავისუფლებულ იქნენ მემამულეთა კაბალისაგან. მოჰყავდათ მიწების დატაცების ფაქტები. მაგრამ აგრარულ საკითხზე ყრილობამ მიიღო მენშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ამ საკითხის გადაჭრა უნდა გადადებულიყო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ყრილობამ აირჩია გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭო, რომელმაც დაუყოვნებლივ დადო კავშირი მემამულეებთან და, იღებდა რა მათგან მატერიალურ დახმარებას, მთელი თავისი საქმიანობა წარმართა აგრარული მოძრაობის ჩასახშობად.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს სამხარეო ცენტრის წინააღმდეგ. ისინი გლეხებს განუმარტავდნენ, რომ მიწის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ რევოლუციური გზით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი ძალაუფლება მუშათა და გლეხთა ხელში გადავაო.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო მუშაობის გაძლიერება სამხედრო ნაწილებში, რადგან სოციალისტური რევოლუციის ბედი დიდად იყო დამოკიდებული ჯარისკაცთა ფართო მასებზე. არმია ძირითადად გლეხებისაგან შედგებოდა. მათ შორის მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხების წვრილბურჟუაზიულ მერყეობათა დასაძლევად და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვები-

სათვის აქტიურ ბრძოლაში მათ ჩასაბმელად. პარტიის ბრძოლა არმიისათვის მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. არმიის გარეოლუციურება, მისი შეიარაღება ბოლშევიკური პროგრამითა და ლოზუნგებით გამარჯვების მოპოვების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის ტერიტორია უშუალოდ ეკვროდა ფრონტს, სადაც ნახევარმილიონიანი არმია იბრძოდა. ამ ტერიტორიით განუწყვეტლივ მიდოდნენ ეშელონები, რომლებსაც მიჰქონდათ იარაღი, საომარი აღჭურვილობა და სურსათი. სამხედრო შენაერთები განლაგებული იყვნენ ალექსანდროპოლში, ერევანში, ბაქოში, ელიზავეტპოლში, ყარსში, სარიყამიშში, ნახჭევანში, არზრუმში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო თბილისის გარნიზონი, რომლის შემადგენლობაში ითვლებოდა 80 ათასამდე ჯარისკაცი. თბილისშივე იყო კავკასიის ფრონტის შტაბი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ პირველ ხანებში კავკასიის ფრონტის და ზურგის სამხედრო ნაწილები შემთანხმებლური პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და მხარს უჭერდნენ დროებითი მთავრობის პოლიტიკას. ამას მთელი სიცხადით მოწმობდა კავკასიის არმიის პირველი სამხარეო ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო თბილისში და გაგრძელდა მთელ თვეს — 1917 წლის 23 აპრილიდან 23 მაისამდე. ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხები: მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ, დროებითი მთავრობისა და ომისადმი დამოკიდებულების შესახებ, დამფუძნებელი კრების შესახებ, მუშათა, აგრარული, ეროვნული საკითხები, „თავისუფლების სესხის“ შესახებ და სხვა. ყრილობაზე სჭარბობდნენ ესერები და მენშევიკები, ყველა საკითხზე მომხსენებლები იყვნენ ამ პარტიების ბლოკის წარმომადგენლები; ბოლშევიკური ფრაქციიდან ყრილობაზე გამოვიდნენ ი. ვ. მალიგინი, ა. მ. ნაზარეტიანი, ს. ი. ქავთარაძე, გ. ნ. ყორღანოვი, ნ. ნ. ცერცვაძე და სხვ.

ბოლშევიკებმა ყრილობის ტრიბუნა კარგად გამოიყენეს თავიანთი ლოზუნგების პროპაგანდისათვის. ისინი გადაჭრით გამოდიოდნენ დროებითი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო ესერებისა და მენშევიკების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს არჩევნების დროს ბოლშევიკური ფრაქციის წარ-

მომადგენლებს არცერთი ადგილი არ მიეცათ. მიუხედავად ამისა, თბილისის გარნიზონის ბოლშევიკებმა მაინც შეძლეს სამხარეო საბჭოს შემადგენლობაში გაეყვანათ ორი წევრი — ა. ე. დენისოვი და ვ. პ. მუშნიკოვი. მათ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოში შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ფრაქცია და გააჩაღეს ბრძოლა ეს ერულ-მენშევიკური უმრავლესობის წინააღმდეგ. გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები, რომლებიც მიმართული იყო ჯარისკაცთა ინტერესების წინააღმდეგ.

სამხედრო ნაწილებში ბოლშევიკებმა ლენინური ლოზუნგების ფართო პროპაგანდა გააჩაღეს. კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის დიდ მუშაობას ეწეოდნენ ს. კ. ალავერდიანი, პ. ი. არველაძე, ს. ა. ბოგდანოვი, მ. ფ. გახოკია, ს. ი. კასიანი, ფ. ე. მახარაძე, პ. ა. პოლიუსუკი, ზ. ს. ტრაპაიძე, ს. ი. ქავთარაძე, ბ. ბ. ღარიბჯანიანი, გ. ნ. ყორღანოვი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები. ისინი ხშირად გამოდიოდნენ კრებებსა და მიტინგებზე, ჯარისკაცებს განუმარტავდნენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში, აძხილებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, რომლებიც ბოროტად ამახინჯებდნენ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკურ ლოზუნგებს.

კავკასიის არმიის ჯარისკაცებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა გაზეთი „პრავდა“. ამან შემთანხმებლურ პარტიებში შეშფოთება გამოიწვია 1917 წლის 19 აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ გამოიტანა დადგენილება ფრონტზე 40 ათასი ცალი „პრავდის“ გაგზავნის შეჩერების შესახებ, რომლებიც სხვა საჩუქრებთან ერთად პეტროგრადიდან გამოუგზავნეს კავკასიის არმიის ჯარისკაცებს. ბოლშევიკებმა ხმა აღიმაღლეს „პრავდის“ დასაცავად თბილისელი ობორონცების თავდასხმებისაგან, მოაწყეს მუშათა და ჯარისკაცთა კრებები, სადაც გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლუციები და გამოთქვამდნენ დიდ აღშფოთებას ჯარისკაცთა შორის „პრავდის“ გავრცელების აკრძალვის გამო. სამი დღის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებული სხდომა იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი დადგენილება. სტატიაში „პრავდის“ განთავისუფლება“ გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ ვომხდარ ფაქტს შეფასებას აძლევდა და განმარტავდა მიზეზებს, რომლებმაც აღმასრულებელი კომიტეტები აიძულა გაეუქმებინათ თავიანთი დადგენილება.[1] კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ფართოდ ვრცე-

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 34, 25 апреля 1917 г.

ლდებოდა სხვა ბოლშევიკური გაზეთებიც, განსაკუთრებით „კავკაზსკი რაბოჩი“. „ჩვენი გაზეთი ჯარისკაცთა გაზეთი გახდა. ჩვენ ფუთობით ვიღებდით ფრონტიდან წერილებს, ათობით თანაგრძნობის დეპეშას. ეს, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს ცენტრელებმა; დაიწყო ჩვენი გაზეთის განსაკუთრებული დევნა“.[1] — აღნიშნავდა პარტიის VI ყრილობაზე „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქტორი ს. ი. ქავთარაძე.

მაისის შუა რიცხვებამდე თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შემადგენლობა ესერულ-მენშევიკური იყო. 14 მაისს საბჭომ მიიღო რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი ნდობის შესახებ და მოიწონა სოციალისტების შესვლა კოალიციურ დროებით მთავრობაში.

თბილისის გარნიზონის საბჭოს არჩევნების დროს ბოლშევიკებმა ფართო პროპაგანდა გააჩაღეს. ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის გარნიზონის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც 15 მაისს იქნა არჩეული, ბოლშევიკებს ძლიერი ფრაქცია ჰქონდათ. 1917 წლის 26 მაისს თბილისში მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს გაერთიანება ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან. 10 ივნისს გაიმართა დეპუტატთა საბჭოში დამატებითი არჩევნები გარნიზონისაგან. არჩეულთა შორის აღმოჩნდა 14 ბოლშევიკი, 12 ესერი და 7 მენშევიკი. თვითონ მენშევიკები და ესერები იძულებული იყვნენ აღენიშნათ არმიაში ბოლშევიკების გავლენის ძლიერი ზრდა, მთელი პოლკების ბოლშევიზაცია.

ბოლშევიკებმა პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს აგრეთვე ალექსანდროპოლის, ყარსის, სარიყამიშის, ერევნის და ამიერკავკასიის მთელი რიგი სხვა გარნიზონების ჯარისკაცებში. კავკასიის არმიის ჯარისკაცები საკუთარი გამოცდილებით სულ უფრო რწმუნდებოდნენ შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკის ანტიხალხურ არსში, ირაზმებოდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით და უერთდებოდნენ რევოლუციისათვის მებრძოლთა რიგებს.

არმიაში ბოლშევიკების გავლენის ზრდის მაჩვენებელი იყო მიტინგები, რომლებიც 1917 წლის მაისსა და ივნისში გაიმართა თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში. თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, სისტემატურად იმართებოდა მიტინგები და კრებები. ბოლშევიკი ორატორების გამოსვლები ძლიერ გავლენას ახდენდნენ ჯარისკაცთა მასების გარევოლუციურებაზე.

14 ივნისს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ

---

[1] Шестой съезд РСДРП (большевиков). Протоколы. М., 1958, стр. 95.

(მათ შორის თბილისისა და ბაქოს) პარტიულ ორგანიზაციებს გაუგზავნა დეპეშა, რომ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს 18 ივნისის დემონსტრაციაში. ცენტრალური კომიტეტი აცნობებდა თავის ლოზუნგებს დემონსტრაციისათვის[1]. 18 ივნისს პეტროგრადში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტთა უდიდესი უმრავლესობა მიდიოდა ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს". ივნისის დემონსტრაციამ ცხადყო, რომ დედაქალაქის პროლეტარიატი და გარნიზონი ბოლშევიკებს მიჰყვებიან. იმავე დღეს რევოლუციური გამოსვლები გაიმართა მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ტვერში და სხვა ქალაქებში. 18 ივნისსავე დროებითმა მთავრობამ დაიწყო შეტევა ფრონტზე.

ამერიკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ფრონტზე შეტევის განახლების შესახებ დროებითი მთავრობის ბრძანების წინააღმდეგ. 21 ივნისს რსდმპ(ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წარმომადგენელთა კრებამ განიხილა ეს საკითხი და მიიღო რეზოლუცია, სადაც მხილებული იყო იმპერიალისტთა ვერაგული გეგმები, რომელთა მიზანს შეადგენდა რუსეთის რევოლუციის ჩახშობა. კრებამ მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს მოუწოდა გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები და დარაზმულიყვნენ ბოლშევიკური დროშის ქვეშ.

ამავე დღეს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შედგა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც 6 ათასი კაცი დაესწრო. მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმული იყო მტკიცე პროტესტი ფრონტზე შეტევის განახლების შესახებ კერენსკის ბრძანებასთან დაკავშირებით. ჯარისკაცები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას და ზავის დადებას, მთელი ძალაუფლების გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭომ, რომლის უმრავლესობას ობორონცები შეადგენდნენ, განიხილა კერენსკის ბრძანება და მოიწონა იგი. საბჭოს აღმასკომმა 25 ივნისისათვის დანიშნა მიტინგი, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა დროებითი მთავრობის განკარგულებისათვის. თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. 25 ივნისს რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება „თბილისის ყველა მშრომელს, ყველა მუშას და ჯარისკაცს!", რომელ-

---

1 Переписка Секретариата ЦК РСДРП(б) с местными партийными организациями (Март — октябрь 1917 г.). Сборник документов, М., стр. 16.

შიც მოცემული იყო ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის ღრმა ანალიზი, მხილებული იყო დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკა. „მუშებო! ჯარისკაცებო! — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — ერთმანეთს ძმური ხელი გაუწოდეთ და გასწიეთ წინ, სოციალიზმის დროშის ქვეშ! ყველანი ქუჩაში, ამხანაგებო! მჭიდრო რკალად დაირაზმეთ ჩვენი დროშების გარშემო! მწყობრი რიგებით იარეთ ქალაქის ქუჩებში. მშვიდად და მტკიცედ განაცხადეთ თქვენი სურვილები: ძირს კონტრრევოლუცია! ძირს მეფის სათათბირო! ძირს სახელმწიფო საბჭო! ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი! მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!“[1].

25 ივნისს თბილისის მუშათა რაიონში — ნაძალადევში შედგა მუშების და თბილისის გარნიზონის ჯარისკაცების ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მიერ მიღებული რეზოლუციები მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების გადასვლას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ამ მიტინგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიისათვის, ისევე როგორც პეტროგრადის 18 ივნისის დემონსტრაციას მთელი რუსეთის პროლეტარიატისათვის. ისინი მოწმობდნენ გარდატეხას მასების რევოლუციურ განწყობილებაში. გაზეთი „ბრძოლა“ წერდა: „ამ მიტინგმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ხალხის ფართო მასაში, მეტადრე ჯარისკაცებში ბოლშევიკურ პოზიციას მაგრად აქვს ძირი გადგმული“.[2]

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ და სხვა ბოლშევიკური გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ 25 ივნისის ამბებს. ბოლშევიკური რეზოლუციების მიღება მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგებზე, რომლებიც მოიწვიეს ობორონცებმა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო მხარის მთავარი კონტრრევოლუციური ძალები, ამიერკავკასიის ბოლშევიკების დიდი გამარჯვება იყო.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ ფრონტზე დაწყებული შეტევა სამარცხვინოდ ჩაიფუშა. 3 ივლისს პეტროგრადში დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინააღმდეგი იყო ამ ნაადრევი გამოსვლისა. მაგრამ რადგან მასების შეკავება შეუძლებელი იყო, ბოლშევიკურმა პარტიამ ყველა ზომა მიიღო, რომ დემონსტრაციისათვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 84, 25 июня 1917 г.

[2] გაზ. „ბრძოლა“ №5, 1917 წ. 2 ივლისი.

დროებითი მთავრობა სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს. პეტროგრადის ქუჩები მუშათა და ჯარისკაცთა სისხლით შეიღება. გაძლიერდა კონტრრევოლუციის თარეში, დაიწყო გააფთრებული იერიშები ბოლშევიკებისა და რევოლუციური მასების წინააღმდეგ. აკრძალულ იქნა გაზეთი „პრავდა", გაიცა განკარგულება ვ. ი. ლენინის დაპატიმრებისა და სამართალში მიცემის შესახებ. ბოლშევიკური პარტიის ბელადზე ბოროტი ცილისწამებელური მონაკოლები ვრცელდებოდა.

ივლისის ამბების შემდეგ პოლიტიკური ვითარება ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად შეიცვალა. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა, მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. მენშევიკურ-ესერული საბჭოები ამ მთავრობის დანამატად გადაიქცნენ. მთელ რუსეთში გაძლიერდა კონტრრევოლუციის თარეში. ეს საგრძნობი გახდა ამიერკავკასიაშიც. კონტრრევოლუცია აქაც შეტევაზე გადავიდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა საბჭოების სამხარეო ცენტრის დახმარებით განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები რევოლუციური მასებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. მაგალითად, თბილისში დახურულ იქნა ალექსანდრეს ბაღი და აიკრძალა მიტინგები, ქალაქიდან გაყვანილ იქნენ გარნიზონის ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილები, გაძლიერდა იერიშები ბოლშევიკურ გამოცემებზე, განსაკუთრებით გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩიზე". აიკრძალა მისი გავრცელება ფრონტზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები თავიანთ გამოსვლებში მშრომელთა მიტინგებსა და კრებებზე, აგრეთვე პრესაში ამხილებდნენ კონტრრევოლუციონერების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს პეტროგრადის ამბებზე, მათს საზიზღარ ცილისწამებას ვ. ი. ლენინსა და ბოლშევიკებზე. „კავკაზსკი რაბოჩიმ" დაბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც მასებს განუმარტავდა თუ რა მოჩმახული იყო ის ხმები, რომლებსაც კონტრრევოლუციური ხროვა ავრცელებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. თბილისში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, შუშასა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ბოლშევიკები აწყობდნენ მიტინგებს, რომლებზეც გამოჰქონდათ რეზოლუციები დროებითი მთავრობის მიერ ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინის დევნის წინააღმდეგ. მუშებმა — ორგანიზაცია „ჰუმეთის" წევრებმა, ბალახანის რაიონში 17 ივლისს ვამართულ კრებაზე გადაწყვიტეს აზრი იმის სასარგებლოდ, რომ შეწყვეტილიყო ვ. ი. ლენინის დევნა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „გამოვთქვამთ ჩვენს პროტესტს ყველა იმ ბრალდების წინააღ-

მდეგ, რომლებსაც რაიმე დამამტკიცებელი საბუთის უქონლად უყვეხებენ კაპიტალისტთა გაზეთები ამხ. ლენინს. მოვითხოვთ ამ ცილისწამების შეწყვეტას"[1].

საკითხი ივლისის ამბების შესახებ სპეციალურად განიხილეს რსდმპ (ბ) თბილისისა და ბაქოს კონფერენციებზე, რომლებიც გაიმართა 9 და 19 ივლისს. ამ კონფერენციებზე დაისახა ღონისძიებანი კონტრრევოლუციის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ალექსანდროპოლის ბოლშევიკების გაზეთი „ნორ კიანკი" 9 ივლისის მოწინავე სტატიაში აშუქებდა ივლისის ამბების არსს და მოუწოდებდა გარნიზონის ჯარისკაცებსა და ქალაქის მშრომელებს სულით არ დაცემულიყვნენ რეაქციის თარეშის წინაშე, კიდევ უფრო ენერგიულად ებრძოლათ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. „რითაც უნდა დამთავრდეს პეტროგრადის უკანასკნელი ამბები, — წერდა „ნორ კიანკი", — ჩვენ ეჭვი არ გეეპარება იმაში, რომ ძალიან მალე რევოლუციურ რუსეთის სათავეში ჩაუდგებიან მუშები, ჯარისკაცები და გლეხები. ხომ უაზრობაა ცდილობდე შეაჩერო რევოლუციის ჩარხი, შეაფერხო ელვარე განთიადის დადგომა, ეს ხომ **ადამიანის ძალას აღემატება**".

1917 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში გაძლიერდა მუშების საგაფიცვო მოძრაობა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები. თებერვალამდე მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების ფაქტები ერთეულ ხასიათს ატარებდა, ზაფხულში ამან მასობრივი ხასიათი მიიღო.

ივლისის ბოლოს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური მიმართვა ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი გლეხების მიერ მიწების ხელში ჩაგდების აკრძალვის შესახებ: „ყოველი თვითნებური მოქმედება ამ მხრივ, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — ყოველი მოწოდება კანონის არშესრულებისაკენ, ვისგანაც უნდა გამომდინარეობდეს, დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით და მთავრობის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, და ამის შესახებ მიცემული აქვთ სათანადო განკარგულება ადგილობრივ ხელისუფალთ როგორც დროებითი მთავრობისაგან, ისე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისაგან"[2]. მაგრამ აგრარული მოძრაობა არათუ არ ნელდებოდა, არამედ ამიერკავკასიის სულ ახალ და ახალ რაიონებსაც ეკიდებოდა.

---

[1] გაზეთი „პუმეური" № 4, 1917 წ. 25 ივლისი.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии. стр. 51.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები განაგრძობდნენ დაუღალავ მუშაობას ჯარისკაცებში, განუმარტავდნენ მათ ივლისის ამბების არსს. 9 ივლისს ბოლშევიკებმა მოიწვიეს ალექსანდროპოლის გარნიზონის მიტინგი 5 ათასი ჯარისკაცისა და მუშის მონაწილეობით. მიტინგზე განხილულ იქნა პეტროგრადის 4—5 ივლისის ამბები. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც ამხილებდა კოალიციური მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადასვლას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. იმავე დღეს თბილისში შემდგარმა მუშათა და ჯარისკაცთა სამიათასიანმა მიტინგმა მიიღო საპროტესტო რეზოლუცია წინააღმდეგ დროებითი მთავრობის ბრძანებისა ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ. 218-ე პოლკის საყარაულო გუნდის ჯარისკაცებმა მოითხოვეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ობორონცული აღმასრულებელი კომიტეტის გადარჩევა.

ივლისის ამბებმა თვალი აუხილა მშრომელთა ფართო მასებს. ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, დიდ მუშაობას ეწეოდნენ, რათა განემარტათ მასებისათვის ამ ამბების პოლიტიკური აზრი, უჩვენებდნენ მათ შემთანხმებლური და ნაციონალისტური პარტიების — ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ამ ფაქტიურ ხელშემწყობთა ნამდვილ პოლიტიკურ სახეს. ბოლშევიკებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგები, ეჭიდროდ შეკავშირდნენ ლენინური იდეების დროშის ქვეშ და დაიწყეს რევოლუციური მასების მომზადება კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი შეჯახებისათვის.

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა

ვ. ი. ლენინმა მოგვცა 1917 წლის ივლისის ამბების შემღეგ მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი, განსაზღვრა პარტიის ახალი ამოცანები და ბრძოლის ახალი ტაქტიკა. ლენინი განმარტავდა, რომ ლოზუნგი მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ, რომელიც სწორი იყო რევოლუ-

ციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, უკვე აღარ შეესაბამებოდა 4 ივლისის შემდეგ ძირეულად შეცვლილ პოლიტიკურ მდგომარეობას. „ახლა ეს ლოზუნგი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უკვე არ არის სწორი, რადგან ანგარიშს არ უწევს ამ მომხდარ გადასვლას და რევოლუციისადმი ესერებისა და მენშევიკების სრულ ღალატს"[1].

ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა დროებით მოხსნილიყო ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!". მაგრამ ეს არ ნიშნავდა ხელის აღებას საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე, საბჭოთა რესპუბლიკაზე როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოზე. რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპზე პარტიის მთავარი ამოცანა გახდა უკვე მასების მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ახალი პოლიტიკური ვითარებისა და ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ბოლშევიკურმა პარტიამ შეიმუშავა ახალი ტაქტიკა თავის VI ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე ნახევრადლეგალურ პირობებში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა პარტიის VI ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ი. მ. სვერდლოვი, ა. ს. ენუქიძე, ს. ი. ქავთარაძე (თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან), ბ. ა. ჯაფარიძე, ს. მ. ეფენდიევი, ა. ბ. იუსიფზადე (ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან).

ვ. ი. ლენინს, რომელსაც დროებითი მთავრობა სდევნიდა, არ შეეძლო დასწრებოდა ყრილობას, მაგრამ ფაქტიურად ყრილობის ძთელი მუშაობა მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ლენინის ძიერ მომზადებული თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ" და მისი სტატიები საფუძვლად დაედო ყრილობის დადგენილებებს. ყრილობამ ვ. ი. ლენინი აირჩია თავის საპატიო თავმჯდომარედ, ერთხმად მიიღო რეზოლუცია სასამართლოში მისი გაძოცხადების წინააღმდეგ და გაუგზავნა მას მისალმება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და მოხსენებით პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ყრილობაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინი. საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ გააკეთა ი. მ. სვერდლოვმა.

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 25, გვ. 206.

ყრილობამ განიხილა აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, პროფმოძრაობის, ახალგაზრდობის კავშირების, დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ და სხვა საკითხები. ადგილებიდან მოხსენებებით გამოვიდნენ პეტროგრადის, მოსკოვის, ურალის, ციმბირის, ამიერკავკასიის და სხვა ორგანიზაციების დელეგატები; მათ დაასურათეს ბოლშევიკების ბრძოლა მასებისათვის, შეჩერდნენ იმ სიძნელეებზე, რომელთა დაძლევა უხდებოდათ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადების საქმეში.

თავის გამოსვლაში ს. ი. ქავთარაძემ მოახსენა ყრილობას, რომ გაიზარდა ბოლშევიკური გავლენა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა მასებზე. „არც ერთ ქალაქში, — ამბობდა იგი, — არ დასჭირვებიათ ეწარმოებინათ ისეთი გააფთრებული ბრძოლა, როგორის წარმოებაც მოგვიხდა ჩვენ თბილისში ჩვენდაჭი მტრულ ორგანიზაციებთან. თბილისი კავკასიის ფრონტის ბაზაა. ჩვენ ფართო აგიტაცია გავაჩაღეთ ჯარში, და 25—30 ათასიანი მიტინგები იღებდნენ ჩვენს რეზოლუციებს. ჩვენ შევძელით თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილში მოგვეპოვებინა კოლოსალური უმრავლესობა“[1].

„ჰუმეთის“ ორგანიზაციის სახელით ყრილობას მიესალმა ა. ბ. იუსიფზადე, რომელმაც თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამ ორგანიზაციის მნიშვნელობას ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელ მუსლიმანთა შეკავშირების საქმეში.

ბოლშევიკური ორგანიზაცია „ჰუმეთის“ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა პ. ა. ჯაფარიძემ. „ჰუმეთი“ გაამართლებს ნდობას, — თქვა მან, — და თავდადებით ემსახურება მუსლიმან მუშათა წრეში კლასობრივი თვითშეგნების შეტანისა და რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან მათი გაერთიანების საქმეს“[2].

ყრილობის შემდეგ რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა „ჰუმეთს“ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა და მისალმება გაუგზავნა.

ყრილობამ მოგვცა ივლისის ამბების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი, დღის წესრიგიდან დროებით მოხსნა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ და ცნო, რომ გამარჯვების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული

---

[1] Шестой съезд РСДРП (большевиков). Протоколы, стр. 95.

[2] იქვე, გვ. 237.

აჯანყების გზით, ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით. ყრილობის ყველა დადგენილება ისახავდა ერთ მიზანს — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფას. პარტიამ კურსი აიღო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაზე შეიარაღებული აჯანყების გზით.

ყრილობის სახელით გამოშვებული მანიფესტი მოუწოდებდა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს მოეკრიბათ ძალები და ბოლშევიკური დროშის ქვეშ მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი შეტაკებისათვის ბურჟუაზიასთან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად ამიერკავკასიის ბოლშევიკებისაგან არჩეულ იქნა ს. გ. შაუმიანი, კანდიდატად — პ. ა. ჯაფარიძე.

რსდმპ (ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილებანი საბრძოლო პროგრამა გახდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის. ყრილობის დელეგატები და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები გამოდიოდნენ მოხსენებებით მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების წინაშე, განუმარტავდნენ მათ პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებს. ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანეორი კრიკი“ და „ჰუმეთი“ თავიანთ ფურცლებზე აქვეყნებდნენ ყრილობის მასალებს; ყრილობის მუშაობისადმი მიძღვნილი იყო მთელი რიგი სტატიები. გაზეთები ყრილობას შეფასებას აძლევდნენ როგორც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მოვლენას ბოლშევიკური პარტიის ცხოვრებაში. მათ გამოაქვეყნეს ვ. ი. ლენინის მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც მოცემული იყო ივლისის ამბების შემდეგ შეცვლილი ვითარების ღრმა ანალიზი და განსაზღვრული იყო პარტიის ახალი ლოზუნგები.

პარტიის VI ყრილობის შედეგების განხილვა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში დაიწყო 1917 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში. 17 აგვისტოს გაიმართა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კონფერენცია. VI ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა პ. ა. ჯაფარიძემ. აღნიშნა რა VI ყრილობის გადაწყვეტილებების ისტორიული მნიშვნელობა როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პრაქტიკული პროგრამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ საჭირო იყო ბრძოლის გაძლიერება ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც კუდში მისჩანჩალებდნენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას. კონფერენციამ ერთხმად მოიწონა ყრილობის გადაწყვეტილებანი და მოს-

თბოვა ბაქოს ბოლშევიკებს გაეჩაღებინათ მუშაობა მასების მობილიზაციისათვის პარტიის ახალი ტაქტიკური ლოზუნგების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

თბილისში გაიმართა ბოლშევიკური ორგანიზაციების საქალაქო და რაიონული კრებები, რომლებზეც მოხსენებებით VI ყრილობის შესახებ გამოდიოდა ს. ი. ქავთარაძე. დასავლეთ საქართველოს (ქუთაისის, ხონის და სხვ.) ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ყრილობის შედეგები გააცნო პ. ა. ჯაფარიძემ. ყველა ორგანიზაციამ მოიწონა პარტიის მიერ აღებული ახალი პოლიტიკური კურსი და თავის საბრძოლო პროგრამად მიიჩნია VI ყრილობის დადგენილებანი.

„ახლა ძალაუფლება ბრძოლით უნდა ავიღოთ, რევოლუციური გზით წავართვათ, გამოვგლიჯოთ. სხვა გამოსავალი არ არის... ძირს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურა! გაუმარჯოს ახალ რევოლუციას! აი სადღეისო ლოზუნგი, აი საბრძოლო ძახილი, აი ხსნის გზა!“[1] — წერდა იმ დღეებში გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“.

VI ყრილობის შემდეგ ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, ინტენსიურ მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ მასთან და იღებდნენ მისგან დირექტივებს. აგვისტოს ბოლოს ბაქოში ჩამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელმაც აზერბაიჯანის ბოლშევიკებს გადასცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო მითითებანი. ხალხმრავალ მიტინგებზე ზაბრათში და ვაგზლისპირა მოედანზე გ. კ. ორჯონიკიძე გამოვიდა სიტყვებით, რომლებშიც მშრომელებს მოუწოდა გათავხედებულ კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყოველი კამპანია, ყოველი ტრიბუნა ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და შემთანხმებელთა მხილებისათვის, მშრომელთა ფართო მასებში ბოლშევიკური იდეების ქადაგებისათვის.

მასებისათვის ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგრეთწოდებულმა მუნიციპალურმა კამპანიამ — საქალაქო თვითმმართველობათა არჩევნებმა. ამ კამპანიის დროს, რომელიც ყველაზე ადრე პეტროგრადში დაიწყო, ვ. ი. ლენინმა ბოლშევიკებს მითითება მისცა ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ მასში, დაეცვათ პროლეტარული პარტიის მუნიციპალური პლატფორმა და ფართო პროპაგანდა გაეწიათ ბოლშევიკური ლოზუნგებისათვის. ვ. ი. ლენინის ამ მითითების განხორციელებისათვის რომ

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 132, 23 августа 1917 г.

იბრძოდნენ, პეტროგრადის ბოლშევიკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს რაიონულ თვითმმართველობათა და ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში.

1917 წლის ზაფხულში დაიწყო მუნიციპალური კამპანია ამერკავკასიაშიც. ბოლშევიკური ორგანიზაციები ჩაებნენ საარჩევნო ბრძოლაში. რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტმა კანდიდატების დამოუკიდებელი სია წამოაყენა. „კავკაზსკი რაბოჩიმ", „ბრძოლამ" და „ბანვორი კრიეგმა" არჩევნების გამო მთელი რიგი სტატიები და მოწოდებები მოათავსეს, ამხილებდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს და ფართო პროპაგანდას უწევდნენ ბოლშევიკურ ლოზუნგებს.

არჩევნები შედგა 30 ივლისს. ბოლშევიკების სიამ 5 ათასი ხმა მიიღო; ქალაქის თვითმმართველობაში ბოლშევიკებისაგან არჩეულ იქნა 7 დეპუტატი. რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის თვითმმართველობაში ბოლშევიკური ფრაქციის შექმნის შესახებ. ამ ფრაქციის ხელმძღვანელობა დაეკალა მ. გ. ცხაკაიას.

ქალაქის თვითმმართველობის პირველსავე სხდომაზე 7 აგვისტოს მ. ცხაკაიამ წარმოთქვა შესავალი სიტყვა და წაიკითხა ბოლშევიკური ფრაქციის დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბებული იყო ძირითადი ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის უნდა ებრძოლათ ბოლშევიკებს ქალაქის თვითმმართველობაში. გაზეთმა „პრავდამ" (მაშინ იგი „პროლეტარის" სახელწოდებით გამოდიოდა) მაღალი შეფასება მისცა თბილისის ბოლშევიკების დეკლარაციას: „ბოლშევიზმის იდეური მოწინააღმდეგენიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ თბილისის დემოკრატიული თვითმმართველობის პირველ სხდომაზე წაკითხული ყველა დეკლარაციიდან გამოირჩეოდა ბოლშევიკების დეკლარაცია, რომელიც ერთადერთი იყო სოციალისტური დეკლარაციის სახელწოდების ღირსი როგორც ქვეყანაში საერთო პოლიტიკური ვითარების სწორი ანალიზით, ისე თავისი მუნიციპალური პროგრამის კონკრეტული ღონისძიებებით"[1].

ქალაქის თვითმმართველობის საარჩევნო კამპანიის პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს ალექსანდროპოლის ბოლშევიკებმა პ. ი. არველაძისა და ბ. ბ. ღარიბჯანიანის ხელმძღვანელობით. 31 ივლისს ბოლშევიკებმა არჩევნებში 2 ათასზე მეტი ხმა მიიღეს. ქალაქის თვითმმართველობაში არჩეულ იქნა 10 ბოლშევიკი, რომლებმაც თვითმმართველობაში დამოუკიდებელი ფრაქცია შექმნეს. 23 აგ-

[1] Газ. «Пролетарий» № 6, 19 августа 1917 г.

ვისტოს, ალექსანდროპოლის საქალაქო თვითმმართველობის პირველი სხდომის გახსნის დღეს, რომელსაც, თვითმმართველობის წევრებს გარდა 300-ზე მეტი მოქალაქე ესწრებოდა, ბოლშევიკურმა ფრაქციამ თავის დეკლარაციაში გადაჭრით წამოაყენა მოთხოვნა მთელი ძალაუფლების ხალხისათვის გადაცემის, მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციისა და გლეხებისათვის გადაცემის შესახებ. დეკლარაციაში მხილებული იყვნენ ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიები, რომლებმაც თავიანთი მმართველობის დროს არაფერი არ მისცეს ხალხს და ქვეყანა დააყენეს ეკონომიური ნგრევისა და ყველა დემოკრატიული თავისუფლების ლიკვიდაციის წინაშე.

ქალაქის თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიაში რსდმპ (ბ) ორგანიზაცია გამოვიდა ბლოკში მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს ობორონცებთან. ბაქოში საარჩევნო კამპანიამ განსაკუთრებით მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო. არჩევნების დროს ბაქოს ბოლშევიკებმა და ნავთობის სარეწების მუშებმა მოითხოვეს, რომ სარეწაო-საქარხნო რაიონები ქალაქისათვის შეეერთებინათ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მასების პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის. ბაქოში საარჩევნო კამპანია 1917 წლის სექტემბერ — ოქტომბრის განმავლობაში გრძელდებოდა.

სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობაში მუშაობას. ახორციელებდა რა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებას „ახალგაზრდობის კავშირის შესახებ", რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტმა ახალგაზრდა მუშებსა და მოსწავლეებს მოუწოდა გაერთიანებულიყვნენ სოციალიზმის დროშის ქვეშ. მალე ბაქოს კომიტეტთან ახალგაზრდობის ორგანიზაცია შეიქმნა.

1917 წლის აგვისტოში თბილისის ბოლშევიკებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 3 სექტემბერს ქალაქის ახალგაზრდობის კრებაზე ჩამოყალიბდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი". კრებაზე მიღებულ იქნა მანიფესტი კავკასიის მთელი მშრომელი ახალგაზრდობისადმი მიმართვით[1].

ახალგაზრდობის ორგანიზაციები შეიქმნა აგრეთვე ქუთაისში, ერევანში, სამტრედიაში, აბაშაში, ხონში, ლანჩხუთსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. „სპარტაკის" ქუთაისის ორგანიზაცია

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 82—83, 86—88.

1917 წელს უშვებდა თავის ორგანო „მესამე ინტერნაციონალს“.

ახალგაზრდობის პირველი რევოლუციური ორგანიზაციების — ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციის ჩანასახის აქტიური მოღვაწენი იყვნენ ს. ხ. ალაპიროვი, დ. მ. ბაბაევი, გ. ო. გუკასიანი, გ. ს. დევდარიანი, ვ. გ. ეგოროვი, დ. კ. კაჭარავა, ბ. დ. ძნელაძე და სხვ.

პარტიის VI ყრილობის შემდეგ ამიერკავკასიაში დაიწყო ორი ახალი ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის გამოსვლა. ეს იყო 18 აგვისტოდან — რსდმპ (ბ) შუშის ორგანიზაციის ორგანო გაზეთი „ნეცუკ“ („დასაყრდენი“), ხოლო 22 აგვისტოდან — რსდმპ (ბ) ალექსანდროპოლის ორგანიზაციის ორგანო — გაზეთი „პრავდა ჟიზნი“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყურადღება მიპყრობილი იყო პეტროგრადზე, სადაც წყდებოდა რევოლუციის ბედი. ივლისის ამბების შემდეგ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, ძალაუფლება რომ ჩაიგდო ხელში, დაიწყო ახალ ღონისძიებათა განხორციელება თავისი ბატონობის განსამტკიცებლად. რევოლუციის ჩახშობის გეგმის შემუშავების მიზნით 12 აგვისტოს ბურჟუაზიამ ესერებისა და მენშევიკების მხარდაჭერით მოსკოვში მოიწვია სახელმწიფო თათბირი. დროებითი მთავრობა გენერალ კორნილოვთან, რომელიც ივლისის ამბების შემდეგ მთავარსარდლად დაინიშნა, საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოებისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. დარწმუნდა რა, რომ დროებითს მთავრობას უნარი არ შესწევდა გასწორებოდა რევოლუციას, კორნილოვმა 25 აგვისტოს ამბოხება მოახდინა მონარქიის რესტავრაციის მიზნით. კორნილოვს მხარი დაუჭირეს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტებმა. ამ კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ დიდი საფრთხე შეუქმნა რევოლუციას. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მტკიცე რევოლუციური ომის წარმოებას კორნილოვის წინააღმდეგ.

ბოლშევიკებმა პეტროგრადის პროლეტარიატი და რევოლუციური ჯარისკაცები დარაზმეს კორნილოვის წინააღმდეგ საბრძოლველად. პეტროგრადი რომ დაიცვა, ბოლშევიკურმა პარტიამ ამით ქვეყანა იხსნა მონარქიის რესტავრაციისაგან, რასაც რეაქციული ძალები ამზადებდნენ. კორნილოვშჩინა დამარცხდა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ძალებმაც, უმთავრესად კავკასიის არმიის რეაქციულმა ოფიცრობამ, დაიწყეს მზადება რევოლუციური ძალების განადგურებისათვის. მაგრამ ბოლშევიკების მიერ მიღებულმა ზომებმა, აგრეთვე პეტროგრადში კორნი-

ლოვის ამბოხების ჩახშობამ ჩაფუშა მათი გეგმები. ამიერკავკასიის ბოლშევიკები მუშებსა და ჯარისკაცებს პეტროგრადის პროლეტარიატისათვის მხარის დაჭერის გეზს აძლევდნენ. 29 აგვისტოს რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის სასწრაფო სხდომაზე მოსმენილ იქნა ს. გ. შაუმიანის მოხსენება კორნილოვის ამბოხების შესახებ. სხდომამ საჭიროდ ცნო ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურ ბიუროში დელეგატებად გაეგზავნა ვ. ი. ნანეიშვილი და ს. მ. ეფენდიევი. გადაწყდა დაუყოვნებლივ შეექმნათ რევოლუციური შტაბი და მისთვის დაეკისრებინათ პრაქტიკული ხელმძღვანელობა. მუშათა და რევოლუციურ ჯარისკაცთა მობილიზაციისათვის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის საწარმოებლად. სხდომამ გადაწყვიტა მოეწყოთ ბაქოს რაიონებში მასობრივი მიტინგები, რათა მუშებისა და ჯარისკაცებისათვის განემარტათ შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა.

ბოლშევიკების ინიციატივით ალექსანდროპოლში, სარიყამიშში, ყარსში, ერევანსა და სხვა ადგილებში შეიქმნა კორნილოველობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიები, რომელთა შემადგენლობაშიც შეიდნენ საბჭოებისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო ცენტრი და თბილისის საქალაქო თვითმმართველობა ბოლშევიკების მოთხოვნით იძულებული გახდნენ მიეღოთ დადგენილება კორნილოვის შეთქმულების წინააღმდეგ. თბილისში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ყოველდღე ეწყობოდა კორნილოველობის წინააღმდეგ მიმართული მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგები. ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის 29 აგვისტოს ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: მზად ვართ „გამოვიდეთ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვებრძოლოთ ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ცდებს“[1].

კორნილოველობის განადგურებამ ძირფესვიანად შეცვალა ვითარება ქვეყანაში; კორნილოველობასთან ბრძოლამ გამოაცოცხლა საბჭოების მუშაობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. დაიწყო სწრაფი პროცესი საბჭოების ბოლშევიზაციისა, მათი გადაქცევისა რევოლუციის მებრძოლ ორგანოებად. 31 აგვისტოს პეტროგრადის საბჭომ, 5 სექტემბერს — მოსკოვისამ, ხოლო შემდეგ რუსეთის სამრეწველო ქალაქების მთელმა რიგმა საბჭოებმა მიიღეს ბოლშევიკური რეზოლუციები. პარტიამ კვლავ დასვა დღის წესრიგში

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 142, 5 сентября 1917 г.

ლოზუნგი, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა შეიარაღებულ აჯანყებას ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. კორნილოველობის წინააღმდეგ ენერგიულმა ბრძოლამ მოაახლოვა სოციალისტური რევოლუციის გაძარჯვება. 1917 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რევოლუციური კრიზისი რუსეთში იმდენად მომწიფდა, რომ ვ. ი. ლენინმა ბოლშევიკური პარტიის წინაშე დააყენა საკითხი ძალაუფლების აღების შესახებ. წერილში რსდმპ (ბ) პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებისადმი ვ. ი. ლენინი წერდა: „რაკი ორივე დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრაველესობა მიიღეს, ბოლშევიკებს შეუძლიათ და კიდეკაც უნდა აიღონ სახელმწიფო ხელიაუფლება“[1].

კორნილოველობის განადგურების შემდეგ რევოლუციურმა მოძრაობამ ამიერკავკასიაში სწრაფი ტემპებით იწყო განვითარება. იზრდებოდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. 18 სექტემბერს თბილისში გაიფიცნენ 12 ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები. 25 სექტემბერს — ყველა თამბაქოს ფაბრიკის მუშები.

საფაბრიკო ინსპექტორების ცნობებით, სექტემბერში თბილისში მოეწყო 18 გაფიცვა, ხოლო ბაქოს გუბერნიაში 1-დან 18 სექტემბრამდე აღინიშნა 57 მნიშვნელოვანი გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 15 ათასამდე მუშა. სექტემბრის გაფიცვების მონაწილეთა ყველაზე დიდ რაოდენობას შეადგენდნენ მენავთობეები — 58,1 პროცენტი. საგაფიცვო მოძრაობა იზრდებოდა აგრეთვე ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

მიუხედავად იმისა, რომ იელის — აგვისტოში ბოლშევიკურად განწყობილი სამხედრო ნაწილები გაყვანილ იქნენ ამიერკავკასიიდან, რევოლუციური მოძრაობა ჯარებში თანდათან ძლიერდებოდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამიერკავკასიაში (თბილისში, ალექსანდროპოლში, ერევანში და სხვ.) გამოიგზავნა 18 ათასი ჯარისკაცი — პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციების მონაწილენი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღეს ლენინური იდეების პროპაგანდა ჯარის ნაწილებში. კორნილოველობის განადგურების შემდეგ რევოლუციურმა მოძრაობამ არმიაში უფრო მწვავე ფორმა მიიღო. ალექსანდროპოლში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხესა და სხვა ადგილებში ჯა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 26, გვ.

რისკაცების კრებებსა და მიტინგებზე ბოლშევიკურ რეზოლუციებს იღებდნენ.

კასპიის სამხედრო მეზღვაურთა პოლიტიკურ განათლებაში ბაქოს ბოლშევიკებს დიდ დახმარებას უწევდნენ ბალტიის მეზღვაურები, რომლებიც ბოლშევიკური საქმიანობის გამო დროებითმა მთავრობამ კასპიის ზღვაზე გადაიყვანა. 1917 წლის 26 აგვისტოს ბაქოს საზღვაო პორტის მეთაური თავის დეპეშაში პეტროგრადს სთხოვდა აღარ გამოეგზავნათ ფლოტილიაში ბალტიელი მეზღვაურები. იგი იუწყებოდა, კრონშტადტელები „მავნე გავლენას ახდენენ ფლოტილიის კომანდის განწყობილებაზეო"[1].

10 სექტემბერს რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის სხდომაზე სპეციალურად განხილულ იქნა საკითხი სამხედროებს შორის მუშაობის შესახებ. საინფორმაციო ცნობით გამოვიდა გ. თ. სტურუა. კომიტეტმა დაავალა იმ ამხანაგებს, რომლებიც არჩეული იყვნენ სამხედროებს შორის მუშაობის საწარმოებლად, უფრო ენერგიულად ემოქმედათ. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ დაეყენებინათ მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოში საკითხი ყაზარმებში ბოლშევიკების დაუბრკოლებლივ გაშვების შესახებ.

ბოლშევიკურ აგიტაციას თავისი ნაყოფი მოჰქონდა, მატროსებში რევოლუციური განწყობილება იზრდებოდა. ბოლშევიკების გავლენამ ფლოტილიაზე განსაკუთრებით სწრაფად იწყო ზრდა გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხების განადგურების შემდეგ. მატროსები კავშირს წყვეტდნენ ესერებთან და მენშევიკებთან და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ.

ძლიერდებოდა აგრეთვე გლეხთა მოძრაობა. გლეხების მიერ მიწების ხელში ჩაგდება სულ უფრო ფართო გაქანებას იღებდა. აგრარულმა მოძრაობამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია ბორჩალოს, ელიზავეტპოლის, ყაზახის, ყუბის, გორისა და თიანეთის მაზრებში.

სექტემბრისათვის ბორჩალოს მაზრის ლორის უბნის გლეხებმა ხელში ჩაიგდეს 150 ათასამდე დესეტინა მიწა[2]. მემამულეთა მოთხოვნით მაზრის ხელისუფლებმა ერთ-ერთ სოფელში გაგზავნეს რაიონული კომისარი 50 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმით და მოითხოვეს გლეხებისაგან, რომ მათ მოთავე დაესახელებინათ. გლეხები უკლებლივ ყველანი გამოვიდნენ თავიანთი სახ-

---

[1] Центральный государственный архив военно-морского флота, ф. 342, оп. 1, д. 8, л. 130.

[2] Газ. «Кавказский рабочий» № 144, 7 сентября 1917 г.

ლებიდან და ერთბმად განუცხადეს რაიონულ კომისარს: „ჩვენ მოთავეები არა გვყავს, ხოლო თუ გინდათ დააპატიმროთ ისინი, ვინც მიწა დაიკავა, დაგვაპატიმრეთ ყველანი, დააპატიმრეთ ჩვენი ცოლ-შვილი, ვინაიდან ეს მიწები ჩვენი სოფლის ყველა გლეხმა დაიკავა“ [1]. რაიონული კომისარი იძულებული გახდა თავის რაზმიანად კუდამოძუებული გამობრუნებულიყო. ელიზავეტპოლის, ყუბისა და სხვა მაზრების მთელ რიგ სოფლებში მოხდა გლეხების შეიარაღებული შეტაკებანი დამსჯელ რაზმებთან.

მაგრამ მთლიანად ამიერკავკასიაში საბჭოების ბოლშევიზაცია ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მენშევიკები და ესერები, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ გავლენა მასებზე, მაგრად ებღაუჭებოდნენ საბჭოების ადგილობრივ და სამხარეო ცენტრებს. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მათს გადარჩევას მოითხოვდნენ. პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით ყველაზე ადრე გადაიდგა ბაქოში, სადაც მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოში ბოლშევიკები თუმცა უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ ფაქტიურად წარმართავდნენ მის საქმიანობას.

გაზეთმა „ბაკინსკი რაბოჩიმ“ 3 სექტემბერს მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდა დაუყოვნებლივ გადაერჩიათ დემორალიზებული და გახრწნილი საბჭო, რომელსაც უნარი არ შესწევდა დაეცვა მშრომელთა ინტერესები.

ბაქოს საბჭოს დეპუტატებისათვის განაწესის შესადგენად რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტმა გამოჰყო კომისია მ. ვ. ბასინის, ი. დ. ზევინისა და გ. თ. სტურუას შემადგენლობით.

ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა აგრეთვე ალექსანდროპოლის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, შუშის, ელიზავეტპოლისა და სხვა ქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისათვის.

აჯანყებისათვის მზადება რომ ჩაეშალათ, ესერებმა და მენშევიკებმა ახალ ცდას მიმართეს რევოლუციური ძალების მობილიზაციის შესაჩერებლად. ისინი მხარს უჭერდნენ დროებითი მთავრობის იდეას 14 სექტემბერს პეტროგრადში დემოკრატიული თათბირის მოწვევის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ თათბირის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნა რესპუბლიკის დროებითი საბჭო, ე. წ. წინაპარლამენტი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის არყოფნისას ერთბაშად ვერ შეძლო გარკვეულიყო სექტემბრის ამბების რთულ ვითარებაში, მიეცა პარტიული ორგანი-

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 165, 5 октября 1917 г.

ზაციებისათვის მითითება წინაპარლამენტის ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ. 29 სექტემბერს ბაქოს საერთო-საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ მიიღო მცდარი რეზოლუცია წინაპარლამენტში მონაწილეობის შესახებ. მალე რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებს და სძლევდა რა კამენევისა და სხვა კაპიტულანტების წინააღმდეგობას, მიიღო გადაწყვეტილება წინაპარლამენტისაგან ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ. ამის შემდეგ რსდმპ (ბ) ბაქოს ორგანიზაციამ გადაჭრით დაუჭირა მხარი ვ. ი. ლენინს წინაპარლამენტის ბოიკოტის საკითხში.

1917 წლის სექტემბერში ბაქოს მუშებმა განაახლეს ენერგიული ბრძოლა ნავთობის მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადებისათვის. ამ ბრძოლამ, რომელიც ნახევარ წელიწადს გრძელდებოდა. აიძულა რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი ბაქოელი მუშები მიემართათ ნაცადი საშუალებისათვის — საყოველთაო გაფიცვისათვის. 10 — 22 სექტემბერს ოთხჯერ იქნა მოწვეული სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენცია ნავთობის მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხზე. 22 სექტემბერს კონფერენციის სხდომაზე პ. ა. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით (ესწრებოდა 600-ზე მეტი კაცი) განხილულ იქნა მრეწველთა პასუხი, რომლებმაც უარი განაცხადეს შეესრულებინათ მუშების მოთხოვნები და ხელი მოეწერათ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება 27 სექტემბერს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ და დაისახა ღონისძიებანი მისი ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

თავდაპირველად. იმ მომენტში, როცა პარტია ძალებს იკრებდა შეიარაღებული აჯანყებისათვის, ბოლშევიკები უარყოფითად ეკიდებოდნენ საყოველთაო გაფიცვას. 24 სექტემბერს ეს საკითხი განიხილა პარტიის ბაქოს კომიტეტმა და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენი პარტია, ითვალისწინებდა რა ობიექტურ პირობებს, გაფიცვის წინააღმდეგი იყო. მაგრამ ახლა, როცა ჩვენ გაფიცვის გარდუვალობის წინაშე აღმოვჩნდით, ჩვენ მას მხარს ვუჭერთ და აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ მის ორგანიზებულად ჩატარებაში (სარეწების დაცვა, როგორც ბაქოს, ისე სხვა ქალაქების მუშებისათვის ფართო ინფორმაციის მიწოდება გაფიცვის მიმდინარეობაზე და ა. შ.).

ვაღიარებთ რა, რომ მასა დიდხანს ვერ იქნება გაფიცული. როგორც ადგილობრივი ცხოვრების პირობების გამო, ისე საერთო-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის მიხედვით (სათბობის ნაკლე-

ბობა), ჩვენ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად მიგვაჩნია ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია"[1].

გაფიცვის უშუალო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ცენტრალური და რაიონული საგაფიცვო კომიტეტები. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ პ. ა. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), მ. ა. აზიზბეკოვი. მ. ვ. ბასინი. ი. ტ. ფიოლეტოვი და სხვ. ბოლშევიკურმა ორგანიზაცია „ჰუმეთმაც" გაგზავნა თავისი წევრები საგაფიცვო კომიტეტებისათვის დახმარების გასაწევად.

ბაქოს პროლეტარიატის წინააღმდეგ შეკავშირდნენ მთელი რეაქციული ძალები, რომლებსაც მენშევიკები და ესერები ეხმარებოდნენ. მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭოებმა ბაქოში გაგზავნეს თავ-თავიანთი წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ დაეჯერებინათ მუშები უარი ეთქვათ გაფიცვაზე. მაგრამ ამ მისიას წარმატება არა ჰქონია.

საგაფიცვო კომიტეტმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. 27 სექტემბერს დაიწყო ბაქოს ნავთობსამრეწველო რაიონის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 65 ათასზე მეტმა კაცმა. გაფიცულებს მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიეს კასპიის ფლოტილიის მატროსებმა. გარნიზონის რევოლუციურმა ჯარისკაცებმა. პროფესიულმა კავშირებმა. გაფიცულ მენავთობეებს თანაუგრძნობდნენ ბაქოს, მთელი ამიერკავკასიის მშრომელნი. საგაფიცვო კომიტეტი ყოველდღე უშვებდა ფურცლებს. ამხნევებდა გაფიცულთ და აწვდიდა ცნობებს ყველა უბანზე გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ. გაფიცულნი უსიტყვოდ ასრულებდნენ ყველა განკარგულებას, რასაც იძლეოდნენ ცენტრალური და რაიონული საგაფიცვო კომიტეტები, რომლებიც ფაქტიურად ახალი, ჩასახვის პროცესში მყოფი ხელისუფლების ორგანოებად გადაიქცნენ.

გაფიცვა 6 დღეს გრძელდებოდა. ბაქოს მუშების ორკანიზებულმა და ერთსულოვანმა გამოსვლამ აიძულა ნავთობის მრეწველები 2 ოქტომბერს ხელი მოეწერათ წინასწარი შეთანხმებისათვის კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის განკარგულებით მეორე დღეს მუშაობა განახლდა.

ბაქოს მუშების გამარჯვების დღეს თბილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი კრება, რომელიც

---

[1] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг., Баку, 1957, стр. 141.

მიესალმა ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს და მოუწოდა მას მომზადებულიყო ახალი ბრძოლისათვის.

ბაქოს მუშების სექტემბრის გაფიცვამ მთელი რუსეთის პროლეტარიატის ყურადღება მიიპყრო. აღნიშნავდა რა მის მნიშვნელობას, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმა „ქალაქ ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს, რომელმაც აშკარა ბრძოლაში სძლია ორგანიზებულ კაპიტალს"[1]. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „რაბოჩი პუტმა" ბაქოს მუშების ბრძოლას მიუძღვნა სტატია სათაურით „ისწავლეთ ბაქოელებისაგან!". სტატიაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „...ბაქოს პროლეტარიატი კვლავ, როგორც 1905 წელს, პროლეტარიატის პირველ რიგში დგება".[2]

სექტემბრის გაფიცვა ბაქოს მუშების წინა საყოველთაო გაფიცვებისაგან განსხვავდებოდა თავისი ორგანიზებულობით, დისციპლინით, მასობრიობით, ვაფიცულთა ერთსულოვნებით, რის გამო მას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. იმ დღეებში, როცა ბოლშევიკური პარტია შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა, ბაქოს მუშათა ამ გრანდიოზულმა გაფიცვამ სერიოზული დარტყმა მიაყენა არა მარტო ნავთობის მრეწველთ, არამედ მთელი რუსეთის ბურჟუაზიასაც, კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობას.

გაფიცვის შემდეგ ძალთა თანაფარდობა ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოში მკვეთრად შეიცვალა. მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური პოლიტიკის დამარცხებამ გააძლიერა ბოლშევიკების ავტორიტეტი და გავლენა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს რსდმპ (ბ) VI ყრილობის საფუძველზე უნდა განესაზღვრათ მათ წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანები — მჭიდროდ შეეკავშირებინათ თავიანთი რიგები და დაერაზმათ მასები სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად. მაგრამ ერთიანი ხელმძღვანელი პარტიული ცენტრის უქონლობა აძნელებდა ამ ამოცანის განხორციელებას. მხოლოდ მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობას შეეძლო გადაეწყვიტა პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და იდეურ-ორგანიზაციული შეკავშირების ამოცანა. ყრილობის ინიციატორებად კვლავ გამოვიდნენ რსდმპ (ბ) თბილისისა და ბაქოს კომიტეტები. 1917 წლის 22 აგვისტოს მ. გ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით შედგა რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის სხდომა ბაქოს და ქუთაისის კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სხდო-

---

[1] Газ. «Рабочий путь» № 29, 6 октября 1917 г.

[2] Газ. «Рабочий путь» № 33, 11 октября 1917 г.

ჰამ მიიღო პ. ა. ჯაფარიძის წინადადება 1917 წლის 15 სექტემბერს სრულიად კავკასიის პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ, დაადგინა წარმომადგენლობის ნორმები, დაამტკიცა დღის წესრიგი, გამოჰყო მომხსენებლები ძირითად საკითხებზე და აირჩია ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო. ბაქოს ორგანიზაციას უნდა შეექმნა განსაკუთრებული ბიურო, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია საორგანიზაციო ბიუროსათვის წინასაყრილობო მუშაობაში ბაქოს გუბერნიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

მიმართვაში, რომელიც ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო ბიურომ 5 სექტემბერს გამოაქვეყნა, ხაზგასმული იყო მომავალი ყრილობის დიდი მნიშვნელობა, მისი არსებითი საჭიროება ბოლშევიკური პარტიის გაელენის გაძლიერებისა და კავკასიაში მისი ორგანიზაციების ზრდის პირობებში. ყრილობის ამოცანას შეადგენდა პარტიული ორგანიზაციების გაერთიანება, კავკასიის ორგანიზაციების მუშაობის შედეგების შეჯამება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, სამხარეო პარტიული ცენტრის შექმნა. მიმართვა ყველა ბოლშევიკურ ორგანიზაციასა და ჯგუფს მოუწოდებდა გამოეგზავნათ ყრილობაზე თავიანთი წარმომადგენლები.

ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღებული იყო, მაგრამ 15 სექტემბერს მისი მოწვევა არ მოხერხდა იმის გამო, რომ პეტროგრადს გაუგზავნა ორი ძირითადი მომხსენებელი — მ. გ. ცხაკაია და ს. გ. შაუმიანი. საორგანიზაციო ბიურომ სასწრაფოდ შეატყობინა პარტიულ ორგანიზაციებს და პრესაში გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ყრილობა გადატანილი იყო 1 ოქტომბრისათვის. 19 სექტემბერს რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტმა განიხილა ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები და გამოჰყო სათადარიგო მომხსენებლები.

დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა ბაქოში. სექტემბერში რსდმპ (ბ) ბაქოს ორგანიზაციამ ორჯერ განიხილა ეს საკითხი საქალაქო კონფერენციებზე, გამოქვეყნდა სპეციალური მოწოდება პარტიის წევრებისადმი, რომელშიც განმარტებული იყო კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მომავალი ყრილობის დიდი მნიშვნელობა.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა მიმდინარეობდა თბილისში 1917 წლის 2 — 7 ოქტომბერს. ყრილობას დაესწრო 30 დელეგატი, მათგან გადამწყვეტი ხმით — 27 (19 ორგანიზაციისაგან) და სათათბირო ხმით — 3 დე-

ლეგატი (5 ორგანიზაციისაგან)[1], რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 8.636 წევრს. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ თბილისის, ბაქოს, ალექსანდროპოლის, ქუთაისის, ბათუმის, ელიზავეტპოლის, ფოთის, გორის, ახპატის, ალავერდის, ყარსის, სარიყამიშის, ტრაპიზონის, ტუაფსეს, ეკატერინოდარის, კისლოვოდსკ — პიატიგორსკის, შერეფხანეს, შუშის, ზუგდიდის, ჩოხატაურ — ხიდისთაე — ერკეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები და 1-ლი მეტყვიამფრქვევთა პოლკის ჯგუფები[2].

ყრილობა გახსნა ფ. ე. მახარაძემ. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება VI პარტიული ყრილობისა და პარტიული ცენტრის შესახებ (ს. ი. ქავთარაძე); 2. მოხსენებები ადგილებიდან; 3. მიმდინარე მომენტი (ს. გ. შაუმიანი); 4. დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ (დ. ა. შავერდოვი და გ. ნ. ყორღანოვი); 5. ეროვნული საკითხი (მ. გ. ტოროშელიძე). 6 აგრარული საკითხი (ფ. ე. მახარაძე); 7. პარტიული პრესის შესახებ (ა. ნ. ათაბეკოვი); 8. ორგანიზაციული საკითხები; 9. არჩევნები; 10. სხვადასხვა.

პირველ საკითხზე კამათი არ ყოფილა. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობამ მთლიანად მოიწონა პარტიის VI ყრილობის პოლიტიკური ხაზი და თავისი მოღვაწეობის პროგრამად ცნო მისი გადაწყვეტილებანი, აგრეთვე ვ. ი. ლენინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი.

ადგილებიდან მოხსენებებით გამოვიდა თითქმის ყველა დელეგატი, რომლებმაც აცნობეს ყრილობას ბოლშევიკური ორგანიზაციების რაოდენობრივი ზრდა და მშრომელთა ფართო მასებში მათი გავლენის გაძლიერება, ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და შემთანხმებლურ პარტიებთან მათი გავლენისაგან მასების განთავისუფლებისათვის. მოყვანილი იყო აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდათ ბოლშევიკებს მუშაობა, ბურჟუაზიული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და კონტრრევოლუციური პარტიე-

---

[1] სათათბირო ხმით ყრილობაზე დაშვებული იყო აგრეთვე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ბოლშევიკური ფრაქციების 6 წარმომადგენელი, გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის“, „ბრძოლის“, „ბანეორი კრივის“ სარედაქციო კოლეგიების თითო წარმომადგენელი და ერთი ბოლშევიკი კავკავის ორგანიზაციიდან.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 103.

ბის მხრივ დევნისა და შევიწროების გამო. მიუხედავად ამისა, როგორც დელეგატები ადასტურებდნენ, ბოლშევიკური ლოზუნგები ღრმად იჭრებოდა მასების შეგნებაში, მწიფდებოდა პირობები მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების შემთანხმებლური საბჭოების გადარჩევისათვის, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღებისათვის. „მასა ჩვენს მხარეზეა..., — განაცხადა ალექსანდროპოლის ორგანიზაციის დელეგატმა პ. ი. არველაძემ, — მთელი ძალები უნდა დავძაბოთ და გავიმარჯვებთ“[1].

ყრილობამ დიდი უურადღებით მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, რომელიც გააკეთა ის ის იყო პეტროგრადიდან დაბრუნებულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ს. გ. შაუმიანმა. მან ღრმა ანალიზი გაუკეთა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, დაწვრილებით გააშუქა შეიარაღებული აჯანყების მომზადების კურსი, რომელიც პარტიის VI ყრილობამ აიღო, გააცნო დელეგატებს ვ. ი. ლენინის მითითებანი და ცენტრალური კომიტეტის დირექტივები ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი საბჭოების მიერ ძალაუფლების დაპყრობისათვის მზადების შესახებ.

რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ მხილებული და სასტიკად დაგმობილი იყო პოლიტიკა დროებითი მთავრობისა და შემთანხმებლებისა, რომლებმაც ქვეყანა ნგრევამდე და მშროველთა სრულ გაღატაკებამდე მიიყვანეს. ყრილობამ მოუწოდა მუშებს, ჯარისკაცებსა და რევოლუციურ გლეხობას არავითარი მხარდაჭერა არ გაეწიათ კონტრრევოლუციური მთავრობისათვის, დემოკრატიული თათბირისა და წინაპარლამენტისათვის. გაბედულად ებრძოლათ ძალაუფლების მოპოვებისათვის და ქვეყნის გადარჩენისათვის დაღუპვისაგან.

რეზოლუცია მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს მიეღწიათ ადგილებზე საბჭოების განმტკიცებისათვის მათი შემადგენლობის განახლების გზით და მათი ძალაუფლების რაც შეიძლება მეტად გაფართოებისათვის.

ყრილობაზე ცხარე კამათი გაჩაღდა დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხზე. საჭირო იყო ადგილებზე ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის სწორი ორიენტაციისა და ამ საკითხზე საჭირო მითითებების მიცემა. ეს უაღრესად საჭირო იყო იმიტომაც, რომ ზოგიერთი დელეგატი მცდარ პოზიციაზე იდგა: ზოგნი გადაჭარბებით აფასებდნენ დამფუძნებელი კრების როლს, სხვები არავი-

---

[1] «Известия Совета рабочих и солдатских депутатов г. Тифлиса» № 151, 6 октября 1917 г.

თარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ბოლშევიკების მონაწილეობას ამ ორგანოს არჩევნებში.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობამ დაიკავა სწორი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობდა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. ყრილობამ მოუწოდა ყველა ორგანიზაციას ეწარმოებინათ უაღრესად ენერგიული მუშაობა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, ფართოდ გაეშალათ რევოლუციური პროგრამის პროპაგანდა და რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი შემოეკრიბათ ბოლშევიკების გარშემო.

ყრილობის რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დამფუძნებელი კრების არჩევნებში დამოუკიდებლად უნდა გამოვიდნენ და რომ დასაშვებია შეთანხმებათა დადება, მხოლოდ ისეთ ინტერნაციონალისტურ ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან, რომლებმაც ობორონცებთან ორგანიზაციული კავშირი გაწყვიტესო. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მოსამზადებლად არმიაში.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნული საკითხის განხილვას, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალეროვანი კავკასიის პირობებში. მ. გ. ტოროშელიძის მოხსენება შეიცავდა ზოგიერთ მცდარ დებულებას. მან სწორად ვერ განსაზღვრა პარტიის ამოცანები ეროვნულ საკითხში. მოხსენებაში არ იყო გათვალისწინებული პარტიის უკანასკნელი დადგენილებანი ამ საკითხზე. მ. ტოროშელიძემ კავკასიისათვის წამოაყენა საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნა. ამ საკითხის გარშემო ცხარე კამათი გაჩაღდა. ზოგიერთი დელეგატი ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ გამოდიოდა. თავის გამოსვლებში ს. გ. შაუმიანი მკაფიოდ განმარტავდა პარტიის ძირითად დებულებებს ამ საკითხზე. პარტიის პროგრამისა და რსდმპ (ბ) აპრილის სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილებების შესაბამისად სამხარეო ყრილობამ მხარი დაუჭირა ერთა თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე და მოითხოვა დროებითი მთავრობისაგან დაუყოვნებლივ ეცნო ეს უფლება რუსეთში მცხოვრები ყველა ერისათვის. „ამასთან ერთად ყრილობა აცხადებს, — აღნიშნული იყო რეზოლუციაში, — რომ იგი კავკასიის ეროვნებებს არ ურჩევს არც გამოყოფას, არც ფედერაციულ სახელმწიფოთა შექმნას. პირიქით, ვიღებთ რა მხედველობაში ერთა და ტომთა სიჭრელესა და მრავალრიცხოვნობას, აგრეთვე მათს ერთმანეთში აღრეულობას ჩვენს მხარეში და, მეორე მხრივ, გამოვდივართ რა კავკასიაში მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებიდან, ჩვენ უაღ-

რესად მჭიდრო ერთიანობისა და დაახლოებისაკენ მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას განურჩევლად ეროვნებისა"[1].

ყრილობამ ცნო, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მანამდე, სანამ მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში არ გადავა. აპრილის კონფერენციის დადგენილებების შესაბამისად ყრილობამ მხარი დაუჭირა მთელი მიწების ნაციონალიზაციას და ხალხის ხელში გადაცემას. „პარტია მხარს უჭერს იმას, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — რომ მემამულეთა მთელი მიწები (მათ შორის საკაბინეტო, საუფლისწულო, ხანების, ბეგების, აღალარებისა და სხვები, აგრეთვე სამონასტრო, საეკლესიო, საეკუფო) დაუყოვნებლივ, დამფუძნებელ კრებამდე, გადაეცეს გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ან გლეხთა კომიტეტებს, რომლების ხელშიც გადადის მთელი ამ მიწების გამგებლობის უფლება"[2]. რეზოლუციაში განსაზღვრული იყო აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებანი ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

ყრილობამ მოუწოდა მშრომელ გლეხობას რევოლუციური ბრძოლისაკენ მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აგრეთვე შემთანხმებლების წინააღმდეგ, რომლებიც უბიძგებდნენ მათ შემარიგებელი კამერების მოწყობისაკენ. ყრილობამ მოსთხოვა კავკასიის ბოლშევიკებს გაეძლიერებინათ პროპაგანდა უღარიბეს გლეხობაში, განემარტათ მისთვის ბოლშევიკური აგრარული პოლიტიკა.

ბოლშევიკური სამხარეო ყრილობის პარალელურად თბილისში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მენშევიკური ორგანიზაციების საოლქო ყრილობა, რომელმაც ბოლშევიკურ ყრილობას წინადადება მისცა გაერთიანებულიყვნენ. კავკასიის ბოლშევიკების ყრილობამ ეს წინადადება უარყო. „მენშევიკების პარტია, — ნათქვამი იყო ყრილობის რეზოლუციაში, — წარმოადგენს გაკოტრებული ბელადების ორგანიზაციას, რომლებიც რევოლუციის მსვლელობამ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისაკენ გადაისროლა"[3].

ყრილობამ მოსთხოვა ბოლშევიკებს, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ გაერთიანებულ ორგანიზაციებში, დაუყოვნებლივ და სავსებით გაეწყვიტათ კავშირი მენშევიკებთან და შეექმნათ დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 106.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] Резолюции Кавказского краевого съезда РСДРП (большевиков). стр. 15.

დიდი ყურადღება მიექცა საკითხს არმიაში მუშაობის შესახებ. გ. ნ. ყორღანოვის მოხსენების საფუძველზე ყრილობამ დასახა ღონისძიებანი ამ მუშაობის გაძლიერებისათვის. სამხარეო კომიტეტთან შეიქმნა კავკასიის არმიის რსდმპ (ბ) ორგანიზაციების დროებითი ბიურო, რომელსაც ევალებოდა მოეწვია კავკასიის არმიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა. ყრილობამ მოიწონა კავკასიის მხარისა და ფრონტის რსდმპ (ბ) სამხედრო ორგანიზაციების წესდების პროექტი. წესდება უნდა დაუმტკიცებინა არმიის ბოლშევიკურ ყრილობას.

პარტიული პრესის საკითხის განხილვისას ყრილობაზე წამოყენებულ იქნა წინადადება რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ორგანოების — „კავკაზსკი რაბოჩის", „ბრძოლისა" და „ბანვორი კრივის" რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანოებად გარდაქმნის შესახებ. გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" ცნობილ იქნა კავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანოდ. ორი სხვა გაზეთის საკითხი ყრილობამ განსახილველად გადასცა სამხარეო კომიტეტს [1].

ყრილობამ კავკასიის ყველა ბოლშევიკური ორგანიზაცია ერთიან ორგანიზაციად გააერთიანა და აირჩია რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ა. ნ. ათაბეკოვის, პ. ა. ჯაფარიძის, ს. ი. ქავთარაძის, ფ. ე. მახარაძის. მ. დ. ორახელაშვილის, დ. ა. შაველდოვის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის და სხვათა შემადგენლობით.

ყრილობამ ვ. ი. ლენინს გაუგზავნა მგზნებარე მისალმება, რომელშიც გამოთქმული იყო ღრმა აღშფოთება მისი დევნის გამო კონტრრევოლუციონერების მხრივ. „ყრილობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს, — ნათქვამია მისალმებაში, — რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავიანთი ახალი რევოლუციით მილიუკოვებისა და მათი ლაქია კერენსკების უღელს მოიშორებენ და ამხანაგ ლენინსაც შეუქმნიან შესაძლებლობას ამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და დაიკავოს თავისი პოსტი ჩვენი პარტიის ბელადისა, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადისა"[2].

კავკასიის ბოლშევიკების პირველმა სამხარეო ყრილობამ მკაფიოდ განსაზღვრა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ამოცანები შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდში. ეს ამო-

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" (17 ოქტომბრიდან), გაზ. „ბრძოლა" (1 ნოემბრიდან), გაზ. „ბანვორი კრივ" (24 ნოემბრიდან) გამოდიოდნენ როგორც რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანოები. ნოემბრიდან „ბრძოლა" და „ბანვორი კრივ" ყოველდღიური გაზეთები გახდნენ.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 108.

ცანები მთლიანად გამომდინარეობდა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ცენტრალური კომიტეტის დირექტივებიდან. თავის წერილში კავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წერდა: „მივესალმებით კავკასიის სამხარეო კომიტეტს და ვუძღვნით რევოლუციის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მომენტში პარტიის გაერთიანებისა და მშენებლობის საუკეთესო სურვილებს"[1]. ყრილობამ ერთიანად შეაკავშირა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები და მათ მთავარ ამოცანად განსაზღვრა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

4. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება

ახორციელებდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის სამხარეო ყრილობის მითითებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გააჩაღეს სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობა მუშებში, გლეხებსა და ჯარისკაცებში, რაზმავდნენ მათ კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის დამხობისათვის, მთელი ძალაუფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლისათვის საბრძოლველად.

მხარის საბჭოები, სადაც ჰარბობდნენ წარმომადგენლები შემოთანხმებლური პარტიებისა, რომლებიც საბოლოოდ გადავიდნენ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხარეზე, საჭირო იყო გაეწმინდათ მენშევიკებისა და ესერებისაგან და გადაექციათ რევოლუციური ხელისუფლების ნამდვილ ორგანოებად.

1917 წლის ოქტომბრის დამდეგს ამიერკავკასიის ბოლშევიკები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას იმის შესახებ, რომ გაეჩაღებინათ ბრძოლა საბჭოების გადარჩევისათვის მათი ბოლშევიზაციის მიზნით, საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევისათვის.

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა (ბოლშევიკებისა) ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიმართა მოწოდებით სათავეში ჩადგომოდნენ მუშაობას კავკასიის ყველა საბჭოსაგან საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობაზე დელეგატების არჩევნებისათვის და

---

[1] Переписка Секретариата ЦК РСДРП(б) с местными партийными организациями (ноябрь 1917 г. — февраль 1918 г.). Сборник документов. М., 1957, стр. 7.

მიელწიათ იმისათვის, რომ დელეგატებად ბოლშევიკები აერჩიათ. „ამხანაგებო! — ნათქვამი იყო მიმართვაში, — ნუ დაანებებთ ობორონცებს მოგწყვიტონ რუსეთის რევოლუციურ მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს“[1].

საკითხი საბჭოების გადარჩევისა და საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ განხილულ იქნა ადგილობრივი პარტიული კომიტეტების სხდომებზე, სადაც იღებდნენ მოქმედების კონკრეტულ გეგმებს. ამიერკავკასიის ბოლშევიკები აწყობდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ხალხმრავალ კრებებს, რომლებზეც გამოდიოდნენ მოხსენებებით მიმდინარე მომენტზე, მომავალი სოციალისტური რევოლუციის ამოცანებზე. საბჭოების ბოლშევიზაციისათვის ბრძოლამ ამიერკავკასიის ქალაქებსა და მაზრებში ფართო გაქანება მიიღო.

7 ოქტომბერს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკურმა ფრაქციამ შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც განსაზღვრული იყო ბოლშევიკების წინასაარჩევნო ტაქტიკა. უარყოფდნენ რა ბურჟუაზიასთან კოალიციის პრინციპს, ბოლშევიკები აცხადებდნენ, რომ მთელი ძალღონით მოითხოვდნენ ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში, და მთელ რევოლუციურ ძალებს მოუწოდებდნენ ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მომზადებაში, რამდენადაც საბჭოები წარმოადგენდნენ ერთადერთ რეალურად არსებულ ორგანოებს, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ მტკიცე რევოლუციური ხელისუფლება.

8 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის სხდომამ განიხილა მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოს გადარჩევის საკითხი. მიღებულ იქნა დადგენილება შესდგომოდნენ საარჩევნო კამპანიას, მოეწვიათ წინასაარჩევნო გაფართოებული პარტიული კრებები რაიონებში, გულდასმით შეერჩიათ დეპუტატობის კანდიდატები, შეექმნათ რაიონული საარჩევნო კომისიები, მოეწყოთ კრებები და მიტინგები ბოლშევიკ კანდიდატთა სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად. ამ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა განაწესი ბაქოს საბჭოს დეპუტატებისათვის, რომელიც შედგენილი იყო პარტიის ბაქოს კომიტეტის კომისიის მიერ. ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ წინასაარჩევნო კრებებს მშრომელთა დასარაზმავად ლენინური ლოზუნგების გარშემო.

მშრომელებსა და ჯარისკაცებში დიდი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს პარტიის ყარსისა და ალექსანდრო-

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 171, 12 октября 1917 г.

პოლის კომიტეტებმა. 8 ოქტომბერს ალექსანდროპოლის მშრომელთა საქალაქო კრებაზე და 9 ოქტომბერს გარნიზონის ჯარისკაცთა კრებაზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ს. გ. შაუმიანმა. იგი მოუწოდებდა დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ. გაზეთ „რაბოჩი პუტის“ რედაქციისათვის გაგზავნილ დეპეშაში ს. გ. შაუმიანი იუწყებოდა, ქალაქის ოციათასიანი გარნიზონი მთლიანად ბოლშევიკების მხარეზეაო[1].

იმავე დღეს ს. გ. შაუმიანი გამოვიდა ალექსანდროპოლის მაზრის გლეხთა ყრილობის გახსნაზე. თავის სიტყვაში მან ამხილა დროებითი მთავრობისა და შემთანხმებლური პარტიების კონტრრევოლუციური პოლიტიკა აგრარულ საკითხში და მოუწოდებდა გლეხებს მუშებთან და ჯარისკაცებთან ერთად ებრძოლათ ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ბოლშევიკებმა ყარსის გარნიზონიც დაიპყრეს. ბოლშევიკების ყარსის კომიტეტის მდივანი ი. ვ. ლავრენტიევი 14 ოქტომბერს ატყობინებდა რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს: „განწყობილება გარნიზონში მკვეთრად შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ, ჩვენ დიდი ხალისით გვისმენენ და განსაკუთრებული წარმატება აქვს ჩვენს მოხსენებებს „მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“. გამოცემას „ლენინი მიწის შესახებ“ პირდაპირ იტაცებენ და საერთოდ ჩვენს ლიტერატურაზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ლიტერატურა არ არის“[2].

რსდმპ (ბ) ელიზავეტპოლის საქალაქო და სამხედრო ორგანიზაციის 1917 წლის 14 ოქტომბრის საერთო კრებამ, რომელმაც მოისმინა ა. ა. მრავიანის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა გადაერჩიათ ელიზავეტპოლის შემთანხმებლური საბჭო, რომელიც ბოიკოტს უცხადებდა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობას.

მრავალი პარტიული კრება და მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგები, რომლებიც იმ დღეებში გაიმართა, მოწმობდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა მასის მნიშვნელოვანი ნაწილი შორდებოდა მენშევიკებსა და ესერებს და გადაჭრით გადადიოდა ბოლშევიკების მხარეზე, მიესალმებოდა და იღებდა მათს ლოზუნგებს.

---

[1] Газ. «Рабочий путь» № 35. 13 октября 1917 г.

[2] Переписка Секретариата ЦК РСДРП(б) с местными партийными организациями. (Март — октябрь 1917 г.). Сборник документов. М., 1957, стр. 365.

20 ოქტომბერს ბაქოს ბალახანის რაიონის სარეწაო-საქალაქო კომისიების კონფერენციამ, რომელიც მუშათა მრავალათასიანი მასის ნებას გამოხატავდა, მოითხოვა ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში, მუშების შეიარაღება და წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესება.

ბოლშევიკური რეზოლუციები მიღებულ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზების მთავარი სახელოსნოების მუშათა, თბილისის არსენალის რაიონის მშრომელთა მიტინგებზე, კავკასიის ზურგის საავტომობილო სახელოსნოს, კავკასიის მსროლელი საარტილერიო ბრიგადის, კავკასიის 1-ლი მუშათა ბატალიონის მე-6 ასეულისა და კავკასიის არმიის სხვა ნაწილების საერთო კრებებზე. იმ დღეებში რსდმპ (ბ) კავკასიის სამხედრო ორგანიზაციების დროებითმა ბიურომ კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით უფრო მჭიდროდ დაერაზმათ თავიანთი რიგები ბოლშევიზმის წითელი დროშის ქვეშ და მზად ყოფილიყვნენ ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის.

საბჭოების დაპყრობისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბაქოს ბოლშევიკებმა. კასპიის მატროსებმა და სამხედრო პორტის მუშებმა მხარი დაუჭირეს ბოლშევიკების ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ ოქტომბერში კასპიელმა მატროსებმა ცენტროფლოტს ასეთი განაწესი გაუგზავნეს: „ჩვენ კასპიის სამხედრო ფლოტის მეზღვაურები, ვაცხადებთ: ქმარა ავანტიურისტ კერენსკის მიერ შედგენილი ყბადაღებული კოალიციობანას თამაში. ჩვენ მოვითხოვთ ცენტრში და ადგილებზე მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადაცემას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“[1]. 13 ოქტომბერს ბაქოს საბჭოს მენშევიკურ-ესერული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც საბოლოოდ გაიტეხა სახელი მუშათა მასების წინაშე, იძულებული გახდა გადამდგარიყო. „ის, რასაც ახალი გადარჩეული საბჭოსაგან მოველოდით, წერდა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ — გააკეთა ძველმა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე. ხელის ერთი მოძრაობით საბჭომ გადააყენა ობორონცებისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც რვა თვის განმავლობაში არათუ არაფერი არ გაუკეთებია რევოლუციის საქმისათვის. არამედ ყოველნაირადაც აფერხებდა შეგნებული პროლეტარიატის დამოუკიდებელ მუშაობას“[2]. იმავე დღეს საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა დროებითი აღ-

---

[1] „Боевые и революционные традиции моряков Краснознаменной Каспийской флотилии, Баку, 1960, стр. 50.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 67, 18 октября 1917 г.

ძასრულებელი კომიტეტი ს. გ. შაუმიანის მეთაურობით. ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა.

15 ოქტომბერს შედგა ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატების გაფართოებული საბჭოს სხდომა სარეწაო-საქარხნო კომისიების კონფერენციის წარმომადგენლებთან ერთად. გაფართოებულმა საბჭომ მხარი დაუჭირა ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. საბჭომ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელმაც შეკრიბა 284 ხმა წინააღმდეგ 55-ისა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „საჭიროა ჩამოვართვათ ძალაუფლება ხალხის მტრებს და გადავცეთ იგი თვით ხალხს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სახით“ [1]. გადაწყდა მონაწილეობა მიეღოთ საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაში და გაეგზავნათ ყრილობაზე თავიანთი დელეგატები. ბაქოს საბჭომ სამი ბოლშევიკი აირჩია საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებად.

ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა საბჭოს გადარჩევა ალექსანდროპოლში. 14 ოქტომბერს რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და მშრომელი მასების ზეგავლენით ალექსანდროპოლის საბჭოს აღმასკომის ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობა გადადგა. მეორე დღეს გაფართოებული საბჭოს სხდომამ განიხილა ბოლშევიკების წინადადება საბჭოს გადარჩევის შესახებ და საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევის საკითხი. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ხმის უმრავლესობით (81 ხმით 43-ის წინააღმდეგ) გავიდა ბოლშევიკების წინადადება. ყრილობის დელეგატად არჩეულ იქნა ალექსანდროპოლის ბოლშევიკური კომიტეტის ბიუროს წევრი ი. კოროსტელენკო.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა ესერულ-მენშევიკური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მხრივ, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საშუალებას იყენებდნენ. მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო ცენტრმა ბოიკოტი გამოუცხადა საბჭოების გადარჩევას და II სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატების არჩევნებს. მენშევიკებმა და ესერებმა აზრი გამოთქვეს სრულიად რუსეთის ყრილობისა და საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის წინააღმდეგ.

20 ოქტომბერს საბჭოების სამხარეო ცენტრისა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გაერ-

---

[1] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг., стр. 166.

თიანებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი და გადაეცეს მას მთელი ძალაუფლება. ეს კონტრრევოლუციური კომიტეტი შეიქმნა მასების თანდათან ვანვითარებულ რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად, ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

კავკასიის არმიის მენშევიკურ-ესერული სამხარეო კომიტეტი არმიის კონტრრევოლუციურ სარდლობასთან ერთად აღვირახსნილ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი ბოლშევიკურ გამოცემებს ფრონტზე არ უშვებდნენ, უამრავ მონარქისტულ და წვრილბურჟუაზიულ მაკულატურას აყრიდნენ სამხედრო ნაწილებს.

თბილისის საბჭომ უარყო ბოლშევიკური ფრაქციის წინადადება ვადარჩევის შესახებ. მენშევიკებმა და ესერებმა მხარის მთელი რიგი სხვა საბჭოების გადარჩევაც ჩაშალეს და იქ უმრავლესობა შეინარჩუნეს.

ჯერ კიდევ 10 ოქტომბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ. 16 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება და აირჩია სამხედრო-რევოლუციური ცენტრი აჯანყების ხელმძღვანელობისათვის. ხელმძღვანელობდა რა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული აჯანყების შესახებ, ბოლშევიკების პარტიამ გააჩაღა ენერგიული საქმიანობა, ამზადებდა ხალხის მასებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მისაღწევად. ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით ხელმძღვანელობდა მთელ მუშაობას შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. ვ. ი. ლენინი მტკიცედ მოითხოვდა აჯანყების დაწყებას საბჭოების II ყრილობამდე, რათა დაესწროთ მტრებისათვის, რომლებიც შეიარაღებულ გამოსვლას ყრილობის გახსნის დღეს მოელოდნენ. თავის ისტორიულ წერილში ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი, რომელიც დაწერილია 24 ოქტომბერს საღამოს, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დღის წესრიგში იდგა ისეთი საკითხები, რომლებსაც თათბირები, ყრილობები კი არ წყვეტდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხალხი, შეიარაღებული მასების ბრძოლა. „... არავითარ შემთხვევაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ დაუტოვონ ხელისუფლება კერენსკისა და კომპანიას 25 ოქტომბრამდე, არავითარ შემთხვევაში; უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე.

ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომ-

ლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი რამ დაკარგონ, შეიძლება ყველაფერი დაკარგონ"[1].

24 ოქტომბერს გვიან საღამოს ვ. ი. ლენინი მივიდა სმოლნში და თავის ხელში აიღო დაწყებული აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობა. შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა. სახელმწიფო ძალაუფლება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადავიდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის და კომუნიზმის დამკვიდრების ერა. 25 ოქტომბერს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე გამოსულმა ვ. ი. ლენინმა თქვა: „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება"[2].

25 ოქტომბერს საღამოს გაიხსნა საბჭოების მეორე სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობამ მიიღო მიმართვა რუსეთის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ძალაუფლება ადგილებზე გადადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში, რომლებმაც კიდევაც უნდა უზრუნველყონ ნამდვილი რევოლუციური წესრიგი.

ყრილობაზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებებით ზავისა და მიწის შესახებ. ყრილობის მიერ მიღებულ დეკრეტში ზავის შესახებ ყველა მეომარ ხალხსა და მათს მთავრობებს წინადადება ეძლეოდათ დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ. დეკრეტით მიწის შესახებ გაუქმებულ იქნა მემამულეთა საკუთრება მიწაზე, რომელიც ხალხის საკუთრება გახდა. განხორციელდა გლეხობის საუკუნეობრივი ოცნება მიწაზე. ყრილობამ გამოაცხადა რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება. ყრილობამ აირჩია საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო დადგენილება მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნის შესახებ. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

„დიდმა ოქტომბერმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი რუსეთში — მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში და დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა, შექმნა ახალი ტიპის სახელმწი-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 26, გვ. 270.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 26. გვ. 276.

ფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ახალი ტიპის დემოკრატია — დემოკრატია მშრომელთათვის.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ, რომელიც რევოლუციამ წარმოშვა, რუსეთი გამოჰგლიჯა სისხლისმღვრელ იმპერიალისტურ ომს, გადაარჩინა ქვეყანა ეროვნულ კატასტროფას, რომელიც მას განუმზადეს ექსპლოატატორულმა კლასებმა, იხსნა რუსეთის ხალხები უცხოეთის კაპიტალის მიერ დამონების საფრთხისაგან"[1].

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვერია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, ჩვენი სამშობლოს ხალხების წინაშე გადაშალა ფართო ასპარეზი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის, მათი ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები აღაფრთოვანა და დარაზმა თავისუფლებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად. მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სახით ყველა ქვეყნის მშრომელებმა ჰპოვეს საიმედო დასაყრდენი თავიანთ ბრძოლაში დამპყრობლური ომების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისათვის. „ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა, — ამბობდა ლენინი, — მტკიცედ იდგება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე. იქ — ჩხუბი, ომი, სისხლისღვრა, მილიონობით ადამიანის მსხვერპლი, კაპიტალის მიერ ექსპლოატაცია, აქ — მშვიდობის ნამდვილი პოლიტიკა და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა"[2].

ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებამ რუსეთის იმპერიის ყველა ხალხს, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხებსაც გზა გაუხსნა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისაკენ. მაგრამ ამიერკავკასიაში შექმნილი სპეციფიკური პირობების გამო კონტრრევოლუციურმა და შემთანხმებლურმა პარტიებმა მთელ რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით მოახერხეს რამდენადმე დაეგვიანებინათ მხარის მშრომელთა გამარჯვება. ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მოელოდათ კიდევ ძნელი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, მაგრამ ამ ბრძოლას შთააგონებდა და მხარს უჭერდა სოციალიზმის მძლავრი დასაყრდენი — მსოფლიოში პირველი ქვეყანა საბჭოებისა, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1961 წ. გვ. 12.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 26, გვ. 553.

თავი მეოთხე

ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში

(1917 წლის ოქტომბერი — 1918 წლის შემოდგომა)

1. რევოლუციური მოძრაობის ზრდა ამიერკავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება ბაქოში

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მთელი ქვეყანა აამოძრავა. დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფული სვლა.

ლენინურმა დეკრეტებმა ზავის შესახებ, მიწის შესახებ, რომლებიც საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ მიიღო, მძლავრი ზეგავლენა მოახდინა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებაზე ამიერკავკასიაშიც. დიადი ოქტომბრის იდეების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაციამ“ და საბჭოთა მთავრობის მიმართვამ „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ მუსლიმანს“, რომლებმაც მთელ მსოფლიოს აუწყეს საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის დიადი ლენინური პრინციპები.

პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე[1] რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, ბაქოს, თბილისის, ალექსანდროპოლის და სხვა ადგილობრივმა კომიტეტებმა ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასებს მიმართეს მოწოდებებით მხარი დაეჭირათ პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატისა და გარნიზონისათვის, რომლებმაც დიდი რევოლუცია მოახდინეს, და მხარეში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ. ამიერკავკასიის ფაბრიკა-ქარხნებში, სარეწებსა და მაღაროებში, სამხედრო ნაწილებში, ქა-

[1] ცნობები პეტროგრადის ამბების შესახებ თბილისში მიღებულ იქნა 25 ოქტომბერს დილით.

ლაქებსა და სოფლებში ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეწყობოდა მშრომელთა მიტინგები და კრებები, სადაც იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებიც აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ სოციალისტურ რევოლუციას და მის მედროშეს — პეტროგრადის პროლეტარიატს. ბოლშევიკური გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის", „ბაკინსკი რაბოჩის", „ჰუმეთის", „ბრძოლის", „ბანვორი კრივის" ფურცლებზე საერთო სათაურით „გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა რევოლუციას!" დაიბეჭდა სტატიები და კორესპონდენციები რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ და იმ რევოლუციური აღმავლობის შესახებ, რომელიც მან გამოიწვია ამიერკავკასიაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა რსდმპ(ბ) კავკასიის ფრონტის და მხარის სამხედრო ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 25—26 ოქტომბერს. კონფერენციამ მიიღო მისალმება ვ. ი. ლენინისადმი, ბალტიის ფლოტისა და პეტროგრადის საბჭოსადმი. პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატისათვის მხარდაჭერის მიზნით ბოლშევიკების ბათუმის ჯგუფის და რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციების ბიუროს საერთო კრებამ 26 ოქტომბერს მიიღო მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო: „ხელიდან არ გაუშვათ არც ერთი შაშხანა, არც ერთი ტყვიამფრქვევი, არც ერთი ქვემეხი. არ შეასრულოთ არც ერთი ბრძანება ნაწილების განიარაღებისა და დაშლის შესახებ... ყველა ხიშტი, ყველა ვაზნა, ყველა ტყვიამფრქვევი და ქვემეხი — მიმართეთ რევოლუციის მტრების, მუშათა, ჯარისკაცთა, მატროსთა და გლეხთა მტრების წინააღმდეგ"[1].

პეტროგრადის პროლეტარიატის გამარჯვებამ მძლავრი რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია პროლეტარულ ბაქოში. ბაქოს საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების, პროფესიული კავშირების საბჭოს და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად 26 ოქტომბერს გაიმართა, ბოლშევიკებმა განსახილველად დააყენეს საკითხი ძალაუფლების შესახებ და პეტროგრადის ამბებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ს. გ. შაუმიანმა, რომელიც ამ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა, მოუწოდა გაეძლიერებინათ ბრძოლა საბჭოების ძალაუფლებისათვის და მხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობის რევოლუციური ღონისძიებებისათვის. მაგრამ მენშევიკებმა, მემარჯვენე ესერებმა და დაშნაკებმა შეძლეს გაეყოლიებინათ სხდომის მო-

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 194, 8 ноября 1917 г.

ნაწილეთა უმრავლესობა, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყვნენ გარკვეული პეტროგრადის რევოლუციურ ამბებში, და გაეყვანათ თავიანთი რეზოლუცია ბაქოში არსებითად კონტრრევოლუციური ორგანოს — საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის შექმნის შესახებ.

საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის საკითხის გარშემო ბრძოლამ ერთი მხრივ ბოლშევიკებსა და მეორე მხრივ მენშევიკებს, მემარჯვენე ესერებსა და დაშნაკებს შორის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მუშებისა და სამხედრო დეპუტატების ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 27 ოქტომბერს ს. გ. შაუმიანის თავმჯდომარეობით. პეტროგრადის ამბების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პ. ა. ჯაფარიძე, რომელმაც წინადადება შეიტანა ჰხარი დაეჭირათ საბჭოთა მთავრობისათვის ცენტრში და მიეღწიათ იმისათვის, რომ ძალაუფლება ბაქოში გადასულიყო ბაქოს საბჭოს ხელში. ბოლშევიკების მიერ შეტანილი რეზოლუცია მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადაცემას ბაქოს საბჭოსათვის, პეტროგრადის პროლეტარიატისათვის მხარდაჭერას და სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლების აღიარებას. მემარჯვენე ესერების, მენშევიკებისა და დაშნაკების პარტიების ბლოკმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა „ლიკვიდირებულ იქნას პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ დაწყებული აჯანყება“ და გადაეცეს „მთელი ძალაუფლება კოალიციას დემოკრატიის შიგნით“[1]. ბოლშევიკების რეზოლუცია ამჯერადაც არ იქნა მიღებული: მას მისცეს 169 ხმა, ხოლო წინააღმდეგ — 248, სამმა თავი შეიკავა. მაგრამ ბოლშევიკებს უკან არ დაუხევიათ. ამავე სხდომაზე მათ შეიტანეს წინადადება, რომ საკითხი ძალაუფლების შესახებ გადასცემოდა განსახილველად მასებს, რათა გარკვეულიყო ბაქოს პროლეტარიატისა და გარნიზონის საბოლოო პოზიცია.

27 ოქტომბერს გვიან საღამოს ბაქოს კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ბაქოს რაიონის ყველა მუშისადმი, რომელიც მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა ჰხარი დაეჭირათ პეტროგრადის გმირული პროლეტარიატისა და გარნიზონისათვის და მთელი ძალაუფლება გადაეცათ საბჭოების ხელში. „ჩვენ ისეთი დრო დაგვიდგა, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — როცა არ შეიძლება მერყეობა, არ შეიძლება ერთი ადგილის ტკეპნა. პეტერბურგის მუშები და ჯარისკაცები გეუბნებიან: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდე-

[1] Газ. «Известия Совета рабочих и военных депутатов Бакинского района» № 172, 29 октября 1917 г.

ვია. ან რევოლუცია, ან კონტრრევოლუცია. ან ბურჟუაზიის ძალაუფლება, ან საბჭოების ძალაუფლება. ორში ერთი აირჩიეთ"[1]. ბაქოს კომიტეტის მოწოდების პასუხად სარეწებს, ფაბრიკა-ქარხნებს, ჯარისკაცთა ყაზარმებს გადაუარა კონტრრევოლუციური პარტიების პოლიტიკის საწინააღმდეგო პროტესტის ტალღამ. 29 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე გაიმართა მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსების ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის მონაწილეები ერთსულოვნად მოითხოვდნენ ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადაცემას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში[2].

31 ოქტომბერს მოწვეულ იქნა მუშათა და სამხედრო დეპუტატების გაფართოებული საბჭოს კონფერენცია, რომელმაც თავისი თავი „ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოდ" ცნო[3]. ეყრდნობოდა რა ბაქოს პროლეტარიატისა და გარნიზონის მხარდაჭერას, ბაქოს გაფართოებულმა საბჭომ ხმის უდიდესი უმრავლესობით (280 — მომხრე, 71 — წინააღმდეგი 21-მა თავი შეიკავა) მიიღო ბოლშევიკების მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბაქოს რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გაფართოებული საბჭო... ამ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს პეტროგრადში და მთელ რუსეთში, გარკვეულად დგება ახალი სახალხო ხელისუფლების მხარეზე...." რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ბაქოს საბჭოს „საჭიროდ მიაჩნია ამოცანად დაისახოს საბჭოს ძალაუფლების გაფართოება ბაქოს რაიონშიც, მის ხელში თვით მთელი ძალაუფლების გადასვლამდე"[4]. კონფერენციაზე მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება საზოგადოებრივი უშიშროების კონტრრევოლუციური კომიტეტის გაუქმების შესახებ.

2 ნოემბერს კვლავ გაიმართა ბაქოს გაფართოებული საბჭოს კონფერენცია. მ. ა. აზიზბეკოვი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე, მემარცხენე ესერი მ. გ. ვეზიროვი და სხვები მიემხრნენ საბჭოების ძალაუფლების პრაქტიკული განხორციელებისათვის გადამწყვეტი ზომების მიღებას. მემარჯვენე ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა, რომლებიც თავიანთი დეკლარაციით გამოვიდნენ, დემონსტრაციულად დატოვეს სხდომა. მაგრამ მათ ვერ შეძლეს ჩაეშალათ კონფერენცია. გაფართოებული საბჭოს წევრთა უდიდესმა უმრავ-

---

[1] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг., стр. 179.

[2] იქვე. გვ. 182.

[3] Газ. «Известия Совета рабочих и военных депутатов Бакинского района» № 175, 2 ноября 1917 г.

[4] იქვე

ლესობამ (344 კაცმა) — ბოლშევიკებმა, უპარტიო მუშებმა და ჯარისკაცებმა, აგრეთვე მემარცხენე ესერებმა და მენშევიკ ინტერნაციონალისტთა ჯგუფმა მუშაობა განაგრძეს. კონფერენციამ მოიწონა საბჭოს ხელში ძალაუფლების პრაქტიკულად გადასვლის პროგრამა, გამოაცხადა იგი უმაღლეს ხელისუფლებად ქალაქ ბაქოსა და ბაქოს რაიონში, აირჩია ახალი აღმასრულებელი კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ ბოლშევიკები ს. გ. შაუმიანი (თავმჯდომარე), მ. ვ. ბასინი, ს. მ. ეფენდიევი, ი. პ. ვაცეკი, ი. ტ. ფიოლეტოვი, პ. ა. ჯაფარიძე, მემარცხენე ესერი მ. გ. ვეზიროვი და სხვ. გადაწყდა აგრეთვე ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოებისათვის: გამოეცვალათ სახელი და დაერქმიათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

ასე იქნა გამოცხადებული პროლეტარულ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება. ბაქო გახდა სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტი ამიერკავკასიაში.

4 ნოემბერს ბაქოს საბჭოს აღმასკომმა გამოაქვეყნა მოსახლეობისადმი მოწოდება დაუყოვნებლივ და გადაჭრით დამდგარიყო საბჭოთა მთავრობის მხარეზე, რომელსაც სათავეში ლენინი ედგა, და მხარი დაეჭირა ხელისუფლების ახალი რევოლუციური ორგანოებისათვის ქალაქში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა მასობრივი მიტინგები და კრებები იმართებოდა თბილისში, ბათუმში, ფოთში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ელიზავეტპოლში, ალავერდში, ყარსში, აღდაშში, შახტახტიში, სარიყამიშში და სხვა ადგილებში; მათი მონაწილეები იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. რეზოლუციაში, რომელიც 27 ოქტომბერს მიიღო ქალაქ თბილისის არსენალის რაიონის კლუბში მოწვეულმა მიტინგმა, ნათქვამი იყო: „პეტროგრადში შექმნილი მთავრობა დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობისა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობაა, რომლის დასაცავად ვფიცავთ აღვიმართოთ რკინის კედლად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მთელი ძალების და მათი ნებაყოფლობითი და დაქირავებული მსახურების — ხალხის თავისუფლების ჯალათების წინააღმდეგ“[1].

ალექსანდროპოლის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ღრმა კმაყოფილებისა და აღფრთოვანე-

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 186, 29 октября 1917 г.

ბის გრძნობით მივესალმებით ჩვენს პეტროგრადელ ამხანაგებს, რომლებმაც კონტრრევოლუციური მთავრობის ძალაუფლება დაამხეს... ვფიცავთ იარაღით ხელში დავუჭიროთ მხარი ახალ მუშურ-გლეხურ მთავრობას და მზად ვართ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ კონტრრევოლუციურ ელემენტებს, თუ ისინი შეეცდებიან გაილაშქრონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ"[1]. ანალოგიური იყო მუშათა და ჯარისკაცთა სხვა მიტინგებსა და კრებებზე მიღებული რეზოლუციების შინაარსი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მის განაპირა კუთხეებში, ექსპლოატატორული კლასების გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში მიმდინარეობდა. ამიერკავკასიის ბურჟუაზია და მემამულეები, მხარის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ შეესუსტებინათ დიდი ოქტომბრის გავლენა ხალხის მასებზე, ხელი შეეშალათ საბჭოების ძალაუფლების გამარჯვებისათვის. ამიერკავკასიის ბურჟუაზიისა და მემამულეთა ეს მოქმედება წარმოადგენდა იმ ბრძოლის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც რუსეთის კონტრრევოლუცია უცხოელ ინტერვენტებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეწეოდა. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა იწყეს ერთმანეთთან დაახლოება როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად: მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები გაერთიანდნენ ანტისაბჭოთა ბლოკში და ერთობლივად იწყეს პროლეტარული რევოლუციის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება.

ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად პირველი ბოროტი მოწოდება ამიერკავკასიაში გაისმა ჯერ კიდევ 25 ოქტომბერს, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ პეტროგრადში შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა. იმ დღეს დილით პეტროგრადიდან თბილისის, ბაქოსა და ერევნის საგუბერნიო კომისრების სახელზე მიღებულ იქნა ელვა-დეპეშა დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმოწერით, რომელიც მოითხოვდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ „არეულობა" დაიწყებოდა და იქნებოდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდები, უაღრესად გადამწყვეტი ზომები მიეღოთ მათ ჩასახშობად „ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ჯანსაღ ძალებზე დაყრდნობით"[2]. ასეთივე შინაარსისა იყო უმაღლე-

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 208, 25 ноября 1917 г.

[2] Революция 1917 г. в исторических документах, стр. 150.

სი მთავარსარდლის, დაჰხობილი დროებითი მთავრობის გაქცეული „მინისტრ-თავმჯდომარის“ კერენსკის და სხვათა დეპეშები.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებებს. უკვე 25 ოქტომბერს დღისით შედგა თბილისის საბჭოს აღმასკომის სასწრაფო სხდომა პეტროგრადის ამბებისადმი დამოკიდებულების საკითხზე. სხდომაზე მიღებულ იქნა ნ. ჟორდანიას მიერ შეტანილი რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა „აჯანყების ლიკვიდაცია მთელი რევოლუციური დემოკრატიის შეთანხმების საფუძველზე დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის სულისკვეთებით“.[1] აღმასკომმა ე. გეგეჭკორს დაავალა ეს რეზოლუცია პირდაპირი მავთულით დაუყოვნებლივ გადაეცა პეტროგრადში, დროებითი მთავრობისათვის. გვიან ღამით შედგა ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო ცენტრისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის გაერთიანებული საგანგებო სხდომა, მიძღვნილი პეტროგრადის ამბებისადმი. სიტყვებით გამოსულმა კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლებმა, მათ შორის ი. წერეთელმა, რომელიც მანამდე ცოტა ხნით ადრე ჩამოვიდა პეტროგრადიდან, აზრი გამოთქვეს პეტროგრადის აჯანყების წინააღმდეგ და წინადადება შეიტანეს, რომ „ანარქიასთან“, ესე იგი რევოლუციასთან ბრძოლის მიზნით შექმნილიყო ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი უშიშროების ამიერკავკასიის კომიტეტი“. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები და თათბირის ზოგიერთი სხვა მონაწილე კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ამ წინადადებისა, ეს კონტრრევოლუციური ორგანო მაინც შეიქმნა.

მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები ცდილობდნენ თავიანთი სიძულვილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი შეენიღბათ მსჯელობით იმის შესახებ, რომ 25 ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას პეტროგრადში საბოლოო ანგარიშით მოჰყვება კონტრრევოლუციის გაძლიერება და გამარჯვება. ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამდნენ საბჭოების კავკასიის სამხარეო ცენტრი, თბილისის საბჭოს აღმასკომი, პარტია „მუსავატის“ საბჭო და სხვ.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიისა და მემამულეთა რუპორი იყო მოსყიდული კონტრრევოლუციური პრესა, რომლის ფურცლებსაც ავსებდნენ ღვარძლიანი ცილისმწამებლური თავდასხმებით ბოლშევიკურ პარტიაზე, მის ბელად ლენინზე, პეტროგრადის

---

[1] Газ. «Известия Совета рабочих и солдатских депутатов г. Тифлиса» № 172, 27 октября 1917 г.

პროლეტარიატსა და რევოლუციურ ჯარისკაცებზე. მტრული პროპაგანდიდან ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები მალე გადავიდნენ პირდაპირ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ პირობებში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე დადგა ახალი, უაღრესად ძნელი ამოცანები მათს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ენერგიული მუშაობა მშრომელი მასების მობილიზაციისათვის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბაქოს და თბილისის ორგანიზაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკური მუშაობის გაძლიერებაში ამიერკავკასიის სხვა ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებში. შესამჩნევად განმტკიცდნენ ბათუმის, ელიზავეტპოლის, ახპატის, ქედაბეკის, ალექსანდროპოლის, სოხუმის, დერბენტის და მხარის სხვა ქალაქების ბოლშევიკური ორგანიზაციები. ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში იქმნებოდა ახალი ბოლშევიკური ჯგუფები და უჯრედები. სწრაფად იზრდებოდა ხალხის მასების თანაგრძნობა ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, რომელთა რიგები დღითიდღე ივსებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. 1917 წლის ნოემბერ — დეკემბერში ცენტრალურ კომიტეტთან მიწერ-მოწერა ჰქონდა ბაქოს გუბერნიის რვა პარტიულ ორგანიზაციას, თბილისის გუბერნიის ორ ორგანიზაციას, აგრეთვე ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ყარსის, გუდაუთის და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა სხვა ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციების მიერ გაგზავნილი წერილები ასახავდნენ მათს პრაქტიკულ საქმიანობას მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების, კავკასიის არმიის ჯარისკაცების დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლუციისადმი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მუდმივი კავშირი ჰქონდა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს; ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში იგი ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური. კომიტეტის, ვ. ი. ლენინის მითითებებით, იყო მათი საიმედო დასაყრდენი კავკასიაში. წერილში, რომელიც კავკასიის სამხარეო კომიტეტმა

ცენტრალურ კომიტეტს ნოემბრის პირველ რიცხვებში გაუგზავნა, გამოთქმული იყო „სრული ნდობა და სოლიდარობა გაჩაღებულ სოციალურ რევოლუციაში ყველა ნაბიჯისა და ღონისძიებისადმი“[1], დაგმობილი იყო კამენევის, ზინოვიევისა და რიკოვის კაპიტულანტური ქცევა ოქტომბრის რევოლუციის მშფოთვარე დღეებში. სამხარეო კომიტეტი მხურვალედ მიესალმა ვ. ი. ლენინს, რომელმაც „კაცობრიობის ისტორიის მატიანეში პროლეტარული საგმირო საქმის სიდიადის ფურცლები და ინტერნაციონალისა და სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვრო და ურყევი ერთგულების მაგალითი“[2] ჩაწერა.

„ძვირფასო ამხანაგებო! — ნათქვამი იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 10 დეკემბრის საპასუხო წერილში, — მივიღეთ თქვენი რეზოლუცია და მოგესალმებით თქვენი ხაზის სიმტკიცისათვის. მხოლოდ ასეთი გაერთიანებული და ერთსულოვანი მუშაობით შეიძლება მივაღწიოთ ჩვენს საბრძოლო მიზანს — სოციალიზმს. მისი აჩრდილი ისე არ აშინებდა ცარიზმს, როგორც ბურჟუაზიას აშინებს მისი განხორციელებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები, და ამიტომ იგი ყოველგვარ ძალღონეს ხმარობს, რომ დაშალოს ჩვენი რიგები. მით უფრო ძვირფასია ისეთი დიდი ორგანიზაციის მხარდაჭერა, როგორიც არის რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, იმ დროს, როცა იმ ამხანაგების ნაწილმა, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ, მარჯვნისაკენ მერყეობა დაიწყო. მაშ წინანდებურად მეგობრულად — მხარდამხარ ვიაროთ წინ ნათელი მომავლის — სოციალიზმის მისაღწევად[3]“.

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად ვ. ი. ლენინი, განუწყვეტლივ ზრუნავდნენ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებზე, სისტემატურად უგზავნიდნენ კავკასიის სამხარეო კომიტეტს საინსტრუქციო წერილებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის კონკრეტულ საკითხებზე. ოქტომბრის აჯანყების შემდეგ თვენახევრის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტისაგან მიღებული იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენების რვა ნომერი. დეკემბრის პირველ რიცხვებში ცენტრალურმა

---

[1] Переписка ЦК РСДРП(б) с местными партийными организациями (ноябрь 1917 г. — февраль 1918 г.). Сборник документов. М., 1957, стр. 350.

[2] მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 1 ა, დაცვ. ერთ. 335, ფურც. 2.

[3] Переписка ЦК РСДРП(б) с местными партийными организациями (ноябрь 1917 г. — февраль 1918 г.). Сборник документов, стр. 86—87.

კომიტეტმა თბილისში გაგზავნა 500 ცალი „პრავდა“ და 300 ცალი „სოლდატსკაია პრავდა“. ცენტრალური კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციებს ფინანსურ დახმარებასაც უწევდა.

ასრულებდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მასებში, რაზმავდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ბაქოს საბჭო მუშათა და ჯარისკაცთა აქტიური მხარდაჭერით შეუდგა ხელისუფლების ბურჟუაზიული ორგანოების ლიკვიდაციას. 12 ნოემბერს საბჭომ დაშალა საზოგადოებრივი უშიშროების ადგილობრივი კომიტეტი, ხოლო 21 ნოემბერს გააუქმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი — კონტრრევოლუციის ბუდე ბაქოში. ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში გაიგზავნენ საბჭოს კომისრები. სამრეწველო საწარმოებს, ბანკებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებებს მიეჩინა დაცვა.

მასებში ამიერკავკასიის ბოლშევიკების გავლენის ზრდის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო თბილისში ჯარისკაცთა დეპუტატების ბოლშევიკური საბჭოს შექმნა „დელეგატთა კრების“ სახელწოდებით, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 28 ოქტომბერს რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების ინიციატივით გარნიზონის 36 ქვეგანაყოფის წარმომადგენელთა კრებაზე[1]. დელეგატთა კრებას თავის ამოცანებად მიაჩნდა მიეღწია თბილისის საბჭოს ესერულ-მენშევიკური აღმასკომის გადარჩევისათვის, ქმედითი მხარდაჭერა გაეწია პეტროგრადის პროლეტარიატისათვის[2]. დელეგატთა კრებამ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მაშინვე მოიპოვა პოპულარობა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებს შორის, რომელშიც 20 ათასზე მეტი კაცი იყო; მან თავისი გავლენა გაავრცელა ბოლშევიკურად განწყობილ 70-ზე მეტ სამხედრო ქვეგანაყოფზე, რომლებიც დისლოცირებული იყვნენ თბილისსა და მის მიდამოებში[3], დააწესა კონტროლი საარტილერიო საწყობსა და არსენალზე, სადაც თავმოყრილი იყო იარაღისა და საომარი მასალის დიდი მარაგი. მალე მან კავშირი დაამყარა კავკასიის ფრონტის მთელ რიგ რევოლუციურად განწყობილ ნაწილებთან. დელეგატთა კრების გავლენით, რაც სულ უფრო ძლიერდებოდა, და ბოლშევიკების აქტიური

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 188, 1 ноября 1917 г.

[2] Газ. «Кавказский рабочий» № 193, 7 ноября 1917 г.

[3] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1844, აღწ. 2, 10 ფურც. 15.

მუშაობის მეოხებით კავკასიის არმიის ნაწილებში სწრაფად ხდებოდა ჯარისკაცთა მასების გარევოლუციურება.

დელეგატთა კრების შექმნა ამიერკავკასიის ბოლშევიკების დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება იყო მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიტომ ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა პარტიებმა დელეგატთა კრების შექმნის პირველი დღეებიდანვე ყველა ზომა მიიღეს ამ რევოლუციური ორგანოს ლიკვიდაციისათვის. 4 ნოემბერს თბილისის საბჭოს აღმასკომმა თავის სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე სპეციალურად განიხილა საკითხი „დელეგატთა კრებისადმი თბილისის გარნიზონის დამოკიდებულების შესახებ". საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 19 კაცმა, მათ შორის სამმა ბოლშევიკმა. მენშევიკებმა და ესერებმა გაიყვანეს რეზოლუცია, რომელიც გმობდა დელეგატთა კრებას და მოითხოვდა მის დაუყოვნებლივ დაშლას[1]. ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა და განაცხადეს, რომ გადიან მისი შემადგენლობიდან.

დელეგატთა კრების დაშლის შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მიუხედავად, იგი უფრო მეტი სიმტკიცით განაგრძობდა მუშაობას ჯარისკაცთა მასებში. მენშევიკებს და ამიერკავკასიის სხვა ნაციონალისტურ პარტიებს არ უნდოდათ შერიგებოდნენ ამას. დელეგატთა კრების საკითხი კვლავ განხილულ იქნა 10 ნოემბერს, ამჯერად თბილისის საბჭოს სხდომაზე. ამ სხდომაზე მეორედ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დელეგატთა კრების დაშლის შესახებ. ცხადი იყო, რომ მენშევიკები და ესერები შემდეგშიც მიიღებდნენ ყველა ზომას დელეგატთა კრების ლიკვიდაციისათვის, რომელიც წარმოადგენდა რისხვას მათთვის, ამიერკავკასიის მთელი კონტრრევოლუციისათვის და საიმედო დასაყრდენს მხარის ბოლშევიკებისათვის.

სამწუხაროდ, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სათანადოდ ვერ შეაფასა დელეგატთა კრების მნიშვნელობა რევოლუციის გამარჯვების საქმეში. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ მან მნიშვნელოვნად შეასუსტა დელეგატთა კრებისადმი ხელმძღვანელობა და მასთან კავშირი, ხოლო 11 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც მის როლს სთვლიდა „ამოწურულად", გაიწვია „პარტიის ყველა წევრი", რომლებიც დელეგატთა კრებაში იღებდნენ მონაწილეობას[2]. ეს იყო უაღრესად მცდარი, სრუ-

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1844, აღწ. 2, ს. 10, ფურც. 14.

[2] Газ. «Кавказский рабочий» № 199, 14 ноября 1917 г.

ლიად გაუმართლებელი გადაწყვეტილება. იგი იმის შედეგი იყო, რომ კავკასიის სამხარეო კომიტეტი რევოლუციის განვითარების ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში თავს იკავებდა შეტევითი მოქმედებისაგან და მიაჩნდა, რომ ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში ადგილებზე შეიძლება მოხდეს „უმტკივნეულოდ", „მშვიდობიანი" გზით. დელეგატთა კრება არ დაემორჩილა გადაწყვეტილებებს დაშლის შესახებ და მუშაობას განაგრძობდა.

ხელმძღვანელობდნენ რა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით, კავკასიის კომუნისტების I სამხარეო ყრილობის გადაწყვეტილებებით, ბოლშევიკები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დამფუძნებელი კრების არჩევნების კამპანიაში. ეს არჩევნები დაიწყო 1917 წლის 12 (25) ნოემბერს. თავის მიმართვაში პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს ხმა მიეცათ ბოლშევიკთა სიისათვის. მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნები ამიერკავკასიაში ბოლშევიკებისათვის არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. არჩევნებისათვის მზადება მხარეში დაგვიანებით დაიწყო; აქ, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, არჩევნები წარმოებდა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი სიების მიხედვით. მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ არჩევნები მთელ ამიერკავკასიაში, ბაქოს გარდა, კონტრრევოლუციური პარტიების ბატონობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ანტისაბჭოთა პარტიები მიმართავდნენ მოტყუებას, ცრუ დაპირებებს, ყოველგვარ ფალსიფიკაციასა და ბოროტმოქმედებას. ამან წინასწარ განსაზღვრა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების კანდიდატთა მიერ ხმების უდიდესი უმრავლესობის მიღება. მარტო ბაქოში ბოლშევიკებმა ხმების რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს. პროლეტარულმა ბაქომ დამფუძნებელ კრებაში აირჩია ს. გ. შაუმიანი, ხოლო კავკასიის არმიამ — ა. ე. ბადაევი.

ამიერკავკასიის ცალკეულ ქალაქებში, განსაკუთრებით იქ, სადაც სამხედრო გარნიზონები იყო, ბოლშევიკებმა შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, თბილისში, საქალაქო საბჭოს ივლისის არჩევნებთან შედარებით, იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს დამფუძნებელი კრების ბოლშევიკთა კანდიდატებს, 12,4 ათასზე მეტი კაცით გაიზარდა. მენშევიკთა კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი კი თითქმის რვა ათასით შემცირდა, ესერებმა 3,7 ათასი ამომრჩეველი დაკარგეს. ელიზავეტპოლში დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებმა მი-

იღეს 1,6 ათასი, ხოლო მენშევიკებმა — 788 ხმა[1]. ალექსანდროპოლის გარნიზონში 7,3 ათასზე მეტმა კაცმა ხმა მისცა ბოლშევიკებს, და ამომრჩეველთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მისცა ხმა მენშევიკებს, ესერებს, დაშნაკებს და სხვა პარტიების წარმომადგენლებს.

მასებში ბოლშევიკების გავლენის გაძლიერების მიუხედავად, სოციალისტური რევოლუციის განვითარება მხარეში სულ ახალ სიძნელეებს აწყდებოდა.

1917 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ანტანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მიერ ინსპირირებულმა მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა მიიღეს გადაწყვეტილება არ ეცნოთ საბჭოთა რუსეთი და შეექმნათ თავიანთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა. ამის გამო ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა თბილისში სმიტმა 9 ნოემბერს დეპეშით აცნობა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ლანსინგს: „შაბათს (11 ნოემბერს. — რედ.) დავესწრები თათბირს ამიერკავკასიის მთავრობის ჩამოყალიბების საკითხზე, რომელიც უერთდება სამხრეთის ფედერაციას და უარყოფს დროებითს ან სეპარატულ ზავს"[2]. კონსული ამიერკავკასიის მთავრობისა და მისი არმიისათვის, რომელიც ყალიბდებოდა, ფინანსურ დახმარებას ითხოვდა.

11 ნოემბერს თბილისში საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა თათბირი ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით იმ მიზნით, რომ შეექმნათ სამხარეო ხელისუფლების ახალი უმაღლესი ორგანო. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებიც. თათბირზე მიწვეულ იქნენ აგრეთვე წარმომადგენლები ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტისა, რომლის ავტორიტეტისათვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ. ბოლშევიკებისაგან თათბირს დაესწრნენ მ. გ. ცხაკაია, ფ. ე. მახარაძე, ა. მ. ნაზარეტიანი. პარტიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა თათბირი კონტრრევოლუციური პარტიების მხილებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ამიერკავკასია გაეთიშათ რუსეთისაგან და მხარეში ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა.

დროებითი სამხარეო ხელისუფლების შექმნის შესახებ მოხსე-

---

[1] Газ. «Тифлисский листок» № 265, 26 ноября 1917 г.

[2] «Papers Relating to the Foreign Relations of the United States, 1918. Russia», vol. II, Washington, 1932, p. 582.

ნებით გაჰოვიდა დროებითი მთავრობის კომისარი კავკასიის არმიასთან მემარჯვენე ესერი დონსკოი, რომელიც მოჰყვა ლათაიებს იმაზე, რომ აჯანყებამ პეტროგრადში თითქოს გააფართოვა ანარქია ზემოდან და რომ ამიერკავკასია არ უნდა ელოდეს დახმარებას არც პეტროგრადიდან, არც მოსკოვიდან და ამიტომ საჭიროა შექმნას თავისი საკუთარი ამიერკავკასიის მთავრობა. მენშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით გამოვიდა ნ. ჟორდანია, რომელმაც წინადადება შეიტანა შექმნილიყო ამიერკავკასიაში ახალი მთავრობა, რათა „ეხსნა მხარე კატასტროფული მდგომარეობისაგან", რაც გამოწვეული იყო შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებით ცენტრში. ასეთივე აზრები გამოთქვეს ესერების, დაშნაკების, მუსავატელების, სოციალ-ფედერალისტების წარმომადგენლებმა.

თავიანთ გამოსვლებში ბოლშევიკების პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებმა ამხილეს ცილისწამება ოქტომბრის რევოლუციაზე. ფ. ე. მახარაძემ მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა, რომ ერთადერთი ძალაუფლება კავკასიაში შეიძლება იყოს და უნდა იყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლება, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია პეტროგრადის საბჭოთა ხელისუფლებასთან. მკაფიო მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა მ. გ. ცხაკაიამ. შეაფასა რა მენშევიკ-ესერი ორატორების გამოსვლები, მან აღნიშნა, რომ ყოველივე, რაც მათ თათბირზე თქვეს, „თავიდან ბოლომდე ფაქტიურად არასწორია ან გაბოროტებული უძლურების და რევოლუციური გონების დაბნელების პროდუქტია".[1] მ. გ. ცხაკაიამ გამოააშკარავა ფესვები მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკისა, რომლებიც კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთიან ბლოკში აღმოჩნდნენ და რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც მხილებული იყო თათბირის კონტრრევოლუციური არსი, რევოლუციის საქმისადმი მის მონაწილეთა ღალატი და რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების მთელი დამღუპველობა. დეკლარაცია მოითხოვდა დაუყოვნებლივ ეცნოთ საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის მიერ შექმნილი სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება[2]. დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ და ა. ნაზარეტიანმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ შემდგომ მონაწილეობაზე თათბირის მუშაობაში და დატოვეს იგი.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 200, 15 ноября 1917 г.

[2] იქვე.

თათბირის მონაწილეთა კონტრრევოლუციური უმრავლესობის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის მართვა დაეკისრა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს; მასვე დაევალა შეექმნა ამიერკავკასიის მთავრობა. 15 ნოემბერს ქართველმა მენშევიკებმა, მემარჯვენე ესერებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა შექმნეს ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით ამიერკავკასიის კომისარიატი როგორც სამხარეო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ეს იყო გამცემლური ნაბიჯი საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად მისი გადაქცევის გზაზე.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ამ აქტს ანტანტის მმართველი წრეები დიდი მოწონებით შეხვდნენ. ანტანტა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ძალების გამოყენებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად რუსეთში. ეს ნათქვამი იყო საფრანგეთის მარშალ ფოშის მიერ შედგენილ მემორანდუმში, რომელიც 1917 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში განიხილეს პარიზში ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა მეთაურების თათბირზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყოველნაირად დაეჭირათ მხარი ამიერკავკასიის ამ ნაჩქარევად შეკოწიწებული „მთავრობისათვის", აგრეთვე გაეგზავნათ თბილისში სპეციალური სამხედრო მისიები.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, ყველა შეგნებულმა მუშამ, გლეხმა და ჯარისკაცმა გადაჭრით დაგმეს ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა. კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებით პროტესტის ნიშნად ბაქოში, თბილისში, ბათუმში, სარიყამიშში და მხარის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ეწყობოდა კრებები და მიტინგები, რომლებზეც ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს ამიერკავკასიის კომისარიატის ანტიხალხურ, კონტრრევოლუციურ არსს. ამ კრებებსა და მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები შეიცავდა მოწოდებას გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ ამ მთავრობის წინააღმდეგ და ყოველნაირად დაეჭირათ მხარი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ბაქოში ფითოევის სარეწების მუშათა საერთო კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ ვიცნობთ და მხარს ვუჭერთ ერთადერთ, ჭეშმარიტად რევოლუციურ ხელისუფლებას, სახალხო კომისართა ხელისუფლებას ამხანაგ ლენინის მეთაურობით... ჩვენ წინააღმდეგი ვართ ეგრეთწოდებული განსაკუთრებული ამიერკავკასიის „ხელისუფლებისა", რომელიც შექმნეს ობორონცებმა ნაციონალისტებთან ერთად" [1].

---

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 106, 14 декабря 1917 г.

ბათუმის მშრომელთა 3 დეკემბრის საერთო საქალაქო მიტინგის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „ჭეშმარიტად მუშურ-გლეხური ხელისუფლებაა სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, რომელიც ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს ლოზუნგი: „ზავი, მიწა და თავისუფლება!". კრება სრულ ნდობას უცხადებს ამ მთავრობას და ამავე დროს არა ცნობს ამიერკავკასიის კომისარიატს..."[1]. რეზოლუცია, რომელიც მკვეთრ პროტესტს შეიცავდა, მიიღო სარიყამიშის რაიონის გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ. მან მოითხოვა: „ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი სახალხო კომისართა საბჭოს როგორც ხელისუფლების ერთადერთ ორგანოს ჩვენს ქვეყანაში". რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „პროტესტს ვაცხადებთ ობორონცებისა და შოვინისტებისაგან ამიერკავკასიის სამინისტროს სახელდახელოდ ჩამოყალიბების წინააღმდეგ, რომელიც შეიქმნა რევოლუციური არმიისა და პროლეტარიატის სურვილის მიუხედავად. მოვითხოვთ მხარის მართვისათვის დაუყოვნებლივ შეიქმნას სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლობა თბილისში"[2].

შეგნებული მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ნების საწინააღმდეგოდ ამიერკავკასიის კომისარიატმა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მისიების მითითებით შეთანხმება დადო ყუბან-დონის და თერგის კაზაკთა კონტრრევოლუციის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირთან, იარაღით ამარაგებდა ყარაულოვის, კალედინის, კორნილოვის თეთრგვარდიულ ჯარებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქმნიდა სპეციალურ რაზმებს თეთრგვარდიელთა დასახმარებლად. მხარეში კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალების შექმნის მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატმა გასცა მითითება ჩამოეყალიბებინათ ეროვნული პოლკები.

1917 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის კომისარიატმა მენშევიკების ინიციატივით მოიწვია საქართველოს ეგრეთწოდებული ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო როგორც აღმასრულებელი ორგანო. კონტრრევოლუციური „ეროვნული საბჭოები" შექმნეს აგრეთვე დაშნაკებმა და მუსავატელებმა. ამ კონტრრევოლუციური ორგანოების მუშაობის კოორდინაციისათვის შეიქმნა ეროვნებათაშორისი საბჭო. „ეროვნული საბჭოების" შექმნა იყო პირველი ნაბიჯი თვით ამიერკავკასიის დანაწევრების გზაზე.

ამიერკავკასიის კომისარიატი — შეძლებული კლასების ინტერესთა თავგამოდებული დამცველი — სულ უფრო შორს მიდიოდა

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 223, 17 декабря 1917 г.

[2] Газ. «Кавказский рабочий» № 219, 13 декабря 1917 г.

რევოლუციის წინააღმდეგ თავის შეთქმულებასა და პროვოკაციებში.

კონტრრევოლუციური ძალების მოქმედების აქტივიზაციის ვითარებაში, დარწმუნდა რა, რომ მშვიდობიანი გზით შეუძლებელი იყო ძალაუფლების საკითხის გადაჭრა, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოასწორა წინათ დაშვებული შეცდომა და აღადგინა კავშირი დელეგატთა კრებასთან. ბოლშევიკებმა იწყეს თბილისში ძალაუფლების აღების გეგმის შემუშავება. ისინი ემყარებოდნენ თბილისის მუშებს და თბილისისა და ალექსანდროპოლის გარნიზონების ჯარისკაცებს, რომლებიც მთლიანად ბოლშევიკების მხარეზე იყვნენ, აგრეთვე ბაქოს საბჭოს დახმარებას. ეს გეგმა ს. გ. შაუმიანმა კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით აცნობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აღნიშნავდა რა, რომ ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის ხელისუფლება", რომელიც არა ცნობს სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას და შედგება ობორონცებისა და ნაციონალისტებისაგან გეგეჭკორის მეთაურობით, და რომ მასთან წარმოებს ბრძოლა, აგრეთვე იმასაც, რომ ჯარებს კონტრრევოლუციური ხელისუფლების მოქმედება მიაჩნიათ ამიერკავკასიის ჩამოშორებად რევოლუციური რუსეთისაგან, ს. გ. შაუმიანი ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა ბოლშევიკების გეგმას: ამიერკავკასიიის რევოლუციურად განწყობილ მასებზე დაყრდნობით, ჯარებისა და ბაქოს საბჭოს მხარდაჭერით დაეხსნათ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა და დაემყარებინათ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება.

16 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ სხდომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი დაინიშნა კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად, ვიდრე მთელ მხარეში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა.

ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავისი გეგმის განხორციელებისათვის ისწრაფვოდა უწინარეს ყოვლისა ხელში აეღო კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ხელმძღვანელობა. ამ მიზნით ნავარაუდევი იყო გამოეყენებინათ კავკასიის არმიის II ყრილობა, რომლის მოწვევა დანიშნული იყო 9 დეკემბრისათვის. ბოლშევიკები ვარაუდობდნენ, რომ ყრილობაზე უმრავლესობას მიიღებდნენ, რადგან ჯარისკაცთა ძირითადი მასა რევოლუციურად იყო განწყობილი. ყრილობისათვის რომ ემზადებოდნენ, ბოლშევიკებმა სამხედრო ნაწილებში პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. სამხა-

რეო კომიტეტმა ჯერ კიდევ 20 ნოემბერს მიიღო მიმართვა „ფრონტისა და ზურგის ჯარისკაცებისადმი“, რომელიც შეიცავდა ყრილობის დელეგატებისათვის განაწესს, სადაც წამოყენებული იყო მოთხოვნები: მთელი რუსეთისათვის ერთიანი საბჭოთა ხელისუფლების დაცვა; სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კანონის, დეკრეტის, დადგენილებისა და განკარგულების დაუყოვნებლივ გატარება კავკასიაში; მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან შეერთება და საბჭოთა ხელისუფლების ყველგან დამყარება კავკასიაში თვითნებურად შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატის დაშლის გზით“ [1].

ჯარისკაცები ფრონტზე და ზურგში მხურვალედ გამოეხმაურნენ რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მიმართვას; კავკასიის არმიის II ყრილობის დელეგატებად ისინი მეტ წილ შემთხვევებში ირჩევდნენ ბოლშევიკებს, აძლევდნენ მათ განაწესს „უსიტყვოდ ცნონ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება როგორც ერთადერთი ხელისუფლება!“. თავისი საქმიანობა გააქტიურა ბოლშევიკურმა პრესამაც, რომელიც მთელ გვერდებს უთმობდა მასალებს მომავალი ყრილობის შესახებ.

კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკების აქტიური მუშაობის მეოხებით მათს მხარეზე გამოდიოდა ბევრი სამხედრო ნაწილი და მთელი გარნიზონები. მაგალითად, სარიყამიშის 30-ათასიანი გარნიზონი 1917 წლის შემოდგომაზე მთლიანად მიჰყვებოდა ბოლშევიკებს. სარიყამიშის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, რომელსაც ს. ალავერდიანი ხელმძღვანელობდა, 1917 წლის ნოემბერში ირიცხებოდა უკვე 1.500-მდე წევრი. ალექსანდროპოლში რევოლუციურ მუშაობას ნაწილებში ეწეოდნენ პ. არველაძე და ბ. ღარიბჯანიანი; ყარსში — ბ. ბორიანი, ი. ლავრენტიევი და სხვ. ბოლშევიკური პროპაგანდის შედეგად სარიყამიშის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ყარსის და სხვა გარნიზონების ჯარისკაცთა მასებმა კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ს. ალავერდიანი, პ. არველაძე, ი. შაპოვალენკო და ბევრი სხვა ბოლშევიკი.

მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტი და თბილისის კომიტეტი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობის მოწვევას. მაგრამ, უუფლებოების ცენტრი ყრილობისათვის მზადებაზე რომ გადაიტანეს,

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 212, 30 ноября 1917 г.

მათ მხედველობიდან გამორჩათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა — არსენალის დაცვის გაძლიერება, რომლის ხელში ჩაგდებას ყველა საშუალებით ცდილობდნენ მენშევიკები, ესერები და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები.

29 ნოემბერს დილით თბილისის საბჭომ დელეგატთა კრებას წაუყენა ულტიმატუმი — არსენალიდან გაეცა ორი ათასი შაშხანა მენშევიკური „სახალხო გვარდიის“ საჭიროებისათვის, რომელიც თბილისის მენშევიკური საბჭოს განკარგულებაში იყო. ულტიმატუმი უარყოფილ იქნა. მაშინ თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა; საღამოს არსენალს გარს შემოერტყნენ დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ყარაული, რომელმაც ვერ მიიღო დაპირებული დახმარება. რიცხობრივად ჭარბი ძალების წინაშე აღმოჩნდა. ყარაულზე მოულოდნელი თავდასხმის და ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის დაცვის გაძლიერებისათვის ბოლშევიკების მიერ ზომების მიუღებლობის შედეგად მენშევიკთა შეიარაღებულმა რაზმებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ არსენალი. თბილისის არსენალის დაკარგვას ვ. ი. ლენინი ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტის შეცდომად თვლიდა.

არსენალის ხელში ჩაგდებით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციამ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები. მეორე დღესვე ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით გამოაცხადა არსენალის ხელში ჩაგდება როგორც „დიდმნიშვნელოვანი მოვლენა“.

თბილისის არსენალი ხელთ რომ იგდო, კონტრრევოლუცია გადავიდა შემდგომ შეტევაზე თბილისის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. მას თბილისიდან გაჰყავდა ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილები და განამტკიცებდა მენშევიკურ ეგრეთწოდებულ „სახალხო გვარდიას“. თბილისი მალე გადაქცეულ იქნა კონტრრევოლუციის ერთ-ერთ ბურჯად მის ბრძოლაში საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. დაიწყო ბოლშევიკთა მასობრივი დაპატიმრებანი. დარბეულ იქნა გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის“, „ბრძოლის“ და „ბანვორი კრივის“ რედაქციები, აგრეთვე სტამბები, სადაც ისინი იბეჭდებოდა.

კონტრრევოლუცია აძლიერებდა რეპრესიებს რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ეძებდა სახსრებს ამიერკავკასიის კომისარიატის განსამტკიცებლად. 13 დეკემბერს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის მეთაურმა ე. გეგეჭკორმა მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონსულს სმიტს და სთხოვა სასწრაფოდ მიეცათ სესხი 60 მილიონი მანეთის რაოდენო-

ბით „განსაკუთრებულ საჭიროებათათვის“. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცნობებდა იგი სმიტს, ამიერკავკასიის კომისარიატი „იძულებული იქნება ძალაუფლება ბოლშევიკებს გადასცეს“[1] გენერალ-კორის ეს აღიარება მოწმობდა, რომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა კრიზისულ მდგომარეობაში იყო და რომ კონტრრევოლუციურ პარტიებს გადაწყვეტილი ჰქონდათ საბოლოოდ ჩამოეშორებინათ ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთისაგან. ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია ვარაუდობდა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით ჩაეხშო მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, ჩამოეშორებინა ისინი არმიის ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილებისაგან. დახმარების შესახებ ამიერკავკასიის კომისარიატის თხოვნას მხარი დაუჭირა ამერიკის კონსულმა.

ბრძოლის გართულებულ პირობებში ბოლშევიკები ცდილობდნენ ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ისინი კვლავ დიდ იმედს ამყარებდნენ კავკასიის არმიის II ყრილობაზე. და მართლაც, ყრილობის მოსამზადებლად ბოლშევიკების მიერ გაწეულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. სამხარეო საბჭოს მენშევიკური აღმასკომის მხრივ წინააღმდეგობის მიუხედავად, ყრილობაზე, რომელიც 10—23 დეკემბერს შედგა, 250 დელეგატიდან 160 იყო ბოლშევიკი და მხოლოდ 30 — მენშევიკი. დანარჩენი დელეგატები წარმოადგენდნენ მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს, დაშნაკებსა და სხვა ჯგუფებს. იმის გამო, რომ მემარცხენე ესერები ბოლშევიკებს ემხრობოდნენ, ამ უკანასკნელებს ყრილობაზე მტკიცე უმრავლესობა ჰქონდათ. ყრილობამ ჩაიარა ბოლშევიკების. გამარჯვების ნიშნით. მის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ს. ი. ქავთარაძე, გ. ნ. ყორღანოვი, ს. გ. შაუმიანი, მ. გ. ცხაკაია და სხვები.

ყრილობის დღის წესრიგში მთავარი იყო მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, რომელიც მ. გ. ცხაკაიამ გააკეთა. ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ აღნიშნა, რომ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მას საჭიროდ მიაჩნია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში უაღრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობაზე შეიქმნა[2]. რეზოლუციაში ცამანადგურებლად იყო გაკრიტი-

---

[1] «Papers Relating to the Foreign Relations of the United States, 1918. Russia», vol. II, Washington, 1932, p. 583.

[2] Газ. «Кавказский рабочий» № 229, 24 декабря 1917 г.

კებული ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც არა მარტო არ გამოხატავდა მშრომელი მასების ინტერესებს, არამედ მუშათა და ჯარისკაცთა ინტერესების საწინააღმდეგოდაც კი მოქმედებდა. ასეთ ხელისუფლებას, ნათქვამი იყო რეზოლუციაში, ჩვენ ვერ ვაღიარებთ და მოვითხოვთ დამყარდეს საბჭოთა ხელისუფლება"[1].

ბოლშევიკების რეზოლუცია ყრილობამ 182 ხმით მიიღო. ყრილობამ აირჩია კავკასიის არმიის საბჭო 100 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 52 ბოლშევიკი და მათი მომხრე და 48 მენშევიკი და მემარჯვენე ესერი. არმიის სამხარეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ნ. ყორღანოვი.

ამრიგად, კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მთელი მუშაობა, მის მიერ მიღებული რეზოლუციები მოწმობდნენ, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი ორგანიზატორული და ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად 1917 წლის შემოდგომისათვის მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს არმიაში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ბოლშევიკებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო სიმტკიცე და ვერ გამოიყენეს შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა კონტრრევოლუციამ.

კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის თითქმის ერთდროულად, 19-დან 23 დეკემბრამდე, თბილისში მიმდინარეობდა მუშათა დეპუტატების საბჭოების მეორე სამხარეო საგანგებო ყრილობა. ბოლშევიკები ვარაუდობდნენ, რომ ამ ყრილობაზეც უმრავლესობას მიიღებდნენ. დაუმორჩილეს რა თავიანთ გავლენას ამიერკავკასიის რევოლუციური ძალების ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფორუმი, ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ გადაჭრიდნენ საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხს.

მაგრამ კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ისარგებლეს მუშათა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრში თავიანთი გაბატონებული მდგომარეობით და მოტყუების გზით შეძლეს მიეღოთ ყრილობის მანდატების უმრავლესობა და გაეყვანათ თავიანთი გადაწყვეტილებანი. ყრილობამ არ ცნო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება. საბჭოების ახლად არჩეული სამხარეო ცენტრი მენშევიკების, ესერების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების ხელში აღმოჩნდა; მან დააკანონა კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს გათიშვა, მხარი დაუჭირა რა მის კონტრრევოლუციურ უმცირესობას.

---

[1] Газ. «Кавказский рабочий» № 229, 24 декабря 1917 г.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შეძლეს დეზორგანიზაცია შეეტანათ ფრონტისა და ზურგის ჯარისკაცთა მასებშიც. თბილისის გარნიზონის ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილები ამიერკავკასიის კომისარიატმა დაშალა. ამავე დროს კომისარიატი გაძლიერებით განაგრძობდა ეროვნული ქართული, სომხური და მუსლიმანური პოლკების ჩამოყალიბებას. კონტრრევოლუციურმა პარტიებმა მიიღეს აგრეთვე ზომები, რომ ამიერკავკასიის ფარგლებიდან, კერძოდ საქართველოს ფარგლებიდან, გაყვანილი ყოფილიყვნენ კავკასიის არმიის რევოლუციურად განწყობილი ნაწილები. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ძველმა შემადგენლობამ და ახალი შემადგენლობის უმცირესობამ —მენშევიკებმა, მემარჯვენე ესერებმა, დაშნაკებმა და კაზაკებმა — თვითნებურად გამოაცხადეს თავი კავკასიის არმიის საბჭოდ, ხელთ იგდეს სამხარეო საბჭოს შენობა, მისი კანცელარია, სახსრები და ქონება. ამ უზურპატორულ მოქმედებას მხარი დაუჭირა მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტრრევოლუციურმა სამხარეო ცენტრმა.

ამის შემდეგ მეორე ყრილობაზე არჩეული კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ბოლშევიკურმა და მემარცხენე ესერულმა ნაწილმა (52 კაცმა 100-დან) ახალი, საგანგებო საარმიო ყრილობის მოწვევამდე თავი გამოაცხადა კავკასიის არმიის რევოლუციურ სამხარეო საბჭოდ და თავის დროებითს ადგილსამყოფელად აირჩია საბჭოთა ბაქო. კავკასიის არმიის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ნ. ყორღანოვი. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ფრონტის სხვადასხვა უბნებში (სარიყამიშში, ტრაპიზონში, ირანში და სხვ.) გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომ მოეწყოთ არმიის უკან წაყვანა და შეექმნათ ადგილობრივი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც თავიანთ ხელში აიღებდნენ მთელ ძალაუფლებას ფრონტის ხაზზე. განსაკუთრებით ძნელი პირობების მიუხედავად, ბოლშევიკები ცდილობდნენ უზრუნველეყოთ საფრონტო ნაწილების ორგანიზებული წაყვანა უკან, რათა არ გაეშიშვლებინათ ამიერკავკასია — თურქეთის საზღვარი, დაეცვათ ძვირფასი სამხედრო ქონება და სხვ.

ლაპარაკობდა რა იმის შესაძლებლობაზე, რომ კავკასიის არმიის ჯარები გამოეყენებინათ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, მ. დ. ორახელაშვილი შემდეგ წერდა: „საოლქო კომიტეტი საკითხს ასე არ წყვეტდა იმიტომ კი არა, რომ მას დაუშვებლად მიაჩნდა ასეთი გადატრიალება, არამედ იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა იმ კრიზისის მშვიდობიანად გადაწყვეტის, რომელიც გამოწვეული იყო ბლოკის კონტრრევოლუციონური პოზი-

ციით, რამდენადაც იგი არ სცნობდა ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლიდან გამოსულ ხელისუფლებას. მაგრამ ეს იმედი სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა"[1]. აქედან ჩანს, რომ სამხარეო კომიტეტი პრინციპულად წინააღმდეგი როდი იყო გამოეყენებინა შეიარაღებული ძალა, მაგრამ ამავე დროს მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა გამოეყენებინა ჯარები, რადგან მაინც იმედი ჰქონდა, რომ ძალაუფლების საკითხი მშვიდობიანი გზით გადაწყდებოდა. ეს, რასაკვირველია, მცდარი ტაქტიკა იყო, და, როგორც მ. ორახელაშვილის აღიარება მოწმობს, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შემდეგში ცნეს მისი მცდარობა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბაქოში მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, მხარის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ანტანტის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ანტისაბჭოთა ძალების მხარდაჭერაზე დაყრდნობით და რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ტაქტიკური შეცდომების გამოყენებით შეძლეს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანის მეტ ნაწილში.

2. მხარის ბოლშევიკების ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ბაქოში. გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები ამიერკავკასიის მაზრებში

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებმა ანტანტის იმპერიალისტთა დახმარებით შეძლეს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება მხარის ტერიტორიის მეტ ნაწილზე, მოწინავე მუშები, გლეხები, ჯარისკაცები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აძლიერებდნენ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში.

სძლევდნენ რა ბურჟუაზიისა და მისი პარტიების ძლიერ წინააღმდეგობას, ბაქოს მუშები, ჯარისკაცები, მატროსები ბოლშევიკების მეთაურობით განამტკიცებდნენ ბაქოს საბჭოს ძალაუფლებას. თუმცა 1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბაქოს საბჭოს ხელახალი არჩევნების შემდეგაც ბოლშევიკებს მასში არა ჰქონდათ მტკიცე უმრავლესობა, ისინი მემარცხენე ესერებთან ბლოკში მაინც უნარიანად და მოქნილად ახორციელებდნენ თავიანთ ტაქ-

---

[1] მ. ორახელაშვილი. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს. თბილისი, გვ. 55.

ტიკურ ხაზს, გაჰყავდათ საბჭოში თავიანთი ღონისძიებები. ბაქოს საბჭო განაგრძობდა ქალაქში ხელისუფლების ბურჟუაზიული ორგანოების ლიკვიდაციას; თავისი გავლენა გაავრცელა რკინიგზის და საზღვაო ტრანსპორტზე, ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირზე, ქალაქის მილიციაზე; იქმნებოდა ახალი საბჭოთა ორგანოები. საბჭომ დაიწყო სასურსათო საქმის ხელმძღვანელობის განხორციელება; საწარმოებში შემოღებულ იქნა მუშათა კონტროლი; ბოლშევიკებმა თავის ხელში აიღეს შრომის კომისარიატის ხელმძღვანელობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა კონტროლის განხორციელებას.

ბაქოს საბჭომ თავისი უმრავლესობით მოიწონა დამფუძნებელი კრების დათხოვნა, რომელმაც უარი თქვა ეცნო დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი, აღფრთოვანებით მიესალმა 1918 წლის 10 იანვარს გახსნილ საბჭოების III ყრილობას, რომელმაც მიიღო „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია". პროლეტარული ბაქო ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რვა დელეგატით.

ბურჟუაზია და მისი აგენტურა ცდილობდნენ საბოტაჟი გაეწიათ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის ბაქოში. საბოტაჟის და სხვა კონტრრევოლუციური აქტების აღკვეთაში, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ბაქოს საბჭოს აღმასკომთან 1917 წლის დეკემბერში შეიქმნა.

ამ პასუხსაგებ პერიოდში დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო შეიარაღებულ ძალთა შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო რევოლუციის მონაპოვართა დაცვა. სამხედრო მხრივ საბჭოთა ბაქოს გამაგრება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ მუსავატური და დაშნაკური კონტრრევოლუცია გამალებით იარაღდებოდა და შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდა; მასთან შეიარაღებული შეტაკება გარდუვალი ხდებოდა. შეიარაღებული დასაყრდენი მუსავატელებისა და მუსლიმანთა ეროვნული საბჭოსი, რომელსაც მუსავატელები ეღგნენ სათავეში, გახდნენ კავკასიაში დაბრუნებული რაზმები „ველური დივიზიისა" და ის შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც ისინი დეკლასირებული და რეაქციული ელემენტებისაგან ქმნიდნენ. დაშნაკები და სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, ეყრდნობოდნენ ფრონტიდან ჩამოსულ სომეხი ჯარისკაცებისა და ოფიცრების შეიარაღებულ რაზმებს, რომელთა უმრავლესობა ნაციონალისტურად იყო განწყობილი და საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში მხარს უჭერდა მხოლოდ თურქთა ინტერ-

ვენციის შიშით. ესერები და მენშევიკები ბაქოში ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ რუსი ჯარისკაცებისა და კასპიის ფლოტილიის მატროსების ნაწილი.

ასეთ პირობებში ბაქოს საბჭო ბოლშევიკების მეთაურობით მუშაობას ეწეოდა, რომ მოეხდინა გარნიზონის ჯარის ნაწილების რეორგანიზაცია და შეექმნა რევოლუციის შეიარაღებული ძალები. ნოემბრის შუა რიცხვებიდან ბაქოს სარეწაო-საქარხნო რაიონებში ყალიბდებოდა წითელი გვარდიის რაზმები.

შეიარაღებული ძალების შექმნა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა მას შემდეგ, რაც ბაქოში გადავიდა კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს და მისი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის უმრავლესობა ი. ვ. მალიგინის, ფ. ფ. სოლნცევის, ბ. პ. შებოლდაევის, გ. ნ. ყორღანოვის და სხვების შემადგენლობით. უკვე 1918 წლის იანვარში წითელგვარდიელთა რიცხვმა ბაქოში 3,5 ათას კაცს მიაღწია. 1918 წლის თებერვლიდან ბაქოში ყალიბდებოდა წითელი არმიის ნაწილებიც. მარტში ბაქოს საბჭოს შეიარაღებულ ძალებში ითვლებოდა 6 ათასი მებრძოლი (წითელგვარდიელთა რაზმები, ინტერნაციონალური პოლკი, ბოლშევიკური საბრძოლო რაზმეული პარტიის ბაქოს კომიტეტთან, რამდენიმე საარტილერიო ბატარია, ცხენოსანთა ასეული და სხვ.). ბაქოს საბჭოს ექვემდებარებოდა აგრეთვე კასპიის სამხედრო ფლოტილია, რომლის კომისრად დანიშნულ იქნა ა. რ. კუზმინსკი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებით საბჭოთა მთავრობა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მატერიალურ და სხვა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდა. სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის თებერვლის დამდეგს ბაქოს საბჭოს გამოუყო 30,8 მილიონი მანეთი, რაც ბაქოში ჩაიტანა შუა აზიის საგანგებო კომისარმა პ. ა. კობოზევმა, რომელიც ბაქოში ჩავიდა ვ. ი. ლენინის წერილით ბაქოს ბოლშევიკების სახელზე [1]. თავის 1918 წლის 27 თებერვლის დეპეშაში ტაშკენტიდან კობოზევი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს, რომ საბჭოთა მთავრობის დავალება შეასრულა, ამავე დროს იუწყებოდა „ბაქოს საბჭოს მდგომარეობა მტკიცდებაო“[2].

ბაქოს საბჭოს ძალაუფლების განსამტკიცებლად მიმართულ პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად ბოლშევიკები დიდ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა შორის საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მათი დარაზმვის მიზნით.

---

[1] გაზ. „ჰუმეთი“ № 31, 1918 წ. 13 თებერვალი.

[2] ორცსა, ფ. 130, აღწ. 2, ს. 2580, ფურც. 2.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის მთელ მხარეში. ამას ჰქონდა აგრეთვე საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც, რადგან ბაქოს ნავთობით მომარაგებაზე, რომელიც იმ დროისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში ნავთობის სათბობის თითქმის ერთადერთი წყარო გახდა, დამოკიდებული იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა.

მთელ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფული მსვლელობის წარმატებებით, პროლეტარულ ბაქოში მისი განმტკიცებით აღფრთოვანებულმა ამიერკავკასიის მშრომელებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, 1917 წლის დამლევს — 1918 წლის დამდეგს გააქტიურეს ბრძოლა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი პარტიების წინააღმდეგ. მუშების, გლეხების, ჯარისკაცების გამოსვლები სულ უფრო შემტევ ხასიათს იღებდა. 1918 წლის თითქმის მთელ პირველ ნახევარში არ წყდებოდა მუშათა გაფიცვები, ეწყობოდა მიტინგები და კრებები. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა 80-მდე გაფიცვა და მიტინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა.

მუშათა მოძრაობა სულ უფრო მეტად ფართოვდებოდა: მოძრაობის ძირითადი შინაარსი იყო ბრძოლა კონტრრევოლუციური რეჟიმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საბჭოთა რუსეთთან განუყრელი კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისათვის.

1917 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გამწვავდა აგრარული საკითხი. აგრარული მოძრაობა, რომელიც მხარეში 1917 წლის დეკემბრიდან გაჩაღდა, ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გამოძახილი იყო. მემამულეებისადმი სიძულვილმა, მჩაგვრელთა წინააღმდეგ გააფთრებამ, რაც საუკუნეობით გროვდებოდა გლეხებში, ფართო მასობრივი შეიარაღებული ბრძოლის სახე მიიღო. ელიზავეტპოლის გუბერნიაში 1918 წლის იანვარში ეს ბრძოლა შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცა. მათი ცენტრები იყო ელიზავეტპოლის და ყაზახის მაზრები. გლეხთა მოძრაობის გაქანებას ამ მაზრებში ხელს უწყობდა რსდმპ (ბ) ელიზავეტპოლის ორგანიზაციის ბოლშევიკური აგიტაცია. აჯანყებული გლეხები უსწორდებოდნენ მემამულეებს, ცეცხლს უკიდებდნენ მათს მამულებს. იტაცებდნენ მიწას და ქონებას. ბევრ სოფელში ძალაუფლება რევოლუციური გლეხების ხელში გადავიდა. აგრარული მოძრაობის

ტალღა მოედო გუბერნიის სხვა მაზრებსაც — შუშის, არეშის, ჯევანშირის მაზრებს.

1918 წლის იანვარ — მარტში გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ბაქოს გუბერნიაშიც. განსაკუთრებით შეუპოვარ ხასიათს ატარებდა ბრძოლა ლენქორანის მაზრაში, კერძოდ ლენქორანის და არქევანის უბნებში, სადაც ღარიბი გლეხობა არბევდა მემამულეთა და კულაკთა მამულებს. ბაქოს, ლენქორანის, შემახის, კუბის, ჯევათის მაზრების მშრომელი გლეხობის მნიშვნელოვანი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგა.

ბოლშევიკები ცდილობდნენ გლეხთა მოძრაობისათვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. 1918 წლის 31 იანვარს გამოცემულ მიმართვაში ამიერკავკასიის გლეხობისადმი ს. გ. შაუმიანი საბჭოთა მთავრობის სახელით მოუწოდებდა: „ეცადეთ, რომ თქვენი აჯანყება საყოველთაო იყოს, რომ მუსლიმანი გლეხები ყველგან ორგანიზებულად იტაცებდნენ ბეგების მიწებს. შექმენით გლეხთა კომიტეტები, რომლებმაც უნდა აიღონ ეს მიწები“ [1]. მიმართვა ფართოდ გავრცელდა გლეხთა შორის.

1918 წლის დამდეგს რსდმპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი სოფელ ადგილებში ბოლშევიკური გავლენის გაძლიერებისათვის. თბილისში მოეწყო მოკლევადიანი კურსები პარტიული მუშაკებისათვის, რომლებსაც სოფლებში გზავნიდნენ; მთელ რიგ ადგილებში — ლორში, ზანგეზურში და სომხეთის სხვა რაიონებში შეიქმნა პარტიული უჯრედები. ბოლშევიკური გაზეთები აქვეყნებდნენ სტატიების სერიებს, რომლებშიც განმარტავდნენ პარტიის ლენინურ პროგრამას აგრარულ და გლეხთა საკითხებში. მათში მხილებული იყო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციული პოლიტიკა, რომლებიც ცდილობდნენ გაეღვივებინათ ეროვნული მტრობა, კერძოდ მოეწყოთ სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკებები და ა. შ. „კონტრრევოლუციის ყველა ცდა,— ნათქვამი იყო 1918 წლის 14 იანვრის გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ შოწინაგე სტატიაში, — ახლა მიმართულია იქით, რომ ამიერკავკასიაში დაანთონ ეროვნებათა შორის მტრობის ხანძარი და ამიერკავკასიის ხალხთა მშრომელი კლასები ჩააბან სისხლიან შეტაკებებში იმ მიზნით, რომ შეაჩერონ აგრარული მოძრაობა, რომელმაც ზოგ ადგილას (ელიზავეტპოლის და ერევნის გუბერნიებში) ფართო გაქანება მიიღო, და ჩაახშონ რევოლუცია ამიერკავკასიაში“.

---

[1] «Кавказский вестник совета Народных Комиссаров», № 1, 31 января (13 февраля) 1918 г.

აგრარულმა. მოძრაობამ განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი მიიღო საქართველოში, სადაც 1918 წლის იანვრიდან ამავე წლის აგვისტომდე გლეხთა 20-ზე მეტი აჯანყება და შეიარაღებული გამოსვლა მოხდა. 1918 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ლეჩხუმის მაზრაში აჯანყებულმა გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. აჯანყებას ხელმძღვანელობდა საოლქო სამხედრო რევოლუციური შტაბი, რომელიც გლეხთა სამაზრო მიტინგზე შეიქმნა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ა. ბრეგვაძე, ბ. ლიპარტელიანი, ი. სვანიძე, ა. სილაგაძე, ბ. ყურაშვილი, გ. ხეცურიანი, ს. ხეცურიანი და სხვები. 15 მარტს ადგილობრივმა საბჭოებმა საქართველოს ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით მხარი დაეჭირათ მაზრის გლეხთა ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. „ვისაც ხალხი და საზოგადოება უყვარს, ვისთვისაც ძვირფასია ძმობა, ერთობა და თავისუფლება, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — მან მხარი უნდა დაუჭიროს ლეჩხუმის მაზრაში დაწყებულ სახალხო მოძრაობას, საერთო ძალებით ყოველმხრივ განავითაროს იგი, რათა ლეჩხუმში დაწყებული აჯანყების ტალღა სხვა მაზრებზეც გავრცელდეს"[1]. მენშევიკებმა, რომლებსაც დემოკრატიის დამცველებად მოჰქონდათ თავი, აჯანყების ჩასახშობად სამხედრო ნაწილები გაგზავნეს. თვენახევრის განმავლობაში აჯანყებულნი სისხლის ფასად იცავდნენ მათ მიერ დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას; უთანასწორო ბრძოლა აპრილის პირველ რიცხვებში აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა.

1918 წლის მარტის მეორე ნახევარში შეიარაღებული აჯანყება სენაკის მაზრაში დაიწყო. გლეხთა რაზმები, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მეზობელ ზუგდიდის მაზრაშიც მოქმედებდნენ.

მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აღდგნენ სამხრეთ ოსეთის გლეხებიც. აჯანყებულებს სათავეში ედგა სამხრეთ ოსეთის გლეხთა რევოლუციური კავშირი, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1917 წლის 23 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის გლეხთა პირველ საორგანიზაციო კრებაზე და რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: კ. გასეევი. გ. კულუმბეკოვი, ი. ხარებოვი, გ. პაპუაშვილი, ს. ლაგკოევი, ა. ჩოჩიევი, ზ. ჩოჩიევი, ნ. ჩოჩიევი. აჯანყება დაიწყო 1918 წლის თებერვალში სოფელ ყორნისში. 18 მარტს აჯანყებულებმა დაიკავეს ცხინვალი და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს მაგრამ მენშევიკურმა გვარდიამ აჯანყება ჩაახშო.

---

[1] გაზ. „ჩვენი ბრძოლა" № 7, 1918 წ. 15 მარტი.

თავისი მასშტაბის მიხედვით ყველაზე დიდი აჯანყება ამ პერიოდში დაიწყო აფხაზეთში 1917 წლის დამლევს; 1918 წლის თებერვლის მეორე ნახევარში იგი უკვე მთელ აფხაზეთს მოედო. აჯანყებას ხელმძღვანელობდა სოხუმის ოლქის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ე. ეშბას (თავმჯდომარე), გ. ათარბეკოვის, ს. კუხალეიშვილის, ნ. სვანიძის და სხვა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. მენშევიკური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ჩამოაგდეს. 11 მაისს სოხუმის რევოლუციურმა კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინსა და გ. კ. ორჯონიკიძეს და სთხოვდა დახმარება გაეწიათ სოხუმის ოლქის მშრომელებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ. სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ითხოვდა სოხუმში გაეგზავნათ შავი ზღვის ფლოტის გემები. მაგრამ ზღვიდან სოხუმის დაცვა ვერ მოხერხდა. აჯანყებულთა წინააღმდეგობა, რაც 1918 წლის მაისამდე გაგრძელდა, დაძლეულ იქნა. აფხაზეთის მთელ მშრომელ მოსახლეობას სასტიკი რეპრესიები დაატყდა.

ექსპლოატატორული კლასებისა და მათი პარტიების წინააღმდეგ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები. 1918 წლის 10 იანვარს მე-4 ქართული მსროლელთა პოლკის ჯარისკაცებმა გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გორის მენშევიკური საბჭო და ხელთ იგდეს იარაღის საწყობი (1200 შაშხანა, 2 ბომბსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი და 50 ათასამდე ვაზნა). 1918 წლის თებერვალში ქუთაისში მოხდა ბოლშევიკურად განწყობილი ორი პოლკის აჯანყება. აჯანყების საბაბი გახდა ის, რომ ჯარისკაცებს უარი უთხრეს მოთბოვნაზე თავიანთი იარაღიანად გაეშვათ შინ, და მენშევიკების მიერ ულტიმატუმის წაყენება, რომ ჯარისკაცები ეროვნულ პოლკებში შესულიყვნენ ან იარაღი ჩაებარებინათ. ჯარისკაცებმა უარყვეს ეს წინადადებანი და მათი განიარაღების ცდების საპასუხოდ აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ, თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება ქალაქში. აჯანყების ჩასახშობად მენშევიკებმა გამოიძახეს ჯარის ნაწილები ბათუმიდან, ჭიათურიდან და თბილისიდან. როცა აჯანყებული პოლკების ჯარისკაცებისათვის ნათელი გახდა, რომ აუცილებლად დამარცხდებოდნენ მოწინააღმდეგის ძალთა აშკარა სიჭარბის გამო, მათ 5 ათასზე მეტი შაშხანა და ხელყუმბარა სამხედრო საწყობებიდან დაურიგეს ქუთაისის გარშემო სოფლების მუშებსა და გლეხებს. შემდეგში ეს იარაღი უმთავრესად აჯანყებული გლეხობის ხელში აღმოჩნდა.

1918 წლის 18 თებერვალს აჯანყდნენ მე-8 ქართული ქვეითი

ბატალიონის ჯარისკაცები. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ აგრეთვე დუშეთში, მანგლისში და საქართველოს სხვა ადგილებში განლაგებული სამხედრო ნაწილები. მაგრამ ყველა ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა იარაღის დახმარებით. რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სომხურ სამხედრო ნაწილებშიც. მაგალითად, 1918 წლის გაზაფხულზე მე-4 სომხური პოლკის ჯარისკაცებმა ბოლშევიკების განკარგულებაში გადასცეს იარაღი და საომარი მასალა, რისთვისაც პოლკი დაშლილ იქნა. ეს ფაქტები მოწმობდნენ ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკების სააგიტაციო მუშაობის გაძლიერებას.

მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლოთ კავკასიის ფრონტის რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს. მაგრამ დროებითი ზავის შემდეგ, რომელიც 1917 წლის 5 (18) დეკემბერს დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და ავსტრია-გერმანიის ბლოკის ქვეყნებს შორის, დაიწყო მათი ევაკუაცია ამიერკავკასიიდან. მიუხედავად ამისა, შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში თვით ის ფაქტი, რომ მხარის ტერიტორიაზე დროებით იმყოფებოდნენ კავკასიის ფრონტიდან მიმავალი რევოლუციურად განწყობილი სამხედრო ნაწილები, რომლებიც მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, არღვევდა შეძლებული კლასებისა და მათი პარტიების ანტიხალხური, კონტრრევოლუციური გეგმების განხორციელებას, ფუშავდა ანტანტის ქვეყნების გეგმებს. ამიტომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებმა თეთრგვარდიელი სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავეს კავკასიის არმიის რევოლუციურად განწყობილ ნაწილებთან გასწორების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული ამერიკელ იმპერიალისტებთან, მათ უნდოდათ არა მარტო თავიდან მოეშორებინათ მათთვის ჯარის საშიში ნაწილები, არამედ ჩამოერთმიათ ჯარისკაცებისათვის იარაღი და გამოეყენებინათ იგი ეროვნული პოლკების შესაიარაღებლად. ეს გეგმა შეესაბამებოდა იმ თეთრგვარდიელი გენერლების ინტერესებსაც, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთში.

1918 წლის 9—12 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა სადგურ შამქორის რაიონში მოაწყო მუსავატელთა ბანდების ვერაგული თავდასხმა რევოლუციურ ჯარისკაცებზე, რომლებიც კავკასიის ფრონტიდან რკინიგზით მიდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭო-

თა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. შამქორის ტრაგედიის დროს, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც კონტრრევოლუციონერთა საზარელი ბოროტმოქმედება, დახოცილ და დაჭრილ იქნა ათასობით ჯარისკაცი.

თუმცა ამიერკავკასიის კომისარიატმა შეძლო განეხორციელებინა თავისი ვერაგული განზრახვები, მაგრამ შამქორის სისხლიანი ამბები მისთვის უკვალოდ ვერ ჩაივლიდა: ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიებს მშრომელთა წინაშე „დემოკრატიული“ ნიღაბი აეხადათ.

ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობდა დაემალა მშრომელი მოსახლეობისათვის სიმართლე შამქორის ამბების შესახებ და თავისი საზიზღარი როლი ამ ამბებში; ამ დანაშაულებრივი ავანტიურის მთავარმა მოთავეებმა — ჟორდანიამ, გეგეჭკორმა და სხვებმა ყოველგვარ საშუალებებს მიმართეს, რომ თავიანთი დანაშაულის კვალი დაეფარათ. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობის არც ერთ კონტრრევოლუციურ მოქმედებას არ გამოუწვევია მშრომელთა ისეთი ძლიერი პროტესტი და მრისხანება, როგორიც შამქორის ამბავმა გამოიწვია. იანვარ — თებერვლის განმავლობაში ამიერკავკასიაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ფაბრიკა და ქარხანა, არც ერთი სამხედრო ნაწილი, სადაც მიტინგები ან კრებები არ მოწყობილიყო. მუშები და ჯარისკაცები აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოთქვამდნენ შამქორის ამბების გამო. 4 თებერვალს ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური მიმართვა ჯარისკაცებისადმი, რომელშიც ამხილებდა ამიერკავკასიის კომისარიატს როგორც სადგურ შამქორში მომხდარი სისხლიანი ამბების მთავარ დამნაშავეს.

შამქორში ნაძალადევი განიარაღებისა და დახვრეტის გამო მრისხანე პროტესტით გამოვიდა 1918 წლის 31 იანვარს კავკასიის საქმეთა დროებითი საგანგებო კომისარი ს. გ. შაუმიანი. საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელით მან ამიერკავკასიის კომისარიატს მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო ნაწილების განიარაღების შემდგომი ცდები, ხოლო რუსეთში მიმავალ ჯარისკაცებს მოუწოდა არავითარ შემთხვევაში არ ჩაებარებინათ იარაღი, რომელიც მათ სჭირდებოდათ მუშურ-გლეხური რევოლუციის დასაცავად[1]. ორი დღის შემდეგ, 2 თებერვალს, ს. გ. შაუმიანმა „კავკაზსკი რაბოჩიში“ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია „სიმართლე ელიზავეტპოლის ამბების შესახებ“, რომელიც წარმოადგენდა საბრალ-

[1] Газ. «Кавказский вестник Совета Народных Комиссаров», № 1, 31 января (13 февраля) 1918 г.

მდებლო აქტს ამიერკავკასიის კომისარიატის, მენშევიკების, მუსავათელების და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ.

მხარის ხალხთა მასების პროტესტების საპასუხოდ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკი გადავიდა აშკარა შეტევაზე ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ბოლშევიკების წინააღმდეგ წინასწარ მომზადებული გამოსვლის ორგანიზატორები იყვნენ ქართველი მენშევიკები. მათი წინადადებით ამიერკავკასიის კომისარიატმა დახურა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო — „კავკაზსკი რაბოჩი“, რომელიც თითქმის წლის განმავლობაში გამოდიოდა როგორც ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მედროშე. იმავე დღეს დახურულ იქნა გაზეთები „ბრძოლა“ და „ბანვორი კრივ“. დარბეულ იქნა რსდმპ(ბ) სამხარეო კომიტეტის სტამბა. კომისარიატმა გასცა ორდერები სამხარეო კომიტეტის წევრების — ფ. ე. მახარაძის, ა. მ. ნაზარეტიანის, მ. გ. ცხაკაიას, დ. ა. შაევერდოვის და სხვების დასაპატიმრებლად. დაპატიმრებულ იქნა ა. ა. გეგეჭკორი, ბათუმში დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „ბურევესტნიკი“, ალექსანდროპოლში — „პრავდა ეიზნი“. ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა ს. გ. შაუმიანს 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა ამიერკავკასიის ფარგლები; მალე გაიცა ორდერი მის დასაპატიმრებლად[1].

ამავე დროს ამიერკავკასიის კომისარიატის გამცემლური პოლიტიკისადმი ხალხის მასების მზარდი წინააღმდეგობის წინაშე ბურჟუაზიულ-მემამულურმა პარტიებმა ახალი მანევრები წამოიწყეს მშრომელთა თვალის ასახვევად. კონტრრევოლუციამ იმედი დაამყარა ამიერკავკასიის სეიმზე, რომელიც 10 თებერვალს იქნა მოწვეული. თავისი შემადგენლობით სეიმი კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური იყო. სამანდატო კომისიის მონაცემებით, მასში შედიოდა 32 მენშევიკი, 27 დაშნაკი, 30 მუსავათელი, აგრეთვე ესერების, სოციალ-ფედერალისტების პარტიების, ქართული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის, ჰუმეთელი მენშევიკების, სახალხო თავისუფლების (სომხური) პარტიის, მუსლიმანთა სოციალისტური ბლოკის და ფრაქცია „ითიჰად ისლამის“ (რუსეთში) წარმომადგენლები. ხელმძღვანელი როლი სეიმში ქართველ მენშევიკებს ეკუთვნოდათ. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მენშევიკი ნ. ჩხეიძე. სეიმის მოწვევის ინიციატორები მას განიხილავდნენ როგორც მთელი ამიერკავკასიის ერთიან ხელმძღვანელ ორგანოს, რომელსაც „საკანონმდებლო ფუნქციები ჰქონდა“.

---

[1] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 11, ს. 703.. ფურც. 54..

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს კამპანია სეიმის წინააღმდეგ, ამხილებდნენ მის შემქმნელთა განზრახვებს. უპასუხებდა რა პროვოკაციულ წინადადებას მონაწილეობა მიეღო სეიმის ორგანიზაციაში, რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა განაცხადა, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები „ყველა ზომას მიიღებენ, რათა ამხილონ ამიერკავკასიის სეიმის ინიციატორები, რომლებიც ხალხს ატყუებენ"[1].

არსებობის პირველი დღიდანვე ამიერკავკასიის სეიმმა ჩირქი მოიცხო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და თბილისის სხვა სამრეწველო საწარმოების მუშების ხოცვა-ყლეტით, რომლებიც პარტიის სამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მოწოდებით 10 თებერვალს შეიკრიბნენ მიტინგზე ალექსანდრეს ბაღში. მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყვანილ იქნენ სამხედრო ნაწილები, რომლებმაც გაუფრთხილებლად დაუშინეს ცეცხლი შეკრებილთ; მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე ათეული კაცი.

ამ დღეს ამიერკავკასიის მშრომელებმა „სისხლიანი შაბათი" უწოდეს. ცნობები ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის ბოროტმოქმედებათა შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ამიერკავკასიის ყველა ქალაქსა და სოფელში და ყველგან ხალხის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ბოლშევიკების სამხარეო და თბილისის კომიტეტები და ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი თავიანთ მოწოდებებში ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტის გამო ამხილებდნენ ამ ახალი საზარელი დანაშაულის ორგანიზატორებს, მოუწოდებდნენ თბილისის და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების პროლეტარიატს მოეწყო საყოველთაო გაფიცვა, მოითხოვდნენ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას, ბოლშევიკური გაზეთების აკრძალვის გაუქმებას და ყველა იმ პირთა რევოლუციურ სამართალში მიცემას, ვისაც ბრალი მიუძღოდა მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტაში[2].

11 თებერვალს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სამხედრო ეშელონებში გაიმართა მიტინგები და კრებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა ჯარისკაცმა. ისინი მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ დადგენილების დაუყოვნებლივ გაუქმებას, ყველა დაპატიმ-

---

[1] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг., стр. 258.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), стр. 217—222.

რებული ბოლშევიკის განთავისუფლებას, დახურული ბოლშევიკური გაზეთების გამოცემის განახლებას, ყველა იმათ პასუხისგებაში მიცემას, ვისაც ბრალი მიუძღოდა მიტინგის დახვრეტაში. იმავე დღეს გაიფიცნენ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები. თბილისის საქალაქო პურსაცხობის მუშების კრებამ მთავრობას მოსთხოვა სამი დღის ვადაში მოეხდინა დახვრეტის გარემოებათა გამოძიება, და აფრთხილებდა, რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გაფიცვა დაიწყებოდა. მბეჭდავთა პროფესიულმა კავშირმა გაფიცვისაკენ მოუწოდა სტამბების მუშებს. გაფიცულთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. 14 თებერვალს გაიფიცნენ ფოთის ნავსადგურის მუშები. 16 თებერვალს — ძირულის ქარხნების „შრომისა" და „კავგორტოს" მუშები. იმავე დღეს გაიფიცნენ ტყიბულის მეშახტეები. ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა დახვრეტის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუცია მიიღო ბათუმის ნავსადგურის მეზღვაურთა საერთო კრებამ. 17 თებერვალს თბილისის საპყრობილეებში შიმშილობა გამოაცხადეს პატიმარმა ბოლშევიკებმა.

მიტინგის დახვრეტასთან დაკავშირებით ბოლშევიკების კავკასიის საგზარეო კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა[1] გამოსცეს ბევრი პროკლამაცია და ფურცელი, რომლებიც ამხილებდნენ პირსისხლიან ჯალათებს. ქუთაისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გამოუშვა მ. ორახელაშვილის ბროშურა „სისხლიანი შაბათი — 10 თებერვალი თბილისში", რომელიც წარმოადგენდა ხალხის მიერ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობისათვის წაყენებულ საბრალდებო აქტს.

1918 წლის 10 თებერვლის ამბების შემდეგ საქართველოს, სომხეთისა და მეტი წილი აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციები იძულებული გახდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ. ბოლშევიკებს თავს დაატყდათ სასტიკი რეპრესიები. მაგრამ რეპრესიებმა ვერ გატეხა ბოლშევიკების ნებისყოფა მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მათს თავდადებულ ბრძოლაში.

ამ მომენტიდან იწყება ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ამ ეტაპის მთავარ შინაარსს განსაზღვრავდა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებით განმტკიცებისა და მთელ ამიერკავკასიაზე მისი სფეროს თანდათანობით გაფართოების ამოცანა.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), стр. 222.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, კავკასიის სამხარეო კომიტეტი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ახორციელებდა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული ადგილებზე ახალი პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად. ბოლშევიკური ორგანიზაციები და ჯგუფები შეიქმნა თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერევნის, ქუთაისის გუბერნიების მთელ რიგ ქალაქებსა და მაზრებში. ახლად შექმნილი ორგანიზაციები მაშინვე ჩაებნენ მუშაობაში, რათა დაეერაზმათ მასები საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების შექმნას და ხშირად ამყარებდა მათთან უშუალო კავშირს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, მიუხედავად მუშაობის წარმოუდგენლად მძიმე პირობებისა, იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ. ბევრად გადიდდა „ჰუმეთისა“ და „ადალეთის“ ბოლშევიკური ორგანიზაციების რიცხვი აზერბაიჯანში. თუ 1917 წლის ოქტომბრისათვის ბაქოში ამ ორგანიზაციათაგან „ჰუმეთის“ რიგებში სულ 200 კაცი ითვლებოდა, 1918 წლის გაზაფხულზე უკვე 1500 წევრი იყო; ძირითადად ეს ბაქოს მუშები იყვნენ.

1918 წლის თებერვალში სამხარეო კომიტეტის მითითებით ბათუმში არალეგალურად მოწვეულ იქნა ბათუმისა და გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე დელეგატები აფხაზეთიდან და სევასტოპოლის სამხედრო მეზღვაურთაგან. კონფერენციამ შექმნა ბათუმ-გურიის საოლქო ბიურო, მიიღო გადაწყვეტილება თავისი ორგანოს „მუშის სიმართლის“ გამოცემის შესახებ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ საოლქო ბიუროსთან შექმნილიყო სამხედრო სექცია, რომელსაც ევალებოდა მოეწყო გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები დასავლეთ საქართველოში.

ბათუმის კონფერენციიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ სამხარეო კომიტეტის მითითებით ქუთაისში მოეწყო საქართველოს დასავლეთი რაიონების ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. მას დაესწრო 60 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 6 ათას წევრს დასავლეთი ამიერკავკასიის 32 ორგანიზაციიდან[1]. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამხარეო

---

1 როგორც აღნიშნულია გამოქვეყნებულ ანგარიშში, კონფერენციას სხვადასხვა მიზეზით ვერ დაესწრნენ მთელი რიგი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომიტეტის წევრებმა ფ. ე. მახარაძემ, მ. დ. ორახელაშვილმა და სხვ. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ სოფელი კრიზისს განიცდიდა, გლეხები მენშევიკებისადმი „ყოველ ნდობას“ კარგავდნენ, საბოლოოდ რწმუნდებოდნენ, რომ მენშევიკები ყოველ ნაბიჯზე ღალატობდნენ მათს ინტერესებს. თითქმის ყველა დელეგატი აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „ახლა სოფლად არჩევნები რომ მოეწყოს, მენშევიკები იმ ხმების მეხუთედ ნაწილსაც ვერ მიიღებდნენ, რაც წინა არჩევნების დროს მიიღესო“.[1] დელეგატების საინფორმაციო მოხსენებებში დიდი ადგილი უთმობოდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას ადგილებზე. აღინიშნებოდა, რომ სოფლებში ადგილი ჰქონდა „ბოლშევიზმის საოცარ ზრდას. თითქმის ყველა სოფელში თავისთავად სტიქიურად იქმნებიან ბოლშევიკური ორგანიზაციები“ [2]. ამასთან ერთად დელეგატები აღნიშნავდნენ დიდ გამარეოლუციურებელ გავლენას, რომელსაც გლეხობაზე ახდენდნენ ფრონტიდან შინ დაბრუნებული ჯარისკაცები.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო „მიმდინარე მომენტი და ხელისუფლების საკითხი“. კონფერენციამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო რეზოლუციაში, ხალხის წარმომადგენლობა კი არ იყო, არამედ ბურჟუაზიულ-შოვინისტური და ცრუსოციალისტური პარტიებისა და რომელმაც სანქცია მისცა ამიერკავკასიის გამოყოფას რევოლუციური რუსეთისაგან. რეზოლუციაში ჩამოყალიბებული იყო დასავლეთი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები: ყველგან მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა და მათი სრული ძალაუფლების განხორციელება; განახლებული და ახლად შექმნილი საბჭოების ყრილობის მოწვევა მთელი მხარის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად; შექმნა სოციალისტური არმიისა, რომელიც საბჭოების ხელმძღვანელობით გააჩაღებდა ბრძოლას შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ; რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის დამღუპველობისა და კონტრრევოლუციური ხასიათის მხილება[3].

კონფერენციის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აგრეთვე მიწის საკითხმა, გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგა-

---

[1] რსდმპ (ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები. ქუთაისი, 1918, გვ. 5.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 8—9.

ნიზაციის, წითელი სოციალისტური გვარდიის შექმნისა და ორგანიზაციულმა საკითხებმა. მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისათვის მხარის დაჭერის მიზნით კონფერენციამ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მომზადების კურსი აიღო და შექმნა სპეციალური შტაბი, რომელსაც სოციალისტური შტაბი ეწოდებოდა. ეს შტაბი ა. ა. გეგეჭკორის მეთაურობით ხელმძღვანელობდა და წარმართავდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას სამეგრელოში, ლეჩხუმსა და რაჭაში 1918 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. განხილულ საკითხებზე კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისათვის. კონფერენციამ აირჩია დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური კომიტეტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა პარტიული ორგანიზაციების ზრდასა და განმტკიცებაში და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაში.

1918 წლის 26 თებერვალს თბილისში არალეგალურ პირობებში გაიმართა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი მიმდინარე მომენტისა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. ამ საკითხზე მიღებული რეზოლუცია კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა გადაჭრით გამოსულიყვნენ ოქტომბრის რევოლუციისა და სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლების დასაცავად, დაერაზმათ მუშები და გლეხები — რევოლუციის შეგნებული მებრძოლნი — წითელ სოციალისტურ რაზმებად საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. სამხარეო კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა წინადადებით განეევითარებინათ გაძლიერებული მოღვაწეობა, რათა ფართო მასებისათვის განემარტათ მიმდინარე ვითარება და შეექმნათ წითელი არმიის რევოლუციური რაზმები[1].

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელა რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტმა. მარტის პირველ რიცხვებში გაიმართა ბაქოს ორგანიზაციის კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა საკითხები ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობისა და ომისა და ზავის შესახებ. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იცავდა ბრესტის ზავის დადების აუცილებლობას[2]. როგორც ცნობილია, ლენინის მითითებანი ზავის დადების აუცილებლობის შესახებ მოიწონა რკპ (ბ) VII ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილე-

---

[1] Газ. «Кавказская правда» № 2, 14 марта 1918 года.

[2] Газ. «Бакинский рабочий» № 45, 10 марта 1918 г.

ბებს მარტ—აპრილის განმავლობაში ფართოდ განიხილავდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში.

1918 წლის იანვარ—მარტში ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ჯგუფების კრებები, მშრომელთა მიტინგები, რომლებმაც განიხილეს მიმდინარე მოვენტი, საბჭოების ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ამოცანები, გაიმართა ელიზავეტპოლში, ერევანში, ალექსანდროპოლში, ახპატსა და მხარის სხვა ქალაქებსა და ადგილებში. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის საგუბერნიო პარტიული კონფერენცია, რომელიც არალეგალურად შედგა აპრილში და რომელზეც განხილულ იქნა საკითხი გლეხთა შეიარაღებული აჯანყებების ხელმძღვანელობის შესახებ.

გამოცოცხლდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა ალექსანდროპოლში, ლენქორანში, გუდაუთში, შუშაში, ყაზახში, ქედაბეკში, სალიანში, შამქორში, თაუზში, ოზურგეთის, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში.

კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვისათვის ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა. „კავკაზსკი რაბოჩის“ ნაცვლად, რომელიც დახურეს, დაიწყო რუსულ ენაზე „კავკაზსკაია პრავდას“ გამოცემა. გაზეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი. იგი ამხილებდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, ეროვნული საბჭოების ანტიხალხურ ხასიათს. „ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! — ნათქვამი იყო მოწოდებაში. — ნუთუ დაანებებთ ჩაკლან რევოლუციის დიადი მონაპოვარნი — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები? ნუთუ საუკუნეობით იმისათვის იღვრებოდა პატიოსან რევოლუციონერთა სისხლი, რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა დიადი ზეიმის დღეებში, რომლებმაც თავიანთ ქვეყანაში მუშურ-გლეხური ხელისუფლება შექმნეს, ობორონცებს დაანებოთ ტალახში ჩაფლან წითელი დროშა ამიერკავკასიის მუსლიმანი ბეგების, სომეხი მდიდარი ბობოლებისა და ქართველი თავადაზნაურების საამებლად? ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორიული სეიმი! გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს! მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“[1].

აზერბაიჯანის ბოლშევიკების საბრძოლო ორგანოები კვლავინდებურად გაზეთები „ბაკინსკი რაბოჩი“ და „ჰუმეთი“ იყვნენ. ბოლ-

---

[1] Газ. «Кавказская правда» № 1, 9 февраля 1918 г.

შევიკური სულისკვეთებით იწყო გამოსვლა გაზეთმა „ბაქოს რაიონის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს მოამბემ“ (რუსულ ენაზე, ხოლო უფრო გვიან აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე). 1918 წლის 19 იანვრიდან დაიწყო სომხურ ენაზე გაზეთ „ბანვორი ხოსკის“ („მუშათა სიტყვა“) — რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტის ორგანოს გამოსვლა, 27 თებერვლიდან თბილისში, აგრეთვე სომხურ ენაზე, გამოდიოდა გაზეთები „ბანვორ“ („მუშა“), „ბანვორი კრივ“ („მუშის ბრძოლა“). ელიზავეტპოლის ბოლშევიკები უშვებდნენ გაზეთს „ბიულეტენ კავკაზსკოგო რაბოჩეგო“. ქუთაისში ქართულ ენაზე გამოდიოდა ბოლშევიკური ორგანოები „ჩვენი ბრძოლა“ და „მუშის ბრძოლა“. აპრილ — მაისში სოხუმის ბოლშევიკები უშვებდნენ გაზეთ „სუხუმსკაია პრავდას“. ბეჭდვითი ორგანოები ჰქონდათ ბათუმის ბოლშევიკებსაც: ისინი რუსულ და ქართულ ენებზე უშვებდნენ გაზეთებს „ბურევესტნიკსა“ და „მუშის სიმართლეს“. 1918 წლის აპრილიდან სამხარეო კომიტეტი არალეგალურად უშვებდა რუსულ ენაზე გაზეთის ფორმატის ბიულეტენს. აპრილში დაიწყო სამხარეო კომიტეტის ორგანოს „კავკაზსკაია რაბოჩაია პრავდას“ გამოსვლა.

ამრიგად, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ცდილობდნენ ყველა საშუალება გამოეყენებინათ რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის; ისინი ამხილებდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ანტიხალხურ პოლიტიკას და ფართო რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციის გზით იმხრობდნენ ამიერკავკასიის ფართო მშრომელ მასებს.

15 მარტს ბაქოს საბჭოს განსახილველად დაისვა ს. გ. შაუმიანის მოხსენება, რომელიც 6 მარტს მოიწონა ბაქოს ბოლშევიკების კონფერენციამ. საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკების მიერ წამოყენებული რეზოლუცია. რეზოლუცია მკვეთრად გმობდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, რომლებიც დაადგნენ საბჭოთა რუსეთისაგან მხარის გამოყოფის გამცემლურ გზას. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ბაქოს საბჭოს „თავის რევოლუციურ მოვალეობად მიიჩნია მიეშველოს მთელი ამიერკავკასიის მომძმე მუშათა კლასსა და გლეხობას და მათთან ერთად დაამხოს სეიმის კონტრრევოლუციური და დანაშაულებრივი ხელისუფლება“[1]. ამის საფუძველზე ბაქოს საბჭომ წინადადება მისცა აღმასკომს უახლოეს ხანში მოეწვია ქალაქ-

---

[1] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—918 гг., стр. 316—317.

ში მთელი კავკასიის საბჭოების ყრილობა, ეკისრნა წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა როგორც ბაქოს გუბერნიაში, ისე ამიერკავკასიის სხვა ნაწილებშიც.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის საერთო გაქანება აშინებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციას. საკუთარი ძალების იმედი რომ არ ჰქონდათ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა გადაწყვიტეს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გერმანიისა და თურქეთის ჯარები გამოეყენებინათ. ეს შეესაბამებოდა გერმანიის იმპერიალიზმისა და თურქეთის მმართველი წრეების გეგმებს. თურქეთის ჯარებმა ჯერ კიდევ 1918 წლის 12 თებერვალს, მიუხედავად დადებული დროებითი ზავისა გადმოლახეს სადემარკაციო ხაზი კავკასიის ფრონტზე.

თურქეთის სარდლობასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული მუსავატისტებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობის" დაუყოვნებლივ გამოცხადებას. რამდენადმე უფრო ფრთხილად იქცეოდნენ ქართველი მენშევიკები, რომლებსაც ეშინოდათ, რომ გერმანიისა და თურქეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის ოკუპაცია მშრომელი მასების უდიდეს აღშფოთებას გამოიწვევდა, დააჩქარებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის რეაქციული რეჟიმის კრახს. მაგრამ გადასძალა კონტრრევოლუციონერების მძვინვარე სიძულვილმა საბჭოთა წყობილებისადმი. განსხვავება მხოლოდ იმპერიალისტ ბატონთა არჩევაში იყო. თუ მუსავატისტები ორიენტაციას იღებდნენ თურქეთის სამხედრო ხროვაზე, მენშევიკებმა და დაშნაკებმა თავიანთ მფარველად გერმანელი იმპერიალისტები აირჩიეს.

ასეთ ვითარებაში მუსავატისტები, რომლებიც აზერბაიჯანში კონტრრევოლუციის ყველაზე აგრესიულ რაზმს წარმოადგენდნენ, ამიერკავკასიის კომისარიატთან სრული თანხმობით ამზადებდნენ დარტყმას ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელის— ბაქოს წინააღმდეგ. სხვა ანტისაბჭოთა პარტიებს კი, კერძოდ დაშნაკებს, ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ მოეწყოთ აშკარა შეიარაღებული გამოსვლა ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ. მუსავატისტებმა, რომლებსაც აქეზებდა თურქეთის სამხედრო ხროვა და ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატი და დაღესტნის კონტრრევოლუცია იმამ გოცინსკის მეთაურობით, შუა მარტში გააქტიურეს თავიანთი მოქმედება მუღანზე, ლენქორანსა და შემახაში. 30 მარტს მათ ანტისაბჭოთა ამბოხება მოაწყვეს ბაქოში.

მუსავატისტ მეამბოხეებთან საბრძოლველად ბაქოს კომი-

ტეტმა შექმნა რევოლუციური თავდაცვის კომიტეტი ს. გ. შაუმიანის, პ. ა. ჯაფარიძის, გ. ნ. ყორღანოვის, ნ. ნ. ნარიმანოვისა და სხვათა შემადგენლობით. ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ მოახდინა მთელი ძალების მობილიზაცია საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და მტრის გასანადგურებლად; ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა. მალე წითელი არმიის ნაწილები, წითელი გვარდიის, კასპიის სამხედრო ფლოტილიის რევოლუციურ მეზღვაურთა რაზმები შეტევაზე გადავიდნენ. სამი დღის განმავლობაში (30 მარტს — 1 აპრილს) ბაქოს ქუჩებში წარმოებდა გააფთრებული ბრძოლები, რომლებშიც ორივე მხრიდან 20 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მუსავატისტთა ნაწილების რიგებში ცოტანი როდი იყვნენ თურქი და რუსი თეთრგვარდიელი ოფიცრები. მუსავატისტების წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოლშევიკურმა რაზმმა და წითელი გვარდიის რაზმებმა. მიუხედავად მუსავატისტებისა და დაშნაკების შეცადინეობისა, რომლებიც პროვოკაციული მიზნებით აღვიძებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს, მუშები — აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები, ქართველები, დაღესტნელები და სხვები — ერთ მწყობრში იბრძოდნენ, ბოლშევიკების გარშემო დარაზმულნი. „ბაქოს რაიონის მუშათა კლასი განურჩევლად ეროვნებისა ჯეროვან დონეზე აღმოჩნდა... მუშები — მუსლიმანები, სომხები, რუსები ამ დღეებში ერთიან ძმურ ოჯახს წარმოადგენდნენ. ჩვენ აღვნიშნავთ ამ მოვლენას როგორც უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს. ჩვენ ეს მიგვაჩნია კავკასიაში მუშათა მოძრაობის უდიდეს გამარჯვებად“[1], — აღნიშნავდა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“.

საბჭოთა ჯარების მიერ მიყენებულმა დარტყმებმა აიძულა განადგურებული კონტრრევოლუციონერები გაქცეულიყვნენ ბაქოდან. მუსავატისტურ კონტრრევოლუციაზე ბაქოს მუშების ამ დიდმა გამარჯვებამ უზრუნველყო მთელი ძალაუფლების მოქცევა ბაქოს საბჭოს ხელში, რომელიც ბაქოსა და მისი რაიონების ნამდვილი პატრონი გახდა.

ბაქოში მუსავატის ამბოხების ჩაქრობამ აფორიაქება და დაბნეულობა გამოიწვია ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ბანაკში. 1918 წლის 2 აპრილს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმის სხდომა. მოხსენება ბაქოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მთავრობის მოქმედების შესახებ გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა. იგი იძულებული იყო ეღიარე-

[1] Газ. «Бакинский рабочий» № 63 (179), 12 апреля (30 марта) 1918 г.

ბინა ბოლშევიკების შეუსუსტებელი გავლენა ამიერკავკასიის მშრომელ მასებზე და წინადადებას იძლეოდა მიეღოთ ზომები ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, გაეძლიერებინათ ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ მთელ ამიერკავკასიაში. სხდომაზე განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ მუსავატისტები. მათ განაცხადეს, ბოლშევიკების წინააღმდეგ ზომების მიღებაში რაიმე დაყოვნება საშიშ შედეგებს გამოიწვევსო. მიღებულ დადგენილებაში მთავრობას წინადადება ეძლეოდა სასწრაფოდ შეექმნა მებრძოლი რაზმი ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად[1]. სეიმის დადგენილების შესრულება დაევალა სამხედრო მინისტრს; მთავრობა ავალებდა მას იარაღის ძალით დაეკავებინა ბაქო და ქალაქის მოშიჯნავე რკინიგზის სადგურები. საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად ბაქოში ჯარების გაგზავნა დანიშნული იყო 3 აპრილისათვის, ხოლო 6 აპრილს გამოიცა კანონი „ამიერკავკასიაში სამხედროვალდებულთა ჯარებში გაწვევის შესახებ". რევოლუციურ ბაქოს საფრთხე დაემუქრა.

თურქ და გერმანელ ინტერვენტთა მითითებით მუსავატისტთა და დაღესტნელ კონტრრევოლუციონერთა გაერთიანებული ძალები დაიძრნენ ბაქოსაკენ ელიზავეტპოლის მხრიდან და დაღესტნიდან. ბოლშევიკებმა კვლავ მოუწოდეს ბაქოს მშრომელთ მოეგერიებინათ კონტრრევოლუცია. ბრძოლებში, რომლებიც გაჩაღდა 8—10 აპრილს ბაქოს ჩრდილოეთით, სადგურ ხურდალანთან, და 20—21 აპრილს — სამხრეთით, სადგურ აჯიკაბულთან, წითელი არმიისა და შეიარაღებული მუშების რაზმებმა უკუაქციეს კონტრრევოლუციონერთა ბანდები.

ბაქოში მუსავატისტების ანტისაბჭოთა ამბოხების ჩაქრობას, კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების უკუგდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა განმტკიცდა, და ამასთან ერთად ჩაეშალათ გეგმები თურქეთისა და გერმანიის იმპერიალისტებს, რომლებიც ვარაუდობდნენ შინაგანი კონტრრევოლუციის ძალების დახმარებით სწრაფად ჩაეგდოთ ხელში ბაქო. ამავე დროს ბაქოს პროლეტარიატის მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ იმის შესაძლებლობა შექმნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულიყო ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე.

ბაქოს პროლეტარიატმა, რომელსაც ბოლშევიკური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა, კონტრრევოლუციის იერიშები რომ მოიგერია, ბაქოს გუბერნიის მაზრების მშრომელი მასების მონაწილეო-

---

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 260, ფურც. 3.

ბით გააჩაღა აქტიური ბრძოლა ბაქოს გუბერნიის მაზრებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. აპრილში და მაისის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულ იქნა ბაქოს, ლენქორანის, შემახის, ჯევათის, კუბის მაზრებში, რამდენადმე გვიან (მაის — ივნისში), რაც უფრო ადრე მიიწევდნენ საბჭოთა ჯარები დასავლეთით, ელიზავეტპოლისაკენ, საბჭოების ხელისუფლებამ გაიმარჯვა თითქმის მთელ ბაქოს გუბერნიაში. აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებანი მოასწავებდნენ დიდ ნაბიჯს მთელ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, გამოიწვიეს მხარის მშრომელთა დიდი რევოლუციური აღმავლობა. რევოლუციური ბრძოლის ტალღა ამიერკავკასიის სულ ახალ რაიონებს ედებოდა.

1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყო სამეგრელოს გლეხების დიდი შეიარაღებული აჯანყება. მალე ის მთელ ოლქს მოედო; მთელ რიგ მაზრებში დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. აჯანყებულ გლეხებსა და კონტრრევოლუციის ჯარებს შორის, რომლებსაც მძიმე არტილერია ჰქონდათ, გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა. გლეხების წინააღმდეგობა გატეხეს, მაგრამ აჯანყებულთა ნაწილი აფხაზეთში გადავიდა და აფხაზეთის გლეხებთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებულთა დიდმა რაზმმა, რომელსაც ა. გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა, სამხარეო კომიტეტის წინადადებით ივნისის დამლევს მაპისონის უღელტეხილი გადაიარა და კავკაზში ჩავიდა. აქ გეგეჭკორის რაზმმა საველე ზარბაზნების დივიზიონი მიიღო და სამხარეო კომიტეტის განკარგულებით გაიგზავნა საქართველოს სამხედრო გზით, რომ მიშველებოდა დუშეთის აჯანყებულ გლეხებს, რომლებიც მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების რეგულარული ჯარების წინააღმდეგ. მაგრამ ძალები იმდენად უთანასწორო იყო, რომ რაზმი იძულებული გახდა ბრძოლებით დაეხია უკან, თერგის ოლქში, სადაც ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში იმყოფებოდა და მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში კონტრრევოლუციური კაზაკობისა და თეთრგვარდიელი ოფიცრების წინააღმდეგ.

მაისის პირველ ნახევარში კვლავ იფეთქა ლეჩხუმის გლეხების შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელიც თავისი მასშტაბებით კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე თებერვალ — მარტისა. მაზრაში აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. ამჯერად ბრძოლა სამთვენახევარს გრძელდებოდა.

1918 წლის შუა ივნისში აჯანყდნენ დუშეთის მშრომელი გლეხები. მაზრაში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მთელ თვეს გაძლო. დუშეთის აჯანყება თითქმის მცხეთამდე გავრცელდა. აჯანყებულმა გლეხებმა გაიმარჯვეს მთავრობის ჯარების რაზმზე და დაიძრნენ თბილისისაკენ იმ მიზნით, რომ დაემხოთ კონტრრევოლუციური მთავრობის ძალაუფლება და შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს[1]. აჯანყების გაქანებით დამფრთხალმა მენშევიკებმა თავი მოუყარეს თითქმის მთელ თავიანთ ძალებს: „სახალხო გვარდიას", ჯარებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ არტილერიით, და გერმანიის თვითმფრინავებიც კი გამოიყენეს. მხოლოდ ამ გზით შეძლეს მათ ჩაექროთ აჯანყება. 1918 წლის ზაფხულში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად აღდგნენ საჩხერის, ზუგდიდისა და საქართველოს მთელი რიგი სხვა სოფლებისა და რაიონების გლეხები, მაგრამ მენშევიკები ამ გამოსვლებს შეიარაღებული ძალით ახშობდნენ.

გლეხების ხშირი შეიარაღებული აჯანყებებით შეშინებულმა მენშევიკებმა სცადეს მიემართათ ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობებისათვის. მათ გამოაქვეყნეს მიმართვა „ქართველ ერს", მოუწოდებდნენ ხალხს „სიმშვიდისა და წესრიგისაკენ" „მეამბოხეთა" და მათ ხელმძღვანელთა — „ერის გამცემთა" წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ საქართველოს მშრომელებს არ სურდათ მოესმინათ მენშევიკების მოწოდებანი; მათ არ სურდათ ასეთი „სიმშვიდე" და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ებრძოლათ სრულ გამარჯვებამდე მენშევიკებზე, რომელთა ანტიხალხურ პოლიტიკას ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

აგრარული მოძრაობა გაჩაღდა სომხეთშიც; გლეხთა მღელვარება მოედო შამშადინის, ლორის, ზანგეზურის რაიონებს. გლეხები იკავებდნენ მემამულეთა კარმიდამოსა და მიწებს; ამიერკავკასიის კომისარიატს ხშირად მოსდიოდა ერევნის გუბერნიიდან დეპეშები, სადაც სთხოვდნენ გაეგზავნა დამსჯელი რაზმები საბრძოლველად აღმდგარი გლეხების წინააღმდეგ. სომეხ გლეხობას მალე შეიარაღებული აჯანყება უნდა მოეხდინა. სულ უფრო ხშირად იწვევდნენ გლეხთა ყრილობებს, სადაც იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო გლეხების მზადყოფნა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. შამშადინის მაზრის მთელ რიგ სოფლებში შეიქმნა გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები, რომლებმაც თავდაცვის მიზნით თავიანთი წითელგვარდიული რაზმები შექმნეს.

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 6, დაცვ. ერთ. 96, ფურც. 12.

1918 წლის გაზაფხულზე ელენოვკასა (ახლა სევანი) და გომაძორში ძალაუფლება მშრომელი გლეხების ხელში იყო, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. აპრილის პირველ რიცხვებში ახპატში გაიმართა ბორჩალოს მაზრის ლორის უბნის გლეხთა საბჭოების ყრილობა, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალაუფლება. სამხარეო კომიტეტმა ლორში გაგზავნა თვალსაჩინო ბოლშევიკები — ა. მრავიანი, გ. ალიხანიანი და სხვები, რომლებიც დაეხმარნენ გლეხებს ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების შექმნაში. ახპატის პარტიულ ორგანიზაციაში 11 უჯრედი იყო, რომელშიც 100-ზე მეტი კომუნისტი შედიოდა. აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა ლორში მყოფი სომხური პოლკი, რომელმაც თავს წითელი პოლკი უწოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ აქ იარსება მაისის ბოლომდე, როცა თურქი ინტერვენტები ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრნენ ლორში. აგვისტოში ყაზახში მოწვეულ იქნა ახალი ბაიაზეთის, ალექსანდროპოლისა და ყაზახის მაზრების გლეხთა დეპუტატების ყრილობა, რომელზეც ბოლშევიკებმა ამხილეს დაშნაკური მთავრობის ანტიხალხური, კონტრრევოლუციური პოლიტიკა. მაგრამ გლეხთა მოძრაობა სომხეთში ფართო და მწვავე ხასიათს არ ატარებდა. მას ბოჭავდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების დაშნაკური ორგანოების შინაგანი სისხლიანი რეჟიმი, მეორე მხრივ — ტერორი, რომელიც თურქეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ რაიონებში მძვინვარებდა.

აზერბაიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა იყო დაღესტნის განთავისუფლება კონტრრევოლუციისაგან; უამისოდ შეუძლებელი იყო საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენა და ეკონომიური ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით ბაქოს ბოლშევიკები შესაძლო დახმარებას უწევდნენ დაღესტნის ღარიბ გლეხობას მის ბრძოლაში თურქეთის აგენტ გოცინსკის ბანდების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს პორტ-პეტროვსკი და თემირ-ხან-შურა. 20 აპრილისათვის განთავისუფლებულ იქნა პორტ-პეტროვსკი; მალე ბაქოს მუშების შეიარაღებულმა რაზმმა დაიკავა დერბენტი. ამ ქალაქებში გამოცხადებულ იქნა საბჭოების ხელისუფლება. დაღესტანში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გ. სტურუა, გ. ა. თაღიზადე, ვ. ნანეიშვილი, ს. მუსაელიანი, კ. აღასიევი და ბევრი სხვა ბაქოელი ბოლშევიკი.

აზერბაიჯანისა და დაღესტნის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ბოლშევიკების წინაშე დაა-

ყენა ამოცანა გაეტარებინათ სოციალისტური გარდაქმნები პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც 19 აპრილს გაიმართა, საჭიროდ ცნო შეექმნა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელი აღმასრულებელი ორგანო — ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო. მიუხედავად ზოგიერთი პარტიული მუშაკის წინადადებისა — შეეყვანათ მის შემადგენლობაში ბოლშევიკები, მემარცხენე და მემარჯვენე ესერები, კონფერენციის უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმას, რომ ბაქოს სახკომსაბჭო შექმნილიყო ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერებისაგან.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად 25 აპრილს ბაქოს საბჭოს სხდომაზე შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო ს. გ. შაუმიანის (თავმჯდომარე), პ. ა. ჯაფარიძის, ა. ბ. გაბრიელიანის, ნ. ნ. კოლესნიკოვის, ფ. ნ. ყორღანოვის, ნ. ნ. ნარიმანოვის, ი. ტ. ფიოლეტოვისა და სხვების შემადგენლობით. რამდენიმე ხნის შემდეგ შრომის კომისრად დაინიშნა ი. დ. ზევინი, ხოლო მიწათმოქმედების კომისრად — მ. გ. ვეზიროვი (მემარცხენე ესერი).

ბაქოს სახკომსაბჭო საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთი უფლებამოსილი სამთავრობო ორგანო იყო მთელ ამიერკავკასიაში. მის 1918 წლის 1 მაისის დეკლარაციაში ლაპარაკი იყო საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულ ამოცანებზე აზერბაიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში, მითითებული იყო, რომ ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო უაღრესად მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სრულიად რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რომლის ყველა დეკრეტი და დადგენილება მისთვის სავალდებულოაო. თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მიაჩნდა ბაქოს მუშებისა და ბაქოს გუბერნიის ღარიბი გლეხობის მჭიდროდ გაერთიანება მთელი რუსეთის მუშებთან და გლეხებთან[1]. დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, სახალხო კომისართა საბჭო აქტიურ ბრძოლას გააჩაღებს საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის მთელ ამიერკავკასიასა და დაღესტანშიო.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო აპარატის დანგრევა და ხელისუფლების ახალი, საბჭოთა აპარატის შექმნა. ამ მიზნით ლიკვიდირებულ იქნა ძველი საგუბერნიო კომისარიატი და მისი სამ-

---

[1] Газ. «Известия Совета рабочих и военных депутатов Бакинского района» № 81, 1 мая (18 апреля) 1918 г.

მართველოები ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის მაზრებში. ბაქოს საბჭოთა საგუბერნიო კომისარიატს სათავეში ჩაუდგა მ. ა. აზიზბეკოვი, დაღესტნის ოლქის კომისარიატს — ვ. ი. ნანეიშვილი, ხოლო ახალ სამაზრო კომისარიატებს — ბ. ი. ეფენდიევი, მ. ნ. ისრაფილბეკოვი, ა. ბ. იუსიფზადე, კ. მ. აღასიევი და სხვ.

20 აპრილს დაშლილ იქნა ბაქოს ქალაქის თვითმმართველობა — კონტრრევოლუციური ელემენტების ბუდე. დაშლილი ძველი, ბურჟუაზიული სასამართლოებისა და მილიციის ნაცვლად იქმნებოდა სახალხო სასამართლოები და მუშურ-გლეხური მილიცია. კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა საგანგებო კომისია, ხოლო შინაგან საქმეთა კომისარიატთან — სამხედრო ტრიბუნალი.

ეყრდნობოდნენ რა მუშათა კლასის აქტიურ მხარდაჭერას, ბაქოს ბოლშევიკები შეუდგნენ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო კაპიტალიზმის ეკონომიური საფუძვლების მოსპობა და მრეწველობის წამყვანი დარგების ცენტრალიზაცია საბჭოთა ხელისუფლების ხელში. ამ სოციალისტურ ღონისძიებათა გატარებისას, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული დასაყრდენის შექმნისას ბაქოს სახკომსაბჭო ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებებით, ეყრდნობოდა საბჭოთა რუსეთის გამოცდილებასა და დახმარებას. ბაქოს ბოლშევიკები სისტემატურად აწვდიდნენ საბჭოთა მთავრობას, ვ. ი. ლენინს ინფორმაციას ამიერკავკასიაში მოვლენათა მსვლელობის, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობის შესახებ და იღებდნენ მითითებებსა და რჩევას. აპრილში მოსკოვში გაიგზავნენ ბაქოს საბჭოს წარმომადგენლები ვ. ი. ბოიკოვი და ს. ვ. ტერ-გაბრიელიანი; ისინი მიიღო ვ. ი. ლენინმა, რომელმაც რსფსრ სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარიატს დაავალა მიეღო სასწრაფო ზომები ბაქოს ბოლშევიკთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად[1].

მალე ბაქოში გასაგზავნად გამოიყო 5 ათასი შაშხანა, 2 მილიონი ვაზნა და 35 ტყვიამფრქვევი. კასპიის სამხედრო ფლოტილიის გასაძლიერებლად ბაქოში გაიგზავნა ბალტიის ფლოტის 200 სამხედრო მეზღვაურის ჯგუფი სამხედრო-საზღვაო კოლეგიის საგანგებო კომისრის, მტკიცე ბოლშევიკის, ზამთრის სასახლის იერიშის მონაწილის ვ. პოლუხინის მეთაურობით. მოსკოვიდან ბაქოში

---

[1] Воспоминания азербайджанских коммунистов о В. И. Ленине. Баку, 1958, стр. 55.

ჩამოვიდა აგრეთვე მოსკოვის მე-4 სახელდახელო რევოლუციური რაზმი.

საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბაქოს ნავთობის მრეწველობას. საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭომ 100 მილიონი მანეთი გადადო „ბაქოდან ნავთობის გამოტანისა და ნავთობის სარეწებზე მუშების ხელფასის ანაზღაურებისათვის“ [1].

მაისის დამლევს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. 2 ივნისს ბაქოს სახკომსაბჭოს დეკრეტით ნაციონალიზებულ იქნა ნავთობის მრეწველობა, ხოლო 5 ივნისს, — კასპიის საავაჭრო ფლოტი. ამიერკავკასიის რკინიგზაზე რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად გამოცხადებულ იქნა საძხედრო წესები. სახკომსაბჭომ თავის ხელში აიღო საბანკო საქმე და ბანკებს ჩამოართვა კაპიტალისტთა ფასეულობანი. რსფსრ ფინსახკომის განკარგულებით ბაქო უნდა გამხდარიყო საფინანსო ცენტრი, რომელიც მომსახურებას გაუწევდა მთელი ამიერკავკასიისა და დაღესტნის სახელმწიფო-საფინანსო ოპერაციებს. მრეწველობის ნაციონალიზაციას და მისი მუშაობის ახალ საწყისებზე ორგანიზაციას წარმართავდა ბაქოს სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელსაც სათავეში ედგა ი. ტ. ფიოლეტოვი. მაისში ბაქოს სახკომსაბჭომ მოახდინა აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ნაციონალიზაცია; თევზის ყველა კერძო სარეწი ხალხის კუთვნილებად ცხადდებოდა.

რევოლუციურ ღონისძიებებს, რომლებსაც ბაქოს პარტიული ორგანიზაცია და სახალხო კომისართა საბჭო ახორციელებდნენ, მუდამ უპერდნენ მხარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. 1918 წლის 8 ივნისს წერილში ი. ბ. სტალინი, რომელიც იმ დროს ცარიცინში იმყოფებოდა, ბაქოს სახკომსაბჭოს სწერდა: „კასპიის ფლოტის ნაციონალიზაციის საკითხში შეგიძლიათ მტკიცედ იმოქმედოთ... შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ სახკომსაბჭო თქვენთან იქნება... ყოველივე ნათქვამი მიიჩნიეთ არა ჩემს პირად აზრად, არამედ ლენინის წინადადებად, რომელსაც გუშინ პირდაპირი მავთულით ველაპარაკე ყველა აღძრულ საკითხებზე“ [2].

მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციის შემდეგ ბაქოს პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად შეუდგა მათს გარ-

---

[1] Журн. «Красный архив» № 4—5 (89—90), 1938, стр. 13.

[2] იქვე. გვ. 20.

დაქმნას ახალ, სოციალისტურ საწყისებზე. მაგრამ ნგრევა და საბურსათო სიძნელენი მეტისმეტად აფერხებდნენ დასახულ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებას. მემარჯვენე ესერები, მენშევიკები, მუსავატისტები, დაშნაკები, კადეტები და სხვა კონტრრევოლუციონერები ცდილობდნენ გამოეყენებინათ სიძნელენი, კერძოდ, ბაქოს მძიმე სასურსათო მდგომარეობა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გასატეხად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქოს მუშები, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მამაცურად სძლევდნენ სიძნელეებს, გაჭირვებას, კონტრრევოლუციის ხრიკებს, და თავდადებულად იბრძოდნენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და საბჭოთა რუსეთში, რომელიც საწვავის მწვავე საჭიროებას განიცდიდა, ბაქოდან ნავთობის გატანის გადიდებისათვის. თუ სარეწების ნაციონალიზაციამდე, 1918 წლის მაისში, ნავთობის მოპოვება 180 ათას ტონას შეადგენდა, ივნისში იგი გაიზარდა 293 ათას ტონამდე. 1918 წლის დასაწყისიდან და ზაფხულის ბოლოამდე ბაქოდან რუსეთში გატანილ იქნა 1,4 მილიონი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ეს იყო ბაქოს მუშების დიდი წვლილი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის მიერ ალყაშემორტყმული საბჭოების რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები დიდ მუშაობას ეწეოდნენ აზერბაიჯანის სოფლებში. ეს მუშაობა დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელეებთან, რომლებიც გამოწვეული იყო მუსავატისტთა და დაშნაკთა პროვოკაციული მოქმედებით. ისინი იყენებდნენ გლეხთა მასების ჩამორჩენილობას და ცდილობდნენ გაეღვივებინათ ერთა შორის შუღლი, რათა ხელი შეეშალათ სოფლად საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ რთულ პირობებში, აზერბაიჯანის სოფელში მჩქეფარე მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა მშენებლობაში ღარიბი გლეხობის მასების ჩასაბმელად მ. ა. აზიზბეკოვი, დ. ხ. ბუნიათზადე, მ. ნ. ისრაფილბეკოვი, მ. მ. მამედიაროვი, ბ. მ. სარდაროვი, ბ. ი. ეფენდიევი, გ. გ. სულთანოვი, ტ. კ. მირზაბეკიანი, გ. ა. თაღიზადე და ბევრი სხვა თვალსაჩინო ბოლშევიკი.

1918 წლის ზაფხულისათვის ბაქოს გუბერნიის 238 სოფელში ღარიბი გლეხობის მონაწილეობით შეიქმნა გლეხთა დეპუტატების საბჭოები. თუმცა ყველა ეს საბჭო როდი იდგა მტკიცედ სოციალისტური რევოლუციის პოზიციებზე და ყველას როდი ჰქონდა უნარი თავიდანვე გადაეწყვიტათ რევოლუციური ამოცანები, მიუხედა-

ვად ამისა მათი ასეთი მასობრივი მასშტაბით შექმნის ფაქტს უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანის გლეხთა ფართო მასების პოლიტიკური გამოღვიძებისა და შემდგომი გარევოლუციონერებისათვის, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის.

გაზეთი „პრავდა“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აზერბაიჯანის გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას. „პრავდა“ წერდა: „მუსლიმანი გლეხობა თავისი ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელ გზას ადგება... საბჭოთა ხელისუფლების, ბაქოს პროლეტარიატის სახით მან მუშებში დაინახა არა მტრები, არამედ თავისი მეგობრები, რომლებიც მასთან მიდიან, ყველა მშრომელისათვის განურჩევლად ეროვნებისა მოაქვთ ყოველი ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ჩირაღდანი“[1].

რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტისა და ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს ინიციატივით გლეხთა დეპუტატების ყრილობებს იწვევდნენ. 1918 წლის 26—31 მაისს ბაქოში მიმდინარეობდა ბაქოს მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა, რომელმაც აირჩია გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მ. ა. აზიზბეკოვის მეთაურობით და მიიღო გადაწყვეტილება ბაქოს საბჭოსთან გაერთიანების შესახებ. 29 მაისს მუშათა და გლეხთა დეპუტატები შეიკრიბნენ გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც დაადასტურა ამიერკავკასიის ურღვევი კავშირი საბჭოთა რუსეთთან[2]. გლეხთა დეპუტატების ყრილობის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მ. ა. აზიზბეკოვი, ბ. ი. ეფენდიევი, მ. გ. ვეზიროვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე და სხვები. ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

გლეხთა დეპუტატების ყრილობები გაიმართა აგრეთვე კუბაში, ლენქორანში, სალიანში, შემახაში, დერბენტსა და სხვა ადგილებში. ამ ყრილობებზე არჩეულმა გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ბევრი დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური ღონისძიება განახორციელეს. „სამოქალაქო ომმა,—წერდა იმ დღეებში გაზეთი „პრავდა“, — თვალი აუხილა მუსლიმან გლეხობას. და მუშების მაგალითისამებრ მან შინ დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების შექმნა, დაიწყო თავისი საბჭოების შექმნა და საბჭოების ყრილობების მოწვევა“[3].

---

[1] «Правда» № 117, 12 июня 1918 г.

[2] Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг., стр. 694.

[3] «Правда» № 117, 12 июня 1918 г.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ნაციონალიზაციას, რაც ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის ივნისში მოახდინა და რომლის მიხედვით მთელი ბიწები, ნაგებობანი, ინვენტარი და ა. შ. უნდა ჩამორთმეოდა კერძო მემამულე მფლობელებს და უსასყიდლოდ გადასცემოდა მშრომელ გლეხებს. მიწის რეფორმის განსახორციელებლად აარსებდნენ დროებითს საადგილმამულო კომიტეტებს.

ბოლშევიკები ეწეოდნენ მუშაობას, რომ ფართოდ გაეცნოთ გლეხებისათვის საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა, დეკრეტი მიწის შესახებ და ბაქოს სახკომსაბჭოს სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა.

საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში ბევრ რამეს აკეთებდა მშრომელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. შემოღებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღე, საშუალოდ 90 პროცენტით გადიდებულ იქნა ხელფასი. შრომის კომისარიატი ზრუნავდა სარეწებზე, ქარხნებში, ფაბრიკებში შრომის დაცვის უზრუნველყოფისათვის. იღებდა ღონისძიებებს მუშებისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის; კაპიტალისტთა სახლებსა და ბინებში დაიწყო მუშათა ოჯახების შესახლება. გადაიდგა პირველი ნაბიჯები კულტურული მშენებლობის დარგში: გამოიცა დეკრეტი მეჩეთისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ, წესდებოდა მუშათა, გლეხთა და ჭაბი ბავშვების საყოველთაო საკალდებულო უფასო სწავლება.

1918 წლის ზაფხულში ბაქოში სასურსათო მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებასთან დაკავშირებით ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ და სახკომსაბჭომ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი კვების პროდუქტებით ქალაქის მომარაგების გაუმჯობესებისათვის. 5 ივნისს ბაქოს ბოლშევიკების პარტიულმა კონფერენციამ პარტიული ორგანიზაციისა და ბაქოს სახკომსაბჭოს ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება სასურსათო სიძნელეთა გადასალახავად. სურსათის საქმეთა კომისრის პოსტზე ნაცვლად მემარცხენე ესერ ციბულსკისა, რომელმაც ქალაქის მომარაგების საქმეში მუშაობა ჩაშალა, რეკომენდებულ იქნა პ. ა. ჯაფარიძე. მიუხედავად იმისა, რომ პ. ა. ჯაფარიძემ, ა. მ. კოსტანდიანმა, გ. გ. სულთანოვმა და სხვა ბოლშევიკებმა, რომლებიც სურსათის საქმეთა კომისარიატში მუშაობდნენ, დიდი მუშაობა გასწიეს აპარატის გასაწმენდად მტრული ელემენტე-

ბისაგან და ბაქოს მუშების მომარაგების გასაუმჯობესებლად, ქალაქის სასურსათო მდგომარეობა მაინც კვლავ ძალიან მძიმე იყო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა უდიდეს სიძნელეებს სძლევდნენ და ყოველივე შესაძლებელს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ბაქო მოემარაგებინათ პურით. 29 მაისს ბაქოს საბჭოს გაეგზავნა ვ. ი. ლენინის რადიოგრამა, რომელიც აუწყებდა რსფსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას — დაუყოვნებლივ გაგზავნილიყო სანაოსნო გზით ცარიცინიდან ბაქოში პურის დიდი პარტია[1]. ივნისის განმავლობაში ცარიცინიდან ბაქოში გაიგზავნა 23 ათას ფუთზე მეტი პური, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან ყიზლარზე — 158 ათასი ფუთი.

პურის დამზადებისა და ბაქოში გაგზავნის მოწყობაში დიდი მუშაობა გაწია გ. კ. ორჯონიკიძემ, რომელიც იმ დროს ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 10 ივნისს გაგზავნილ დეპეშაში ორჯონიკიძე იტყობინებოდა, რომ ასტრახანიდან ბაქოში გემებით გაიგზავნა 10 ათასი ფუთი პური და, გარდა ამისა, სტავროპოლის გუბერნიიდან და თერგის ოლქიდან იგზავნებოდა ბაქოს მუშებისათვის განკუთვნილი სურსათით დატვირთული სამარშრუტო მატარებლები.

საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯებთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა ვერ შეარყია აზერბაიჯანის ბოლშევიკების შეუდრეკელი სიმტკიცე და სიმამაცე, რომლებიც განუხრელად ეწეოდნენ მუშაობას სოციალისტურ გარდაქმნათა განსახორციელებლად, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მასების შესაკავშირებლად, რათა დაეცვათ მშრომელთა რევოლუციური მონაპოვარნი. „აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა, — და ჩვენ გავიმარჯვებთ“[2], — სწერდა ვ. ი. ლენინი კავკასიის საგანგებო კომისარსა და ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ს. გ. შაუმიანს. საბჭოთა ბაქო 1917—1918 წლებში მთელ ამიერკავკასიაში პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენს წარმოადგენდა.

---

[1] Газ. «Известия Совета рабочих и военных депутатов Бакинского района» № 100, 29 мая 1918 г.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 349.

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემა

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბაქოს გუბერნიაში მოპოვებული გამარჯვებანი, ბაქოს სახკომსაბჭოს მჩქეფარე აღმშენებლობითი საქმიანობა, მუშათა გაფიცვები, მიტინგები, გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები ამიერკავკასიის იმ ნაწილში, რომელიც კონტრრევოლუციის ბატონობაში იმყოფებოდა, მღელვარება „ეროვნულ" სამხედრო ნაწილებში იმ მოვლენათა ერთიანი წყების რგოლები იყო, რომლებიც მოასწავებდნენ მხარეში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის გაჩაღებული ბრძოლის გადამწყვეტ აქტივიზაციას. ეს კიდევ უფრო აღრმავებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის კრიზისს. ეს კრიზისი უაღრესად გაამწვავა თვით ამიერკავკასიის კომისარიატის ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელმაც მხარის მეტი ნაწილი სამეურნეო ნგრევამდე, ფინანსურ კატასტროფამდე და შიმშილობამდე მიიყვანა. მას აღრმავებდა მხარის გამოყოფაც საბჭოთა რუსეთისაგან, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა დიდ რუს ხალხთან საუკუნეობრივი მეგობრობით დაკავშირებულ ამიერკავკასიის ხალხთა მისწრაფებებს.

ამიერკავკასიის სეიმს არაერთხელ განუხილავს საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის საკითხი, მაგრამ კონტრრევოლუციური პარტიები ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ მიეღოთ ეს ანტიხალხური გადაწყვეტილება იმის გამო, რომ ეშინოდათ რევოლუციური მოძრაობისა და იმ კამპანიისა, რომელიც მხარეში თვით სეიმის წინააღმდეგ გაჩაღდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ენერგიული ბრძოლა საბჭოთა რუსეთისაგან მხარის გამოყოფის წინააღმდეგ და ამ ბრძოლისათვის მშრომელი მასების მხარდაჭერა აფერხებდა ამ მოღალატური განზრახვის განხორციელებას.

ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობის" საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის 22 აპრილს მოწვეულ იქნა სეიმის გაფართოებული სხდომა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიების ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად. სხდომაზე დამტკიცებულ იქნა რეზოლუცია ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად" გამოცხადების შესახებ. ამ სხდომაზე გეგეჭკორის მთავრობა გადადგა.

25 აპრილს სეიმმა დაამტკიცა ამიერკავკასიის მთავრობის ახალი შემადგენლობა ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილება მხარის საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფის შესახებ მალე მოიწონა საბჭოების სამხარეო ცენტრმა, რომელშიც ჭარბობდნენ მენშევიკები ჟორდანიას მეთაურობით.

ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან მიზნად ისახავდა იმას, რომ ძირი გამოეთხარა რუსი ხალხისა და ამიერკავკასიის ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობისა და ინტერნაციონალური ერთიანობისათვის. ეს აქტი ასუსტებდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტს, ქმნიდა დამატებით სიძნელეებსა და დაბრკოლებებს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. დასასრულ, ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადება მხარის ოკუპაციას უადვილებდა გერმანელ იმპერიალისტებსა და თურქ დამპყრობლებს.

ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებამ „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებისა და საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორების შესახებ ამიერკავკასიის რევოლუციურ მუშათა და გლეხთა აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. მხარის მშრომელები პროტესტს აცხადებდნენ ამიერკავკასიის სეიმის ამ კონტრრევოლუციური, გამცემლური აქტის წინააღმდეგ: კრებებსა და მიტინგებზე ბაქოში, თბილისში, ალექსანდროპოლში, ქუთაისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში მტკიცე პროტესტის რეზოლუციები გამოჰქონდათ.

ამიერკავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან ტრაგიკული აქტი იყო მხარის ხალხებისათვის. ამავე დროს იგი ხელს აძლევდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც ესწრაფოდნენ იმას, რომ ხელში ჩაეგდოთ მხარე, ჩაეხრჩოთ აქ რევოლუციური მოძრაობა, გამოეყენებინათ ამიერკავკასიის ტერიტორია როგორც პლაცდარმი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ გერმანელი იმპერიალისტები და მათი თურქი სატელიტები. გერმანიის იმპერიალიზმი ისწრაფვოდა ბაქოს ნავთობისაკენ და იმისაკენ, რომ თავისი გავლენა გაევრცელებინა ბათუმ — თბილის — ბაქოს რკინიგზაზე. ექსპანსიონისტურ მიზნებს ისახავდნენ თურქეთის მმართველი წრეები, რომლებიც აყენებდნენ „დიდი თურქეთის“ შექმნის იდეას და ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი ამიერკავკასია. ამიერკავკასიის ოკუპირებას და მისი ტერიტორიის თავიანთი გეგმების განსახორციელებლად გამოყენებას ვარაუდობდნენ ინგლისელი იმპერიალის-

ტებიც; მათ, ისევე როგორც გერმანელ ინტერვენტებს, განზრახული ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთობი.

იმპერიალისტები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გაესწროთ თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებაში და პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდნენ. ამიერკავკასიაზე თურქეთის შემოტევის საბაბი გახდა ის, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ არ ცნო ბრესტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით თურქეთის ხელში გადადიოდა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები. როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა დამატებით იქნა შეტანილი ხელშეკრულებაში გერმანიის დაჟინებითი მოთხოვნით, და საბჭოთა მთავრობა მას ზავის პირობების „ყველაზე სერიოზულ გაუარესებად" თვლიდა. ეს იძულებული დათმობა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა გამოიყენეს საშინელი ცილისწამებისათვის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის რეაქციული ბურჟუაზიული პარტიები ნაციონალისტურ ისტერიას აღვივებდნენ და ცდილობდნენ, რომ ცარიზმისადმი სიძულვილი, რაც მხარის ხალხებს წარსულში დაუგროვდათ, საბჭოთა რუსეთზე გადაეტანათ. ამ ანტისაბჭოთა კამპანიას ისინი იყენებდნენ აგრეთვე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ზავის დადების ლენინურ ხაზს და მშრომელთა შორის ეწეოდნენ ახსნაგანმარტებითს მუშაობას ომისა და ზავის საკითხზე.

იმ დღეებში, როცა ლენინური პარტია, საბჭოთა მთავრობა მტკიცე ბრძოლას ეწეოდნენ ზავის დადებისათვის, ამიერკავკასიის მთავრობა, ვითომდა „სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე წმიდა მოვალეობის" შესრულების მიზნით, ბევრი სახელმწიფოს მთავრობებს (ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში, რომში, ტოკიოში, ბერლინში, ვენაში, კონსტანტინოპოლში და სხვ.) უგზავნიდა რადიოგრამებს, რომლებშიც აუწყებდა, რომ არ ცნობდა ბრესტის ზავს. ამიერკავკასიის კონტრრევოლუცია, რომელსაც მხარის ხალხთა მასები მხარს არ უჭერდნენ, ცრუობდა და აცხადებდა, თითქოს ამიერკავკასიას არასოდეს არ უცვნია სახალხო კომისართა საბჭოს ბოლშევიკური ხელისუფლება.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის მეთაურებმა ბრესტის ხელშეკრულება რომ არ ცნეს, ეს ძვირად დაუჯდათ ამიერკავკასიის ხალხებს. რადიოგრამის მიღების შემდეგ, 30 მარტს, თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი ყარსის, ბათუმისა და არტაანის დაუყოვნებლივ დაცლის შესახებ. სეიმის გადაწყვეტილებით თურქეთის ულტიმატუმი უარყოფილ იქნა; ამიერ-

კავკასიის სეიმის დელეგაცია, რომელიც ტრაპეზუნდის კონფერენციაზე იმყოფებოდა, უკან გამოიწვიეს. თურქეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ამიერკავკასიაზე. ამიერკავკასიის მთავრობა უმწეო აღმოჩნდა. რამდენიმე დღის განმავლობაში არტაანი, ყარსი და ბათუმი თურქეთის ჯარებმა უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში.

ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა კოალიცია გართული იყო ერთა შორის შუღლითა და მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობით და არც კი ფიქრობდა თავდაცვაზე. მხოლოდ ბოლშევიკური ორგანიზაციები რაზმავდნენ მასებს დამპყრობთათვის წინააღმდეგობის გასაწევად. 1918 წლის 10 მარტს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით შეექმნათ სოციალისტური წითელი რაზმები „გარეშე" და „შინაგან" კონტრრევოლუციასთან და პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის მტრებთან საბრძოლველად[1]. პარტიის ალექსანდროპოლის კომიტეტი შეუდგა წითელგვარდიული რაზმების შექმნას, რომლებშიც 500 კაცი შევიდა. წითელი გვარდიის რაზმები სომხეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც შეიქმნა. 6—8 აპრილს ალექსანდროპოლში შემდგარ საგანგებო თათბირზე განხილულ იქნა საკითხი თურქ დამპყრობთა შემოტევის შესახებ. მაგრამ თურქეთის ჯარების შემოტევის შესაჩერებლად ძალების მობილიზაცია პოლიტიკური დაბნეულობისა და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მმართველთა სრული უმწეობის პირობებში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

თურქეთის ჯარები მხარის სიღრმეში მოიწევდნენ და ხელთ იგდებდნენ ამიერკავკასიის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან რაიონებს: ისინი უშუალოდ მოადგნენ ერევანს და ემუქრებოდნენ თბილისს. თავიანთ გზაზე თურქეთის ჯარები მხეცურად უსწორდებოდნენ მშვიდობიან ნოსახლეობას, ხოცავდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს.

მხარის ხალხებისათვის ძნელ დღეებში საბჭოთა მთავრობამ გერმანიის მთავრობას მიმართა სპეციალური ნოტით, რომელშიც ყურადღებას აპყრობდა თურქეთის ჯარების საშინელ თარეშს დაპყრობილ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის წინაშე დააყენა საკითხი ზემოქმედება მოეხდინა თურქეთის მთავრობაზე იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო თურქეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობა. „თურქეთის ჯარების შეტევას კავკასიის ფრონტზე, —

[1] Очерки истории Коммунистической партии Армении, стр. 195.

ნათქვამი იყო რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1918 წლის 12 აპრილის საპროტესტო ნოტაში, — თან სდევს სომეხი მოსახლეობის მასობრივი მოსპობა... პასუხისმგებლობა საშინელებათათვის, რაჰაც სომეხი მოსახლეობა განიცდის იმ ოლქებში, რომლებსაც ამჟამად თურქეთის ჯარები იკავებენ, ეკისრება გერმანიის მთავრობას"[1].

მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმის გეგმებში როდი შედიოდა ის, რომ შეეფერხებინა თურქეთის ჯარების წინსვლა ამიერკავკასიაში; სწორედ თურქეთის ჯარების დახმარებით უნდოდა გერმანიას ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთობი და ამიტომ ხელს უწყობდა მათ. თავის მხრივ ამიერკავკასიის მთავრობის ლიდერებმა, გამოუვალ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდნენ, დაიწყეს იმ აზრის გამოთქმა, რომ შეთანხმებოდნენ თურქეთს ბრესტის ზავის საფუძველზე[2]. თურქეთმა მოლაპარაკება განაახლა, მაგრამ მაინც განაგრძობდა შეტევას; შეიქმნა მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციის რეალური საფრთხე. მაშინ თურქი დამპყრობლებისაგან ამიერკავკასიის „ხსნის" საბაბით მენშევიკებმა საქართველოში „მოიწვიეს" გერმანელთა ჯარები; უკვე ივნისის პირველ რიცხვებში გერმანიის არმიის ნაწილებმა იწყეს თბილისში ჩამოსვლა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თანმიმდევრულად ამხილებდნენ საკუთარ წინააღმდეგობებში გახლართული ამიერკავკასიის მთავრობის გამცემლურ მანევრებს; ამასთან ერთად ისინი მოუწოდებდნენ მასებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიათ ინტერვენტებისათვის. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ საქართველოში გერმანიის ჯარების შემოსვლა იყო საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, „გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[3].

მაისის მეორე ნახევარში სომხეთის მშრომელმა მასებმა, რომლებიც დაირაზმნენ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად, სერიოზული ზიანი მიაყენეს მათ სარდარაბადის, ამამლუს, ყარაკლისის, ბაშ-აბარანის რაიონებში. ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ თავიდან აგვაცილა აღმოსავლეთ სომხეთში სომხების ფიზიკური განადგურება, რასაც ახალგაზრდა თურქული მთავრობა

---

[1] Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957, стр. 240—241.

[2] Газ. «Борьба» № 77, 26 мая 1918 г.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 8.

გეგმავდა, ამავე დროს ეს ბრძოლა იყო მხარდაჭერა ბაქოს კომუნისადმი, ვინაიდან, თურქეთის არმიას დიდი ზარალი რომ მიაყენეს, სომხეთის მშრომელებმა ამით გააძნელეს ინტერვენტების შეტევა ბაქოზე.

ნაციონალისტურ პარტიებს შორის უთანხმოების მკვეთრად გამწვავების გამო და თურქ და გერმანელ ოკუპანტთა ზემოქმედებით ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის მაისის ბოლოს თავისი არსებობა შეწყვიტა. „დამოუკიდებელი" ამიერკავკასიის რესპუბლიკის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური მთავრობებით.

თავიანთი უგუნური პოლიტიკის შედეგად საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების მთავრობები ფაქტიურად უცხოელ ინტერვენტთაგან სავსებით დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ.

ბრესტის ხელშეკრულება რომ არ ცნო, საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა 1918 წლის 4 ივნისს ხელი მოეწერა თურქეთთან კიდევ უფრო კაბალური ხელშეკრულებისათვის, რომლის მიხედვით გარდა ბათუმის, ყარსისა და არტაანისა, თურქეთის ხელში გადავიდა მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი. გარდა ამისა, თურქეთის განკარგულებაში გადადიოდა ამიერკავკასიის რკინიგზები, რაც თურქებმა გამოიყენეს თავიანთი ჯარების გადასაყვანად ბაქოსა და სპარსეთში.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახლად შექმნილმა ნაციონალისტურმა მთავრობებმა თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის დაიწყეს ეროვნული რესპუბლიკების შექმნის ფაქტის ფართოდ რეკლამირება, ყალბად აფასებდნენ ამას როგორც დიდ გამარჯვებას, როგორც „ამიერკავკასიის ხალხთა გამარჯვებას ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში ცარიზმის, დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ. დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი თვითმყოფობისათვის". თავიანთი მთლიანად ყალბი, დემაგოგიური მტკიცებებით ნაციონალისტური პარტიები ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ ამიერკავკასიის მშრომელები, შეენიღბათ „დამოუკიდებელი" რესპუბლიკების შექმნის ნამდვილი არსი.

ამ რთულ პირობებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს უნდა გაეწიჩინათ მაქსიმალური მოქნილობა, უნარიანად გამოეყენებინათ წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ დაჯგუფებებს, ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებს შორის.

ამიერკავკასიის გამოყოფამ საბჭოთა რუსეთისაგან, ამის შემ-

დეგ ამიერკავკასიის გაყოფამ სამ ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად და ამ რესპუბლიკების ოკუპაციამ გერმანიათურქეთის ჯარების მიერ — ყოველივე ამან, როგორც ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, საბჭოთა რუსეთს შეუქმნა „ახალი სიძნელეები, ომის ახალი გარდუვალობა, ახალი საშიშროებანი და ახალი გაურკვეველობანი“[1]. ამიერკავკასია გადაიქცა პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლისათვის, რომელსაც თითქმის სამი წლის განმავლობაში ეწეოდნენ შინაგანი კონტრრევოლუციური ძალები და უცხოელი ინტერვენტები.

თავიანთი მდგომარეობის მერყეობას რომ გრძნობდნენ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები, ყველაზე უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. ამ მიზნით მათ გააძლიერეს რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ: ბევრი ბოლშევიკი დაპატიმრებულ იქნა. პარტიის სამხარეო კომიტეტის მთელი რიგი წევრები — ს. ქავთარაძე, ფ. მახარაძე, ა. მრავიანი, ა. ნაზარეტიანი და სხვები იძულებული გახდნენ ივნისის დამდეგს დაეტოვებინათ საქართველო. სამხარეო კომიტეტის ადგილსამყოფელად დასახულ იქნა კავკავი, სადაც იმ დროისათვის დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. თბილისში დარჩა რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში შექმნილი თბილისის ბიურო მ. გ. ცხაკაიას მეთაურობით. მენშევიკური მთავრობა თბილისში, ქუთაისში, ფოთსა და სხვა ადგილებში დისლოცირებული გერმანელთა ჯარების დახმარებით სისხლში ახრჩობდა საქართველოს გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს. აზერბაიჯანის დასავლეთ მაზრებში და სომხეთში გლეხთა ბრძოლას მხეცური სისასტიკით ახშობდნენ მუსავატისტური და დაშნაკური მთავრობები თურქიანინჩრების დახმარებით.

ნაციონალისტური მთავრობები განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართავდნენ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის. ბაქოს ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ერთი მხრივ, ხანხოისკის მუსავატისტური ნაციონალისტური მთავრობა, რომელიც 27 მაისს შეიქმნა აზერბაიჯანელი ხალხის გვერდის ავლით და მისი ნების წინააღმდეგ და განჯაში (ელიზავეტპოლში) მოიკალათა, მეორე მხრივ — ესერები, მენშევიკები და დაშნაკები, რომლებიც თვით ბაქოში მოქმედებდნენ. ორივე ეს კონტრრევოლუციური დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთს შორის ბრძოლას არ წყვეტდნენ, მიზნად ისახავდა ბაქოს კომუნის ჩახშობას. ამასთან მუსავატისტუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 452.

რი მთავრობა ეყრდნობოდა თურქ ინტერვენტებს, რომლებმაც უკვე მოახდინეს განჯის გუბერნიის ოკუპაცია, ხოლო ესერულ-მენშევიკური და დაშნაკური კონტრრევოლუცია ცდილობდა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში ინგლისის ჯარების დახმარებით, რომლებიც ჩრდილოეთ ირანში იმყოფებოდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდოთ ბაქო.

მუსავატისტურმა მთავრობამ შეადგინა სამხედრო ნაწილები და დაუმორჩილა ისინი თურქ ოკუპანტებს, რომლებმაც ივნისში გააჩაღეს შეტევა საბჭოთა ბაქოზე.

ამ უაღრესად ძნელ პირობებში ბაქოს ბოლშევიკებმა განახორციელეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი თავდაცვის ორგანიზაციისათვის. პარტიული ორგანიზაციებისა და ბაქოს სახკომსაბჭოს მოწოდებით სხვადასხვა ეროვნების ათასობით მუშა შევიდა წითელ არმიაში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. კასპიის მანქანათსამშენებლო ქარხანაში ქალაქის დამცველთა რაზმებში შევიდა მთელი მუშების ნახევარზე მეტი. საზოგადოება „რუნოს“ საბუნჩის საარეწის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილიც წითელ არმიაში შევიდა. ბაქოს კომიტეტთან შეიქმნა კომუნისტური ბატალიონი. ბაქოში შედგენილ იქნა წითელი არმიის კავკასიის კორპუსის 19 მსროლელი ბატალიონი 18 ათასი კაცის საერთო რაოდენობით[1].

ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობაც. ბაქოს, ჯევათის, შემახისა და სხვა მაზრების მთელი რიგი სოფლების გლეხებმა გამოთქვეს მზადყოფნა შესულიყვნენ წითელ არმიაში და ებრძოლნათ საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან. ბაქოს მაზრაში დ. ბუნიათზადეს და მ. მამედიაროვის ხელმძღვანელობით გლეხებისაგან შეიქმნა წითელგვარდიელთა რაზმები. შემახის მაზრის სოფელ ენი-ქუშალში გლეხებისაგან შეიქმნა რაზმი ათასი კაცის შემადგენლობით. რაზმის სარდლობამ ბაქოს საბჭოს მიმართა თხოვნით გადაეცა მის განკარგულებაში საჭირო იარაღი.

აზერბაიჯანის მშრომელთა ბრძოლას ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ წარმართავდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინის წერილებში ბაქოს ბოლშევიკებს ეძლეოდათ საჭირო მითითებანი, რჩევა-დარიგება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ორ-

[1] Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, стр. 279—280.

განიზაციების წარმატებითი საქმიანობისათვის, რომლებიც სათავეში უდგნენ მშრომელთა ბრძოლას გარეშე და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის წინადადებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რსფსრ სახკომსაბჭოს სხდომებზე არაერთხელ განუხილავთ ბაქოს ამბებთან დაკავშირებული საკითხები. საბჭოთა რუსეთი, რომელიც თვითონ იმყოფებოდა უძძიმეს მდგომარეობაში, შესაძლო დახმარებას უწევდა საბჭოთა ბაქოს.

1918 წლის 13 ივნისს საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძალიან გთხოვთ ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ დაჩქარდეს კასპიის ზღვაში ყველა გამოსადეგი ტიპის საზღვაო გემების გაგზავნა![1]. ბაქოში იგზავნებოდა იარაღი, ფული, სურსათი და სამხედრო დამხმარე ძალები. საბჭოთა მთავრობის ამ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გ. კ. ორჯონიკიძემ და ი. ბ. სტალინმა, რომლებსაც სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ ს. გ. შაუმიანთან.

1918 წლის ივნისში განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა საომარ მოქმედებას ცენტრალურ (ქიურდამირ-გეოქჩაის) ფრონტზე, რომელშიც შედიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის გაყოლებით მდებარე რაიონები. აქ საბჭოთა სამხედრო ნაწილები 10 ივნისს დაიძრნენ შეტევაზე ინტერვენტებისა და მუსავატისტების წინააღმდეგ. უკვე 12 ივნისს მათ გაათავისუფლეს ქიურდამირი, ხოლო 27 ივნისს მიადგნენ გეოქჩაის. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრავდა“ მაშინ წერდა, რომ „მუშური და გლეხური რუსეთი მხურვალე სიყვარულით, საუკეთესო სურვილებით ადევნებს თვალყურს რევოლუციის გმირების — ბაქოელების — ბრძოლას და გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა გაუადვილოს მათ გამარჯვება. გამხნევედით, ბაქოელო ამხანაგებო! საბჭოთა რუსეთი თქვენთან არის“[2].

ბაქოს პარტიული ორგანიზაცია მთელ ძალებს ძაბავდა მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოსაწყობად. ბოლშევიკების ბაქოს საერთო საქალაქო კონფერენციამ, რომელიც 28 ივნისს გაიმართა, განიხილა ბაქოს რევოლუციური თავდაცვის საკითხები და დაადგინა მოეხდინა მთელი ძალების მობილიზაცია საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

---

[1] В. И. Ленин, ПСС, т. 50, стр. 121.

[2] «Правда» № 130, 28 июня 1918 г.

ცენტრალურ ფრონტზე ბაქოს სახკომსაბჭოს ჯარების წარმატებითი ოპერაციების გამო თურქეთის სარდლობამ გადაწყვიტა გადმოეყვანა აზერბაიჯანში დამატებითი დამხმარე ძალები. ამის შემდეგ ძალთა შეფარდება თურქი დამპყრობლებისა და მუსავატისტების სასარგებლოდ შეიცვალა. ინტერვენტებისა და მუსავატისტების შემოტევის გამო და დაშნაკ-ესერ-მენშევიკი გამცემლების დეზორგანიზატორული საქმიანობის შედეგად 10 ივნისს წითელი არმიის ნაწილებმა ქიურდამირი დატოვეს. ამის შემდეგ თურქმა ინტერვენტებმა თავიანთი ძირითადი ძალები გადაისროლეს შემახის მიმართულებით, სადაც შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა. მდგომარეობა უაღრესად მძიმე გახდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ თურქეთის ჯარები ბაქოს, ქალაქში აქტიურდებოდა შინაგანი კონტრრევოლუციის ძალები.

16 ივლისს ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მენშევიკების, დაშნაკებისა და ესერების კონტრრევოლუციურმა ბლოკმა სცადა გაეპარებინა რეზოლუცია, რომ ბაქოში მოეწვიათ ინგლისის ჯარები, რომლებიც, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს დაეხმარებოდნენ შეტევაზე გადმოსული თურქთა ჯარებისათვის წინააღმდეგობის მოწყობაში. მაგრამ ბოლშევიკებმა მოახერხეს და მიაღებინეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ბაქოს თავდაცვისათვის მოეხდინათ ბაქოს პროლეტარიატის მთელი ძალების მობილიზაცია.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ რამდენჯერმე მიმართა გერმანიასა და თურქეთს და მოსთხოვა შეეწყვიტათ თურქეთის ჯარების შეტევა ბაქოზე. ამავე დროს საბჭოთა მთავრობა ბაქოს საბჭოსაგან მოითხოვდა განეხორციელებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და ეწარმოებინა გადამწყვეტი მოქმედება უცხოელ იმპერიალისტთა აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად. საბჭოთა რუსეთი კვლავ ყველა ღონისძიებით უჭერდა მხარს და ეხმარებოდა ბაქოს მუშებს, რომლებიც იგერიებდნენ რევოლუციის შინაგანი და გარეშე მტრების შემოტევას. მაგალითად, უკრაინის ფრონტიდან მოხსნეს რაზმი გ. კ. პეტროვის სარდლობით, რომელიც 1918 წლის შუა ივლისში ჩამოვიდა ბაქოში.

აზერბაიჯანის ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ბოშნაალმდეგის წინსვლა ბაქოსაკენ. ისინი რაზმავდნენ მშრომელებს, რათა აქტიურად დახმარებოდნენ საბჭოთა ჯარებს, იყენებდნენ მათ საბჭოთა ჯარებისათვის საბრძოლო მასალებისა და სურსათის მისაწოდებლად. 18 ივლისს გაიმართა სარაიონთაშორისო პარტიული კონფერენცია, რომლის დღის

წესრიგში იდგა ბაქოს რევოლუციური თავდაცვის საკითხები. მისი გადაწყვეტილებების შესაბამისად 24 ივლისს პარტიის ბაქოს კომიტეტმა მიტინგები გამართა ბალახანში, საბუნჩიში, შავ ქალაქში, ბიბი-ეიბათში, ქალაქის რაიონში, რამანში, თეთრ ქალაქში, ბალაჯარაში. მიტინგებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ ბაქოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ ფრონტზე წარუმატებლობათა, მზარდ სასურსათო სიძნელეთა პირობებში დაშნაკ-მენშევიკ-ესერთა ბლოკმა მოახერხა დროებით მოეტყუებინა და გაეყოლებინა მშრომელთა ნაწილი.

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 25 ივლისს გაიმართა ბაქოს საბჭოს საგანგებო სხდომა. მოხსენება პოლიტიკური და საჰხედრო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ს. გ. შაუმიანმა. და აქ მენშევიკებმა, დაშნაკებმა და ესერებმა კვლავ დაიწყეს იმ საკითხის წამოყენება, რომ ბაქოში მოეწვიათ ინგლისის ჯარები. მ. ა. აზიზბეკოვი, პ. ა. ჯაფარიძე, ი. დ. ზევინი და სხვა კომუნისტები გადაჭრით გამოვიდნენ ამ გამცემლური წინადადებების წინააღმდეგ. მაგრამ, მიუხედავად კომუნისტების ეთელი მეცადინეობისა, კენჭისყრის დროს უმნიშვნელო უმრავლესობით (258 ხმით 236-ის წინააღმდეგ) გავიდა ესერების რეზოლუცია ინგლისელების მოწვევის შესახებ. ამის შემდეგ გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც გაიმართა ბაქოს საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის სხდომა. გვიან ღამით, როცა საბჭოს სხდომა განახლდა, ს. გ. შაუმიანმა ბოლშევიკური ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება, რომელშიც ესერები, მენშევიკები და დაშნაკები დაგმობილი იყვნენ როგორც მუშურ-გლეხური ძალაუფლების მტრები.

თავის სიტყვაში ცაკ-ისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 29 ივლისს ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა ბაქოს სახკომსაბჭოს პრესის ბიუროსაგან მიღებული დეპეშის შინაარსი და მოიწონა მტკიცე, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც აზერბაიჯანის კომუნისტები ატარებდნენ [1].

25 ივლისის სხდომაზე ბოლშევიკებმა, რომლებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ, გადაწყვიტეს უარი ეთქვათ სახალხო კომისართა პოსტებზე. მაგრამ უმალვე, როცა დარწმუნდნენ, რომ შექმნილ სიტუაციაში გადადგომა მცდარი ნაბიჯი იქნებოდა, მათ ბაქოს საბჭოს აღმასკომის სასწრაფო სხდომაზე მიიღებინეს დადგენილება, ხელისუფლების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე სახალხო კომისრები თავიანთ ადგილებზე უნდა რჩებოდნენო. ამაზე და-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 28, გვ. 8.

ყრდნობით, 27 ივლისს შეკრებილმა ბოლშევიკების ბაქოს საერთო საქალაქო კონფერენციამ გადაწყვიტა უბრძოლველად არ დაეთმო ძალაუფლება, სასწრაფოდ მოეწყო ბაქოს თავდაცვა სახკომსაბჭოს ხელმძღვანელობით, გამოეცხადებინა საყოველთაო მობილიზაცია, მოეწოდებინა მუშებისათვის — დაეცვათ ქალაქი და საბჭოთა ხელისუფლება. კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად 28 ივლისს გამოქვეყნდა ბაქოს სახკომსაბჭოს ბრძანება 1883—1892 წლებში დაბადებული ყველა მოქალაქის წითელი არმიის რიგებში გაწვევის შესახებ, იმავე დღეს პარტიის ბაქოს კომიტეტმა და ბაქოს სახკომსაბჭომ თავისუფლების მოედანზე მოაწყვეს საბჭოთა ჯარების დემონსტრაცია, რომლის მიზანი იყო პროლეტართა წითელი არმიის მეომართა რევოლუციური სულისკვეთების ამაღლება.

მაგრამ საბჭოთა ბაქოს მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. თურქეთის ჯარები უშუალოდ მიადგნენ ქალაქის მიდამოებს, ხოლო ინგლისელ იმპერიალისტთა აგენტურა ფუშავდა მის რევოლუციურ თავდაცვას. ასეთ პირობებში 1918 წლის 31 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე ბაქოს სახკომსაბჭო გადადგა.

მიუხედავად კომუნისტების, მუშებისა და მშრომელი გლეხების თავდადებული ბრძოლისა, საბჭოთა ხელისუფლება აზერბაიჯანში დროებით დაეცა.

1918 წლის 1 აგვისტოს მემარჯვენე ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა ბაქოში შექმნეს „მთავრობა", ეგრეთწოდებული „ცენტროკასპის დიქტატურა". მისი მოწვევით საბჭოთა ხელისუფლების დაცემის მეხუთე დღეს ბაქოში ზღვიდან გადმოსხდნენ ინგლისელი ინტერვენტები, დასავლეთიდან მის მიდამოებს მიადგნენ თურქეთის ჯარები. კონტრრევოლუციურმა მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ, დააპატიმრა ბაქოს კომუნის ხელმძღვანელი მოღვაწენი — ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე, მ. ა. აზიზბეკოვი, ი. ტ. ფიოლეტოვი, გ. ნ. ყორღანოვი, ი. დ. ზევინი და სხვები, რომლებმაც ვერ მოასწრეს ევაკუირება საბჭოთა ასტრახანში. 15 სექტემბერს ბაქო დაიკავეს თურქმა ოკუპანტებმა, რომელთა ხიშტებზე დაყრდნობით მუსავატისტური მთავრობა განჯიდან ბაქოში გადავიდა.

ბაქოში შეჭრილი თურქი ოკუპანტები ქალაქის მშრომელებს დაერივნენ და ძარცვა-გლეჯას შეუდგნენ. მათ აზერბაიჯანში დაამყარეს თავიანთი სრული ბატონობა, რომელიც ძვირად დაუჯდათ მშრომელებს.

ბაქოში თურქი ინტერვენტების შესვლამდე რამდენიმე საათით

ადრე ბოლშევიკებმა მოახერხეს საპყრობილიდან გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებული ბაქოელი კომისრები; ისინი ბაქოდან გემით გაემართნენ ასტრახანში. მაგრამ გემ „თურქმენის“ კონტრრევოლუციურად განწყობილმა ეკიპაჟმა 17 სექტემბერს გემი მიიყვანა კრასნოვოდსკში, სადაც ბაქოს კომუნის კომისრები ხელში ჩაიგდეს ინგლისელმა ინტერვენტებმა. 1918 წლის 20 სექტემბ

წინაღამეს ინგლისელმა ინტერვენტებმა და მათმა ესერთა დაქირავებულმა დამქაშებმა კრასნოვოდსკის საპყრობილიდან გაიყვანეს 26 კაცი და დახვრიტეს იმიერკასპიის ქვიშნარებში, 207-ე ვერსზე სადგურებს ახჩა-კუიმასა და პერევალს შუა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაიღუპნენ ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე, მ. ა. აზიზბეკოვი, ი. ტ. ფიოლეტოვი, ი. დ. ზევინი, გ. ნ. ყორლანოვი, მ. გ. ვეზიროვი, გ. კ. პეტროვი, ი. ვ. მალიგინი, ვ. ფ. პოლუხინი, ე. ა. ბერგი, ფ. ფ. სოლნცევი, ს. გ. ოსეფიანი, მ. ვ. ბასინი, ა. მ. ამირიანი, ი. ი. გაბიშევი, ა. ა. ბორიანი, მ. რ. კოგანოვი, ბ. ა. ავაქიანი, ს. ა. ბოგდანოვი, ა. მ. კოსტანდიანი, ი. პ. მეტაქსა, ი. ა. მიშნე, ა. ა. ბოგდანოვი, ი. მ. ნიკოლაშვილი და ტ. მ. ამიროვი. ისინი ისტორიაში შევიდნენ როგორც ბაქოს 26 კომისარი, რომლებიც რევოლუციური მამაცობის, კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სიმბოლო გახდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დაცემის მთავარი მიზეზი იყო გერმანია-თურქეთის და ინგლისის ინტერვენცია. ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ძალებს აზერბაიჯანში. ბაქოს მუშები იძულებული იყვნენ ებრძოლათ ორი მსოფლიო იმპერიალისტური კოალიციის წინააღმდეგ მეტად მძიმე პირობებში. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის მიზეზი ისიც იყო, რომ აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციებმა და ბაქოს სახკომსაბჭომ ვერ უზრუნველყვეს მტკიცე კავშირი ბაქოს პროლეტარიატსა და აზერბაიჯანის მშრომელ გლეხობას შორის, აგრეთვე დაუშვეს მთელი რიგი შეცდომები ეროვნულ საკითხში. ამით ისარგებლეს მუსავატელებმა, დაშნაკებმა და სხვა კონტრრევოლუციონერებმა მასების მოსატყუებლად. საბჭოთა მთავრობა, ვ. ი. ლენინი ყოველივე შესაძლებელს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ ბაქოს პროლეტარიატს. მაგრამ საბჭოთა რუსეთს, რომელიც მაშინ თვითონ იყო მტრის ფრონტების ცეცხლის რკალში, შესაძლებლობა არა ჰქონდა დახმარება გაეწია ისეთი მასშტაბებით, როგორიც საჭირო იყო ბაქოს წინააღმდეგ შეტევაზე გადასული უცხო-

ელი ჯარებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გასანადგურებლად.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის მეტისმეტად მძიმე პერიოდი დადგა. მხოლოდ საბჭოთა რუსეთი დგამდა ნაბიჯებს ამიერკავკასიის მშრომელთა დასაცავად. თურქეთის ჯარების მიერ ბაქოს დაკავების საპასუხოდ რსფს რესპუბლიკის მთავრობამ თურქეთს მოსთხოვა გაეყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან, დაემყარებინა თურქეთ-ამიერკავკასიის საზღვარი ბრესტის ხელშეკრულების თანახმად და 1918 წლის 20 სექტემბერს გააუქმა ბრესტის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს, ხოლო 13 ნოემბერს გაუქმებულ იქნა ბრესტის ხელშეკრულება მთლიანად[1].

ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა საბჭოების ძალაუფლებისათვის 1917—1918 წლებში გამარჯვებით არ დაბოლოებულა. გამცემლური, ანტიხალხური პოლიტიკა ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა, რომლებიც გამოვიდნენ სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებთან კავშირში და რომლებმაც ამიერკავკასია ცენტრალურ რუსეთს მოწყვიტეს, უცხოელი ინტერვენტების მიერ მხარის ოკუპაცია, ანტიხალხური კონტრრევოლუციური რეჟიმების დამყარება — ყოველივე ეს ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების მხრივ მოითხოვდა მათ ბრძოლაში ძალ-ღონის ახალ დაძაბვასა და მსხვერპლს მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებისათვის. რა თქმა უნდა, იმ წარმოუდგენლად რთულ პირობებში, როცა საჭირო ხდებოდა სიარული ახალი, სოციალისტური წყობილების დამკვიდრებისათვის ბრძოლის უცნობი გზით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთშიც, მიიღო ხასიათი შეტაკებისა ერთი მხრივ იმპერიალიზმის ბანაკსა, რომელმაც გააერთიანა მთელი ძველი სამყარო ქვეყნის გარეთ და შიგნით, და მეორე მხრივ სოციალისტური რევოლუციის ბანაკს შორის, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ეროვნების მუშები და მშრომელი გლეხები რომ გააერთიანა, რომლებსაც ბოლშევიკების პარტია ხელმძღვანელობდა. ამ მძიმე ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა უზარმაზარ ტერიტორიაზე ბალტიკიდან წყნარ ოკეანემდე, უკიდურესი ჩრდილოეთიდან თურქეთის

[1] Документы внешней политики СССР, т. 1, стр. 490—492, 565—567.

საზღვრამდე, იყო დროებითი წარუმატებლობანი და დამარცხებები, როგორც ეს ამიერკავკასიაშიც მოხდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ამ პერიოდში ვერ შეძლეს ბოლომდე დაეძლიათ მასების მიმნდობ-შეუგნებელი დამოკიდებულება წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიებისადმი. მხარეში რევოლუციური ბრძოლის გაქანებაზე რამდენადმე უარყოფითი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ბოლშევიკებმა მთელი თავიანთი საქმიანობა გააჩაღეს უმთავრესად სამრეწველო ქალაქებში, მუშათა წრეში და ჯარისკაცთა ნაწილში; წვრილბურჟუაზიულ მასას კი ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამიერკავკასიის ზოგიერთ ადგილას საკმაოდ არ იგრძნობოდა მუშების გამარევოლუციურებელი გავლენა გლეხთა მასებზე. არასაკმარისი იყო აგრეთვე ამიერკავკასიის პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა რევოლუციურ ბრძოლაში.

იმ დროის რთულ პირობებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის გამოეგლიჯათ ეროვნული განთავისუფლების დროშა, ბოლომდე ემხილებინათ „დამოუკიდებლობის“ ბურჟუაზიულ-მემამულური ლოზუნგის კონტრრევოლუციური არსი, დაეპირისპირებინათ მისთვის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის ლოზუნგები.

პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ზოგიერთმა ადგილობრივმა კომიტეტებმა რევოლუციის გადამწყვეტ პერიოდში ხელიდან გაუშვეს მომენტი, სათანადო თანმიმდევრობა ვერ გამოიჩინეს ბოლშევიკური პარტიის მიერ შემუშავებული რევოლუციური ტაქტიკის გატარებაში, დაუშვეს სერიოზული შეცდომები. ისინი ძირითადად ემხრობოდნენ შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკას და ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ აჰყვნენ საბჭოების ხელში ძალაუფლების „უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად“ გადასვლის ილუზიებს, რასაც მთელი ამიერკავკასიისათვის სრულებით არ ამართლებდა იმ დროს კონკრეტულად შექმნილი ვითარება. ეს აფერხებდა ამიერკავკასიის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების რევოლუციური ბრძოლის განვითარებას.

სერიოზულ ფაქტორს, რომელმაც გააძნელა რევოლუციის წარმატება ამიერკავკასიაში, წარმოადგენდა ის, რომ მხარე მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთს. 1917 წლის დამლევს რუსეთის მთელი სამხრეთი ნაწილი აღმოჩნდა თეთრგვარდიელი გენერლებისა და კონტრრევოლუციური პარტიების ხელში, რამაც ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობა ჩამოაშორა რუსეთის ცენტრს და მე-

ტად გააძნელა კავშირის დამყარება მხარის ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის, აგრეთვე საჭირო დირექტივების მიღება ისეთ პასუხსაგებ პერიოდში, როცა რევოლუციის ბედს წყვეტდნენ არა მარტო კვირეები, არამედ დღეები და საათებიც კი. ამავე დროს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში მშრომელ მასებს ჰყავდათ გაწაფული მოწინააღმდეგეები მენშევიკების, ესერების, დაშნაკების, მუსავატელების სახით, რომლებიც ყოველგვარ პოლიტიკურ კომბინაციებს, დემაგოგიასა და მოტყუებას მიმართავდნენ.

მაგრამ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მჩქეფარე მუშაობას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მშრომელი მასების ბრძოლის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის დარგში, მიუხედავად დროებითი დამარცხებისა, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერკავკასიის მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა რევოლუციური ბრძოლის შესანიშნავი სკოლა განვლეს. მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის შეძენილმა გამოცდილებამ და სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის დარგში შეთვისებულმა ჩვევებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

თავი მეცხრე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები უცხოელთა ინტერვენციისა და საშინაო რევოლუციის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში

(1918 წლის შემოდგომა — 1921 წლის მარტი)

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მიერ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობა. პარტიული რიგების ზრდა და განმტკიცება

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ მთელ ამიერკავკასიაში უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის ბატონობა დამყარდა.

ამიერკავკასიაში ამბების მთელ შემდგომ მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა 1918 წლის შემოდგომისათვის შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ. ანტანტის ჯარების მიერ ავსტრია-გერმანიის კოალიციის, გერმანიასა და ავსტრიაში რევოლუციის განადგურებამ, წითელი არმიის მიერ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და ყირიმის ტერიტორიებიდან გერმანელი ოკუპანტების განდევნამ, დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლის გაძლიერებამ — ყოველივე ამან გერმანელ-თურქი ოკუპანტები აიძულა დაეტოვებინათ ამიერკავკასია. 17 ნოემბერს დაიწყო თურქეთის არმიის უკანდახევა აზერბაიჯანიდან, ხოლო ცოტა უფრო გვიან —სომხეთიდან. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს ფოთიდან გავიდა უკანასკნელი ტრანსპორტი გერმანიის ჯარებით.

მაგრამ გერმანია-თურქეთის ჯარების ნაცვლად აქ მოვიდნენ ინგლისელი ოკუპანტები. იმავე დღეს, როცა თურქეთის ჯარებმა დაიწყეს გასვლა აზერბაიჯანიდან, ბაქოში გადმოსხდნენ ინგლისის საოკუპაციო ნაწილები. ინგლისის ჯარები შევიდნენ აგრეთვე ბათუმსა და თბილისში. დეკემბრის დამლევს დაშნაკურმა

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სომხეთში ინგლისელთა მიწვევის შესახებ. უფრო გვიან, 1919 წლის მაისის პირველ რიცხვებში, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა სომხეთის მართვის მანდატი გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ამიერკავკასია კვლავ ოკუპირებული აღმოჩნდა. მოკავშირეები ყოველნაირად ცდილობდნენ ამიერკავკასიაში შეექმნათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის ახალი კერა.

ინგლისელმა ინტერვენტებმა ამიერკავკასიაში თავიანთი ყოფნის პირველივე დღეებიდან დაიწყეს კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება, ისინი ისე მბრძანებლობდნენ აქ, როგორც კოლონიურ ქვეყანაში. ამიერკავკასიის ქალაქებში გაიგზავნა ინგლისელთა რაზმები და სამხედრო მისიები. რკინიგზა, საზღვაო ტრანსპორტი, ნავთობი, სამთამადნო მრეწველობა, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები ინგლისელ ხელისუფალთა განკარგულებაში იყო. ინტერვენტებს აქედან გაჰქონდათ ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა. ამიერკავკასიაში ისინი თვითნებურად და უწესოდ იქცეოდნენ. ინგლისელი ოფიცრები და ჯარისკაცები ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში აწყობდნენ დებოშებს, აბუჩად იგდებდნენ მოქალაქეებს, ეწეოდნენ სპეკულაციას და კონტრაბანდას. რეალურ ძალაუფლებას მხარეში ფაქტიურად ოკუპანტები წარმოადგენდნენ, ხოლო მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების მთავრობები მათი მარიონეტები იყვნენ.

მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ბითუმად და ცალობით ვაჭრობდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებით, იცავდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეების საკუთრებას, თავიანთი ანტიხალხური პოლიტიკით ცდილობდნენ განემტკიცებინათ მათი ბატონობა და მუშათა და გლეხთა ექსპლოატაციის უფლება. ისინი გრძნობდნენ, რომ ამიერკავკასიაში ბატონობა მათ შეეძლოთ მხოლოდ უცხოელთა ხიშტების დახმარებით, ამიტომ მათ წინაშე თავიანთ მონურ ქედმოხრას ნიღბავდნენ დემაგოგიური ფრაზეოლოგიით „დამოუკიდებლობის“ შესახებ, „დემოკრატიული რესპუბლიკის“ შესახებ და ა. შ. მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ახორციელებდნენ აღვირახსნილ შოვინისტურ პოლიტიკას. უკიდურესად ამწვავებდნენ ეროვნებათა შორის ურთიერთობას მხარეში.

უცხოეთის ინტერვენციამ, მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების მთავრობათა სასტიკმა რეპრესიებმა და ძალადობამ ვერ გატეხეს ამიერკავკასიის მშრომელთა ნებისყოფა ებრძოლათ თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ამ

ბრძოლას სათავეში ედგნენ კომუნისტები, რომლებიც ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფებოდნენ.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მეტად რთულ პირობებში გააჩაღა მუშაობა მასებში, ქმნიდა ახალ რევოლუციურ ორგანიზაციებს, ხოლო არსებულთ განამტკიცებდა. 1918 წლის ნოემბერში ბაქოში შეიქმნა დროებითი ბიურო, რომელიც პარტიული ორგანიზაციების აღდგენას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ერევნის პარტიული ორგანიზაცია გამოეყო ძენშევიკებს და დამოუკიდებელ კომუნისტურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

1919 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში კავკავში შედგა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეორე სამხარეო ყრილობა. ყრილობამ განიხილა სამხარეო კომიტეტის ანგარიში, მოხსენებები ადგილებიდან, კომუნისტების ამოცანები ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ყრილობამ დაამტკიცა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობა. მას შემდეგ, რაც დენიკინელებმა ხელში ჩაიგდეს ჩრდილოეთი კავკასია, სამხარეო კომიტეტის წევრთა უმრავლესობა თბილისსა და ბაქოში გადმოვიდა.

1919 წლის დამდეგს ახალი შემადგენლობით ჩამოყალიბდა პარტიის თბილისის კომიტეტი, ხოლო მარტში ბაქოს საერთო პარტიულმა კონფერენციამ აირჩია რკპ (ბ) ბაქოს კომიტეტი; სოხუმში შეიქმნა საოლქო პარტიული კომიტეტი. გამოცოცხლება იწყო განჯის, ალექსანდროპოლის, ახალი ბაიაზეთის, ზანგეზურის და სხვა კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობამ.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაშლაში დიდი როლი შეასრულა რკპ (ბ) VIII ყრილობამ. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი ამოცანები. პარტიის პროგრამაში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეროვნულ საკითხს. მასში კვლავ დადასტურებული იყო თვითეული ერის თვითგამორკვევის უფლება, თვით სახელმწიფო გამოყოფაც კი. პროგრამა სახავდა სხვადასხვა ეროვნების პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების დაახლოების ამოცანას სოციალიზმისათვის ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად, ძმური ურთიერთობის დამყარებას ყოფილი გაბატონებული ერის პროლეტარიატსა და წინათ ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელებს შორის.

ქვეყნის ეროვნული განაპირა მხარეების პარტიული ორგანიზაციებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის VIII ყრილობის დადგენილებას, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ საჭი-

რომ არსებობდეს ცენტრალიზებული კომუნისტური პარტია ერთიანი ცენტრალური კომიტეტით, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს პარტიის მთელ მუშაობას ქვეყნის ყველა ნაწილში. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მის ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა“[1].

პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებს მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ამიერკავკასიის კომუნისტები, რომლებიც, არალეგალური მუშაობის ყველა სიძნელის მიუხედავად, ფართო პროპაგანდას უწევდნენ მათ მშრომელთა შორის. ბოლშევიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა რკპ (ბ) პროგრამა, ყრილობის რეზოლუციები, ვ. ი. ლენინის მოხსენებები და სიტყვები, აგრეთვე პარტიის VIII ყრილობისადმი მიძღვნილი სტატიები. 1919 წელს პარტიის პროგრამა გამოიცა ცალკე ბროშურად აზერბაიჯანულ ენაზე და გავრცელდა მშრომელთა შორის. VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და განმარტება ხელს უწყობდა მხარის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვან გამოცოცხლებასა და გაფართოებას.

ამიერკავკასიის კომუნისტები ბრძოლის შეცვლილ პირობებში ცდილობდნენ ყველა როგორც არალეგალური, ისე ლეგალური შესაძლებლობანი გამოეყენებინათ მშრომელთა ფართო მასებთან კავშირის განსამტკიცებლად. მათ გააქტიურეს თავიანთი მუშაობა ყველა მუშათა ორგანიზაციაში, დიდ ყურადღებას უთმობდნენ გაზეთებისა და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემას.

კომუნისტების ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო და სარეწაო კომიტეტების აღდგენა, რომლებიც 1918 წლის დეკემბერში გაერთიანდნენ საყოველთაო „ბაქოს მუშათა კონფერენციად“. იგი იყო ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატის სრულუფლებიანი ერთიანი ინტერნაციონალური ორგანო. შეიქმნა რაიონული მუშათა კონფერენციებიც. ბაქოს მუშათა კონფერენციასთან მუშაობდა ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი. მის გარდა მოქმედებდნენ რაიონული საგაფიცვო კომიტეტები. მუშათა კონფერენცია იყო ახალი, მანამდე უმაგალითო, თავისებური მოვლენა მუშათა მოძრაობაში. იგი, ს. მ. კიროვის თქმით, თავისებური „მუშათა პარლამენტი“ იყო.

1919 წლის მარტში მუშათა კონფერენციის ხელმძღვანელობა მენშევიკებიდან და ესერებიდან გადავიდა ბოლშევიკების ხელ-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გვ. 565.

ში. მისი თავჯდომარე გახდა ი. ი. ანაშკინი. ხოლო მაისში იგი ა. გ. ყარაევმა შეცვალა. მუშათა კონფერენციების საშუალებით კომუნისტები ახორციელებდნენ საგაფიცვო ძოძრაობის, პოლიტიკური დემონსტრაციების ხელმძღვანელობას, რაზმავდნენ და აერთიანებდნენ მუშებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ.

1919 წლის აპრილში ბაქოში გაიმართა კავკასიისა და იმიერკასპიის პროფკავშირთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნის, იმიერკასპიის პროფკავშირების და აზერბაიჯანისა და საქართველოს მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგატები. ბოლშევიკებმა ყრილობაზე ამხილეს ბურჟუაზიული დემოკრატიის მენშევიკ-ესერი მქადაგებლები და მოუწოდეს პროფკავშირებს ებრძოლათ მუშათა პოლიტიკური უფლებების დასაცავად. ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო. ყრილობის შემდეგ პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობა თანდათანობით ბოლშევიკების ხელში გადავიდა.

ამიერკავკასიის კომუნისტებმა რევოლუციურ ბრძოლაში ახალგაზრდობაც ჩააბეს. 1919 წლის აპრილში მათ თბილისში მოაწყვეს ახალგაზრდული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც ისინი ერთიან ორგანიზაცია „სპარტაკში" გააერთიანა და ამ ორგანიზაციის წესდება მიიღო. 1919 წლის გაზაფხულზე თავისი საქმიანობა განაახლა „ქალაქ ბაქოს და მისი რაიონების მუშა ახალგაზრდობის ინტერნაციონალისტურმა კავშირმა". 1919 წლის მაისში ბაქოს ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთოსაქალაქო კონფერენციამ მიიღო კავშირის წესდება. ამავე დროს შეიქმნა სომხეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი „სპარტაკი".

რკპ (ბ) კავკასიის საგარეო კომიტეტი დაინტერესებული იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობით, წარმართავდა მათს მუშაობას. ახალგაზრდული ორგანიზაციები უშვებდნენ გაზეთებს: საქართველოში „მესამე ინტერნაციონალს", „ახალგაზრდა კომუნისტს"; აზერბაიჯანში „მოლოდი რაბოჩის", „რაბოჩაია მოლოდიოეს" და „გიანჯ იშჩის" („ახალგაზრდა მუშას") და სოხეთში — „სპარტაკს".

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების კონფერენციაზე, რომელიც 1919 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა, გადაწყდა გაერთიანებულიყვნენ და შეექმნათ ახალგაზრდობის სრულიად რუსეთის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაცია. კონფერენციამ აირჩია საოლქო კომიტეტი და მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მოუწო-

და ახალგაზრდა მეშეხსა და გლეხებს დაერაზმათ თავიანთი რიგები კავშირის გარშემო მთელ მხარეში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის გარშემო მხარის მშრომელთა დარაზმვის მიზნით შეუპოვრად ამხილებდნენ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელსაც მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების მთავრობები ახორციელებდნენ. ბაქოს საერთო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1919 წლის 2 მაისს გაიმართა, ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი" აზერბაიჯანის შესახებ მუსავატელთა მიერ ატეხილი ხმაურის საწინააღმდეგოდ წამოაყენა ლოზუნგი ბრძოლისა „დამოუკიდებელი საბჭოთა აზერბაიჯანისათვის" საბჭოთა რუსეთთან მისი მჭიდრო პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიური კავშირით.

1919 წლის 7—8 მაისს ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის პირველი პარტიული კონფერენცია, რომელმაც დასახა პარტიული ორგანიზაციების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების კონკრეტული ამოცანები. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიულ მუშაობას დენიკინელთა მიერ დაკავებულ ჩრდილოეთ კავკასიაში და აირჩია რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციაზე დაყენებული იყო აგრეთვე „დამოუკიდებელი საბჭოთა აზერბაიჯანის" ლოზუნგის საკითხი. მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიუროს მთელმა რიგმა წევრებმა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მისი განხორციელება გამოიწვევდა მხარის მშრომელთა გათიშვას, შეასუსტებდა მათს ერთობლივ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისათვის. მაგრამ ასეთ შეხედულებებს რომ იცავდნენ, თბილისის ბოლშევიკების წარმომადგენლები მხედველობაში არ იღებდნენ იმას, რომ მხარის მოსახლეობა თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერდა და სიმპათიით ეკიდებოდა. შემთხვევით როდი იყო, რომ კომუნისტების მოწოდება „დემოკრატიული რესპუბლიკების" ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის დამხობის შესახებ მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტები თითქოს ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის მტრები არიან. ხალხთა ეროვნული გრძნობების სპეკულაციური მიზ-

ნებით გაღვივებისათვის ნავარაუდევ ამ დემაგოგიას აჰყვებოდა ხოლმე ნაწილი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებისა, რომლებიც პოლიტიკაში არ იყვნენ გამოცდილი.

რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1919 წლის 28—29 მაისს გაიმართა, მხედველობაში მიიღო ამიერკავკასიაში ეროვნული რესპუბლიკების არსებობის ფაქტი და იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის ეროვნული დემაგოგიის წარმოების საბაბი არ მიეცა, დაადგინა: ამიერკავკასიის კომუნისტების მორიგი ამოცანაა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნა და მათი გაერთიანება საბჭოთა რუსეთთან.

აზერბაიჯანის ეგრეთწოდებული „დამოუკიდებლობის" წლისთავთან დაკავშირებით, რაც მუსავატელებმა წამოიწყეს, პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი გამოვიდნენ მხარის მშრომელებისადმი მიმართვით, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კომუნისტები ეცდებიან გადააქციონ აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებად. ეს გადაწყვეტილება მოიწონა და მას მხარი დაუჭირა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ვ. ი. ლენინმა.

კომუნისტების ხელმძღვანელობით მხარის მშრომელთა ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის სულ უფრო ორგანიზებული ხასიათი ეძლეოდა. ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიტი მიდიოდა. ბაქოს მუშებმა 1918 წლის დეკემბერში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოაწყეს. მის შემდეგ ბაქოს პროლეტარიატის გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები თითქმის არ შეწყვეტილა. 26 ბაქოელი კომისრის ავაზაკური მოკვლის ნახევარ წლისთავთან დაკავშირებით მარტში გაიმართა ერთდღიანი პოლიტიკური გაფიცვა. 1919 წლის საპირველმაისო დემონსტრაციაში, რომელსაც სათავეში კომუნისტები ედგნენ და რომელიც გაიმართა ლოზუნგებით „დამოუკიდებელი საბჭოთა აზერბაიჯანისათვის!", „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!", ბაქოს სხვადასხვა ეროვნების 50 ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა.

ამ დემონსტრაციის სამი დღის შემდეგ ბაქოს საერთო საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით დაიწყო საყოველთაო ეკონომიური გაფიცვა შემდეგი მოთხოვნებით: დამყარდეს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, ნავთობი გატანილ იქნას საბჭოთა რუსეთში და დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულება. გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მუსავა-

ტელთა ხელისუფლები და ინგლისელთა სარდლობა ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეხშოთ გაფიცვა. საგაფიცვო კომიტეტის წევრები დააპატიმრეს. ბაქოში სამხედრო წესები გამოცხადდა. 12 მაისს გაფიცვა შეწყდა. მაისის გაფიცვამ ცხადყო ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატის ორგანიზებულობა და დარაზმულობა.

საგაფიცვო ბრძოლა ჩაღდებოდა აგრეთვე საქართველოში და სომხეთში. საქართველოში ყველაზე დიდი გაფიცვა იყო თბილისის საქალაქო მმართველობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც 1919 წლის მარტში დაიწყო. იგი დამთავრდა გაფიცულთა მოთხოვნების დაკმაყოფილებით. 1919 წლის აპრილში მოხდა ერევნისა და ალექსანდროპოლის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვები.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების აქტივიზაციასთან ერთად გაძლიერება იწყო გლეხთა მოძრაობამ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბევრ მაზრაში. საქართველოს დუშეთის, შორაპნის მაზრებში მოხდა გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები. 1918 წლის ოქტომბერში ახალი ბაიაზეთის მაზრის სოფელ შახრიზში დაიწყო გლეხთა აჯანყება, რომელიც დაშნაკებმა შეიარაღებული ძალით ჩაახშეს. მალე ამის შემდეგ დაშნაკ ხელისუფალთა წინააღმდეგ აჯანყდნენ დარალაგიაზის მაზრის სოფელ მარტიროსის გლეხები, მათ შეუერთდნენ სხვა სოფლების გლეხები[1]. განჯის, ყაზახის, ლენქორანის მაზრებში მოქმედებდნენ გლეხთა ძლიერი შეიარაღებული რაზმები. მაგალითად, აჯანყებულთა რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახალხო გმირი კატირ მამედი (მამედ მამედოვი) და რომელშიც იბრძოდნენ აზერბაიჯანელი და სომეხი გლეხები, 1919 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში გმირულ ბრძოლას ეწეოდა მუსავატური მთავრობის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. კატირ მამედის რაზმის მოქმედებას განჯის კომუნისტური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი განჯელი კომუნისტების საშუალებით ქმედითს დახმარებას უწევდა კატირ მამედის რაზმს. ყარაბაღსა და ზანგეზურში, შამშადინისა და ყაზახის მაზრებში აზერბაიჯანელი და სომეხი გლეხები ერთობლივად გამოდიოდნენ მუსავატელ და დაშნაკ ხელისუფალთა წინააღმდეგ.

გლეხთა აჯანყებებისა და პარტიზანული რაზმების აქტიური მოქმედების შედეგად, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ბაქოს კომუნისტების ყოველმხრივი მხარდაჭერით 1919 წლის

---

[1] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, стр. 621.

მაისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ლენქორანში, მთელ მუღანში. მუღანის საბჭოთა ხელისუფლება მთელ რიგ სოციალისტურ ღონისძიებებს ახორციელებდა. გაჩაღდა მუშაობა მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და გლეხებისათვის მათი გადაცემისათვის. შეიქმნა გლეხთა კომიტეტი. ყალიბდებოდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაზმები მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მუღანში დაახლოებით სამ თვეს იარსება, იგი დაეცა შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა ჭარბი ძალების შეტევის შედეგად.

1919 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე გლეხთა ყრილობები გაიმართა ყარაბაღში, ყაზახისა და ალექსანდროპოლის მაზრებში. მათ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გლეხთა მასების მობილიზაციაში მიწისათვის, ბურჟუაზიულ-მემამულურ ხელისუფალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერკავკასიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს. მაგრამ ამ გამოსვლების მახვილი ბურჟუაზიულ-მემამულურ ხელისუფალთა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ იყო მიმართული. სამაზრო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მეოხებით გლეხთა მოძრაობა სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებდა. ერთობლივ განმათავისუფლებელ ბრძოლაში მტკიცდებოდა მუშათა და გლეხთა კავშირი.

ამიერკავკასიის კომუნისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ რევოლუციურ მუშაობას საოკუპაციო ჯარებში. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი ინგლისურ ენაზე უშვებდა და ინგლისის სამხედრო ნაწილებში ავრცელებდა ფურცლებს, რომლებიც ამხილებდნენ ანტანტის მთავრობათა იმპერიალისტური პოლიტიკის არსს. ინგლისელ ჯარისკაცთა შორის არალეგალური მუშაობის წარმოებაში კომუნისტებს დახმარებას უწევდნენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსული აგიტატორები, რომლებმაც ინგლისური ენა იცოდნენ.

რევოლუციური პროპაგანდა და მშრომელთა თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისათვის ხელს უწყობდა უცხოური ნაწილების ჯარისკაცთა შეგნების გამოღვიძებას, რომლებისთვისაც გასაგები ხდებოდა თავიანთი მმართველების პოლიტიკის უსამართლობა. ინგლისის ჯარებში, იტყობინებოდა რკპ (ბ) ბაქოს კომიტეტი ერთ-ერთ თავის ინფორმაციაში 1919 წლის მარტში, სრული დეზორგანიზაციაა და არავითარი დისციპლინა არ არის... მუშათა გაფიცვების დროს ჯარისკაცთა მასა ლოიალურ პოზიციას ადგას. და ამჟამად ინგლისის სარდლობის მდგომარეობა ძალიან მერყეევია, რადგან მას

არ შეუძლია თავისი ჯარისკაცების ერთგულების იმედი ჰქონდეს.

მიუხედავად ხელისუფალთა მიერ შექმნილი დაბრკოლებებისა და მატერიალური და სხვა სიძნელეებისა, ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაადიდეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების გამოცემა. 1918—1920 წლებში გამოდიოდა გაზეთები: საქართველოში — „გოლოს ტრუდა“, „ვოლნა“, „ახალი კომუნისტი“, „კომუნისტი“, „საქართველოს კომუნისტი“; აზერბაიჯანში — „ნაბატი“, „ფუხარა სადასი“ („ღარიბთა ხმა“), „მოლოტ“, „პროლეტარი“, „აზერბაიჯან ფუხარასი“ („აზერბაიჯანის ღარიბ-ღატაკნი“), „ბაქი ფეხლე კონფრანსინინ ახბარი“ („ბაქოს მუშათა კონფერენციის უწყებები“), „ჰურიეთ“ („თავისუფლება“), „ნოვი მირ“; სომხეთში — „ხოსქ“ („სიტყვა“), „ალიქ“ („ტალღა“), „კომუნისტი“, „ლორვა გიუღაციუთიან ძაინ“ („ლორის გლეხობის ხმა“).

ბოლშევიკური გაზეთები მასებში ავრცელებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, ზრდიდნენ მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაზმავდნენ მათ ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, საბჭოთა რუსეთთან ძმური კავშირისათვის საბრძოლველად.

1919 წლის გაზაფხულზე, ამიერკავკასიის მოსაზღვრე რაიონებში დენიკინის ურდოების შეპრის შედეგად, ჰხარეს თეთრგვარდიული ოკუპაცია დაემუქრა.

1919 წლის ივნის — ივლისში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიმართა მოწოდებით „მთელი კავკასიის მშრომელ მასებს“ და მოუხმობდა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ დენიკინის წინააღმდეგ. „პირველ რიგში, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — ჩვენში დგას საკითხი დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ამასთან ერთად ჩვენ უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ საოკუპაციო ჯარების გაყვანას ამიერკავკასიისა და იმიერკასპიის ფარგლებიდან. ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ ამას ყველა და ყოველგვარი ღონისძიებით; ჩვენ ვაიძულებთ ამ ჯარებს დატოვონ ჩვენი ქვეყანა... ჩვენი ყველაზე მთავარი და უახლოესი ამოცანაა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის კავკასიაში მჩაგვრელთა და დამმონებელთა წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების, ყველა ჩაგრულისა და ღატაკის გაერთიანების გზით“[1].

კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთელ ამიერკავკასიაში გაიშალა ფართო სახალხო მოძრაობა დენიკინის კონ-

[1] Газ. «Молот» № 23, 5 августа 1919 г.

ტრრევოლუციის წინააღმდეგ. ბაქოს მუშათა კონფერენციის ბოწოდებით ათასობით მუშამ 1919 წლის 13 ივნისს მოაწყო მძლავრი პოლიტიკური საპროტესტო დემონსტრაცია დენიკინელ კონტრრევოლუციონერთა და მათ მფარველთა — ინგლისელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. ბაქოს მუშათა კონფერენციამ წამოაყენა დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი. მან მოითხოვა განსაკუთრებული ორგანოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატის გაერთიანებას, მოახდენდა მისი მოქმედების კოორდინაციას და უხელმძღვანელებდა ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო გაზეთი „ვოლნა“ 1919 წლის 14 ივნისის მოწინავე სტატიაში მიმართავდა ამიერკავკასიის მუშებს, გლეხებს და მოუწოდებდა მათ მხარი დაეჭირათ ბაქოს მუშათა ლოზუნგისათვის. „მხოლოდ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ომს, — წერდა იგივე გაზეთი რამდენიმე დღით წინ, — რომელიც გადაჭრით და მტკიცედ იქნება გამოცხადებული, შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს დენიკინის საფრთხე. ეს იქნება ჩვენი მუშებისა და გლეხების ისტორიული დამსახურება პროლეტარიატის წინაშე, რომელიც წითელი დროშის ქვეშ იბრძვის“[1].

ბაქოს მუშათა კონფერენციამ წამოაყენა იდეა მოწვეული ყოფილიყო მუშათა ორგანიზაციების კავკასიის საერთო საგანგებო ყრილობა ძალთა გაერთიანებისათვის დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ ყრილობის მოსამზადებლად მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები — ფ. კ. გუბანოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. თ. სტურუა და სხვები. მაგრამ ქართველი მენშევიკები მტრულად მოეკიდნენ ამ იდეას. ისინი მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად ყველანაირად ხელს უშლიდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა გაერთიანებას დენიკინის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტანტაზე დამოკიდებული მდგომარეობა და მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსადმი სიძულვილი ამიერკავკასიის მმართველებს უბიძგებდა სამარცხვინო კავშირი დაედოთ დენიკინელებთან.

საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ მიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობებს და წინადადებას აძლევდა დაედოთ სამხედრო კავშირი დენიკინის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი ინგლისელ

---

[1] Газ. «Волна» № 1, 9 июня 1919 г.

იმპერიალისტთა მითითებით ყველანაირი საბაბით უარს აცხადებდნენ ასეთ კავშირზე. უფრო მეტიც, ხალხისაგან ფარულად ისინი მხარს უჭერდნენ დენიკინის კონტრრევოლუციას. ვ. ი. ლენინი 1920 წლის 2 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე ამბობდა: „საქართველოს და აზერბაიჯანს წინადადება მივეცით დაედოთ შეთანხმება დენიკინის წინააღმდეგ. მათ უარი თქვეს და ის მოიმიზეზეს, რომ ისინი სხვა სახელმწიფოების საქმეებში არ ერევიან. ჩვენ დავინახავთ, როგორ შეხედავენ ამას საქართველოს და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები“[1].

ამიერკავკასიის ბურჟუაზიული რესპუბლიკების მთავრობათა ორპირულმა პოლიტიკამ მხარის მშრომელთა გადამწყვეტი პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია. ბაქოში, თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები ლოზუნგებით — „ძირს ინგლისის სარდლობა!“, „სიკვდილი დენიკინს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“.

დენიკინის საწინააღმდეგო მოძრაობამ ამიერკავკასიის სოფლებიც მოიცვა. თავიანთ მიტინგებზე გლეხები იღებდნენ რეზოლუციებს. რომლებშიც მოითხოვდნენ აქტიურ ბრძოლას დენიკინის კონტრრევოლუციასთან.

ამ დროს შინაპოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში რამდენადმე შეიცვალა მხარის ტერიტორიიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომუნისტებმა ისარგებლეს ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების გაყვანით და დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შეუსუსტებლად 1919 წლის შემოდგომაზე დაიწყეს შეიარაღებული აჯანყების მომზადება მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მაგრამ მისი განხორციელება ჩაშალა. მენშევიკმა ხელისუფლებმა, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა, რომ მზადდებოდა გამოსვლა, შეძლეს დაეპატიმრებინათ სამხედრო-რევოლუციური შტაბის, თბილისის გარნიზონის საბჭოს მთელი შემადგენლობა, ბოლშევიკური ორგანიზაციების ყველაზე გავლენიანი ხელმძღვანელები და ჩაეხშოთ შეიარაღებული გამოსვლები, რაც საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაიწყო.

მაგრამ აჯანყების წარუმატებლობის მიუხედავად, ბოლშევიკე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 388.

ბის გავლენა და ავტორიტეტი ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ფართო მასებში განუწყვეტლივ იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მხარის მშრომელები დღითიდღე სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რა იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების რეაქციულ მთავრობათა ანტიხალხური პოლიტიკის ნამდვილი არსი. ისინი თანდათან ხვდებოდნენ, რომ ხალხის ინტერესების ყველაზე თანმიმდევრული გამომხატველები კომუნისტები არიან.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები იდეურად და ორგანიზაციულად განამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს, აფართოებდნენ კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან, ცდილობდნენ მთელი თავიანთი საქმიანობა დაემორჩილებინათ მთავარი მიზნისათვის — რეაქციული ბურჟუაზიული რეჟიმების რაც შეიძლება სწრაფად დამხობისათვის, ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საბჭოთა რუსეთთან მათი ძმური კავშირისათვის.

ამ მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლა განაპირობებდა როგორც მხარის კომუნისტური ორგანიზაციების ზრდასა და განმტკიცებას, ისე მასების გარეეოლუციურებასა და ბოლშევიზაციას.

ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობების და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის პერიოდში ძირეულად შეიცვალა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პირობებიც. გართულდა ბრძოლის ამოცანები და ფორმები. მაგრამ მათი დარაზმულობა და ერთიანობა უცვლელი დარჩა. მუშაობის წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ორგანიზაციული სტრუქტურა პარტიული ორგანიზაციების აგებისა, რომელთა ხელმძღვანელი ცენტრი იყო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელსაც ჰქონდა ორი ბიურო — ბაქოს და თბილისის ბიუროები. კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები იმ პერიოდში იყვნენ: ს. ი. კასიანი, ფ. ე. მახარაძე, ა. ი. მიქოიანი, ვ. ი. ნანეიშვილი, ა. მ. ნაზარეტიანი, მ. დ. ორახელაშვილი, გ. კ. ორჯონიკიძე, გ. თ. სტურუა, გ. გ. სულთანოვი, ლ. დ. ღოღობერიძე, ი. ნ. ჩიკარევი, მ. გ. ცხაკაია, მ. ჯ. ჰუსეინოვი და სხვ.

პარტიული კადრების განაწილება ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში განპირობებული იყო კლასობრივ ძალთა განლაგებით მხარეში.

პროლეტარიატის კონცენტრაცია ამიერკავკასიაში თანაბარი როდი იყო. სამრეწველო პროლეტარიატის ძირითადი მასა თავმოყრილი იყო ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ალექსანდრო-

პოლში, ქედაბეკში, ალავერდსა და სხვა ქალაქებში. ყველაზე დიდი და მრავალეროვანი იყო ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც ამიერკავკასიის მთელი სამრეწველო პროლეტარიატის ნახევარს შეადგენდა. მუშათა რაზმები იყო რკინიგზის სადგურებში და მთელ რიგ სამაზრო ცენტრებში. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სოფლებში ძლიერდებოდა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი.

ახასიათებდა რა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობას, სამხარეო კომიტეტის წევრი ლ. დ. ღოღობერიძე 1919 წლის 17 აგვისტოს მოხსენებაში, რომელიც ს. მ. კიროვის საშუალებით ასტრახანიდან მოსკოვში გაიგზავნა, ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი ორგანიზაციები, საშინელი დევნის მიუხედავად, სწრაფად იზრდებიან და სულ უფრო გავლენიანი ხდებიან. სამხარეო კომიტეტი მუშაობს ბაქოსა და თბილისში და თვეში ერთხელ იკრიბება პლენარულ სხდომაზე. კარგად ორგანიზებული არიან ბაქოს, ბათუმის, თბილისის, სოხუმისა და ქუთაისის კომიტეტები“[1].

1919 წლის დამლევისათვის ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში პარტიის 9 ათასზე მეტი წევრი ითვლებოდა.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიუროს და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავ იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ კომუნისტური ორგანიზაციები ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ბორჩალოს, დუშეთის, გორის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და აფხაზეთში. პარტიული უჯრედები აღმოცენდა საქართველოს რკინიგზელ მუშებში, წყლის ტრანსპორტის მუშებსა და მეთევზეებში, ზოგიერთ სამხედრო ნაწილში და სოფლებში. 1919 წლის ივნისში ჯავაში შემდგარმა პარტიულმა კონფერენციამ აირჩია რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაგზავნილი გამოცდილი კომუნისტებით სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბირთვის განმტკიცების მეოხებით სომხეთის კომუნისტებმა ფართოდ გააჩაღეს პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა მუშებსა და გლეხებში. განსაკუთრებით გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა ერევნის, ალექსანდროპოლის, ზანგეზურის, ნორ-ბაიაზეთის, შამშადინის, კარაკლისის, დილიჟანის, კაღიზმანის, იჯევანის და სხვა რაიონების კომუნისტურმა ორგანიზაციებმა. ყველაზე დიდი იყო ალექსანდრო-

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 80, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 4, ფურც. 111.

პოლის პარტიული ორგანიზაცია. 1919 წლის ივნისში არალეგალურ პარტიულ კონფერენციაზე ალექსანდროპოლის კომუნისტებმა თავიანთი კომიტეტი აირჩიეს. ახლად არჩეული კომიტეტის ხელმძღვანელობით იქმნებოდა პარტიული უჯრედები, ქალაქში მყარდებოდა კავშირი რევოლუციურ ჯარისკაცებთან და გლეხებთან. პარტიული უჯრედები აღმოცენდა ალექსანდროპოლის მაზრის სოფლებში.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენისაგან მშრომელ სომეხთა განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების იდეების გავრცელებისათვის დიდი მუშაობა გასწია ორგანიზაციამ, რომელიც თავის თავს უწოდებდა „სომხეთის კომუნისტურ პარტიას". იგი შეიქმნა 1918 წლის დასაწყისში, რომ ემუშავნა დასავლეთ სომხეთში და ლტოლვილ სომეხთა შორის რუსეთში. 1918 წლის გაზაფხულზე მან თბილისში დაიწყო გამოშვება თავის გაზეთ „კარმირ ორერისა" („წითელი დღეები"), ხოლო შემდეგ „კარმირ დროშაკისა" („წითელი დროშა"). ორივე გაზეთმა გარკვეული როლი შეასრულა მშრომელი სომხების დარაზმვაში ბოლშევიზმის იდეების გარშემო და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მხილებაში. 1919 წლის დეკემბერში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიზანშეწონილად ცნო ამ ორგანიზაციის არსებობა სომხეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მალე შეიქმნა მისი ცენტრალური კომიტეტი გ. აიკუნის, ვ. ერემიანის, გ. ტერ-მკრტჩიანის და ს. კასიანის შემადგენლობით.

„სომხეთის კომუნისტური პარტია" მონაწილეობას იღებდა კომინტერნის პირველ დამფუძნებელ კონგრესში. მაგრამ სომხეთის კომუნისტური პარტიის როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-პარტიული ერთეულის შექმნა ფაქტიურად ფორმალური აღმოჩნდა იმის გამო, რომ მისი საქმიანობის სფერო შეზღუდული იყო და მისი ხელმძღვანელი ორგანო მოწყვეტილი იყო ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

1919 წლის დამლევს — 1920 წლის დასაწყისში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, აგრეთვე სომხეთში მომუშავე ადგილობრივმა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა აქტიური საქმიანობა გააჩაღეს პარტიულ ძალთა გაერთიანებისათვის საერთო რესპუბლიკური პარტიული ცენტრის ხელმძღვანელობით. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სომხეთში გაგზავნა გამოცდილი პარტიული მუშაკები, რომლებიც ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციების გასაერთიანებლად ერთიანი ხელმძღვანელობით. 1919 წლის სექტემბერში ერევანში რკპ (ბ)

კავკასიის სამხარეო კომიტეტის ინიციატივით გაიმართა სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი არალეგალური თათბირი. თათბირმა განიხილა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა, მუშაობა ახალგაზრდობაში და სხვა საკითხები. მან მოუწოდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ დაშნაკური პარლამენტის არჩევნებისათვის.

თათბირმა განსაზღვრა კომუნისტური უჯრედებისა და ჯგუფების შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისა და გაერთიანების კონკრეტული ამოცანები. თათბირზე შეიქმნა სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრი — რკპ (ბ) სომხეთის კომიტეტი. სექტემბრის თათბირის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დაქსაქსული კომუნისტური ორგანიზაციები ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის გარშემო გააერთიანა.

რკპ (ბ) სომხეთის კომიტეტის შექმნის შემდეგ პარტიული მუშაობა სომხეთში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მისი ხელმძღვანელობით მუშათა და გლეხთა მასების გამოსვლები დაშნაკური რეჟიმის წინააღმდეგ უფრო ორგანიზებული და გადამწყვეტი გახდა. 1919 წლის ოქტომბერში მოწყობილ იქნა ალექსანდროპოლის, კარაკლისისა და სხვა ქალაქების რკინიგზელთა გაფიცვა, რომელიც დეკემბრამდე გაგრძელდა. გახშირდა გლეხთა გამოსვლები. მღელვარებამ დაშნაკთა არმიაც მოიცვა. დაშნაკთა 40-ათასიანი არმიიდან 1919 წლის ბოლოსათვის დეზერტირობდა 18 ათასი ჯარისკაცი. გაძლიერდა კომუნისტების გავლენა პროფკავშირულ ორგანიზაციებზე და შირაქის გლეხთა კავშირზე.

1920 წლის იანვარში ერევანში გაიმართა სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი არალეგალური კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 22 დელეგატმა, რომლებიც პარტიის 1200 წევრს წარმოადგენდნენ. კონფერენციამ განიხილა საკითხები პარტიის მიმდინარე მუშაობის და პოლიტიკური ხაზის შესახებ, პარტიის ორგანიზაციული აღნაგობის შესახებ, ახალგაზრდობასა და გლეხთა შორის, პროფკავშირებში მუშაობის შესახებ და სხვ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დაშნაკთა ძალაუფლების ძალდატანებითი რევოლუციური დამხობა სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა“[1].

კონფერენციამ გააერთიანა სომხეთის პარტიული ორგანიზაციები, რამაც ხელი შეუწყო რევოლუციური ძალების შეკავშირებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

---

[1] «Известия ЦК КП(б) Армении» № 1, 25 января 1922 г.

კონფერენციაზე არჩეულ იქნა რკპ (ბ) სომხეთის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ ს. ალავერდიანი, ა. გოგუნცი, გ. ღუკასიანი, ს. კასიანი, ა. მრავიანი, ა. კოსტანიანი, ა. ნურიჯანიანი, დ. ტერ-სიმონიანი, დ. შავერდოვი და ს. მართიკიანი.

სომხეთის ბევრ რაიონში შედგა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც განიხილავდნენ იანვრის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. მარტში გაიმართა ალექსანდროპოლის მაზრის, ხოლო აპრილში დილიჟანის მაზრის კომუნისტური ორგანიზაციების პარტიული კონფერენცია. კონფერენციები და თათბირები მოწვეულ იქნა აგრეთვე ზანგეზურში, შამშადინში, ყარსში, კამარლუსა და ხაჩქილისაში.

1919 წლის გაზაფხულის შუა ხანებში მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავიანთი რიგები და გააფართოეს მასებთან კავშირი აზერბაიჯანის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა.

ბაქოში შეიქმნა პარტიული მუშაკების — რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის და მისი ბაქოს ბიუროს წევრების მტკიცე ხელმძღვანელი ბირთვი: ი. ი. დოვლათოვი, ე. ა. კვანტალიანი, ა. ი. მიქოიანი, ვ. ი. ნანეიშვილი, გ. გ. სულთანოვი, ი. ნ. ჩიკარევი, ლ. დ. ღოღობერიძე, მ. ჯ. ჰუსეინოვი და სხვ.

აზერბაიჯანში რევოლუციური ბრძოლის სპეციფიკურმა პირობებმა განაპირობეს მისი კომუნისტური ორგანიზაციების თავისებური აღნაგობა. აქ მოქმედებდნენ რკპ (ბ) ბაქოს ორგანიზაცია, კომუნისტური ორგანიზაციები „ჰუმეთი“ და „ადალეთი“, რომლებიც იმ დროისათვის დიდ ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდნენ და ფორმალურად მუშაობდნენ როგორც დამოუკიდებელი პარტიული ერთეულები. ფაქტიურად კი ისინი იყვნენ რკპ (ბ) შემადგენელი ნაწილი და მოქმედებდნენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროსა და ბაქოს კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. კომუნისტური ორგანიზაცია „ჰუმეთი“ რკპ (ბ) ბაქოს კომიტეტისა და კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა მუსავატელთა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ულმობლად ამხილებდა მათი მთავრობის ანტიხალხურ არსს. მისმა საქმიანობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშრომელ აზერბაიჯანელთა აღზრდაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, მათს მობილიზაციასა და დარაზმვაში მუსავატური რეჟიმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად. 1919 წლის დამლევისათვის კომუნისტური ორგანიზა-

ცია „ჰუმეთის“ რიგები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. იგი იზრდებოდა ორგანიზაციულად და იდეურად. მისი ახალი ორგანიზაციები გაჩნდნენ ბაქოს მუშათა რაიონებში და აზერბაიჯანის მაზრებში.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიურო და ბაქოს კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევდნენ ყველა კომუნისტური, პროფკავშირული, ახალგაზრდული ორგანიზაციების, მუშათა კონფერენციების, მუშათა კლუბების მრავალმხრივ საქმიანობას, გაზეთებისა და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემას. ისინი სისტემატურად განიხილავდნენ საკითხებს მუსლიმანთა მასებში მუშაობის შესახებ, კომუნისტური ორგანიზაციების „ჰუმეთისა“ და „ადალეთის“ საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან მათი ურთიერთობის შესახებ.

სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს და იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიის, თურქესტანის პარტიულ ორგანიზაციებთან.

აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის კომუნისტებს სისტემატური კავშირი ჰქონდათ რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, ვ. ი. ლენინთან საბჭოთა ასტრახანის, ს. მ. კიროვის საშუალებით. ამ კავშირის შენარჩუნებასა და შეუფერხებლობას დიდად უწყობდა ხელს „განსაკუთრებული საზღვაო საექსპედიციო რაზმი“, რომელიც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ბაქოს კომიტეტმა 1919 წლის ზაფხულში შექმნეს. საექსპედიციო რაზმის ნავები და მოტორიანი კარჭაპი არალეგალურ რეისებს აკეთებდნენ ბაქოსა და ასტრახანს შუა. ასტრახანიდან ბაქოში გადაჰყავდათ პარტიული მუშაკები, იგზავნებოდა ლიტერატურა, იარაღი, ფული, ხოლო საბჭოთა რუსეთში მიჰქონდათ ნავთობპროდუქტები და მნიშვნელოვანი ცნობები აზერბაიჯანსა და ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. კავკასიის სამხარეო კომიტეტს არაერთხელ გაუგზავნია თავისი წარმომადგენლები თურქესტანში. 1919 წლის აგვისტოში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა აშხაბადის სამხედრო რევოლუციურ საბჭოში 12 კომუნისტი მიავლინა[1]. თავის მხრივ ბაქოში ჩამოდიოდნენ იმიერკასპიის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის, განსაკუთრებით დაღესტნის, კომუნისტებისა და მშრომე-

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 8041, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 10, ფურც. 467, 469.

ლების ბრძოლის ხელმძღვანელობას კავკასიის სამხარეო კომიტეტი ახორციელებდა უმთავრესად დაღესტნის საოლქო პარტიული კომიტეტის ბაქოს ბიუროს, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა თავდაცვის საბჭოს სექციის საშუალებით. მარტო 1919 წლის მეორე ნახევრის მანძილზე ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში გაიგზავნა ხუთასამდე პარტიული მუშაკი, წითელარმიელი და სხვა სპეციალისტი[1]. ბაქოდან დაღესტანში სისტემატურად გადაჰქონდათ იარაღი და საომარი მასალა, ბოლშევიკური გაზეთები და სხვა პოლიტიკური ლიტერატურა. 1919 წლის 25 ოქტომბერს ბაქოში დაიბეჭდა მოწოდება „დაღესტნის ყველა მშრომელს", რომლის სამი ათასი ცალი დაღესტნის საოლქო კომიტეტს გადაეცა[2]. 1920 წლის 27 იანვარს აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე გამოუშვეს ერთდღიური გაზეთი „ყირმიზი დაღესტან გიუნი" („წითელი დაღესტნის დღე").

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აზერბაიჯანის მაზრებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას, მათი საქმიანობის გაფართოებას მშრომელთა ფართო მასებში. ამ მიზნით 1919 წლის ზაფხულიდან აზერბაიჯანის შორეულ რაიონებსა და სოფლებში სულ უფრო ხშირად იგზავნებოდნენ პარტიული მუშაკები და დაიწყო პარტიული ლიტერატურის, ფულისა და სხვ. გაგზავნა. მაგალითად, 1919 წლის მაისიდან 1920 წლის იანვრამდე ბაქოდან აზერბაიჯანის სხვადასხვა მაზრებში მივლინებულ იქნა ასზე მეტი პარტიული მუშაკი, რომლებიც იქ დიდ მუშაობას ეწეოდნენ. ინსტრუქციების და სხვა დახმარების მისაღებად ბაქოში ხშირად ჩადიოდნენ სამაზრო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

აზერბაიჯანის მაზრებში ხშირად მიდიოდნენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ცალკეული წევრებიც. 1919 წლის სექტემბერში განჯაში გაიმართა პარტიული კონფერენცია ვ. ი. ნანეიშვილისა და გ. გ. სულთანოვის მონაწილეობით, რომელსაც 50-მდე კაცი დაესწრო. პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა და განიხილა ინფორმაცია ცენტრიდან, ანგარიში მუშაობის შესახებ და საორგანიზაციო საკითხი[3]. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი შემდეგ-

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 8041, აღწ. 1. დაცვ. ერთ. 64, ფურც. 51; დაც. ერთ. 12, ფურც. 95, 103, 105, 106.

2 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 8041, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 13, ფურც. 864.

3 მლი-ს ცპა, ფ. 124, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 1596. ფურც. 9.

შიც სისტემატურად უწევდა დახმარებას მუშაობაში განჯის პარტიულ ორგანიზაციას.

განჯის პარტიული ორგანიზაცია თავის წარმომადგენელთა საშუალებით ხელმძღვანელობას უწევდა გუბერნიის გლეხთა აჯანყებული რაზმების მოქმედებას. კარიაგინოს, ყაზახის, შუშის, ლენქორანისა და სხვა მაზრებში იქმნებოდა პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელი. მათ შორის განსაკუთრებით ძლიერი იყო ქედაბეკის ორგანიზაცია, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ქედაბეკის სპილენძის მაღაროთა მუშებს შორის.

გამოცდილების გაზიარების მიზნით რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ყველა სამაზრო პარტიულ ორგანიზაციას დაუგზავნა „რკპ (ბ) განჯის საოლქო ორგანიზაციის ინსტრუქცია"[1], რომელმაც დადებითი როლი შეასრულა მათი საქმიანობის გაძლიერებაში, მასების მობილიზაციაში საბჭოთა ხელისუფლების გასამარჯვებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ამ პერიოდში მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებიც ეხებოდა პარტიული კადრების მიზანშეწონილად გამოყენებას, შინაპარტიული დისციპლინის განმტკიცებას და სხვ.

სამოქალაქო ომის წლებში ამიერკავკასიის ბევრი კომუნისტი ცხოვრობდა და მუშაობდა ასტრახანში, მოსკოვში, პეტროგრადში, აგრეთვე დონბასში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ხარკოვსა და თურქესტანში. მათ შორის იყვნენ დ. ხ. ბუნიათზადე, შ. ზ. ელიავა, ვ. ერემიანი, ს. მ. ეფენდიევი, გ. ვარდანიანი, ნ. ბ. კარინიანი, ე. ა. კვანტალიანი, თ. გ. ჟღენტი, გ. მ. მუსაბეკოვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ბ. მ. სარდაროვი, გ. გ. სულთანოვი, ლ. ი. ქართველიშვილი და სხვ. ბევრი მათგანი ასრულებდა პასუხსაგებ პარტიულ დავალებებს, მსახურობდა წითელ არმიაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებასა და საბჭოთა რუსეთიდან მათთვის დახმარების ორგანიზაციაში.

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 276, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 81, ფურც. 1—2.

2. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბაიჯანში

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გულმოდგინე და მიზანსწრაფულ მუშაობას მოჰყვა ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება პარტიული ორგანიზაციებისა, რომელთა რიცხვი აზერბაიჯანში 1919 წლის დამლევიდან 1920 წლის დასაწყისისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა..

მუსავატური რეჟიმის დამხობისათვის რევოლუციურ ძალთა უშუალო მობილიზაციისა და მომზადების ამოცანები, ყველა ეროვნების კომუნისტთა დარაზმულობა, მაზრების პარტიული ორგანიზაციების წარმოქმნა, ხალხის ფართო ფენებზე მათი გავლენის გაძლიერება და აზერბაიჯანის გლეხობასთან ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატის უფრო მჭიდრო კავშირის საჭიროება დაბეჯითებით მოითხოვდნენ ყველა კომუნისტური ორგანიზაციების ერთიან აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიად ორგანიზაციულ გაფორმებას.

აზერბაიჯანის კომუნისტებს სხვადასხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის როგორც რკპ (ბ)-ის შემადგენელი ნაწილის შექმნის პრაქტიკული გზა. აზრთა ბრძოლაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის დახმარებით გამონახულ იქნა საკითხის გადაწყვეტის სწორი გზა.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი პრინციპულად ყოველთვის მხარს უჭერდა აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიების შექმნის იდეას. 1920 წლის დამდეგს კი ამ მიმართულებით გადადგმულ იქნა პრაქტიკული ნაბიჯები. 1920 წლის 3 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის მონაწილეობით სპეციალურად განიხილა საკითხი კავკასიაში პარტიული ორგანიზაციების შესახებ და მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ადგილობრივ შოვინიზმთან ბრძოლა და იმ ერთა შორის სოციალისტური რევოლუციის პროპაგანდის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომლებიც რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, საჭიროს ხდის, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ფაქტიურად ჩამოყალიბებულ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებში კომუნისტური ორგანიზაციები მუშაობდნენ როგორც დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიები. ორგანიზაციის ასეთი წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთში, რადგან აზიაში ან აზიის დასა-

წყისში მცხოვრები ხალხების ნდობის მოპოვება საბჭოთა რუსეთისა და რკპ-ის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს"[1].

ხელმძღვანელობდნენ რა რკპ (ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებებით აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესაქმნელად აღებული კურსის თანახმად აზერბაიჯანის კომუნისტებმა გადაწყვიტეს შეექმნათ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, რომელიც გააერთიანებდა ყველა კომუნისტს მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. მათ გააჩაღეს ენერგიული საქმიანობა აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების დამფუძნებელი ყრილობის მოსაწვევად.

აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა გაიმართა არალეგალურად 1920 წლის 11 და 12 თებერვალს ბაქოში, მუშათა კლუბის შენობაში[2]. ყრილობას დაესწრო 120-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც პარტიის 4 ათას წევრს წარმოადგენდნენ. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი. კავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან ყრილობას დაესწრნენ ა. მ. ნაზარეტიანი და გ. თ. სტურუა. ყრილობა გახსნა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრმა მ. ჯ. ჰუსეინოვმა.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, პროპაგანდის შესახებ, მიმდინარე მომენტი, ამიერკავკასიაში რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შესახებ, პოლიტიკური პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ განჯის, შამქორის, შემახის, სალიანის, ლენქორანის, გეოქჩაის, იაზახის, შუშის, ნუხის, კუბის, ჯევანშირის მაზრების, ზაქათალის ოლქის, განჯის რკინიგზის უბნის, კარიაგინოსა და დივიჩის უბნების, ხაჩმასის, პარტიის ბაქოს სამაზრო და საქალაქო კომიტეტების და ახალგაზრდობის კავშირის კომიტეტის წარმომადგენლები.

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილალის პარტარქივი, ფ. I, აღწ. 125, დაცვ. ერთ. I, ფურც. 13.

2 ყრილობის დელეგატი ვ. ი. ნანეიშვილი იგონებდა შემდეგში ყრილობის მუშაობის პირობებს და წერდა: „ყრილობის დელეგატები შეუმჩნეველად შევიდნენ მაყურებელთა დარბაზში. კარი დახურული იყო. ამავე დროს კარგად იყო ორგანიზებული ყრილობის დაცვა. მუშათა კლუბის გვერდით მდებარე ყველა ქუჩას იცავდნენ ჩვენი ამხანაგები, რომლებსაც პოლიციის ყველა მოძრაობა ყრილობის პრეზიდიუმისათვის უნდა შეეტყობინებინათ. პოლიცია მთელ ქალაქში დაძრწოდა და ყრილობას ვერ პოულობდა". (ვაზ. «Бакинский рабочий» № 34, 1930 წ. 11 თებერვალი).

ყრილობამ გაითვალისწინა მეტად დაძაბული ვითარება, მუსავატური მთავრობის მიერ ყრილობის გარეკვის ან მთელი მისი შემადგენლობის დაპატიმრების საფრთხე და პირველი საკითხის განხილვის შემდეგ აირჩია ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეეიდნენ: კ. ჯ. აღაზადე, ა. ბ. ბაირამოვი, დ. ხ. ბუნიათზადე, ი. ი. დოლათოვი, ვ. გ. ეგოროვი, ს. დ. იაკუბოვი, ა. ბ. იუსიფზადე, მ. ბ. კასუმოვი, ვ. ი. ნანეიშვილი, მ. გ. პლეშაკოვი, ნ. გ. პოლტორაცკი, ე. ი. როდიონოვი, გ. გ. სულთანოვი, ნ ი. ტიუხტენევი, ა. გ. ყარაევი, მ. ჯ. ჰუსეინოვი და სხვ. შექმნილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია.

მოისმინა და განიხილა რა მოხსენება საორგანიზაციო საკითხზე, ყრილობამ დაადგინა კომუნიზმისათვის ბრძოლის ერთიანობის ინტერესებისათვის საჭიროდ იქნას მიჩნეული ყველა კომუნისტური ორგანიზაციის გაერთიანება სახელწოდებით „აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)“, რომლის სათავეში უნდა იდგეს მორიგ ყრილობებზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი. ამასთან დაკავშირებით კომუნისტური ორგანიზაციების „ჰუმეთის“ და „ადალეთის“ დამოუკიდებლად არსებული ცენტრალური კომიტეტები ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათი ფუნქციები გადასცემოდა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს [1].

ყრილობამ დაადგინა „აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია გამოცხადდეს კავკასიის საერთო სამხარეო კომუნისტური ორგანიზაციის ნაწილად და კავკასიის სამხარეო კომიტეტი ჩათვალოს თავის ხელმძღვანელ ორგანოდ“[2].

ყრილობამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ პარტიის გავლენა ყველა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და პროფკავშირულ ორგანიზაციაში, შეექმნათ ახალი პარტიული უჯრედები საწარმოებში, დაწესებულებებსა და სოფლებში.

ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა მიმდინარე მომენტის საკითხის განხილვამ. ამ საკითხზე მიღებული რეზოლუცია აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად უსახავდა მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება. „აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ყრილობას, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — არსებუ-

---

1 ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად თებერვლის დამლევს — მარტის დასაწყისში ბაქოს ყველა რაიონში გაიმართა პარტიული კონფერენციები, რომლებმაც დაამთავრეს რკპ (ბ) ადგილობრივი ორგანიზაციების, „ჰუმეთისა“ და „ადალეთის“ გაერთიანება.

2 ეურნ. „ფუხარა ფიუზათი“ № 3, 1921 წ., გვ. 70.

ლი მთავრობის დასამხობად და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამყარებლად საჭიროდ მიაჩნია პრაქტიკულად მოამზადოს ისინი გამოსვლისათვის... აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ყველა მუშასა და გლეხს მოუწოდებს იბრძოლონ ხანებისა და ბეგების და ნაციონალისტურ-კაპიტალისტური ბატონობის დამხობისათვის, მთელ ამიერკავკასიაში მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და იმედი აქვს, რომ ამიერკავკასიის მუშები და გლეხები ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით ღირსეულად შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ დიად ისტორიულ მისიას"[1].

აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ პლენუმზე არჩეულ იქნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და პრეზიდიუმი. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა მ. ჰუსეინოვი.

პირველმა ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცხოვრებაში. მის გადაწყვეტილებებში ლაპარაკი იყო არა მარტო აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ამოცანებზე, არამედ მთელი ამიერკავკასის ბოლშევიკთა ამოცანებზეც. ყრილობის მთავარი შედეგი იყო აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ცენტრის — ცენტრალური კომიტეტის შექმნა. აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა მხურვალედ მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და გაიაზრეს მუშაობა მათი განხორციელებისათვის.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ისევე როგორც მთელი პარტია, შენდებოდა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, ამასთან რჩებოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, მისი საოლქო ორგანიზაციის უფლებებით. იგი როგორც აზერბაიჯანელი ხალხის მოწინავე ავანგარდი ჰარმონიულად ახამებდა აზერბაიჯანის მუშათა კლასის ეროვნულ და ინტერნაციონალურ ინტერესებს.

აკპ (ბ)-ის შექმნა სპობდა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ დაქსაქსულობას, ხელს უწყობდა მათი დარაზმულობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას.

ყრილობის შემდეგ აკპ (ბ) იზრდებოდა და მტკიცდებოდა როგორც რიცხობრივად, ისე ორგანიზაციულად. მნიშვნელოვნად გაძ-

---

1 ჟურნ. „ფუხარა ფიუზათი" № 3, 1921 წ., გვ. 70.

ლიერდა პირველადი, რაიონული და სამაზრო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. 1920 წლის თებერვლისა და მარტის განმავლობაში შეიქმნა აკპ (ბ) სამაზრო კომიტეტები ბაქოს, კუბის, ჯევათის, ლენქორანის, შემახის, განჯის, შამქორის, გეოქჩაის, კარიაგინოს, შუშის, ჯევანშირის, ნუხის, ზაქათალის და ყაზახის მაზრებში[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას მუსავატური მთავრობის დამხობისათვის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისათვის. შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბები, სამხედრო ორგანიზაციები ბაქოში და აზერბაიჯანის მაზრებში. ყალიბდებოდა საბრძოლო რაზმები, მუშათა რაზმეულები, რაიონებსა და მაზრებში ინიშნებოდნენ პოლიტიკური კომისრები, სამხედრო ორგანიზატორები. შეიქმნა ჯავშნიანი ავტომობილების რაზმი, აგრეთვე სარეწების დაცვის კომისია[2]. თითქმის მთელი პარტიული აქტივი შეიარაღებული იყო. მუშათა რაზმების, წითელგვარდიელების, კომუნისტების შეიარაღების საქმეს დიდი დახმარება გაუწიეს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის საზღვაო საექსპედიციო რაზმმა და კამოს რაზმმა, რომელმაც საბჭოთა რუსეთიდან 1919 წლის დამლევს ბაქოში ჩაიტანა იარაღი და საომარი მასალა. იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი იალქნიანი ნავებით გადმოზიდულ იქნა თურქესტანიდან.

ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა ანტიხალხურმა პოლიტიკამ და ამპერიალისტთა თარეშმა მძიმე კრიზისი გამოიწვია მხარის ეკონომიკაში და იგი სრულ კატასტროფამდე მიიყვანა, უმოქმედოდ იდგა ბევრი სამრეწველო საწარმო, სარეწი და მაღარო. განუწყვეტლივ ხდებოდა წარმოების შეკვეცა. იზრდებოდა უმუშევართა არმია. მხარის სოფლის მეურნეობა სრულ დაქვეითებამდე იქნა მიყვანილი. შემცირდა ნათესი ფართობები, ვენახები და ბაღები. შემცირდა პირუტყვის სულადობა. მოსახლეობის მშრომელი ფენები ულმობელ ექსპლოატაციას, ძალადობასა და ძარცვას განიცდიდნენ. საშინელმა სიძვირემ ძლიერ გააუარესა მშრომელთა ისედაც მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ლიკვიდირებულ იქნა მუშათა ყველა მონაპოვარი, რასაც მათ მიაღწიეს რევოლუციის წლებში, აკრძალულ იქნა მუშათა ორგანიზაციები. სასტიკ დევნას განიცდიდნენ ბოლშევიკები, რევოლუცი-

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 8041, აღწ. I, დაცვ. ერთ. 93, ფურც. 251; დაცვ. ერთ. 104, ფურც. 147—148.

2 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 8041, აღწ. 1, დაცვ. ერთ. 87, ფურც. 64, 199.

ურად განწყობილი მუშები და გლეხები. უკიდურესად გამწვავდა სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული წინააღმდეგობანი. იზრდებოდა ხალხის მასების უკმაყოფილება და აღშფოთება მენშევიკ, მუსავატელ და დაშნაკ მესვეურთა ანტიხალხური, გამცემლური პოლიტიკით.

1920 წლის გაზაფხულის დასაწყისში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მუსავატური რეჟიმის დასამხობად. წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლა ჩრდილოეთ კავკასიაში 1920 წლის მარტის დამლევს დამთავრდა დენიკინის ჯარების სრული განადგურებით. სამოქალაქო ომის მსვლელობაში დადგა ძირეული გარდატეხა საბჭოთა რესპუბლიკის სასარგებლოდ. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი განთავისუფლებულ იქნა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან. საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო მშვიდობიანი შესვენება, რომლის გამოყენება შეიძლებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

1920 წლის 29 მარტს — 5 აპრილს მოსკოვში გაიმართა რკპ (ბ) IX ყრილობა. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური გარდაქმნის ლენინურმა გეგმამ ხორცი შეისხა ყრილობის ვადაწყვეტილებებში. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხებს და დაადასტურა პარტიის აგების ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპი. რკპ (ბ) IX ყრილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში. მის გადაწყვეტილებებში განსაზღვრული იქნა საბჭოთა ეკონომიკის მშენებლობის უახლოესი ამოცანები.

1920 წლის აპრილის შუა რიცხვებში XI წითელი არმიის ნაწილებმა გაანადგურეს დენიკინის კონტრრევოლუციის ნაშთები და მიადგნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ საზღვრებს. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ კონტაქტი დაამყარეს XI წითელი არმიის სარდლობასთან და შეიმუშავეს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ერთობლივი ბრძოლის გეგმა.

ამ გეგმის შესაბამისად 1920 წლის 24 აპრილს აკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაუგზავნა ინსტრუქცია, რომელშიც დასახული იყო ღონისძიებანი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის[1].

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აკპ (ბ) ცენტრალური

---

1 მლ-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 276, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 77, ფურც. 20.

კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებით ბაქოს რაიონის მთელი პარტიული ორგანიზაცია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი. იმავე დღეს გამოვიდა აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „ნოვი მირის" არალეგალური ნომერი ლოზუნგებით: „ძირს ბეგებისა და ხანების მუსავატური მთავრობა! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს საბჭოთა დამოუკიდებელ წითელ აზერბაიჯანს!".

აკპ (ბ) ბაქოს კომიტეტის 25—26 აპრილის გადაწყვეტილებით რაიონული კომიტეტები და ყველა კომუნისტი გადავიდნენ რაიონული საბრძოლო შტაბების სრულ განკარგულებაში"[1].

აკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი, რომელიც შეიცავდა მოწოდებას უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისადმი, მუსავატური მთავრობის დამხობისადმი და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი. 27 აპრილის დილისათვის მუშათა შეიარაღებული რაზმები სავსებით მზად იყვნენ საბრძოლველად. კასპიის სამხედრო. ფლოტილიის ხომალდები კომუნისტების წინამძღოლობით რეიდზე გავიდნენ და თავისი ქვემეხები მუსავატური მთავრობისა და პარლამენტის შენობას დაუმიზნეს. აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს და ცენტრალური მუშათა კონფერენციის სახელით კომუნისტების დელეგაციამ გ. გ. სულთანოვის მეთაურობით მუსავატურ მთავრობას და პარლამენტს გადასცა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა პარლამენტის დათხოვნასა და ძალაუფლების ჩაბარებას. პარლამენტმა ხმის უმრავლესობით (სამმა თავი შეიკავა) მიიღო კომუნისტური პარტიის პირობები და გადაწყვიტა აზერბაიჯანელი კომუნისტებისათვის ჩაებარებინა ძალაუფლება. სანამ პარლამენტი ულტიმატუმს განიხილავდა, რევოლუციურმა რაზმებმა დალამებამდე უკვე დაიკავეს მთავრობის ყველა შენობა და ქალაქის უმნიშვნელოვანესი პუნქტები.

ამრიგად 27 აპრილის ღამეს აზერბაიჯანში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში მოხდა ისტორიული მოვლენა — გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

შექმნილმა დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ნ. ნ. ნარიმანოვი (თავმჯდომარე), ა. ა. ალიმოვი, დ. ხ. ბუნიათზადე, გ. ვ. მუსაბეკოვი, გ. გ. სულთა-

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 275, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 77, ფურც. 17—18.

ნოვი, ა. გ. ყარაევი და მ. ჯ. ჰუსეინოვი, დაუყოვნებლივ მიმართა რადიოთი საბჭოთა რუსეთის მთავრობას, ვ. ი. ლენინს და სთხოვა სამხედრო დახმარება.

ეს დახმარება მათ დაუყოვნებლივ გაუწიეს XI წითელი არმიის ნაწილებმა. 28 აპრილს დილით ბაქოში შევიდა ჯავშნოსანი მატარებელი „III ინტერნაციონალი". მ. გ. ეფრემოვის სარდლობით. მას ჩამოჰყვნენ ა. ი. მიქოიანი, გ. მ. მუსაბეკოვი, გ. პ. ჯაბიევი და სხვა პარტიული მოღვაწეები. 30 აპრილს XI წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ბაქოში ჩავიდნენ ს. მ. კიროვი, გ. კ. ორჯონიკიძე და XI არმიის სარდალი მ. კ. ლევანდოვსკი, რომლებსაც ქალაქის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

1920 წლის 29 აპრილს განჯის რევოლუციური კომიტეტის მოთხოვნით გუბერნატორმა ხელი მოაწერა აქტს მთელ გუბერნიაში ძალაუფლების ჩაბარების შესახებ. ყაზახის, კარიაგინოს, ზაქათალის და მთელ რიგ სხვა რაიონებში ძალაუფლება უკვე კომუნისტების ხელში იყო.

მაისის პირველი ნახევრის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება თითქმის მთელ აზერბაიჯანში დამყარდა.

28 აპრილს დროებითი რევოლუციური კომიტეტის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭო ნ. ნ. ნარიმანოვის მეთაურობით.

გ. კ. ორჯონიკიძემ და ს. მ. კიროვმა 1920 წლის 4 მაისს რადიოთი გადასცეს ვ. ი. ლენინს: „გამოცხადდა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა... მოსახლეობის, განსაკუთრებით მუსლიმანთა და მუშების, ენთუზიაზმი ენით აუწერელია, შეიძლება შეედაროს მხოლოდ ოქტომბრის ენთუზიაზმს პეტერბურგში..."[1].

1920 წლის 5 მაისს ვ. ი. ლენინმა რსფსრ სახკომსაბჭოს სახელით აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობას შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „სახკომსაბჭო მიესალმება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მშრომელი მასების განთავისუფლებას და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ თავისი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრ-სთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსისხლე მტრისაგან — იმპერიალიზმისაგან.

---

[1] მლი-ს ცპა, ფ. 85, აღწ. 13, დაცვ. ერთ. 12, ფურც. 1—3.

გაუმარჯოს აზერბაიჯანის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბ-
ლიკას!

გაუმარჯოს აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს"[1].

დიდი ბელადის დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით ბაქოში იმ დღეებში სადღესასწაულო ვითარება სუფევდა. 9 მაისს მთელი ქალაქი მორთული იყო ალმებით, ხოლო აზერბაიჯანის სსრ სახკომ-საბჭოს შენობის აივანზე გამოკიდული იყო დიდი ალისფერი პლა-კატი ვ. ი. ლენინის დეპეშის ტექსტით აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ეს დღე აზერბაიჯანის მშრომელებმა აღიქვეს როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის აღიარე-ბის დღე.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ აზერბაი-ჯანელ ხალხს ნამდვილი სოციალური და ეროვნული თავისუფლება მოუტანა და კომუნიზმის ნათელი ერა გადაუშალა.

3. რევოლუციური აღმავლობა საქართველოსა და სომხეთში. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შექმნა და საქმიანობა. საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული გაფორმება

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მძლავრი გამოძახილი ჰპოვა საქართველოსა და სომხეთში. მან მშრომელთა დიდი რევოლუციური ენთუზიაზმი გამოიწვია და აღაფრთოვანა ისინი მენშევიკებისა და დაშნაკების ბატონობის წინააღმდეგ საბრ-ძოლველად.

1920 წლის 1 მაისს საქართველოსა და სომხეთის მშრომელებ-მა კომუნისტების მეთაურობით მძლავრი დემონსტრაციები და მი-ტინგები მოაწყეს. დემონსტრანტები თბილისში, ბათუმში, ალექ-სანდროპოლში, ერევანში გამოვიდნენ ქუჩებში წითელი დროშე-ბით, მარქსისა და ლენინის პორტრეტებით. დემონსტრაციები მი-დიოდნენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!", „გაუმარ-ჯოს საბჭოთა სომხეთს!" „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!", „ძირს ახლანდელი მთავრობა!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!". საპირველმაისო დემონსტრაციაში ბათუმში მონაწილეობა მიიღო 20

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 152.

ათასამდე კაცმა[1]. ალექსანდროპოლში ბუშათა მიტინგმა მიიღო მისასალმებელი დეპეშა აზერბაიჯანის რევკომისადმი.

საპირველმაისო გამოსვლებმა დაბნეულობა გამოიწვია მენშევიკების, დაშნაკებისა და მათი მფარველების —, უცხოელი ინტერვენტების მმართველ წრეებში. მენშევიკურმა მთავრობამ ყველა საშუალება გამოიყენა, რომ გაენადგურებინა საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში. დემონსტრანტებს სასტიკად სცემეს, ბევრი დააპატიმრეს. 12 კომუნისტი დახვრიტეს. ქუთაისში დააპატიმრეს მ. გ. ცხაკაია. დაპატიმრებული თბილისელი კომუნისტები ქუთაისის საპყრობილეში გაგზავნეს. 1920 წლის 8—10 მაისს ინგლისელმა ოკუპანტებმა დააპატიმრეს ბათუმის საპირველმაისო დემონსტრაციის 18 აქტიური ორგანიზატორი და გაგზავნეს კონსტანტინოპოლში ინგლისის საპყრობილე ჰაფრისონ-ჰელსში.

პოლიტიკური საპირველმაისო დემონსტრაციები საქართველოსა და სომხეთში შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. თბილისში 1920 წლის 2 მაისს აჯანყების სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა კომუნისტების გავლენაში მყოფ სამხედრო ნაწილებს დავალება მისცა დაეკავებინათ ქალაქის უმნიშვნელოვანესი პუნქტები — ბანკები, არსენალი, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიოსადგური და მთავრობის დაწესებულებები და დეპატიმრებინათ მთავრობის წევრები[2]. მაგრამ შეიარაღებული გამოსვლა თბილისში სუსტად იყო ორგანიზებული და მარცხი განიცადა.

შეიარაღებული გამოსვლა მოხდა სამხრეთ ოსეთში, იგი თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. 1920 წლის 8 ივნისს აჯანყებულებმა, რომლებსაც რევოლუციური კომიტეტი ხელმძღვანელობდა, მთელ სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. მენშევიკმა ხელისუფლებმა აჯანყებული გლეხების წინაღმდეგ დიდი შეიარაღებული ძალები გამოიყვანეს. ასზე მეტი სოფელი მთლიანად გადაწვეს. ტყვედ ჩავარდნილი აჯანყებულები დახვრიტეს. 20 ათასამდე ოსი გლეხი, დამსჯელი რაზმის შიშით, იძულებული გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში წასულიყო.

შეიარაღებული აჯანყება მოედო თითქმის მთელ სომხეთს. აჯანყების ცენტრი გახდა ალექსანდროპოლი, სადაც 7 მაისს გაიმართა სომხეთის კომიტეტისა და ალექსანდროპოლის, ყარსის, სარიყამიშის, ყარაკლისის, დილიჟანის კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. ამ თათბირზე განხილულ იქნა შეიარა-

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 85, აღწ. 18, დაც. ერთ. 39, ფურც. 3.

2 მლი-ს ცპა. ფ. 64, აღწ. 2, დაც. ერთ. 21, ფურც. 16.

ღებული აჯანყების საკითხი და შეიქმნა სომხეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ს. მუსაელიანის, ა. ნურიჯანიანის, ა. მელქონიანის, დ. ტერ-სიმონიანის, ა. გოგუნცის, პ. პეტროსიანის, გ. სარქისიანის, ა. ტერ-სააკიანისა და ლ. ულიბეკიანის შემადგენლობით.

შეიარაღებული აჯანყება დაიწყო 10 მაისს ალექსანდროპოლში. მიმართვაში, რომელიც ამავე დღეს მიიღო სომხეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, ნათქვამი იყო: „პროლეტარიატის, უღარიბესი გლეხობის, მუშებისა და წითელი ჯარის ნებით სომხეთის კომუნისტური პარტიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკაში აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას"[1].

ალექსანდროპოლელთა ერთდროულად მშრომელნი აჯანყდნენ ყარსსა და ქავთარლუში. ჯალ შეიარაღებული აჯანყება მოედო თითქმის მთელ სომხეთს — სარიყამიშს, შამშადინს, ნორ-ბაიაზეთს, დილიჟანს, სისიანს. ამერიკის მისიამ დატოვა სომხეთი. ხატიროვის დაშნაკური მთავრობა გადადგა. იგი შეცვალა ახალმა მთავრობამ დაშნაკური პარტიის ლიდერის ა. ოგანჯანიანის მეთაურობით, რომელმაც აჯანყების ჩასახშობად საგანგებო რწმუნებები მიიღო. პარლამენტი დათხოვნილ იქნა, მისი წევრები ადგილებზე წავიდნენ აჯანყების ჩაქრობის სახელმძღვანელოდ. შეიქმნა „საგანგებო სასამართლოები" და შემოღებულ იქნა სიკვდილით დასჯა. კომპარტია კანონგარეშე გამოცხადდა. მთელი კონტრრევოლუციური ძალები გაერთიანდნენ აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ.

მიუხედავად სომხეთის მებრძოლი მუშებისა და გლეხების გმირობისა და მამაცობისა, აჯანყება ჩაქრობილ იქნა, მაისის აჯანყების ხელმძღვანელები და ბევრი მონაწილე დაშნაკთა თეთრი ტერორის მსხვერპლი გახდნენ. გმირული სიკვდილით დაეცნენ ს. ალავერდიანი, ს. მუსაელიანი, ბ. ღარიბჯანიანი, გ. ღუკასიანი, პ. კუხმალაიკინი, ო. სარუხანიანი, ვ. ალექსეევი, მ. მაშურიანი, პ. მატიჩკო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის სხვა სახელოვანი მებრძოლნი.

მაისის შეიარაღებული აჯანყება საქართველოსა და სომხეთში დამარცხდა კონტრრევოლუციის ძალების რიცხობრივი უპირატესობის გამო, რომლებსაც დასავლეთის იმპერიალისტები დაეხმარნენ, გლეხთა მასების არაორგანიზებულობის; აჯანყებულთა თავდაცვითი ტაქტიკის, რევოლუციური ძალების დაქსაქსულობისა და გათიშულობის, პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტის გამო.

---

[1] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, стр. 330.

1920 წლის გაზაფხულის რთულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს მთავრობებს შორის წარმოებდა საზავო მოლაპარაკება, რაც დამთავრდა იმით რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება და დამყარდა მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა. საბჭოთა მთავრობამ საქართველოში თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად ს. მ. კიროვი დანიშნა.

საქართველოს მენშევიკი ლიდერები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საბჭოთა რუსეთის მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტისათვის. ვ. ი. ლენინმა 1920 წლის 6 დეკემბერს მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე თქვა: „ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში წერდა: „დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთი". ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო მხრივ სუსტნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: „ძირს ბოლშევიკებიო". როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ყვიროდნენ: „ჩვენ ნეიტრალურნი ვართო". როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: „დიახ, აქ ორი ძალაა"[1].

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადებამ საგრძნობლად შეარყია ანტანტის ქვეყნების პოზიციები საქართველოში. მენშევიკური მთავრობა ერთხანს თავს იკავებდა საბჭოთა რუსეთის მიმართ აშკარად მტრული პოლიტიკისაგან და „მოლოდინის პოლიტიკის" გზას დაადგა.

საზავო ხელშეკრულებით მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება იკისრა მიეცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისათვის „თავისუფლად არსებობისა და მოღვაწეობის უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის პრესის ორგანოების) უფლება"[2]. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ აღედგინათ თავიანთი ძალები და გაეჩაღებინათ რევოლუციური მუშაობა მასებში. ხელშეკრულების დადების შემდეგ პირველ დღეებში მენშევიკურმა ხელისუფლებმა საპყრობილიდან გაათავისუფლეს 900-მდე კომუნისტი"[3].

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ, სომხეთსა და საქართველოში მაისის შეიარაღებულმა ბრძოლამ, აგრეთვე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 555.

[2] Российская Социалистическая Федеративная Советская Республика и Грузинская демократическая республика, Тифлис, 1922, стр. 16.

[3] მლი-ს ცპა, ფ. 2, აღწ., 1, დაცვ. ერთ. 14739, ფურც. 2.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულების დადებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა მხარის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაში. საჭირო იყო ახალი ვითარების შესაბამისად ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის სწორი ხაზის გამომუშავება.

ამიერკავკასიის კომუნისტებს მოეშველა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა დირექტივები, რომლებიც გადაეცა გ. კ. ორჯონიკიძეს. მათ გაეცნენ საქართველოსა და სომხეთის პარტიული ორგანიზაციები. დირექტივები შეიცავდა მითითებას, რომ მიზანშეწონილი იყო კავკასიის სამხარეო კომიტეტის დათხოვნა და საქართველოსა და სომხეთის კომპარტიების შექმნა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად საქართველოსა და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში თავი შეიკავეს შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაგან. დირექტივებში ხაზგასმული იყო, რომ თუ მენშევიკური მთავრობა დახმარებისათვის მიმართავდა საბჭოთა ჯარებს ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ, რომლებსაც ჯერ კიდევ ეკავათ თავიანთ ხელში ბათუმი, ასეთი დახმარება შეიძლებოდა გასწეოდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა პარტიულ ორგანიზაციებს მთელი თავიანთი ღონისძიებები წარემართათ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე კავკასიის სამხარეო კომიტეტი დათხოვნილ იქნა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიუროების შექმნის შესახებ[1] პარტიის IX ყრილობის დადგენილების შესაბამისად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1920 წლის 8 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შექმნის შესახებ და დაამტკიცა მისი შემადგენლობა. ბიუროში შევიდნენ ს. მ. კიროვი, გ. კ. ორჯონიკიძე[2]. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ფაქტიურად ოთხი თვის განმავლობაში კავკასიის ბიუროს არ ჰქონია თავისი ორგანიზაციული აპარატი და მუდმივი ადგილსამყოფელი, და მთელ მის მუშაობას ფაქტიურად მისი ცალკეული წევრები ეწეოდნენ. ამ დროს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის პარტიული ორგანიზაციების აღდგენასა და განმტკიცებას, იქ პირველ სოციალისტურ

---

1 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 641.

2 მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 30, ფურც. 1.

ღონისძიებათა განხორციელებას. იგი აგრეთვე კავშირს აწყობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებთან. ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ საკითხებზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროში უმთავრესად გ. კ. ორჯონიკიძე მუშაობდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებთან კავკასიის ბიუროს კავშირი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კავკასიის ბიუროს წინაშე დადგა ამიერკავკასიაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამხედრო მუშაობის ახალი ამოცანები. ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მუშაობა გარდაიქმნა. 1920 წლის 3 აგვისტოს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმი, რომელზეც არჩეულ იქნა კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმი გ. კ. ორჯონიკიძის, ე. დ. სტასოვას, ა. გ. ბელობოროდოვის, ა. მ. ნაზარეტიანის, პ. გ. მდივნის შემადგენლობით. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივნად დამტკიცებულ იქნა ა. მ. ნაზარეტიანი. პლენუმმა დაადგინა, რომ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და დონს, წყვეტდა არმავირის სამეული, ხოლო ამიერკავკასიის საკითხებს — ბაქოს სამეული[1].

ბაქოს სამეული, რომელსაც სათავეში ედგა გ. კ. ორჯონიკიძე, დიდ და მნიშვნელოვან პარტიულ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიაში. მთელი მისი საქმიანობა მიმართული იყო აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და მათ შორის მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ.

მაისის აჯანყების ჩახშობის შემდეგ სომხეთის კომუნისტური ორგანიზაცია ღრმა იატაკქვეშეთში წავიდა და მძიმე პირობებში განაგრძობდა თავის საქმიანობას. სომხეთის კომიტეტი 1920 წლის მაისში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სწერდა: „პარტიის მუშაობა აქ არ შეწყვეტილა, ამხანაგებს ყოველდღე ეძლევათ ინსტრუქციები... არჩეულია საქალაქო ბიურო, რომელსაც დროებით დაეკისრა ქალაქკომის ფუნქციები. ბიუროს თითქმის ყოველდღე აქვს სხდომები, შექმნილია „წითელი ჯვარი", რომელიც დაკავშირებულია პატიმრებთან. ხდება რაიონებთან კავშირის აღდგენა იმ მიზნით, რომ აღდგენილ იქნას ორგანიზაციები ადგილებზე. ორგანიზაციების აღსადგენად ამხანაგები გავგზავნეთ იგდირში,

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 64, აღწ. 2, დაცვ. ერთ. I, ფურც. 2.

დილიჟანში, ვგზავნით ყარაკლისშიც. რაიონებისათვის თავისუფალი ამხანაგები ცოტაა"[1].

სომხეთში პარტიული მუშაობის გაშლაში დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნა სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციის საზღვარგარეთის ბიურო. იგი თავდაპირველად თბილისში მუშაობდა, შემდეგ კი ბაქოში[2].

1920 წლის მაისში შეიქმნა და ორგანიზაციულად გაფორმდა საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) და შეიქმნა მისი დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

მაისის ბოლოს თბილისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია საქალაქო, სამაზრო და საგუბერნიო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი ახალ პირობებთან შეფარდებით ბრძოლის ტაქტიკის შესამუშავებლად. თათბირმა განიხილა მოხსენებები ადგილებიდან მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმა საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკას, წითელი არმიის გამარჯვებებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. „ახალი პირობების გამო, რომლებშიც უხდება ჩვენს პარტიას ბრძოლის გაგრძელება, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინოთ ლეგალური პარტიული ორგანიზაციები, ძლიერნი არა მარტო წევრთა რიცხვით, არამედ უმთავრესად რკინისებური დისციპლინით, განსაკუთრებული შინაგანი სიმტკიცით... ყველგან უნდა წამოვაყენოთ და დავიცვათ მშრომელთა რევოლუციური უფლებები, იდეები საბჭოთა ხელისუფლებისა, რევოლუციური სოციალიზმისა, კომუნიზმისა, ძმური სოლიდარობისა და მჭიდრო კავშირისა ყველა მეზობელი ხალხის მშრომელებთან და განსაკუთრებით მუშურ-გლეხურ რუსეთთან, რომელმაც განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა"[3].

რამდენადმე უფრო გვიან, 1920 წლის ივნისში, ორგანიზაციულად გაფორმდა სომხეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). ივლისში კავკასიის ბიუროს ბაქოს სამეულის სხდომაზე, სადაც ესწრებოდნენ ს. მ. კიროვი, ე. დ. სტასოვა, შ. ზ. ელიავა, ბ. ლეგ-

---

1 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 33, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 850, ფურც. 150.

2 საზღვარგარეთის ბიუროში შედიოდნენ ა. ბეკზადიანი, ა. მრავიანი, ს. კასიანი, დ. შავერდიანი, ო. პოღოსიანი, ს. ტერ-გაბრიელიანი, ი. დოვლათოვი, ა. კოსტანიანი, დ. ტერ-სიმონიანი და სხვ. (მლი-ს ცპა, ფ. 64, აღწ. 2, დაცვ. ერთ. I, ფურც. 14).

3 გაზ. „კომუნისტი", № 1, 1920 წ. 3 ივნისი.

რანი, ბელა კუნი, განხილულ იქნა საკითხი „სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შესახებ". სხდომაზე შეიქმნა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ. ი. დოვლათოვი, ა. კოსტანიანი, ა. ნურიჯანიანი (ავისი), ს. ტერ-გაბრიელიანი, ა. ხანჯიანი (ალასი). კანდიდატებად დამტკიცებულ იქნენ შ. ამირხანოვი, ვ. შახგელდიანი[1]. კავკასიის ბიუროს ბაქოს სამეულის დადგენილებით ყველა იმ საქმის გადაწყვეტა, რომლებიც სომხეთში მუშაობას ეხებოდა, მიენდო ერთობლივად კავკასიის ბიუროს და ი. დოვლათოვს, ავისსა და კოსტანიანს[2].

1920 წლის 30 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულმა ბიურომ სპეციალური დადგენილებით დაამტკიცა აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში კომუნისტური პარტიების შექმნა, მათთვის საოლქო ორგანიზაციების უფლებათა მინიჭებით და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსადმი მათი დაქვემდებარებით. თვითეულ ამ პარტიულ ორგანიზაციას უნდა ეწარმოებინა მუშაობა იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ მოსახლეობაში, სადაც იგი მოქმედებდა, განურჩევლად ეროვნული შემადგენლობისა[3].

კომუნისტური პარტიები აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, რომლებიც რკპ (ბ) შემადგენელი ნაწილები იყვნენ და რომლებსაც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მისი კავკასიის ბიურო ხელმძღვანელობდნენ, სისტემატურად აბარებდნენ მათ ანგარიშს.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა კავკასიის საქმეს, პარტიული და სამხედრო მუშაკებისაგან მოითხოვდა საჭირო სიფრთხილე გამოეჩინათ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისას, სასტიკად დაეცვათ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები, დირექტივები და ინსტრუქციები. 1920 წლის 22 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება „პოლიტიკის შესახებ კავკასიაში". მასში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლეოდა „სავსებით ზუსტად ჩამოეყალიბებინა ინსტრუქცია აღმოსავ-

---

[1] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, стр. 383.

[2] იქვე.

[3] ᲐᲖᲠ-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. 1, აღწ. 125. დაცვ. ერთ. 23, ფურც. 2.

ლეთში მყოფი ყველაზე პასუხისმგებელი ჩვენი მუშაკებისათვის პოლიტბიუროს დღემდე არსებული დადგენილებებისა და მათგან გამომდინარე დასკვნების საფუძველზე. დაევალოს სამხედრო უწყებას ეს ინსტრუქცია პოლიტბიუროს მიერ მისი მოწონების შესახებ სახელმძღვანელოდ მისცეს ყველა პასუხისმგებელ სამხედრო მუშაკს გაფრთხილებით, რომ ისინი ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავიანთი მოქმედება უსასტიკესად შეუფარდონ ამ მითითებებს. ასეთივე მითითებანი მიეცეს ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ყველა წევრს"[1].

ინსტრუქცია დამტკიცებულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1920 წლის 7 ივლისის სხდომაზე. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული იმის აუცილებლობა, რომ განუხრელად შეესრულებინათ „ყველა დეტალი" იმ ხელშეკრულებისა, რომელიც რსფს რესპუბლიკამ დადო საქართველოს მთავრობასთან. „საქართველოსთან ხელშეკრულების საფუძველზე, — მითითებული იყო ინსტრუქციაში, — საბჭოთა პოლიტიკის მისწრაფება იქნება მიაღწიოს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიიდან მოშორებულ იქნენ ინგლისელთა და სხვა უცხო ჯარები, არ იქნას იქ დაშვებული თეთრგვარდიელთა რაზმების შექმნა და დაუბრუნდეს რუსეთს დენიკინის ბანდების ნაშთები და მათი საჭურველი"[2].

საქართველოსა და სომხეთის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, ახალი ენერგიით შეუდგნენ თავიანთი რიგების ორგანიზაციულ და იდეურ განმტკიცებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია; პარტიული უჯრედების შესაქმნელად ადგილებზე სხვადასხვა ქალაქში მიავლინა პროპაგანდისტები და ორგანიზატორები, გააძლიერა ხელმძღვანელობა პროფესიული კავშირებისა და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას.

1920 წლის აგვისტოში განახლებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაც დაამტკიცა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ. მასში შევიდნენ: მ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე, ი. სტურუა, ს. თოდრია, მარიამ ორახელაშვილი, ა. მიქაძე; კანდიდატებად: ვ. ვაშა-

---

[1] ამლი-ს ცპა, ფ. 17. აღწ. 3, დაცვ. ერთ. 90, ფურც. 4.

[2] იქვე, დაცვ. ერთ. 94, ფურც. 6.

კიძე, პ. საბაშვილი[1]. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსთან შექმნილიყო ჯგუფი სამი ამხანაგისაგან, რომლებსაც უნდა ემუშავნათ საქართველოს კომპარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე[2]. მალე ამ გადაწყვეტილების საფუძველზე კავკასიის ბიუროსთან შეიქმნა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურო[3].

სომხეთის კომპარტიის შექმნის შემდეგ 1918 წლის დამდეგს შექმნილმა „სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ" (გ. აიკუნის ჯგუფი) არსებობა შეწყვიტა. მისი წევრები, რომლებიც სომხეთის ტერიტორიაზე მუშაობდნენ, როგორც რკპ (ბ)წევრები, მექანიკურად შეეიდნენ სომხეთის კომუნისტურ პარტიაში.

1920 წლის აგვისტოში რკპ ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ თავის რწმუნებულად სომხეთში დანიშნა ს. ტერ-გაბრიელიანი, რომელსაც დაევალა მთელი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შექმნამდე.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1920 წლის 10 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად წარადგინა სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა. იმავე დღეს ბაქოში გაიხსნა სომხეთის საზღვარგარეთის კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 50 დელეგატი, განიხილა კომუნისტური ორგანიზაციების საარსებო სადღეისო საკითხები და ამოცანები.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულმა ბიურომ 1920 წლის 1 ოქტომბერს კავკასიის ბიუროს წინადადებით დაამტკიცა სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცკ-ის საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობა. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში დამტკიცებულ იქნენ: ი. დოვლათოვი, ა. კოსტანიანი, ა. ნურიჯანიანი, ა. ხანჯიანი. კანდიდატები იყვნენ შ. ამირხანოვი, კ. შახგელდიანი. სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში 11 ნოემბერს დამატებით შეყვანილ იქნენ: ს. კასიანი, ა. ბეკზადიანი და ს. ტერ-გაბრიელიანი.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო სისტე-

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 64, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 1, ფურც. 14.

2 მლი-ს ცპა, ფ. 8, აღწ. 4, დაცვ. ერთ. 98, ფურც. 67.

3 მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 12, დაცვ. ერთ. 203, ფურც. 1.

მატურად მუშაობდა საქართველოს კომპარტიის განსამტკიცებლად. 1920 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დასახმარებლად გამოყოფილ იქნა სამი ხელმძღვანელი მუშაკი.

საქართველოს და სომხეთის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდასაქმნელად კავკასიის ბიუროს მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მათი საქმიანობის მნიშვნელოვნად გაძლიერებას. აღდგენილ იქნა მაისის აჯანყების დროს განადგურებული პარტიული ორგანიზაციები. მთელ რიგ მაზრებში მოხერხდა ჩაეტარებინათ პარტიული კონფერენციები, რომლებმაც დასახეს ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული ამოცანები. 28 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც განიხილა მიმდინარე მომენტის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ამიერკავკასიის კომუნისტები რაზმავდნენ მთელ თავიანთ ძალებს მთელ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის, ამასთან ერთად ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ პარტიის უდიდეს მუშაობაში, რომელიც ამ წლებში წარმოებდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობის განსამტკიცებლად, მათს შეკავშირებაში დიდი ოქტომბრის რევოლუციური ლოზუნგებით.

ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ამიერკავკასიის კომუნისტების დიდი როლი აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების პროპაგანდაში. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწეები რ. ა. ახუნდოვი, ს. ი. თოდრია, ფ. ე. მახარაძე, ა. ს. ნურიჯანიანი, ა. მ. ნაზარეტიანი, მ. გ. ცხაკაია, და სხვები 1920 წლის ივლის — აგვისტოში მოსკოვში გამართული კომინტერნის მეორე კონგრესის დელეგატები იყვნენ. მ. გ. ცხაკაია არჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის წევრად.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რა აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1920 წლის სექტემბერში ბაქოში მოეწვია აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა. ჯერ კიდევ 1920 წლის 18 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა: „პრინციპში მოწონებულ იქნას ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მოწვევა მე-3 ინტერნაციონალის მიერ, ამ საკითხზე შეკითხვა მიეცეს ამხანაგებს ნარიმანოვსა და სტალინს. მიღებული პასუხი განხილულ იქნას პოლიტბიურო-

ზე"[1]. 29 ივნისს პოლიტბიურომ ხელმეორედ განიხილა ეს საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა ბიურო, რომელიც მოაწყობდა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას ბაქოში[2].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, ასრულებდა რა პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას, დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მოსაწვევად. 1920 წლის 21 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა გადაწყვიტა ყრილობამდე მოეწვია კავკასიის ბიუროს თათბირი აკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და ბაქოს კომიტეტთან, თურქესტანის წარმომადგენლებთან ერთად წინასწარი მუშაობის ორგანიზაციისათვის[3]. კავკასიის ბიუროს ბაქოს სამეულმა გ. კ. ორჯონიკიძის მეთაურობით განახორციელა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ბაქოში ყრილობის მოსაწვევად.

„აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს ყრილობა", როგორც მას ვ. ი. ლენინი უწოდებდა, გაიმართა 1920 წლის 1—7 სექტემბერს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ბაქოში ჩამოვიდა 1891 დელეგატი — კავკასიის, შუა აზიის, ავღანეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ირანის, ჩინეთის, კორეის, სირიის, თურქეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების 37 ეროვნების წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატთა ორ მესამედს კომუნისტები შეადგენდნენ. ამიტომ ვ. ი. ლენინი ყრილობას აგრეთვე „კომუნისტურს" უწოდებდა.

აღმოსავლეთის ქვეყნების დელეგატებს გარდა, ყრილობას ესწრებოდნენ ევროპისა და ამერიკის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებიც — ბელა კუნი (უნგრეთი), თომას კველჩუ (ინგლისი), ჯონ რიდი (აშშ) და სხვ.

ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობისა და აღმოსავლეთის მშრომელ ხალხთა ამოცანების შესახებ, ეროვნულ-კოლონიური, აგრარული, აღმოსავლეთის ქვეყნებში საბჭოების შესახებ და სხვები.

აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობა შეუერთდა კომინტერნის მეორე კონგრესის გადაწყვეტილებებს და მათ საფუძველზე შეიმუშავა მთელი რიგი რეზოლუციები. ყრილობამ დაამტკიცა თეზისები აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. აგრარულ და ეროვნულ-კოლონიურ საკითხებზე სპეციალური გადაწყვეტილებები მიღებული არ ყოფილა, ვინაიდან ყრილობამ გამოა-

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 89, ფურც. 1.

2 იქვე, დაცვ. ერთ. 92, ფურც. 2.

3 იქვე, ფ. 64, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 1, ფურც. 6.

ცხადა სოლიდარობა კომინტერნის მეორე კონგრესის თეზისებთან ამ საკითხებზე. ყრილობამ მიიღო ორი მოწოდება: აღმოსავლეთის ხალხებისადმი — კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოწოდებით და ევროპის, ამერიკისა და იაპონიის მშრომელებისადმი — იმ მოწოდებით, რომ მხარი დაეჭირათ აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ყრილობაზე გამოცხადებულ იქნა ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!"[1].

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ ცხადყო რევოლუციური ძალების ზრდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებიც იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, კოლონიური ქვეყნების ჩაგრული ხალხების მზარდი სოლიდარობა და სიყვარული საბჭოთა რუსეთისადმი.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მოსაწყობად ამიერკავკასიის კომუნისტების მიერ გაწეულ მუშაობას. ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „უდიდესი ნაწილი მთელი მოსამზადებელი მუშაობისა, როგორც თვით ბაქოში, ისე განსაკუთრებით ადგილებზე არჩევნების ორგანიზაციისა და დელეგატების გაგზავნის საქმეში, ჩვენი პარტიის კავკასიისა და თურქესტანის ორგანიზაციებს დააწვა"[2].

1920 წლის 9 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის მონაწილეობით განიხილა აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მუშაობის შედეგები. მოხსენებებისა და ინფორმაციების განხილვის შემდეგ, რომლებიც გაკეთებულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინასწარ თათბირზე აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის 27 დელეგატის მონაწილეობით, ვ. ი. ლენინმა დაწერა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი რკპ (ბ) ამოცანებზე აღმოსავლეთის ხალხებით დასახლებულ ადგილებში. 1920 წლის 14 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილების ლენინური პროექტი ამ საკითხზე.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ აირჩია აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭო, რომელიც მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ნ. ნ. ნარიმანო-

---

[1] Первый съезд народов Востока. Стенографические отчеты. Изд. Коминтерна. Петроград, 1920, стр. 232.

[2] «Известия ЦК РКП(б)» № 22, 18 сентября 1920 г.

ვი, ე. დ. სტასოვა, ა. ს. ნურიჯანიანი, ფ. ე. მახარაძე, ხ. შ. შაბანოვა-კარაევა და სხვები. საბჭო ამოცანად ისახავდა ეწარმოებინა რევოლუციური პროპაგანდა აღმოსავლეთის ხალხებში, მხარი დაეჭირა ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. გაეერთიანებინა იგი. საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი იყო ქალაქი ბაქო.

შეფასებას აძლევდა რა კომინტერნის მეორე კონგრესის და აღმოსავლეთის ხალხთა პირველი ყრილობის მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თუ რა გააკეთა კომუნისტთა მოსკოვის ყრილობამ და აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტურ წარმომადგენელთა ყრილობამ ბაქოში, — ამის ერთბაშად გაზომვა არ შეიძლება, ამის პირდაპირი აღრიცხვა შეუძლებელია, მაგრამ ეს ისეთი მონაპოვარია, რომელიც მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა სამხედრო გამარჯვებანი, ვინაიდან ის გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკების გამოცდილებამ, მათმა მოქმედებამ, მათმა პროგრამამ, მათმა მოწოდებამ კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ, — მთელ მსოფლიოში პოვა თანაგრძნობა და აღიარება, და იმას, რაც მოსკოვში გაკეთდა ივლისში და ბაქოში — სექტემბერში, კიდევ მრავალი თვის განმავლობაში შეითვისებენ და გადაამუშავებენ მუშები და გლეხები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში“[1].

კომინტერნის ინიციატივით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ ბაქოში მოაწყო აღმოსავლეთის ახალგაზრდობის ყრილობა. ბაქოშივე გაიმართა თურქეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა. თურქ კომუნისტთა ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრმა ე. დ. სტასოვამ. თავის სიტყვაში ყრილობაზე მან მოუწოდა კომუნისტებს განემტკიცებინათ თავიანთი რიგები და ეწარმოებინათ გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლა.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წინაშე ცხოვრება სულ ახალ და ახალ ამოცანებს აყენებდა. უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები; ყოველივე ამან მოითხოვა კავკასიის ბიუროს სტრუქტურაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანა. 1920 წლის შემოდგომიდან მუდმივად ფუნქციონირება დაიწყო კავკასიის ბიუროს ბაქოს სამეულის სამდივნომ. სამდივნოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო მის განკარგულებაში მყოფი პარტიული კადრების განაწილება სამი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 399.

რესპუბლიკის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შორის. სამდივნო ახორციელებდა აგრეთვე კავშირს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და მის ორგანიზაციებთან.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად და მათი მუშაობისათვის უფრო სწორი ხელმძღვანელობის გასაწევად კავკასიის ბიუროს წევრები გ. კ. ორჯონიკიძე, ე. დ. სტასოვა მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ორგბიუროს, ჩრდილოეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსთან არსებული საქართველოს კპ (ბ) საზღვარგარეთის ბიუროს სხდომებში.

კავკასიის ბიუროს წევრები დიდ პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდნენ. ისინი ხშირად გამოდიოდნენ მოხსენებებით პარტიულ კონფერენციებზე, კრებებზე, მშრომელთა მიტინგებზე და ა. შ.

კავკასიის ბიუროს ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკის საკითხები, აგრეთვე შინაგანი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ორგბიუროს ერთობლივ სხდომაზე, რომელიც მან 1920 წლის 22 აგვისტოს ჩაატარა, განხილულ იქნა აზერბაიჯანში ეკონომიური პოლიტიკის საკითხები, ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ამოცანები, პარტიული კადრების, სპარსეთში შექმნილი მდგომარეობის და სხვა საკითხები. ყველა ამ საკითხზე მიღებული იქნა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. კერძოდ, რეზოლუციაში „ვრანგელის ფრონტის შესახებ“ მითითებული იყო: „ვრანგელის ფრონტი ჩაითვალოს აზერბაიჯანის პროლეტარიატის ფრონტად“. გადაწყდა ბაქოში მოეხდინათ კომუნისტთა და პროფკავშირების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზაცია ვრანგელის წინააღმდეგ ფრონტზე გასაგზავნად[1].

აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე 1920 წლის ივლისში მოსკოვში გაიგზავნა აზერბაიჯანის სსრ მუდმივი წარმომადგენელი ბ. ა. შახტახტინსკი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ხასიათის საკითხებზე მოლაპარაკების საწარმოებლად. 1920 წლის აგვისტოში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი განიხილავდა საკითხებს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და რსფს რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ, ხოლო 20

---

1 მლი-ს აზერბაიჯანის ფილიალის პარტარქივი, ფ. I, აღწ. 74, დაცვ. ერთ. 36, ფურც. 3—4.

სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილულ იქნა ორივე რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანების პროექტი. ამის შედეგად 1920 წლის 30 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება რსფსრ და აზერბაიჯანის სსრ სამხედრო-ეკონომიური კავშირის შესახებ.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა, ითვალისწინებდა რა კავკასიაში ვითარების სირთულეს, მიიღო გადაწყვეტილება „გაიგზავნოს ამხ. სტალინი კავკასიაში ხანგრძლივი მუშაობისათვის იმ მიზნით, რომ: 1) სავსებით მოაგვაროს ურთიერთდამოკიდებულება მთიელებთან, 2) მოაწესრიგოს მთელი ჩვენი პოლიტიკა კავკასიასა და აღმოსავლეთში, 3) ინსტრუქტაჟი გაუწიოს ადგილობრივ მუშაკებს ისე, რომ მათ შეეძლოთ დაამყარონ ცენტრის კავშირი მთიელებთან"[1].

1920 წლის 27—29 ოქტომბერს კავკავში გაიმართა დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირი, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მოიწვია. ამ თათბირზე მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გააკეთა ი. ბ. სტალინმა. ორგანიზაციულ საკითხზე, მხარის სასურსათო და პოლიტიკურ მდგომარეობაზე მოხსენებით გამოვიდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრები ა. მ. ნაზარეტიანი, გ. კ. ორჯონიკიძე, ე. დ. სტასოვა და სხვ.

თათბირზე ადგილებიდან მოხსენებებით გამოვიდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ გამოამჟღავნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ორგანიზაციულ საქმიანობაში. თათბირმა დასახა ღონისძიებანი ორგანიზაციული, საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გასაძლიერებლად, ადგილობრივ ორგანიზაციებთან რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს კავშირის განსამტკიცებლად, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

სამხარეო თათბირის გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყო ამიერკავკასიის კომუნისტთა პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლას მხარის ცხოვრების ყველა დარგში.

8 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქოში ჩამოვიდა, აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

---

[1] მლი-ს ცპა. ფ. 17, აღწ. 2, დაცვ. ერთ. 34, ფურც. 3.

მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომუნისტთა ამოცანებზე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, სახალხო მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა ნავთობის მრეწველობის აღდგენაში. მეორე დღეს კი გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ორგბიუროს ერთობლივი სხდომა, რომელზეც გამოვიდნენ ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ბ. სტალინი, ე. დ. სტასოვა და სხვ... სხდომაზე დაისახა ღონისძიებანი აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისარიატისა და ბაქოს საბჭოს აღმასკომის განსამტკიცებლად.

მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინი სამხრეთიდან დაბრუნდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1920 წლის 27 ნოემბერს მოისმინა მისი მოხსენება „კავკასიის საქმეებზე“ და მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სპეციალური დადგენილება, რომელშიც განსაზღვრული იყო ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე იმ პერიოდში მდგომი ამოცანები. პოლიტბიუროს დადგენილება მკაფიო გამოვლინება იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ვ. ი. ლენინის ზრუნვისა საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებზე. პოლიტბიურომ გაითვალისწინა სასურსათო სიძნელენი საბჭოთა აზერბაიჯანში და დაავალა სურსათის კომისარიატს მიეღო ზომები იმისათვის, რომ სრულიად დაეკმაყოფილებინა ქალ. ბაქოს მშრომელნი საჭირო სურსათით. ამასთან ერთად პოლიტბიურო წინადადებას იძლეოდა: „სასურსათო პოლიტიკა აზერბაიჯანში შერბილებულ იქნას, სახელდობრ: გლეხებს აზერბაიჯანში, მუღანის ფარგლებს გარეთ, ჰური სრულებით არ გადახდეთ, ხოლო მუღანში გადახდეთ უაღრესად ფრთხილად“. მთავარ ამოცანად დადგენილება ცნობდა იმას, რომ „დავიცვათ აზერბაიჯანი და მტკიცედ ვფლობდეთ მთელ კასპიის ზღვას“. დადგენილებამ საბჭოთა მშენებლობისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანებიც განსაზღვრა. „ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ პროპაგანდა, აგიტაცია, ღარიბთა კომიტეტების განვითარება და საერთოდ საბჭოთა მშენებლობა აზერბაიჯანში“[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის იმ პერიოდის რთულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში. იგი ვალდებულს ხდიდა ამიერკავკასიის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს „მიეღოთ საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და სპარსეთის მიმართ მაქსიმალურად შემარიგებელი პოლი-

---

[1] В. И. Ленин, ПСС. т. 42, стр. 47.

ტიკა, ე. ი. მიმართული ყველაზე მეტად იმისაკენ, რომ თავიდან ავიცილოთ ომი"[1].

შეიარაღდნენ რა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მხარის კომუნისტებმა გაიჩაღეს დიდი მუშაობა ამიერკავკასიის რევოლუციური ძალების მობილიზაციისათვის სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

4. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში

სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში მიმდინარეობდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანტანტის იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ პროვოკაციულად წაექეზებინათ სომხეთისა და საქართველოს ანტიხალხური მთავრობები საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ. მუსავატისტ კონტრრევოლუციონერთა ნაშთებმა ბუდე გაიკეთეს მენშევიკურ საქართველოში.

საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობების მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა მიუხედავად საქართველოსა და სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მმართველი წრეები, დასავლეთის იმპერიალისტების მიერ წაქეზებულნი, ყოველნაირ პროვოკაციებს აწყობდნენ და ხელს უშლიდნენ მათ შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას სამართლიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპების საფუძველზე. დაშნაკებმა ჩაშალეს მოლაპარაკება რსფსრ მთავრობასა და დაშნაკურ სომხეთს შორის, რაც 1920 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა მოსკოვში. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ზუსტად იცავდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და ყოველნაირ ზომებს იღებდა სადავო საკითხების გადასაჭრელად სომხეთის მშრომელთა ინტერესებისათვის. საბჭოთა რუსეთის და სომხეთის ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით 1920 წლის 30 ივნისს ბ. ლეგრანი დაინიშნა რსფსრ წარმომადგენლად სომხეთში უშუალოდ დაშნაკურ მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად. დაშნაკები ყოველნაირ დაბრკოლებას უქმნიდნენ ბ. ლეგრანის მისიის ყოფნას ერევანში. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის მტკიცე ღონისძიებების შემდეგ დაშნაკური მთავრობა იძულებული გახდა დაეწყო წინასწარი

[1] В. И. Ленин, ПСС, т. 42, стр. 47.

მოლაპარაკება რსფსრ წარმომადგენლებთან. მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1920 წლის 10 აგვისტოს დაიდო დროებითი შეთანხმება რსფს რესპუბლიკასა და დაშნაკურ მთავრობას შორის. ამ აქტმა დაბნეულობა გამოიწვია დასავლეთის იმპერიალისტთა მმართველ წრეებში. მათ საჩქაროდ გაგზავნეს ერევანში თავიანთი წარმომადგენლები „დაშნაკების ორიენტაციის“ გამოსარკვევად. საფრანგეთის წარმომადგენელმა კორბელმა გამოარკვია, რომ „დაშნაკების ორიენტაციაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ მაინც ერევნიდან გამგზავრების დღეს შიშით განაცხადა: „...ხელშეკრულება, უეჭველია, არახელსაყრელ შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპაში, ამიტომ მიღებულ უნდა იქნას ზომები ამ ეჭვების ლიკვიდაციისათვის“[1].

დაშნაკურმა მთავრობამ გაითვალისწინა თავისი დასავლეთელი ბატონების შეშფოთება და გააძლიერა პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ, ქვეყნის შიგნით კი გააჩაღა ტერორი რევოლუციურად განწყობილ მშრომელთა წინააღმდეგ. გახშირდა ბოლშევიკებისა და რევოლუციონერი მუშების დაპატიმრებანი, დახვრეტა. მუშათა ორგანიზაციების განადგურება და მშრომელთა დევნა დაშნაკურ სომხეთში ყოველდღიური მოვლენები გახდა. „ამჟამად, — ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვს XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, — დაპატიმრებული ისე ბევრია, რომ ალექსანდროპოლის საპყრობილეში ადგილების უქონლობის გამო ისინი სადგურებზე ვაგონებში ჰყავთ; მეტ წილ დაპატიმრებულებს გზავნიან კუნძულ სევანზე (რომელიც გოქჩის ტბაზეა) და ეჩმიაძინში. იყო შემთხვევები, რომ დაპატიმრებულ თვალსაჩინო კომუნისტებს საპყრობილეში გადაყვანისას გზაში ხვრეტდნენ, მათ ყოვლად სასტიკად ეპყრობიან, დღეში აძლევენ 1 გირვანქა კაზიონურ პურსა და წყალს“[2].

დაშნაკ ხელისუფალთა თავაშვებული ტერორი და თარეში გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევდა არა მარტო სომხეთში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც.

გამოთქვამდნენ რა თავიანთ სოლიდარობას სომხეთის კომუნისტებისადმი, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ, რკპ (ბ) სომხეთის კომიტეტმა და სომხეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1920 წლის ივნისში

---

1 მლი-ს საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 617, ფურც. 133.

2 საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფ. 109, აღწ. 3, საქ. 27, ფურც. 21.

ერთობლივი საპროტესტო ნოტა წარუდგინეს დაშნაკურ მთავრობას. ნოტაში მითითებული იყო, რომ დაშნაკურმა მთავრობამ „ყარსის რაიონში დახვრიტა 300 კაცი... რუსეთის კომუნისტური პარტიის სომხეთის ორგანიზაცია თქვენ საპყრობილეში ჩაყარეთ, რომ თქვენი მთავრობისათვის დამახასიათებელი უნამუსობით სათითაოდ დახვრიტოთ ისინი“...[1].

დაშნაკების ანტიხალხურმა პოლიტიკამ სომხეთი კატასტროფის წინაშე დააყენა.

იმ მიზნით, რომ თურქეთი აემხედრებინათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ჩაეშალათ მათ შორის საზავო ბოლაპარაკება, ანტანტის იმპერიალისტებმა პროვოკაციით გამოიწვიეს ომი თურქეთსა და დაშნაკურ სომხეთს შორის. თურქეთის არმიამ, რომელმაც საომარი მოქმედება დაიწყო 1920 წლის 24 სექტემბერს, ორი თვის განმავლობაში დაიკავა სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლი. თურქეთის მთავრობა, რომელმაც ისარგებლა დაშნაკების ავანტიურისტული პოლიტიკით, ისწრაფოდა ხელში ჩაეგდო მთელი სომხეთი.

დაშნაკების გამცემლური პოლიტიკა ძვირად დაუჯდა სომეხ ხალხს. თურქ დამპყრობთა ბარბაროსულმა შემოსევამ აუწერელი უბედურება მოუტანა სომეხ ხალხს, სრული ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა იგი. თურქი ოკუპანტები ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, ძარცვავდნენ მეურნეობებს, იტაცებდნენ პირუტყვს, აბდენდნენ სურსათის რეკვიზიციას.

1920 წელს თურქეთის მიერ ოკუპაციის შედეგად სომხეთში მოკლულ იქნა 60 ათასი კაცი. ოკუპირებულ რაიონებში შიმშილით დაიხოცა 30 ათასამდე კაცი. არასრული მონაცემებით, ოკუპანტებმა მოსპეს და სომხეთის ტერიტორიიდან გაიტანეს თითქმის 20 მილიონი ოქროს მანეთის ქონება და ფასეულობანი[2].

ის ამბები, რომლებიც მაშინ მთელ ამიერკავკასიაში გაჩაღდა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში იყო. ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და პარტიის ამოცანებს, 1920 წლის 21 ნოემბერს ამბობდა: „კავკასიაში იქსელება ძალიან რთული პირობები, რომლებშიც მეტად ძნელია გარკვევა, ამასთან შესაძლებელია ომი დღედღეზეც კი თავს მოგვახვიონ... გაზეთების ცნობები

---

1 მლი-ს სომხეთის ფილიალის პარტარქივი, ფ. 33, აღწ. 3, დაცვ. ერთ. 388, ფურც. 1—2.

2 Д. С. Заврнев. К новейшей истории Северо-Восточных вилайетов Турции, Тбилиси, 1947, стр. 97.

იმაზე, თუ რა ხდება სომხეთში, თურქეთში, ერთგვარ წარმოდგენას გაძლევთ თქვენ ამის შესახებ. იქმნება მეტად დახლართული მდგომარეობა, მაგრამ მე საკუთარი დარწმუნებული ვარ, რომ იქიდან ჩვენ გამოვალთ...“[1].

საბჭოთა რუსეთის მთავრობას არაერთგზის გამოუთქვამს სურვილი შუამავლად გამოსულიყო დაშნაკურ სომხეთსა და თურქეთს შორის, რათა ბოლო მოეღო გამანადგურებელი ომისათვის. 1920 წლის 11 ნოემბერს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მეომარ ჰხარეებს თავისი შუამავლობა შესთავაზა. თურქეთმა უარყო საბჭოთა წინადადებანი, დაშნაკურმა მთავრობამ ამჯობინა დაედო კაბალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სომხეთი თურქეთის პროტექტორატად ცხადდებოდა. ამრიგად, დაშნაკების ანტიხალხური პოლიტიკა საკუთარი ტყავი შეენარჩუნებინათ.

მუშათა და გლეხთა ფართო ფენები თვალნათლივ დაწმუნდნენ, რომ სომეხი ხალხის ხსნის, მისი ეროვნული აღორძინების ერთადერთი გზა დაშნაკური მთავრობის მოსპობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იყო.

უსასტიკესი ტერორის, დაშნაკთა ბანდებისა და თურქი ინტერვენტების ძალადობის პირობებში სომხეთის მშრომელები კომუნისტების ხელმძღვანელობით აძლიერებდნენ რევოლუციურ ბრძოლას. 1920 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში დაშნაკ ხელისუფალთა წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ შამშადინის აჯანყებული მშრომელნი. ამ ბრძოლაში მათ დიდ დახმარებას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ საბჭოთა აზერბაიჯანის მათი მეზობელი რაიონების მშრომელები.

1920 წლის 5 ივლისს ზანგეზურის მშრომელებმა დაამხეს დაშნაკთა ადგილობრივი ხელისუფლება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ზანგეზურის მუშათა და გლეხთა რევოლუციური რაზმები აგვისტო — სექტემბრის განმავლობაში თავდადებულად იგერიებდნენ დაშნაკთა იმ ბანდების იერიშებს, რომლებმაც უცხოეთის იარაღის დახმარებით მოახერხეს დროებით ჩაეგდოთ ხელში ზანგეზურის ცენტრი — გორისი. შუა სექტემბერში წითელი არმიის ნაწილების დახმარებით გორისი განთავისუფლებულ იქნა. შემდეგში კაფანისა და გორისის რაიონები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 507—508.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, აგრეთვე აზერბაიჯანის კომუნისტურმა პარტიამ დიდი დახმარება გაუწიეს სომხეთის კომპარტიასა და მშრომელებს დაშნაკური კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიმდინარეობდა რევოლუციური ძალების გაძლიერებული მობილიზაცია და მომზადება იმისათვის, რომ განხორციელებულიყო შეიარაღებული აჯანყება დაშნაკური რეჟიმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

სომხეთის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა არსებული რევოლუციური სიტუაცია და 1920 წლის ოქტომბერში მშრომელებს მიმართა მოწოდებით: „შეკრიბეთ დაქსაქსული რევოლუციური ძალები იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატთან ხელიხელჩაკიდებულმა საერთო ძალებით დაამხოთ საერთაშორისო იმპერიალიზმის სომხურ-დაშნაკური აგენტურის უღელი და კვლავ აღმართოთ სომხეთში კომუნიზმის დროშა“[1].

კომუნისტთა პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, მუშათა გაფიცვები, გლეხთა გამოსვლები, მღელვარება დაშნაკთა არმიაში, დაშნაკური მთავრობის ავანტიურისტული პოლიტიკის ჩაფუშვა, პარტია „დაშნაკცუტიუნის“ რღვევა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით შექმნილი ხელსაყრელი საგარეო ვითარება, — ყოველივე ეს განაპირობებდა დაშნაკური მთავრობის დამხობისათვის გადამწყვეტი გამოსვლის წარმატებას.

შეიქმნა სომხეთის რევოლუციური კომიტეტი ს. ი. კასიანის (თავმჯდომარე), ა. მრავიანის, ა. ნურიჯანიანის, ი. დოვლათოვის, ს. ტერ-გაბრიელიანის, ა. ბეკზადიანის შემადგენლობით.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს საძულველი დაშნაკური მთავრობა და დაამყარეს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება.

30 ნოემბერს სომხეთის რევკომმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა დეპეშა: „აღფრთოვანებული აჯანყებულნი წინ მიისწრაფვიან საძულველი მტრის — ანტანტის აგენტის საბოლოო დამხობისათვის. და ვასრულებთ რა მათს ნებას, ჩვენ შევადგინეთ რევკომი და წინ მივიწევთ იმ იმედით, რომ აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა გამანთავისუფლებელი — დიდი სოციალისტური რუსეთის გმირი წითელი არმია — რეალურ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს ამ ძნელ ბრძოლაში.

---

[1] გაზ. „კარმირ ასტღ“, 1920 წ. 21 ოქტომბერი.

სომხეთის ყველა მუშისა და გლეხის სახელით ვთხოვთ სახკომსაბჭოს გაგვიწიოს ეს დახმარება"[1].

საბჭოთა მთავრობის მითითებით მამაცი XI წითელი არმიის მებრძოლები მიეშველნენ სომხეთის აჯანყებულ მშრომელ ხალხს. სომხეთის მშრომელები სიხარულითა და მადლობით შეხვდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს. სომხეთში აფრიალდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა. გამოცხადებულ იქნა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სომხეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის ს. ი. კასიანისათვის გაგზავნილ დეპეშაში ვ. ი. ლენინი საბჭოთა მთავრობის სახელით წერდა: „თქვენი სახით მივესალმები იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ ძმური სოლიდარობის დასამყარებლად სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის"[2].

მრავალტანჯულ სომეხ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობა და ეროვნული განახლება მოუტანა. პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა რესპუბლიკაში დაიწყო დიდი აღმშენებლობითი მუშაობა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მოსაწყობად, მიწის საკითხის გადასაჭრელად, სურსათის საქმის მოსაწესრიგებლად და კულტურული მშენებლობისათვის. მიწა, ბანკები, მრავალი სამრეწველო საწარმოები ნაციონალიზებულ იქნა. ვ. ი. ლენინის ინიციატივით რსფსრ სახკომსაბჭომ დაადგინა დამატებით გამოეყო 3 მილიარდი მანეთი საბჭოთა სომხეთისათვის სესხის მისაცემად.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა სომხეთის სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან და უწინარეს ყოვლისა — საბჭოთა რუსეთთან. საბჭოთა რესპუბლიკების ძალების სამხედრო-პოლიტიკურმა და ეკონომიურმა გაერთიანებამ შეესაძლებელი გახადა წინააღმდეგობა გასწეოდა ანტანტის იმპერიალისტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის მხრივ ყველა ხელყოფას.

საბჭოთა ხელისუფლება ერთბაშად როდი დამყარდა სომხეთის მთელ ტერიტორიაზე. ზანგეზურში ჯერ კიდევ პარპაშებდნენ დაშნაკები. ალექსანდროპოლის რაიონი ქალაქთან ერთად თურქი დამ-

---

[1] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, стр. 429.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 536.

პყრობლების ხელში იყო. ლორის მაზრის ნაწილი ხელში ჩაიგდეს ქართველმა ბოლშევიკებმა. დასავლეთის იმპერიალისტებს განზრახული ჰქონდათ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადაექციათ ეს რაიონები.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ახალი ლახვრის ჩაცემა იყო იმპერიალისტთა ინტერვენციონისტული გეგმებისათვის, რომელთაც არ უნდოდათ დაეკარგათ თავიანთი პოზიციები ამიერკავკასიაში.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები განდევნილ დაშნაკებთან ერთად ყოველივე შესაძლებელს აკეთებდნენ, რომ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში. იმ მიზნით, რომ ქემალისტური თურქეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წაექეზებინათ და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება ჩაეხრჩოთ, მათ 1920 წლის 2 დეკემბერს დააჩქარეს ალექსანდროპოლში „საზავო ხელშეკრულების" დადება დამხობილ დაშნაკურ მთავრობასა და თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულების პირობებით სომხეთის ტერიტორია ერევნისა და სევანის ტბის რაიონებით განისაზღვრებოდა.

დაშნაკების ამ გამცემლურმა ნაბიჯმა, რომელიც მათი ინგლისელ-ამერიკელი მფარველების საამებლად გადაიდგა, ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა, რომ ისინი უბოროტესი მტრები იყვნენ სომეხი ხალხისა, რომელსაც თავიანთი ავანტიურისტული პოლიტიკით ბევრი გაჭირვება, ტანჯვა და დამცირება მოუტანეს.

საბჭოთა სომხეთის მთავრობამ ალექსანდროპოლის ხელშეკრულების გაწყვეტა გამოაცხადა. 1920 წლის 10 დეკემბერს მან სპეციალური ნოტით მიმართა თურქეთის მთავრობას და გამოთქვა მზადყოფნა შეეკრა თურქ მშრომელებთან ძმური კავშირი და დაემყარებინა მათთან ახალი ურთიერთობა ორივე ხალხის თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე, მათი თავისუფალი განვითარების შესაძლებლობაზე დაყრდნობით. ამ მიზნებისათვის საბჭოთა სომხეთის მთავრობამ წინადადება წამოაყენა მოეწვიათ საზავო კონფერენცია ახალი პირობებით ნაკარნახევი სამართლიანი ხელშეკრულების დასადებად.

თურქეთის მთავრობამ ეს წინადადება უარყო, აღნიშნა, რომ საბჭოთა სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკების წინასწარ პირობად მას მიაჩნდა ამ უკანასკნელის მიერ ალექსანდროპოლის ხელშეკრულების აღიარება[1].

---

1 ალექსანდროპოლის ხელშეკრულება ფაქტიურად გაუქმებულ იქნა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ხელმოწერით.

თურქი დამპყრობლებისა და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების ზურგსუკან იდგნენ დასავლეთის იმპერიალისტები, რომლებიც ისწრაფვოდნენ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში. ითვალისწინებდნენ რა კონტრრევოლუციური შეთქმულების საშიშროებას, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ერევნის კომიტეტმა 1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით: „ამხანაგებო, იყავით ფხიზლად, შეკავშირდით ჩვენი კომუნისტური პარტიის გარშემო, შეავსეთ წითელი არმიის რიგები, აწარმოეთ ულმობელი ბრძოლა თქვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ"[1].

მეორე დღეს დაშნაკთა ბანდებმა ქეშიშქენდში მოაწყეს ანტისაბჭოთა გამოსვლა, რომელიც ამბოხების სიგნალი გახდა. დაშნაკებმა ქეშიშქენდის შემდეგ მაშინვე მოაწყეს შეიარაღებული გამოსვლები ბაშ-გიარნში, ნორ-ბაიაზეთში, ეჩმიაძინსა და აშტარაკში. დაშნაკების ანტისაბჭოთა ამბოხებას მხარი დაუჭირეს ქართველმა მენშევიკებმა და თურქმა დამპყრობლებმა. ამ ძალების მხარდაჭერას რომ ეყრდნობოდნენ, დაშნაკებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ მთელი რიგი ქალაქები, მათ შორის ერევანიც. სომხეთში სასტიკი სამოქალაქო ომი დაიწყო.

დაშნაკ მეამბოხეთა თავდაპირველ წარმატებებს ხელი შეუწყო შემდეგმა: საბჭოთა დაწესებულებებში შემძვრალი დაშნაკთა საიდუმლო აგენტები პროვოკაციული მოქმედებით სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლებას; თავისუფლად დარჩენილი დაშნაკი ლიდერები თითქმის შეუფერხებლად ემზადებოდნენ კონტრრევოლუციური ავანტიურისათვის; დაშნაკთა ავანტიურის მომენტში საბჭოთა სომხეთის რევკომისა და საგანგებო კომისიის მეტი წილი წევრები წასული იყვნენ. გარკვეული როლი შეასრულა სომხეთის რევკომის შეცდომებმაც. მან ჯეროვნად ვერ შეაფასა კონტრრევოლუციის ძალები და ერთგვარი უდარდელობა გამოიჩინა. სომხეთის რევკომმა არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი, მიუხედავად იმისა, რომ განგაშის სიგნალები ჰქონდა ალექსანდროპოლიდან და მიუხედავად პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფის გადაწყვეტილებისა, რაც მიღებული იქნა 1920 წლის 23 დეკემბრის თათბირზე, რომელიც მოითხოვდა გადამწყვეტი ზომებით „ჩავახშოთ გამოსვლა, რომელსაც ჩვენი დიქტატურის წინააღმდეგ ამზადებენ ერევნის ცენტრში"[2].

---

[1] Великая Октябрьская социалистическая революция и победа Советской власти в Армении. Сборник документов, стр. 511.

[2] სომხეთის სსრ ცსია, ფ. 114, საქ. 9, ფურც. 3.

ერევანი რომ ჩაიგდო ხელში, დაშნაკთა მეთაურმა ვრაციანმა შექმნა „სამშობლოს ხსნის კომიტეტი“. ამ ე. წ. „ხსნის კომიტეტმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა სომხეთის მთელი კონტრრევოლუციური ძალები და მჭიდრო კავშირი დაამყარა თურქ დამპყრობლებთან და ქართველ მენშევიკებთან. 24 თებერვალს თურქეთის წარმომადგენლებმა ინახულა ვრაციანი და თავისი მთავრობის სახელით „აღტაცება“ გამოთქვა „სომხეთის განთავისუფლების“ გამო. მან განაცხადა, რომ ანკარის მთავრობა მზად იყო სამხედრო დახმარება გაეწია „ხსნის კომიტეტისათვის“. თავის მხრივ ვრაციანმა პირობა მისცა, რომ „სამშობლოს ხსნის კომიტეტი“ ანკარის მთავრობასთან თავის ურთიერთობაში ალექსანდროპოლის ხელშეკრულებას ეყრდნობაო. ბოლშევიკებთან წარმატებით ბრძოლისათვის იგი სთხოვდა გაეთავისუფლებინათ სომეხი სამხედრო ტყვეები და გაეწიათ მისთვის ეფექტური სამხედრო დახმარება. 1921 წლის 3 მარტს „ხსნის კომიტეტის“ უბადრუკმა გაზეთმა, რომელიც მაღალფარდოვან სახელწოდებას „აზატ ჰაიასტანს“ („თავისუფალი სომხეთი“) ატარებდა, საჩქაროდ გამოაცხადა, „სომხეთსა და თურქეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა“ მყარდებაო.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წლის 13 თებერვალს მოისმინა სომხეთში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გ. ათარბეკოვის მოხსენება სომხეთში შექმნილი ვითარების შესახებ და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის მშრომელთათვის დახმარების გასაწევად.

გ. ათარბეკოვი გაიგზავნა სომხეთში დაშნაკების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის. 1921 წლის 26 თებერვალს მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა დილიჟანისა და ყარაკლისის მაზრების სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის რწმუნებანი ვრცელდებოდა აგრეთვე ქართველი მენშევიკებისაგან განთავისუფლებულ ლორის რაიონზე, ნორ-ბაიაზეთის მაზრის ელენოვკის უბანზე და იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც წითელი არმია დაშნაკი ავანტიურისტებისაგან ათავისუფლებდა.

1921 წლის აპრილის პირველ რიცხვებში სომხეთის მუშებმა და გლეხებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით, XI წითელი არმიის ნაწილების დახმარებით მოახდინეს დაშნაკთა თებერვლის ავანტიურისა და ივლისის დამდეგს ე. წ. ზანგეზურის „სახელმწიფოს“ ლიკვიდაცია. 1921 წლის 22 აპრილს რსფსრ მთავრობის მტკიცე

მოთხოვნის შემდეგ თურქეთის ჯარებმა დატოვეს ალექსანდროპოლის რაიონი.

დაშნაკთა ამბოხებისა და გარეშე ანტისაბჭოთა ძალების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი ბევრი მხრივ წინასწარ განსაზღვრა საქართველოში გაჩაღებულმა ამბებმა — 1921 წლის თებერვალში იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში

საქართველოს მშრომელთა ბრძოლამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რაც მენშევიკთა ბატონობის მთელი წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა, განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

1920 წლის შემოდგომისათვის ეკონომიურმა ნგრევამ მენშევიკურ საქართველოში უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მეტი წილი ფაბრიკები და ქარხნები არ მუშაობდნენ. მკვეთრად შემცირდა მარგანეცის მოპოვება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვანახშირის მრეწველობა. თითქმის უმოქმედოდ იყო რკინიგზის ტრანსპორტი. მოშლილი იყო მთელი ფინანსური სისტემა. ფულის გაუფასურებამ კვების პროდუქტების ფასების გაუგონარი ზრდა გამოიწვია.

ნაციონალ-დემოკრატების ორგანო გაზეთი „საქართველო“ აღიარებდა: „კრიზისი არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მორალურიც. ეს სრული გაკოტრებაა. დღეს თუ არა ხვალ ქვეყანა აიღებს და უფსკრულში გადაიჩეხება“[1]. გაზეთი „სახალხო საქმე“ — ქართველი სოციალ-ფედერალისტების ორგანო— 1920 წლის 21 დეკემბერს წერდა: „ჩვენი ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაშია, ანარქია მეურნეობაში, ქაოსი, ყოველი ორგანიზაციის უქონლობა ახასიათებს ჩვენს საქმიანობას“.

თვით მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანია იძულებული იყო ეკონომიურ თათბირზე 1920 წლის ოქტომბერში ეღიარებინა საქართველოს კატასტროფული მდგომარეობა.

ასეთი იყო შედეგი ქართველი მენშევიკების ანტიხალხური დამღუპველი პოლიტიკისა, რომელიც მთლიანად გაკოტრდა.

მენშევიკური მთავრობის კონტრრევოლუციურ საშინაო პო-

---

[1] გაზ. „საქართველო“ № 149, 1920 წ. 16 ნოემბერი.

ლიტიკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა, რომლის აზრი განისაზღვრებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებით, ცილისწამებითა და შანტაჟით და დასავლეთის იმპერიალისტების წინაშე მონური ქედმოხრით.

საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის---ამიერკავკასიაში ანტანტის ქვეყნებისა და კონტრრევოლუციის უკანასკნელი დასაყრდენის — მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული გახდა მას შემდეგ, რაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. დამფუძნებელ კრებაში გაისმოდა ხმები იმის მოთხოვნით, რომ „უშუალოდ სახალხო ხელისუფლება“ დამყარებულიყო. უთანხმოება ჩაღდებოდა თვით მენშევიკურ მთავრობაში: მისი წევრების ნაწილი ჟორდანიას მეთაურობით იმ აზრს გამოთქვამდა, რომ აღდგენილიყო ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან. მთავრობის წევრთა მეორე. უფრო დიდი ჯგუფი ნ. რამიშვილის მეთაურობით გადაჭრით იცავდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობის პოლიტიკას. ამრიგად, მენშევიკური მთავრობის წინაშე იდგა დილემა: საბჭოთა რუსეთთან თუ ანტანტასთან. საბოლოოდ ბოლშევიზმისადმი მტრობამ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილმა გადასძალა.

მენშევიკურმა მთავრობამ 1920 წლის დამლევისათვის გააძლიერა მტრული პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მან დაიწყო 1920 წლის მაისში დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რსფსრ წარმომადგენლობის თანამშრომლების დაპატიმრება და კომუნისტების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები. გამოცხადებულ იქნა მობილიზაცია არმიაში გასაწვევად. 1920 წლის ნოემბერში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება არმიის შეიარაღების საჭიროებისათვის დამატებით ასიგნობათა გამოყოფის შესახებ.

მაგრამ მენშევიკ ხელისუფალთა იმედი არმიაზე არ გამართლდა. მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილებისა და ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად არმიაში გახშირდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა დეზერტირობის შემთხვევები. 1920 წლის ბოლოს რეგულარული ნაწილების ათასამდე ჯარისკაცი როგორც არასაიმედოები განიარაღებულ იქნა და შახტში სამუშაოდ გაიგზავნა. თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა. ქალაქი დაიყო საბრძოლო უბნებად. მენშევიკური არმიისა და ეგრეთწოდებული „სახალხო გვარდიის“ ნაწილები საბრძოლველად იქნა გამზადებული. რკინიგზაზე ჯავშნიანი მატარებლები მიმოდიოდნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ ერთა ლიგას მიმართა საჩივრით, რომ საქართველოს „წითელი არმიისა და ბოლშევიკური ანარქიის“ მხრივ „საფრთხე“ ემუქრებაო. ამით იგი ცდილობდა მიეპყრო იმპერიალისტური ქვეყნების ყურადღება და ეარაუდობდა მიეღო მათგან დახმარება. და, მართლაც, მათ საჩქაროდ მიეშველნენ ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებსაც, ისევე, როგორც საფრანგეთის სამხედრო ხროვას, ხელი არ აეღოთ თავიანთ დამპყრობლურ გეგმებზე და ცდილობდნენ განემტკიცებინათ საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოზიციები. 1920 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობამ საქართველოს შესთავაზა, რომ სამსახურს გაუწევდა არმიის მომარაგებაში იარაღით, ტანსაცმელით, ყველა სახის მომარაგებით. მსხვილი ევროპელი ბანკირები მენშევიკურ მთავრობას დაჰპირდნენ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი სესხის მიცემას „გადაუდებელი ხარჯებისათვის“, ესე იგი რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მენშევიკურ მთავრობას, გარდა ინგლისისა და საფრანგეთისა, დახმარებას ჰპირდებოდნენ აგრეთვე ესპანეთის, შვეიცის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები.

ქართველი მენშევიკებისათვის მხარის დაჭერა, თუნდაც მორალურად, გადაწყვიტეს II ინტერნაციონალის ლიდერებმა. 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა დელეგაცია კარლ კაუცკის მეთაურობით ვანდერველდეს, მაკდონალდის, რენოდელისა და სხვების შემადგენლობით. ნ. რამიშვილი სტუმრებს მიესალმა მენშევიკური პარტიის სახელით. მან თქვა. „საქართველოს სოციალ-დემოკრატიას არასოდეს არ უღალატნია თავის მოღვაწეობაში სწორი სოციალისტური ხაზისათვის. სანამ ჩვენ კარლ კაუცკის გზით მივდივართ, ჩვენს სახელმწიფოს არავითარი საფრთხე არ ემუქრება“[1].

კ. კაუცკიმ, თბილისში ყოფნისას, ქართველი მენშევიკების თხოვნით პრესისათვის მოამზადა მოხსენება „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, რომელიც მენშევიკურ გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა და გამოვიდა ცალკე ბროშურად ავტორის წინასიტყვაობით. კაუცკის ბროშურა აღსავსე იყო ბოროტი და ბინძური ცილისწამებით ბოლშევიკებსა და საბჭოთა რუსეთზე. მისმა ავტორმა ამ ბროშურით მოქმედების „საბრძოლო პროგრამა“ მისცა თავის „პარტიულ მეგობრებს“.

კაუცკიმ დეპეშაც კი გაუგზავნა ლონდონში ყვითელი ინტერნაციონალის კომიტეტს, საჭიროა საქართველოს სამხედრო ძალე-

---

1 გაზ. „ერთობა“ № 243, 1920 წ. 26 ოქტომბერი.

ბითაც გაეწიოს დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაშიო[1].

II ინტერნაციონალის მეორე ლიდერი — ჰიუისმანსი თბილისში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სხდომებზე 1920 წლის ოქტომბერში ამბობდა: „გახსოვდეთ: თქვენ ჩვენი იმედი ხართ, ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სათავეში სოციალისტები უდგანან. თქვენი დაღუპვა ჩვენი დაღუპვა იქნება, თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვება"[2].

მაგრამ II ინტერნაციონალის იდეური ბელადები ვერავითარი შელოცვა ვერ შეცვლიდა კატასტროფულ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო მენშევიკური ბატონობის წლებში. ვერ გადაარჩენდა საბოლოოდ გაკოტრებულ მენშევიკურ მთავრობასაც, რომლის დღეები უკვე დათვლილი იყო. საქართველო მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. II ინტერნაციონალის ლიდერები მალე თვითონ დარწმუნდნენ ამაში, საქართველოში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას რომ გაეცნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ თბილისიდან გამგზავრების წინ კაუცკი იძულებული გახდა განეცხადებინა: „ბოლშევიზმი ამიერკავკასიაში გარდუვალია".

საქართველოს მიმართ ანტანტის ქვეყნებისა და II ინტერნაციონალის ლიდერების ყურადღების ასეთი გაძლიერება შემთხვევითი როდი იყო. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველო ერთადერთიღა ბურჟუაზიული სახელმწიფო იყო კავკასიაში, ამიტომ ანტანტა ვარაუდობდა მოხერხებულ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოეყენებინა იგი.

იმპერიალისტური ქვეყნების დაპირებებით გამხნევებული მენშევიკური მთავრობა განმარტოებულად არ გრძნობდა თავს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მენშევიკების ანტიხალხური კონტრრევოლუციური პოლიტიკა კიდევ უფრო აძლიერებდა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას, რომლებიც სულ უფრო გაბედულად გამოდიოდნენ მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველოში მწვავე რევოლუციური სიტუაცია მწიფდებოდა.

ამ უკიდურესად დაძაბულ და პასუხსაგებ პერიოდში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს თათბირზე, რომელიც

---

[1] მიხა ცხაკაია. საქართველო და სომხეთი იმპერიალისტების ჭუსლქვეშ. თბილისი, 1925. გვ. 12.

[2] Газ. «Борьба» № 230, 10 октября 1920 г.

1920 წლის 15 დეკემბერს გაიმართა, დაისვა და განხილულ იქნა საკითხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ. მოხსენება გააკეთა გ. კ. ორჯონიკიძემ. თათბირმა აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ დაუყოვნებლივ გასწეოდათ პრაქტიკული დახმარება საქართველოს მშრომელებს. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება 1920 წლის 17 დეკემბერს განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც გაითვალისწინა იმ პერიოდის ვითარების როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორები და დაადგინა: „დადასტურებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება კავკასიაში რსფს რესპუბლიკის პოლიტიკის ძშვიდობიანი მიმართულების შესახებ და მოეთხოვოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებას ყველა ღონისძიების მიღება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება უზრუნველყოფილ იქნას ამ პოლიტიკის წარმატება“[1].

პლენუმის გადაწყვეტილებანი მოწმობენ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ვ. ი. ლენინი იმ დროის რთულ ვითარებაში ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის კომუნისტებს ეპოვნათ დიდმნიშვნელოვანი საკითხების სწორი გადაწყვეტა და აფრთხილებდნენ მათ მცდარი ნაბიჯების გადადგმისაგან.

1921 წლის 2 იანვარს გ. კ. ორჯონიკიძემ და ს. მ. კიროვმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სახელით რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ასაბუთებდნენ იმის აუცილებლობას, რომ საქართველოს მშრომელებს დაუყოვნებლივ გასწეოდათ დახმარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში[2]. გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლის მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმით, რომ მენშევიკური საქართველო წარმოადგენდა კონტრრევოლუციის ბაზას ამიერკავკასიაში, რომ იგი დახმარებას უწევდა ვრანგელსა და სხვა ანტისაბჭოთა ძალებს მათს შეიარაღებულ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის გათვალისწინებით, წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა მთელ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1921 წლის 12 იანვარს განიხილა კავკასიის ბიუროს განცხადება და ურჩია მას

---

1 მლი-ს ცპა, ფ. 17, აღწ. 2. დაცვ. ერთ. 46, ფურც. 3.

2 მლი-ს ცპა. ფ. 90. აღწ. 4. დაცვ ერთ. 115. ფურც.

„ზუსტად დაეცვა ცენტრალური კომიტეტის უკვე არსებული გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე“.

ვ. ი. ლენინის წინადადებით საკითხი „საქართველოს შესახებ“ განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1921 წლის 26 იანვარს. პლენუმმა მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დადგენილება საქართველოს მიმართ ტაქტიკის შესახებ. დადგენილების ძირითადი მითითებები იყო: არ გაეწყვიტათ ურთიერთობა საქართველოსთან; ეწარმოებინათ მენშევიკური მთავრობის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტების ზუსტი აღრიცხვა; მტკიცედ მოეთხოვათ საქართველოს მთავრობისაგან სომხეთში სურსათ-სანოვაგის გაშვება. დადგენილება ითვალისწინებდა, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მშრომელთათვის სამხედრო დახმარების გაწევას.

საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები, ითვალისწინებდნენ რა მშრომელ მასებში რევოლუციური აღმავლობის გაძლიერებას, შეუდგნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. ისინი ქმნიდნენ მუშათა, გლეხთა და მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციურ რაზმებს, ასწავლიდნენ მათ სამხედრო საქმეს, ამზადებდნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

მოვლენათა მთელი მსვლელობა, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა მიმართული იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ, რომელიც უკვე გარდუვალი იყო.

1921 წლის 12 თებერვლის წინაღამეს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც სამი-ოთხი დღის განმავლობაში მთელ საქართველოს მოედო. მუშები და გლეხები კომუნისტების მეთაურობით იარაღით ხელში აღდგნენ მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის დღეები უკვე დათვლილი იყო, მან გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია მებრძოლ ხალხს. გ. კ. ორჯონიკიძე 1921 წლის 16 თებერვალს პირდაპირი მავთულით ატყობინებდა ს. მ. კიროვს: „ქართველმა მენშევიკებმა თავი მოუყარეს დიდ ძალებს და დასძრეს ისინი აჯანყებულების წინააღმდეგ. მხეცობა, რასაც ხახალხოგვარდიელები სჩადიან, აუწერელია“[1].

საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზებისათვის და აჯანყებულების მიერ განთავისუფლებულ რაიონებში წესრიგის დასამყარებლად იქმნებოდა რევოლუციური კომიტეტები. 1921 წლის 16

---

1 საბჭოთა არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 109, საქ. 505, გვ. 59.

თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ა. გეგეჭკორის, შ. ელიავას, ა. ნაზარეტიანის, ბ. კვირკელიას და სხვ. შემადგენლობით. ამავე დღეს საქართველოს რევკომმა ვ. ი. ლენინს მიმართა თხოვნით აჯანყებულ ქართველ მშრომელთათვის დახმარების გაწევის შესახებ. „ჩვენ იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ — ნათქვამი იყო რევკომის მიმართვაში, — რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ აგრეთვე დიდ მატერიალურ შესაძლებლობათა ქვეყანა არ მიგვატოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახალშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას“[1].

საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რევკომის მიმართვას. XI წითელი არმიის ნაწილები დაუყოვნებლივ მოეშველნენ საქართველოს აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს, რამაც წინასწარ განსაზღვრა მათი გამარჯვება ძირმომპალ მენშევიკურ რეჟიმთან ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ წითელი არმიის ნაწილებს — საბჭოთა რუსეთის წარმოგზავნილებს. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები. „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ, — ატყობინებდა გ. კ. ორჯონიკიძე მოსკოვში ი. ბ. სტალინს, — საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხთა შორის. გლეხები თავიანთ მხსნელებს პურმარილით ხვდებოდნენ. ბევრნი სიხარულისაგან ტიროდნენ“[2].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის დახმარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ქართველი ხალხის და რუსი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობის გამოხატულება იყო.

18 თებერვალს რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველოს მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს, ყველა მშრომელს მიმართა მოწოდებით ხელში აეღოთ ძალაუფლება. მიმართვაში ნათქვამი იყო: „ამხანაგებო, ძმებო, — ქალაქისა და სოფლის მშრომელნო! დატანჯულ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შებოჭილ საქართველოში პროლეტარული რევოლუციის მზე ამოდის. არ დავანებოთ შავი რეაქციის ძალებს დაჩრდილონ იგი და კვლავ ჯოჯოხეთში

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 659.

[2] გ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები, ტ. I, გვ. 188.

ჩაგვაგდონ. დაამხეთ მენშევიკების მთელი ხელისუფლება! ყველგან ადგილებზე ხელში აიღეთ ძალაუფლება! შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები! იარაღი აისხით, ამხანაგო მშრომელებო! წინ საბჭოების ხელისუფლებისათვის!"[1].

ყოველ საათს მოდიოდა ცნობები აჯანყებულთა ახალი და ახალი გამარჯვებების შესახებ. რევკომის მოწოდების პასუხად აჯანყდნენ რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრების მშრომელი გლეხობა. აფხაზეთისა და აჭარის მშრომელები. ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში შეიქმნა რევკომები.

დაღუპვა თავიდან რომ აეცილებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობამ სასოწარკვეთილ მანევრს მიმართა. მან სასწრაფოდ მოიწვია დამფუძნებელი კრება და 21 თებერვალს მიიღო საქართველოს „დემოკრატიული" რესპუბლიკის კონსტიტუცია. მეორე დღეს მენშევიკებმა რადიოთი გამოაცხადეს „ახლა საქართველო უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული დემოკრატიული სახელმწიფოა".

მაგრამ მენშევიკების „კონსტიტუციამ" მხოლოდ ოთხ დღეს იარსება და მოვლენათა მიმდინარეობაზე რაიმე გავლენა ვერ მოახდინა. მათ ვერც იმან უშველა, რომ საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად ცნეს ინგლისმა და საფრანგეთმა, რაც საქართველოში სახალხო აჯანყების თითქმის წინადღეს მოხდა.

25 თებერვლის წინაღამეს დაიწყო გადამწყვეტი შეტაკება თბილისის განთავისუფლებისათვის. 25 თებერვალს დღის 12 საათზე აჯანყებულ მუშათა და გლეხთა რაზმები წითელი არმიის ნაწილების დახმარებით ქალაქში შეიჭრნენ. საქართველოს მშრომელთა აჯანყებამ გაიმარჯვა. საქართველოში აფრიალდა ოქტომბრის დიადი დროშა. ძალაუფლება მთლიანად გადავიდა საქართველოს რევკომის ხელში.

25 თებერვალს გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"[2].

26 თებერვალს დილით საქართველოს რევკომმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ბრძანება მთელი სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში აღების შესახებ. იმავე დღეს შეიქმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა.

სამი კვირის განმავლობაში საბჭოების ხელისუფლება აჯანყე-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 662.

[2] Г. К. Орджоникидзе. Избранные статьи и речи. М., 1939, стр. 98.

ბულმა მუშებმა და გლეხებმა მთელ საქართველოში დამკვიდრეს. 4 მარტს გამარჯვებით დამთავრდა მუშებისა და გლეხების აჯანყება. რომლებსაც წითელი არმია დაეხმარა, აფხაზეთში, 5 მარტს — სამხრეთ ოსეთში, 18 მარტს — ბათუმსა და მთელ აჭარაში.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება კანონზომიერი შედეგი იყო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მრავალი წლის შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლისა, თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოასწავებდა, რომ დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ იხსნა მხარის ხალხები ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციისა და უცხოელ იმპერიალისტთა ბატონობისაგან, გაუხსნა მათ ნათელი მომავლის გზა. საბჭოთა ამიერკავკასია ჭაღარა აღმოსავლეთის საზღვარზე დიდი ოქტომბრის ფორპოსტი გახდა.

სახელთა მაჩვენებელი

ა

აბაშიძე, კ. გ. — 260, 383.
ადამიანი. ა. გ. (აიკ) — იხ. ფილოსია-ნი, ა. გ.
ადელხანოვი — 22. 62, 225. 367.
ადონცი, მ. ა. — 15.
ავალიანი, ვ. ვ. — 42.
ავალიანი, ს. — 254.
ავაკიანი, გ. ა. — 505.
ავენარიუსი, რ. — 254, 255, 256, 259, 260.
ავეტისიანი, ს. ა. — 55.
ავისი — იხ. ნურიჯანიანი, ა. ს.
ავლახიშვილი, პ. გ. — 374.
აზარიანცი — 260.
აზიზბეკოვი, მ. ა. — 53, 140, 149, 180, 210, 212. 230, 235, 276, 285, 313, 317, 337, 362, 363, 386, 395. 425. 444. 487, 489, 490, 503, 505.
ათაბეკოვი, ა. ნ. — 428, 432.
ათარბეკოვი, გ. ა. (ათარბეკიანი, გ. ა.) — 283, 370. 388, 394, 469, 562.
„აიაქსი" — იხ. შაუმიანი, ს. გ.
აიდინბეკოვი, მ. — 140.
აივაზოვი, გ. ს. — 254.
აიკუნი, გ. — 523, 546.
აიკენვალდი, ი. — 260.
აკოფიანი. ა. მ. — 165, 239, 261, 334, 373
ალავერდოვი, კ. — 168.
ალავერდიანი, ს. კ. — 370, 388, 406. 458, 525, 539.
ალაჯალოვა, ნ. ნ. — 85, 210.
ალექსანდრე II — 32.
ალექსანდროვი — 280.
ალექსეევი, ვ. — 539.
ალიევოვი, ა. ა. — 535.
ალიხანიანი, გ. — 485.
ალიხანოვი — 214, 365.
ალიხანოვ-ავარსკი — 159, 273.
ალილუევი, ს. ი. — 48, 61, 63, 119.
„ალ. ჟ-იანი" — 256.
ამაშუკელი, ფ. — 394.
ამირიანი, ა. მ. — 373, 505.
ამიროვი, ტ. მ. — 505.
ამირხანოვი, შ. (შავარშ) — 544. 546.
ანანუნი — 323.
ანაშკინი, ი. ი. — 276. 370. 393. 513
ანდრეევი, ლ. — 260.
არაზი, მ. — 334.
არაკელიანი, ა. — 388.
არველაძე, პ. ი. — 239. 292, 370, 372. 398, 394, 406, 417, 429, 458.
არკერიანი, ა. — 266.
არკომედი, ს. ტ. — იხ. ყარაჯიანი, გ. ა.
არუთინიანი, ს. გ. — 60.

არციბაშევი, მ. — 260.
ასკურავა, შ. მ. — 345, 374.
აფანასიევი, თ. ე. — 40, 43, 55, 56.
აფრიკოვი, — 21.
აძელროდი, ა. ბ. — 110. 217, 237.
აღაევი, ბ. — 387.
აღაზადე, კ. ჯ. — 531.
აღამიროვი, ს. ხ. — 419.
აღამიანი, მ. — 182.
აღასი — იხ. ხანკიანი, ა. გ.
აღასიევი, კ. მ. — 184, 272, 283, 315, 485, 487.
აშურბეკოვი, ი. — 254.
ახმეტელაშვილი. ვ. ბ. (შვარც) — 256.
ახუნდოვი, ა. დ. — 68. 140, 180. 362, 370.
ახუნდოვი, მ. ბ. — 180, 210, 212, 285.
ახუნდოვი, მ. ფ. — 30.
ახუნდოვი, რ. ა. — 547.
აპაროვიანი, ა. —
აჰმედ ძამალი — 254.

ბ

ბაბაევი, დ. მ. — 419.
ბაგდატიევი, ხ. ი. — 284.
ბადაევი, ა. ი. — 336, 339, 346, 452.
ბაზაროვი, ვ. ა. — 251.
ბაირამოვი, ა. ბ. — 531.
ბალდინი, ა. ნ. — 42.
ბარათოვი — 102.
ბარათოვი — იხ. ჯაფარიძე, პ. ა.
ბარდინა, ს. ი. — 32.
ბარშანსკი, ვ. — 168.
ბარსოვი — იხ. ცხაკაია, მ. გ.
ბარტდორფი — 80.
ბასინი, მ. კ. — 346, 362, 393, 423, 425, 445, 505.
ბაქრაძე, ვ. ტ. — 285.
ბახტაძე, ვ. ს. — 370.
ბედუკიძე, ა. ა. — 345.
ბეკჯადიანი, ა. ა. — 68, 73. 96, 141, 168, 180, 543, 546, 558.
ბელა კუნი — იხ. კუნი ბელა.
ბელი, ა. — 260.
ბელოგოროდოვი. ა. ბ. — 542.
ბელოსტოცკი, ი. ს. — 299.
ბენკერდორფი — 368.
ბეკე — 367.
ბერბი, ე. ა. — 505.
ბერვი, ვ. ვ. (ფლეროვსკი, ნ.) — 40.
ბერდიაევი, ნ. ა. — 252.
ბერმანი, ი. ა. — 251.
ბერნჯეიმი, ლ. (სერგეი ბაკინსკი)—235.
ბერცე, ავგუსტ — 307.
ბლანკ-ბერზინი, პაულ — 307.
ბოგროვსკაია, ც. ს. (ზელიკსონი) — 121. 127, 141.
ბოგროვსკი, ვ. ს. — 85, 121, 127, 141, 155, 168.
ბოგდანოვი, ა. ა. — 241. 251, 254, 256, 257, 258, 260. 334. 505.
ბოგდანოვი, ს. ა. — 372, 400, 406. 505.
ბოგორაზი, ა. მ. — 58.
ბოგორაზი, ბ. მ. — 57.
ბოზარჯიანცი — 63, 113, 367.
ბოიცოვი ვ. ი. — 487.
ბოლქვაძე, ი. ბ. — 80, 363.
ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. დ. — 132. 134.
ბორიანი, ა. ა. — 505.
ბორიანი, ბ. ა. — 307. 328, 363, 372, 458.
ბოჭორიძე, მ. ზ.—37, 43, 44, 53, 54, 57. 61, 62, 63, 85, 92, 108, 110, 112. 145, 191, 210.
ბრეგვაძე, ა. — 468.
ბრესკოვი, ბ. ა — 296.
ბრიუსოვი, ვალერი — 343.
ბრუსნევი, მ. ი. — 42.
ბუაჩიძე, ს. ბ. — 180, 195.
ბუგნოვი, ა. ს. — 299.

ბულგაკოვი, ს. ნ. — 252.
ბუნიათზადე, დ. ხ. — 311, 362, 370, 386, 489, 500, 528, 531, 535.
ბურჯალოვი, ბ. ს. — 42.

ბ

ბაბიშევი, ი. ი. — 505.
ბაბრიელიანი, ა. ბ. (ყარინიანი, ა. ბ.) 307, 328, 373, 486.
ბაბუნია, ნ. ე. — 73.
ბაბუნია, ო. დ. — 292, 363, 372.
ბაიდამაკინი. — 402.
ბალაერინი — 332.
ბალაერინი, ლ. ე. — 68, 72.
ბარგალაჯევი; ფ. ს. — 304.
ბასეევი, კ. — 468.
ბაფუროვი, ს. ს. — 346.
ბახოკია, მ. ფ. — 406.
ბაჯინსკი, მ. ბ. — 254.
ბებეშკორი. ა. ა. — 472, 477, 483, 569.
ბებეშკორი, ე. ა. — 447, 455, 457, 459, 460, 471, 493.
ბედი, ჟ. — 344.
ბეზალოვი — 21.
ბელზენკირხენი — 339.
ბერასიმოვი, ვ. ბ. — 38.
ბიპიუსი, ზ. — 260.
ბლეგოვი, — იხ. ნოსკოვი, ვ. ა.
ბოგუნცი, ა. — 525, 539.
ბოლოშაკინი, ფ. ი. — 299.
ბორკი, ა. მ. — 27, 40, 88, 262, 343.
ბოცინსკი — 480, 485.
ბრაჩოვი, ა. ა. — 295, 315.
ბრიაზნოვი — 273.
ბრიგორიანცი, მ. დ. — 337.
ბუბანოვი, ვ. ნ. — 370.
ბუბანოვი, ფ. კ. — 519.
ბუბუშვილი, ა. ვ. — 14.
ბუზენკო, ფ. ა. — 38.

დ

დადაშევი, ბ. ა. — 55, 210, 370.
დავითაშვილი, მ. ნ. — 85, 160, 168, 180, 204, 211, 212, 258, 296.
დავთიანი, ი. — 284.
დანი, თ. ი. — 237.
დანდუროვი, ს. ა. — 45.
დანიშევსკი, კ. — 236.
დანკო, ი. ა. — 40.
დარახველიძე, ი. მ. — 73.
დარახველიძე, ს. — 370.
დარვინი — 255.
დაშტოიანი, რ. ა. — 75.
დევდარიანი, ა. — 182.
დევდარიანი, ბ. ს. — 419.
დენიკინი, ა. ი. — 518, 519, 520, 534, 545.
დენისოვი, ა. ე. — 406.
დვალი, ბ. — 194.
დიდიძე, ნ. — 370.
დიკშტეინი, ს. რ. 43, 60.
დიტცი, ი. ბ. 42.
დიცბენი, ე. — 257.
დოვლათოვი, ი. ი. (დოვლათიანი, ი. ი.) — 525, 531, 543, 544, 546, 558.
დოლგუშინი ა. ვ. — 32.
დოლიძე, ა. ბ. — 239.
დონსკოი — 454.
დოროფეევი, ი. მ. — 337.
დრუგისი, ამალია — 307.
დუბროვინსკი, ი. ფ. — 129, 130.

ე

ეგოროვი, დ. ს. (როგოვსკი) — 295, 298.
ეგოროვი, ვ. ბ. — 419, 531.
ევდოშვილი, ი. ი. (ხოსიტაშვილი)—261.
ევოლიანი, ს. ბ. — 88, 167, 304.

ეიზენბეტი, ა. ბ. — 59, 72. 73.
ელბაქიძე, ა. კ. — 284.
ელიავა, ბ. — 194.
ელიავა, შ. ზ. — 192, 528, 543, 567.
ელისაბედაშვილი. ბ. ი. — 235.
ენგელსი, ფ. — 41, 43. 50, 54. 63, 71, 259, 260, 396.
ენუქიძე, ა. ს. — 53, 58, 59, 68. 72, 235, 259, 290, 295. 306. 336.
ენუქიძე, ტ. თ. (სიმონ) — 80.
ენფიანჯიანცი — 63, 113, 367.
ერემიანი, ვ. — 523, 528.
ერზინკიანი, ა. ა. — 75.
ერმანსკი, ო. ა. (ოგანი, ო. ა.) — 41. 46.
ერმოლაევი, ნ. ე. — 38.
ეფენდიევი, ბ. ი. — 489, 490.
ეფენდიევი, ს. მ. — 119, 140, 141, 149, 168, 211, 212, 230, 235, 311, 382. 386, 393, 398, 413, 420, 445, 528.
ეფიმოვი. ვ. ფ. (სარატოველი) — 184. 219, 231, 268, 276.
ეფრემოვი, მ. ბ. — 536.
ეშბა. ე. ა. — 394, 469.

ვ

ვანდერველდე, ე. — 344, 565.
ვარდანიანი, ა. ტ. — 323.
ვარდანიანი, ბ. — 528.
ვარდანიანი, ვ. ა. — 42.
ვარზარი, ვ. ე. — 67.
ვართანიანი. ა. — 334.
ვართანიანი, ა. ა. — 275.
ვართანოვა — იხ. ნაზარბეგი, მ. ი.
ვარნაჩევი, მ. მ. — 349, 362, 393.
ვარსიმაშვილი. დ. დ. — 95.
ვასილიევ-იუჟინი, მ. ი. — 149.
ვაშაკიძე, ვ. ა. — 394, 545.
ვაცეკი, ი. პ. — 55. 95, 210. 272, 393, 445.
ვეზიროვი, მ. ბ. — 444, 445, 486, 490, 505.
ვერკარნი, ემილ — 343.
ვიშაუ — 59.
ვოევოდინი. პ. ი. — 307.
ვოროვსკი. ვ. ვ. (ორლოვსკი. ვ.) — 131, 265.
ვორონცოვ-დაშკოვი, ი. ი. 223, 225, 227, 271, 323.
ვოროშევი, მ. ა. — 346.
ვრანგელი. ა. ნ. — 551. 567.
ვრაციანი 562.

ზ

ზავრიევი, დ. ს. — 556.
ზარგაროვი, ა. ო. — 184.
ზარდაბი, ჰ. ბ. (ჰასან-ბეგ მელიქ-ზადე) — 28.
ზდანოვიჩი, ბ. ფ. — 32.
ზევინი, ი. დ. — 349, 362, 423, 486. 503, 504, 505.
ზეინალოვი, ზ. ე. — 216.
ზემლიაჩკა. რ. ს. — 131, 235.
ზერგიარი. ს. — 260.
ზეტცერი — 37.
ზინოვიევი. გ. ე. — 449.
ზუბალოვი — 276.
ზუბატოვი, ს. ვ. — 82. 98.
ზურაბოვი. ა. ბ. (ბეკოვი) 75. 85. 86. 92. 105. 108. 110, 381.

თ

თავდიშვილი, ს. დ. — 345, 370.
თაიროვი — 21, 214, 365.
თალაკვაძე, მ. ს. — 374.
თანდილიანი, მ. — 88.
თარახჩიანი, ვ. ს. — 394.
თალიევი — 143.
თალიევი — 204, 365.
თალიზადე, ბ. ა. — 485, 489,
თელია, ბ. პ. — 53, 74, 96, 189.
თვარაძე, ვ. — 194.

თოდრია, ს. ი. — 73, 74, 80, 363, 370, 545, 547.
თომას კველჩი — იხ. კველჩი თომას.
თოფურიძე, დ. ა. (კარსკი) — 85, 86, 105, 106, 107, 108, 110.
თუმანიანი, ა. ბ. — 60.
თუმანიანი, ა. ო. — 167.
თუმანოვი, ე. ბ. — 32.

ი

იაკოვლევი, ნ. ნ. — 346.
იაკუბოვი, ს. დ. — 141, 206, 295, 313, 328, 345, 362, 370, 531.
იაკუშევი, ს. ტ. — 295.
იარალოვი — 62, 81, 280, 367.
იალუბიანი, ა. ი. — 372.
ივანოვი, ვ. — 376.
ილმერი, კარლ — 307.
ინწკირველი, ი. ნ. — 168.
იოანისიანი, ბ. ზ. — 203, 307, 328, 346, 370.
იოსელიანი, ე. ო. — 32.
ისრაელიანი, ს. — 60, 88.
ისრაფილბეკოვი, მ. ნ. (ალბირლი) 382, 386, 393, 487, 489.
იესიფზადე, ა. ბ. — 370, 413, 414, 487, 531.
იუშკევიჩი, ბ. ს. — 251.

კ

კაიდანოვა, ლ. ვ. — 39.
კაკაბაძე, ი. ბ. — 44.
კალაძე, მ. თ. — 194.
კალაძე, რ. თ. — 44, 57, 58, 62.
კალანდაძე, ვ. მ. — 370.
კალანდაძე, ს. ნ. — 374.
კალანდარიშვილი, დ. ე. — 44, 57.
კალედინი, ა. მ. — 456.
კალინინი, მ. ი. — 63, 299.
კალიუჟნი, ა. მ. — 40.
კამარი, ა. (ბეჯანიანი) — 334.
კამენევი, ლ. ბ. — 164, 424, 449,
კამო (ტერ-პეტროსიანი, ს. ა.) — 74, 191, 196, 210.
კანანოვა, ლ. ვ. — 32.
კანდელაკი, ს. — 206.
კანტი, ე. — 252.
კარაკაში, შ. — 362.
კარაკოზოვი დ. ვ. — 32.
კარინიანი, ა. ბ. (გაბრიელიანი, ს. მ.)
კარინიანი, ნ. ბ. — 528.
კარსკი — იხ. თოფურიძე, დ. ა
კარტაშევი, ნ. ნ. — 337.
კასიანი, ს. ი. — 211, 212, 235, 259, 292, 306, 307, 323, 325, 333, 335, 336, 363, 370, 386, 406, 521, 523, 525, 543, 546, 558, 559.
კასპაროვი, ვ. მ. — 230, 235, 290, 295, 306, 336.
კასუმოვი, მ. ბ. — 55, 95, 141, 184, 210, 345, 370, 531.
კატირ მამედი (მამედ მამედოვი) — 516.
კაუცკი, კ. — 206, 259, 565, 566.
კაფარზადე, ა. — 387.
კაბარავა, დ. კ. — 419.
კახიანი, მ. ი. — 362.
კახოიანი, ა. ს. — 53, 57, 61, 83, 167, 219, 323, 345.
კერენსკი, ა. ფ. — 408, 432, 436, 439, 447.
კეცხოველი, ვ. ზ. (ლადო) — 44, 46, 53, 57, 58, 59, 60, 62, 68, 69, 72, 79, 80, 113, 119.
კვანტალიანი, ე. ა. (ბაბავა, მ.) — 337, 525, 528.
კვარაცხელია, მ. მ. — 239, 292.
კველჩი, თომას — 548.
კვირკელია, ბ. მ. — 569.
კიროვი, ს. მ. — 63, 512, 522, 525, 536, 540, 541, 543, 549, 567, 568.
კლეინი, ე. — 40.
კლიმიაშვილი, მ. ი. — 40.
კნიაზევი, ფ. ფ. — 272, 349.

კნუნიანცი, ბ. მ. (რუსოვი) — 53, 72, 75, 85, 86, 92, 97, 105, 108, 110, 115, 116, 117, 119, 120, 168, 235, 272, 276, 295.
კოგოზევი, პ. ა. — 465.
კოგანი, ო. ა. (ერმანსკი, ო. ა.) 48, 54.
კოგანოვი, მ. რ. — 505.
კოზერენკო, ნ. პ. — 48, 54, 55, 59, 68, 73.
კოზიკიანი, ბ. კ. — 57, 61.
კოზლოვი, ე. ნ. — 303, 315.
კოკი, ა. — 43.
კოკორევი — 55, 270.
კოლაროვი, მ. — 361.
კოლესნიკოვა, ნ. ნ. — 266, 349, 362. 486.
კონტი, ო. — 252.
კორა, ი. ა. (სანეური, ი. ა.) 192.
კორგელი — 555.
კორნილოვი, ლ. ბ. — 419, 420, 422. 456.
კოროსტელენკო, ი. — 394, 437.
კოსტანდიანი, ა. მ. — 491, 505.
კოსტანიანი, ა. (აიკაზი) — 525, 543. 544, 546.
კოსტროვი — იხ. ჟორდანია, ნ. ნ.
კუტრინი — 63.
კრასინი, ლ. ბ. („ნიკიტიჩი") — 59, 68, 69, 73, 80, 107, 120.
კრიმ-გირეი — 159.
კრუჟუანოვსკი, ბ. მ. — 75, 80.
კრუპსკაია, ნ. კ. — 69, 75, 80, 109, 130, 132, 137, 154, 231, 292, 300. 303, 306, 309, 310, 336, 360.
კუზმინსკი, ა. რ. — 465.
კუზიანი, ე. — 254.
კუზნეცოვი, ნ. მ. — 372.
კულუმბეკოვი, ბ. — 468.
კუნი, ბელა (ბ. კ.) — 543, 548.
კურნატოვსკი, ვ. კ. — 60, 71.
კუხალეიშვილი, ს. ი. — 469.
კუხმალაიკინი, ა. — 388, 539.

ლ

ლაგკოევი, ს. — 468.
ლავრენტიევი, ი. ვ. — 435, 458.
ლაზიაშვილი, ტ. — 194.
ლაკობა, ნ. ა. — 394.
ლალაიანცი, ი. ნ. — 42.
ლანსინგი — 453.
ლაფარგი, პ. — 43.
ლეგრანი, ბ. — 543, 554.
ლევანდოვსკი, მ. კ. — 536.
ლემანი, მ. ნ. — 156, 163.
ლენინი, ვ. ი. — 15, 16, 17, 19, 20, 23, 36, 41, 47, 48, 49, 60, 61, 65, 67, 68, 69, 70, 75, 76, 80, 81, 84. 87, 88, 90, 98, 99, 100, 104, 105, 106, 107, 108, 110, 111, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 125, 127, 129, 130, 131, 132, 133, 134, 136, 137, 138, 142, 143, 147, 149, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 163, 164, 165, 166, 167, 169. 170, 171, 174, 175, 176, 178, 196, 198, 199, 200, 201, 204, 206, 213, 215, 218, 219, 221, 223, 230, 231, 232, 235, 236, 237, 240, 241, 244. 249, 250, 251, 252, 257, 258, 260, 261, 262, 277, 279, 285, 290, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 305, 306, 309, 310, 314, 319, 320, 321, 322, 325. 332, 336, 337. 339, 340, 341, 344, 346, 347, 351. 352, 358, 359, 360, 361, 364, 370, 371, 374, 375, 384, 385, 389, 390, 391, 392, 396, 397, 399, 402, 403, 410, 411, 412, 413, 415, 416, 419, 421, 423, 424, 428, 429, 432, 435, 438, 439, 442, 445, 447, 448, 449, 455, 457, 459, 465, 469, 487, 488, 490, 492, 497, 499, 500, 501, 503, 505, 512, 515, 520, 525, 529, 530, 535, 536, 537, 540, 547, 548, 549, 550, 553, 556, 558, 559, 567, 568, 569, 570.

ლენცმანი, ი. დ. — 235, 249.
ლეონტიევი, ა. — 81.
ლეჟავა, ა. მ. — 40.
ლეჟავა, ნ. მ. — 388, 394.
ლეჟავა, ს. კ. (შაეშე) — 74, 394.
ლვოვი — 378.
ლიადოვი, მ. ნ. 120, 156, 174.
ლიბკნეხტი, კარლ — 343.
ლინდენგაუმი — 383.
ლიპარტელიანი, ბ. — 468.
ლიტვინოვ-სედოი, ზ. ი. 70.
ლომთათიძე ა. — 381.
ლომთათიძე, ბ. ბ. (ჭოლა) — 260.
ლომიძე, ე. — 296.
ლომჯარია, ს. შ. — 73.
ლუზინი, ი. ი. — 48, 49, 54, 55, 56.
ლუნაჩარსკი, ა. ვ. — 251, 334.

მ

„მაიაკი“ — იხ. ნარიმანოვი, ნ. ნ.
მაიოროვი, თ. ი. — 43, 44, 48.
მაკაროვი, ლ. — 394.
მაკდონალდი, რ. — 565.
მალიგინი, ი. ვ. — 372, 405, 465, 505.
მალხასიანი, ა. ა. — 128, 168.
მამედიაროვი, მ. მ. — 55, 73, 95, 140, 141, 184, 206, 210, 230, 235, 242, 268, 328, 345, 362, 489, 500.
მამედუული-ზადე, ჯ. — 261.
მამიკონიანი, კ. ა. — 32.
მანთაშევი — 22, 36, 55, 59, 80, 114.
მანუჩარიანი, ი. ა. — 32.
მანუჩარიანი, მ. ტ. — 236.
მართიკიანი, ს. — 525.
მარტინი — იხ. როზანოვი, ვ. ნ.
მარტინოვი — 369.
მარტიროსიანი, ა. მ. — 236.
მარტოვი, ი. ო. — 105, 110, 131, 344, 350.
მარქსი, კ. — 41, 43, 50, 54, 63, 71, 80, 255, 257, 259, 260, 296, 537.
მასლოვი, პ. პ. — 48, 200.
მატიჩკო, პ. — 539.
მაშურიანი, მ. — 539.
მახარაძე, ფ. ე. — 37, 42, 46, 53, 85, 92, 145, 168, 192, 204, 212, 231, 259, 306, 311, 323, 337, 346, 358, 371, 374, 379, 386, 387, 391, 394, 406, 428, 432, 453, 454, 472, 475, 499, 521, 547, 550, 569.
მაჩი, ე. — 254, 255, 256, 259, 260.
მაყაშვილი, კ. ზ. — 260.
მდივანი, პ. ბ. (ბუდუ) — 542.
მეგრელიძე, მ. — 81.
მედვედევი, მ. ა. (კუდრინი) — 315
მელაძე, კ. ლ. — 394.
მელენტიევი, ნ. ბ. — 52.
მელიქიანი, ა. მ. — 259, 311, 370.
მელიქიანი, მ. ბ. („დედუშკა“) — 53, 57, 58, 59, 73, 75, 88, 95, 206, 235, 283.
მელიქიანი, მ. ე. — 363, 373.
მელნიკოვი, მ. პ. — 272.
მელქონიანი, ა. — 539.
მელქუმიანი, ო. — 74.
მერეტკოვსკი, დ. ს. — 260.
მეტაქსა, ი. პ. — 505.
მეშადი-ამირ ნურ-ოლლი — 376.
მეკმანდაროვი, ს. — 180.
მეკმანდაროვი, ი. ს. — 32.
მიასნიკოვი, ა. თ. (მიასნიკიანი, ა. თ.) — 235.
მიკაილოვი, ა. ი. — 191.
მილიუკოვი, პ. ნ. — 432.
მირზაგეკიანი, ტ. კ. — 489.
მირზაგეკიანცი — 80, 158, 402.
მირზოევი — 34, 270, 332.
მიტროვი, ვ. ი. („სავვა“) — 122, 123.
მიტროფანოვი — 332.
მიუზნიგი, ა. — 260.
მიუნირი, ა. — 260.
მიქაძე, ა. ვ. — 545.
მიქოლიანი, ა. ი. — 370, 373, 519, 521, 525, 536.
მიშნი, ა. — 505.

მიხაილოვსკი, ნ. კ. — 259, 260.
მონტინი, პ. ვ. — 95, 149, 180, 182, 184, 189, 191.
მრავიანი, ა. ა. — 235, 266, 307, 370, 373, 435, 485, 499, 525, 543, 558.
მუსაბეკოვი, ბ. მ. — 528, 535, 536.
მუსაელიანი, ს. — 485, 539, 539.
მუსიევი, ტ. — 372.
მუშნიკოვი, ვ. პ. — 406.

ნ

ნ. მ. ა. — ნატანსონი, მარკ ალექსის-ძე — 48.
„ნ. ო.“ — 258.
„ნადია“ — 112.
ნაზარბეკი, ა. — 50.
ნაზარბეკი, მ. ი. (ვართანოვა) — 50.
ნაზარეტიანი, ა. მ. — 386, 394, 405, 453, 454, 472, 499, 521, 530, 542, 547, 552, 569.
ნაზაროვი, ი. ნ. — 48.
ნალბანდიანი, მ. ლ. — 30.
ნანეიშვილი, ვ. ი. — 108, 204, 239, 307, 370, 386, 393, 420, 485, 487, 521, 525, 527, 531.
ნარიმანოვი, ნ. ნ. („მაიაკი“) — 40, 140, 171, 230, 235, 261, 276, 285, 323, 362, 386, 393, 395, 396, 481, 486, 490, 528, 535, 536, 547, 549, 553.
ნაფეტვარიძე, ბ. პ. — 239.
ნაჩალოვი, მ. ი. — 40.
ნეჩაევი, ს. ბ. — 32.
ნიკიტლაშვილი, ი. მ. — 505.
„ნინა“ — 69, 76, 80, 90, 91, 112.
ნინიძე, ი. — 194.
ნინოშვილი, ე. თ. — 40, 44, 45, 46.
ნინუა, ი. ბ. — 168.
ნიცშე, ფ. — 259.
ნოგელი — 20, 21, 22, 55, 59, 270, 332.
ნოგინი, ვ. ა. — 212, 247.
ნოსკოვი, ვ. ა. (ბლეგოვი) — 120, 133.
ნურიჯანიანი, ა. ს. (ავისი) — 525, 539, 544, 546, 547, 550, 558.

ო

ოგანჯანიანი, ა. — 539.
ოვანესიანი, ა. — 254.
ოკანესიანი, ლ. მ. — 394.
ოვანისიანი, მ. — 254.
ოკინშევიჩი, რ. მ. — 362.
ოკუჯავა, მ. ს. — 399.
ოლმინსკი, მ. ს. — 235.
ორახელაშვილი, მ. დ. (მამია) — 372, 432, 462, 463, 474, 475, 521, 545, 569.
ორახელაშვილი, მ. პ. — 545.
ორჯონიკიძე, ბ. კ. — 160, 180, 191, 210, 230, 235, 243, 272, 285, 294, 297, 298, 299, 300, 310, 343, 416, 469, 492, 501, 521, 536, 541, 542, 548, 549, 551, 552, 553, 567, 568, 569, 570.
ოსეფიანი, ბ. ა. — 372.
ოსეფიანი, ს. ბ. — 259, 307, 372, 505.
ოქუაშვილი, ა. ბ. — 37, 44, 53, 54, 57, 63, 72.

პ

პაიმაძე, ს. — 296.
პანასიე — 339.
პაპაჯანოვი, მ. (პაპაჯანიანი. მ.) — 383.
პაპუაშვილი, ბ. — 468.
პაჭიტკოვი, კ. ა. — 34.
პარუპი, ა. ტ. — 303, 307.
პეტროვი, ბ. კ. — 502, 505.
პეტროვსკი, ბ. ი. — 299.
პეტროსიანი, პ. — 539.
პეტრუზოვა, ს. პ. (პეტროსიანი) — 42.
პეტრუზოვი, ა. პ. (პეტროსიანი) — 42.
პლეშაკოვი, მ. ბ. — 531.
პლეხანოვი, ბ. ვ. — 41, 43, 50, 109, 120, 244, 257, 260, 344.

კოდვოილსკი, ნ. ი. — 303.
კოლეტაევი, ნ. გ. — 48.
კოლიუსუკი, პ. ა. — 406.
კოლტორაცკი, ნ. გ. — 531.
კოლუხინი, ბ. — 505.
კოლუხინი, ვ. ფ. — 487
კოკოვი, ი. — 55.
კოსტოლოვსკი, დ. ს. — 85, 92, 93, 96, 107, 108, 110, 119.
ქოლოსიანი, ო. ა. — 372, 543.

ჟ

ჟორდანია, ნ. ნ. (კოსტროვი. ანი) — 44, 45, 46, 84, 85, 104, 105, 106, 154, 167, 170, 233, 236, 255, 263, 293, 321, 343, 359, 360, 376, 381, 399, 447, 454, 471, 494, 563, 564.
ჟღენტი, თ. ბ. — 528.

რ

რადუს-ზენკოვიჩი, ვ. ა. — 212.
რადჩენკო, ი. ი. — 76.
რაზინი, სტეფანე — 63, 72, 345.
რაზმაძაევი, ე. ე. — 307, 328.
რამიშვილი, ი. ი. — 44, 46.
რამიშვილი, ნ. ვ. — 108, 219, 237, 379, 481, 564, 565.
რასულზადე, ა. ბ. — 311.
რასულზადე, მ. ე. — 254.
რენიბერი, ს. — 43.
რენიფდელი, პ. — 565.
რთველაძე, ბ. დ. — 272.
რიზელი, კ. ნ. — 295.
რიკოვი, ა. ი. — 164, 449.
რობაკიძე, ბ. — 260.
როდიონოვი, ე. ი. — 376, 531.
როზანოვი, ვ. ნ. (მარტინი) — 120.
როლანი, რომენ — 343.
რომანოვი — 310.
რომანოვი, ნ. — 377, 378, 379, 381.
რთბეილდი — 20, 21, 22, 36, 59, 62, 79, 80, 114, 335.
როძევიჩ-ბელევიჩი, ვ. კ. (ორესტ სემინი) — 48, 74.
რუმიანცევი, ა. ა. — 362.
რუსი — 63.

ს

სააკი — იხ. ტერ-გაბრიელიანი, ს. ბ.
სააკიანი ა. — 372.
სააკიანი, ბ. — 372.
სააკიანი, ს. — 398.
საგაშვილი, კ. ა. — 239, 545.
საბირი, მ. — 261.
სალტიკოვ-შჩედრინი, მ. ე — 38.
სამარცევი, ა. მ. (შიტიკოვი, ი. ვ.) — 269.
სამბა, მ. — 344.
სარატოვეცი — იხ. ეფიმოვი, ვ. ფ.
სარაჯევი — 21, 214.
სარდაროვი, ბ. მ. (იბრაგიმოვი) 140, 210, 230, 235, 276, 283, 362, 370, 489, 528.
სარუხანიანი, ო. ს. — 313, 370, 539,
სარჭისიანი, ბ. — 539.
საფარალიევი, ხ. ბ. (ჰანლარი) — 141 277, 278.
საფაროვი — 365,367.
სალათელიანი, ო. — 266.
საუვარელიძე, ა. დ. — 200.
სერგეევი, ა. ბ. — 362.
სვანიძე, ა. ს. — 256.
სვანიძე, ი. ბ. — 468.
სვანიძე, ნ. ს. — 469.
სვერდლოვი, ი. მ. — 299, 413.
სიდერიდისი — 114.
სილაგაძე, ა. — 468.
სიმენსი, ბ. — 20.
სკობელევი, მ. ი. — 312, 329.
სმირნოვი, ა. ა. — 299.
სმიტი, ა. — 453, 459, 460.
სოკოლოვსკი, ბ. ნ. — 128, 168, 219.
სოკოლოვსკი, ნ. ს. — 74.
სოლნცევი, ფ. ფ. 465, 505.

სოლოგუბი, თ. (ტეტერნიკოვი, თ. კ.) — 260.
სოლოვიანი, ა. ა. — 345.
სოროკინი, ფ. კ. — 184, 362.
ალანდარიანი, ს. ს. — 119, 180. 204, 205, 211, 212, 218, 219, 230, 235, 248, 259, 276. 292. 298, 299. 300. 310. 314, 352.
სპენსერი, ბ. — 252.
სტალინი, ი. ბ. — 46, 53, 56, 63, 69, 70. 72, 73, 78, 79, 85, 119, 121, 126. 128. 138, 141, 149, 150, 160, 167, 168, 170, 180, 189, 192, 199, 200. 202, 211, 212, 219, 230, 235, 299. 310, 322 358, 391, 457, 488, 501. 547, 552, 553, 569, 570.
სტასოვა, ე. დ. — 239, 292, 294, 299, 300, 302, 306, 310. 313. 314, 542, 543, 550, 551, 552, 553.
სტოლიპინი, პ. ა., — 222. 223, 224. 226, 227, 229. 232.
სტოპანი, ა. მ. — 121, 127, 133, 141. 152, 168, 337, 346, 362.
სტრუვე, პ. ბ. — 47, 49, 252.
სტურუა, ბ. თ. — 337, 346, 376, 422. 423, 485, 519, 521, 530.
სტურუა, ი. თ. — 37, 44, 53, 58, 59. 61. 62, 63, 68. 73, 80, 242, 545.
სუვოროვი, ს. ა. — 251.
სულეიმანოვი, ა. ა. — 370.
სულთანოვი, ბ. ბ. — 311, 315. 337. 345, 362, 370, 386, 395, 489, 491, 521, 525, 527, 528, 531. 535.
სუხიშვილი, ვ. ჯ. — 345.

ტ

ტალიშინსკი — 331.
ტახირი, ი. — 260.
ტერ-აკოფოვი — 80.
ტერ-გაბრიელიანი ს. მ. (სააკი) — 141, 149, 184, 206, 370, 386, 400. 487. 543, 544, 546, 558.
ტერ-მკრტიჩიანი, ბ. — 523.
ტერ-ოვსეპიანი, ლ. ო. — 74, 370.
ტერ-საპაკიანი, ა. — 539.
ტერ-სიმონიანი, დ. — 525. 539. 543
ტიდემანი, ბ. კ. — 59.
ტიუხტენევი, ნ. ი. — 531.
ტოლე — 214. 365.
ტოლსტოი, ლევ — 261, 262.
ტოროშელიძე. მ. ბ. — 257, 394, 426. 430, 545.
ტოჩისკი, პ. ვ. — 41. 42.
ტრაპაიძე. ზ. ს. — 372, 406.
ტრონოვი, ვ. ფ. — 206, 268, 272. 413.
ტროფიმოვი, ფ. ა. — 295.
ტროცკი. ლ. დ. — 294, 350.

უ

ულიბეკიანი, ლ. — 539.
უსპენსკი, ბ. ი. — 35, 38.

ფ

ფაინბერგი, ლ. ბ. — 73, 78. 108.
ფედოსეევი, ნ. ე. — 42.
ფითოევი — 402, 455.
ფილია, მ. ბ. — 257, 260.
ფილოსიანი, პ. ბ. (ადამიანი, ა. ბ.) 57, 61, 90.
ფიოლეტოვი, ი. ტ. — 59. 95. 141, 184, 206, 230, 235, 337, 345, 349, 358, 362, 386, 398, 401, 425. 445, 486. 488, 504, 505.
ფირუზიანი, ს. — 182.
ფლეროვი, ნ. მ. — 45.
ფლეროვსკი, ნ. — იხ. ბეროვი. ვ.
ფოშე — 455.
ფრანგიანი, ე. — 254, 259.
ფრანსი, ანატოლ — 343.
ფრანჩესკი. ბ. ი. — 48, 54, 55, 56.

ქ

ქავთარაძე, ს. ი. — 191. 210, 307, 358. 371. 373, 374, 380. 386, 394, 399,

405, 406, 407, 413, 414, 416, 428. 432, 460, 499.
ქალანთაროვი, კ. ნ. — 73.
ქართველიშვილი, ა. — 372, 528.
ქართველიშვილი, ლ. ი. — 528.
ქიქოძე, ი. გ. — 32.
ქურიძე, პ. გ. — 73.
ქიაზიმზადე, ა. კ. — 254.

ღ

ღამბარიანი, ა. — 372.
ღარიბჯანიანი, ბ. ბ. — 370, 388, 394, 406, 417, 458, 539.
ღოღობერიძე, ლ. დ. — 521, 522, 525
ღუკასიანი, გ. ო. — 419, 525, 539.

ყ

ყარაბეკოვი, კ. — 254.
ყარაგიოზოვი, მ. ა. — 315.
ყარა-დერვიში — 260.
ყარაევი, ა. გ. — 513, 531, 536.
ყარაჯიანი, გ. ა. (არკომედი, ს. ტ.) — 57, 72.
ყარაულოვი — 456.
ყარდაშიანი, ს. მ. — 32.
ყიასაშვილი, ი. დ. — 54.
ყიფიანი, მ. კ. — 32.
ყორღანოვი, გ. ნ. — 372, 405, 406, 428, 432, 460, 461, 462, 465, 481, 486, 504, 505.
ყურაშვილი, ბ. — 468.
ყურულაშვილი, გ. დ. — 335.
ყურლინიანი, შ. — 261.

შ

შაბანოვა-კარაევა, ხ. შ. — 550.
შაგინიანი, ა. გ. — 275.
შავერდოვა, ს. ნ. — 363.
შავერდოვი, დ. ა. (შავერდიანი, დ. ა.) — 75, 333, 335, 428, 432, 472, 525, 543.
შამგარიანი, ს. — 88.
შაპოვალენკო, ი. — 388, 394, 458.
შაპოვალოვი, ა. ს. — 70.
შარაძე — 62.
შატილოვი, ა. ნ. — 57.
შაუმიანი, ს. გ. — 53, 60, 75, 85, 112, 119, 121, 160, 165, 167, 168, 169. 170, 180, 192, 199, 200, 202, 205, 211, 212, 213, 219, 230, 231, 235, 240, 248, 257, 262, 265, 266, 276, 290, 292, 294, 295, 298, 299, 306, 322, 333, 336, 337, 345, 349, 351, 352, 358, 359, 360, 361, 362, 363, 371, 373, 374, 381, 382, 386, 393, 398, 406, 415, 420, 427, 428, 429, 430, 432, 435, 437, 442, 443, 444, 445, 452, 457, 460, 467, 471, 472, 479, 481, 486, 490, 492, 501, 503, 504, 505.
შაფრანოვი, პ. მ. — 38.
შახგელდიანი, ა. ვ. — 544, 546.
შახგელდიანი, კ. — 546.
შახოვი, ნ. — 129.
შახსუვარიანი, ა. ა. — 372.
შახტახტინსკი, ა. ა. — 32.
შახტახტინსკი, ბ. ა. — 551.
შეგოლდაევი, ბ. პ. — 465.
შევჩენკო, ტ. გ. — 332.
შეიდემანი, ფ. — 344.
შელგუნოვი, ვ. ა. — 73.
„შელი" — 287.
შენდრიკოვი — 132, 156.
შენდრიკოვი, ლ. — 184, 202.
შვარცი, — იხ. ახმეტელაშვილი, ვ. ბ.
შვარცი, ი. ი. — 297.
შვარცმანი, დ. მ. — 299.
შვეიცერი, ვ. ლ. — 314.
შიგაევი — 59.
შიტიკოვი, ი. პ. — იხ. სამარცევი, ა. ი.
შიშკოვსკი — 195.
შოპენჰაუერი, ა. — 259.
შუსტოვი — 74.
შჩედრინი, ი. ნ. — 313.

ჩ

ჩეკურნი, ი. — 38.
ჩერქეზიშვილი, ვ. ნ. — 254.
ჩიკარევი, ი. ნ. — 521, 525.
ჩიკოიძე, ვ. მ. — 32.
ჩიტაძე, ბ. ა. — 37.
ჩოდრიშვილი, ზ. ი. — 43, 44, 53, 54, 57, 61, 62, 72, 242.
ჩოდრიშვილი, მ. ი. — 34, 37, 345, 362.
ჩოჩიევი, ა. — 468.
ჩოჩიევი, ზ. — 468.
ჩოჩიევი, ნ. — 468.
ჩხეიძე, ბ. ი. — 72.
ჩხეიძე, ნ. ს. — 45, 46, 312, 314, 344, 350, 371, 472.
ჩხენკელი — 314, 321.
ჩხენკელი, ა. ი. — 383, 494.

ცვ

ცაბაძე, ვ. ზ. — 43, 57, 72.
ცერცვაძე, ნ. ნ. — 400, 405.
ციბულსკი — 491.
ცინცაძე, ი. ფ. — 194.
ცინცაძე, კ. მ. — 256, 374.
ცხაკაია, მ. ბ. — 44, 45, 46, 48, 53, 54, 85, 92, 95, 96, 99, 100, 108, 110, 119, 130, 160, 163, 164, 165, 166, 168, 169, 192, 204, 212, 219, 230, 240, 257, 386, 391, 394, 400, 406, 417, 426, 427, 432, 453, 454, 460, 472, 492, 499, 521, 538, 547, 566.

ძ

ძაგნიძე, ბ. — 194.
ძნელაძე, ბ. დ. — 419.
ძნელაძე, ვ. დ. — 292.

წ

წერეთელი, ა. რ. — 30, 201.
წერეთელი, ბ. ე. — 44, 46.
წერეთელი, ი. ბ. — 108, 447.
წერეთელი, მ. — 254.
წულუკიძე, ა. ბ. — 46, 53, 54, 55, 62, 69, 85, 92, 97, 108, 110, 119, 145, 160, 168, 170, 172, 248, 249, 413.
წულუკიძე, კ. ა. — 335.

ჭ

ჭავჭავაძე, ი. ბ. — 30.
ჭანტურია, ა. მ. — 74.
ჭელიძე, ვ. — 182.
ჭიჭინაძე, ზ. ე. — 40.
ჭრელაშვილი, ს. თ. — 32.

ხ

ხავთასი, ა. — 296.
ხანაზატი, რ. ნ. — 50.
ხანლარი — იხ. საფარალიევი, ხ. ბ.
ხანოიანი, ს. მ. — 75, 85, 362, 373.
ხანხოისკი — 237, 499.
ხანჯიანი ა. ბ. (ალაბ) — 544, 546.
ხაფაკიანი, ა. — 38.
ხარებოვი, ი. ს. — 468.
ხარლამოვი, ბ. — 383.
ხაჩატრიანი, ვ. ა. — 275.
ხაჩატუროვი — 335.
ხაჭაპურიძე, ბ. ვ. — 402.
ხეცურიანი, ბ. — 468.
ხეცურიანი, ს. — 468.
ხმალაძე, ს. ა. — 210.
ხოჯაევი, ა. — 182.
ხოჯიევი, ი. კ. — 304.
ხომერიკი, ნ. („ხუნხუზა") — 381.

ხუმარიანი, ა. ძ. — 38, 39, 53, 75, 80, 85, 108, 242.
ხუნდაძე, ლ. ს. — 374.
ხუტულაშვილი, ჯ. ა. — 363.
ხუცურაული, ვ. — 194.

ჯ

ჯაბადარი, ი. ს. — 32, 40.
ჯაბაშვილი, ვ. ნ. — 38.
ჯაბიევი, ბ. ბ. — 536.
ჯაფარიძე, ბ. ა. — 53, 63, 74, 85, 97, 119, 127, 140, 141, 149, 163, 164, 165, 169, 170, 174, 180, 182, 204, 206, 212, 230, 235, 248, 268, 335, 345, 348, 352, 362, 371, 372, 382, 386, 393, 398, 400, 401, 406, 413, 414, 415, 416, 424, 425, 427, 432, 443, 444, 445, 481, 486, 490, 491, 503, 504, 505.
ჯაფაროვი, მ. — 383.
ჯაფაროვი, ნ. — 182.
ჯაში, ბ. — 194.
ჯაში, უ. ს. — 80.
ჯაჯანაშვილი, ა. — 254.
ჯიბლაძე, ს. ვ. — 44, 45, 46, 57, 85, 244, 379, 381.
ჯონ რიდი — 548.
ჯორჯაძე, ა. ა. — 253, 263.
ჯუნკოვსკი, ვ. ფ. — 271, 338.
ჯულელი, ვ. — 381.
ჯულელი, ს. მ. — 57, 72.
ჯულელი, ს. ბ. — 362.

ჰ

ჰაბზე, ბ. — 344.
ჰასან-ბეგ მელიქ-ზადე — იხ. ზარდაბი, ბ. ბ.
ჰიურსმანსი, ბ. — 566.
ჰუსეინზადე, ა. — 254.
ჰუსეინოვი, მ. ჯ. — 521, 525, 530, 531, 532, 536.

შინაარსი

წინასიტყვაობა

თავი პირველი

მარქსიზმის გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობა ამიერკავკასიაში (1883 — 1900 წლები) 13

1. კაპიტალიზმის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში 13
2. მუშათა მოძრაობის დასაწყისი. მარქსიზმის გავრცელება და პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმოშობა ამიერკავკასიაში 29
ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა. მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების დასაწყისი 47

თავი მეორე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა და მათი საქმიანობა (1901—1904 წლები) 66

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარაზმვა ლენური „ისკრის" გარშემო 66
ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობა და რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. მასობრივი რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში 1903 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში 81
რსდმპ II ყრილობა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობა 104
4. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობა და I კონფერენცია 119

თავი მესამე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში 142

1. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა რევოლუციის დაწყებითს პერიოდში 142
2. რსდმპ III ყრილობა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის 162
3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ხალხის მასების სათავეში რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. რსდმპ კავკასიის კავშირის მეორე კონფერენცია 176
4. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციის უკანდახევის პერიოდში. რსდმპ IV და V ყრილობები და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები 197

თავი მეოთხე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რეაქციის პერიოდში (1905—1910 წლები) 221

1 რეაქციის შეტევა. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ლენინური ტაქტიკისათვის. პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის 221

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა იდეოლოგიის დარგში რეაქციის წინააღმდეგ 250

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკები მასების რევოლუციური შეკავშირებისათვის ბრძოლაში 262

თავი მეხუთე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910—1914 წლები) 286

1. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში. მასებში რევოლუციური განწყობილების ზრდა 286

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები პრაღის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის და მის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში 296

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მასების რევოლუციური ბრძოლის სათავეში პირველი მსოფლიო ომის წინ 325

თავი მეექვსე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები პირველი მსოფლიო ომის და რუსეთის მეორე რევოლუციის წლებში (1914 წელი — 1917 წლის თებერვალი) 341

1. პირველი მსოფლიო ომის დაწყება. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დამოკიდებულება ომისადმი 341

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მხარის მუშათა და გლეხთა. კავკასიის არმიის ჯარისკაცთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში 364

3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში 375

თავი მეშვიდე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების პერიოდში (1917 წლის მარტი — ოქტომბერი) 385

1. ამიერკავკასიის ბოლშევიკების გამოსვლა იატაკქვეშეთიდან და მათი საქმიანობა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად 385

2. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ბრძოლა მასებისათვის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში. ოქტომბრის დღეები ამიერკავკასიაში 397
3. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი საშხარეო ყრილობა 412
4. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება 433

თავი მერვე

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (1917 წლის ოქტომბერი — 1918 წლის შემოდგომა) 441

1. რევოლუციური მოძრაობის ზრდა ამიერკავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება ბაქოში 441
2. მხარის ბოლშევიკების ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება ბაქოში. გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები ამიერკავკასიის მაზრებში 463
ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემა 493

თავი მეცხრე

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში; საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918 წლის შემოდგომა — 1921 წლის მარტი) 509

1. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მიერ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის ხელმძღვანელობა. პარტიული რიგების ზრდა და განმტკიცება 509
აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბაიჯანში 529
3. რევოლუციური აღმავლობა საქართველოსა და სომხეთში. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შექმნა და საქმიანობა. საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული გაფორმება 537
4. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში 554
5. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში 563
სახელთა მაჩვენებელი 572

9(ს4)
ა — 581

ОЧЕРКИ ИСТОРИИ КОММУНИСТИЧЕСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗАКАВКАЗЬЯ

Часть первая
1883—1921

(На грузинском языке)

Издательство ЦК КП Грузии
19 Тбилиси 71

გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
მხატვარი ი. გურო
მხატვრული რედაქტორი ი. ვასილკოვსკი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ხელაშვილი
კორექტორი ე. სარჯველაძე

გადაეცა ასაწყობად 11/VI-70 წ.. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/16, გადაეცა საბეჭდად 16/II-71 წ. ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 36,75. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 32.92. შეკვ. 1880. ტირაჟი 2000. ფასი 2 მან. 32 კაპ.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина, 14.